აკაკი სურგულაძე

ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.)

თბილისი — 1957

შესავალი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ამიერკავკასიის ხალხების ისტორიაში ძირეული მობრუნების დასაწყისს წარმოადგენს.

მართალია, 1917 წელს პეტროგრადში აჯანყების გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიაში ძალაუფლება მშრომელი მასების ხელში არ გადასულა და სოციალისტურმა რევოლუციამ აქ 3 წლით დაიგვიანა, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ერთი დაკვრით შეცვალა ვითარება ამიერკავკასიაში, ფეხზე დააყენა მშრომელი მასები და ბიძგი მისცა მათს შეუპოვარ ბრძოლას ხელისუფლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ შეძლებულმა კლასებმა და კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ მჭიდრო ბლოკი შეკრეს და იმპერიალისტური ქვეყნების დახმარებით მოინდომეს ბატონობის შენარჩუნება, ამიერკავკასიის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით, დაუცხრომელ ბრძოლებში შესძლეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის აღკვეთა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ოქტომბრის რევოლუცია რომ არ ყოფილიყო და რუსი ხალხი რომ არ დახმარებოდა, ამიერკავკასიის ხალხებს მოელოდა სავალალო ხვედრი: ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის დამღუპველი პოლიტიკის შედეგად რევოლუციური რუსეთიდან იძულებით მოწყვეტილს, უნდა გაეზიარებინა ბედი იმ კოლონიური ხალხებისა, რომლებიც იმპერიალიზმის უღელქვეშ გმინავენ.

ამიერკავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ძმური თანამშრომლობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, სწრაფად იქნა დაძლეული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საუკუნეებრივი ჩამორჩენილობა, განხორციელდა დიდი სოციალისტური გარდაქმნები, აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა და საბჭოთა ერთიანი ოჯახის ყველა რესპუბლიკასთან ერთად, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურ-

ნეო რესპუბლიკებად გარდაქმნილნი, წარმატებით აშენებენ კომუნიზმს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ ბევრია დაწერილი, განსაკუთრებით მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ლიტერატურა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მომზადების, გამარჯვების ცალკეულ ეტაპებსა და საკითხებს შეეხება. მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს ამ ეპოქალური მოვლენის ღრმა მეცნიერული ისტორია. გამოქვეყნებული შრომები სრულად ვერ ასახავენ რევოლუციის წინამორბედ და თანმიმყოლ ობიექტურ პროცესებს, მასების რევოლუციურ გაქანებას, შეძლებული კლასებისა და ბურჟუაზიული პარტიების კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო კავშირს, კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს. მათში სათანადოდ არაა განზოგადებული ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ წინა წლებში გამოქვეყნებულ შრომებს ზოგჯერ ახლის ობიექტივიზმისა და დოგმატიზმის დაღი. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში მოვლენები განხილულია გაუბრალოებულად, ფაქტები შელამაზებულია, მიჩქმალულია წინააღმდეგობანი, რაც წინ ეღობებოდა პარტიას სოციალისტური რევოლუციის წინსვლის გზაზე, ჩრდილშია დაყენებული მასების როლი, რევოლუციის ობიექტური აუცილებლობა არაა ახსნილი მეცნიერული სიღრმით.

ამ მხრივ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში. სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვეპოვება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლების ამსახველი მონოგრაფიული შრომები. მართალია, ამიერკავკასიის ცალკეული რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ამ პერიოდის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების შესახებ საკმაოდ არის დაწერილი (მათზე ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი), მაგრამ ეს შრომები არ სცილდებიან რა რესპუბლიკათა ფარგლებს, სრულებითაც ვერ ასახავენ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების იმ საერთო პროცესებს, რომლებიც იმ დროის ამიერკავკასიისათვის იყო დამახასიათებელი. ამიერკავკასია — ერთიანი სამეურნეო და პოლიტიკური ერთეული — ამ შრომებში დანაწევრებულია, რევოლუციის ცალკეული ეტაპები განხილულია იზოლირებულად და ახსნილი არ არის რა მხარის საერთო სპეციფიკა, მასების

რევოლუციური ბრძოლის პერიოდები ცალკეულ რესპუბლიკებში განხილულია ობიექტური მიზეზების გაუთვალისწინებლად, და რიგ შემთხვევებში დაშვებულია კიდეც სუბიექტურ-იდეალისტური ხასიათის შეცდომები.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა იმ დამახინჯებათა შესახებ, რომლებიც ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის გაშუქებაში იყო დაშვებული. როგორც ცნობილია, უკანასკნელ დრომდე ხმარებაში იყო და უდაო ეტალონებსაც კი წარმოადგენდა წიგნები ამიერკავკასიის და ბაქოს ორგანიზაციების შესახებ, წიგნები, სადაც დამახინჯებული იყო ფაქტები, ზოგი ადამიანი თვითნებურად იყო განდიდებული, სხვებს კი სულაც არ იხსენიებდნენ, მეორეხარისხოვანი მოვლენები აჰყავდათ დაუმსახურებელ სიმაღლეზე, ხოლო სხვა, უფრო დიდმნიშვნელოვან მოვლენებს აკნინებდნენ. აქ დამდაბლებული იყო ბოლშევიკური პარტიის რევოლუციამდელი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. ეს მდგომარეობა ხელს უწყობდა მოვლენების ახსნაში სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებათა გამოვლინებას და, ამრიგად, ამუხრუჭებდა მეცნიერული კვლევაძიების საქმეს, მიჰყავდა იგი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიისათვის უცხო, შეუფერებელი გზით.

ამიერკავკასიის ისტორიკოს მკვლევართა წინაშე დგას დიდი ამოცანა: უახლოეს დროში გამოააშკარავონ და დასძლიონ ეს შეცდომები, ახლად ჩაიხედონ ჩვენი ქვეყნის მდიდარ არქივსაცავებში, აღადგინონ ამიერკავკასიის მღელვარე რევოლუციური ცხოვრების ერთიანი და შეურყვნელი სურათი.

ამ დიდი სამუშაოს შესრულება მთელი სიცხადით წარმოაჩენს ამიერკავკასიის მშრომელების მიერ განვლილ ჭეშმარიტად ძნელ, მაგრამ გმირულ საბრძოლო გზას, ნათელს მოფენს სიძნელეებით აღსავსე დაუცხრომელ ბრძოლას ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისა, რომელთაც, მართალია, შეცდომებიც ჰქონდათ და უკანდახევაც, მაგრამ უნარი აღმოაჩნდათ სოციალისტური რევოლუცია გამარჯვებით დაეგვირგვინებინათ.

წინამდებარე მონოგრაფია მიზნად ისახავს შეიტანოს მცირედი წვლილი ისტორიკოსთა ამ დიდ კოლექტიურ საქმეში.

რატომ მოვკიდეთ ხელი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდის შესწავლას ამიერკავკასიის მასშტაბით?

1936 წლის შემდეგ, როცა ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები

უშუალოდ გაერთიანდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ეს რესპუბლიკები, ისე როგორც ერთიანი საბჭოთა ძმური ოჯახის სხვა წევრები, მჭიდრო ურთიერთდახმარების ვითარებაში აშენებენ კომუნიზმს. თვითეულ რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფო სუვერენიტეტი, თავისი სპეციფიკური ცხოვრება და ისტორია. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რატომ ჩვენი ისტორიული ნარკვევი შემოვფარგლეთ ამიერკავკასიით, რომელიც დღეისათვის არ წარმოადგენს ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს და მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა, რატომ არ ვსწავლობთ ცალკე აზერბაიჯანის ან სომხეთის, ან საქართველოს ისტორიას, ხომ არ ჩანს აქ ხელოვნურობა?

ამიერკავკასიის ხალხების ისტორია უძველესი დროიდანვე ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადახლართული. კასპიისა და შავი ზღვების შუა მოსახლე ამიერკავკასიელ ხალხებს, რომელთაც ჩრდილოელი მეზობლებისაგან ყინულოვანი კავკასიონი თიშავდა, მთელი მათი არსებობის მანძილზე უხდებოდათ დაეცვათ სამშობლო მიწა-წყალი სამხრეთ-აღმოსავლეთის ღია საზღვრებიდან შემოჭრილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო ძალით და მჭიდრო თანამშრომლობით წარემართათ თავიანთი ცხოვრება. მათი ბედი იმთავითვე საერთო იყო. ამასთანავე, ამიერკავკასია ძველთაგანვე წარმოადგენდა ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულს, რომლის ხალხებს არც კი ჰქონდათ ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები. ისინი დაქუცმაცებულად, ერთმანეთში შერეულად ცხოვრობდნენ არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც. XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა დაჰკარგა, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხები გათავისუფლდნენ ირან-თურქეთის უღლისაგან და ყველანი ერთად რუსეთის მფლობელობაში აღმოჩნდნენ, ამიერკავკასიის ხალხთა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული დაახლოება კიდევ უფრო გაძლიერდა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და მემამულურ-კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთო ინტერესებმა ამიერკავკასიის მშრომელი კლასების ნამდვილი დაძმობილება გამოიწვია. ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ აღმართულ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დარაზმულმა ამიერკავკასიის პროლეტარიატმა 1905—1907 წლების რევოლუციაში პირველი გაერთიანებული იერიშები მიიტანა ცარიზმის ბურჯებზე. 1917 წელს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როგორც ცნობილია, ხელისუფლების ორგანოები ამიერკავკასიაში საერთო იყო მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერისათვის. ასეთები იყვნენ ამიერ-

კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოები, კავკასიის ფრონტის შტაბი. ამიერკავკასიის პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის ბრძოლაში სათავეში ედგა კომუნისტური ორგანიზაციების ერთიანი საოლქო ცენტრი რსდმპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის სახით. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს მოსწყვიტეს, აქ შექმნეს სამხარეო ხელისუფლება კომისარიატის, სეიმის, ფედერატიული რესპუბლიკის სახით. მხოლოდ მაისში, როცა ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა და მასში შემავალმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა ამიერკავკასია სამ ბურჟუაზიულ ერთეულად გათიშეს, დაირღვა ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა, თუმცა ამიერკავკასიის მშრომელი მასების მისწრაფება და ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საერთო, განუყოფელი დარჩა.

ამ პერიოდის მკვლევარისათვის შეუძლებელია ერთი რომელიმე რესპუბლიკის ჩარჩოთი შემოზღუდვა. მან, პირველ რიგში, სამხარეო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა უნდა შეისწავლოს. რთული და სწრაფცვალებადი პოლიტიკური მოვლენების, კლასობრივ ძალთა თანაფარდობის, ობიექტური პროცესებისა და, აქედან გამომდინარე, ბოლშევიკური ორგანიზაციების ტაქტიკური ეტაპების მეცნიერული ახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მკვლევარის წინაშე გადაშლილია სურათი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით განუყოფელი ამიერკავკასიისა.

1918 წლის ივნისამდე, ვიდრე ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ დასავლეთის იმპერიალისტთა დახმარებით საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მარიონეტული მთავრობანი არ შეიქმნა, რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ფრონტები საერთო ამიერკავკასიული იყო. პოლიტიკას ერთიანი ამიერკავკასიული ორგანოები ქმნიდნენ და რადგან ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩო 1917 წლის თებერვლითა და 1918 წლის ივნის-ივლისით შემოიფარგლება, მიზანშეწონილად ვცანით ამიერკავკასია მის მთლიანობაში შეგვესწავლა.

მოკლედ ჩვენს მიერ არჩეული მონაკვეთის შესახებ.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლების მეცნიერული პერიოდიზაცია ჯერ კიდევ საბოლოოდ დადგენილი არ არის. ჩვენ არ ვკისრულობთ ამ სამუშაოს, რადგან იგი მეტად რთულ და ისტორიკოსთა

კოლექტივის საერთო საქმედ მიგვაჩნია. ერთი რამ ცხადია: მარქსისტი ისტორიკოსისათვის სამოქალაქო ისტორიის პერიოდიზაციის საფუძველია წარმოების წესის განვითარების დასრულებული ეტაპი. რუსეთში, როგორც ცნობილია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა. მაგრამ ასე არ მომხდარა ამიერკავკასიაში: ამიერკავკასიაში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კიდევ სამ წელს გრძელდებოდა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის, კიდევ სამი წელი ბატონობდა წარმოების კაპიტალისტური წესი და მხოლოდ 1920 წელს აზერბაიჯანში, ხოლო 1921 წლიდან სომხეთსა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხების ისტორიაში წყალგამყოფ პერიოდს, კაპიტალისტური და სოციალისტური ეპოქების მიჯნას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თარიღი წარმოადგენს.

მაგრამ ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პერიოდი საბჭოთა რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან განუყოფელ ურთიერთობაში იმყოფება. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის და მისი გამარჯვება 1917 წლის ოქტომბერში, საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა სამოქალაქო ომში თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ, არა თუ უშუალოდ უკავშირდებიან პოლიტიკურ მოვლენებს ამიერკავკასიაში, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მას და განაპირობებენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სტრატეგიული გეგმის ცალკეულ ეტაპებს.

ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლა თავის მხრივ, ჩვენი აზრით, ორ ძირითად პერიოდად განიყოფება: პირველი — 1917 წლის აპრილიდან ბაქოს კომუნის დაცემამდე, მეორე — ბაქოს კომუნის დაცემიდან ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამიერკავკასიაში.

ბაქოს კომუნის დაცემა ამიერკავკასიის მშრომელი მასების სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში მიჯნად მიგვაჩნია იმიტომ, რომ ბაქოს კომუნის დაცემის შემდეგ ამიერკავკასიაში დამყარდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების დიქტატურა. გათიშეს რა ერთიანი ამიერკავკასია, დაშნაკებმა სომხეთში, მენშევიკებმა საქართველოში, მუსავატელებმა აზერბაიჯანში შექმნეს „დამოუკიდებელი“ ბურჟუაზიული მთავრობანი, რომლებიც ბატონობას ჯერ თურქი და გერმანელი, შემდეგ ინგლის-ამერიკელი ინტერვენტების ხიშტების დახმარებით ინარჩუნებდნენ. ბაქოს პროლეტარი-

ატის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის მშრომელი მასების პირველი იერიშები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის წარუმატებლად დამთავრდა. ბოლშევიკური ორგანიზაციები ნაწილობრივ განადგურდნენ, გადარჩენილნი არალეგალურ მუშაობაზე გადავიდნენ. კონტრრევოლუცია ზეიმობდა თავის გამარჯვებას. ბურჟუაზიულმა მესვეურებმა ამიერკავკასია მოჰგლიჯეს საბჭოთა რუსეთს და დასავლეთის იმპერიალისტების კარნახით იგი სოციალისტურ სახელმწიფოზე შეტევის მოხერხებულ პლაცდარმად გადააქციეს. ამიერკავკასიაში დამკვიდრდა ინგლისის იმპერიალიზმი. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის მშრომელი მასების წინაშე დაისახა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, რაც გადახლართული იყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ამოცანასთან. რადგან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა რუსეთთან ერთიანობის აღდგენას შეეძლო აღეკვეთა ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის თარეში.

ბაქოს კომუნის დაცემა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის მეორე პერიოდი ამიერკავკასიაში, ამავე დროს, ემთხვევა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ხანმოკლე შესვენების დამთავრებას და სამოქალაქო ომის დაწყების ხანას. სამოქალაქო ომში პროლეტარიატის გამარჯვებაზე დამოკიდებული იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება არა მარტო საბჭოთა რუსეთში, არამედ სოციალისტური რევოლუციის შემდგომი ბედი რუსეთის განაპირა მხარეებში და კერძოდ ამიერკავკასიაში. სამოქალაქო ომში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება მოასწავებდა არა მარტო შინაგანი თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის დათრგუნვას, რომელიც ამავე დროს ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობებს ასაზრდოებდა, არამედ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებული ჩარევის აღკვეთას, მათს განდევნას არა მარტო შიდა რუსეთიდან, არამედ მისი განაპირა მხარეებიდანაც.

თუ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პირველ პერიოდში ამიერკავკასიის მშრომელი მასებისადმი საბჭოთა ხელისუფლების დახმარება, იმის გამო, რომ საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვითარება მეტად მძიმე იყო, ჭმედითი ვერ აღმოჩნდა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას ამიერკავკასიაში წარმატება არ მოჰყოლია, სამაგიეროდ, მეორე პერიოდში, საბჭოთა რესპუბლიკამ იმპერიალისტი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელი კონტრრევოლუციონერების დამარცხებით, ამავე დროს, წითელი არმიის ნაწილების მოშველიებით, გადამწყვეტი დახმარება გაუწია

ამიერკავკასიის მშრომელ მასებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

პირველი პერიოდი, რომელიც ჩვენ კვლევის საგნად ავირჩიეთ, უაღრესად რთული პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდება. სოციალისტური რევოლუციისათვის პოლიტიკური არმიის ფორმირების პროცესი აქ გაცილებით უფრო მტკივნეული და ხანგრძლივია, ვიდრე რუსეთის სამრეწველო ცენტრებში.

მხარის საერთო ჩამორჩენილობა, მისი წვრილბურჟუაზიულ-აგრარული ხასიათი, განაპირა მდგომარეობა, ეროვნული სიჭრელე, კლასობრივი ბრძოლის დაუხვეწელობა, რევოლუციურ მოძრაობას ამიერკავკასიაში თავისებურ დაღს ასვამს და სოციალისტური რევოლუციის დაგვიანების გამაპირობებელი ხდება. მოვლენების განვითარებას ამიერკავკასიაში თავისებურ დაღს ასვამს, აგრეთვე, გარეგანი ძალა—თურქეთი და იმპერიალისტური დასავლეთი,—რომელიც სარგებლობს რა ამიერკავკასიის განაპირა მდგომარეობით, აქ თავის ჭსელს ხლართავს და შინაგანი კონტრრევოლუციის ბრძოლისუნარიანობის მასაზრდოებელი ხდება.

სამწუხაროდ, რევოლუციისა და კონტრრევოლუციის მასაზრდოებელი ფესვების გარკვევას აქამდე სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა. მკვლევარები ამიერკავკასიის მოვლენებს შაბლონურად უყენებდნენ რა რუსეთის სამრეწველო რაიონებისაგან აღებულ თარგს, შინაგან თავისებურებათა გაუთვალისწინებლად, სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის ფორმირებას ოქტომბრისათვის დასრულებულად თვლიდნენ. ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის დაგვიანებას არა ობიექტური პროცესების თავისებურებით, არამედ ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა „ოპორტუნიზმით“ ხსნიდნენ.

ჩვენ შევეცადეთ, პირველ რიგში, გაგვერკვია მოვლენათა განვითარების ობიექტური მხარე. დასაწყისშივე, ვიხილავთ რა ამიერკავკასიის ეკონომიკას პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ომმა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა, გამოიწვია საწარმოო ძალთა რღვევა, ჩაჰკლა მრეწველობის ისედაც სუსტი კერები, მოშალა ტრანსპორტი და ფინანსები, სოფლის მეურნეობა დეგრადაციის გზაზე დააყენა, უაღრესად გააღრმავა სამეურნეო კრიზისი, უკიდურესობამდე გაამწვავა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. ომის პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა ამიერკავკასიის მშრომელი მასების სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა,

რასაც თავის მხრივ მოჰყვა მუშათა კლასისა და გლეხობის უკმაყოფილების ზრდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა.

ყოველივე ამის გამო, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ამიერკავკასიაში მოულოდნელი არ ყოფილა და იგი სავსებით შეეფერებოდა დემოკრატიული მასების სულისკვეთებას, მათი პოლიტიკური სიმწიფის დონეს. მიუხედავად ამისა, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ამიერკავკასიაში ბარიკადებზე არ შობილა. ამან თავისი დაღი დაასვა თებერვლის შემდგომ მოვლენათა მსვლელობას. ხელისუფლების სათავეში სწრაფად მოექცნენ ის პარტიები, რომელთაც ცარიზმის რეპრესიები არ განუცდიათ. წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ, რომელიც აქ გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სამრეწველო ცენტრებში, ზედაპირზე წამოატივტივა მენშევიკები და ესერები, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებში ბურჟუაზიის გვერდით თავს მშვენივრად გრძნობდნენ, რევოლუციის მონაპოვარი საკმარისად მიაჩნდათ და უფრო შორს წასვლას არ აპირებდნენ.

ცარიზმის დამხობამ პოლიციურ-დესპოტიურ არტახებში შებოჭილი რუსეთის იმპერია უეცრად დააყენა ისეთი დემოკრატიული თავისუფლების წინაშე, რომელიც არცერთ მანამდელ ევროპულ სახელმწიფოს არ ჰქონია. ეს უეცარი გარდატეხა გამაბრუებელი გახდა. თავისუფლების ამ პარადულ ხმაურში მასებს გაუჭირდათ ამოცნობა ბურჟუაზიის ზრახვებისა, რომელიც დეკლარაციებში რუსეთის ხალხს სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტას აღუთქვამდა, ფარულად კი დიქტატურისკენ გზას მიიკვლევდა. მენშევიკ-ესერული პარტიები ბურჟუაზიასთან კოალიციაში აღმოჩნდნენ და ბრჭყვიალა პროექტებითა და მოთაფლული სიტყვებით მასების რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებას მიმართეს. ყოველივე ამას რუსეთის განაპირა მხარეებში, კერძოდ ამიერკავკასიაში, თან ერთვოდა ეროვნული საკითხი, რომელიც ცარიზმის დამხობის შემდეგ ბურჟუაზიამ გადაწყვეტილად აღიარა და თავად იკისრა ნაციონალურ დაწესებულებათა ორგანიზატორისა და წარმმართველის როლი.

ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში, ამ პერიოდის ამიერკავკასიის მოვლენებს რომ შეეხება, შეხვდებით იმის მტკიცებას, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა ძალაუფლებას ბურჟუაზია დაეპატრონა, მშრომელი მასებისათვის ცხადი შეიქმნა რევოლუციის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა და ისინი ერთსულოვნად დაირაზმნენ ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ. ეს ფაქტების შელამაზებაა და ამ დროის მეტად მტკივნეული და

რთული პროცესების გაუბრალოებული წარმოდგენის შედეგია. წვრილბურჟუაზიული მასის შეგნებაში გარდატეხა როდი იყო ადვილი, ან ბოლშევიკურ პარტიას როდი უხდებოდა ფართო და გაწვალდული შარაგზით წინსვლა. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ილუზიებიდან მასების გათავისუფლება გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში უნდა მომხდარიყო. ეს პროცესი უფრო ხანგრძლივი იყო ამიერკავკასიაში. წვრილბურჟუაზიულ პარტიებს — მენშევიკებსა და ესერებს თებერვლის რევოლუციის შემდეგ აქ დიდი გავლენა ჰქონდათ. მათ ინტელიგენციის მძლავრი კადრები ჰყავდათ. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გავლენა დიდი იყო სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობაში. მასები მათ ჯერ კიდევ ნდობით უყურებდნენ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, ცარიზმის მკაცრ რეპრესიულ ღონისძიებათა შედეგად თითქმის განადგურებულნი, თებერვლის რევოლუციის შემდეგ იწყებენ ძალების მოკრებას. რევოლუციის პირველ თვეებში პერიფერიული პარტიული ორგანიზაციებისათვის ადვილი როდი იყო რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ერთბაშად გარკვევა და სწორი გზის დასახვა. ხომ ცნობილია, რომ ისეთ მსხვილ ბოლშევიკურ ხელმძღვანელ ორგანოებში, როგორიც იყო პეტროგრადისა და მოსკოვის ბოლშევიკური კომიტეტები, ვ. ი. ლენინის რუსეთში ჩამოსვლამდე რევოლუციის პერსპექტივებზე საკმაოდ ერთგვარი და მტკიცედ გარკვეული წარმოდგენა არ ყოფილა. რუსეთის მთელი რიგი მსხვილი ქალაქებისა და ოლქების პარტიული ორგანიზაციები დროებით მენშევიკებთან ორგანიზაციულ ერთიანობაშიც კი აღმოჩნდნენ. მენშევიკებთან ორგანიზაციულ გაერთიანებას ამიერკავკასიაშიც ჰქონდა ადგილი. ჩვენ შრომაში დაწვრილებით გვაქვს განხილული ის მიზეზები, რამაც მენშევიკებთან დროებითი ორგანიზაციული გაერთიანება განაპირობა.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისების სახით რუსეთის ბოლშევიკებს მისცა სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ამომწურავი პროგრამა. ამ პროგრამაში ლენინმა, რუსეთის კონკრეტული ვითარების ბრწყინვალე ანალიზის საფუძველზე, წამოაყენა მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების მშვიდობიანი აღების ლოზუნგი. ამ ისტორიული ამოცანის განხორციელება რუსეთში შესაძლებელი ხდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების საშუალებით, საბჭოებისა, რომლებიც თებერვლის რევოლუციის დღეებში ხალხის წიაღიდან აღმოცენდნენ და მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლუციურ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ. საბჭოები ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ, მათში ჯერ კიდევ წვრილბურჟუაზიული შე-

ხედულებანი ბატონობდნენ, მაგრამ მათ, როგორც ხალხის ხელისუფლების ორგანოებს, უდიდესი მორალური ძალა გააჩნდათ და მომავალი ეკუთვნოდათ. ბურჟუაზიული მთავრობის იმპერიალისტურ ზრახვათა მხილებას, მისდამი მხარდაჭერის პოლიტიკის დამღუპველობის გამომჟღავნებას, მასებში სოციალისტური რევოლუციის იდეების სისტემატურ პროპაგანდას, საბჭოებში თანდათანობით უმრავლესობის მოპოვებას, შეეძლო პროლეტარიატი რუსეთში უსისხლოდ, მშვიდობიანი გზით გაეხადა ძალაუფლების სრული ბატონ-პატრონი და მოეხდინა ბურჟუაზიის ფარული ზრახვათა ლიკვიდაცია.

ვ. ი. ლენინის მიერ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზის არჩევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბოლშევიკური პარტია საბჭოებში შემთანხმებლური პარტიების პოლიტიკის დაუნდობელი მხილებითა და სოციალისტური რევოლუციის პროგრამის პროპაგანდის შედეგად თანდათან აღწევდა ხელისუფლების დაპყრობას. მართალია, დროებითი მთავრობის მიერ ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ პარტია იძულებული შეიქმნა შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკაზე გადასულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოების ყრილობაზე და რუსეთის ოლქებისა და ქალაქების მრავალ საბჭოში ბოლშევიკებს უმრავლესობა უკვე მოპოვებული ჰქონდათ, ოქტომბრის რევოლუცია ფაქტიურად, თითქმის მშვიდობიანად, უსისხლოდ იქნა განხორციელებული.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ბოლშევიკური პარტია ყოველმხრივ ცდილობდა უზრუნველეყო მშვიდობა რუსეთში. პარტია უშვებდა სამეურნეო დარგებში რუსეთისა და უცხოეთის იმ კაპიტალისტებთან თანამშრომლობასაც კი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების კონტროლქვეშ მუშაობაზე უარს არ იტყოდნენ, საბჭოთა ხელისუფლება ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანამშრომლობის თანმიმდევრული პროპაგანდისტი იყო. მაგრამ თუ. მიუხედავად ამისა, რუსეთში დაიწყო სამოქალაქო ომი, ცხადია, მისი ორგანიზატორები და წამომწყებნი უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები იყვნენ. ეს სისხლიანი ომი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ არა საბჭოთა სახელმწიფოს ნებით, არამედ მისი ნების გარეშე, მის წინააღმდეგ იქნა გაჩაღებული კონტრრევოლუციური ბანაკის მიერ.

მეტად თავისებური იყო ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება. მასები წვრილბურჟუაზიული ილუზიებიდან განთავისუფლებული არ ყოფილან. მენშევიკების გავლენა საქართველოში, თუმცა შერყეული, მაგრამ ჯერ კიდევ

ააკმაოდ ძლიერი იყო. სომხეთისა და აზერბაიჯანის გლეხობის დიდი ნაწილი ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პარტიების გავლენას ისევ განიცდიდნენ, ამიერკავკასიის საბჭოების სამხარეო ორგანოებში და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ადგილობრივ საბჭოებში (თბილისი, ქუთაისი, ელიზავეტოპოლი, ერევანი, ალექსანდროპოლი და სხვ.) უმრავლესობას წვრილბურჟუაზიული პარტიები შეადგენდნენ. მართალია, მუშათა გაფიცვები და გლეხობის მიერ მემამულეთა მიწების თვითნებური დატაცება და აგრარული კონფლიქტები თანდათან იზრდებოდნენ, მაგრამ ისინი ეკონომიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და გაფიცვის ან აგრარული კონფლიქტის მონაწილე ადამიანების დიდი ნაწილი პოლიტიკაში ისევ ესერების, მენშევიკების, დაშნაკების ან მუსავატელების ერთგულნი რჩებოდნენ, რადგან მათი მოთაფლული სიტყვებისა ჯერ კიდევ სჯეროდათ. მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატი მოჩანდა როგორც შედარებით ორგანიზებული ერთეული, რომელმაც მშვიდობიანი გზით, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე აღიარა საბჭოთა ხელისუფლება და ბაქოში მისი თანდათანობით განმტკიცებისათვის ბრძოლას შეუდგა. მაგრამ სრული ერთსულოვნება არც ბაქოს მუშათა შორის არსებულა. საკმაო ნაწილი პოლიტიკაში ჯერ კიდევ დაშნაკურ და მუსავატურ პარტიებს აძლევდა ხმას.

შეეძლო თუ არა ასეთ ვითარებაში ბოლშევიკების საოლქო კომიტეტს ამიერკავკასიაში აეღო ადგილობრივი კონტრრევოლუციური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების კურსი, როცა ამ ხელისუფლებას უკეთესი კლასობრივი ორგანიზაცია ჰქონდა და როცა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმია, მიუხედავად იმისა, რომ რიცხობრივად იზრდებოდა და თვისობრივად იწმინდებოდა, ჯერ კიდევ სავსებით მომწიფებული არ ყოფილა? ან საჭირო იყო თუ არა იარაღის ხელში აღება, როცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მშვიდობიანად, ტრიუმფალური მარშით მიიწევდა რუსეთის პერიფერიებისაკენ? მიზანშეწონილი იქნებოდა თუ არა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ კომიტეტს ხელისუფლების ხელში აღებისათვის გამოეყენებინა კავკასიიდან შინმიმავალი არმია, სადაც ყველაზე ძლიერი იყო ბოლშევიკური გავლენა, და რომლის გამოჩენას თბილისში შეიძლება მართლაც მოჰყოლოდა კონტრრევოლუციური კომისარიატის დამხობა. მაგრამ საკითხავია, მოახერხებდა თუ არა ადგილობრივ ელემენტებისაგან საფუძველ გაუმაგრებელი ეს ხელისუფლება გამკლავებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ეროვნული პოლკების მოძალებას, საზღვართან მდგომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯარებს, როდესაც ამიერ-

კავკასიასა და საბჭოთა რუსეთის ერთიანი ფრონტი სამხრეთის კონტრრევოლუციას გადაკვეთილი ჰქონდა?

უდავოა, რომ პირველ რიგში, გარკვეული უნდა იქნას კლასობრივ ძალთა თანაფარდობა ამიერკავკასიაში. შინაგან თავისებურებათა ყოველმხრივი ანალიზი და გათვალისწინება იმ სპეციფიკისა, რაც ამიერკავკასიას კონტრრევოლუციისა და რევოლუციის ძალთა გადამწყვეტ შეჯახებაში გააჩნდა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. სწორ პასუხს მოგვცემდა დაყენებულ კითხვებზე.

ბოლშევიკური პარტია თავის სახელოვან ბრძოლაში წარმატებას აღწევდა იმიტომ, რომ ხელმძღვანელობდა არა მზამზარეული დოგმებით, არა მზამზარეული ლოზუნგებით, არამედ თვით ცხოვრების მოთხოვნილებით, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე დასკვნებით და თავის კურსს ამ მიმართულებით ცვლიდა. ხელისუფლების დაპყრობის საშუალებათა მზა რეცეპტები არ არსებობს. ეს საშუალებანი დამოკიდებულია კლასობრივ ძალთა კონკრეტულ თანაფარდობაზე, მუშათა კლასის და მისი მოწინააღმდეგის ორგანიზების საფეხურზე, მუშათა კლასის უნარზე — ბოლომდე გაიყოლიოს სარეზერვო ძალები და პირველ რიგში გლეხობა.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ თვეებში ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციის ბანაკი უკეთ ორგანიზებული იყო. სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლ ბანაკს არ გააჩნდა ორგანიზებული ძალა ბურჟუაზიის ხელისუფლებაზე იერიშების მისატანად. იგი ამ ძალებს ჰქმნიდა და აფართოებდა, ამავე დროს ეწეოდა რა საბჭოთა ხელისუფლების დაუცხრომელ პროპაგანდას, იყენებდა ხელისუფლების დაპყრობის ყველა მშვიდობიან შესაძლებლობას მუშათა საბჭოების, გლეხთა საბჭოების, არმიის ორგანოების გადარჩევებისა თუ სამხარეო ყრილობების სახით.

ვ. ი. ლენინი, ღრმად იცნობდა რა ამიერკავკასიაში შექმნილ ვითარებას, ამ პერიოდში სრულიადაც არ მოითხოვდა ბოლშევიკებისაგან სამოქალაქო ომის ხანძრის გაღვივებას, იარაღით მოქმედებას, პირიქით, კავკასიის საგანგებო საქმეთა კომისარ ს. შაუმიანს ურჩევდა „მეტი დიპლომატია“ გამოეჩინა, მეტად ჩასწვდომოდა კონტრრევოლუციის ბანაკის შინაგან წინააღმდეგობას და გამოეყენებინა იგი საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან წარმატებაში.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციის ბანაკის ძლიერებისა და თურქეთისა და დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებთან მისი უშუალო კავშირის პირობებში, ამიერკავკასიის პროლეტარიატს, მარტო საკუთარი საშუალებებით, თუ

საბჭოთა რუსეთის მხრივ რეალური დახმარება არ ექნებოდა. არ შეეძლო ხელისუფლების მოპოვება და შენარჩუნება.

ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ეს საკითხიც უკანასკნელ დრომდე მართებულად არ ყოფილა დასმული. ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის პროლეტარიატი და გლეხობა მთლიანად საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ამოცანების სიმაღლეზე აღმოჩნდა, რომ სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადება დამთავრებული იყო და კომუნისტებს ჰყავდათ შეიარაღებული ძალა კავკასიის არმიის სახით, რომ თითქოს სავსებით ხელსაყრელი იყო ვითარება, შესაძლებელი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, ძალაუფლების შენარჩუნება. ეს თვალსაზრისი გამომუშავებულია, კვლავ ვიმეორებთ, ფაქტების შელაქაზების შედეგად. ავტორებს ან არ ჩაუხედიათ ჩვენს არქივებში, ან ცდილან განგებ დაეხუჭათ თვალი სინამდვილის წინაშე, რადგან იგი „ოფიციალურ“ თვალსაზრისს არ შეესაბამებოდა. ფაქტების ასეთი შელამაზება არა თუ დიდებასა და სახელს მატებს კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, არამედ ჩრდილში აყენებს და აბიაბრუებს მათ რთულ, დაბრკოლებით აღსავსე ჰეშმარიტად გმირულ საქმეებსა და მოღვაწეობას. თუ ყველაფერი ეს სახეზე იყო, რატომ არ გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ ამიერკავკასიაში? ნუთუ იმიტომ, რომ თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობაში მოკალათებული იყვნენ ოპორტუნისტები, რომელთაც არ სურდათ რევოლუციის გამარჯვება? ეს ბრალდება დაკისრებული აქვთ სულ 3-4 პიროვნებას, რომელთაც, თურმე, იმდენი ძალა და უნარი აღმოაჩნდათ, რომ მოვლენათა ობიექტურ მსვლელობას წინ აღსდგომოდნენ და მასების რევოლუციური აქტიობა ჩაეკრთო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ხელოვნურად შექმნილი ამ ბრალდებების უკან იმალება მთელი პროცესის სუბიექტურ-იდეალისტური ახსნა, რასაც მარქსიზმ-ლენინიზმთან, ისტორიულ მატერიალიზმთან საერთო არა აქვს რა.

მოვლენათა ობიექტურმა მსვლელობამ კონტრრევოლუციურ კომისარიატს და სეიმს, რომლებიც სოციალიზმის სამოსელით იყვნენ შენიღბულნი, მალე რიდე ჩამოჰხადა. მშრომელი მასები პრაქტიკულად რწმუნდებოდნენ, რომ კომისარიატს და სეიმს არ შეეძლოთ არცერთი იმ ღონისძიების გატარება, რაც ხალხის სასიცოცხლო და გადაუდებელ ინტერესებს უპასუხებდა. კომისარიატის აგრარული კანონი ქაღალდზე დარჩა. ამავე დროს კონტრრევოლუციამ თვითონ წამოიწყო ომი იმით, რომ მუსავატური ამბოხება მო-

აწყო ბაქოში, დახვრიტა ფრონტიდან შინმომავალი ჯარისკაცები შამქორში და მუშათა მშვიდობიანი მიტინგი თბილისში. ნაციონალური საბჭოების დამღუპველ პოლიტიკას სომხეთსა და აზერბაიჯანში თათარ-სომეხთა გაუთავებელი შუღლი და ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა, სამეურნეო კრიზისი გაღრმავდა და კატასტროფული სახე მიიღო, სეიმის დამღუპველმა სეპარატიზმმა კარები გაუხსნა თურქულ-გერმანულ აგრესიას. ასეთ ვითარებაში ცხადია, გაიზარდა მასების რევოლუციური აქტიობა. თითქმის ერთდროულად აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის სოფლებში იფეთქა აგრარულმა რევოლუციამ. ამ ვითარებაში ბოლშევიკური პარტიის წინაშე მართლაც დაისახა უკვე მომწიფებული რევოლუციური სიტუაციის გამოყენების ამოცანა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში ბაქოს პროლეტარიატი დადგა, რომლის არმიამ მაისში უკვე დაიწყო ძლევამოსილი შეტევა იარაღით ამიერკავკასიაში ხელისუფლების მოპოვებისათვის. 1918 წლის თებერვალ-მარტი ჩვენ მიგვაჩნია იმ გადამტეხ ხანად, როცა ამიერკავკასიაში დღის წესრიგში დადგა კონტრრევოლუციურ ბანაკთან იარაღით ბრძოლა. ამ შემთხვევაშიც გამომწვევი როლი ისევ კონტრრევოლუციას ეკუთვნოდა და საბჭოთა ხელისუფლების ციტადელის ბაქოს შენარჩუნებისა და საერთოდ სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის შემდგომი ბედი უკვე იარაღს უნდა გადაეწყვიტა.

მაგრამ კონტრრევოლუციამ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლის დასათრგუნავად გერმანიისა და თურქეთის ჯარები მოიშველია. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების დახმარება არ აღმოჩნდა საკმარ, რადგან საბჭოთა რეხპუბლიკის წინაშე სწორედ ამ დროს აღმართეს მახვილი თეთრგვარდიელებმა და დასავლეთის იმპერიალისტებმა. დაეცა საბჭოთა ხელისუფლების პირველი ციხე-სიმაგრე ბაქო და სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის რკალში მომწყვდეულ ამიერკავკასიაში, მანამ ვიდრე საბჭოთა არმიამ ბოლო არ მოუღო ინტერვენტთა და თეთრგკარდიელთა კომბინირებულ შემოტევებს, ამიერკავკასიის მშრომელი მასების განთავისუფლება შეუძლებელი გახდა.

ასეთია ზოგადად ჩვენი შეხედულება ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ამ პატარა, მაგრამ მოვლენებით უაღრესად მდიდარ და უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე. ეს თვალსაზრისი ეწინააღმდეგება ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ამ ორი ათეული წლის მანძილზე გაბატონებულ ზოგ დებულებას მაგრამ ბევრ რამეში ემთხვევა იმ თვალსაზრისს, რომელიც ჩვენს ისტორი-

ულ-პარტიულ ლიტერატურაში აღიარებული იყო მანამ, ვიდრე პიროვნების კულტის ვითარებაში გზას არ გაიკვლევდა დოგმატიზმი. ავტორი აქ აკრიტიკებს რა ისტორიკოსთა შორის აქამდე გაბატონებულ თვალსაზრისს, აკრიტიკებს საკუთარ შეხედულებებსაც, რომლებიც მის ადრინდელ მონოგრაფიასა და სხვა თეორიულ სტატიებში იყო გამოთქმული.

* *

სოციალისტური რევოლუციის თეორიის ყოველმხრივი დამუშავება კაცობრიობის წინაშე ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა. ვ. ი. ლენინი იმთავითვე მიუთითებდა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება სრულიადაც არ წარმოადგენს პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის დასასრულს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ეს სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის პირველი ეტაპია და პროლეტარიატმა ღარიბ გლეხებთან ერთად, ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში გამარჯვებისთანავე, უნდა იბრძოლოს რევოლუციის გაღრმავებისათვის, მის სოციალისტურად გადაზრდისათვის და, ამგვარად, ბოლომდე მიიყვანოს ექსპლოატატორული სახელმწიფოს მსხვრევისა და მასების განთავისუფლების ისტორიული საქმე.

„დემოკრატიული რევოლუციიდან,—წერდა ვ. ი. ლენინი 1905 წელს,— ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენის ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერების დაკვალად, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით“[1].

იმპერიალისტურ ეპოქაში რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა შესაძლებლობის ზუსტი ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ეს მეცნიერული თეორია, რომელიც მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა, ბოლშევიკური პარტიის იდეურ შუქურად იქცა რუსეთის ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ლენინმა უკვე 1905 წელს ჩაუყარა საფუძველი კომუნისტური პარტიის იმ რევოლუციურ ტაქტიკას, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა ბრწყინვალედ გამოიყენა 1917 წელს.

სოციალისტური რევოლუციის ახალ, დამთავრებულ თეორიას, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 286.

პირობების, პერსპექტივების თეორიას წარმოადგენდა ვ. ი. ლენინის გენიალური შრომა „კაპიტალიზმი, როგორც იმპერიალიზმის უმაღლესი სტადია“, რომელიც 1916 წლის გაზაფხულზე დაიწერა. ამ შრომაში ვ. ი. ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის ღრმა ანალიზი, გახსნა და გამოააშკარავა რა მისი შეურიგებელი წინააღმდეგობანი და წყლულები, გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმი კაპიტალიზმის ლპობის, ხრწნის, კვდომის სტადიაა, რომელსაც ხალხებისათვის აუტანელი ტანჯვა და წამება მოაქვს, რომ იგი, ამავე დროს, არის სოციალისტური რევოლუციის წინა დღე. კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონის აღმოჩენამ ვ. ი. ლენინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საესებით შესაძლებელია მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვის გარღვევა მის ყველაზე სუსტ რგოლში, და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე, ან ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

სოციალისტური რევოლუციის ამ ახალმა თეორიამ, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურის ფასდაუდებელი საუნჯეა, რუსეთის პროლეტარიატის წინაშე გადაშალა ნათელი პერსპექტივა, გამარჯვების გარდუვალი რწმენით აღჭურვა იგი და უდიდესი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების პერიოდში ვ. ი. ლენინი ემიგრაციაში იმყოფებოდა, მაგრამ რუსეთიდან სიშორის მიუხედავად, იგი ყველაზე უკეთ სწვდებოდა მოვლენების სიღრმეს, ყველაზე უკეთ ხედავდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ ბუნებას და ხალხის წიაღიდან აღმოცენებული რევოლუციური ხელისუფლების — საბჭოების მნიშვნელობას. რევოლუციის პირველ თვეს, ვიდრე ვ. ი. ლენინი პეტროგრადში ჩამოვიდოდა, კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეებს როდი ჰქონდათ სავსებით ნათელი წარმოდგენა რევოლუციის პერსპექტივებზე.

განუზომელია ვ. ი. ლენინის დამსახურება, რომელმაც რუსეთში დაბრუნებისთანავე პარტია სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ნათელი პროგრამით შეაიარაღა. აპრილის თეზისების ნათელმა დებულებებმა გაფანტეს დაბნეულობა პარტიის რიგებში. პარტია დაირაზმა ლენინის პლატფორმის გარშემო და შეუპოვარ ბრძოლაში, ლენინის წინამძღოლობით რუსეთის პროლეტარიატი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ვ. ი. ლენინის ამ პერიოდში დაწერილი შრომები — „პროლეტა-

რიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში“, „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას“, „მოსალოდნელი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას“, „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომლებშიც გარკვეულია თებერვლის შემდგომი ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება რუსეთში, პროლეტარიატის სტრატეგია და ტაქტიკა კაპიტალისტური წყობილების დამხობისათვის ბრძოლაში, სოციალისტური რევოლუციის განხორციელების აუცილებლობა და მისი გამარჯვების შესაძლებლობანი—წარმოადგენენ ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროებს. ვ. ი. ლენინის ამ პერიოდის სიტყვები, სტატიები, პროექტები, რეზოლუციები, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი და ცალკე პირებისადმი მიმართული წერილები მთელი სისრულით წარმოგვიდგენენ იმ გრანდიოზულ ხელმძღვანელ მუშაობას, რომელსაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ეწეოდა ბოლშევიკური პარტია და პირადად ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინის შრომებში უხვადაა სახელმძღვანელო დებულებები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაზრდის პერიოდში ამიერკავკასიის კონკრეტული საშინაო და საგარეო ვითარების, იმპერიალისტური ბანაკის ზრახვების, ამიერკავკასიის კომუნისტების საბრძოლო ამოცანების შესახებ. ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის განხორიელების სპეციფიკურ პირობებს, მოითხოვდა კომუნისტებისაგან ემოქმედათ კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით. „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის,—წერდა ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიელ კომუნისტებს,—რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“[1]. მსგავს რჩევას ლენინი ამიერკავკასიელ კომუნისტებს აძლევდა სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე, ამავე დროს მიუთითებდა იმ ძნელ განსაკუთრებულ პირობებზე, რომლებშიც მუშაობა უხდებოდათ ამიერკავკასიელ კომუნისტებს.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესწავლისათვის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კომუნიატური პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელების ი. ბ. სტალინის, ს. მ. კიროვის, ი. მ. სვერდლოვის, მ. ი. კალინინის და სხვ. სტატიები, სიტყვები, რომლებშიაც ე. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებათა გათვალისწინებით გაშუქებულია პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის ფალსიფიკატორების — ტროცკისა და მისი დამჭაშების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულეს ი. ბ. სტალინის ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი", „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა" და სხვ. ეს შრომები წარმოადგენენ დიდმნიშვნელოვან წვლილს ოქტომბრის რევოლუციის მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში.

ი. ბ. სტალინი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე სათავეში ედგა ეროვნებათა სახალხო კომისარიატს, სადაც სპეციალურ განყოფილებებში თავს იყრიდა რუსეთის ნაციონალური მხარეებისა და ოლქების ვითარების ამსახველი უხვი მასალა. ეს მასალები ი. ბ. სტალინს საშუალებას აძლევდა თვალყური ედევნებინა მოვლენათა განვითარების მსვლელობისათვის ამიერკავკასიაში და მოეცა სხვადასხვა კლასების, პარტიების პოლიტიკის ზუსტი დახასიათება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ბ. სტალინის სტატიები „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით", „მდგომარეობა კავკასიაში", „კავკასიაში არსებული მდგომარეობისათვის", „ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გამო", „მდგომარეობა კავკასიაში", (საუბარი გაზეთ „პრავდის" თანამშრომელთან), „გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს" და სხვა, აგრეთვე მრავალრიცხოვანი დეპეშები ლენინის, შაუმიანის, ორჯონიკიძის სახელზე.

ამიერკავკასიის ამ პერიოდის კონკრეტულ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების, კლასობრივ ძალთა განლაგების, საგარეო ურთიერთობის ანალიზისათვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თვალსაჩინო ხელმძღვანელების—ს. ორჯონიკიძის, ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, ა. მიქოიანის, მ. ორახელაშვილის, ს. ქავთარაძის, ი. ფიოლეტოვის, მ. აზიზბეკოვის და სხვ.—სიტყვები და სტატიები, რომლებიც გაბნეულია მაშინდელ ბოლშევიკურ პრესაში და რომელთაგან ნაწილი ცალკე წიგნებადაც არის გამოცემული.

ცნობილია, რომ სერგო ორჯონიკიძე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით 1918 წელს ხელმძღვანელობ-

და ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ პერიოდში მასთან უშუალო კავშირში იმყოფებოდნენ და მისი მითითებით მუშაობდნენ ამიერკავკასიის სამხარეო ბოლშევიკური კომიტეტის წევრები. 1920 წლიდან ს. ორჯონიკიძე სათავეში ედგა რკპ (ბ) კავბიუროს და წარმართავდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მთელ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ს. ორჯონიკიძე დაუცხრომლად ებრძოდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ამიერკავკასიის მშრომელი მასების საბრძოლო ენერგიას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის წარმართავდა. მის სიტყვებში, სტატიებში, მოხსენებით ბარათებში, რომელთაგან დიდი ნაწილი ცალკე წიგნად არის გამოქვეყნებული[1], მკვლევარი იპოვის მრავალ სახელმძღვანელო დებულებას, რომლებიც შუქს ფენენ ამიერკავკასიის კლასებისა და პარტიების სახეს, მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის პოლიტიკასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას ამიერკავკასიაში.

სტეფანე შაუმიანი ბოლშევიკური პარტიის უძველესი და გამოჩენილი მოღვაწეა ამიერკავკასიაში. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბაქოს ყველაზე უფრო მძლავრ პარტიულ ორგანიზაციას, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, იყო ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის წევრი, ხოლო 1917 წლის დეკემბრიდან კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარი, ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. თავის მოხსენებებსა და სტატიებში იგი დაუნდობლად ააშკარავებდა მენშევიკების, მუსავატელების, დაშნაკების კონტრრევოლუციურ სახეს, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის დამღუპველ პოლიტიკას, წარმართავდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობას ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე. იყო საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდისტი და მისი პრაქტიკული ორგანიზატორი მთელს ამიერკავკასიაში. ს. შაუმიანის სტატიებისა და სიტყვების კრებული გამოცემულია ცალკე წიგნად[2], მაგრამ იგი სრული არ არის. ამ პერიოდის ბოლშევიკურ გამოცემებში კვლავ შეიძლება მოიძებნოს ს. შაუმიანის არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი წერილი.

დაუღალავ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამ პერიოდში ანასტას მიქოიანი. იგი შედიოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში. უშუალოდ ხელმძღვანელობდა

---

[1] Г. К. Орджоникидзе, Избр. статьи и речи, ОГИЗ, 1939 г.

[2] С. Шаумян, Статьи и речи. 1929 г.

ბოლშევიკური უჯრედების ჩამოყალიბება-განმტკიცებას სომხეთში, აზერბაიჯანში, ხელმძღვანელობდა წითელი არმიის ნაწილებს თურქეთის და მუსავატური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პერიოდში მის მიერ დაწერილ სტატიებში ასახულია აგრარული რევოლუციის მძლავრი გაჭანება ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბაკინსკი რაბოჩის“ ფურცლებზე 1923 წელს გამოქვეყნებული სტატია „ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია 1917 — 18 წწ“[1], სადაც მოცემულია 1917—18 წლებში ბაქოს ორგანიზაციის რევოლუციური საქმიანობის დახასიათება და გაანალიზებულია ის საშინაო და საგარეო პირობები, რომლებშიც უხდებოდათ მუშაობა ბაქოელ კომუნისტებს.

ბაქოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე — VI პარტიული ყრილობის დელეგატი ამიერკავკასიიდან, ბაქოს პროლეტარიატის კოლხელშეკრულებისათვის ბრძოლისა და საგაფიცვო მოძრაობის უშუალო ხელმძღვანელი, ბაქოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, დაუცხრომელი პრაქტიკული მუშაკი, დიდი ორგანიზატორული ნიჭით აღჭურვილი. ა. ჯაფარიძის სიტყვები და სტატიები, რომლებიც „ბაკინსკი რაბოჩის“ და ბაქოს საბჭოს უწყებებშია გამოქვეყნებული, წარმოგვიდგენენ ბაქოს პროლეტარიატის შეუპოვარ ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ, ბაქოს კომუნისტური ორგანიზაციის დაუცხრომელ საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სასურსათო კრიზისის დაძლევისათვის, კონტრრევოლუციის განადგურებისათვის.

ამ პერიოდის მკვლევარი ბაქოსა და აზერბაიჯანის მშრომელი მასებისა და კომუნისტური ორგანიზაციების შეუპოვარ რევოლუციურ ბრძოლაზე უხვ კონკრეტულ მასალებს იპოვის აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების—ივანე ფიოლეტოვის, იაკობ ზევინის, მეშადი აზიზბეკოვის, სტოპანის, გ. სტურუას, სურენ ოსეპიანის, არსენ ამირიანის, ი. მალიგინის და სხვ.—სტატიებსა და სიტყვებში, რომლებიც ბოლშევიკურ პრესაში („ბაკინსკი რაბოჩი“, „იზვესტია ბაკ. სოვეტა რაბოჩიხ ი სოლდ. დეპუტატოვ“, „სოციალ-დემოკრატ“, „გუმეტ“) იბეჭდებოდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთ უხუცეს მოღვაწეს ფილიპე მახარაძეს. ფ. მახარაძე თებერვლის ბურჟუაზიული დემოკ-

[1] Бакинский рабочий, № 14, 1923 წ.

რატიული რევოლუციის შემდეგ მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველი ორგანიზატორი იყო თბილისში, იგი მონაწილეობდა როგორც დელეგატი ამიერკავკასიიდან VII (აპრილის) კონფერენციის მუშაობაში და სოციალისტური რევოლუციის ლენინური პროგრამის სისტემატურ პროპაგანდას ეწეოდა. გამოჩენილი პუბლიცისტი ფ. მახარაძე დაუნდობლად ააშკარავებდა მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკას, პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა თბილისის და ამიერკავკასიის ბოლშევიკური კომიტეტების საქმიანობას, იყო გაზეთ „ბრძოლას" რედაქტორი და სხვ. ფილიპე მახარაძეს მრავალი სტატია აქვს დაწერილი, როგორც სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდში, ისე შემდეგაც. ეს სტატიები და სიტყვები წარმოადგენენ ძვირფას წყაროს იმდროინდელი საქართველოს და ამიერკავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესასწავლად. ასევე ძვირფასია მისი მოგონებანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „საქართველოს მატიანესა" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ფ. მახარაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ვრცელი შრომა „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში", რომელიც 1927 წ. გამოქვეყნდა ცალკე წიგნად და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომებში გამოქვეყნებული გამოკვლევა „საქართველოს მუშათა კლასი 1917 — 1921 წლებში"[1], რუსულ ენაზე — მენშევიკური დიქტატურა საქართველოში" და სხვ.

ფ. მახარაძის ეს შრომები მკვლევარების მიერ არა თუ სათანადოდ არ არის შეფასებული, არამედ ზოგჯერ გვერდავლილია კიდეც. ნამდვილად კი, მიუხედავად იმისა, რომ ფ. მახარაძეს ჰქონდა ზოგიერთი შეცდომა, ზოგი მისი დებულება მოძველებულიც არის და დაზუსტებასაც მოითხოვს, ეს შრომები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ იმდროინდელი ვითარების მთლიანი სურათი. ამ შრომებში წარმოდგენილია ის სპეციფიკა, რაც თან ახლდა კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობას, ახსნილია კლასობრივ ძალთა თანაფარდობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, გარკვეულია ის, თუ რატომ დაიგვიანა სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ფრიად საყურადღებო მასალას 1917 წელს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ტაქტიკის შესასწავლად წარმოადგენს მამია ორახელაშვილის შრომა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქ. ფილიალის შრომები, თბილისი, 1948, გვ. 3—59.

ორგანიზაციები 1917 წელს". შრომაში განხილულია პარტიული მუშაობის მიმდინარეობა იმპერიალისტური ომის წლებში და თებერვლის რევოლუციის შემდეგ, კავკასიის პირველი საოლქო ყრილობა, ოქტომბრის დღეები ამიერკავკასიაში და კავკასიის საოლქო კომიტეტის კურსი, რევოლუციური კრიზისის მომწიფების საკითხები და მოცემულია თბილისის ნოემბრის ამბების შეფასება.

მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება ბოლშევიკური პარტიის უხუცესი წევრის, ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი პრაქტიკოსი-ხელმძღვანელის მიხა ცხაკაიას წერილებში, რომლებიც გაზ. „ბრძოლას" ფურცლებზე და რუსულ პრესაში ქვეყნდებოდა; საინტერესოა აგრეთვე მისი მოგონებები, რომლებიც მრავლადაა გაბნეული საბჭოთა გამოცემებში. ფრიად საყურადღებოა აგრეთვე გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქტორის, ცნობილი რევოლუციონერის სერგო ქავთარაძის სტატიები, სადაც პუბლიცისტური სიმახვილით გამოაშკარავებულია წვრილბურჟუაზიული პარტიების სახე საქართველოსა და ამიერკავკასიაში, მოცემულია რევოლუციის ლენინური პროგრამის პოპულარიზაცია.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტიური მასალის ამოკრება შეიძლება რევოლუციური მოძრაობის უშუალო მონაწილე ძველი ბოლშევიკების მოგონებებიდან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „რევოლუციის მატიანესა", „კრასნი არხივ"-სა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. სამწუხაროდ, მკვლევარები დღემდე რატომღაც გვერდს უვლიდნენ ამ მოგონებებს. მათში კი მშვენივრადაა გაშუქებული პარტიული მუშაობის დეტალები ამიერკავკასიის ცალკეულ მაზრებსა და გუბერნიებში, ასახულია ის მძაფრი ბრძოლა, რომელსაც ბოლშევიკები წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ეწეოდნენ. შემონახულია 1917 — 18 წლების ვითარების მაჯისცემა, ეპოქის არომატი, რაც ესოდენ საჭიროა ჭეშმარიტი სურათის აღდგენისათვის. განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს ს. თოდრიას, ს. კუხალეიშვილის, აკოფ აკოფიანის, ვანო სტურუას, თ. ჟღენტის, ა. დოლიძის, ნ. იტრიევის, ა. სუდაკოვის, ტ. მგალობლიშვილის და სხვ. მოგონებები.

მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის აგრეთვე შაფირის[1], სტავროვსკის[2], არკომედის[3] და სხვ. შრომებს, რომლებიც, მართალია, ფრიად

[1] Я. Шафир. Очерки грузинской жиронды. Гос. издательство, 1935 г.

[2] Ставровский Ал., Закавказье после октября. Взаимоотношения с Турцией в первой половине 1918 г., ГИЗ, 1925.

[3] Аркомед. Материалы по истории отпадения Закавказья от России, Тиф., 1921.

მოძველებულია და ფაქტიური მასალებით ღარიბი, მაგრამ მაინც დამხმარე საშუალებაა ზოგიერთი საკითხის გარკვევისათვის.

ორი უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე 1917—18 წლებში ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობას მიეძღვნა მრავალი წიგნი, სტატია, სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პროფ. გ. ხაჭაპურიძის ნაყოფიერი მუშაობა ამ მიმართულებით. მას ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიული შრომა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მთელ პერიოდზე (1917 — 1921 წწ.) და რამდენიმე სტატია, რომლებიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ცალკეულ საკითხებს შეეხება, წიგნში „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“ პირველ ოთხ თავში 1) საქართველო პირველი მსოფლიო-იმპერიალისტური ომის პერიოდში; 2) საქართველოს მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში; 3) საქართველოს მშრომელები ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის პერიოდში; 4) ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ 1918 წელს. გ. ვ. ხაჭაპურიძე ვრცლად განიხილავს მოვლენებს ამიერკავკასიის მასშტაბით, თავს უყრის დამახასიათებელ, საინტერესო ფაქტიურ მასალებს და ძირითადში მათ სწორ ახსნა-შეფასებას იძლევა. მაგრამ ამ შრომას და ყველა წინა გამოცემას, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, ატყვია რიგი მოვლენების გაუბრალოებული ახსნისა და ფაქტების შელამაზების დაღი. წიგნში არაა გაშუქებული სოციალისტური რევოლუციის ობიექტური წანამძღვრები საქართველოში[1]. გ. ვ. ხაჭაპურიძეს ეკუთვნის ამ პერიოდის კვლევის საქმეში გზის გაკაფვა და მისი წიგნიც, მითითებულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, რაც მის სუბიექტურ შესაძლებლობათა სიმცირეზე სრულიადაც არ მეტყველებს, დღემდე რჩება როგორც ყველაზე

---

[1] ეს შრომა აწყობის პროცესში იშყოფებოდა, როცა გამოქვეყნდა პროფ. გ. ხაჭაპურიძის წიგნის ახალი (მესამე) გამოცემა—Грузинский народ в борьбе за победу советской власти, Москва, 1956 г. წიგნის გადათვალიერებამ დაგვანახვა, რომ იგი საფუძვლიანად არის გადამუშავებული და დაძლეულია ძირითადში ის შეცდომები, რომელიც წინა გამოცემებს ახასიათებდა. ახალი გამოცემის შესახებ იხ. ჩვენი რეცენზია ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“ 1957 წ. № 2. (ავტ.).

მნიშვნელოვანი შენაძენი ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავების საქმეში.

ბაქოს და აზერბაიჯანის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის ჩვენთვის საკვლევი პერიოდის შესახებ საყურადღებო გამოკვლევები ეკუთვნის პროფ. ი. ა. გუსეინოვს, რომელმაც 1917 წელს მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ბოლშევიკები — აზერბაიჯანში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორები“ და გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნარკვევი ჟურნალებში ამავე თემაზე.

ი. გუსეინოვის სადოქტორო დისერტაცია შედგება 2 ნაწილისაგან. 1-ლი ნაწილი შეეხება 1917 — 1918 წლებში ბაქოსა და აზერბაიჯანის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის საკითხებს. ავტორს უხვი ფაქტიური მასალებით აქვს გაშუქებული თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდი აზერბაიჯანში, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატისა და გლეხობის ბრძოლა კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ბაქოში, აგრარული რევოლუციის მიმდინარეობა, მარტის ამბები ბაქოში, ბაქოს კომუნის მოღვაწეობა, მისი დაცემის მიზეზები და სხვ.

შრომა არაა დაზღვეული იმ ნაკლოვანებებისაგან, რაზედაც საერთოდ ზემოთ ვლაპარაკობდით, ჩვენ ზედმეტად გვეჩვენება აგრეთვე ზოგიერთი თავი შრომაში, იგრძნობა უშუალო საკითხისაგან ხშირი გადახვევა, წყაროების ნაკლებობა. მიუხედავად ამისა, ეს შრომა მნიშვნელოვანი შენაძენია ამიერკავკასიის ისტორიულ ლიტერატურაში.

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე პროფ. ზ. ი. იბრაგიმოვის სადოქტორო დისერტაცია „ბრძოლა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის 1917 — 1918 წწ.“, რომელსაც მის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ თეზისებში გავეცანით. სავსებით ვიზიარებთ ავტორის მიერ წამოყენებულ მრავალ დებულებას, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ მათგანს ატყვია ხელოვნურობა და არ გამომდინარეობს აზერბაიჯანში ოქტომბრის შემდგომი ვითარების კონკრეტული ანალიზიდან.

აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის საგარეო ვითარების და ამიერკავკასიაში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციის საკითხები ვრცლად არის გაშუქებული ე. ა. ტოკარჟევსკის შრომაში „ბაქოს ბოლშევიკები აზერბაიჯანში თურქულ-გერმანული და

ინგლისური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორები 1918 წელს".

ნარკვევი შეიცავს მდიდარ ფაქტიურ მასალას. ავტორს შეუსწავლია საკვლევ პერიოდზე არსებული არქივები და უცხოური წყაროები. იგი საყურადღებო დასკვნებს იძლევა იმპერიალისტური თურქეთის, გერმანიის, ინგლისის გეგმებზე ამიერკავკასიაში, ვრცლად განიხილავს აზერბაიჯანის მშრომელი მასების გმირულ ბრძოლას ინტერვენტებისა და მუსავატურ-დაშნაკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ შრომა იმსახურებს სამართლიან საყვედურს იმ მხრივ, რომ მთელი რიგი ფაქტები და მოვლენები განსაკუთრებით ის, რაც აზერბაიჯანის იმდროინდელ საშინაო ვითარებას შეეხება, შეფერადებულია, არ არის დამაჯერებლად გარკვეული ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის მასაზრდოებელი წყაროები. ხელოვნურად გაზვიადებულია ზოგიერთი პიროვნების დამსახურება. გაუბრალოებულად არის წარმოდგენილი რევოლუციური სიტუაციის საკითხი 1917 წლის მიწურულისათვის, არაა სრულიად ახსნილი ბაქოს კომუნის დამარცხების მიზეზები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხება აგრეთვე დ. ენუქიძის შრომა „ამიერკავკასიაში იმპერიალისტური ინტერვენციის კრახი", ამ წიგნის გარშემო ჩვენ ადრევე გავაკეთეთ შენიშვნები სპეციალურ წერილში[1]. მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა, ამ წიგნს შეუძლია მკვლევარისათვის ერთგვარი სარგებლობის მოტანა ამიერკავკასიის ოქტომბრის შემდგომი საგარეო ვითარების შესწავლის საქმეში.

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდში უცხოელი იმპერიალისტების მიერ ამიერკავკასიაში გახლართული ქსელის შესახებ საინტერესო მასალებია მოტანილი აკად. ი. ი. მინცის სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამერიკელი და ინგლისელი და სხვა იმპერიალისტების პირველი შეთქმულების კრახი"[2].

ამ ნარკვევის სპეციალურ თავში „კონტრრევოლუციური ბლოკის შექმნა ამიერკავკასიაში" დოკუმენტებზე დაყრდნობით ნაჩვენებია ინგლის-ამერიკელი მისიების გაცხოველებული მუშაობა ამიერკავკასიის საბჭოთა რუსეთიდან იზოლაციისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ მის პლაცდარმად გადაქცევის საქმეში. ი. ი. მინცი ააშკა-

[1] იხ. ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1955 წ. № 1.

[2] Московский городской педагогический институт имени В. И. Потемкина. Ученые записки, том XXVI, вып. 3, Москва, 1953.

რავებს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკის კავშირს სამხრეთის კონტრრევოლუციასთან, იმპერიალისტების ხელს შამქორთან რუსი ჯარისკაცების დახვრეტის საქმეში. ასევე საინტერესოა ო. მინჯიანის ნარკვევი „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის საგარეო პოლიტიკა 1918 წ.“[1]. დოც. ა. ხეიფიცისა — „საბჭოთა რესპუბლიკა—თურქეთის ურთიერთობა და საკითხი სომხეთის შესახებ 1918 — 1921 წწ.“ პროფ. ზავრიევისა — „თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ვილაეთების უახლოესი ისტორიისათვის“.

პირველი იმპერიალისტური ომისა და ამიერკავკასიის ეკონომიკის შესწავლისათვის ძვირფას მასალას შეიცავენ პროფ. პაატა გუგუშვილის შრომები[2], პროფ. ო. ე. თუმანიანის მონოგრაფია „სომხეთის ეკონომიური განვითარება“, ამიერკავკასიის სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოცემული სტატისტიკურ-ეკონომიური კრებულები „ზაკავკაზიე...“, საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს სტატისტიკური კრებულები, ს. ავალიანის ნარკვევი—„გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში, ტ. 4, კავკასიის კალენდარი 1914 — 1917 წლებისა, თბილისის სტატისტიკური ატლასი და სხვ. ნარკვევები, რომლებიც ამიერკავკასიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მდგომარეობას შეეხება 1914—18 წლებში და მითითებული გვაქვს სათანადო ადგილებზე.

საყურადღებო ფაქტიურ მასალას და დასკვნებს შეიცავენ აგრეთვე საქართველოს ამ პერიოდის რევოლუციური მოძრაობისადმი მიძღვნილი სტატიები პროფ. ა. კაკვიძისა, დოც. ნ. მახარაძისა, დოც. ს. ბერიძისა, ა. მ. ელჩიბეკიანის — „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში“; გარიბჯანიანის — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სომეხი ხალხის განთავისუფლება“; ნ. ემიროვისა — „დაღესტნის მშრომელების ბრძოლა თურქი ინტერვენტების წინააღმდეგ 1918 წ.“[3]; გ. ალიბეკოვის—„ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებული დიდი გამარჯვება“[4]; გ. ძიძირიას—„1918 წ. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ის-

---

[1] Историк—Марксист, 1938 г., кн. 6. (70).

[2] Проф. П. В. Гугушвили—Аграрные отношения в Закавказье на рубеже 19—20 вв. (Отдельный выпуск). მისივე—სოფლის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში (თსუ უნივერსიტეტის შრომები ტ. XVI, 1940 წ.). მისივე—მარცვლეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, თბ., 1954 წ.) მისივე—საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტომი მეორე, სახელგამი, 1956 წ.

[3] Очерки истории Дагестана, 1950 г., I Даггосиздат, Махачкала.

[4] იქვე.

ტორიიდან"[1]. ბაქოს კომუნის შესახებ პროფ. ე. ბურჯალოვის პოპულარული ნარკვევი — „ბაქოს ოდცაექვსი კომისარი", მოხსენებანი და სტატიები ბაქოს 26 კომისრის შესახებ და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

თემაზე მუშაობისას ჩვენ მოგვიხდა შეგვესწავლა ჩვენთვის ხელმისაწვდომ უცხოელ ავტორთა შეხედულებანი; 1917 — 1918 წლების ამიერკავკასიის შესახებ უცხოური მემუარული ლიტერატურიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია უ. ჩერჩილის[2], ლოიდ ჯორჯის[3], ვილსონის[4], ლ. ფრენსისის[5], ლუდენდორფის[6], ქემალ ფაშას[7], ჯემალ ფაშას[8] და სხვათა ნაწერები. ამიერკავკასიის (განსაკუთრებით ბაქოსა და აზერბაიჯანის) შესახებ საინტერესო მასალები მოიპოვება გენერალ დენსტერვილის[9] წიგნში. ამიერკავკასიაში გერმანიის ინტერესების გასარკვევად მნიშვნელოვანია მიულმანის შრომა[10] და მრავალი სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოდასახელებული ავტორი ამიერკავკასიის შესახებ იმპერიალისტური თვალთახედვით მსჯელობს. მათში ან საერთოდ მიფუჩეჩებულია ამიერკავკასიაში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიზანდასახულობა, ან იგი მხოლოდ კეთილ განზრახვებით, ან სტრატეგიული მოსაზრებებით არის ახსნილი.

ამიერკავკასიის 1917 — 1921 წლების პერიოდის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ევროპასა და ამერიკაში მრავალი წიგნი გამოქვეყნდა. სოციალისტური რევოლუციის მიერ იმპერიალისტურ დასავლეთში გადატყორცნილი რუსი თეთრგვარ-

---

[1] Труды Абхазского Института языка, литературы и истории. XXIV, 1951 г., Сухуми.

[2] Черчилль. У. Мировой кризис. пер. с английск. предисл. П. П. Минца.

[3] Ллойд Джорж. Д. Европейский хаос. пер. с англ. П. Константинова, Л.—М. 1924; Ллойд Джорж, Д. Мир ли это? пер. с англ. Ю. Соловьева. Л.—М. 1924.

[4] Walson W. War and peace. Presidential messages, addresses and public papers (1917—1918) New york—London 1927.

[5] D. Fransis. Russia from the American Embassy. Now york 1920.

[6] Людендорф Э. Мои воспоминания о войне 1914—1918 гг. Т. 1—4. 1923—1924 гг.

[7] Кемаль, Мустафа—Пути Новой Турции 1919—1927г. Т. 1—4. 1934 г.

[8] Джемаль-Паша. Записки Джемаль—Паши 1913—191 9гг, 1923 г.

[9] Денстервиль. Британский империализм в Баку и Персии. 1917 — 1918 (воспоминания) тифл. 1925.

[10] Карл Мюллльман, Германо-Турецкий военный союз в мировой войне.

დიელები და ამიერკავკასიელი ემიგრანტები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რომ დაემცირებინათ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა, დაეხატათ იგი ან შემთხვევით, ან რუსეთისათვის სპეციფიკურ მოვლენად, გაეყალბებინათ ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება და მიეფუჩეჩებინათ დასავლეთის იმპერიალისტთა ნაშდვილი ზრახვები. ამ წიგნებში გაბიაბრუებულია ამიერკავკასიის მშრომელთა დაუცხრომელი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ინგლისის ოკუპაცია წარმოდგენილია, როგორც ცივილიზებული ქვეყნების ზრუნვა ამიერკავკასიელი ხალხისადმი და სხვ.

საკმაოდ აქტიობას იჩენდა ამ მხრივ ინგლისის, ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის ოფიციალური ისტორიოგრაფიაც, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ამიერკავკასიაში ინგლის-ამერიკელ კოლონიზატორთა თარეში აეხსნა ჰუმანიზმის პრინციპებით. დავასახელებ ამ მხრივ ერთ დამახასიათებელ შრომას, რომელმაც ამერიკის მონოპოლისტურ წრეებში დიდი მოწონება დაიმსახურა. ესაა ფ. ქეზემზადეს მონოგრაფია „ბრძოლა ამიერკავკასიისათვის"[1], რომელიც ნიუ-იორკში გამოიცა 1951 წელს. შრომის ავტორი ეყრდნობა რა ცნობილი გუვერის ბიბლიოთეკას, ცდილობს გააშუქოს 1918 — 1921 წლების ამიერკავკასიის მოვლენები და მისი ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში. ამავე დროს ავტორი არ იშურებს ძალ-ღონეს იმის დასამტკიცებლად, რომ აშშ ამიერკავკასიაში ინტერვენციის წინააღმდეგი იყო, რომ მოკავშირეთა ერთადერთ მიზანს ამიერკავკასიაში შეადგენდა არ დაეშვათ გერმანიის იმპერიალიზმის მიერ ამიერკავკასიის ნედლეულზე დაპატრონება. ქეზემზადე იქამდეც კი მიდის, რომ ცდილობს გააქარწყლოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი: ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის საქმეში ინგლისელ იმპერიალისტთა მონაწილეობა.

ასეთი „შრომები" მრავალია და რეაქციული წრეების დაკვეთით მომავალშიც ალბათ მრავალი გამოქვეყნდება კაპიტალისტურ ევროპასა და ამერიკაში. საბჭოთა ისტორიკოსის ამოცანაა პირუთვნელი დოკუმენტებისა და მასალების მომარჯვებით გააქარწყლოს დაქირავებულ უცხოელ ავტორთა „დებულებანი" და მთელი სისრულით უჩვენოს იმპერიალისტ-მონოპოლისტთა ზრახვები ამიერკავკასიაში და ამიერკავკასიელი ხალხების შეუპოვარი ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ.

მუშაობის პროცესში ჩვენ ვეცნობოდით აგრეთვე სადოქტორო

---

[1] The struggle for Transkaucasus (1917—1924) by Firuz Kazemzadeh, Ph. D. With an Introduction by Michael Karpovich. New york; 1956, Pp. 35.

და საკანდიდატო დისერტაციებს, რომლებიც ამიერკავკასიის ისტორიის ამ მონაკვეთის სხვადასხვა პრობლემას შეეხებიან. მათ შორის აღსანიშნავია ი. ვ. მოსესოვის[1] (სადოქტორო დისერტაცია), გ. ა. გალოიანის[2], ვ. ა. მიქაელიანის[3], ს. ა. მხათარიანის[4], ი. ი. ტამარაზოვას[5], ა. პ. სიმონიანის[6], შ. შ. გაჯი-ზადეს[7], ვ. ა. ავაქიანის[8], გ. ა. ძიძირიას[9], შ. ვ. ლომსაძის[10], ა. ე. კოლუმბეკოვის[11], გ. ა. მადათოვის[12] და სხვათა საკანდიდატო დისერტაციები, რომელთა ნაწილს ორიგინალში, ნაწილს ავტორეფერატების საშუალებით გავეცანით.

ეს დისერტაციები საინტერესოა როგორც ფაქტიური მასალა. აქვე უნდა მივუთითოთ ერთ ძირითად ნაკლზე, რაც თითქმის გამოუკლებლივ ყველა დისერტაციას ახასიათებს: ფაქტები, რომლებიც 1917 — 1918 წწ. ამიერკავკასიის საგარეო და საშინაო ვითარებას შეეხება, ერთგვარად შელამაზებულია, განმეორებულია მოვლენების ტრადიციული ერთფეროვანი შეფასება, ანგარიში არ აქვს გაწეული ობიექტურ წანამძღვრებს, დასკვნები ხშირ შემთხვევაში ხელოვნური და პარადულია, არ არის გაანალიზებული იმ პერიოდის საარქივო მასალები.

მაგალითად, ვ. ლ. ავაქიანი, 1917 წლის მიწურულში ამიერკავკასიის პოლიტიკურ სიტუაციას რომ ეხება, ასკვნის: „თბილისის ბოლ-

---

[1] В. В. Мосесов—Гражданская война в Азербайджане.

[2] Г. А. Голоян—Провал контрреволюционной интервенции английских и американских интервентов в Армении (1917—1920 гг.).

[3] В. А. Микаелян—Положение крестьянства и революционные выступления крестьян в Армении в 1918—1920 гг.

[4] С. А. Мхитарян. Борьба армянского народа против агентов англо-американского империализма—дашнаков за установление Советской власти в Армении (1918—1920гг.).

[5] И. П. Тамаразова. Брест-литовский мир в Закавказье.

[6] П. А. Симонян. Крах англо-американской интервенции в Армении в 1918—1920 гг.

[7] Ш. Ш. Гаджизаде Помощь бакинского пролетариата трудящимся Дагестана в борьбе за установление Советской власти под руководством русского народа. 1917—1920 гг.

[8] В. А. Авакян—Иностранная интервенция в Закавказье.

[9] Г. А Дзидзария—Абхазия в 1917—1918 годах.

[10] Ш. В. Ломсадзе. Крах турецких агрессоров в Грузии во время гражданской войны в СССР.

[11] А. Е. Кулумбеков—Борьба большевистской партии за установление Советской власти в Юго-Осетии в 1917—1921 гг.

[12] Г. А. Мадатов. Установление Советской власти в Нахичевани и создание Нахичеванской автономии.

შევიკურ ორგანიზაციას, რომლის გავლენის ქვეშ მთლიანად იმყოფებოდა ადგილობრივი გარნიზონის ნაწილები, შეეძლო დაემხო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა, მაგრამ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთი ჯგუფის გამცემლური პოზიციის გამო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად შენელდა“ (გვ. 8).

ასეთი მცდარი, არა მეცნიერული დასკვნები კლასობრივ ძალთა თანაფარდობის, ამიერკავკასიის თავისებურებათა ანალიზის გარეშე, დამახასიათებელია თითქმის ყველა სხვა დისერტაციისათვისაც.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების პერიოდში ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის შესწავლისას ჩვენ ვიყენებდით იმ მრავალფეროვან დოკუმენტურ მასალას, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლობათა მიერ.

ჩვენთვის პირველ რიგში აუცილებელ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“[1]. ეს პირუთვნელი დოკუმენტები შეიცავენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა და მომდევნო პერიოდის საერთაშორისო და საშინაო ვითარების მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს.

ამიერკავკასიის შესახებ მრავალი საინტერესო მასალის ამოკრება შეიძლება ისეთი გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებულებიდან, როგორიცაა „დიდი პროლეტარული რევოლუციის დოკუმენტები (1938 წ.)“; „საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა (1917 — 1918 წწ.)“; 1954 წ. „სსრ კავშირი სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის პერიოდში“; „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში“[2]; ცენტრარქივის მიერ 1930 წელს თბილისში გამოცემული კრებული — „1917 წლის რევოლუცია ისტორიულ საბუთებში“; მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერ-

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 1954.

[2] მაღლაკელიძე, ა. იოვიძე, შ. ჩხეტია — ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში (1917—1921 წ.), საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს ჟურნალი საისტორიო მოამბე, ნაკვეთი 8, 1955 წ.

ბაიჯანის ფილიალის შრომებში გამოქვეყნებული დოკუმენტები[1]. აგრეთვე ჟურნალების „კრასნი არხივის“[2], „პროლეტარსკაია რევოლუციას“, „ისტორიკ მარქსისტის“, „რევოლუციის მატიანეს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები.

სათანადო კრიტიკული მიდგომით მკვლევარისათვის ძვირფას მასალას შეიცავს ამიერკავკასიის სეიმის სტენოგრაფიული ანგარიშები[3]; „დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“; ამიერკავკასიის რევოლუციური საბჭოების ორგანიზაციის ოქმები (ტ. 1)“.

ამ პერიოდის მკვლევართათვის პირველი რიგის სამუშაოს წარმოადგენს თანამედროვე პერიოდული გამოცემების შესწავლა. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების დაუცხრომელი მუშაობის, მშრომელი მასების რევოლუციური აღმავლობის, კონტრრევოლუციური წვრილბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის მხილების და სოციალისტური რევოლუციის მთელი პროცესის დეტალური ფაქტები და მოვლენები თანმიმდევრობითაა გაშუქებული გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის“; „ბაკინსკი რაბოჩის“ „ბრძოლას“, „ბანვორი კრივის“, „სოციალ-დემოკრატის“ „იზვესტია ბაკინსკი სოვეტას“ და სხვა მრავალი იმ დროს ამიერკავკასიის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში არსებული ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე. მკვლევარი ვალდებულია კრიტიკულად შეისწავლოს აგრეთვე იმდროინდელი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესა (გაზეთები „ერთობა“, „ბორბა“, „ბაკუ“, „კასპია“, „გოლოს კრაევოგო სოვეტა“, „საქართველო“, „კავკაზსკაია რეჩ“ და მრავალი სხვ.), რომლებიც ცხადჰყოფენ რევოლუციაზე შეძლებული კლასებისა და წვრილბურჟუაზიული ფენების თვალსაზრისს.

ყველაზე მდიდარი ფაქტიური მასალა ამიერკავკასიის მშრომელი მასების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის, მათი რევოლუციური ბრძოლის, ამიერკავკასიის იმდროინდელი პოლიტიკური დაწესებულებების საქმიანობის შესახებ უხვადაა დაცული თბილისის, ბაქოს, ერევნისა და აგრეთვე მოსკოვის არქივებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არქივები ამ პერიოდის ისტორიკოს მკვლევართა მიერ ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის და

---

[1] Азербайджанский филиал ИМЕЛ, Труды, том. XII, 1948 г., Баку.
[2] Красный архив, 1938 г.
[3] Закавказский сейм (Стенографический отчет).

რიგი შეცდომებისა, რომელთა შესახებ ზემოთ მიეუთითებდით, ამ მიზეზითაც შეიძლება აიხსნას.

პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიის ეკონომიური ცხოვრების, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის, კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი დამრაზმველი მუშაობის, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკის შესახებ უხვი მასალა მოიპოვება საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის მე-2 და 34-ე ფონდებში. პირველი შეიცავს კავკასიის მეფის მოადგილეების კანცელარიის საქმეებს, მეორე — თბილისის გუბერნატორის კანცელარიის საქმეებს. კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიაში თავმოყრილია კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების ხელმძღვანელი პირების მოხსენებანი მათდამი რწმუნებულ ერთეულებში ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების შესახებ. აგრეთვე კავკასიის მეფისნაცვლის მოხსენებანი საიმპერიო დეპარტამენტებისადმი. თბილისის გუბერნატორის ფონდი, მაზრის უფროსების მოხსენებებისა, პოლიცმეისტერის მოხსენებებისა და სხვა ოფიციალური საბუთებისაგან რომ შედგება, გვიხატავს თბილისის გუბერნიაში შექმნილ მდგომარეობას ომის წლებში.

ასევე საინტერესოა აზერბაიჯანის სახელმწიფო საისტორიო არქივის 495-ე, 46-ე ფონდები, რომლებშიც ბაქოს გუბერნატორის, ბაქოს ქალაქის უფროსის კანცელარიის საქმეებია თავმოყრილი და ასახავენ ბაქოში შექმნილ ვითარებას 1914 — 1917 წლებში.

ამიერკავკასიის მშრომელი მასების სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის მთელი პერიოდის შესახებ უხვი და ძვირფასი მასალა მოიპოვება საქართველოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის იმ ფონდებში, რომლებიც ამიერკავკასიის დროებითი მთავრობისა (ოზაკომის) და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნასა და საქმიანობას შეეხება.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) ფონდი № 723, რომელიც 795-მდე საქმეს შეიცავს, ასახავს თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის გუბერნიებში ახალი ხელისუფლების ორგანოების შექმნის მთელ პროცესს. მაზრის კომისრების, განსაკუთრებული კომიტეტის რწმუნებულების მოხსენებანი, ოზაკომის სხდომათა ოქმები, ცალკეული დეპეშები მაზრასა თუ გუბერნიაში მომხდარი შემთხვევების შესახებ, ამიერკავკასიის საგუბერნიო ყრილობათა სტენოგრაფიული ანგარიშები და სხვ. წარ-

მოგვიდგენენ ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და გლეხობის უაღრესად მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა და სამეურნეო ნგრევის სურათებს.

ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის, მათი პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ უაღრესად საინტერესო მასალები მოიპოვება კავკასიის არმიის მუშათა დეპუტატების სამხარეო საბჭოს (ფონდი № 21), გლეხთა დეპუტატების ამიერკავკასიის ცენტრის (ფონდი № 24), თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის (ფონდი № 27), სამხედრო ნაწილების კომიტეტების (ფონდი № 190, 187 და სხვ.) საქმეებში. აქ მკვლევარი დაწვრილებით ეცნობა წვრილბურჟუაზიული პარტიების შეხედულებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებზე, საბჭოში შემავალ პარტიათა შორის მწვავე ფრაქციულ ბრძოლას, რევოლუციის განვითარების მთელ პროცესს ამიერკავკასიაში.

განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები (ფონდი № 5, საქმე № 10), რომლებიც გვისურათებენ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის შეუპოვარ ბრძოლას საბჭოში მენშევიკების, ესერების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების წინააღმდეგ. სტენოგრამაში შემონახულია საბჭოს ფრაქციათა რეზოლუციები თებერვლის შემდგომ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე (აპრილის მანიფესტაცია, ივნისის დემონსტრაცია, 3—5 ივლისის ამბები, კორნილოვშჩინა, ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება პეტროგრადში და ქართველი წვრილბურჟუაზიული პარტიების დამოკიდებულება, კომისარიატი, სეიმი და სხვ.).

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ამიერკავკასიის შეძლებული კლასებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბლოკის მასალები უხვად მოიპოვება ამიერკავკასიის კომისარიატის და ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის ფონდებში (ფონდები № 1472, № 1). კომისარიატის სხდომათა ოქმები, ცირკულარები და დეპეშები საგუბერნიო და სამაზრო ხელისუფლებისადმი, მაზრისა და გუბერნიის მმართველთა ანგარიშები, მოხსენებითი ბარათები და დეპეშები მეტყველებენ რევოლუციური მოძრაობის ზრდაზე; ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური პარტიების გაბოროტებულ ბრძოლაზე, ქვეყნის შიგნით ანარქიის მკვეთრად გამწვავებაზე, ნაციონალისტური შუღლის ზრდაზე ამიერკავკასიაში. აქვე მრავლად გვხვდება მასალები კომისარიატის საგარეო პოლიტიკის შესახებ, კერძოდ, თურქეთთან

ზავის მომზადებისა და დადების, იმპერიალისტური ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებთან კომისარიატის ურთიერთობის, ჩრდილოეთ კავკასიისა და დონ-ყუბანის კონტრრევოლუციასთან კავშირის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის სეიმის სტენოგრაფიული ანგარიში დაბეჭდილია, მკვლევარისათვის აუცილებელია ამიერკავკასიის სეიმის ფონდის (№ 8) შესწავლა. ამ ფონდში მრავალი საინტერესო მასალაა სეიმის საგარეო პოლიტიკის შესახებ (საზავო დელეგაციათა ტრაპიზონის და ბათუმის სხდომების ოქმები, დელეგაციის მოხსენებითი ბარათები და ანგარიშები, ხელშეკრულებათა ვარიანტები). აქვე მოიპოვება მასალები ამიერკავკასიის გუბერნიებში გლეხთა რევოლუციური ბრძოლის შესახებ (დუშეთის, ლეჩხუმის, სამეგრელოს, ოსეთის, აფხაზეთის გლეხთა აჯანყებანი, ერევნისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიების გლეხთა აგრარული მოძრაობა). ეს მასალები თავისთავად მეტყველებენ სეიმის კონტრრევოლუციურ პოლიტიკაზე და სეიმის არსებობის მთელ პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და გლეხობის შეუპოვარ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის შესახებ მრავალი საინტერესო მასალა მოიპოვება ოზაკომთან არსებულ საგანგებო საგამომძიებლო კომისიის საქმეებში (ფონდი № 3). ამ საქმეების საფუძველზე შესაძლებელია დეტალურად იქნას შესწავლილი 1918 წლის თებერვალში თბილისში მუშათა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტის მთელი ისტორია, შამქორის ამბები. საინტერესოა ფაქტები ამიერკავკასიაში ფარულად მოქმედი ჯაშუშური ორგანიზაციების შესახებ (გერმანიის და თურქეთის იმპერიალიზმის აგენტურის), აგრეთვე რევოლუციური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

წვრილბურჟუაზიული პარტიების (მენშევიკების, ესერების) შემთანხმებლური პოლიტიკის და სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ პრაქტიკული მუშაობის ამსახველი უხვი მასალები მოიპოვება მენშევიკური ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის (ფონდი № 45), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ცენტრალური კომიტეტის (ფონდი № 44), თბილისის კომიტეტის (ფონდი № 46), სოციალისტ-რევოლუციონერების ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის (ფონდი № 255) ფონდებში. საინტერესოა აგრეთვე მენშევიკების ზურაბოვისა და ა. ჩხენკელის პირადი ფონდები (№ 58, № 57).

საქართველოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებზე შედარებით ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ აქ, ჩვენის ღრმა რწმენით, თემასთან დაკავშირებით ყველაზე უხვი და მრავალფეროვანი მასალაა. ეს გასაგებიცაა: თბილისი წარმოადგენდა სამხარეო ცენტრს იმ პერიოდში და ამიერკავკასიის ყველა გუბერნიის მასალები შეკრებული სახით სწორედ აქ, სამხარეო ორგანოებში იყრიდა თავს. ცხადია, 1917 — 1918 წლების ამიერკავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი მასალები სრულებითაც არ ამოიწურება ჩვენს მიერ ზემოდდასახელებული ფონდებით. ჩვენ არ გვქონდა ფიზიკური შესაძლებლობა ყველა ფონდზე გვემუშავა და ყველა დოკუმენტი გადაგვესინჯა. მიმოხილვაში მხოლოდ მითითებულია ძირითად წყაროებზე. აუცილებლად მიგვაჩნია ამ მდიდარი ფონდების შემდგომი შესწავლა და მისი გამომზეურებაც.

ამიერკავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის ამსახველი ძვირფასი დოკუმენტები და მასალები დაცულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში.

1917 — 1918 წლებში ბაქოსა და აზერბაიჯანის მასების რევოლუციური მოძრაობის შესახებ მდიდარი მასალებია დაცული აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ არქივში. ფონდები 73, 79, 268, 215, 211, 271, 1046, 14, 19, 270 და სხვ. ასახავენ ბაქოს პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას ნავთის მრეწველების წინააღმდეგ, 1917 წ. სექტემბრის პოლიტიკურ გაფიცვებს ბაქოში, საბჭოების მოღვაწეობას ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის მარტის ამბებს ბაქოში, სახალხო კომისართა საბჭოს და სხვა რევოლუციური ორგანოების დაუცხრომელ საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, კონტრრევოლუციური მუსავატური და დაშნაკური პარტიების ანტიხალხურ პოლიტიკას.

ჩვენ მოგვიხდა მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალში და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ აქ გავეცანით მეტად მდიდარ მასალებს (გამოქვეყნებულსა და გამოუქვეყნებელს), რომლებიც არა მარტო ბაქოსა და აზერბაიჯანის, არამედ მთელი ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის დეტალებში გარკვევისათვის დაგვეხმარა. ინსტიტუტის პარტიული არქივის და ბიბლიოთეკის მიერ სისტემატიზებული უხვი მასალის გარეშე ჩვენ ვერ შევსძლებდით თემა დაგვეძლია.

საინტერესო მასალები მოიპოვება სომხეთის სს რესპუბლიკის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცენტრალურ არქივში და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალში. ეს მასალები შეეხება სომხეთის მშრომელი მასების დაუცხრომელ ბრძოლას დაშნაკური კონტრრევოლუციის, თურქეთის ინტერვენციის წინააღმდეგ, სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობას 1917 — 1918 წლებში.

ნაყოფიერი შედეგი მივიღეთ მოსკოვში ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებზე მუშაობის პროცესში. აქ ჩვენს მიერ გადასინჯულ იქნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, ეროვნებათა სახალხო კომისარიატის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის (სამხრეთის კონტრრევოლუციის) ფონდები. მოპოვებულ იქნა მრავალი მასალა, რომელიც ასახავს ამიერკავკასიის საშინაო ვითარებას 1917 — 1918 წლებში, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კონტრრევოლუციური პარტიების პოლიტიკას, „დამოუკიდებელი“ ამიერკავკასიის კავშირს იმპერიალისტურ ბანაკთან, ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მარიონეტული მთავრობების კავშირს დენიკინთან და მრ. სხვ.

საყურადღებო მასალებს მივაგენით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფონდებსა (№ 37) და ბიბლიოთეკაში.

* * *

რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ გასინჯული და მოპოვებული მასალა ვერ ამოწურავს თემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ამიერკავკასიის ისტორიული ცხოვრების ამ რთულ პერიოდზე, ვფიქრობთ, მომავალშიც ბევრი დაიწერება. ავტორი თავის შრომას უნაყოფოდ არ ჩათვლის, თუ მისი წიგნი სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის შეასრულებს დამხმარე როლს ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის ესოდენ საინტერესო მონაკვეთის გარკვევაში.

წინაბდებარე მონოგრაფია პირველი ნაწილია ჩვენს მიერ მოფიქრებული ვრცელი შრომისა, რომელშიაც ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ისტორია ბოლომდე — ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე — იქნება მიყვანილი.

მუშაობის პროცესში ჩვენ არ მოგვკლებია თ. ს. უ. სსრ კავშირის ისტორიის კათედრის შემადგენლობის თანაგრძნობა და დახმარება, კათედრის გამგის პროფ. გ. ხაჭაპურიძის მითითებანი. მნიშვნელოვანი მითითებები მივიღეთ აგრეთვე აკად. ი. ი. მინცისაგან. ამ დახმარებას ჩვენ ყოველთვის მადლობისა და სიამოვნების გრძნობით ვიგონებთ.

———————

თ ა ვ ი I

ამიერკავკასიის ეკონომიკა პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში

რუსეთის იმპერია წარმოადგენდა უდიდესი შესაძლებლობის ქვეყანას. თავისი ამოუწურავი მატერიალური რესურსებით, ადამიანთა რეზერვებით და ნაციონალური კულტურით მას ყველა შესაძლებლობა გააჩნდა გადაეჭრა უმსხვილესი ისტორიულ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ამოცანები. მაგრამ მეფის რუსეთის დახავსებული, ნახევრად ბატონყმურ-თვითმპყრობელური და სამხედრო-იმპერიალისტური წყობილება ხელს უშლიდა, აფერხებდა საწარმოო ძალთა განვითარებას.

რუსეთის სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების დაბალი დონე ყველაზე მეტად მის განაპირა, სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში იგრძნობოდა. გამოდიოდა რა მეტროპოლიის სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებიდან, ცარიზმი ვარაუდობდა ეს მხარეები უფრო მეტად ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად შეენარჩუნებინა. მწვავე კოლონიური რეჟიმის პირობებში, ისედაც სუსტი, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ჯერ კიდევ მტკიცე ქსელში გახვეული კაპიტალისტური ფორმები მეტად მტკივნეულად და მძიმედ მიიკვლევდნენ გზას. იმპერიალისტურმა ომმა არათუ შეაფერხა ეს წინსვლა, არამედ მოშალა მთელი ეკონომიური სისტემა, გამოიწვია საწარმოო ძალების გაჩანაგება, დააყენა მთელი სახალხო მეურნეობა გამოუვალი კატასტროფის წინაშე.

ცარიზმმა, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ეკონომიურ ათვისებას ხელი მიჰყო უფრო გვიან, ვიდრე მისი პოლიტიკური დაპყრობა განახორციელა. ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების პროცესი ფაქტიურად რუსეთში სამრეწველო გადატრიალების შემდეგ დაიწყო და იგი XX საუკუნის პირველ ათეულ წლებშიც იმპერიალისტურ ომამდე გრძელდებოდა. ბუნებრივ სიმდიდრეთა სიუხვისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, რეფორმამდელი ამიერკავკა-

სია წარმოადგენდა ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას, რომლის ზღვისპირა კიდენი ახლად ჩაბმული იყო სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრებაში. ცენტრში კი ბატონყმური ურთიერთობის ნაშთები მძვინვარებდა.

იმპერიალისტური ომის წინ ამიერკავკასიის უმსხვილეს სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი ბაქო. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, გამოსყიდვის სისტემის გაუქმებისა და ნავთობის ძიების „თავისუფლების" დაწესების შემდეგ, ბაქოში სწრაფი ტემპით გაიზარდა ნავთობის მოპოვება და მალე მან რუსეთის მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი როლი დაიმკვიდრა. მაგრამ სამამულო კაპიტალმა ვერ შესძლო ნავთობის მოპოვებაში მსხვილი თანხების ჩადება. სამაგიეროდ, ისე როგორც რუსეთის მრეწველობის სხვა დარგებში, აქაც გამოჩნდა უცხოური კაპიტალი, რომელმაც მსხვილი სააქციო საზოგადოებანი შექმნა და თითქმის მთლიანად იგდო ხელთ ნავთობის მოპოვების საქმე. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ნავთობის მოპოვება სწრაფი ტემპით იზრდებოდა, მაგრამ მალე ნავთის მრეწველობასაც, ისე როგორც რუსეთის მრეწველობის ყველა დარგს, მოედო მძაფრი ეკონომიური კრიზისი. კრიზისი ნავთის მრეწველობაში უფრო ხანგრძლივი, მძიმე აღმოჩნდა და იგი თითქმის პირველ იმპერიალისტურ ომამდე გრძელდებოდა.

მეფის მთავრობის მხარდაჭერით გათამამებული უცხოელი იმპერიალისტები მიისწრაფვოდნენ მთლიანად ეგდოთ ხელთ ბაქოს ნავთის მრეწველობა. ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის მსხვილი მრეწველები ურთიერთშორის ეწეოდნენ გაცხოველებულ ბრძოლას პირველობისათვის. ომის წინ ამ ბრძოლაში ამერიკელი იმპერიალისტებიც ჩაებნენ. სამრეწველო კრიზისის წლებში ბაქოს ნავთის მრეწველობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა წარმოების კონცენტრაცია და საბანკო კაპიტალის შერწყმა მრეწველობასთან. პირველი მსოფლიო ომის წინ ბაქოს ნავთობის მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალის 42%, მოპოვებული ნავთობის 50% და ნავთობის მთელი პროდუქციის ვაჭრობის ¾ თავმოყრილი იყო სამი უმსხვილესი მონოპოლისტური ჯგუფის — ფრანგ კაპიტალისტ როტშილდის („კასპია-შავი ზღვის ამხანაგობა"), ინგლის-ჰოლანდიური ტრესტის („შელლ") და ძმები ნობელიების უმსხვილესი ფირმების ხელში. რუსეთ-აზიური ბანკი კონტროლს უწევდა ნავთის მრავალ საწარმოს.

უცხოელ კაპიტალისტთა დაინტერესების მიუხედავად, ნავთობის მოპოვებისა და დამუშავების საქმე ძალზე ჩამორჩენილი იყო. ამის უმთავრეს მიზეზს წიაღისეულის ყაჩაღური ექსპლოატაცია წარმო-

ადგენდა. უცხოური ფირმები, რომლებიც ბაქოს ნავთის მრეწველობიდან უდიდეს მოგებას იღებდნენ, ოდნავადაც არ ზრუნავდნენ ტექნიკის დანგრევა-განვითარებაზე. ბურღვა პრიმიტიული მეთოდებით წარმოებდა, ყურადღება არ ექცეოდა ახალი საბადოების გეოლოგიურ დაზვერვას. იაფი მუშა ხელი კაპიტალისტებს საშუალებას აძლევდა მაღალი ტექნიკის დანერგვის გარეშეც მიეღოთ მსხვილი მოგება. გაურბოდნენ რა მრეწველობის ტექნიკური სრულყოფისათვის საჭირო ხარჯებს, ისინი, ამგვარად, აფერხებდნენ მრეწველობის განვითარებას.

ამიერკავკასიის მეორე მსხვილ სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა თბილისი, სადაც ომის წინ 25 ათასამდე სამრეწველო მუშა ითვლებოდა. თბილისის მსხვილ წარმოებათა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ რკინიგზის სახელოსნოები, დეპო, საფეიქრო და თამბაქოს ფაბრიკები, ტყავის დამამუშავებელი ქარხნები და ფეხსაცმლის ფაბრიკები. მაგრამ თბილისში მაინც ჭარბობდა წვრილი ფაბრიკა-ქარხნები და სახელოსნოები, სავაჭრო და ადმინისტრაციული დაწესებულებანი.

თბილისი უფრო ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ, სავაჭრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. სამრეწველო პროლეტარიატი აქ წვრილბურჟუაზიულ მასაზე ნაკლები იყო და წვრილბურჟუაზიული სტიქიის ეს სიმძლავრე ქალაქს თავისებურ ელფერს აძლევდა. აქ ნაკლებად იგრძნობოდა მსხვილი პროლეტარული ცენტრებისათვის დამახასიათებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასთა შეჯახებანი. რევოლუციურ მოძრაობასაც დახვეწილი ხასიათი არ ჰქონია.

ამიერკავკასიის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან სამრეწველო საქალაქო ცენტრებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ბათუმი, განჯა, ქუთაისი, ერევანი, ფოთი, გუმბრი, შუშა, ნუხა, ახალციხე, შემახა და სხვ. ამიერკავკასიაში იყვნენ მეორე ტიპის სამრეწველო კერები, რომლებიც დასახლებით სოფლური ტიპისა იყვნენ, მაგრამ სამთო-მადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობაში მნიშვნელოვანი როლი ეკავათ. (ჭიათურა, ალავერდი, ლენქორანი, ტყიბული, ზანგეზური, ქედაბექი და სხვ.)[1].

ჭიათურაში იმპერიალისტურ ომამდე მოპოვებული მარგანეცის რაოდენობა შეადგენდა მარგანეცის მსოფლიო მოპოვების 35—40

---

[1] პ. გუგუშვილი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, „უნივერსიტეტის შრომები", ტ. XVI, 1940 წ., გვ. 160.

პროცენტს. სპილენძის მრეწველობა ამიერკავკასიაში ომამდე მთელი იმპერიის სპილენძის მრეწველობის 14 პროცენტს იძლეოდა.

ამიერკავკასიის მრეწველობა თავისი სისუსტისა და ჩამორჩენილობის მიუხედავად, XX საუკ. დასაწყისიდან ჩათრეული იყო რა რუსეთის სამრეწველო ცხოვრების ორბიტში, განიცდიდა იმპერიალისტური სტადიისათვის დამახასიათებელ პროცესებს: ხდებოდა კაპიტალის ცენტრალიზაცია და წარმოებათა კონცენტრაცია, სამრეწველო კაპიტალის საბანკო კაპიტალთან შერწყმა, სააქციო საზოგადოებათა გაჩენა. ამავე დროს უფრო ღრმად იჭრებოდა მრეწველობაში უცხოური კაპიტალი.

ომის წინა წლებში ამიერკავკასიაში მოქმედი ფაბრიკა-ქარხნების, პროდუქციის, მუშათა რაოდენობის ცვლა-განვითარება შემდეგ სურათს იძლევა:[1]

წლები	ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი	პროდუქცია ათას მანეთობით	მუშათა რაოდენობა
1878	3.023	13.423	14.628
1898	11.283	53.419	52.939
1908	11.380	53.125	81.414
1912	10.121	157.535	93.161
1915	9.205	229.609	73.820

ეს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გუბერნატორთა ყოველწლიურ ანგარიშს ემყარება, ცხადია, ვერ მოგვცემს ამიერკავკასიაში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მდგომარეობის ნამდვილ სურათს, რადგან აქ ფაბრიკა-ქარხნების ნომენკლატურაში შეტანილია ისეთი წვრილი წარმოებანი, სადაც ერთი ან ორი დაქირავებული მუშა თუ მუშაობდა. მაგალითად, 1903 წ. აღრიცხული 12.273 ფაბრიკა-ქარხნიდან 5.045 წისქვილი იყო[2], რომლებსაც უმთავრესად თითო კაცი ემსახურებოდა.

---

[1] ამიერკავკასიის სამრეწველო სტატისტიკის დაზუსტებისას ჩვენ ვისარგებლეთ პროფ. პაატა გუგუშვილის გამოუქვეყნებელი შრომებით, რისთვისაც პატივცემულ პროფესორს უდიდეს მადლობას მოვახსენებთ.

[2] პ. გუგუშვილი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, გვ. 159.

მიუხედავად ამისა, თუ თვალს მივადევნებთ ამიერკავკასიის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებას პირველ იმპერიალისტურ ომამდე, ნათლად შევამჩნევთ მრეწველობის მექანიზაციისა და კონცენტრაციის პროცესს. 1884 წლიდან 1912 წლამდე ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი გაიზარდა მხოლოდ 204%-ით, მაშინ, როდესაც მუშათა რაოდენობა გაიზარდა 309%-ით, ხოლო პროდუქციის რაოდენობა — 531%-ით.

საცენზო მრეწველობის მთავარი დარგების მიხედვით ამიერკავკასიაში იმპერიალისტური ომის წინა წლებისათვის ასეთი სურათი გვაქვს:[1]

დ ა რ გ ე ბ ი	საწარმოთა რიცხვი	წარმოების თანხა (ათ. მანეთ.).	მუშათა რიცხვი
ნავთის მრეწველობა	291	188.832	39.866
ქვებისა .	98	19.427	2,925
ლითონის დამუშავება	121	14.281	11.335
ბამბის .	19	3.007	1.366
აბრეშუმის .	96	2 676	4.156
ცხოველთა პროდუქტებისა .	14	2.147	708
სპილენძის მოპოვება	66	4.600	3 867
მარგანეცის მოპოვება .	114	1.426	674
ქვანახშირისა .	4	300	386
საფაბრიკო-საქარხნო და სამთო მრეწველობის ყველა დარგში .	946	244.795	69.167

თუ არ ჩავთვლით ბაქოს ნავთისა და ზოგიერთ სხვა კაპიტალისტურ მრეწველობას, მრეწველობის სხვა დარგები უმთავრესად, როგორც ამას ცხრილიც გვიჩვენებს, წარმოდგენილი იყო წვრილ, ზოგჯერ კუსტარულ საწარმოთა სახით. ამიერკავკასიის მსხვილი, ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია (სამთო საქარხნო მრეწველობის ჩაუთვლელად) 1908 წლისათვის შეადგენდა საიმპერიო მრეწველო-

[1] Н. Л я щ е н к о, Исторпя народного хозяйства СССР, том II, გვ. 563.

პის წარმოების მხოლოდ 5,2 პროცენტს, ხოლო მუშათა რაოდენობა — 3%-ს[1]. მუშათა მსხვილი კადრები თავმოყრილი იყვნენ საბრენველო ქალაქებსა (ბაქო, თბილისი) და ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი). აქ საბრენველო მუშების გვერდით მსხვილ კონტინგენტს შეადგენდნენ ე. წ. „შავი მუშები“ (მშენებლები, მტვირთავები, მეკურტნეები, სეზონური მუშები და სხვ.).

მუშათა მდგომარეობა ამიერკავკასიაში მეტისმეტად მძიმე იყო. მუშებს აქ გაცილებით უარეს პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, ვიდრე რუსეთში. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 14—16 საათს აღემატებოდა, მათხოვრული ხელფასი, ჯარიმების სისტემა მუშებს სულს უხუთავდა. ზედამხედველები თვითნებობდნენ და ატყუებდნენ მუშებს. საწარმოებში გამეფებული იყო ანტისანიტარია, არ არსებობდა საექიმო დახმარება. ადმინისტრაცია ბინებით მუშების უზრუნველყოფაზე არ ზრუნავდა. მუშა ხელის სიჭარბე და სიიაფე მრენველებს საშუალებას აძლევდა სისტემატურად შეეტიათ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებზე.

მუშათა ნაციონალური შემადგენლობა მსხვილ საწარმოებში (განსაკუთრებით ბაქოში) მეტად ჭრელი იყო. მაგალითად, ბაქოს ნავთის საბრენებში 900-იანი წლებისათვის რუსები შეადგენდნენ 18—20 პროცენტს, სომხები — 25—29%, ირანელები — 19—21%, აზერბაიჯანელები — 12—13%-ს. ნაციონალური შემადგენლობის ასეთი სიჭრელის მიუხედავად, ამიერკავკასიის პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით ერთ მთლიან კოლექტივად ირაზმებოდა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით იწყებდა ბრძოლას თავისუფლებისათვის. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დაუღალავი, სისტემატური, დამრაზმველი მუშაობის შედეგად, ამიერკავკასიის პროლეტარიატი, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე რუსეთის პროლეტარიატის მხარდამხარ ერთი პირველთაგანი მიდიოდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშებზე.

მაგრამ ამიერკავკასიის პროლეტარიატი მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა. ამიერკავკასია იყო კიდევ უფრო აგრარული ქვეყანა, ვიდრე რუსეთი. მის ეკონომიკაში მთავარ როლს ასრულებდა სოფლის მეურნეობა, რომელიც მთელი მოსახლეობის 80%-ის ძირითად საქმიანობას შეადგენდა. დაახლოებით გამოანგარიშებით ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების პროდუქციის ფასი თითქმის შვიდჯერ აღემატებოდა მრეწველობის

[1] Н. Лященко, История народного хозяйства СССР, ტ. 2, გვ. 564.

პროდუქციის ფასს. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ხასიათის საილუსტრაციოდ საკმარისია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის პროცენტული შეფარდება. მაგალითად,: აზერბაიჯანში ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 22,0 პროცენტს. (ბაქოს გამოკლებით 7%-ს), საქართველოში — 19,2%, სომხეთში — 14 პროცენტს[1].

ამიერკავკასია მისი ტერიტორიის მთაგორიანობის გამო არ იყო ხშირად დასახლებული. მთელს ამიერკავკასიაში საშუალოდ 1 კვ. ვერსზე მოდიოდა 33.8 სული. სოფლის რაიონებში იგი არ აღემატებოდა 23 — 28 სულს. სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის გამოსადეგი მიწების რაოდენობა, განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონებში, მეტად მცირე იყო. გამოუყენებელი მიწების რაოდენობა, მაგალითად, სომხეთში შეადგენდა 41,8%-ს, საქართველოში — 21%-ს, აზერბაიჯანში — 25,2%-ს. (იხ. ცხრილი 48 გვ.).

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით ამიერკავკასიაში წამყვანი ადგილი ეჭირა მიწათმოქმედების რაიონებში — ხორბლეულის მოყვანას, ველის რაიონებში — მესაქონლეობას. საერთო დასამუშავებელი მიწის ფართობიდან სახნავი შეადგენდა სომხეთში 97,7%-ს აზერბაიჯანში—95,5%, საქართველოში—94,8%-ს. 94,8%-ს.

ამიერკავკასია საკუთარი ხორბლეულით ვერ კმაყოფილდებოდა. სასაქონლო ხორბლის მთელი მოსავალი გლეხურ მეურნეობათა პროდუქტს წარმოადგენდა და ყველაზე მსხვილი მემამულური მეურნეებიც კი პურს უმთავრესად მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებდნენ[2]. ამავე დროს, პურის მოსავალი ამიერკავკასიაში თანდათან კლებულობდა. სარკინიგზო ქსელის განვითარებამ, რასაც მოჰყვა რუსეთის იაფი პურის შემოტანა, ადგილობრივი სასაქონლო ხორბალი თითქმის მთლიანად გამოდევნა. სამაგიეროდ გაიზარდა სპეც. ტექნიკური კულტურების, როგორც უფრო შემოსავლიანი დარგების, ფართობები ხორბლეულის ფართობების ხარჯზე. მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა პურეულის მოსავალი: თბილისის გუბერნიაში 1884 წ. — 4,9 ჩეტვერტი, 1901 წ. — 2,0 ჩეტვერტი, 1914 წელს — 1,75 ჩეტ., ბაქოს გუბერნიაში — შესაბამისად 3,10; 1,80 და 1,22; ერევნის გუბერნიაში — 3,30; 2,60 და 2,37. 1884 — 1914 წლ., ე. ი. 30 წლის განმავლობაში პურის მთლიანი მოსავალი

---

[1] Закавказье. Статистико-экономический сборник, 1925 წ., გვ. 160 (შემდეგში—Закавказье...)

[2] П. Лященко. Ист. нар. хоз. СССР. ტ. 2, გვ. 554.

სახმარი მიწების რაოდენობა ამიერკავკასიის გუბერნიებში და მათი განაწილება სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით 1912—1914 წლებისათვის შემდეგ სურათს იძლევა:[1]

გუბერნიები	მიწების საერთო რაოდენობა დესიატინობით	საკარმიდამო	სახნავი		ბაღები	სათიბი	ტყეები	საძოვრები
			სარწყავი	ურწყავი				
ბაქოს გუბერნია .	1 681.378.83	15.612	236.696	409 300	31.677	66.470	61.722	858.738
დაღისტნის ოლქი .	1.387.203.79	935	51644	140.478	4.150	69.712	43.994	10.751.32
ელიზავეტპოლის გუბერნია	1.995.579	28.992	319.483	382.638	37.678	10.132	18.132	101.548
ქუთაისის გუბერნია	1.008 475	132	—	336 641	19 779	3.348	310 820	337 383
თბილისის გუბერნია .	2.296.173	195.89	96.935	574 624	28.375	117.204	552.939	905.553
ერევნის გუბერნია	1.451.603	152.082	193 08:	331.9.0	12.658	51.484	3 004	8:0 517

[1] შედგენილია 1914 წლ. „Кавказский календарь"-ის სტატისტიკური განყოფილების მიხედვით, გვ. 142—154.

მხოლოდ 15,5 პროც. გადიდდა, მაშინ, როცა ამავე პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა 55 პროცენტით[1]. იმპერიალისტური ომის წინ ამიერკავკასიაში მოჰყავდათ 85 მილ. ფუთი პური. დეფიციტი შეადგენდა 16 მილ. ფუთს (საქართველოში 4 მილ., სომხეთში — 2 მილ., აზერბაიჯანში — 10 მილ.), რაც იფარებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან და ვოლგის მხრიდან ხორბლისა და ფქვილის შემოტანით[2].

პროფ. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით „პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ამიერკავკასიაში ყოველწლიურად შემოჰქონდათ საშუალოდ 23—24 მილიონი ფუთი მარცვლეული"[3].

მარცვლეულის მოყვანის ტექნიკა ამიერკავკასიაში დაბალი იყო. თესლბრუნვის სწორი სისტემა დანერგილი არ ყოფილა. მიწის დამუშავება პრიმიტიული იარაღებით — კავ-სახნისით წარმოებდა. საშუალოდ მოსავალი არ აღემატებოდა ერთ დესეტინაზე 40 ფუთს. მოსავლის ნაწილი მებატონეს, კულაკ-მევახშეს მიჰქონდა. გლეხობა შიმშილობდა. შიმშილობა განსაკუთრებით მძიმე იყო მოუსავლიანობის წლებში.

მარცვლეული მეურნეობის გარდა, ამიერკავკასიაში იმპერიალისტური ომის წინ მიწათმოქმედების დარგებიდან საკმაოდ განვითარებული იყო მევენახეობა, მებაღეობა და ტექნიკური კულტურების — განსაკუთრებით ბამბის და თამბაქოს მოყვანა.

მევენახეობის საერთო ფართობის რაოდენობითა და ღვინის წარმოებით ამიერკავკასიას რუსეთში პირველი ადგილი ეკავა. მიწათმოქმედების დეპარტამენტის მონაცემებით იმპერიალისტური ომის წინ ვენახს ეკავა 92,567 დესეტინა ფართობი, ხოლო ღვინის წარმოება 15,8 მილ. ვედროს უდრიდა[4].

მაგრამ ვენახის დამუშავების წესები პრიმიტიული იყო და ყურძენი მაღალ მოსავალს არ იძლეოდა. ამავე დროს ვაზებს ანადგურებდა ფილოქსერა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, განსაკუთრებით გლეხურ მეურნეობებს, არ გააჩნდათ. მაგ., 1895 წლ. 1917 წლამდე საქართველოში განადგურდა 30 ათასამდე ჰექტარი ვენახის ფართობი. პრიმიტიული იყო ღვინის წარმოების ტექ-

---

[1] პ. გუგუშვილი, მარცვლეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1954, გვ. 34.

[2] იქვე, გვ. 146—147.

[3] Закавказье, გვ. 163.

[4] პ. გუგუშვილი, მარცვლეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ. 161.

ნიკაც. მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები აკეთებდნენ მაღალი ხარისხის ღვინოებს, რომლებიც განთქმული იყვნენ მთელ მსოფლიოში. სომხეთში მაღალ დონეზე იყო კონიაკის წარმოება. საერთოდ ღვინის პროდუქცია უმეტესად ამიერკავკასიის შინაურ ბაზარს აკმაყოფილებდა. ნაწილი გაჰქონდათ რუსეთშიც. 1913 წელს ამიერკავკასიიდან რუსეთში გატანილ იქნა კონიაკის სპირტი და კონიაკი 8.653 ათასი ლიტ. საზღვარგარეთ — 18 ათასი.[1] მომდევნო წლებში როგორც წარმოებამ, ისე გატანამ იკლო.

ამიერკავკასიაში იმპერიალისტური ომის წინ საკმაოდ დიდ განვითარებას მიაღწია მებამბეობამ. ბამბის ნედლეულით რუსეთის საფეიქრო მრეწველობის მომარაგების დარგში ამიერკავკასიამ, თურქესტანის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. ბამბის ნათესი ფართობი, მაგალითად, 1909 წელს შეადგენდა 50.170 დესეტინას, 1910 წ. — 77.800 დეს., 1911 წელს — 125.050 დეს., 1913 წ. — 127.600 დეს.[2] აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გუბერნიებში მებამბეობის ხარჯზე შესამჩნევი გახდა ხორბლეულის ნათესების შემცირებაც კი.

ცარიზმი და მისი მოკავშირე ბურჟუაზია ამიერკავკასიაში, როგორც კოლონიურ ქვეყანაში, აფერხებდნენ საფეიქრო მრეწველობის განვითარებას. ამიერკავკასიის ბამბა მათ მეტროპოლიის მსხვილი საფეიქრო წარმოებისათვის სჭიროდათ. ამიერკავკასიაში მოყვანილი ბამბეულის მხოლოდ 1/5 პროცენტი მუშავდებოდა ადგილობრივ. დანარჩენი 4/5 — ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში იგზავნებოდა. ტექნიკის პრიმიტიულობის გამო ბამბის მოსავალი მეტად დაბალი იყო. ბამბას თესდნენ უმთავრესად წვრილ გლეხურ მეურნეობებში არა უმეტეს 1—2 ჰექტარისა. ბამბის მსხვილი პლანტაციები მხოლოდ ერთეულებს წარმოადგენდნენ. მემამულეები ამჯობინებდნენ თავიანთი მიწები მებამბეებისათვის იჯარით მიეცათ. ის მიწათმფლობელები, რომელთაც აგრეთვე წყლის საჭაჭავები გააჩნდათ, მამულებს მებამბეებს სანახევროდ აძლევდნენ იჯარით. ელიზავეტოპოლის გუბერნიაში საიჯარო გადასახადი ერთ დესეტინაზე 70 მანეთამდე, ბაქოს გუბერნიაში — 100, ხოლო ერევნის გუბერნიაში — 200 მანეთამდე აღწევდა[3]. მებამბეებს საშინლად ყვლეფდნენ ბამბის გადამმუშავებელი ქარხნების აგენტები — შემსყიდველები.

ამიერკავკასიაში საკმაოდ გავრცელებულ ტექნიკურ კულტურას

---

[1] Закавказье, გვ. 227.

[2] იქვე, გვ. 229.

[3] იქვე, გვ. 230.

წარმოადგენდა თამბაქო. ყოფილი რუსეთის იმპერიის მეთამბაქოების რაიონებში ამიერკავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. 1912 წ. თამბაქოს პლანტაციების ფართობი ამიერკავკასიაში (9628 დესეტ.) შეადგენდა აზიური და ევროპული რუსეთის თამბაქოს პლანტაციების ფართობის 14,6%-ს, ხოლო მოსავალი (542.526 ფუთი) — 7,3%-ს[1]. ამიერკავკასია განთქმული იყო თავისი მაღალხარისხოვანი ყვითელი თამბაქოთი, რომელიც თურქულ თამბაქოს არ ჩამოუვარდებოდა.

მეთამბაქოება განსაკუთრებით განვითარებული იყო საქართველოში. 1914 წ. საქართველოში თამბაქოს პლანტაციათა რიცხვი უდრიდა 19609 დეს-ს. დათესილი იყო 15.890 დესეტინა. მოსავალი 302,419 ფუთს უდრიდა[2]. პლანტაციების რიცხვი და მოსავალი ყველაზე მეტი აფხაზეთსა და აჭარაზე მოდიოდა. თამბაქო, ისე როგორც სხვა ტექნიკური კულტურა, გაჩნდათ რუსეთში და საზღვარგარეთ. თამბაქოს ადგილობრივი მრეწველობა ნაწილობრივ აკმაყოფილებდა შინაურ ბაზარსაც. 1912 წ. ამიერკავკასიიდან გატანილ იქნა 446,653 ფუთი თამბაქო (აქედან რუსეთში — 375.758 ფ.). 1913 წელს — 529.491 ფ. (აქედან რუსეთში — 448.485 ფ.)[3]. თამბაქოს მოყვანის ტექნიკა პრიმიტიული იყო.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა მეცხოველეობა. მთიან რაიონებში მას ძირითადი ადგილი ეჭირა. მაგრამ მეურნეობის ეს დარგი, ამავე დროს, ყველაზე ჩამორჩენილი იყო. 1913 წლის სტატისტიკური მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა (ათასებში)[4].

ამიერკავკასიის რესპუბლიკები	მსხვილი რქოსანი საქონელი	წვრილი რქოსანი საქონელი	ცხენი	ვირი	ღორი	საქონლის ჯამური დენობა
აზერბაიჯანი	139.42	2.107.7	159.7	46.0	35.3	372.58
სომხეთი	511.4	752 2	37.0	26 5	12.3	134.74
საქართველო	835.1	156.40	80,7	27.8	84.5	259.21

[1] Закавказье, გვ. 239.

[2] საქართველოს სტატისტიკური ცენტრ. სამმართველო. სტატისტიკური კრებული, 1909—1921. თბილისი, 1923 წ., გვ. 38.

[3] Закавказье, გვ. 246.

[4] Закавказье, გვ. 265—269.

1912 წლისათვის ამიერკავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში აღრიცხული იყო 433.847 ცხენი, 164.743 ვირი, 3.544.083 მსხვილი რქოსანი საქონელი, 9.989.883 წვრილი რქოსანი საქონელი, 328.704 ღორი[1]. მოსახლეობის რიცხვთან შედარებით, ცხადია, ეს ციფრი მეტად მცირეა. მაგ., თბილისის გუბერნიაში ყოველ 100 სულზე მოდიოდა 7,6 ცხენი, ქუთაისის გუბერნიაში — 5,3, ბათუმის ოლქში — 2,9[2]. პირუტყვის დიდ რაოდენობას მემამულეები და კულაკები ფლობდნენ. ბევრ მათგანს ათასობით სულისაგან შემდგარი ჯოგი ჰყავდა. მემამულეები და კულაკები სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ უღარიბეს გლეხებს, რომლებიც დაქირავებული ყავდათ მწყემსებად. მესაქონლეობის მხრივ დიდ სიმცირეს განიცდიდნენ გლეხური მეურნეობანი. ამავე დროს ყველა სახის შინაური პირუტყვი მდარე ჯიშისა იყო და დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებოდა.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში გარკვეულ როლს თამაშობდა აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ამიერკავკასიას, მისი ბუნებრივი მონაცემების მრავალფეროვნების პირობებში, სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი შესაძლებლობა გააჩნდა. მაგრამ ცარიზმის კოლონიური რეჟიმისა და ბატონყმურ-ფეოდალური ურთიერთობის მსხვილი გადმონაშთების, ხოლო ზოგ რაიონებში ჯერ კიდევ ხელუხლებელი პირველყოფილ-თემური წყობილების ვითარებაში, ეს შესაძლებლობანი გამოყენებული არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.

XIX საუკუნის 60-იანი წლების აგრარულ რეფორმებს ამიერკავკასიის გლეხური მოსახლეობის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები თითქმის არ გამოუწვევია. ხაზინასა და ფეოდალ-მიწათმფლობელებს რეფორმის შემდეგ თავიანთ სარგებლობაში დარჩათ ამიერკავკასიის მიწების 70,8 პროცენტი (თბილისის გუბერნიაში — 73,1%, ქუთაისისა — 86,3%, ელიზავეტპოლისა—68,7%, ბაქოსი — 68,0%, ერევნისა — 60,7%)[3]. თბილისის გუბერნიის გლეხობას რეფორმის შემდეგ მიწა დიდად შეუმცირდა. 28 ათასი გლეხი მთლიანად უმიწაწყლოდ დარჩა. ტყე და საძოვრები შერჩათ მიწათმფლობელებს. საუკეთესო მიწები ისევ მემამულეებმა შეინარჩუნეს.

---

[1] Кавказский календарь, 1912 г., გვ. 176.

[2] П. Лященко, История нар. хоз. СССР, ტომი 2, გვ. 556.

[3] Проф. П. В. Гугушвили. Аграрные отношения в Закавказье на рубеже 19—20 в. в. Ак. наук. Груз. ССР, 1955 г., Тбилиси, გვ. 18.

რეფორმისშემდგომ ამიერკავკასიაში მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა თითქმის ხელუხლებელი დარჩა. ახალციხის მაზრაში XX საუკუნის დასაწყისისათვის ბეგები ათაბეგოვ-კობლიანსკები ფლობდნენ 19.400 დესეტინა მიწას (სახნავ-სათესებს, ტყეს, საძოვრებს, ბაღ-ვენახებს), პ. ი. ტომაშევიჩი — 4.000 დესეტინას, ვ. და ა. ორბელიანები — 5.600 დესეტინას, ბორჩალოს მაზრაში — თავად ბარიატინსკის ქვრივი — 42.000 დესეტინას, ნ. ტ. ბარათაშვილი — 8.400 დესეტინას, კობულაშვილები — 12.900 დეს., ბარონი კუჩენბახი — 9.600 დეს., ლორის-მელიქოვის ქვრივი — 11.600 დეს., თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკები — 13.100 დეს., ორბელიანები — 67.400 დეს., ასეთივე მსხვილი მიწათმფლობელები გორის მაზრაში იყვნენ: მ. ამირეჯიბი (3.000 დეს.), ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი (13.100 დეს.), ზაალიშვილი (5.600 დეს.), კ. ყიფიანი (4.800 დეს.), დიდი მთავარი მიხ. ნიკ. რომანოვი (68.700 დეს.), მაჩაბელი (13.200 დეს.), ფალავანდიშვილი (19.999 დეს.), ციციშვილი (41.600 დეს.), ბ. ერისთავი (11.800 დეს.), სიღნაღის მაზრაში — ე. ჩოლოყაშვილი (3.400 დეს.), თბილისის მაზრაში — ჩერქეზიშვილი (6.600 დეს.), ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი (4.300 დეს.), თიანეთის მაზრაში გ. და ა. ჩოლოყაშვილები (6.900 დეს.), თავ. ჭავჭავაძეები (15.600 დეს.). რამდენიმე მსხვილი მიწათმფლობელი საქართველოში ფლობდა 824.000 დეს. მიწას, ე. ი. თითქმის იმდენივეს, რამდენსაც 12.535 აზნაური, რომელთაც 380 დეს. მიწაზე ნაკლები ჰქონდათ.

მსხვილი მიწათმფლობელები ქუთაისის მაზრაში იყვნენ დადიანები და გურიელები. საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში უმსხვილესი მიწათმფლობელი იყო ნ. დ. დადიანი, რომელსაც სენაკის, ლეჩხუმის და ზუგდიდის მაზრებში და სოხუმის ოლქში 270.000 დესეტინაზე მეტი მიწა ჰქონდა.

ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში მსხვილი მიწათმფლობელთა რიცხვი, რომელთაგან თითოეულს 1000 დეს. მიწაზე მეტი ჰქონდა, უდრიდა 102. საერთოდ აზერბაიჯანისა და ბაქოს გუბერნიებში მსხვილ მიწათმფლობელთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე საქართველოში. სამაგიეროდ მეფის თვითმპყრობელობა სომხეთსა და აზერბაიჯანში დიდად უწყობდა ხელს რეფორმის შემდეგაც „მიწის ძალაუფლების" დამკვიდრებას. მსხვილი მიწათმფლობელები ცარიზმს სოფლად თავის დასაყრდენად ესაჭიროებოდა[1].

---

[1] Проф. П. В. Гугушвили, Аграрные отношения в Закавказье на рубеже 19—20 вв. Изд. акад. наук. Груз. ССР, 1955 г.

გლეხობის სარგებლობაში გადაცემულ მცირე ნაკვეთებს მძიმე გადასახადები ჰქონდა დაკისრებული. თბილისის გუბერნიაში გლეხური მეურნეობის შემოსავლის 61%, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 55% მემამულეთა სასარგებლოდ მიდიოდა. მცირე მიწიანი გლეხობა იძულებული იყო იჯარისათვის მიემართა. ამით სარგებლობდნენ მიწათმფლობელები და საიჯარო ფასს ყოველწლიურად ზრდიდნენ. 1902 — 1912 წლამდე საიჯარო ფასი საშუალოდ გაორკეცდა[1]. ქუთაისის გუბერნიაში საიჯარო ქირა შემოსავლის 25—50 პროცენტამდე აღწევდა. ერევნის გუბერნიის გლეხობა საიჯარო ქირაში მოსავლის 1/4 ან 1/2 იხდიდა. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ნატურალური იჯარა. ამავე დროს მიწათმფლობელი ამ შემთხვევაში სარგებლობდა დიდი პრივილეგიებით. მოსავლის საუკეთესო ნაწილი მას მიჰქონდა.

ამიერკავკასიაში იმპერიალისტურ ომამდე ძალაში დარჩა დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი. 1868 წ. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისათვის დაწესებული ნაკაზი გამოსასყიდი ოპერაციების შესახებ დიდად განსხვავდებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის დაწესებული ნაკაზისაგან. აქ მემამულეს გაცილებით მეტი პრივილეგიები ჰქონდა მინიჭებული და გამოსყიდვაც მთლიანად მის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული. ამავე დროს მთავრობის სესხები სრულებითაც არ იყო შეფარდებული მიწის ნამდვილ ფასებთან[2] და გლეხობას უხდებოდა დიდი თანხების დამატება, რაც მას არ გააჩნდა. გამოსასყიდი ოპერაციები მეტად ნელა მიმდინარეობდა. თბილისის გუბერნიაში 1864 წლ. 1904 წლამდე გლეხური ნაკვეთების მხოლოდ 29,4% იქნა გამოსყიდული[3]. 1881 წლის კანონი გამოსყიდვის თანხების შემცირების შესახებ ამიერკავკასიას არ შეხებია. მაშინ, როცა რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობა 1906 წლ. 1 იანვრიდან გამოსასყიდი თანხების გადახდისაგან გათავისუფლებულ იქნა, ამიერკავკასიის გლეხობა ისევ განზე დარჩა. დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი გამანადგურებლად მოქმედებდა სოფლის მეურნეობაზე, შლიდა, აჩანაგებდა საწარმოო ძალებს. გლეხობა მეურნეობის ინტენსიფიკაციით დაინტერესებული არ ყოფილა. მიწის დამუშავება მამა-პაპური, პრიმიტიული იარაღებით წარმოებდა. მოსავლიანობა დაბალი იყო. შიმშილობა მუდმივად აღრჩობდა გლეხურ სოფლებს. მემამულეთა ყოვლისშემძლეობას თან ერთოდა ცა-

[1] С. А. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, том 4, Тбилиси, 1920, გვ. 9.

[2] იქვე, გვ. 11.

[3] იქვე.

რიზმის მოხელეთა თვითნებობა, მძიმე სახელმწიფო გადასახადები. ყოველივე ამის გამო სოფლის მეურნეობა არა თუ წინ მიიწევდა, არამედ დაკნინება-გაჩანაგებას განიცდიდა.

მწვავე სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მისწრაფება ამიერკავკასიის გლეხობას აქტიურს ხდიდა 1905 — 1907 წლ. რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. მაგრამ ეს რევოლუცია მარცხით დამთავრდა, ხოლო რეაქციის სუსხიან წლებში მიწათმფლობელთა და მთავრობის მოხელეთა თვითნებობა კიდევ უფრო გაიზარდა.

1905 1907 წლ. მღელვარე ამბების შემდეგ ამიერკავკასიის შეძლებული კლასები და მათი ინტერესების დამცველი — მეფის სატრაპი ვორონცოვ-დაშკოვიც კი ამჩნევდნენ, რომ დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი ამიერკავკასიის გლეხური მოსახლეობის მძიმე უღელი. და ამდენად მისი მღელვარების ერთ-ერთი მიზეზი იყო. ვორონცოვ-დაშკოვი 1907 წელს იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა პირდაპირ გაუარესდა. დროებითი ვალდებული მოსავლის 1/4 ნაწილს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ზოგან 1/3-საც უხდის მებატონეს, მაშინ, როცა ბატონყმობის დროს ეს ვალდებულება მოსავლის 1/5, 1/10 და ზოგჯერ 1/20 ნაწილსაც კი შეიცავდაო[1]. XIX საუკ. 60 წლების ფასების მიხედვით ღალა — განაგრძობს ვორონცოვ-დაშკოვი — ხშირად აღწევს 1 დესეტინა მიწაზე 9 მანეთს, ე. ი. რუსეთის ევროპულ ნაწილში ოდესმე არსებული ღალის სიდიდესთან შედარებით სამჯერ მეტსო. ეს მდგომარეობა, ვორონცოვის აზრით, არის მემამულეთა და გლეხთა მუდმივი დავის, გლეხთა მღელვარების მიზეზი. „გლეხს არც თავის პაწაწინა და გადასახადებით დატვირთულ ნაკვეთზე, არც, რაც უმეტეს, იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე არ შეუძლია მეურნეობაში შეიტანოს რაიმე გაუმჯობესება, ვინაიდან იგი მთლიანად დამოკიდებულია მემამულეზე, რომლის თანხმობის გარეშე უფლებაც კი არ აქვს... მოსავალი აიღოსო“[2]. — წერდა ვორონცოვ-დაშკოვი. გლეხთა მღელვარებით დამფრთხალი მეფის სატრაპი თვითონ ხედავდა, რომ დროებით-ვალდებულებითი ურთიერთობა ვერ შეიძლება ამიერიდან მოსათმენი იყოს, ამ დამოკიდებულების გაუქმებას შეუძლია სიმშვიდე შეიტანოს ამიერკავკასიის მღელვარე გლეხურ მოსახლეობაში.

---

[1] იხ. С. А. Аваляни, Крестьянский вопрос в Закавказье, გვ. 17.
[2] იქვე.

შეფის მთავრობა დიდი ყოყმანის შემდეგ იძულებული გახდა 1912 წლ. 20 დეკემბერს გამოეცა კანონი ამიერკავკასიაში დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. გამოსასყიდი თანხა გლეხობას 56 წლის განმავლობაში უნდა დაეფარა. ამავე დროს, გამოსასყიდი თანხების ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მიწის საბაზრო ღირებულებას. კანონმა განზე დასტოვა ტყით, საძოვრებით, წყლით სარგებლობის საკითხები... ამავე დროს „ჩამონაჭრები“ მემამულეებს დარჩათ.

გლეხთა მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არც ამ კანონს შეუტანია. ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში გლეხებს უნდა გამოესყიდნათ 366 ათასი დესეტინა მიწის ნაკვეთი, რისთვისაც ვეებერთელა თანხა — 20 მილ. მანეთი უნდა გადაეხადათ. ამ თანხების გადახდამდე გლეხობა ისევ მემამულეთა დამოკიდებულებაში რჩებოდა.

გამოსასყიდი აქტების შედგენა-გაფორმება მიმდინარეობდა გაჭიანურებით. კომისიები ისევ მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ. 1913 წლიდან 1917 წლამდე ამიერკავკასიის გუბერნიებში შედგენილ იქნა სულ 2.795 აქტი, ე. ი. 45 პროცენტი. დროებით ვალდებულთა 55 პროცენტი ისევ ბატონყმურ დამოკიდებულებაში დარჩა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1912 წლ. დეკემბრის კანონი სრულებითაც არ შეხებია ხიზნებს, რომლებიც მარტო საქართველოში ექვსი ათასამდე ოჯახს შეადგენდა.

1912 წლის აგრარულმა კანონმა კიდევ უფრო დააჩქარა ამიერკავკასიის გლეხობის სოციალური განფენება, რაც კაპიტალიზმის განვითარების შემდეგ დაიწყო. გაღარიბებული გლეხობის მიწის ნაკვეთები კულაკებმა და მემამულეებმა ჩაიგდეს ხელში. უმიწაწყლო გლეხებმა სამუშაო ძალის გასაყიდად ქალაქს მიაშურეს.

ამიერკავკასიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოკლე მიმოხილვა, ვფიქრობ, ცხადყოფს მხარის სახალხო მეურნეობის დაბალ დონეს, მის კოლონიურ, ნახევრადფეოდალურ ხასიათს. კაპიტალისტთა სწრაფვა მაქსიმალური მოგებისადმი, მუშათა კლასის სასტიკი ექსპლოატაცია, მრეწველობის განვითარების შეფერხება მეტროპოლიის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის და ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ყაჩაღური ძარცვა, სოფლის მეურნეობაში ნახევრადფეოდალური ურთიერთობის ბატონობა, რუტინული, პრიმიტიული ტექნიკა, მწვავე კოლონიური რეჟიმი, მჭონებელი კლასების ყოვლისშემძლეობა—ამიერკავკასიაში საწარმოო ძალების განვითარებას წინ ეღობებოდა. ასეთ პირობებში ამიერკავკასიას, ცხადია, არ შეეძლო აეტანა იმ დიდი ომის სიმძიმე, რომელშიც იგი ცარიზმისა

და ბურჟუაზიის მიერ ჩათრეული აღმოჩნდა. ომმა კიდევ უფრო მოშალა და საბოლოოდ კატასტროფამდე მიიყვანა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ამიერკავკასიაში.

* * *

კავკასიის მმართველი წრეები და შეძლებული კლასები იმპერიალისტურ ომში დიდი ხმაურით ჩაებნენ. განსაკუთრებით დიდი „პატრიოტული“ ციებ-ცხელებით შეპყრობილი აღმოჩნდა კავკასიის ბურჟუაზია, რომელმაც ომის წამოწყებაში მაქსიმალური მოგების ამოქაჩვის დიდი შესაძლებლობა დაინახა. ეს „პატრიოტული ვაკხანალია“ კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, როცა საომარ მოქმედებათა ასპარეზი თვით ამიერკავკასია გახდა.

ადგილობრივმა მმართველობამ ბურჟუაზიის ხელისშეწყობით, პირველ რიგში, ხელი მოჰკიდა მრეწველობის მობილიზაციას, მის გადაყვანას სამხედრო რელსებზე. ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა ომისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვებაზე გადავიდა.

1917 წლის 1 მაისის მონაცემების მიხედვით ომის საჭიროებაზე მომუშავე საწარმოთა რიცხვი და მუშათა რაოდენობა მთლიანად კავკასიისათვის შემდეგნაირად წარმოგვიდგება:[1] (იხ. ცხრილი 58 გვ.).

ამრიგად, კავკასიაში მთლიანად ომის საჭიროებაზე მომუშავე საწარმოთა რიცხვი უდრიდა 328 (50.446 მუშა-მოსამსახურით), ნაწილობრივ მომუშავე საწარმოთა რიცხვი — 236. (28.831 მუშა-მოსამსახურით); მათთან გათანაბრებულ საწარმოთა რიცხვი—221-ს (12.809 მუშა-მოსამსახურით)[2]. ომის საჭიროებაზე მომუშავე მუშათა რიცხვი 78,2%-ს აღწევდა. მრეწველობის მთელი პროდუქციის 71% ხმარდებოდა სამხედრო საჭიროებას.

სამხედრო პროდუქციის გამოშვების ზრდა ამიერკავკასიაში მიღწეულ იქნა არა ახალი ფაბრიკა-ქარხნების ამუშავების, არამედ არსებულ საწარმოთა სამხედრო წარმოებაზე გადაყვანის ხარჯზე. ამან, ცხადია, გამოიწვია ჩვეულებრივი, მშვიდობიანი მოხმარებისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების მკვეთრი შემცირება, რასაც ბაზარზე საშინელი სიძვირე და მოსახლეობის მატერიალური დონის გაუარესება მოჰყვა.

გამოცდილი და ჯანსაღი მუშა-ხელის არმიაში გაწვევამ, ტრანსპორტის მოშლამ და სათბობისა და ნედლეულის მკვეთრმა შემცირებამ დასცა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა მრეწველობის

[1] Россия в мировой войне 1914—1918 г. (в цифрах), Москва, 1925, ცხრ. 66, გვ. 80.
[2] იქვე.

საწარმოთა მოცულობა	მთლიანად ომისათვის მომუშავე			ომის საბიროებ. ნაწილობრივ მომუშავე			ომის საჭიროებაზე მომუშ წარმოებებთან გათანაბ.			ყველა ჯგუფის		
	საწარმოთა რიცხვი	მათ შორის		საწარმოთა რიცხვი	მათ შორის		საწარმოთა რიცხვი	მათ შორის		საწარმო-თა რიც-ხვი	მათ შორის	
		მოსამ.	მუშები		მოსამ.	მუშები		მოსამ.	მუშები		მოსამ.	მუშები
საწარმოები, სადაც 20-მდე მუშა-მოსამს. მუშაობდა . .	134	244	1270	120	219	876	151	252	831	405	715	2977
21-დან—50 .	89	438	2997	50	298	1400	34	154	823	173	890	5220
51-დან—100 .	54	493	3625	18	165	1144	17	283	1101	89	941	5870
101-დან—200 .	42	604	5537	24	459	3291	5	99	958	71	1162	9486
201-დან—500 .	40	1631	11.853	17	655	4737	6	393	1865	63	2679	18455
500-დან—1000 . .	15	963	9343	4	312	2608	7	317	3591	26	1592	15542
1000-დან—5000-მდე .	8	1043	10.405	2	225	2067	1	146	2296	11	1414	15768
5000-ს ზევით .	—	—	—	1	975	—	—	—	—	—	—	9375

პროდუქცია საერთოდ. ომით გამოწვეულმა მეურნეობის საერთო ნგრევამ გავლენა მოახდინა ბაქოს ნავთის მრეწველობაზე. ცხადია, ომმა ნავთზე მოთხოვნილების დიდი ზრდა გამოიწვია. მთავრობამ ნავთის მრეწველობა გასამხედროებულად გამოაცხადა. ფასები ნავთის პროდუქციაზე სამჯერ გაზარდა. მოგებით დაინტერესებულმა მრეწველებმა ხელი მიჰყვეს ბაქოს წიაღისეულის ყაჩაღურ ექსპლოატაციას, მაგრამ მოწყობილობის უქონლობამ, მუშა ხელის შემცირებამ დასცა შრომის ნაყოფიერება. შეწყდა ახალი ბურღვა. 1913 წ. ბაქოში 78.771 მეტრის საერთო სიღრმის ჭაბურღილი იქნა გათხრილი. 1917 წლისათვის — 54.760 მეტრი. ომის დროს, ნავთის კოლოსალური საჭიროების მიუხედავად, ნავთობის მოპოვება არა თუ გადიდდა, არამედ შემცირდა კიდეც[1].

1913 წელს ბაქოს რაიონში ნავთობის მოპოვება უდრიდა 473,1 მილიონ ფუთს, 1917 წელს იგი—391,7 მილ. ფუთამდე, ხოლო ომის ბოლო — 1918 წელს 185,0 მილიონ ფუთამდე დაეცა[2]. დაეცა მარგანეცის მრეწველობა. როგორც ცნობილია, ჭიათურის მარგანეცი თითქმის მთლიანად ექსპორტისათვის მზადდებოდა. ომის წლებში საზღვარგარეთიდან გზების ჩაკეტვამ მარგანეცის მრეწველობა ჩაჰკლა. მკვეთრად შემცირდა მადნის მოპოვება და მუშათა რიცხვი. მარგანეცის მრეწველობის დაცემის სურათს გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი[3].

წ ლ ე ბ ი	ამოღებულია მადანი (ფუთობით)	მუშათა რიცხვი
1913	59.188.000	3.477
1914	40.446.000	3.095
1915	15.737.800	1 220
1916	14.677.800	1 059
1917	12.448.000	686

1918 წლისათვის მარგანეცის ხვედრითი წონა მსოფლიო ბაზარზე 1,59%-მდე, ხოლო 1920 წლის დასასრულისათვის ნულამდე დავიდა.

[1] Статистический сборник, 1913—1917 гг. вып. I. გვ. 78.

[2] Закавказье, გვ. 356.

[3] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., вып. 12, Кутаиси, 1918, გვ. XII.

ომის წლებში მკვეთრად შემცირდა სპილენძის მადნის ამოღება და გამოდნობა. ალავერდის, ახტალის, შამბლუგის, სისიმადანსკის, ქედებექის, ზანგეზურის საბადოებში 1913 წელს ამოღებულ იქნა 9.293.040 ფუთი სპილენძის მადანი, 1914 წელს — 5.810.926 ფუთი, 1915 წელს — 3.195.814 ფ., 1916 წ. — 3.339.690 ფ., 1917 წ. — 2.345.173 ფ., ხოლო 1918 და მომდევნო წლებში იგი სავსებით შეწყდა[1]. საგრძნობლად შემცირდა ქვანახშირის, ტყვიის, ოქროს, ბარიტის მოპოვება[2].

მრეწველობის მობილიზაციამ მოსალოდნელი შედეგები სრულებითაც ვერ გამოიღო. სამხედრო წარმოებაზე გადასული ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია არ გადიდებულა. შრომის ნაყოფიერება სისტემატურად ეცემოდა. სათბობისა და ნედლეულის ნაკლებობის გამო ბევრმა წარმოებამ სრულიად შეწყვიტა მუშაობა, ზოგმაც კი შეამცირა. მაგალითად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში დაიკეტა 5 საწარმო. მუშათა რიცხვი შემცირდა 559 კაცამდე (54,4%); თიხის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა რიცხვი ამავე პერიოდში 33-დან 26-მდე შემცირდა. მუშათა რაოდენობა — 1448 კაციდან 108 კაცამდე[3]. საქართველოში ლითონის, ელექტრონის, ქვის, თიხის დამამუშავებელ, ქიმიურ, ქაღალდის, პოლიგრაფიულ, ბეწვეულ ნივთიერებათა დამამუშავებელ, სანოვაგის, სასმელებისა და ნარკოტიკების მწარმოებელ მრეწველობაში 1913 წელს არსებული 205 საწარმო 1915 წელს 191-მდე შემცირდა, ხოლო მუშათა რიცხვი—7940-დან—6903-მდე[4]. დაიხურა ადელხანოვის ტყავისა და თექის ქარხნები, ღვინისა და კონიაკის ქარხნები თბილისსა და გორში, ბორჯომის შუშის ქარხანა, სადაც 1000-ზე მეტი მუშა მუშაობდა. ზეთსახდელი და საპნის ქარხნები გადაყვანილ იქნენ ომისათვის საჭირო საგნების წარმოებაზე[5].

სომხეთში მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. მსხვილი მრეწველობა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი — სპილენძის გამომდნობი და ღვინო-კონიაკის ქარხნებით. მრეწველობის სხვა დარგებში სჭარბობდა ხელოსნური და კუსტარული წარმოებანი. 1913 წელს სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის პროდუქციის

---

[1] Закавказье, გვ. 112.

[2] იქვე, გვ. 113—115.

[3] სტატისტიკური კრებული, 1909—1921 წწ., გვ. 41—44.

[4] იქვე, გვ. 42—44.

[5] ს. ჩხარტიშვილი, რევოლუციური მოძრაობა საქართველოში პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში (სადისერტაციო შრომა, გვ. 56.)

3/4-ს იძლეოდა. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა 15,5 მილ. მანეთს (1926—27 წლ. ფასებით). იმპერიალისტურმა ომმა, რასაც მოჰყვა თურქთა არაერთგზისი გამანადგურებელი შემოსევანი, სომხეთის სახალხო მეურნეობაზე გამანადგურებელი გავლენა მოახდინა. 1919 წელს სომხეთის სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია შეადგენდა 1913 წლის დონესთან შედარებით 17,2%-ს, ხოლო მრეწველობისა — 8%-ს.

თურქეთთან ომის დაწყების შემდეგ ამიერკავკასიის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრი — ბათუმი უშუალოდ ფრონტისპირა ზოლში აღმოჩნდა. ბათუმის ნავთობის გადამმუშავებელმა ქარხნებმა და სხვა წარმოებებმაც მუშაობა შესწყვიტეს. ბათუმში შეწყდა ყოველგვარი წარმოებისა და აღებ-მიცემობის ძარღვი — წერდა 1914 წლ. კორესპონდენტი ბათუმის რაიონიდან.

იმპერიალისტურმა ომმა ამიერკავკასიის ისედაც ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა რღვევისა და დაშლის გზაზე დააყენა. მოსახლეობის ყველაზე ჯანსაღი და შრომისუნარიანი ნაწილის არმიაში გაწვევამ მეურნეობის ყველა დარგი დასცა. ომის წლებში გაცვდა და დაიმტვრა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომელთა ყიდვა-განახლება ომის პირობებში აღარ შეიძლებოდა. შემცირდა ხორბლეულის ნათესი ფართობი, მებამბეობას, მევენახეობას, მეთამბაქოებას და ინტენსიური მეურნეობის სხვა დარგებს გაჩანაგება დაეტყო: იქლო შინაური პირუტყვის რაოდენობამ. გლეხობას შემოაცვდა აუცილებელი საოჯახო მოწყობილობა, ტანსაცმელი. სოფლებში მასობრივმა სიღატაკემ და შიმშილობამ დაისადგურა.

მარცვლეულის სფეროში სიძნელეებმა, რაც 1910—1912 წლებში უკვე შესამჩნევი იყო ამიერკავკასიაში, ომის წლებში მეტად საშიში ხასიათი მიიღო[1]. ხორბლეულის ნათესები 1915 წელს 1913 წელთან შედარებით 1.114 ათასი დესეტინიდან 725 ათას დესეტინამდე შემცირდა. მოსავალი ამავე პერიოდში 43.885.5 ათასი ფუთიდან 30.592 ათას ფუთამდე დავიდა[2]. კიდევ უარესი მდგომარეობა შეიქმნა 1916 წელს. 1909 — 1913 წლებში სიმინდის, ხორბლის, ქერისა და დანარჩენი პურეულის ნათესების ფართობი საშუალოდ თბილისის გუბერნიაში უდრიდა 337.910 დესეტინას, ქუთაისის გუბერნიაში — 252.617 დესეტინას. 1916 წელს პურეულის იმავე სახის ნათესები

---

[1] პ. გუგუშვილი, მარცვლეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ. 161.

[2] Институт экономич. исследов., вып. VII, Петроград, 1922. Народное хозяйство в 1916 году, გვ. 27.

თბილისის გუბერნიაში შემცირდა 173.071 დესეტინამდე. ქუთაისის გუბერნიაში — 150.816 დესეტინამდე[1]. ნათესი ფართობების შემცირების მიზეზი გახდა გარედან მოსული (უმთავრესად ირანული) მუშა-ხელის მკვეთრი შემცირება ომის გამო, სათესლე მასალის ნაკლებობა და უვარგისობა, საქონლის ჭირი, რამაც მუშა-საქონლის დიდი რაოდენობა იმსხვერპლა, ცხენებისა და ვირების რეკვიზიცია არმიის საჭიროებისათვის და სხვ. შემცირდა არა მარტო ნათესი ფართობების რაოდენობა, არამედ დაეცა მოსავლიანობაც, რაც საირიგაციო სისტემის მოშლით, მიწის ცუდი დამუშავებით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩამორჩენილობით იყო გამოწვეული.

ომის წლებში მძიმე ზიანი განიცადა ამიერკავკასიის ინტენსიურმა მეურნეობამ, რომელიც კვალიფიციურ მუშა-ხელს და გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს მოითხოვდა. ტექნიკური კულტურების მოყვანა, რაც ამიერკავკასიის მშრომელ მოსახლეობას საკმაო შემოსავალს აძლევდა, ომის წლებში შემცირდა და არა რენტაბელური გახდა.

მევენახეობას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი როლი ეკავა. ომის წლებში ვენახის მეურნეობა გაჩანაგების გზაზე დადგა. შეწყდა ყურძნის ნაწარმის ექსპორტი. აიკრძალა ღვინით ვაჭრობა, ვენახებს მოედო (განსაკუთრებით თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში) ფილოქსერა, შაბიაბანის ფასები გაუგონრად გაიზარდა. ვენახებს მოაკლდა მუშახელი, ვენახების ფართობი ომის წლებში 1913 წ. შედარებით საშუალოდ 25%-ით შემცირდა[2]. მაგალითად, თუ 1909 — 1913 წლებში საშუალოდ საქართველოში იყო 45,243 დესეტინა ვენახი და ყურძნის საერთო მოსავალი 7.501.768 ვედროს უდრიდა, 1917 წლისათვის ვენახის ფართობი 37.522 დესეტინამდე, ხოლო მოსავალი 4.734.932 ვედრომდე დაეცა[3]. აქედან ჩანს, რომ იკლო არა მარტო ვენახის ფართობმა, არამედ ყურძნის მოსავლიანობამ ერთ დესეტინაზე (208 ვედროდან 157 ვედრომდე), რაც ვაზების მოუვლელობითა და მავნე სენის გავრცელებით იყო გამოწვეული. მოსავლიანობის დაცემისა და სასურსათო კრიზისის პირობებში გლეხობა მთელ რიგ ადგილებში იძულებული გახდა ვენახის ფართობებზე ხორბალი დაეთესა[4].

---

[1] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 15, ცხრ. 11.

[2] Закавказье, გვ. 298.

[3] სტატისტიკური კრებული, გვ. 37.

[4] Закавказье, გვ. 208—209.

ხორბლეულის ნათესების შემცირებამ, ჩრდილოეთ კავკასიასთან და ვოლგის მხრიდან პურეულის შემოტანის თითქმის შეწყვეტამ, ძუშა-ხელის სიმცირემ, ჩაკლა მებამბეობა. ფასები პურეულზე გაიზარდა, მაშინ როცა ბამბის ფასი თითქმის უცვლელი დარჩა. ამის გამო მოსახლეობამ ხელი აიღო ბამბის მოყვანაზე. ბამბის ნათესები ძკვეთრად შემცირდა და 1917 წლისათვის იგი 1909 წლის დონეზე დავიდა. თუ 1913 წელს ამიერკავკასიაში ბამბის ნათესების ფართობი 127,5 ათას დესეტინას აღწევდა, ხოლო გაწმენდილი ბოჭკოს მოსავალი 1793,0 ათას ფუთს, 1917 წლისათვის ნათესები 52,2 ათას დესეტინამდე შემცირდა, ხოლო მოსავალი — 801,8 ათას ფუთამდე[1].

ასეთივე ბედი ეწვია მეთამბაქოებას. ომის დაწყებიდან ამიერკავკასიის კავშირი საზღვარგარეთის ბაზრებთან შეწყდა. მუშახელის სიმცირემ და სასურსათო სიძნელეებმა, თამბაქოს ფასების უმნიშვნელო ზრდამ, შეანელა მოსახლეობის ინტერესი ამ კულტურისადმი. თურქეთთან საომარი ოპერაციების დაწყების შემდეგ აჭარასა და აფხაზეთში, როგორც ფრონტისპირა რაიონებში (ამიერკავკასიის მეთამბაქოების უველაზე მნიშვნელოვან რაიონებში) პლანტაციები საგრძნობლად შემცირდა. საქართველოში თამბაქოს მოსავალი 1914 წ. 802.419 ფუთს უდრიდა, 1916 წელს—562.922 ფ. დავიდა, ხოლო 1918 წ. — 119.911 ფუთამდე[2]. მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით 1914 წელს თამბაქოს პლანტაციების ფართობი უდრიდა 16.039 დესეტინას, 1918 წლისათვის იგი დაახლოებით 2.240 დესეტინამდე დავიდა[3].

ომიანობის წლებში დიდი ზიანი განიცადა მეაბრეშუმეობამ, მებაღეობამ, რამაც, აგრეთვე, ხელი შეუწყო მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას.

იმპერიალისტური ომის წლებში საგრძნობლად დაზარალდა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი—მეცხოველეობა, რომელსაც სახარბიელო მდგომარეობა არც ომის წინ ჰქონია. 1916 წელს საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1913 წელთან შედარებით 282.814 სულით შემცირდა. წვრილფეხა რქოსანი საქონელი ამავე პერიოდში შემცირდა 751.454 სულით. ცხენი — 43.318 სულით[4]. პირუტყვის საერთო რაოდენობა საქართველოში 1913 წლიდან 1916 წლამდე შემცირდა 29%-თ.

---

[1] Закавказье, გვ. 236.

[2] სტატისტიკური კრებული, გვ. 38.

[3] Закавказье, გვ. 244.

[4] სტატისტიკური კრებული, 1909—1921, გვ. 27.

ამავე წლების განმავლობაში სომხეთში მსხვილფეხა რქოსანი საქონელი შემცირდა დაახლოებით 6.000 სულით. ცხენი — 6.000 სულით[1]. მსგავს მდგომარეობას ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანში: 1913 წელს აზერბაიჯანში აღრიცხული იყო 200 ათასი ცხენი. 1915 წლისათვის 67 ათასი დარჩა. შუშის, ყაზახის, გეოგჩაის და სხვა მაზრებში ომის წლებში დაიღუპა შინაური პირუტყვის 60 პროცენტზე მეტი. ომის წლებში ამიერკავკასიაში მასობრივი სახე მიიღო საქონლის ეპიდემიურმა დაავადებამ, რამაც დიდძალი პირუტყვი იმსხვერპლა. 1917 წლის მაზრობრივი აღწერის მონაცემებით, მაგალითად, საქართველოში გლეხური მეურნეობის 15,3 პროც. სრულიად უსაქონლო იყო, 38,8 პროცენტს არ ჰყოლია მუშა-საქონელი, 36,5 პროც. არ ჰყოლია ძროხა[2]. მნიშვნელოვნად გაუარესდა საქონლის ჯიშიანობა, შემცირდა საქონლის პროდუქტულობა.

ომის წლებში გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა რუსეთის რკინიგზის ტრანსპორტი, რომელმაც ვერ აიტანა რა ომის სიმძიმე, მთლიანად მოიშალა და სახალხო მეურნეობის სწრაფი ნგრევის ერთერთი ხელისშემწყობი პირობა გახდა. იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ ამიერკავკასიის მიმართ. ამიერკავკასიაში ამ მხრივ უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მთავარ მაგისტრალურ ხაზს (ბაქო—ბათუმი) ოდნავადაც არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ერთდროულად არმიისა და მოსახლეობის საჭიროებანი. საქონელთბრუნვა ამიერკავკასიაში ჩაკვდა. შინაგანი გაცვლა-გამოცვლა მოიშალა, რამაც გამოიწვია არა მარტო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაქვეითება-დაკნინება, არამედ ზღაპრული სიძვირე და მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება.

ომის წლებში ჩაკვდა ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა. 1913 წელს ამიერკავკასიიდან გატანილი იყო 123 მილ. მანეთის საქონელი. 1914 წელს იგი 89,5 მილ. შემცირდა, ხოლო 1915 წელს 35,2 მილ. მანეთამდე დავიდა. 1913 წელს ბათუმიდან გატანილ იქნა 45,5 მილ. მანეთის საქონელი. 1915 წლიდან გატანა ამ გზით სრულიად შეწყდა. ასევე შეწყდა გატანა ფოთის, სოხუმის, გუდაუთის ნავსადგურებიდან. ომის პირველ წლებში საგრძნობლად შემცირდა, ხოლო შემდეგ სავსებით შეწყდა ამავე ნავსადგურებით საქონლის შემოტანა ამიერკავკასიაში[3].

---

[1] Закавказье, გვ. 209.

[2] 1917 წლ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის მაზრობრივი ჯამები, ცსს გამოცემა, 1922 წ., გვ. 114.

[3] Кавказский календарь, 1916 г.

ომის წლებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მზარდი ნგრევისა და ანარქიის პირობებში მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები მეტისმეტად გაუარესდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტულობის ნაკლებობამ, მომარაგების საქმის მოშლამ, შინაური ბაზრისათვის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის შემცირებამ, მანეთის კურსის დაცემამ სიძვირის ზრდა გამოიწვია. მუშათა ნომინალური ხელფასი ომის წლებში მცირედ გაიზარდა, მაშინ როცა ფასებმა პირველი მოთხოვნილების საგნებზე ბაზარში ომამდელ დონეს საშუალოდ 400-ზე მეტი პროცენტით გადააჭარბა.

ომის წლებში ადგილი ჰქონდა პურეულზე ფასების შეუნელებელი ტემპით ზრდას. ამას ქვემომოყვანილი საშუალო წლიური მონაცემები ადასტურებს.

პურის საბაზრო ფასები (მანეთობით) თბილისში[1].

პურეულის დასახელება	1913	1914	1915	1916	1917
1. ხორბალი	1.35	1.46	2.30	3.45	9.39
2. სიმინდი .	0.85	1.03	1.16	1 40	2.96
3. ხორბლის ფქვილი ადგილობრივი .	1.60	1.79	2.80	3.81	6 62
შემოზიდული .	2 55	2,71	3 34	4.42	7.60
4. პური ფურნისა I ხარისხის	0.05	0.06	0.08	0.15	
II ხარისხის	0.04	0.04	0.05	0.07	0.10

1916 — 1917 წლებში ომამდელ დონესთან შედარებით პირველმოთხოვნილების საგნები თბილისის ბაზარზე გაძვირდა დაახლოებით 4—5-ჯერ. ეს მაშინ, როცა ნომინალური ხელფასი 1914 წელს 1913 წელთან შედარებით 6%-ით შემცირდა, ხოლო 1915 წელს, მცირე მომატების შემდეგ, ძლივს ავიდა 1913 წლის დონემდე[2]. ფასების ასეთივე უჩვეულო ზრდას ადგილი ჰქონდა ბაქოში, ერევანში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსა და ცენტრებში.

მაგალითად, სასურსათო პროდუქტებზე ომის წლებში ბაქოში

[1] საბაზრო ფასების მოძრაობა საქართველოს სსრ ქალაქებში 1912—1923 წწ. 1924 წ., თბ., გვ. 64.

[2] Статистический сборник 1913—1917 гг., вып. I, т. III, გვ. 121—123.

ფასები 3—4-ჯერ გაიზარდა, ხოლო ხელფასი იმავე დონეზე დარჩა. ამავე დროს სურსათი ქალაქის ბაზარზე მკვეთრად შემცირდა. სასურსათო მაღაზიებთან გაჩნდა გრძელი რიგები. მასობრივი ხასიათი მიიღო სპეკულაციამ.

გარდა ამისა, ომის წლებში ბინათმფლობელებმა საბაზრო ფასების ზრდის შესაბამისად საგრძნობლად გააძვირეს ბინის ქირა, რაც ყველაზე მწვავედ მშრომელი მოსახლეობის ბიუჯეტს დააწვა. მთელმა რიგმა მეწარმეებმა მუშათა სამუშაო დრო თვითნებურად გაადიდეს. გაუარესდა მშრომელთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. თბილისის ადელხანოვის ტყავის ქარხნის მუშათა მდგომარეობას ასე აგვიწერს გაზ. „თანამედროვე აზრი“: „სამუშაო დრო კანონის ძალით განისაზღვრება 9 საათით. მაგრამ ეს კანონი არსებობს მხოლოდ ქაღალდზე და ცხოვრებაში არ ტარდება... ავიღოთ ე. წ. დაბახანი. აქ მუშაობა ნამდვილ ჯოჯოხეთს რომ იტყვიან, ის არის. გარშემო სულ მყრალი სუნით არის გაჟღენთილი ჰაერი. დილიდან საღამომდე მუხლამდე წყალში არიან, იქვე საუზმობენ, სადილობენ და იქვე იცვამენ დანესტიანებულ დასველებულ ტანისამოსს“[1]. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას რომ ეხება, აღნიშნავს: „სიძვირე ბინის, სანოვაგის, ყოველი საცხოვრებელი საგნის, საარაკო სახეს იღებს. 300 პროცენტით გაძვირდა ცხოვრება, ხოლო მუშის ხელფასს 5 პროცენტიც არ მომატებია“[2]. „ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში დაახლოებით 400-ზე მეტი მუშა მუშაობს. მათ შორის 300-მდე ქალები. ქარხანაში მეტად უსუფთაობაა. არ არის არც ზრდილობიანი მოპყრობა, ხელფასი... ძლიერ მცირეა. სამუშაო დღე თერთმეტი საათია, დღის ქირა კი 40 კაპიკიდან 1 მან. და 25 კაპიკამდე ადის“[3].— წერს კორესპონდენტი გაზ. „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე. ნავთის მრეწველების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებში ბაქოელი მუშები 1915 წ. აღნიშნავდნენ: „ომის წინ ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ვიყავით. ომის დაწყებიდან ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი გახდა და რაც უფრო ჰიანურდება ომი, მით უფრო და უფრო იზრდება სიძვირე, რამაც ახლა უკვე ზღაპრულ სიდიდეს მიაღწია და ყოველდღიურად მატულობს“. სამუშაო დღე 12 საათს აღწევდა ნუხის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკებში, ქედაბეჭის სპილენძის საბადოებსა და სპილენძის სადნობ ქარხანაში, ტაუზეს ცე-

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 114, 115 წ.
[2] გაზ. „სახალხო ფურცელი“ № 390, 1915 წ.
[3] გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 231, 1916.

ვეხტის ქარხანაში და სხვ. მუშებს ისე მცირე ხელფასი ეძლეოდათ, რომ მაშინდელი საბაზრო ფასების პირობებში მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეეძლოთ. მუშები შიმშილობდნენ.

მთავრობა ბურჟუაზიულ მოღვაწეებთან ერთად მზარდი სიძვირის თავიდან ასაცილებლად თათბირებზე იწვევდა. 1915 წლის მაისში თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ქალაქის თავებისა და საზოგადო მოღვაწეების ყრილობა. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების ნორმირების საკითხს, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლას, კოოპერატივებისა და სამომხმარებლო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. დაარსებულ იქნა სასურსათო კომიტეტი. ამავე წლის ნოემბერში მეფის ნაცვლის მონაწილეობით თბილისში შედგა თათბირი, რომელიც, აგრეთვე, სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა. თათბირზე სიტყვით გამოსულმა მეფის ნაცვალმა აღიარა, რომ ამიერკავკასიის ქალაქებში სურსათ-სანოვაგის ყოველდღიური გაძვირება მოსახლეობის მდგომარეობას უფრო და უფრო აუარესებს და საშიშ ხასიათს იღებს[1]. ყრილობაზე და თათბირზე მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი, მაგრამ ისინი ან საერთოდ არ ხორციელდებოდნენ, ან უკეთეს შემთხვევაში პალიატურ ხასიათს ატარებდნენ. ომის პირობებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ნგრევისა და სასურსათო სიძნელეების შეჩერება, ცხადია, თათბირებით და რეზოლუციებით არ შეიძლებოდა. მთავრობის წრეებში თათბირობდნენ, მდგომარეობა კი ყოველდღიურად უარესდებოდა.

თბილისის პოლიცმეისტერი ზდანოვსკი 1915 წ. დეკემბრის მოხსენებაში მზარდი სიძვირისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ აღნიშნავდა: „ცხოვრება ქალაქში შეუჩერებლივ ძვირდება. მოვაჭრეთა მტაცებლურმა სიხარბემ და უპატრონო მომხმარებლების წვალებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ამის შესახებ ყოველდღიურად, მრავალგზის ჩივიან და გვთხოვენ დახმარებას საარსებო მინიმუმის შეძენის საქმეში. ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენა დიდ გაჭირვებას განიცდის და მზად არის დათმოს ყოველივე, ოღონდ შეიძინოს პური არსებობისა. მათი მდგომარეობა მძიმე და გამოუვალია. ქალაქში ამჟამად არ იშოვება შაქარი, ფქვილი, ზეთი, ღორის ქონი, კარტოფილი, რძე და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნები.

---

[1] Особое совещание для разработки мероприятий, направленных к устранению возрастающей дороговизны... на Кавказском крае. 1915. Тифлис.

მოსალოდნელია ფასების შემდგომი გადიდება პურსა და ხორცზე. შეუძლებელია რაიმეს შეძენა დაწესებულ ფასებში. თამბაქოც კი არსებულ ფასებზე უფრო ძვირად იყიდება"[1].

სასურსათო სიძნელეებისა და ყოველდღიურად მზარდი სიძვირის გამო ამიერკავკასიის ქალაქებში 1916 წლის თებერვალ-მარტში ადგილი ჰქონდა ე. წ. სასურსათო ბუნტებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა ქალაქის დაბალი მოსახლეობა, უმთავრესად ქალები. 14 თებერვალს ბაქოს ალექსანდრე-ნევსკის ბაზარში მომხმარებელთა ჯგუფმა ვაჭართა მიერ ხორცისა და სხვა პროდუქტების გადამალვისა და სპეკულაციურ ფასებში გაყიდვის გამო მოაწყო მაღაზიების რბევა[2]. პოლიციის საგანგებო ღონისძიებების მიუხედავად, მეორე დღეს, 15 თებერვალს, სასურსათო რბევა უფრო დიდი მასშტაბით დაიწყო. დარბეულ იქნა სკობელევის წისქვილი, გულიევისა და ტაგიევის ფქვილის საწყობები, სავაჭრო მაღაზიები. რბევა ერთდროულად დაიწყო ქალაქის ყველა ნაწილში. პოლიცია, როგორც აღნიშნავს თავის მოხსენებაში ბაქოს გენერალ-გუბერნატორი, უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა მშიერთა ძლიერი ტალღა, რომელიც გაბოროტებული ანგრევდა ყველაფერს და იტაცებდა[3], გამოძახებულ იქნა კაზაკთა ნაწილები. რბევა განმეორდა 16 თებერვალს. კაზაკთა ასეულების დახმარებით პოლიციამ შესძლო 17 თებერვალს წესიერების აღდგენა. დააპატიმრეს ასეულობით ქალი და ბავშვი.

ბაქოს ამბებმა, იმდროინდელი პოლიციური დასმენების ტერმინი რომ ვიხმაროთ, „გამოძახილი" პოვა მთელს ამიერკავკასიაში. 18 თებერვალს დერბენდში ქალების დიდმა ჯგუფმა, კარტოფილის სპეკულაციურ ფასებში გაყიდვის გამო, დაიწყო საპროდუქტო სავაჭროების ნგრევა. წესრიგის აღსადგენად გამოწვეულ იქნა გარნიზონის ნაწილები[4], 22 თებერვალს მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა გროზნში[5].

21 თებერვალს თბილისის პოლიცმეისტერი წერდა: „ბაქოს უწესოებათა ტალღამ ჩვენი ქალაქის გარეუბნამდეც მოაღწია. ეს მესამე დღეა ვუთვალთვალებთ, თუ ცხოვრების გაძვირებისაგან მოთმინება აღვსილი გარეუბნელი მოსახლეობა, რომელიც უმთავრესად მუშა ხალხისა და ქალაქის უღარიბესი კლასისაგან შედგება,

---

[1] საქ. სახელმწ. ცენტრ. საისტორიო არქივი, (შემდეგში საქ. სსრ ცსსა), ფ. 34, ს. 1076, გვ. 2.
[2] საქ სსრ ცსსა, გვ. 2. ს. 4311, გვ. 109.
[3] იქვე, გვ. 110—111.
[4] საქ. სსრ ცსსა, ფ. 2, ს. 4311 გვ. 30.
[5] იქვე, გვ. 29.

პურის საცხობებისა და ხორცის სავაჭრო დუქნების წინ თავმოყრილი, როგორი აღელვებით უზიარებს ერთიმეორეს ხმებს ბაქოს რბევის შესახებ და, ყიდულობს რა დღიურ სურსათს, ბოროტად აშინებს ვაჭრებს იმით, რაც მათ თანამოძმეებს გადახდათ ბაქოში"[1].

თებერვლის დღეებმა თბილისში პოლიციის „ენერგიულობის" შედეგად მშვიდად ჩაიარა. მაგრამ სასურსათო სიძნელეებმა მარტ-აპრილის თვეებში უფრო ძლიერად იჩინა თავი. მშრომელ მოსახლეობაში ყრუ უკმაყოფილება აშკარა დრტვინვაში გადაიზარდა. 30 აპრილს გუბერნატორისადმი მოხსენებაში პოლიცმეისტერის მოვალეობის აღმასრულებელი აღნიშნავს: „ამ დღეებში შესაძლებლობა მქონდა უშუალოდ მედევნებია თვალი ქალაქის მოსახლეობის, განსაკუთრებით მუშებისა და ღარიბების განწყობილებისათვის. ისინი მთელი ღამეების განმავლობაში შხაპუნა წვიმის ქვეშ დგანან პურის საცხობების დაკეტილი კარების წინ და ელოდებიან 2—3 გირვანქა ნახევრად ცომ პურს. მე და ჩემი ხელქვეითი პირები ვისმენდით მათს ოხვრასა და ჩივილს და შეგვექმნა მეტად მძიმე განწყობილება... „წყეულებო! დე, ჩვენ დაგვახრჩონ, შიმშილით სული ამოგვხადონ, მაგრამ ბავშვები ხომ უნდა შეიწყალონ, მათ რა დააშავეს! „წყეული სისხლისმსმელები"!.. — ასე გვესმოდა ჩვენ „ყველა მშიერ ბრბოში"[2].

იელისის დასაწყისში თბილისში განმეორდა ბაქოს ამბები. დარბეულ იქნა ბაზრის სავაჭროები, პროდუქტების საწყობები, სავაჭრო მაღაზიები სხვადასხვა უბანში. ადგილი ჰქონდა პოლიციასთან და კაზაკთა ნაწილებთან შეტაკებას. დაპატიმრებულ იქნა 333 კაცი[3]. უმთავრესად ქალები. „ცარცვავდა ღარიბობა, ბავშვები, ჯარისკაცები, მზარეული ქალები, მეეზოვეები, მოსწავლეები, ხელზე მოსამსახურეები, მოწყალების დები, ოფიცერთა ცოლები, სახლთმფლობელები" — აღნიშნულია პოლიციის დასმენაში[4]. ცხადია, გაბოროტებული მოსახლეობა ნაკლებ უწევდა ანგარიშს იმას, რომ ასეთი დარბევები არა თუ გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას, არამედ პირიქით, კიდევ უფრო ამწვავებდა სასურსათო სიძნელეებს. თბილისში მომხდარმა ამბებმა თავისი „გამოძახილი" ჰპოვეს. სომხეთის, საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში — ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, გორში, ფოთში, სიღნაღში, თელავში და სხვაგან იელისის თვეში ადგილი ჰქონდა სასურსათო ბუნტებს.

---

[1] საქ. სსრ ცსსა, ფ. 34, ს. 693, გვ. 2—ა.
[2] საქ. სსრ ცსსა, ფ. 34. ს. 693. გვ. 28.
[3] იქვე, ფ. 2 ს. საქმე 4375, გვ. 27—28.
[4] იქვე.

ეს სტიქიურად აღმოცენებული ბუნტები, რომლებმაც მთელ რუსეთს გადაუარა, სადაც მტაცებლობისა და ქურდობის ფართო ასპარეზი ქალაქის ბნელ ძალებს (ხულიგნებს, ქურდებს) ეძლეოდათ, ცხადია, სრულებითაც არ წარმოადგენდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ენერგიულ რევოლუციურ ღონისძიებას. პირიქით, იგი რეაქციულ მოვლენად ჩაითვლება. ასეთი არეულობის დროს დაუნდობლად ნადგურდებოდა და ინთქმებოდა ისედაც მცირე მარაგი, ინგრეოდა მაღაზიები, მას ახლდა ხოლმე ყოვლად გაუმართლებელი მსხვერპლი. მაგრამ ეს იყო ობიექტური შედეგი იმ მზარდი სიძნელეებისა, რომლებიც სახალხო მეურნეობის დარგების ნგრევამ წარმოშვა. იგი მოწმობდა ცარიზმის გამოუვალ კრიზისს: მის უუნარობას თავიდან აეცდინა ნგრევის საშინელებანი. იგი ამავე დროს მოწმობდა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ რევოლუციური გზით ცარიზმის დამხობა უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ სასურსათო ბუნტებმა რუსეთის მთელ რიგ პუნქტებში პოლიტიკური ხასიათი მიიღეს. ვ. ი. ლენინი შესაძლებლად თვლიდა ეს სასურსათო არეულობანი გამოყენებული ყოფილიყო მასების გარევოლუციურებისათვის, სამოქალაქო ომის მომზადებისათვის. მასებისათვის უნდა გაენმარტათ, რომ უკვე სახეზეა უდიდესი ძალის ისტორიული ძრავი, რომელიც წარმოშობს უნახავ კრიზისს, შიმშილობას, აურაცხელ უბედურებას. ეს ძრავი არის ომი.

იმპერიალისტურმა ომმა და მის შედეგად გამოწვეულმა სამეურნეო ნგრევამ მკვეთრად გააუარესა ამიერკავკასიის სოფლის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა. შრომისუნარიან მამაკაცების მნიშვნელოვანი რაოდენობა მობილიზებულ იქნა ზურგის სამუშაოებზე. სოფელი მოხუცების, ბავშვებისა და ქალების ამარა დარჩა. რეკვიზირებულ იქნა მუშა საქონელი. ამას თან დაერთო მოუსავლიანობა, სტიქიური უბედურებანი (წყალდიდობა და სხვ.). სოფელში ჩამოწვა შიმშილის საფრთხე. 1914 წელს გლეხობამ კიდევ გაიტანა თავი იმ მარაგით, რაც ომის დაწყებამდე გააჩნდა. განსაკუთრებით სამძიმო შეიქმნა მათთვის 1915 წელი, როცა მინდვრების დაუმუშავებლობის შედეგად მოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა და, ამავე დროს, შეწყდა ხორბლეულის შემოტანა. ამ წლიდან ამიერკავკასიის სოფლებს მოედო შიმშილობა. ცენზურის სისასტიკის მიუხედავად მაშინდელ პრესაში საკმაო ცნობები მოიპოვება სოფლის მოსახლეობის აუტანელი მდგომარეობის შესახებ.

„...ადამიანი ძნელად წარმოიდგენს მას, რაც ამჟამად სოფლებში ხდება. რომ ყველა ეს გაითვალისწინოთ და იგრძნოთ, ამისათვის უნდა დაიარო თქვენივე ფეხით ეს სოფლები, უნდა ნახო ნახევრად შიშველ-ტიტველი ბავშვები, ქალები და დაღვრემილი მამაკაცები, რომლებიც უიმედოდ შეჰყურებენ ერთი მეორეს. აქ ყველაფერს შავი ზეწარი გადაფარებია და საერთო მწუხარების ხმა გაისმის“[1] — წერს კორესპონდენტი საქართველოს სოფლების შესახებ.

„შიმშილმა სამეგრელოში ფართოდ გაშალა ფრთები. ყოველ დღე მსხვერპლი მსხვერპლს ემატება. არ არის სოფელი. სადაც ყოველდღე არ ხდებოდეს შემაძრწუნებელი ამბავი...

სირიაჩქონში ერთმა გლეხმა ჭაში თავი დაიხრჩო. ვერ გაუძლო ბავშვების შიმშილისაგან ტანჯვას[2]... წერს გაზ. „თანამედროვე აზრი“.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა აჭარის მოსახლეობა, რომელმაც თურქეთის შემოსევა განიცადა. კორესპონდენტი გაზ. „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე ასე აგვიწერს აჭარელი გლეხების უბედურებას. „საშიშარი სურათია: გამხდრები, წვირიანები, თმა-წვერ მოშვებულები, ტიტველები. მათი ნახვა უფრო გულშემზარავია, ვიდრე მკვდრებით მოფენილი ბრძოლის ველი. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო... მე ვნახე სრულიად ტიტველი ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაჭრობიათ სირცხვილის გრძნობა და რაღაც მჩვრები (ჯინჭები) შემოერტყათ წელზე, ტანისამოსის ნასახი კი არავის“[3].

შიმშილობამ დაისადგურა აზერბაიჯანისა და სომხეთის სოფლებში. საერთო გაჭირვების პირობებში მეშამულეებმა და კულაკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მშრომელი გლეხობის ექსპლოატაცია. გაიზარდა მოხელეთა თვითნებობა. აზერბაიჯანში ბეგები გლეხობას ძალით ართმევდნენ მიწის ნაკვეთებს. 1915 წელს სოფელ დოლარის გლეხობამ მეფის მოადგილეს კავკასიაში წარუდგინა საჩივარი იმის შესახებ, რომ შამქორელმა ბეგებმა ხელთ იგდეს მათი მიწები. ამავე დროს ისინი გლეხობას საშუალებას არ აძლევდნენ ესარგებლათ სარწყავი წყლით. სოფლები დაბეგრილ იქნა ახალი მძიმე გადასახადებით. ამავე დროს პოლიციის მოხელეებმაც ბნელ ძალებთან კავშირში ხელი მიჰყვეს ისედაც გაძვალტყავებული მოსახლეობის ძარცვას. „სოფელი მამაკაცებისაგან დაიცალა, ყველა

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“ № 102, 1914 წ.
[2] გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 58, 1915 წ.
[3] გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 175, 1916 წ.

ბრძოლის ველზე გაიყვანეს. შიმშილისაგან წელში გატეხილ სოფელს მოევლინენ მედროვენი და განსაცდელში აგდებდნენ მას.

ვინ გინდა დღეს არ სარგებლობდეს არანორმალური პირობებითა და ცხოვრების არევ-დარევით. ძარცვავენ სოფელს გამდიდრების სურვილით გატაცებული ჩარჩ-სპეკულანტები, ძარცვავენ უაჩაღების სახით მოვლენილი საზოგადოების ნაძირალები... ძარცვავენ ისინიც, რომელთა მოვალეობას თითქოს მძარცველებთან ბრძოლა უნდა შეადგენდეს, ძარცვავენ თვით პოლიციის აგენტებიც"[1] — ჩიოდა კორესპონდენტი ლაგოდეხის რაიონიდან.

ომის წლებში ამიერკავკასიის სამეურნეო ნგრევისა და მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესების ჩვენ მიერ ზემომოტანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ ამიერკავკასია, ისე როგორც მეფის რუსეთის იმპერია, გარდუვალი ეკონომიური კატასტროფის წინაშე იდგა. ომის მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო სახალხო მეურნეობის დაბალმა დონემ. დაიწყო საწარმოო ძალების დაშლა და გაჩანაგება. მოიშალა სამეურნეო ცხოვრება მთლიანად, შიმშილის აჩრდილი ჩამოწვა. ომმა გააშიშვლა ქვეყნის ორგანიზმი, გამოაჩინა მისი უკურნებელი წყლულები, მისი სიდამპლე, ცხადჰყო, რომ კრიზისიდან გამოსავალი არსებული წყობილების დამხობა და იმპერიალისტური ომის შეწყვეტა უნდა ყოფილიყო.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მოვლენათა ობიექტური მსვლელობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა. დაემხო მეფის ხელისუფლება, მაგრამ კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ხელუხლებლობამ, როგორც ქვევით დავინახეთ, ოდნავადაც ვერ შეამსუბუქა კრიზისი და, კიდევ უფრო გააღრმავა რა ნგრევა და სიძნელენი, თავის მხრივ ხელი შეუწყო სოციალისტური რევოლუციის მომწიფებას, რევოლუციისა, რომელმაც ძველი წარმოებითი ურთიერთობის დაუნდობელი დამსხვრევით, ახალი საწარმოო ურთიერთობანი შექმნა და ამით საწარმოო ძალების ზრდა-აღმავლობას გზა გაუკაფა.

* * *

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას არსებიფად არ შეუცვლია სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა რუსეთში. ძალაუფლება მებატონე-მემამულეების ნაცვლად ხელთ იგდეს ბურჟუაზიამ და გაბურჟუებულმა მემამულეებმა.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა შემადგენლობის ცვლი-

[1] გახ. „თანამედროვე აზრი" № 239, 1916 წ.

ლებისა და მასში „სოციალისტური“ პარტიების წარმომადგენელთა შეყვანის მიუხედავად, თავისი პოლიტიკით კონტრრევოლუციური და იმპერიალისტური რჩებოდა. მისი ეკონომიური პროგრამის არსი იყო კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნება, რომელიც სახელმწიფო კაპიტალიზმზე ნაწილობრივი გადასვლის, სახელმწიფობრივი რეგულაციის გაძლიერების გზით უნდა მომხდარიყო.

ხელისუფლება რომ ხელთ იგდო, რუსეთის ბურჟუაზიამ უფრო მეტის სიცხადით და რელიეფურად გვიჩვენა მისთვის დამახასიათებელი თვისებები — გააფთრებული სწრაფვა ზემოგებისადმი, უკიდურესი რეაქციულობა, მონური დამოკიდებულება უცხოეთის კაპიტალისადმი. ბურჟუაზიული მთავრობა ხელისუფლების სადავეების დაპყრობიდანვე შეეცადა გადაექცია მშრომელი მასები მემამულეებისა და კაპიტალისტების მორჩილ იარაღად და დაუნდობლად ეყვლიფა ისინი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად სამეურნეო ნგრევა ქვეყანაში კიდევ უფრო გაღრმავდა და კატასტროფული ხასიათი მიიღო. სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების წარმადობა 1917 წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად დაეცა. სამთომადნო მრეწველობა 1913 წელთან შედარებით შემცირდა 44%-ით, ლითონდამუშავებელი—36%-ით, ქიმიური—34%-ით. 1917 წელს ივლისში ამოღებულ იქნა 119 მილიონი ფუთი ქვანახშირი, აგვისტოში — 115 მილიონი ფუთი, სექტემბერში — 110. თუჯის გამოდნობა 1917 წლ. 10 თვეში 17%-ით შემცირდა 1916 წელთან შედარებით. რკინის წარმოება ამავე პერიოდში დაეცა 14,1-%ით. 77 დომენის ღუმელიდან მოქმედებდა მხოლოდ 44. აგვისტო-სექტემბერში დაკეტილ იქნა 231 საწარმო და უმუშევართა რიგებს 61 ათასი მუშა შეემატა. დაიკეტა ურალის საწარმოთა 50%.

კატასტროფულად ეცემოდა რკინიგზის გამტარუნარიანობა. 1917 წლის ოქტომბერში საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 1916 წელთან შედარებით 34%-ით შემცირდა. ბურჟუაზია ეწეოდა საბოტაჟს. მაშინ როცა ფაბრიკა-ქარხნები სათბობის უქონლობის გამო ზედიზედ იკეტებოდა, ქვანახშირისა და ნავთის მფლობელები მალავდნენ მარაგს, რომ იგი მეტ ფასებში გაეყიდათ. სააქციო კომპანიებს და წარმოების მეპატრონეებს სახელმწიფო სალაროდან ეძლეოდათ მსხვილი სუბსიდიები. ფინანსები ნიავდებოდა, ამავე დროს იზრდებოდა სახელმწიფოს ვალი. 1917 წლ. შემოდგომაზე მან 52,8 მილიარდ მანეთს მიაღწია.

კრიზისი თანდათან ღრმავდებოდა სოფლის მეურნეობაში. შეჰ-
ცირდა ნათესი ფართობების რიცხვი. შემცირდა მოსავლიანობა. 1917 წელს აღებულ იქნა მხოლოდ 2.950 მილ. ფუთი ხორბალი. სოფლის მეურნეობას თანდათან აკლდებოდა მუშა ხელი, ცვდებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მცირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტულობა, შიმშილმა დაისადგურა რუსეთში.

მაშინ, როდესაც მემამულეები და კაპიტალისტები ომისა და სპეკულაციის პირობებში ჯიბეებს ისქელებდნენ, მშრომელთა მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობები მეტისმეტად მძიმე იყო და განუწყვეტლივ უარესდებოდა. ქალაქებში მუშებს არ ჰქონდათ პური. პურის ნორმა მცირდებოდა ყოველთკიურად. მუშებს პეტროგრადში, მოსკოვსა და სხვა სამრეწველო ქალაქებში დღეში ნახევარი გირვანქა პური ეძლეოდათ, ისიც დიდი შეფერხებით. სპეკულაცია იზრდებოდა. პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები 1917 წ. 600 — 700 პროცენტით გაიზარდა. შიმშილობა იწვევდა ეპიდემიურ ავადმყოფობათა გავრცელებას. გახშირდა სიკვდილიანობა.

ბურჟუაზიული მთავრობის ყველა ღონისძიება განწირული იყო ჩაშლისათვის; ნგრევასთან და სიძვირესთან მებრძოლი კომიტეტების რეზოლუციები საქმეს ვერ შველოდა. ომი ითქვავდა მატერიალურ დოვლათს. კაპიტალისტები განაგრძობდნენ ეკონომიურ კონტრრევოლუციას, რომ რევოლუცია შიმშილის გაძვალტყავებული ხელით წაეხრჩოთ. ძალაუფლება ხელთ ეპყრათ კაპიტალისტებს, რომლებიც თავის ნებაზე ამოქმედებდნენ კერენსკებს, „ამოქმედებდნენ ისე და მაშინ, როგორც და როდესაც ეს მათ ესაჭიროებოდათ". ათეული მილიონობით მუშისა და გლეხის ინტერესები კი მსხვერპლად ეწირებოდა თითო-ოროლა მდიდრების მოგებას.

თავის ცნობილ სტატიაში „კატოსტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას" ვ. ი. ლენინმა ამომწურავი სიცხადით გვიჩვენა ის მიზეზები, რომლებიც რუსეთს მიაქანებდა გარდუვალი კატასტროფის გზით, ამავე დროს ცხადჰყო მთავრობის უმოქმედობა, კაპიტალისტთა ფარული კონტრრევოლუცია. ვ. ი. ლენინმა ამასთანავე დასახა ის გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის გარდუვალი კატასტროფის თავიდან აცილება.

„1) ყველა ბანკის გაერთიანება ერთ ბანკად და მის ოპერაციებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება ან ბანკების ნაციონალიზაცია.

2) სინდიკატების, ე. ი. კაპიტალისტთა უდიდესი, მონოპოლისტური კავშირების ნაციონალიზაცია (შაქრის, ნავთის, ქვანახშირის, მეტალურგიული და სხვა სინდიკატები).

3) კომერციული საიდუმლოების გაუქმება.

4) მრეწველების, ვაჭრებისა და საერთოდ მეპატრონეების იძულებითი სინდიცირება (ე. ი. იძულებითი გაერთიანება კავშირებად).

5) მოსახლეობის იძულებითი გაერთიანება სამომხმარებლო საზოგადოებად ან ამნაირი გაერთიანების წახალისება და მისი კონტროლი"[1].

ეს ღონისძიებანი მრეწველობაში, ხოლო მიწების კონფისკაციისა და საგლეხო კომიტეტებისათვის მათი გადაცემა სოფლად, შესაძლებელს გახდიდა კატასტროფისა და შიმშილის თავიდან აცილებას. ამ ღონისძიებათა გატარება რუსეთის კაპიტალისტური განვითარების მონოპოლიური სტადიის გამო სავსებით შესაძლებელი და მარტივი იყო. მაგრამ „დემოკრატიული" მთავრობა, რომელიც მხოლოდ სიტყვით იყო დემოკრატიული და სინამდვილეში კაპიტალისტური ბატონობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად და მისი მხარდამჭერი შემთანხმებლები, რომლებიც მხოლოდ სიტყვით აღიარებდნენ სოციალიზმს და ნამდვილად მისი მტრები იყვნენ, ცხადია ამ ღონისძიებებს არ განახორციელებდნენ. პირიქით, ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ კაპიტალისტთა მაროდიორობას, ბანკების ფარულ მაქინაციებს, კომერციული საიდუმლოებათა დაცვას და ხაზინის ქურდობას, ისინი ხელს უწყობდნენ მსხვილ მრეწველთა საბოტაჟს, ახშობდნენ ხალხის ყოველგვარ ინიციატივას პროდუქტების წარმოებისა და განაწილებისადმი კონტროლის საქმეში. ყოველივე ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ დამოკიდებული იყვნენ კაპიტალისტმაგნატებისაგან, რომელთაც რევოლუციის დასამარება ეწადათ და რომლებიც სამეურნეო კრიზისის პირობებში უკეთ ახერხებდნენ მიეღოთ მაქსიმალური მოგება.

დროებითი მთავრობა რომ ამ ღონისძიებათა განხორციელების გზით წასულიყო, მაშინ აღარ იქნებოდა გაბურჟუებული შემამუშლებისა და კაპიტალისტების მთავრობა. ამ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელი იყო დროებითი მთავრობის დამხობის გზით. მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის გზით.

ლენინმა ამავე შრომაში დაასაბუთა, რომ რუსეთში მონოპოლისტური კაპიტალიზმის არსებული დონე გარდუვალს ხდიდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. იგი ამზადებდა ობიექტურ წანამძღვრებს პროლეტარიატის მიერ წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებისათვის, კაპიტალისტური მონოპოლიების გა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 399.

დაჭცევას ისეთ მონოპოლიებად, რომლებიც მთელი ხალხის სარგებლობისათვის იქნებოდა გამიზნული. „...სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლიიდან წინგადადგმული უახლოესი ნაბიჯი. ანუ სხვანაირად: სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლია, რომელიც მიმართულია მთელი ხალხის სასარგებლოდ და ამდენად აღარ არის კაპიტალისტური მონოპოლია"[1].

ბოლშევიკური პარტიის ეკონომიური პროგრამა — მემამულეთა მიწების კონფისკაცია და ყველა მიწის ნაციონალიზაცია, ყველა ბანკის შეერთება ერთ საერთო ნაციონალურ ბანკად და მასზე მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლის დაწესება, საზოგადოებრივ წარმოებასა და პროდუქტების განაწილებაზე საბჭოს კონტროლი, — ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. აქვე, ვ. ი. ლენინმა გასაოცარი სიცხადით უჩვენა, რომ სოციალიზმი სრულებითაც არაა ისეთი რაღაც შორეული და გაურკვეველი, როგორც ეს ეჩვენებათ ესერ-მენშევიკ „თეორეტიკოსებს", რომ „იმპერიალისტური ომი სოციალისტური რევოლუციის წინახანია. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ომი თავის საშინელებით წარმოშობს პროლეტარულ აჯანყებას, — სოციალიზმს ვერავითარი აჯანყება ვერ შექმნის, თუ იგი ეკონომიურად არ მომწიფებულა, — არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი მომზადებაა, მისი კ ა რ ი ბ ჭ ე ა, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა არავითარი შუათანა საფეხური არ არის"[2]. ისტორიაში საერთოდ, და ომის დროს განსაკუთრებით,—მიუთითებდა ვ. ი. ლენინი,—არ შეიძლება ერთ ადგილზე შეჩერება. ან წინ უნდა მიდიოდე, ან უკან, ხოლო წინსვლა რუსეთში, რომელმაც ცარიზმის დამხობით მოიპოვა რესპუბლიკა და დემოკრატიზმი, არ შეიძლება ისე, თუ არ იარე სოციალიზმისაკენ.

*

სამეურნეო ნგრევა, რომელიც ამიერკავკასიაში იმპერიალისტური ომის შემდეგ დაიწყო, ომის მესამე წელს კიდევ უფრო გაღრმავდა. მან კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამიერკავკასიის სუსტი

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 437.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 438.

მრეწველობა, ომის პირველ პერიოდში რომ ძლივსღა ინარჩუნებდა წარმოების ომამდელ დონეს, 1916 — 1917 წლებში სწრაფი დაცემის გზას დაადგა. დაიკეტა რიგი წარმოებანი. მარტო 1917 წელს ბაქოში დაიკეტა 20 ნავთის ფირმა. 1917 წლის იანვარში ბაქოში მოპოვებული იყო 36,6 მილიონი ფუთი ნავთობი. თებერვალში მოპოვება 32,1 მილიონამდე, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში 26,9 მილ. ფუთამდე დავიდა[1]. კრიზისის გამწვავების გამო ბურღვა თითქმის შეწყდა. 1914 წელთან შედარებით ნავთობის მოპოვება 1917 წელს შემცირდა 110 მილ. ფუთით. მუშაობა შეწყდა ტაგიევის საფეიქრო ქარხნებში და 2110 მუშა ქუჩაში ულუკმაპუროდ დარჩა. საგრძნობლად შემცირდა წარმოება აგრეთვე ნუხის აბრეშუმის, თბილისის ფეხსაცმელებისა და საფეიქრო ფაბრიკებში, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, ბათუმის ნავთობის გადამმუშავებელ წარმოებებში, ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში. 1917 წელს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მუშათა რიცხვი 1914 წელთან შედარებით შემცირდა 2.500 კაცით. მარგანეცის მოპოვება 40 მილიონი ფუთიდან შემცირდა 12,6 მილ. ფუთამდე[2].

1917 წელს ამიერკავკასიაში ტრანსპორტი სავსებით მოიშალა და სამეურნეო ნგრევის გაღრმავების ერთ-ერთი ფაქტორი გახდა. მკვეთრად შემცირდა ვაგონების სადღეღამისო დატვირთვა. მწყობრიდან გამოვიდა ასეულობით ორთქლმავალი, რომელთა შეკეთება საჭირო მასალების ნაკლებობის გამო ფერხდებოდა. არ იყო საკმაო საწვავი მასალა. დაზიანებული ლიანდაგების აღდგენა არ ხდებოდა. ტრანსპორტი უმთავრესად ემსახურებოდა სამხედრო მიზნებს. მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის რუსეთიდან შემოტანა გზის გადატვირთულობის გამო მინიმუმამდე შემცირდა. ამიერკავკასია, რომელიც საკუთარი პურით საუკეთესო მოსავლის წლებშიც ვერ კმაყოფილდებოდა, ახლა პურის შემოტანის შეფერხების გამო. შიმშილობის წინაშე იდგა.

სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობაში. 1917 წელს აღებულ იქნა ხორბლისა და სიმინდის გაცილებით ნაკლები მოსავლი, ვიდრე 1916 წელს. თუ გავიხსენებთ იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც ამიერკავკასიის სოფლებში 1916 წელს შეიქმნა პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ნაკლებობის გამო, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ 1917 წელს მშრომელი გლეხობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და მის წინაშე ჩამოწვა

---

[1] Закавказье. გვ. 356.

[2] Закавказье. გვ. 364.

შიმშილობა. სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგები დაცემას განიცდიდნენ. ბამბის, თამბაქოს, ბრინჯის ნათესები სანახევროდ შემცირდა.

ამიერკავკასიის მსხვილ ქალაქებში რევოლუციის პირველ დღიდანვე ერთ-ერთ მწვავე საკითხად იქცა პურის საკითხი. ბაქოს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი თავის დადგენილებაში უკვე მარტის ბოლო რიცხვებში აღნიშნავდა, რომ საჭიროა უმკაცრესი ეკონომია სასურსათო პროდუქტების მოხმარების საქმეში, ფხიზელი მეთვალყურეობა პურის საცხობებისა და მაღაზიებისადმი. სასურსათო კომიტეტის სხდომაზე 19 აპრილს აღნიშნული იყო, რომ ბაქოში სახეზე სურსათის 21—23 დღის მარაგია და მხედველობაშია რა მისაღები პურის ბაზრის მეტად მძიმე მდგომარეობა ამიერკავკასიაში, შიმშილობის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია საბარათო სისტემის შემოღება ქალაქშიო.

პურისა და სურსათის კრიზისმა მაისის შუა რიცხვებიდან მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

გაზ. „იზვესტია“ წერდა:

„აქამდე ჩვენ ბაქოს რაიონში ჯერ კიდევ არ ვგრძნობდით პირველმოთხოვნილების საგნების მკვეთრ ნაკლებობას. ძვირად, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვეძლო გვეშოვა ყველაზე აუცილებელი... მაგრამ ახლა ჩვენი რიგიც დადგა, ახლა ჩვენ აღმოვჩნდით ისეთი ფაქტის წინაშე, როცა ფქვილის მარაგი სავსებით ამოწურულია. ყოველდღიურად იზრდება რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც საათობით დგანან პურის მაღაზიების წინ გამართულ გრძელ რიგში და სახლში ისე ბრუნდებიან, რომ პურის მინიმუმის მიღებასაც კი ვერ ახერხებენო“[1].

სასურსათო საკითხს სპეციალურად მიეძღვნა ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 12—13 მაისის სხდომა. მომხსენებელმა ბოლშევიკმა სტოპანმა ციფრებითა და მაგალითებით ცხადყო გუბერნიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. სტოპანი მიუთითებდა, რომ ბაქოს გუბერნიაში პურის მოხმარების თვიური ნორმა 700 ათას ფუთს შეადგენს. იანვარში მიღებულია მხოლოდ 350 ათასი ფუთი, თებერვალში — 423 ათასი, მარტში — 210 ათასი ფ. აპრილში — 178 ათასი, ხოლო მაისის 12 დღეში — სულ რაღაც 34 ათასი ფუთი. იძულებული ვართ გამოვიყენოთ ხელუხლებელი მარაგი, მაგრამ ისიც უკვე ილევა და ქალაქის მოსამარაგებლად 10—12 დღეს თუ იკმარებსო. სტოპანი აქვე მიუთითებდა ქალაქის სათათბიროს

[1] „Известия Бак. Совета“. 14 მაისი, 1917 წ., № 37.

არათუ გულგრილობაზე, არამედ ხელის შეშლაზე მოსახლეობის პურით მომარაგების საქმეში[1].

ივლისის შუა რიცხვებში ბაქოს ქალაქის სათათბირო უდეპეშებდა ოზაკომს: „პურის შეტანა ქალაქში შეწყდა, მარაგი მხოლოდ ორი დღისაა, მოსალოდნელია სერიოზული ექსცესები სასურსათო საკითხზე და საინტენდანტო ფონდიდან მოგვაშველეთ პური“[2].

ასეთივე მძიმე მდგომარეობას ადგილი ჰქონდა თბილისში, ერევანში, ბათუმში, ქუთაისსა და ამიერკავკასიის სხვა მსხვილ სამრეწველო ქალაქებში.

თბილისის ქალაქის თავი ნ. ელიავა სასურსათო კომიტეტთან ერთად აცხობდა ბრტყელ რეზოლუციებს სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლად, მაგრამ თბილისის მოსახლეობა საშინელ გაჭირვებას განიცდიდა და პურის მათხოვრული ნორმის მისაღებად საათობით რიგებში იდგა. სექტემბერ-ოქტომბერში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. „ჩვენ განვიცდით მძიმე დღეებს — იუწყებოდა 21 ოქტომბერს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და ქალაქის სათათბიროს სასურსათო კომიტეტების ერთობლივი განცხადება.—ქალაქს არ ყოფნის პური, 1 ოქტომბრიდან 14-მდე ქალაქისათვის მიღებულ იქნა 58 ვაგონი ფქვილი, ე. ი. საშუალოდ დღე და ღამისათვის 4 ვაგონი ფქვილი, მაშინ როდესაც ყოველდღიური საჭიროება ფქვილისა ქალაქში აღემატება 7 ვაგონს[3].

შემაშფოთებელი დეპეშები მოსდიოდა ოზაკომს ერევნიდან[4], ელიზავეტპოლიდან[5], დაღესტნის ოლქიდან[6], ქუთაისიდან[7] და სხვ. 20 ოქტომბერს ბაქოდან ს. შაუმიანი უდეპეშებდა ოზაკომს „გუბერნიაში პური სრულიად არ არის. არის შიმშილით სიკვდილიანობის შემთხვევები. ყველაფერი ეს გვაყენებს ახალ გართულებათა წინაშე, აფერხებს დამფუძნებელი კრების არჩევნების მიმდინარეობას“[8].

პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების მკვეთრმა ნაკლებობამ ქალაქებში გააძლიერა სპეკულაცია, გამოიწვია ფასების შემდგომი ზრდა.

---

[1] „Известия Бак. Совета“ № 39.

[2] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო არქივი, ფონდი 721, საქ. 573, გვ. 275. (შემდეგში—ორსა).

[3] გახ. „ერთობა“ № 176.

[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 537, გვ. 4.

[5] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, საქ. 81, გვ. 1.

[6] იქვე, გვ. 38.

[7] იქვე, საქ. 53, გვ. 37—38.

[8] იქვე, საქ. 81, გვ. 48.

1917 წლის სექტემბერში იანვართან შედარებით ბაქოში საბაზრო ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე გაიზარდა: პურზე— 2020 პროცენტით, ხორცზე — 325 პროც., კარტოფილზე — 800 პროც., ბრინჯზე — 517 პროც., მაკარონზე — 529 პროც., თევზზე— 327 პროც., მარილზე — 437 პროც. და სხვ. ფასების ზრდა თბილისის ბაზარზე 1917 წ. პროცენტებში იძლევა შემდეგ სურათს: ხორბალზე — 433 პროც., სიმინდზე — 301 პროც., ძროხის ხორცზე — 508 პროც., კარტოფილზე — 584 პროც., ერბოზე — 524 პროც., შაქარზე — 254 პროც., ნავთზე — 275 პროც. და სხვ.[1]

სურსათის ნაკლებობამ მწვავედ იჩინა თავი ამიერკავკასიის სამაზრო ქალაქებსა და სოფლებში. მაისის დასაწყისში, როცა გლეხობას სავსებით გამოელია მარაგი და ბაზარზე ხორბლის შოვნა, მისი აუტანელი სიძვირის გამო, ხელმოკლე ადამიანებისათვის არ შეიძლებოდა, უკვე დაიწყო შიმშილობა და მისი თანამგზავრის ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელება. თბილისის მენშევიკურ-ესერული საბჭოს ორგანო „იზვესტია“ აღნიშნავდა: „ცუდი ამბები მოგვდის კახეთის სოფლებიდან. შიმშილი გვიახლოვდება თანდათან უფრო მეტის მუქარით. ცუდი კვება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ოჯახის 5—6 წევრზე მთელი დღის განმავლობაში იყოფა 1—1/4 გირვანქა პური. უმწიფარი ხილი აქ დამატებით საკვებად იქცა, რისგანაც ჩნდება სხვადასხვაგვარი ავადმყოფობა“[2]. უფრო მტკივნეული იყო სურსათის საკითხი დასავლეთ საქართველოში, სადაც ღარიბი გლეხობა უმიწობის გამო აუტანელ გაჭირვებას განიცდიდა. გაზეთი „ბრძოლა“ სამართლიანად შენიშნავდა: „სასურსათო კრიზისი გურიაში დღითი დღე მწვავდება, მაგალითად, ოზურგეთში არ მოიპოვება არც პური და არც სიმინდი... ამასთან თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მიმდინარე წელს გურიაში მოსავალი გამესამედდა, ჩვენ ნათლად წარმოგვიდგება წინ აუტანელი შიმშილობა“[3]. იგივე გაზეთი ასე გვიხატავს ზუგდიდის მშრომელი გლეხობის მძიმე მდგომარეობას: „რევოლუციამდის თუ შიმშილის აჩრდილი უახლოვდებოდა ხალხს, დღეს მისი საშინელება პირდაპირ კარებზე აიტუზა და ჯოჯოხეთური ფრთები გაშალა... სპეკულანტების თარეშს საზღვარი არ აქვს.. მერე ვინაა ამის გამკითხავი? ჯერჯერობით არავინ“[4].

10 ივლისს ერევნიდან ოზაკომს უდეპეშებდნენ, რომ ქალაქში

---

[1] თბილისის სტატისტიკური ატლასი, გვ. 4—5.

[2] „Известия Тбилисского Совета“ № 34.

[3] გაზ. „ბრძოლა“ № 20.

[4] იქვე.

სიძვირე აუტანელი გახდა, პური არ იშოვნება, სპეკულაცია უკიდურეს ზომამდე მივიდა და მოსახლეობა იმყოფება შიმშილის წინაშე[1]. 9 ივლისს შეებულებაში მყოფი ჯარისკაცები ნუხიდან ოზაკომისადმი დეპეშაში აღნიშნავდნენ: „შვებულებით რომ სოფელში ჩავედით, ჩვენი ცოლ-შვილი ულუკმაპუროდ დაგვხვდა. მაისის თვეში ისინი თუთით, ბალით და ყხვა ხილით იკვებებოდნენ, მაგრამ ესეც მოილია. ჩვენ შევეცადეთ, რომ სასურსათო საკითხი მოგვეწესრიგებინა, მაგრამ ვერას გავხდით, რადგან ძალაუფლება ქალაქსა და მაზრაში შეძლებულთა ხელშია თავმოყრილიო"[2].

შუშის მაზრიდან იტყობინებოდნენ, რომ მოსახლეობას არ აქვს პური და შიმშილი მძვინვარებს. „თუ გსურთ წარმოიდგინოთ შიმშილობის ჭეშმარიტი სურათი, უნდა ნახოთ ეს ქვრივი ქალები, ობლები და მოხუცები, თვალცრემლიანი რომ გვემუდარებიან მიეცეთ მათ 10 გირვანქა პური... ამისთვის ისინი ფეხით მოდიან ქალაქში შორეული სოფლებიდან"[3].

ოზაკომის რწმუნებული შუშის მაზრის მიმოხილვაში 22 ივლისს აღნიშნავდა სასურსათო კრიზისის უკიდურესად გამწვავებას. იმდენად მძიმეა დამშეული მოსახლეობის მდგომარეობა, რომ არის შიმშილით სიკვდილიანობის შემთხვევები, ბევრ ადგილზე საქმე აჯანყებამდე მიდის,—აღნიშნულია რწმუნებულის მოხსენებაში[4]. მსგავსი მდგომარეობა იყო ამიერკავკასიის თითქმის ყველა მაზრაში[5]. 27 ივლისს ოზურგეთის მაზრიდან უდეპეშებდნენ ოზაკომს: „მესამე დღეა ოზურგეთის მაზრაში არ იშოვება არცერთი გირვანქა პური... მაზრაში სიმინდიც გაქრა... მოსახლეობა ნამდვილად შიმშილობს და აშკარად გამოსთქვამს უკმაყოფილებას. მოსალოდნელია შემდეგი გართულება"[6]. ასეთივე დეპეშები ეგზავნებოდა ოზაკომს ელიზავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ქუთაისის გუბერნიებიდან, დაღისტნის, ყარსის ოლქებიდან[7].

თბილისის საბჭოს 20 აგვისტოს სხდომაზე ქალაქის თავი ნ. ელიავა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „სასურსათო მდგომარეობა მთელს ამიერკავკასიაში კატასტროფიულია. არ არის არავითარი მარაგი, მოსავალი ცუდია და მცირე ხნითაც რომ შეწყდეს

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. ს. 537, გვ. 26.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 575, გვ. 114—115,
[3] იქვე, გვ. 129—130,
[4] ЦГАОР Азерб. ССР, ф. 30, оп. I, д. II, გვ. 63—70.
[5] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 575, გვ. 131—132.
[6] იქვე, გვ. 138.
[7] იქვე, გვ. 170, 241—242; 275, 272.

მოძრაობა ელადიკავკაზის რკინიგზაზე, ჩვენ შიმშილობა მოგველის. აგვისტოს თვეში თბილისის გუბერნიას სჭირდება 480 ვაგონი პურის ფქვილი, სიმინდი და ა. შ. მიღებულია კი 1-დან 19-მდე სულ 109 ვაგონი. ქალაქი მხოლოდ რამდენიმე დღით არის უზრუნველყოფილი. 25 რიცხვიდან ქალაქში შემოღებული იქნება პურის ბარათები. ნორმა — თვითეულ მცხოვრებზე დღეში ნახევარი გირვანქა. შემდეგში შეიძლება მოგვიხდეს ამ ნორმის შემცირებაც. მეტად გაძნელებულია აგრეთვე ქალაქის მანუფაქტურით მომარაგების საქმე"[1]

3 სექტემბერს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე სასურსათო საკითხზე მომხსენებელი მიუთითებდა მთელს ამიერკავკასიაში შექმნილ საშინელ მდგომარეობაზე, აღნიშნავდა, რომ შიმშილობენ არა მარტო სოფლებში, ქალაქებში, არამედ არმიაშიც. იგი მოითხოვდა ზურგის ნაწილებისათვის პურის ნორმის შემცირებას და პირველ რიგში საფრონტო ნაწილების დაკმაყოფილებას[2].

საგუბერნიო კომისრებისა და ოზაკომის საგუბერნიო რწმუნებულების სამხარეო თათბირზე, რომელიც 4 სექტემბრის პირველ რიცხვებში მიმდინარეობდა თბილისში, ელიზავეტოპოლის, ერევნის, ბაქოს, ალექსანდროპოლის, ქუთაისის, თბილისის გუბერნიათა კომისრები თავიანთ ანგარიშებში ჩიოდნენ სასურსათო კრიზისით გამოწვეულ სიძნელეებზე, მღელვარებებზე, ანარქიაზე, ძარცვა-გლეჯაზე და სხვ.[3]

სექტემბერსა და ოქტომბერში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. გახშირდა შიმშილობისა და მის ნიადაგზე აღმოცენებული ექსცესების მაუწყებელი დეპეშები ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე. ბაზრებზე ფასებმა იმატა. თბილისში ოქტომბრისათვის პირველი მოთხოვნილების სასურსათო და სამრეწველო საგნებზე ფასები 1917 წლ. იანვართან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა[4].

ამ კატასტროფული მდგომარეობის შესახებ ბევრს მსჯელობდნენ ოზაკომის მიერ 21 ოქტომბერს მოწვეულ საგუბერნიო კომისრების ყრილობაზე. ბიჩი, ილუშკინი, გენერალ ლევანდოვსკი და სხვები მოითხოვდნენ არსებული სასურსათო ნორმის კიდევ უფრო შემცირებას[5].

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5 ს. საქ. 10, გვ. 76—77.
[2] იქვე, საქ. 13, გვ. 32—35.
[3] იქვე, ფ. 723, ს. 13, გვ. 56—61.
[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, ს. საქ. 143, გვ. 99,
[5] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 428, გვ. 4—25.

სექტემბერში თბილისში მოეწყო სასურსათო საწყობების ჩხრეკა, რამაც დიდძალი გადამალული სამრეწველო საქონელი და პროდუქტები გამოავლინა. მარტო ერო საწყობში გადამალული იყო 500.000 მანეთის ტყავეული. მანუფაქტურის საწყობში აღრიცხულ იქნა 5 მილიონის საქონელი, მაგრამ ჩრხეკა ჩატარდა მხოლოდ ფორმალურად. არ მომხდარა ქალაქის ყველა უბნის შემოწმება. არ ყოფილა დაცული წინასწარი ორგანიზაციული ზომები. ამიტომ ამ ღონისძიებით ისარგებლეს ბნელმა ელემენტებმა, რომლებიც კერძო სახლებში იჭერებოდნენ და ჩხრეკის მომწყობი კომისიის სახელით იტაცებდნენ პროდუქტებს და ნივთებსაც კი[1]. ქალაქის საბჭომ ვერ უხელმძღვანელა რა ამ ღონისძიებას, იგი მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდის ფაქტორად გადააქცია.

* *

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი სასურსათო საკითხს თითქმის ყველა სხდომაზე იხილავდა და ვრცელ დადგენილებებსაც იღებდა, მაგრამ საქმეს დადგენილებანი და კეთილი სურვილები როდი შველოდა. ოზაკომს სასურსათო საკითხების მოგვარება სურდა ისე, რომ არ შეელახა მემამულეების, კულაკების, ვაჭრების, მრეწველების ინტერესები. პირიქით, იგი ფარულად აქეზებდა შეძლებული კლასების კონტრრევოლუციურ ღონისძიებებს როგორც სასურსათო, ისე სხვა საკითხებში. სურსათის მარაგი ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ იგი თავმოყრილი იყო მემამულეების, ვაჭრების, სპეკულანტების ხელში. ეს ბნელი ძალები განგებ აწყობდნენ ხორბლის, ფქვილის, შაქრის, ცხიმეულის გადამალვას, მათი გადაზიდვის შეფერხებას, რომ გამოეწვიათ ბაზარზე ფასების ზრდა.

ოზაკომმა შექმნა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები. ასეთი კომიტეტები არსებობდნენ აგრეთვე ქალაქების თვითმმართველობებთან. სასურსათო კომიტეტები შეიქმნა მხარის ყველა მაზრაში, უბანში. მაგრამ კომიტეტებში უმთავრესად მოკალათდნენ ვაჭრები და სპეკულანტები, რომლებიც საერთო უბედურების ვითარებაში პირად გამდიდრებაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ხალხის მომარაგებაზე. 3 მაისს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე მენშევიკი ცინცაძე აღიარებდა, რომ „ქალაქის თვითმმართველობამ არათუ შესძლო სასურსათო საქმის მოწესრიგება და სპეკულანტების მოსპობა, პირიქით, ხელს უწყობს სპეკულაციის გაღრმავებასო“.

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5 ს. 8, გვ. 104.

ქალაქების სათათბიროებში მოკალათებულ ვაჭარ-მრეწველებს სრულებითაც არ აწყობდად სასურსათო კომიტეტების ღონისძიებანი, რაც გულისხმობდა ბაზარზე ფასების მტკიცე ნიხრის დაწესებას, საწყობების რეგულარულ შემოწმებას, სპეკულანტთა მარაგის რეკვიზიციას და სხვ. ამიტომ ისინი სასურსათო კომიტეტებს ზღუდავდნენ ყოველგვარი სახსრებისაგან და, გარდა ამისა, ართმევდნენ ძალაუფლებას, დამოუკიდებელი მოქმედების ინიციატივას. ბაქოს საქალაქო სასურსათო კომიტეტის ხელმძღვანელ სამუშაოზე მყოფმა კომუნისტმა სტოპანმა მიზნად დაისახა ქალაქში ვაჭარ-სპეკულანტთა წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიების გატარება, განაწილების რეგულაცია, ტრანსპორტის მოგვარება». მაგრამ არც ქალაქის სათათბირომ, არც საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა უმრავლესობამ მის ღონისძიებებს მხარი არ დაუჭირა. როცა ამხ. სტოპანმა წინადადება შეიტანა კასპიის სავაჭრო ფლოტის რეკვიზიციის შესახებ, სასურსათო კომიტეტის წევრმა იაკობსონმა სასტიკად გაილაშქრა ამ ღონისძიების წინააღმდეგ და მას შემთანხმებლურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

ქალაქის სათათბირო არა თუ ეხმარებოდა სასურსათო კომიტეტს ღონისძიებათა გატარებაში, პირიქით, ხელს უშლიდა მას. მუსულმანურმა ბურჟუაზიამ და წვრილმა ვაჭრებმა, სათათბიროს წაქეზებით, ბაქოს სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ მოსახლეობაში დაიწყეს აგიტაცია და შეძლეს კიდეც აეყოლებინათ მისი გარკვეული ნაწილი. 1 ივნისს მუსულმანი მოსახლეობის ბრბო გარს შემოერტყა სასურსათო კომიტეტის შენობას, იმუქრებოდა, მოითხოვდა პურის ნორმების გადიდებას, ინციდენტი ფრიად სერიოზული იყო და მისი ლიკვიდაცია მოხერხდა ენერგიულ ღონისძიებათა შემდეგ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავის სხდომებზე გამოქონდა დადგენილებანი ქალაქში სასურსათო სიძნელეების მოსაგვარებლად, მაგრამ დადგენილებანი არ სრულდებოდა. 17 აგვისტოს ბაქოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სასურსათო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომ პურის დღიური ნორმა თვითეულ სულზე შემცირებულიყო 1/4 გირვანქამდე, მოეხდინათ საწყობების შემოწმება, მიემართათ მოწოდებით მოსახლეობისათვის, აღმასრულებელ კომიტეტს ეზრუნა ქალაქის განტვირთვისათვის, მოსახლეობისათვის ყოველდღე ეუწყებინათ პროდუქტების მარაგის შესახებ და სხვ. მაგრამ ეს დადგენილებაც, გარდა პირველი პუნქტისა, რომელიც პურის რაციონის შემცირებას შეეხებოდა, განუხორციელებელი დარჩა.

19 სექტემბერს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მიკირტუმოვის მოხსენება სასურსათო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, თუ „საბჭოს წარმომადგენლები წინათ აიძულებდნენ ხოლმე ვაჭრებს მათთვის ანგარიში გაეწიათ, ახლა მათ აღარავინ უჯერებს და ისე იქცევიან, როგორც ძველი რეჟიმის აგენტებიო“. მან მიუთითა აგრეთვე იმაზეც, რომ „უწესობანი და გაუგებრობანი ქალაქში ხშირად გამოწვეულია არა იმდენად პროდუქტების ნაკლებობით, რამდენადაც მათი არასწორი განაწილებისა და კონტროლის სისუსტითო“[1]. საბჭოს სხდომებზე არა ერთხელ იყო განცხადებული, რომ შეუძლებელია ბრძოლა სპეკულანტების წინააღმდეგ, რადგან სასამართლოებში ზიან არა დემოკრატიის ინტერესთა დამცველები, არამედ ძველი წყობილების აშკარა მომხრეები, რომ მილიცია და სასურსათო კომიტეტის წევრები ხალხის წინაშე აშკარად ეწევიან ტაციობას და ყველაფერი ეს კეთდება რა საბჭოს სახელით, მისი ავტორიტეტი ხალხში ეცემაო[2].

სურსათის მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობა იყო ერევანში. მუშებისა და ჯარისკაცების ერთსულოვანი მოთხოვნის შემდეგ სიძვირესთან მებრძოლი კომისია, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობდა, იძულებული შეიქნა მიეღო დადგენილება ერევნელი ვაჭრების მიერ გადამალული საქონლის რეკვიზიციის შესახებ. ამ ღონისძიებას ვაჭარ-სპეკულანტებმა კოლექტიური საბოტაჟით უპასუხეს. მათ დაკეტეს ყველა სავაჭრო დუქანი და დეპეშა აფრინეს ოზაკომში სიძვირესთან მებრძოლი კომისიის „უკანონო გადაწყვეტილების“ შესახებ[3]. ოზაკომმა დააკმაყოფილა ერევნის კომერსანტთა კავშირის თხოვნა. რეკვიზიცია აკრძალულ იქნა. სომეხმა ვაჭრებმა ხმა მიაწვდინეს დროებით მთავრობაში რიაბუშინსკის, რომელმაც ოზაკომს დაავალა დაუყოვნებლივ ჩარეულიყო საქმეში და დაეცვა ვაჭარ-მრეწველთა ინტერესები[4]. ჩხენკელმა რიაბუშინსკის მითითების შემდეგ უდეპეშა ერევნის აღმასრულებელ კომიტეტს: „ოზაკომს სიძვირესთან მებრძოლი კომისიის მოქმედება მიაჩნია უკანონოდ, რაც დაუყოვნებლივ უნდა შესწყდეს. გეგმაზომიერი მოქმედება გამორიცხავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა სრული რეკვიზიცია მაღაზიებისა და სავაჭრო დაწესებულების დაკეტვა და

---

[1] Я. Шафир, Очерки Грузинской жиронды. гос. изд. 1925 г. გვ. 15.
[2] იქვე.
[3] საქ. სსრ ორსა. ფ. 723, ს. ს. 537, გვ. 4.
[4] იქვე, გვ. 26.

სხვ. ასეთი ღონისძიებების გატარება შეიძლება მოხდეს მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში[1], დროებითი მთავრობის ნებართვით".

სასურსათო კომიტეტების, სიძვირესთან მებრძოლი კომისიების გადაწყვეტილებანი უკეთეს შემთხვევაში პალიატურ ხასიათს ატარებდნენ, უფრო მეტად კი ისინი ქაღალდზე რჩებოდნენ და პრაქტიკულად ვერ ხორციელდებოდნენ, რადგან მთავრობის ორგანოები კრძალავდნენ მათ, მფარველობდნენ ვაჭარ-სპეკულანტებს, არ იღებდნენ არავითარ გადამჭრელ ღონისძიებებს სასურსათო კრიზისის აღსაკვეთად.

ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობა სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო ნათლად გამოჩნდება სამაზრო სასურსათო კომიტეტების საქმიანობის შესწავლის შედეგად.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ სამაზრო სასურსათო კომიტეტებში უმთავრესად მემამულე-ბეგები, კულაკები, ვაჭრები და სპეკულანტები იყვნენ მოკალათებული. ამას ადასტურებს აგრეთვე ოზაკომის რწმუნებულთა მოხსენებანი, მრავალრიცხოვანი დეპეშები მაზრებიდან. შუშის მაზრიდან 18 ივლისს დეპეშით იუწყებოდნენ, რომ მაზრაში „პროდუქტების განაწილება მოქცეულია ადგილობრივ კულაკთა ხელში, რომლებსაც, ბუნებრივია, არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ ამ საქმეს პირადი სარგებლობის გარეშე. ხორბლის, ფქვილის და შაქრის გამოსასყიდათ ფულის შეკრება ხდება მევახშურ საწყისებზე. შეძლებულ კლასებს შეაქვთ ფული იმ პირობით, რომ თვითეული ოპერაციის შემდეგ თავის სასარგებლოდ შეტანილი თანხის 7—8 პროცენტი აიღონო"[2].

მაზრისა და რაიონის ხელისუფლებაში მოკალათებული ბნელი პირები სასურსათო კომიტეტების მიერ შეძენილ პროდუქტებს თვით ითვისებდნენ და ხალხს მშიერს ტოვებდნენ. იმავე დეპეშაში ნათქვამია, რომ „ცნობილმა ავაზაკმა რაშიდმა თავისთავი გამოაცხადა გუმენის ხეობის კომისრად და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე დათარეშობს სოფელში, აგროვებს ხარკს, ატუსაღებს მცხოვრებლებს და ა. შ."[3]. სასურსათო კომიტეტები სპეკულაციის შტაბებად იყო გადაქცეული ელიზავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ქუთაისის, თბილისის გუბერნიის მთელ რიგ მაზრებსა და სოფლებში. მაისის ბოლო რიცხვებში მუღანისა და შირვანის ველის გლეხთა ყრილობის დელეგატები ლაპარაკობდნენ რა სასურსათო

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 537, გვ. 41.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 575, გვ. 23—24.

[3] იქვე

კრიზისის შესახებ, მიუთითებდნენ სასურსათო კომიტეტების უმოქმედობასა და ფარულ სპეკულაციაზე, მოითხოვდნენ სოფლის კოოპერატივებისა და საკრედიტო ამხანაგობების მოწყობას[1].

სურსათის მკვეთრი ნაკლებობა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობა წამქეზებელ გარემოებად გადაიქცა საზოგადოების ნაძირალა ელემენტებისათვის, რომლებმაც თავის პროფესიად ქურდობა და ძარცვა-გლეჯა გაიხადეს.

დაცემა-ავაზაკობამ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით ელიზავეტოპოლის, ალექანდროპოლისა და ერევნის გუბერნიებში მასობრივი ხასიათი მიიღო. კურდთა შეიარაღებული რაზმები სისტემატურად ესხმოდნენ თავს სურმალოს, ერევნის, შარურის და სხვ. მაზრებს[2]. შუშის, ელიზავეტოპოლის, ნუხის, გეოგჩაის მაზრებში, როგორც ეს სამაზრო და საგუბერნიო კომისრების დეპეშებიდან ირკვევა, ადგილი ჰქონდა სისტემატურ ქურდობასა და ყაჩაღობას[3]. ავაზაკთა ბრბოებს ხელმძღვანელობდნენ ბეგები. ხშირად ასეთ ბრბოებს მფარველობდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ამავე დროს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წამქეზებით, იმავე სასურსათო სიძნელეების ნიადაგზე მეტად გამწვავდა ურთიერთობა თათრულ და სომხურ სოფლებს შორის. სურმალოს მაზრიდან იუწყებოდნენ, რომ მაზრაში სრული ანარქიაა, ქურდობა, დაცემა სისტემატურ მოვლენად იქცა, რომ პატიოსან მოქალაქეებს ეშინიათ ველზე სამუშაოდ გასვლისა. „სოფლელებს ემუქრება უეჭველი სიკვდილი შიმშილობის ნიადაგზე, სოფლის მეურნეობა მთლიანად მოშლილია, გამეფებულია სრული ანარქია და ყველას რწმენა გამსჭვალულია აზრით, რომ ახლა აღარაა არავითარი ხელისუფლება, რომ დანაშაულის ჩამდენთ აღარ მოელის არავითარი სასჯელიო და სხვ.[4]. იმავე დასმენაში აღნიშნულია, რომ თათრულ-სომხურ სოფლებს შორის გაწყდა ყოველგვარი ურთიერთობა, მდგომარეობა დაძაბულია, მოგვაშველეთ ჯარი, შესაძლებელია სისხლისღვრა და სხვ.[5] ირანელი კურდების თავდასხმამ საშინელი ზარალი მიაყენა არაზდაიან-შერემეტიევის სააქციო საზოგადოებას მდ. არაქსის ნაპირზე. თავდამსხმელებმა გაიტაცეს ცხვრები. აიკლეს

---

[1] „Известия Бак. Совета". № 49. 2 ივნისი, 1917 წ.

[2] საქ. სსრ ორსა. ფ, 723, ს. 856, 1917 წ. გვ. 2, 81, 140.

[3] საქ, სსრ ორსა, ფ, 723 ს. 134, გვ. 240—247.

[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. გვ. 856, გვ. 2.

[5] იქვე, გვ, 6.

20-ზე მეტი სოფელი[1]. ხელისუფლების მოშლის, ანარქიის ზრდის, კურდთა რაზმების თავდასხმის ფაქტებს მთელი 1917 წლის მანძილზე ადგილი ჰქონდა ერევნის გუბერნიის ყველა მაზრაში[2].

მზარდი ანარქიის, სასურსათო მდგომარეობის უკიდურესი გამწვავებისა და ხელისუფლების ორგანოების უილაჯობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ის რბევანი, რომელთაც 1917 წელს ადგილი ჰქონდა ერევანში, ქუთაისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში.

ერევანში სპეკულაცია იმ ზომამდე მივიდა, რომ ჩვეულებრივ ფასებში არაფრის ყიდვა არ შეიძლებოდა. ერევნის საგარნიზონო საბჭოს ჯარისკაცმა დელეგატებმა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს მოსთხოვეს ჩარეულიყვნენ საქმეში და დაეწესებინათ ნიხრი პირველმოთხოვნილების საგნებზე. სასურსათო კომიტეტმა ვერავითარი ეფექტური ღონისძიება ვერ გაატარა და ვაჭრები, განაგრძობდნენ რა თვითნებობას, თანდათან ზრდიდნენ ფასებს საქონელზე, ამავე დროს განგებ მალავდნენ პროდუქტებს, რომ უფრო ძვირ ფასებში გაეყიდათ. პირველმოთხოვნილების სამრეწველო საქონელზე ფასების გაძვირებამ გამოიწვია სოფლიდან შემოტანილ სურსათზე ფასების ზრდა. გლეხები ახლა, იმის მომიზეზებით, რომ ფული გაუფასურდა, ცეცხლის ფასად ყიდდნენ პროდუქტებს[3].

როცა ყოველივე ამის მოთმენა შეუძლებელი გახდა, ხელმოკლე მომხმარებლებმა ჯარისკაცების თანხლებით და დახმარებით 6 ივლისს ერევანში მოაწყვეს ბაზრისა და სავაჭრო მაღაზიების რბევა[4].

ბაზრისა და სავაჭრო მაღაზიების რბევას ადგილი ჰქონდა ქუთაისში 24 ოქტომბერს. რბევამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. წესრიგის აღსადგენად გამოძახებული მილიცია ბრბომ განაიარაღა. რბევის შეჩერება ვერც სამხედრო ნაწილებმა შესძლეს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ამიერკავკასიას. თბილისის მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქუთაისს მიაშურეს. 5 ოქტომბრისათვის მოხერხდა რბევის აღკვეთა[5].

მსგავს მდგომარეობას სექტემბერში ადგილი ჰქონდა თბილისში, როცა ბნელმა ელემენტებმა ისარგებლეს საწყობების ჩხრეკის დროს და მაღაზიების რბევასა და საქონლის დატაცებას მიჰყვეს

---

[1] საქ. სსრ ორსა, 723 ს. ფ. 856, გვ. 140.
[2] იქვე, საქმე 856.
[3] გაზ. „Страж свободы".
[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 723. ს. საქ. 537, გვ. 47.
[5] საქ სსრ ორსა, ფ. 5, ს. საქ. 13, გვ. 39—43.

ბელი'. პოგრომების ცდას ადგილი ჰქონდა ბაქოში. ეს რბევანი განსეორება იყო იმ სასურსათო არეულობებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მთელს რუსეთსა და ამიერკავკასიაში 1916 წელს. ეს იყო უკიდურესი გაჭირვებით მოთმინება დაკარგული მოსახლეობის სტიქიური პროტესტი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც სპეკულაციის წინააღმდეგ არავითარ ქმედით ღონისძიებას არ მიმართავდა. რბევა, როგორც ამას ფაქტები ცხადჰყოფენ, ატარებდა სპეკულანტებისა და მსხვილი ვაჭრების დასჯის ხასიათს. „ჩვენ ღარიბებს არას ვერჩით, მხოლოდ მდიდრებსა და ბურჟუებს ვარბევთო— იძახდნენ ჯარისკაცები".

ასეთი სტიქიური გამოსვლები რევოლუციისათვის საზიანო იყო. იგი კონტრრევოლუციური ძალების გამოცოცხლებას უწყობდა ხელს, კიდევ უფრო ამწვავებდა კრიზისს. მიუთითებდა რა ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილის ასეთ განწყობილებაზე გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი" აღნიშნავდა: „არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სტიქიურ მოძრაობასთან, რომელიც თავისთავში ეძებს ნორმალურ გამოსავალს, რომელიც, ვერ პოულობს რა ასეთს, ზედაპირზე წამოტივტივდება ისეთი გასაოცარი ექსცესების სახით, რისგანაც მხოლოდ ერთი ნაბიჯია კონტრრევოლუციის გამარჯვებამდე. რაშია საქმე? შიმშილით განაწამები მუშათა მასები მოითხოვენ ჩხრეკას გადამალული საკვები პროდუქტების გამოსავლინებლად. დემოკრატიის ოფიციალური ბელადები აცხადებენ, რომ ეს უაზრო ღონისძიებაა. ეს მართალია, საყოველთაო ჩხრეკა არაა მიზანშეწონილი, მაგრამ კარგია იგი თუ ცუდი, მასა გვთავაზობს საკითხის თავისებურ გადაწყვეტას. რა გადაწყვეტილებას უპირისპირებს მას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო"[2].

ეს „ერთი ნაბიჯიღა კონტრრევოლუციისაკენ" მენშევიკურ-ესერული ლიდერების შემთანხმებლური მშიშრული პოლიტიკის შედეგი იყო, ისინი ხომ კონტრრევოლუციონერების წინაშე ლაქუცის პოლიტიკას ატარებდნენ და არავითარ ღონისძიებას არ იღებდნენ წარმოებასა და განაწილებაზე კონტროლის გასატარებლად.

ქუთაისში მომხდარი რბევის საკითხი იხილებოდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ოქტომბრის სხდომაზე[3]. მომხსენებელი შარაშიძე (მენშევიკი) და მოკამათეები რბევას ჯარისკაცების გაუნათლებლობას, უდისციპლინობას აბრალებდნენ.

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს, ქ. 8, გვ. 104.

[2] „Бакинский рабочий" № 45.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. ს. საქ. 13. გვ. 39—43.

არაფერს ამბობდნენ იმის შესახებ, თუ რა იყო მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზი.

საბჭოს ბოლშევიკმა დელეგატებმა სწორად ახსნეს რბევის გამომწვევი მიზეზები, მიუთითეს ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობაზე. ომისა და ეკონომიური კონტრრევოლუციის ვითარებაში კვლავ მოსალოდნელია ასეთი ექსცესებიო — ამბობდნენ ბოლშევიკები. იგი მოისპობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი ხელისუფლება გადავა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში, საბჭოებისა, რომლებიც შესძლებენ განახორციელონ მშრომელი მასების სასიცოცხლო მოთხოვნებიო.

* *

ბოლშევიკურ პარტიას მიაჩნდა, რომ სამეურნეო ნგრევის შეწყვეტა და სასურსათო კრიზისის საბოლოო ლიკვიდაცია შეუძლებელი იყო დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ბატონობის პირობებში, როცა ომი ისევ გრძელდებოდა და კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება კი შეუზღუდველი რჩებოდა. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც, საბჭოებისა და ადგილობრივი სასურსათო ორგანოების მოქნილი მუშაობისა და მთავრობის საქმიანი დახმარების შედეგად, შეიძლებოდა მდგომარეობის შემამსუბუქებელი პალიატურ ღონისძიებათა გატარება, არმიისა და მოსახლეობის შიმშილობის თავიდან აცილება დროებით.

ბოლშევიკები, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, სათავეში ედგნენ სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ ორგანიზებულ ბრძოლას, დაჟინებით მიუთითებდნენ სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის ხელისშეწყობის, ბაზრებზე და სავაჭრო დაწესებულებებში მტკიცე ნიხრის დაწესების აუცილებლობაზე, საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებაზე და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს ადგილობრივი მენშევიკურ-ესერული ხელისუფლების უმოქმედობისა და ხშირ შემთხვევაში ხელისშეშლის გამო ვერ ხორციელდებოდა. მაგალითად, ბაქოს სასურსათო კომიტეტის ხელმძღვანელი ამხ. სტოპანი თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ენერგიულად შეუდგა მოსახლეობის დარაზმვას სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლისათვის, მაგრამ ქალაქის სა-

თათბიროს პირდაპირი საბოტაჟის და საბჭოს უმოქმედობის გამო რაიმე ეფექტური შედეგების მიღება შეუძლებელი გახდა[1].

ამიერკავკასიის ზოგიერთ მაზრებსა და ქალაქებში, სადაც სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას სათავეში ბოლშევიკები ედგნენ, მდგომარეობა უკეთესი იყო. სპეკულანტები ველარ ახერხებდნენ თარეშს, ვაჭრები იძულებულნი იყვნენ ნიხრის მიხედვით გაეყიდათ საქონელი. ამავე დროს, ცალკეული კომისიები ეწეოდნენ პურისა და სურსათის ორგანიზაციულ შესყიდვასა და განაწილებას. მთელ რიგ სოფლებში სურსათის საქმეს უნარიანად ხელმძღვანელობდნენ გლეხთა კომიტეტები.

მაგრამ ომისა და განუწყვეტელი სამეურნეო ნგრევის ვითარებაში, ვიმეორებთ, საბოლოო ჯამში შეუძლებელი იყო შიმშილობის თავიდან აცილება და რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა მდგომარეობა, მწვავდებოდა კრიზისი, შიმშილობა. ქვეყანა კატასტროფისაკენ მიექანებოდა. ზედიზედ გაკოტრებასა და კრახს განიცდიდნენ მთავრობის ღონისძიებანი ნგრევისა და კრიზისის თავიდან აცილების საქმეში. კრახს განიცდიდნენ მმართველი პარტიები — კადეტები, მენშევიკები, ესერები. რადგან მათ რუსეთის მართვის 8 თვის მანძილზე - ვერაფრით ვერ შესძლეს შეეკავებინათ კატასტროფის მუქარა, პირიქით, არიე-დარიეს საქმე, გააძნელეს სამხედრო მდგომარეობა, რუსეთი დაღუპვის კარამდე მიიყვანეს.

ქვეყნად შექმნილი ვითარება საუკეთესო ჭკუის სასწავლი გაკვეთილი იყო ხალხისათვის. მშრომელი მასები გამოცდილებით რწმუნდებოდნენ ბურჟუაზიის ზრახვებში, შემთანხმებლების ღალატში, მათი პოლიტიკის უსუსურობაში, რადგან საქმით, არსებითად ეს პარტიები ეწეოდნენ რა წვრილ ბურჟუაზიას ბურჟუაზიასთან კავშირისაკენ, მერყეობდნენ რა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ამით წყალს კონტრრევოლუციის წისქვილზე ასხამდნენ.

მასების დიდ უმრავლესობას აღარ სჯეროდა შემთანხმებელთა მოთაფლული სიტყვებისა და დაპირებების, რადგან დრო მიდიოდა და მდგომარეობა უარესდებოდა.

„რაც უფრო სრულია ესერებთან და მენშევიკებთან ბურჟუაზიის კავშირის კრახი, მით უფრო მალე ისწავლის ხალხი ჭკუას. მით უფრო ადვილად იპოვნის იგი სწორ გამოსავალს: ეს არის უღარიბესი

---

[1] Степани, Из моего последнего бакинского прошлого. („Бакинский рабочий" № 62, 21 მარტი, 1923 წ.).

გლეხობის, ე. ი. გლეხთა უმრავლესობის კავშირი პროლეტარიატთან"[1] — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი.

სამეურნეო ნგრევისა და შიმშილობისაგან თავის დაღწევის რეალური ეკონომიური პროგრამა ბოლშევიკურ პარტიას ჰქონდა შემუშავებული. იმპერიალისტური ომის დამთავრება, მიწების ნაციონალიზაცია, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესება, ბანკების, ტრესტირებული მრეწველობის ნაციონალიზაცია ქვეყანას საშუალებას მისცემდა ფეხზე წამომდგარიყო, მოეშუშებინა ჭრილობები და დაეწყო აღდგენა დანგრეული სახალხო მეურნეობისა.

მაგრამ ბურჟუაზიული მთავრობა ვერცერთ ამ ღონისძიებას ვერ განახორციელებდა. იგი მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეკონომიური კანონის კარნახით მოქმედებდა და აჩანაგებდა რა საწარმოო ძალებს, უფრო მეტად აღრმავებდა კრიზისსა და აახლოებდა კატასტროფას. მაშასადამე, ერთადერთი გამოსავალი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობა და რევოლუციური მთავრობის შექმნა იყო. მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო ეხსნა მდგომარეობა. ეს რევოლუცია მომზადებული იყო. მისი გამარჯვების ობიექტური ფაქტორები არსებობდა. იგი გარდუვალი იყო, რადგან რუსეთი ან უნდა დაღუპულიყო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო, ან წინ უნდა ევლო, შეუძლებელი იყო ერთ ადგილზე გაჩერება. რუსეთის წინსვლა კი შესაძლებელი იყო მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით".

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 446.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 437.

თ ა ვ ი II

1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ამიერკავკასიაში

1916 წლის მიწურულსა და 1917 წლის დასაწყისში ცარიზმის კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

ცარიზმს განუდგა არა მარტო მეტროპოლიის, არამედ განაპირა მხარეების ბურჟუაზიაც. ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იდეამ, რასაც ცარიზმის იდეოლოგები რუსეთის იმპერიის ძალისა და ძლიერების სიმბოლოდ აცხადებდნენ, ომის წლებში საფუძვლიანი შეურყევა განიცადა. განაპირა მხარეების ბურჟუაზიულმა წრეებმა, რომლებიც აქამდე ასეთუისე იტანდნენ მეტროპოლიის ბურჟუაზიის მხრივ შევიწროებას, ახლა, როცა ფრონტებზე დამარცხებულ და სამეურნეო ნგრევით სულშეხუთულ რუსეთში მშრომელი მასების რევოლუციურმა მოძრაობამ მძლავრი აღმავლობა იწყო, გეზი უკვე სეპარატიზმზე აიღეს.

ამიერკავკასიის ბურჟუაზია და მემამულეები ყოველთვის ერთგული მოკავშირეები იყვნენ რუსეთის ცარიზმისა, რომლის აპარატი — პოლიცია, ჟანდარმერია, ჯარი — მათ კლასობრივი ბატონობის დასაცავად სჭიროდათ. ამ კლასების ინტერესების დამცველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები მხოლოდ ვაჭრობდნენ ცარიზმთან ზოგიერთი დათმობების გარშემო, რომელთაც ადგილობრივი ბურჟუაზიული წრეებისათვის მეტი დამოუკიდებლობა უნდა მოეტანა. ამიერკავკასიაში ბურჟუაზიას დიდი ხანია გადაგდებული ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა. პროლეტარული რევოლუციის აღმავლობის ვითარებაში, თავისი კლასობრივი ბატონობის შესანარჩუნებლად იგი ცარიზმის კალთებს ეფარებოდა. მაგრამ, ახლა, როცა მასების მოძრაობის ტალღებს ტალღები ემატებოდა, ხოლო ცარიზმი უფსკრულის პირას იდგა, ბურჟუაზიამ ისევ სცადა სახალხო ინტერესების მედროშის როლში გამოსულიყო და ამ საფარქვეშ ეკეთებინა თავისი ვიწრო კლასობრივი საქმე. სოციალ-ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები, „დამო-

უკიდებელ საქართველოზე“, დაშნაკები „დიდ სომხეთზე“, მუსავატელები „მუსლიმანურ აზერბაიჯანზე“ ალაპარაკდნენ. ამავე დროს ზოგიერთი ამ პარტიებიდან არც კი თაკილობდა კავშირი შეეკრა ამიერკავკასიის ხალხთა დაუძინებელ მტერ თურქეთთანაც კი.

1905 — 1907 წლ. რევოლუციის შემდეგ ცარიზმი ამიერკავკასიაში თავისთავს მაინცდამაინც მტკიცედ ვერ გრძნობდა. მძლავრი სახალხო მოძრაობით შეშინებული, იგი ამიერკავკასიის შეძლებულ კლასებს ელაქუცებოდა, მათ მრავალ დაპირებას აძლევდა. ვორონცოვ-დაშკოვმა განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ აიყვანა სომხეთის ბურჟუაზია, მაგრამ ამ პოლიტიკამ ქართველი და აზერბაიჯანელი მემამულეებისა და ბურჟუაზიის უკმაყოფილება გამოიწვია. იმპერიალისტური ომის პერიოდში ამიერკავკასიის გაბატონებულ კლასებთან და მათი ინტერესების გამომხატველ პარტიებთან მოქნილ პოლიტიკას ცარიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ ვორონცოვ-დაშკოვი, რომელზედაც ცარიზმის მოხელეებიც კი ჩიოდნენ როგორც მიხრწნილ, ორიენტაცია დაკარგულ მოხუცზე[1], გაწვეულ იქნა და მის ნაცვლად კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დანიშნა მეფის ბიძა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვი. როგორც ჩანს, იგი კარგად იყო ინფორმირებული ამიერკავკასიის შეძლებული კლასების პრეტენზიების შესახებ. ჩამოსვლისთანავე მან ხელი მიჰყო ამ კლასებთან პირფერობის პოლიტიკის გატარებას. მეფისნაცვალი ფარისევლური დაპირებებით თაფლავდა ადგილობრივ ბურჟუაზიულ წრეებს, აღუთქვამდა მათ უფლებების გაფართოებას, ადგილობრივ მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობას. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ კავკასიისადმი მისი „განსაკუთრებული ყურადღების“ გამოსაჩენად იმთავითვე დაიწყო ზრუნვა საერობო მმართველობის გატარებისათვის.

1915 წლ. ივნისში ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის მიერ გატარებულ იქნა კავკასიაში სოფლის მმართველობის რეფორმა. გარეგნულად ეს თითქოს საერობო რეფორმის მსგავს ღონისძიებას მოასწავებდა და კავკასიის სოფლებში მმართველობის ორგანოებში დემოკრატიული

---

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ვორონცოვ-დაშკოვზე ნათქვამია: „...კაცი მეტისმეტად ავადმყოფი და მიხრწნილი... ყველაზე საგანგაშო დღეებში, რასაც კავკასია განიცდიდა სარიყამიშზე თურქების შესევის დროს, ის არავის არ იღებდა და არც არავის ანდობდა თავის ძალაუფლებას. ამის შედეგად კავკასიაში გამეფებული იყო და ახლაც გამეფებულია სრული უხელისუფლებობა. ყველა აკეთებს იმას, რაც მას მოესურვება, ხოლო ხალხში დაჟინებით დადის ხმა იმის შესახებ, რომ კავკასიას მართავს გრაფინია ვორონცოვა-დაშკოვა.

წრეების მონაწილეობის პერსპექტივას ქმნიდა, მაგრამ, ფაქტიურად, არჩევნების მრავალგვარი შეზღუდვანი ამ შესაძლებლობას გამორიცხავდნენ. რეფორმამ ვერ შესცვალა წოდებრივი პრინციპი ამიერკავკასიის სოფლის მმართველობაში. სოფელი ისევ მოხელეების თვითნებობის მსხვერპლად დარჩა.

ადგილობრივი გავლენიანი წრეები და მათი წარმომადგენლები სახელმწიფო სათათბიროში დაჟინებით მოითხოვდნენ კავკასიაში ერობის შემოღებას. კრიზისის პერიოდში ცარიზმი იძულებული შეიქმნა ამ მოთხოვნაზე, თუნდაც ფორმალურად, დათანხმებულიყო. მეტისმეტი ზლაზვნით დაიწყო სამზადისი საერობო რეფორმისათვის. 1916 წლის აპრილში მეფისნაცვალმა ერობის საკითხზე მოიწვია სამხარეო თათბირი, სადაც მხოლოდ შეძლებული კლასები იყვნენ წარმოდგენილი. სექციებსა და პლენარულ სხდომებზე ხანგრძლივი და ცხარე მსჯელობათა შემდეგ კავკასიაში ერობის ფორმად მიღებულ იქნა 1890 წლის დებულება რუსეთში ერობათა შესახებ.

ეს დებულება გამორიცხავდა ერობაში დემოკრატიული წრეების მონაწილეობას. იგი მსხვილი მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს აკმაყოფილებდა. მაგრამ ერობის ასეთი შეზღუდული პროექტის ცხოვრებაში გატარებაც კი აშინებდა ცარიზმს და მის დამტკიცებას აგვიანებდა. ეს პროექტი მინისტრთა საბჭოში განსახილველად შეტანილ იქნა მაშინ, როცა ცარიზმის დღეები დათვლილი იყო. ასე რომ პროექტი პროექტად დარჩა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ, როცა რუსეთის პროლეტარიატის მძლავრ რევოლუციურ გაქანებას მხარი დაუჭირა არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს აღარ შეეძლოთ მოვლენების მშვიდ მეთვალყურედ დარჩენილიყვნენ. ცარიზმის დაღუპვა მოახლოებული იყო. ხელისუფლების სადავეების ხელში აღებაზე გარკვევით ლაპარაკობდნენ ცენტრის ბურჟუაზიული მესვეურები. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიების წინაშე დაისვა საკითხი— როგორი უნდა ყოფილიყო მათი პოზიცია მომავალი შეჯახების ვითარებაში. ახლა ცარიზმთან ლაქუცი და მისი იდეოლოგიის დაცვა, ბურჟუაზიის აზრით, დააფრთხობდა მასებს, რომლებიც უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ახლა საჭირო იყო ერის ინტერესების საფარი და მომავალში თავისი ვიწრო კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ წამყვანი როლის შენარჩუნება. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომელთა ზურგს უკან ამიერკავკასიის შეძლებული კლასები იმალებოდნენ,

გააქტიურდნენ. ნაციონალ-დემოკრატებმა და ფედერალისტებმა კავკასიის ტერიტორიული ავტონომიის პროპაგანდა განაახლეს. ნაციონალ-დემოკრატები გაჰყვიროდნენ, რომ კლასობრივი ინტერესები უნდა დავივიწყოთ და ყველაფერი ეროვნულ ინტერესებს დაუმორჩილოთო. „ეროვნულ ინტერესებში“ ისინი გულისხმობდნენ დამოუკიდებელ საქართველოს, რა თქმა უნდა, ქართველი ბურჟუაზიის მეთაურობით. დაშნაკები, მუსავატელები გაცხარებით მსჯელობდნენ „დიდ სომხეთსა“ და „დიდ აზერბაიჯანზე“, ამავე დროს ერთმანეთს აბეზღებდნენ მეფის ნაცვლისა და ხალხის წინაშე. ყველა ეს პარტია სახალხო რევოლუციისადმი ცხოველური შიშით იყო გამსჭვალული. თუ რუსეთის ცარიზმი უილაჯო აღმოჩნდებოდა რევოლუციის აღკვეთაში, ისინი სრულებითაც არ თაკილობდნენ კავშირი დაემყარებინათ დასავლეთის იმპერიალისტურ წრეებთან. გერმანიის იმპერიალიზმმა ადრევე აუღო რა ალღო ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიების სულისკვეთებას, ამიერკავკასიაში ფართო ჯაშუშური ქსელი გააბა. თურქეთი იმედს ამყარებდა აზერბაიჯანელი ბეგების მხარდაჭერაზე. ქართველი ფედერალისტები „მომავალი საქართველოს მოწყობაში“ ქართველი ხალხის საუკუნეობრივ მტერთან — თურქეთთანაც კი საერთო ენის გამონახვას ცდილობდნენ. რაც შეეხება მენშევიზმს, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველ პარტიას, იგი ამიერკავკასიაში დაჟინებით ეწეოდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროპაგანდას. ასეთი ავტონომია კი, უაზრო და ბურჟუაზიული ბუნებისა საერთოდ, აშკარა რეაქციული იყო მრავალეროვან ამიერკავკასიაში, იგი აქ შხამავდა ატმოსფეროს, ავრცელებდა სხვადასხვა ეროვნების მუშათა ურთიერთუნდობლობისა და განკერძოების ტენდენციებს.

არცერთ ამ პარტიას უნარი არ გააჩნდა სათავეში ჩადგომოდა ამიერკავკასიის მშრომელი კლასების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს მოძრაობა მიმართული იყო ადგილობრივი სოციალური ჩაგვრისა და ცარიზმის მწვავე კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. ხოლო როგორც ერთის, ისე მეორის აღკვეთაში, პირველყოვლისა, დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის მუშათა კლასი და გლეხობა. ამ მოძრაობის ბელადი შეიძლება ყოფილიყო და იყო კიდეც მუშათა კლასი, რადგან მხოლოდ მას, ერთადერთს შეეძლო ბოლომდე მიეყვანა ორმაგი ჩაგვრისაგან ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების საქმე. ცხადია, ამიერკავკასიის პროლეტარიატი დამოუკიდებლივ ვერაფერს გააწყობდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გადამწყვეტი შეტევა, საავანგარდო ბრძოლები ამ მხრივ რუსეთის პროლეტარიატს ჰქონდა დაკისრებული და იგი

ამ საქმეს წარმატებით ართმევდა თავს. ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერესები სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში განუყოფელი იყო რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებთან. ცხადია, ისინი ერთიანი ფრონტით უტევდნენ. ბურჟუაზიული პარტიების მთელი პოლიტიკა კი ეროვნებათა გათიშვისაკენ იყო მიმართული.

ამგვარად, ამიერკავკასიის მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური პარტია იყო, რადგან ამ პარტიის მთელი პროგრამა, მათ შორის პროგრამა ნაციონალურ საკითხში, სავსებით ითვალისწინებდა მშრომელი კლასების ყველა სასიცოცხლო საკითხის გადაწყვეტას ცარიზმის დამხობისა და პროლეტარული რევოლუციის განხორციელების გზით.

იმპერიალისტური ომის წლებში, ცარიზმის ველური რეპრესიების მიუხედავად, ამიერკავკასიაში მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობა არ ჩამკვდარა. 1916 წლიდან იგი აღმავლობის გზაზე შედგა. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სასტიკი კონსპირატულობის პირობებშიაც ახერხებდნენ ყოფილიყვნენ ამ მოძრაობის მოთავენი და მისთვის ორგანიზებული ხასიათი მიეცათ. 1917 წელი ამიერკავკასიის პროლეტარიატის უფრო ორგანიზებული გამოსვლებით დაიწყო. ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ 1916 წლის დეკემბერში მოამზადა ნავთის სარეწების მუშათა გაფიცვა. ბოლშევიკურმა საგაფიცვო კომიტეტმა მუშებს პოლიტიკური დემონსტრაციისკენ მოუწოდა. 1917 წლის იანვარში, 1905 წლის 9 იანვრის აღსანიშნავად, რუსეთის პროლეტარიატი დარაზმული გამოვიდა. ორგანიზებულად შეხვდა ამ თარიღს ბაქოს პროლეტარიატიც. ჟანდარმერიამ 25 რწმუნებული მუშა დააპატიმრა. ბაქოელმა მუშებმა ბოლშევიკების მეთაურობით გამოაცხადეს პოლიტიკური გაფიცვა[1]. ნავთის მრეწველების და პოლიცია-ჟანდარმერიის ღონისძიებების მიუხედავად, გაფიცვა მაღალი პოლიტიკური აქტიობით ჩატარდა. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გამოსცა მიმართვა გაფიცული მუშებისადმი, სადაც ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის მუშათა კლასის ერთიანი იერიშის აუცილებლობაზე მიუთითა. გაფიცვა 31 იანვარს დამთავრდა. ბაქოს პროლეტარიატმა ამის შემდეგ დაიწყო მზადება საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისათვის. უფრო ფართო ხასიათის რევოლუციური გამოსვლის მოსალოდნელობაზე შეშფოთებით წერდნენ ბაქოს ხელისუფალნი თავიანთ დასმენებში[2].

[1] საქ. სსრ ცსსა ფ. 34, ს. 1079, გვ. 4.
[2] იქვე

ბაქოს პროლეტარიატის აქტიობამ ფართო გამოძახილი პოვა ამიერკავკასიის მუშათა შორის. 1916 წლის დეკემბრიდან მზადდებოდა პოლიტიკური გაფიცვა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში — თბილისში. ჟანდარმერია გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მუშების სამზადისს. პასტრულინი თავის მოხსენებაში თბილისის გუბერნატორს რჩევას აძლევდა საჩქაროდ გაეწვიათ ფრონტზე სახელოსნოს ის მუშები, რომლებიც გაფიცვის ხელმძღვანელობაში იყვნენ შემჩნეული[1].

სახელოსნოს აქტიურმა მუშებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეიმუშავეს მოთხოვნა გზის უფროსის სახელზე. მუშებმა მოითხოვეს რწმუნებულების არჩევის უფლება, რომელთაც ადმინისტრაციისათვის მუშათა წინადადებანი უნდა წარედგინათ[2]. იანვრის მეორე ნახევარში გაფიცვა დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის საბადოებში. ადმინისტრაციის მუქარის მიუხედავად, რომ გაფიცულებს დაუყოვნებლივ ფრონტზე გაგზავნიდნენ, მუშებმა გამოსვლა ორგანიზებულად ჩაატარეს და პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს[3].

ამავე დროს, როგორც წინა თავში ვნახეთ, 1917 წლის იანვარ-თებერვალში ამიერკავკასიის ქალაქებში სასურსათო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. გაიზარდა რიგები პირველმოთხოვნილების საგნებზე. რიგებში აშკარად გაისმა მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებანი. 1916 წლის სასურსათო არეულობის ნიშნებმა ისევ იჩინეს თავი. პოლიციისა და ჟანდარმერიის დასმენებში გამოთქმულია შეშფოთება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის გაბოროტებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია და დღითი დღე მოსალოდნელია აფეთქება[4]. თბილისის პოლიცმეისტერი გუბერნატორისადმი მოხსენებაში მიუთითებდა, რომ სულ მალე მოსალოდნელია სერიოზული ამბები, „რაღაც მწიფდება“ ამავე დროს მშრომელი „მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებს ჯარის დახმარებაზე“[5]. შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა ბათუმიდან[6], ბაქოში ჟანდარმერია და პოლიცია ფეხზე იდგა გამოსვლების მოლოდინში. მეტად დაძაბული ვითარება იყო ქუთაისის, ერევნის, ელიზავეტპოლის გუბერნიებში. არმიის ნაწილებში ჯარისკაცთა მღელვარება თანდათან აშკარა ხასიათს იღებდა.

---

[1] საქ. სსრ ცსსა ფ. 13/2. ს. 5058, გვ. 3.
[2] იქვე.
[3] ფ. 2, ს. 5002, გვ. 2.
[4] იქვე, ს. 4490.
[5] იქვე.
[6] იქვე, ს. 4984, გვ. 3.

ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „II ინტერნაციონალის კრახი", მიუთითებდა რევოლუციური სიტუაციის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებზე: „1) შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისთვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; «ზედაფენების» ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება... 2) ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3) აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; ...სწორედ ამ ობიექტურ ცვლილებათა ერთობლიობას ეწოდება რევოლუციური სიტუაცია"[1]. რევოლუცია ყველა რევოლუციური სიტუაციიდან არ წარმოიშობა. რევოლუცია წარმოიშობა ისეთი სიტუაციიდან, „...როდესაც ზემოთჩამოთვლილ ობიექტურ ცვლილებებს ემატება სუბიექტური ცვლილება, სახელდობრ: ემატება რევოლუციური კლასის რევოლუციური მასობრივი მოქმედების უნარი, ამასთან ეს მოქმედება საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რომ გასტეხოს (ან შეარყიოს) ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს, კრიზისების ეპოქაშიც კი, არ „წაიქცევა", თუ არ „წააქციეს"[2]. ვ. ი. ლენინი შრომაში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში" მიუთითებს, რომ „მხოლოდ მაშინ, როცა «ქვედაფენებს» აღარ სურთ ძველი და როცა «ზედაფენებს» აღარ შეუძლიათ ძველებურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლუციის გამარჯვება"[3].

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი ვითარების გათვალისწინება იძლევა სრულ საფუძველს იმ დასკვნისათვის, რომ რევოლუციური სიტუაცია 1917 წლის დასაწყისისათვის ამიერკავკასიაში მომწიფებული იყო.

* * *

28 თებერვალს კავკასიაში მეფის ნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროს გენერალ ალექსეევისაგან მიიღო დეპეშა პეტროგრადში რევოლუციის შესახებ[4]. ნიკოლოზ მეორის ბიძა და მომავალი უმაღლესი მთავარსარდალი ენერგიულად შეუდგა ამიერკავკასიაში ყველა ღონისძიების გატა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21. გვ. 248.
[2] იქვე, გვ. 249.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 89.
[4] Красный архив, 1927 г., т. XXI, гг. 22—27.

რებას იმისათვის, რომ არ დარღვეულიყო „სიმშვიდე და წესრიგი, შენარჩუნებულიყო მოქმედი არმიების ერთგულება ფიცისა და სამხედრო ვალდებულებისადმი".

მეფის ნაცვლის თანაშემწის გენ. ორლოვის ხელმოწერით კავკასიის გუბერნატორებს დაეგზავნათ დეპეშები, სადაც, პეტროგრადში ახალი მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დასახული იყო შექმნილ ვითარებაში მოქმედების გზები. მეფის ნაცვალი გუბერნატორებს ავალებდა წესრიგის დაცვას, დემონსტრაციებისა და ექსცესების თავიდან აცილებას, სიმშვიდის შენარჩუნებას იმ დღის მოლოდინში, როცა რუსეთში აღდგენილი იქნებოდა „სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა"[1].

მეფის ნაცვალმა დაუყოვნებლივ მოიწვია პრესის წარმომადგენლები, თბილისის სასულიერო პირთა დელეგაცია და გააცნო ქვეყანაში შექმნილი ვითარება. სასულიერო პირებმა და პრესის წარმომადგენლებმა მეფის ნაცვალს აღუთქვეს, რომ გვერდში ამოუდგებიან მთავრობას და ყველა ზომას მიიღებენ კავკასიაში მეფის ნაცვლის დირექტივების გასატარებლად[2]. მთავრობისაგან ინფორმირებული ბურჟუაზიული გაზეთები „ზაკავკაზსკაია რეჩ", „ბაკუ"[3], „კასპია"[4], „ტიფლისკი ლისტოკი"[5] და სხვ. 4 მარტამდე სდუმდნენ პეტროგრადის მოვლენებს ისინი არ შეხებიან. შემდეგშიც მათ მიერ გამოქვეყნებული ცნობები მეტად თავშეკავებული იყო და შეიცავდა ძუნწ ინფორმაციას სახელმწიფო სათათბიროს წევრებისაგან პეტროგრადში დროებითი კომიტეტის შექმნის შესახებ.

პეტროგრადში მომხდარი რევოლუციის შესახებ დეპეშა ადრევე მიიღეს თბილისელმა მენშევიკებმა[6]. მაგრამ ისინიც დაბნეულობას მიეცნენ და დუმილი ამჯობინეს. 3 მარტს, მიუხედავად იმისა, რომ მთელმა ქალაქმა უკვე იცოდა პეტროგრადში მომხდარი რევოლუციის ამბავი, მენშევიკური გაზეთი „თანამედროვე აზრი", რომელიც მენშევიკური პარტიის ერთადერთი ლეგალური ორგანო იყო მთელს ამიერკავკასიაში, სდუმდა და ხალხს ამ სასიხარულო ცნობას უმალავდა. ეს გაზეთი საერთოდ არ გამოხმაურებია იმ ბობოქარ დღეებს, რომლებმაც 1917 წლის იანვარ-თებერვალში მთელი რუსეთი

---

[1] ცენტრარქივი, 1917 წლ. რევოლუცია, თბილისი, 1930 წ. გვ. 26.

[2] „Баку" № 50.

[3] „Каспия" № 51.

[4] „Тифлисский листок" № 51

[5] IV სახელმწიფო სათათბიროს წევრის მენშ. ჩხეიძის კონსპირანტიული დეპეშა პეტროგრადიდან „მთავრობაძე გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებს და ნაცნობებსო".

ფეხზე დააყენა. გაზეთი რუსეთის მღელვარე რევოლუციური ცხოვრებისაგან სავსებით მოწყვეტილი იყო.

პეტროგრადის მოვლენებზე „თანამედროვე აზრმა“ უფრო გაბედულად გამოსთქვა აზრი 4 მარტის ნომერში. „ძველი მთავრობა დაეცა — ნათქვამია აქ — სახელმწიფო ძალაუფლებას სახალხო წარმომადგენლობა დაეპატრონა“. ამ წარმომადგენლობაში გაზეთი გულისხმობდა არა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს, არამედ სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს. ეს „წარმომადგენლობა“ გაზეთს მიაჩნდა „თავისუფლების, რევოლუციის გამარჯვების მესვეურად“. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს სრულიადაც არ გამოუჩენია რუსეთის რევოლუციისადმი მისალმების ინიციატივა. იგი ყურს უგდებდა თბილისის ბურჟუაზიული გაზეთების ხმას და ოფიციოზთა კვალს მიჰყვებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა კავკასიის ხელისუფლებამ მეფის ნაცვალის სახით დროებითი კომიტეტი იცნო და მას მორჩილება აღუთქვა, თბილისისა და ამიერკავკასიის ბურჟუაზიული გაზეთები, მათ რიცხვში მენშევიკების ორგანო „თანამედროვე აზრიც“, რევოლუციაზე გაბედულად ალაპარაკდნენ.

4 მარტს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძესთან შექმნილი ვითარების გამო რჩევა-დარიგების მისაღებად მივიდნენ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის აღმსრულებელი ჩოლოყაშვილი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ნიჟარაძე, თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი და მენშევიკური პარტიის ლიდერები ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი[1].

თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლები მეფის ნაცვალმა დაამშვიდა და ურჩია უმტკივნეულოდ შეგუებოდნენ ახალ ვითარებას, რომელიც არსებითად არაფერს ცვლიდა. თვით მან თავი ახალი მთავრობის ერთგულად აღიარა და აცნობა კიდეც სტუმრებს, რომ უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე მის დანიშვნას დროებითმა მთავრობამ სანქცია მისცა.

მენშევიკური პარტიის ლიდერებთან საუბარში მეფის სატრაპმა აღნიშნა, რომ უკვე მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი ახალ ვითარებასთან შესაბამისად. აქვე გამოსთქვა თავისი შეხედულება დროებითი მთავრობის დანიშნულებაზე. „მტერი უნდა დავამარცხოთ, მე მგონი თქვენც ეს უნდა გინდოდეთ. რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, სადაც მეც, როგორც ერთ მოქალაქეს, ადგილი მექნე-

[1] „Тифлисский листок“ № 52, 5 марта, 1917 г.

ბა. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგან აქ არავითარი არეულობა არ არის. ბაქოსა და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს ჩემის აზრით, იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ კავკასიაში დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა. მე იმედი მაქვს, რომ ეს კვლავაც ასე გაგრძელდება“ (ხაზი ჩემია — ა. ს.).

მეფის სატრაპთან შეხვედრის ეს მოკლე ინფორმაცია „თანამედროვე აზრის“ 5 მარტის ნომერში გამოქვეყნდა. როგორც ჩანს, ამ საუბარმა მენშევიკური პარტიის ლიდერებს მხნეობა შემატა. გაქრა მოულოდნელობით გამოწვეული შიში და გაბნეულობა. ახლა ისინი გაბედულად ალაპარაკდნენ რევოლუციაზე, მის დანიშნულებასა და პერსპექტივაზე. გაზეთის ეს ნომერი აღარ გამოიყურება ჩვეულებრივად. პირველ გვერდზე გადაჭიმულია ანშლაგი „დიდი რევოლუცია“, რომლის ქვეშ მოთავსებულია ლოზუნგები „მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში“. „გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანაგრძნობის რეზოლუციები სახალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში და ეს დეპეშით აცნობეთ მას პეტროგრადში“[1].

ძნელი არ არის იმის ამოცნობა, რომ მენშევიკები „დიდ რევოლუციაზე“ მხოლოდ მაშინ ალაპარაკდნენ, როცა ოფიციალური ხელისუფლების მეთაურს ეთათბირნენ და მისი „კეთილი სურვილები“ მოისმინეს ახალი წყობილებისა და დამფუძნებელი კრების შესახებ. ასეთი მოქმედებით მათ სავსებით გაამართლეს უმაღლესი მთავარსარდლის ნდობა, რომელმაც კავკასიის სოციალ-დემოკრატია წესრიგისათვის შეაქო პარტიის ლიდერებთან შეხვედრის დროს.

ამგვარად, თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში ამიერკავკასია განაგრძობდა ჩვეულებრივ ცხოვრებას. კომუნისტური ორგანიზაციები თითქმის გაჩანაგებულნი იყვნენ. ცალკეული ხელმძღვანელი კომუნისტები არალეგალურად ცხოვრობდნენ და ცენტრთან დაკავშირების საშუალებანი არ გააჩნდათ. მენშევიკური მთავრობის ლიდერები ხელისუფლებას ეხმარებოდნენ „წესიერების“ დაცვაში, ხოლო უმაღლესი მთავარსარდალი და მისი ხელქვეითი აპარატი უმტკივნეულოდ აპირებდა ზოგიერთი გარეგნული ცვლილებების მოხდენას, რომ პეტროგრადის ახალი მთავრობის ნებართვით ისევ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დარჩენილიყო.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 52, 5 მარტი, 1917 წლ.

რევოლუციის ტალღა, პეტროგრადში რომ აზვირთდა, სწრაფად მიიწევდა რუსეთის ყველა მხარეში. მასების რევოლუციური აღტყინება ახშობდა მეფის ხელისუფალთა გააფთრებულ წინააღმდეგობას. ძველი ინგრეოდა, იქმნებოდნენ რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები — საბჭოები. თვით პეტროგრადში ნამდვილ ხელისუფლებას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო განასახიერებდა. მისი განკარგულებანი კანონად მიაჩნდათ. სათათბიროს დროებითი კომიტეტი იძულებული იყო შეესრულებინა საბჭოს დირექტივები. მოვლენებს ვერც ამიერკავკასია ჩამორჩებოდა. რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შესახებ ცნობა ბაქოში, თბილისში, ერევანსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში უფრო სწრაფად გავრცელდა, ვიდრე ამას მენშევიკები მოელოდნენ. 3 მარტს ბაქოს მუშათა რაიონებში ჩატარდა საზეიმო მისასალმებელი გაფიცვები. მუშებმა მიატოვეს საწარმოები და თავი მოიყარეს ქუჩებში. შედგა მიტინგები, სადაც მხურვალე მილოცვებთან ერთად უკვე გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯები ახალი ხელისუფლების ორგანიზაციისათვის — არჩეულ იქნა რწმუნებულები, რომლებიც იმავე დღეს შეიკრიბნენ ბაქოს ქალაქის სათათბიროს შენობაში და განიხილეს საკითხი ქალაქში რევოლუციური ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ[1].

ამავე დღეს უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა თბილისი. მშრომელები ერთმანეთს ულოცავდნენ მეფის ხელისუფლების დამხობას. მთელ რიგ საწარმოებში მუშაობა შეწყდა. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები და ოსტატები შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელსაც 3 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგმა გაუგზავნა მისალმება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. მისალმებაში ისინი წერდნენ: „გამოვთქვამთ თქვენდამი ჩვენს სრულ თანაგრძნობას ძველ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა სრულ დანგრევასა და დაცემამდე. განაგრძეთ მთელი ქვეყნისა და ჩვენი კლასის საერთო კეთილდღეობისათვის თქვენს მიერ დაწყებული მუშაობა. ჩვენ თქვენთან ვართ“[2].

რევოლუციის გამარჯვების ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში. მარტის პირველ ნახევარში თითქმის არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, რომ რევოლუციისადმი გამოხმაურება საზე-

---

[1] Известия советов рабочих и солдатских депутатов Бакинского района № 1, 30 მარტი, 1917 წ.. შემდეგში: „Известия Бак. совета“.

[2] გაზ. „Тифлисский листок“ № 52, 5 მარტი, 1917 წ.

იმო ვითარებაში არ აღნიშნულიყო. ამავე დროს ყველგან დაიწყო ახალი რევოლუციური ორგანოების შექმნა.

აღსანიშნავია, რომ რევოლუციური ორგანოების შექმნა, განსაკუთრებით სამაზრო ქალაქებში, მიმდინარეობდა ყოფილი მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალაუფლების ვითარებაში. მარტის პირველ ნახევარში თავიანთ რწმუნებას ინარჩუნებდნენ აგრეთვე თბილისის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის გუბერნატორები[1]. (თბილისის გუბერნატორი მანდრიკა გადადგა 13 მარტს, ქუთაისისა — 14 მარტს)[2]. ასევე ძველებურად ბრძანებებსა და განკარგულებებს სცემდა სამეფისნაცვლო აპარატი[3].

კავკასიაში ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის მანიფესტიც კი არ გამოქვეყნებულა. მეფის ბიძა დარწმუნებული იყო, რომ პეტროგრადში რევოლუციური მოძრაობა მალე ჩახშობილი იქნებოდა და მონარქი აღსდგებოდა თავის უფლებებში[4]. მისი აპარატი გუბერნატორებს ავალებდა ფარულად, ხალხის გაღიზიანების გარეშე, მოხერხებულად შეეზღუდათ საზეიმო განწყობილება, დაეცვათ „წესრიგი", საჭირო შემთხვევაში იარაღის გამოყენებითაც კი.

მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ამიერკავკასიიდან გაწვეულ იქნა. ხალხი მეფის მთავრობის ადგილობრივ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა. მან ყოველგვარი გავლენა დაჰკარგა. გუბერნატორები და მაზრის უფროსები იძულებულნი გახდნენ ჩაებარებინათ თავიანთი რწმუნებანი. ბევრგან ისინი დაპატიმრებულ იქნენ. ხელისუფლებას ახალი ორგანოები — საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები დაეპატრონენ.

რევოლუციური ხელისუფლების — საბჭოების შექმნის ინიციატივა თბილისში ბოლშევიკებს ეკუთვნოდათ. მენშევიკური გაზეთი „თანამედროვე აზრი" მხოლოდ 4 მარტის ნომერში გამოეხმაურა საბჭოების ორგანიზაციის საკითხს და ისიც მეტად ბუნდოვნად. „პეტროგრადში მუშათა დეპუტატების საბჭო დაარსდა, რომელიც სახელმწიფო დუმის აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად ახალი წყობილების განმტკიცებას შეუდგა"[5], — წერდა გაზეთი. როგორც ვხედავთ, საბჭო აქ წარმოდგენილია როგორც დანამატი სათათბიროს

[1] ცენტრარქივი, 1917 წლის რევოლუცია ისტორიულ საბუთებში. თბილისი, 1930 წ., გვ. 59.

[2] იქვე, გვ. 46—47. გვ. 59.

[3] იქვე, გვ. 51—52.

[4] „თანამედროვე აზრი" № 51, 4 მარტი.

[5] იქვე.

კომიტეტისა და არა როგორც რევოლუციის ხელისუფლება. გაზეთი შემდეგ, ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციის საკითხს რომ აყენებდა, ამ საქმეს ძველ ხელისუფლებას ანდობდა და აღნიშნავდა, რომ კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ გამოუცხადა რა მორჩილება დროებით მთავრობას, ეს შესატყვისი საქმითაც უნდა დაადასტუროს, საბჭოების ორგანიზაციაზე უნდა იზრუნოსო. ამრიგად, „წესიერებისათვის“ მეფის ნაცვლის მიერ შექმნული თბილისელი მენშევიკები საბჭოების ორგანიზაციას ყოფილი მეფის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ეარაუდობდნენ. ხალხის ინიციატივა და საქმეში სხვა პარტიების ჩარევა მათ აშინებდათ.

თბილისში ამ დროს ბოლშევიკური ორგანიზაციები დარბეული და განადგურებული იყო. თითო-ოროლა ბოლშევიკი არალეგალურად ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, რევოლუციის გამარჯვების მიღებისთანავე, ბოლშევიკები მასების შემოკრებას და საბჭოების ორგანიზაციას შეუდგნენ. სწორედ ამ დროს თბილისში ფარულად ცხოვრობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი უხუცესი და თვალსაჩინო ხელმძღვანელი ფილიპე მახარაძე. იგი საბჭოების შექმნის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

„პირველი ცნობის მიღებისთანავე ჩვენი პატარა ჯგუფი (ლაპარაკია თბილისელ ბოლშევიკებზე — ა. ს.) გაექანა მუშებისაკენ. სწრაფად შევკრიბეთ მუშები უმთავრესად რკინიგზის რაიონიდან და ავუხსენით რა მომენტის მნიშვნელობა, წინადადება მივეცით აერჩიათ მუშათა დეპუტატების საბჭო. წინადადება დიდი აღტაცებით იქნა მიღებული და არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც ერთი დღის განმავლობაში უნდა შეესრულებინა ყოველივე საორგანიზაციო მუშაობა. მეორე დღესვე უნდა მომხდარიყო თვით საბჭოს არჩევა. ასეც მოხდა. მეორე დღეს (რამდენადაც მახსოვს 2 მარტს ძველი სტილით) ჩვენ შევიკრიბენით იმავე ოთახში (ყოფილ მიხეილის ქუჩაზე), აქ მოვიდნენ თითქმის ყველა ქარხნების და ფაბრიკების წარმომადგენლები. მხოლოდ იმ დროს, როცა მეორე კრებაზე საბჭოს ორგანიზაცია უკვე მოვახდინეთ, და ის-ის იყო საბჭო ოფიციალურად უნდა შესდგომოდა თავის მოქმედებას, ამ დროს, კრებაზე გამოცხადდნენ ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე და ნ. რამიშვილი. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ თბილისის მუშების საბჭოს მოწყობის, ორგანიზაციის სათავეში ისინი ვერ მოჰყვნენ, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ბოლშევიკების მეთაურობით და თაოსნობით... ამიტომ ბ. ნ. ჟორდანიამ, რამიშვილმა და ჯიბლაძემ მოსვლისთანავე ასტეხეს სკანდალი, ის კრება, რომელსაც მე

ვთავმჯდომარეობდი, დახურულად გამოაცხადეს და იგივე კრება ღამის 2 საათზე გადატანილ იქნა სახალხო სახლში. აქ უკვე კრების სრული ბატონ-პატრონი შეიქმნენ ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და ძმანი მისნი"[1].

როგორც ცნობილია, მენშევიკები რევოლუციის წინ ლეგალურად ცხოვრობდნენ და გაზეთსაც კი სცემდნენ. მენშევიკი ლიდერების უმრავლესობა ამ დღეებში სწორედ თბილისში იყო თავმოყრილი. ამიტომ მათთვის ძნელი არ აღმოჩნდა საბჭოების შექმნის ინიციატივა ბოლშევიკებისათვის ხელიდან გამოეგლიჯათ და მის შემადგენლობაში გაეყვანათ თავიანთი კანდიდატები. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც 4 მარტს შეუდგა მუშაობას, უმთავრესად მენშევიკი ხელმძღვანელი მუშაკებისაგან იქნა შედგენილი.

უფრო ორგანიზებულად ჩატარდა მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნა ბაქოში. 3 მარტს მუშათა მიტინგებზე არჩეულმა რწმუნებულებმა თავიანთი შემადგენლობიდან გამოჰყვეს კომისია, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა ნაკაზი მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის. ნაკაზი შემუშავდა და ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდა. ნაკაზის თანახმად ყოველი 25 ამომრჩეველი ერთ რწმუნებულს ირჩევდა, — 10 რწმუნებული ერთ ამომრჩეველს, ხოლო ოთხი ამომრჩეველი — ერთ დეპუტატს[2]. 6 მარტს მუშათა რაიონებში არჩევნები უკვე დამთავრდა. იმავე დღეს, საღამოთი შედგა მუშათა დეპუტატების პირველი სხდომა, რომელსაც 52 დელეგატი ესწრებოდა. ეს კრება აღიარებულ იქნა უფლებამოსილად და არჩეულ იქნა კიდეც პრეზიდიუმი ამხ. სტეფანე შაუმიანის მეთაურობით.

ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობაშიც უმრავლესობა მენშევიკ-ესერებმა მოიპოვეს. ჩვენ ქვემოთ შევეცდებით ავხსნათ მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების საბჭოებში შემთანხმებლური პარტიების გაბატონებული მდგომარეობა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ასეთი შემადგენლობის საბჭომ პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია გამოჩენილი კავკასიელი ბოლშევიკი, მტკიცე ლენინელი სტეფანე შაუმიანი, რომელიც ამ დროს ბაქოში არც კი იმყოფებოდა. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმ უდიდესი ავტორიტეტით, რომლითაც

---

[1] ფ. მახარაძე, ოთხი წლის წინათ (მოგონება), გაზ. „კომუნისტი" № 10. 1921 წ.

[2] „Известия Вик. совета" № 1, 39 მარტი, 1917 წ.

ამხ. შაუმიანი ბაქოს მუშათა შორის სარგებლობდა. მენშევიკები და ესერები იძულებულნი იყვნენ ამ ავტორიტეტის წინაშე ქედი მოეხარათ, ისინი ამჯობინებდნენ დაჰყოლოდნენ მუშათა სურვილს ამხ. შაუმიანის ხელმძღვანელად არჩევის შესახებ.

მუშათა დეპუტატების საბჭოები მარტის პირველ რიცხვებში ჩამოყალიბდა აგრეთვე ალექსანდროპოლში, ერევანში, ელიზაველტოპოლში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, შემახაში. ლენქორანში, ნუხაში, შუშაში, ყუბაში, ნახჭევანში, გორში, ტყიბულსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების ამბავმა კავკასიის არმიის შიგნითაც შეაღწია. უნაყოფო გამოდგა ოფიცრობის ცდა — აეცდინათ ჯარისკაცებში რევოლუციური განწყობილება და დაეცვათ დისციპლინა. არმიამ ახალი, მღელვარე რევოლუციური ცხოვრება დაიწყო. ჯარისკაცები მშრომელებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზეიმო მიტინგებსა და დემონსტრაციებში. ოფიცერთა ხელისუფლებას ჯარისკაცები აღარ სცნობდნენ. მარტის პირველსავე რიცხვებში უხეში ოფიცრების წინააღმდეგ გამოსვლა მოაწყო 25-ე მსროლელმა პოლკმა, რომელიც ეჩმიაძინში იყო განლაგებული[1]. ჯარისკაცები აპატიმრებდნენ ცარისტ საძულველ ოფიცრებს, ქმნიდნენ ჯარისკაცთა მმართველობის ორგანოებს — ასეულის, პოლკის ჯარისკაცურ კომიტეტებს და სცნობდნენ მხოლოდ მათს განკარგულებებს. გარნიზონის ნაწილებში დაიწყო დელეგატთა არჩევნები საგარნიზონო ჯარისკაცთა საბჭოს შექმნისათვის. 6 მარტს თბილისში შედგა ქალაქის საგარნიზონო სადელეგატო კრება, რომელმაც აირჩია თბილისის ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატები. სამხედრო დეპუტატების საბჭო შეიქმნა ბაქოში. ერევანსა და ამიერკავკასიის ყველა იმ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში, სადაც ჯარის ნაწილები იყვნენ დაბანაკებულნი.

თებერვლის რევოლუციის პირველმა ცნობებმა ამიერკავკასიის ბურჟუაზიული წრეები შეაშფოთა. ქალაქის ბურჟუაზიულ სათათბიროებში დაიწყო ხმოსანთა ხშირი შეკრებები იმ პოზიციის გასარკვევად, რომელიც შეძლებულ კლასებს ახალ ვითარებაში უნდა დაეკავებინათ. მაგრამ პირველი მღელვარება და შიში გაქრა, როცა კავკასიის უმაღლესმა ხელისუფლებამ უმტკივნეულოდ იცნო ახალი მთავრობა. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტში კავკასიის ვაჭარ-მრეწველებმა სისხლხორცეული მოკავშირე დაინახეს. მეფის ნაცვლის მოწოდებანი კავკასიის მოსახლეობის მიმართ, პო-

[1] ცენტრარქივი, 1917 წ. რევოლუცია. ფვ. 61.

ლიტიკური ცხოვრების ჩვეულებრივი მშვიდი მიმდინარეობა კავკასიაში ბურჟუაზიულ დაწესებულებებს აიმედებდა, რომ ახალ ვითარებაშიც მათი გაბატონებული მდგომარეობა უზრუნველყოფილი იქნებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ელფერის შეცვლა, მეტი ელასტიურობა, დემოკრატიისათვის მეტი ანგარიშის გაწევა, მემარცხენე პოზიციაზე სიტყვიერი გადანაცვლება. ამიერკავკასიის ქალაქების ბურჟუაზიულმა სათათბიროებმა დროებით მთავრობას ნდობა გამოუცხადეს და მისი სახელით დაიწყეს ახალი ვითარებით ნაკარნახევი ღონისძიებების გატარება.

ამრიგად, ქალაქის სათათბიროები, რომლებიც თვითმპყრობელური რეჟიმის დროს იყვნენ შექმნილნი და ცარიზმის პოლიტიკას ატარებდნენ ცხოვრებაში, მეფის მთავრობის დამხობის შემდეგაც, ამიერკავკასიაში ხელუხლებელნი დარჩნენ. კიდევ მეტი: სათათბიროებმა ქალაქის მმართველობის სათავეები თავიანთ ხელშივე დაიტოვეს. ეს ამიერკავკასიის მენშევიკ-ესერ ლიდერთა პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. მენშევიკებსა და ესერებს ამიერკავკასიის პირობებში მუშათა დეპუტატების საბჭო არ მიაჩნდათ რევოლუციის უმაღლეს ორგანოდ. საბჭოს ისინი მეთვალყურის მოვალეობას აკისრებდნენ. ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტას კი ტოვებდნენ ისევ ბურჟუაზიული სათათბიროს კომპეტენციაში. დამახასიათებელია ნ. ჟორდანიას წინადადება მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველ სხდომაზე: — მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატებს მანდატები ქალაქის ბურჟუაზიულმა სათათბიროში უნდა მისცესო[1]. მენშევიკმა არსენიძემ 6 მარტის სხდომაზე განაცხადა, რომ ქალაქის თვითმმართველობა უნდა გახდეს „მთელი ადგილობრივი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ცენტრადო".

თუ როგორ ესმოდა, მაგალითად, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავისი დანიშნულება, ნათლად ჩანს იმ ნაკაზში, რომელიც განხილულ და მოწონებულ იქნა საბჭოს მუშათა და ჯარისკაცთა სექციების სხდომებზე. აქ ნათქვამია: „თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თავის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას და აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა ყველა კონტრრევოლუციურ ძალებთან. 2) თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მიისწრაფვის წარმართოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენები, ხელი შეუწყოს ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას ადგილობრივ, თვალყური ადევ-

[1] ფ. მახარაძე, საქართველოს მუშათა კლასი, 1917—1921 წწ., გვ. 9.

ნოს მისი წარმომადგენლების მოქმედებას და სრული დემოკრატიის დამყარების მიზნით მოახდინოს რევოლუციური ზეგავლენა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხელისუფლების მოქმედება არ იქნება ცნობილი საკმარისად რევოლუციური, ან ის პირდაპირ ეწინააღმდეგება დემოკრატიის ინტერესებს"[1].

ნაკაზიდან ნათლად ჩანს, რომ გამორიცხულია საბჭოს როგორც დამოუკიდებელი მმართველი ორგანოს როლი. იგი სრულებითაც არ ისახავს მიზნად თვით ჩაუდგეს სათავეში რევოლუციურ ღონისძიებათა გატარებას და იყოს კანონმდებელი ორგანო. იგი მხოლოდ „ხელს შეუწყობს", „ერევა", „თვალყურს ადევნებს", „ახდენს რევოლუციურ გავლენას" იმ ორგანოზე, რომელიც მას კანონიერ ხელისუფლებად მიაჩნია.

ასეთ ორგანოდ წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა მიიჩნიეს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შედგენილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა პარტიული ჯგუფების წარმომადგენლობისაგან კოალიციურ პრინციპზე. 6 მარტს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა თბილისში ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის ბურჟუაზიულ სათათბიროსთან თანასწორი წარმომადგენლობის საფუძველზე, ქალაქის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პარტიების მონაწილეობით[2].

აღმასრულებელი კომიტეტი შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, სოციალ-დემოკრატიის, დაშნაკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების, კადეტების, შოვინისტ-პროგრესისტების, ესერების, ვაჭარ-მრეწველთა კავშირის, ამიერკავკასიის სამომხმარებლო საზოგადოების კავშირის წარმომადგენლებისაგან. არჩეულ იქნა აღმასრულებელი ბიურო 15 კაცის შემადგენლობით. აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია აგრეთვე კომისრები (ჟორდანია, ხატისოვი, პოდპორუჩიკი პოპოვი)[3]. ხატისოვი დეპეშით აუწყებდა ამიერკავკასიის ქალაქებს: „თბილისში საბოლოოდ ჩამოყალიბდა აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან მუშათა დეპუტატების საბჭოს, სათათბიროს, ხმოსნების, პროგრესული და დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, და ხელთ აიღო ქა-

---

[1] Протоколы Закавказских Революционных советских организаций, т. I, გვ. 101.

[2] გაზ. „Кавказское слово" № 54, 8 მარტი, 1917 წ.

[3] გაზ. „თანამედროვე აზრი" № 55, 9 მარტი, 1917 წ.

ლაქის ადმინისტრაციული ფუნქციები. კომისრებად დანიშნული არიან... ნ. ჟორდანია, ქალაქისთავი ხატისოვი და ოფიცერი პოპოვი"[1].

აღმასრულებელი კომიტეტი თავიდანვე დაეპატრონა ხელისუფლებას თბილისში. იგი არა მარტო თბილისისა და საქართველოს, არამედ პირველ ხანებში მთელი ამიერკავკასიის მასშტაბითაც ხელმძღვანელი ორგანოს როლს განასახიერებდა. ამიერკავკასიის ფარგლებში იგი დირექტივებს აძლევდა საქალაქო, სასოფლო ორგანოებს და ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. 1917 წლის რევოლუციის დასაწყისიდან — სამართლიანად შენიშნავს ფ. მახარაძე — თბილისში მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ი თ ხელისუფლება გადავიდა არა მ უ შ ა თ ა დ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს საბჭოს ხელში, არამედ ქ ა ლ ა ქ ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ხ ე ლ შ ი. ეს ნათლად ჩანს სხვათაშორის, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ოქმებიდან. „8 მარტს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სხდომაზე გამოცხადდა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თავმჯდომარის — ხატისოვის მეთაურობით, რომელმაც განაცხადა, რომ სრული ძალაუფლება ქალაქში აიღო ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა და დაიჭირა ძველი ადმინისტრაციის ადგილი"[2]. „თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამჟამად ფაქტიურად არის სამხარეო ხელისუფლების ორგანო, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ამიერკავკასიის ქალაქებთანო — წერდა გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ"[3].

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ასეთივე ორგანოები შეიქმნენ ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში: ბაქოში, ერევანში, ელიზავეტპოლში, ალექსანდროპოლში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმსა და სხვა საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ქალაქებში.

ბაქოს ბურჟუაზიულმა სათათბირომ, რომელიც ნავთის მრეწველებისა და მსხვილი ვაჭრების ორგანოს წარმოადგენდა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ჩამოყალიბებამდე, 5 მარტს ორგანიზაცია უყო ადგილობრივ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას — საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს. ამ ორგანოში შევიდნენ კადეტების, ესერების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წარმომადგენლები[4], რომლებსაც თებერვ-

---

[1] გაზ. „Закавказская речь" № 57, 10 მარტი, 1917 წ.

[2] ფ. მახარაძე, „საქართველოს მუშათა კლასი 1917—1921 წლებში", გვ. 9—10.

[3] გაზ. „Закавказская речь" № 59, 12 მარტი, 1917 წ.

[4] „Известия Бакинского Совета" № 1.

ლის რევოლუციის ძირითად მონაპოვრად მიაჩნდათ ბურჟუაზიის დიქტატურისკენ გზის გაკაფვა. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბიჩი—ბაქოს ქალაქის თავი, რომელიც აქამდე ბაქოს გუბერნატორის ერთგულ თანაშემწედ ითვლებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ვერ შესძლო, ისე როგორც ეს თბილისში მოხდა, ქალაქში ხელისუფლების ერთადერთი და წამყვანი ორგანო გამხდარიყო. ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელშიც ბოლშევიკებიც შედიოდნენ, და რომელსაც ს. შაუმიანი თავმჯდომარეობდა, ბაქოს პროლეტარიატის მხარდაჭერით ქალაქში იმთავითვე გახდა ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც, ბურჟუაზიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგობის მიუხედავად, ახორციელებდა პოლიტიკური ხელმძღვანელის როლს და მუშათა კლასის ინტერესების დამცველად გამოდიოდა.

* * *

რა მიზეზებმა შეუწყვეს ხელი ამიერკავკასიის ხელისუფლების ორგანოებში ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების გაბატონებას?

პირველ ასეთ მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია ამიერკავკასიის ეკონომიური ჩამორჩენილობა. ამიერკავკასია, როგორც ამას ზემოთაც მიუთითებდით, წარმოადგენდა მეფის რუსეთის განაპირა კოლონიურ მხარეს, სადაც მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული და ძველი, ბატონყმური ურთიერთობის ნაშთები მეტად მძლავრად იყო შემორჩენილი სოფლის მეურნეობაში.

იმპერიალისტური ომის წლებში მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიაში, მათ შორის ბაქოშიც, საგრძნობლად შენელდა. მთავრობამ მოახერხა ბოლშევიკური ორგანიზაციების დარბევა. ხელმძღვანელი ბოლშევიკები ან საპატიმროებში ისხდნენ, ან გადასახლებაში იმყოფებოდნენ. მთავრობა და მისი დამჭაში ბურჟუაზიული პარტიები ენერგიას არ იშურებდნენ იმისათვის, რომ მასების შეგნება ნაციონალისტური შხამით მოეწამლათ. ომმა მუშათა შემადგენლობაში საგრძნობი ცვლილება გამოიწვია. კადრის მუშები, რუსეთის პირველი რევოლუციის ჭარიშხალში რომ იყვნენ ნაწრთობი, არმიაში გაწვეული აღმოჩნდნენ. მათი ადგილი წარმოებებში სოფლიდან ჩამოსულმა გლეხებმა დაიკავეს, რომლებმაც თან მოიტანეს წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია — მენშევიზმისა და შემთანხმებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელი საზრდო. მძლავრი კლასობრივი შეჯახებების გამოცდილება ამიერკავკასიის პროლეტარიატს (ბაქოს

გამოკლებით) არ ჰქონია. მუშათა მოძრაობის სუსტი, დაუხვეწელი ხასიათი ჰქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს შეძლებული კლასებისა და ე. წ. „სოციალისტური ინტელიგენციის“ კოალიციისათვის მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, როცა რევოლუციური მოძრაობა მბინელებული იყო, ხოლო წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური პარტიები ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის ვითარებაში გაფურჩქვნას განიცდიდნენ, როცა ბოლშევიკური ორგანიზაციები სასტიკი კონსპირაციის პირობებში აქა-იქ-ღა არსებობდნენ, შეუძლებელი აღმოჩნდა იმ წვრილბურჟუაზიული ტალღის დათრგუნვა, რომელიც რევოლუციის პირველსავე დღეებში ერთბაშად აზვირთდა და რომელმაც როგორც სიმრავლით, ისე იდეურად დაიმორჩილა პროლეტარიატი.

ვ. ი. ლენინი უკეთებდა რა ანალიზს თებერვლის დღეებში რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, როგორც ცნობილია, მიუთითებდა წვრილბურჟუაზიულ სტიქიაზე, რომელმაც წალეკა ყველაფერი, დაიმორჩილა შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავის სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ესე იგი მუშათა ფრიად ფართო წრეებს გადასდო, შეჰყარა წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე. წვრილბურჟუაზიულმა სტიქიამ კი ზედაპირზე წვრილბურჟუაზიული პარტიები — მენშევიკები და ესერები წამოატივტივა.

ვ. ი. ლენინის ეს დახასიათება, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ ვრცელდება ამიერკავკასიაზე, რადგან იგი კიდევ უფრო წვრილბურჟუაზიული, გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით თუ რაოდენ აუტანელი და მძიმე იყო გლეხობის მდგომარეობა ამიერკავკასიაში. მემამულეები, რომლებიც ვეებერთელა ლატიფუნდიებს ფლობდნენ, ბატონყმური მეთოდებით ეწეოდნენ გლეხების ექსპლოატაციას, ხოლო გლეხობის აღშფოთებას მთავრობის ჯარების დახმარებით ახშობდნენ. ცარიზმი ამიერკავკასიაში, ისე როგორც რუსეთის სხვა განაპირა მხარეებში ასახლებდა კოლონიზატორულ ელემენტებს, მათ შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპირისპიროსაყრდენ ძალას ქმნიდა. ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი გლეხობა ორმაგი ჩაგვრის—სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ გმინავდა. იგი მოკლებული იყო მოქალაქეობრივ უფლებებს, განათლებას, ყველგან შეურაცხყოფას, დამცირებას განიცდიდა. ბუნებრივია, ამიერკავკასიელი გლეხობის რევოლუციური ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული.

წვრილბურჟუაზიული პარტიები მოხერხებულად იყენებდნენ ამიერკავკასიელი გლეხობის განწყობილებას. რჩებოდნენ რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჩარჩოებში საერთოდ, ისინი გლეხობას ჰპირდებოდნენ ცარიზმის დამხობას, ბატონყმური ჩაგვრის ლიკვიდაციას და ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ერთის შეხედვით ეს დაპირებანი განახორციელა ჯიდეც: დამხობილ იქნა მეფის მთავრობა, შედგა ახალი ხელისუფლება, რომელმაც თავის დეკლარაციაში რუსეთის ხალხებს აუწყა „ახალი ეპოქის“ დასაწყისი და დემოკრატიზაცია. პოლიტიკური თავისუფლების აქამდე გაუგონარი პერიოდი დაიწყო რუსეთში. ხალხის ინტერესების დაცვა მოდურ ლოზუნგად იქცა. ასეთი სწრაფი გარდატეხის ვითარებაში ამიერკავკასიელი გლეხობა, რომლის ინტერესების სამსახურზე დღე და ღამ გაჰყვიროდნენ შემთანხმებელ და ბურჟუაზიულ პარტიათა ორატორები, მართლაც აღმოჩნდა შემთანხმებლებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების მხარეზე და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში ეს პარტიები გაიყვანა.

ხელისუფლების ორგანოებში შემთანხმებლური და ბურჟუაზიული პარტიების გაბატონებას განაპირობებდა აგრეთვე ამიერკავკასიის ნაციონალური მრავალფეროვნება, რაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაყოფიერ სამოქმედო ასპარეზს ჰქმნიდა.

მრავალეროვან ამიერკავკასიაში თითქმის არც ერთ ნაციონალურ ჯგუფს საკუთარი ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები არ ჰქონია. ისინი დაქუცმაცებულად, ერთმანეთში შერეულად ცხოვრობდნენ და ბურჟუაზიული ყოფის ვითარებაში ერთმანეთთან მუდმივი შუღლი და ჭიშპობა ჰქონდათ. ამ შუღლსა და ჭიშპობას ყოველმხრივ აღვივებდნენ ცარიზმი და ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც ხშირად ძმათამკვლელი შეტაკებების მოწყობასაც ახერხებდნენ. ამ ნაციონალური ჯგუფების საერთო ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხშირად, ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა მოხერხებით, იჩრდილებოდა ურთიერთ შორის ბრძოლით, სწორედ ეს ქმნიდა მარჯვე ვითარებას, რათა კლასობრივი ბრძოლა ნაციონალური დროშებითა და საყღარუნოებით ყოფილიყო დაფარული.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვითარება ერთის დაკვრით შესცვალა. დაჩაგრულმა ერებმა ცარიზმის დამხობისთანავე პირველად იგრძნეს ძალა და მთელი არსებით გადაეშვნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „ნაციონალური

ჩაგვრის ლიკვიდაცია“ ასეთი იყო მოძრაობის ლოზუნგი. რუსეთის განაპირა ხბარეები მყისვე დაიფარნენ „საერთო-ნაციონალური“ დაწესებულებებით“. სცენაზე პირველი აღმოჩნდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებმაც, ისარგებლეს რა ცარიზმის, როგორც ნაციონალური ჩაგვრის ძირითადი მიზეზის, წინააღმდეგ მასების შეტევითი განწყობილებით, მიზნად დაისახეს ბურჟუაზიის ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა.

არ შეიძლება მხედველობიდან გამოვტოვოთ ერთი გარემოებაც: 1917 წლის თებერვლის რევოლუცია ამიერკავკასიაში ბარიკადებზე როდი განხორციელდა. ცარიზმის უკიდურესი რეპრესიების ვითარებიდან მშრომელი მასები სრულიად უმტკივნეულოდ და უეცრად აღმოჩნდნენ პოლიტიკური თავისუფლების ვითარებაში. ასეთი სწრაფი გარდატეხისა და საზეიმო ხმაურის დროს დაჩაგრულმა მასებმა ვერ შესძლეს ამოეცნოთ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ფარული ვერაგული მიზანი. მასები ახალ ხელისუფლებაში, რომელიც გულუხვად იძლეოდა დაპირებებს, მართლაც განახლების ორგანიზატორს ხედავდნენ. მიტინგებზე, რომლებიც ამ დღეებში ყოველდღიურად ტარდებოდა ქალაქებისა და სოფლების მთავარ შესაკრებ პუნქტებზე, სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხალხის გულისმოგებაში, ხელმძღვანელი ბოლშევიკები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსული ამიერკავკასიაში. ცარიზმის დროს დარბეული ბოლშევიკური ორგანიზაციები ახლად იკრებდნენ ძალას და ფეხზე დგებოდნენ. ტრიბუნებზე უმთავრესად მენშევიკი, ესერი, ფედერალისტი, დაშნაკი, მუსავატი ორატორები ცვლიდნენ ერთი მეორეს. ბოლშევიკური ხმა სუსტი იყო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ეს პარტიები ახერხებდნენ მასებზე გავლენის მოპოვებას და ხელისუფლების ორგანოებშიც გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ.

ავიღოთ თუნდაც ბაქო — ამიერკავკასიის უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი, რომლის პროლეტარიატი მაღალი საბრძოლო გამოცდილებით, ორგანიზებულობითა და კლასობრივი თვითშეგნების დიდი ტრადიციებით ხასიათდებოდა.

როგორც ზემოთ მივუთითებდით ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობა შემთანხმებლურმა პარტიებმა მოიპოვეს. როგორ ავხსნათ ეს ფაქტი?

საქმე ისაა, რომ ომის წლებში ბაქოს პროლეტარიატის შემადგენლობაშიც არსებითი ცვლილებები მოხდა. ბაქოს მუშათა კადრის დიდი უმრავლესობა არმიაში იქნა გაწვეული. მათი სანაცვლოდ ნავთის სარეწებში სამუშაოდ მოვიდნენ გლეხები აზერბაიჯანისა და

დაღესტნის ჩამორჩენილი სოფლებიდან. მათ რევოლუციური მოძრაობის დიდი გამოცდილება არ გააჩნდათ. ქალაქში, წარმოებაში მათ მიიტანეს წვრილბურჟუაზიული გლეხური ფსიქოლოგია, მესაკუთრული, გამდიდრების ფსიქოლოგია, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა საერთო განწყობილებისა და შეგნების დონეზე.

ომის წლებში ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ორგზის განიცადა მთავრობის მძიმე თავდასხმა. რევოლუციური მუშაობა ნავთის ქალაქში საგრძნობლად მინელდა.

ასეთ პირობებში მუშათა ის მაღალი საბრძოლო განწყობილება და რევოლუციური შეგნებულობა, პირველი იმპერიალისტური ომის წინ რომ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში ბრწყინვალედ გამოვლინდა, თანდათანობით მინელდა. სწორედ ამიტომ ბაქოს პროლეტარიატის საკმაო ნაწილში ომის წლებში ნიადაგი იპოვა მენშევიკურმა ობორონცობამ, რაც სწორად შეეფერებოდა იმ წვრილბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას, რომელიც იქ სოფლის ელემენტებმა მოიტანეს.

ანგარიში უნდა გაეწიოს ბაქოსათვის ერთ ფრიად დამახასიათებელ თავისებურებასაც: ბაქოს პროლეტარიატის ნაციონალური შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანი იყო. რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ირანელი, ქართველი, დაღისტნელი მუშები — აი ის ჯრელი ნაციონალური მასა, რომელიც ბაქოს მუშათა კლასს ქმნიდა. ასეთი ეროვნული მრავალფეროვნების მიუხედავად, ბოლშევიკები, როგორც ცნობილია, ახერხებდნენ ბაქოს პროლეტარიატის მოძრაობა ერთიანი რევოლუციური დინებით წარემართათ. ბოლშევიკები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდნენ ბაქოს პროლეტარიატს და იგი მართლაც იძლეოდა ინტერნაციონალური სოლიდარობის საუკეთესო ნიმუშს.

მაგრამ ომის წლებში მდგომარეობა შეიცვალა. მთავრობამ თავისი რეპრესიები მარტო ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ მიმართა, დაარბია და გაანადგურა მისი ორგანიზაციები. ბოლშევიკების დამრაზმველი მუშაობის შენელება ხდებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გაძლიერებული პროპაგანდის ვითარებაში. ცარიზმი აქეზებდა ამ პარტიების მოქმედებას. დაშნაკები ბაქოში ეწეოდნენ სომეხი მუშების შეგნების ნაციონალიზმის შხამით მოწამლვას. ისინი აგროვებდნენ თანხებს თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი სომხური დრუჟინების დასახმარებლად, აგროვებდნენ მოხალისეებს, აქეზებდნენ სომეხ პროლეტარებს ყოველმხრივ დაეჭირათ მხარი ომისათვის. ამავე დროს დაშნაკები სომეხ მუშებში აზერბაიჯანელი ხალხისადმი მტრობას აღვივებდნენ, ისინი ცილს წამებ-

დნენ აზერბაიჯანელ ხალხს თურქეთისადმი სიმპათიებში. თავის მხრივ აზერბაიჯანელი ნაციონალისტები, აცხადებდნენ რა თავიანთ თავს აზერბაიჯანელი ხალხის უანგარო მოსარჩლეებად, მუსულმანური აღმოსავლეთის კონსოლიდაციის პროპაგანდას ეწეოდნენ. ამავე დროს აზერბაიჯანელ მუშებს აქეზებდნენ სხვა ეროვნების თანამომძმეთა წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ამ სისტემატურ პროპაგანდას მოჰქონდა თავისი დამღუპველი შედეგები: ბაქოს პროლეტარიატის ერთიან საბრძოლო ბანაკში ბზარი იქმნებოდა, ეს ბანაკი იქსაქსებოდა ეროვნული ნიშნის მიხედვით. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისთანავე მენშევიკებს, ესერებს, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს თვალწინ გადაეშალათ მოქმედების შეუზღუდავი ასპარეზი. ახლა ამ პარტიების ხელმძღვანელი მდგომარეობა ბაქოს პროლეტარიატის მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული. და მათ ისევ მუშათა მასებს მიაშურეს, რომ ახალ ვითარებაში თავიანთი სამოქმედო პროგრამა გადაეშალათ. ყველა ეს პარტიები ცრუობდნენ პროლეტარიატის წინაშე — სომხური, თათრული ან რუსი ბურჟუაზიის ინტერესებს ასაღებდნენ ამ ეროვნებათა სასიცოცხლო ინტერესებად, აბნევდნენ რა დაპირებებს, ახშობდნენ ხალხის რევოლუციურ სულისკვეთებას, ისინი ამავე დროს მოითხოვდნენ მხარდაჭერას და ხელისუფლების ორგანოებში მოკალათებული, ხალხისაგან ფარულად აკეთებდნენ რევოლუციის წახრჩობის საქმეს.

ა. მიქოიანი ამ პარტიების თვალთმაქცობის ცხადსაყოფად ასახელებს ასეთ მაგალითს: ესერების განთქმული ორატორი, როგორც შემდეგ გამოირკვა ირანელი მემამულე და ავანტურისტი, ზვონიცკი ბაქოში რევოლუციის პირველ დღეებში ხშირად გამოდიოდა მუშათა მიტინგებზე უმთავრესად აგრარულ საკითხებზე. იგი მწვავედ აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატების აგრარულ პროგრამას და რაღაც გამოანგარიშების საფუძველზე აცხადებდა, რომ ესერების აგრარული პროგრამის მიხედვით, თუ ის ცხოვრებაში გატარდება, რუსეთის თვითეული მოქალაქე მიიღებს 37 და 1/4 დესეტინა მიწასო. მისი ლექციების დასკვნითი სიტყვა ასეთი იყო: „ვინც მომხრეა ამ აგრარული პროგრამისა, ვისაც სურს 37 და 1/4 დესეტინა მიწა, დეე ჩაეწეროს ესერების პარტიაში“. და კრების შემდეგ ასობით და ათასობით მუშა ეწერებოდნენ ესერების პარტიაში ისე, რომ საქმის ნამდვილ ვითარებაში არ იყვნენ გარკვეული[1].

---

[1] А. Микоян, Бакинская организация большевиков в 17—18 гг. „Бакинский рабочий“ № 57, 14 марти, 1223 წ.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ნაკლებად შეგნებულ მუშათა წრეებში ფართო ილუზიები გამოიწვია. მეფის მონარქიის დამხობა და არჩევით ორგანოებში მონაწილეობა, ყოველდღიური მიტინგები და გამოცდილი ორატორების მიერ მომხიბლავად დახატული მომავალი მუშათა შორის ქმნიდა თვითკმაყოფილების განწყობილებას. რევოლუცია მან დამთავრებულად ჩასთვალა, ხოლო წვრილბურჟუაზიული სტიქიის მიერ ზედაპირზე წამოტივტივებულ პარტიებს ნდობა გამოუცხადა. მუშებმა ჩასთვალეს, რომ თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ფრაქციული ბრძოლისათვის საფუძველი უკვე აღარ არსებობდა, რომ ახალი ხელისუფლების შენებაში მათ შეთანხმებულად უნდა ემოქმედათ. ასეთი განწყობილებით აღჭურვილი მუშათა მასები მენშევიკ ხელმძღვანელებს სრულიად დაიმედებულნი აძლევდნენ ხმას საბჭოს არჩევნებში, მაგრამ მალე მათ ამ იმედების გაცრუება მოელოდათ.

ასეთი იყო საქმის ფაქტიური ვითარება ბაქოში. რაც შეეხება თბილისს, აქ, ცხადდა, წვრილბურჟუაზიული სტიქიისათვის გაცილებით მეტი ნიადაგი არსებობდა. თბილისში პოლიციელები, წვრილი ვაჭრები და ხელოსნები რევოლუციის წინ უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე სამრეწველო მუშები. მწვავე კლასობრივ შეჯახებებს თებერვლის რევოლუციის წინ აქ ადგილი არ ჰქონია და ნამდვილად „მემარჯვენე“ მენშევიზმმა ფეხი მოიკიდა. რევოლუციის შემდეგ ერთბაშად აზვირთებული წვრილბურჟუაზიული ტალღის ზედაპირზე, ცხადია, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მქონე პარტიები — მენშევიკები და ესერები აღმოჩნდნენ. ეს სიტყვები შეგვიძლია გავიმეოროთ ამიერკავკასიის სხვა საგუბერნიო ქალაქების — ერევნის, ელიზავეტპოლის, ქუთაისის მიმართ, სადაც, როგორც ცნობილია, პროლეტარიატი კიდევ უფრო ნაკლები და სუსტად ორგანიზებული იყო, ვიდრე თბილისში.

ყველა ამ ფაქტორთა ერთობლიობა მენშევიკურ-ესერულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს ხელისუფლების ორგანოებში გაბატონებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. იგივე ფაქტორები ბოლშევიკური პარტიისათვის — ჯერ კიდევ ორგანიზაციულად სუსტი, რიცხობრივად მცირე პარტიისათვის — დამაბრკოლებელ როლს თამაშობდნენ. ასეთ ვითარებაში ბოლშევიკებს მთელი ძალები უნდა დაეძაბათ, რომ მასებისათვის დაენახვებინათ ყველა ამ პარტიების სიყალბე, მათი პროგრამის რეაქციული ხასიათი.

მათ ყოველ ნაბიჯზე უნდა გაეწიათ ანგარიში ამ თავისებურებისათვის და მთელი მუშაობა წარემართათ იქითკენ, რომ მასებისათვის ცხადეყოთ წვრილბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის შენიღბული ბურჟუაზიული ხასიათი, გაეფანტათ ობორონცული ბურუსი და დაერაზმათ ისინი რევოლუციის გასაღრმავებლად, მისი მეორე ეტაპის — სოციალისტური ეტაპის განსახორციელებლად.

* * *

რუსეთის ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა სპეციალური ორგანო—ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელშიც შევიდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები კადეტები ხარლამოვი და პაპაჯანოვი, მუსავატი ჯაფაროვი, ფედერალისტი აბაშიძე და მენშევიკი ა. ჩხენკელი. ეს შემადგენლობა ბურჟუაზიული მთავრობის რწმუნებით აღჭურვილი 8 მარტს კავკასიისკენ გამოემგზავრა[1].

მენშევიკებმა პირველ ხანებში ერთგვარი უხერხულობა იგრძნეს ამიერკავკასიის ხელისუფლების აშკარა კონტრრევოლუციური შემადგენლობის გამო. 10 მარტს თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობის შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ეს შემადგენლობა თავისი უმრავლესობით არ წარმოადგენს კავკასიის დემოკრატიის ინტერესთა გამომხატველს“[2]. აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „საკითხი განსახილველად გადაეცეს მუშათა დეპუტატების საბჭოს საერთო კრებას“[3]. ამით გათავდა ყველაფერი. შემთანხმებლურმა პარტიებმა ამჯობინეს გაჩუმებულიყვნენ და სოლიდარობით მოპყრობოდნენ განსაკუთრებულ კომიტეტს, რადგან იგი წარმოდგენილი იყო იმ მთავრობისა, რომლისთვისაც მხარდაჭერა თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიზმის მთავარ ლოზუნგად იქცა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახით ამიერკავკასიაში შეიქმნა ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც განუხრელად ატარებდა რუსეთის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკას.

18 მარტს თბილისის სადგურზე ამიერკავკასიის განსაკუთრებუ-

---

[1] ცენტრარქივი. 1917 წ., რევოლუც., გვ. 62.

[2] Протоколы Закавказских революционных Совет. орг., томи I, გვ. 5.

[3] საქ. სსრ ცსსა. ფ. 723, გვ. 13, 47.

ლი კომიტეტის შემადგენლობას საპატიო ყარაულით შეხვდნენ შემთასხმებლური და ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები. აქ იყვნენ ხატისოვი, ჟორდანია და სხვ. კადეტმა ხარლამოვმა ცერემონიული შეხვედრისას წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც რევოლუციასა და თავისუფლებაზე გაცვეთილი ფრაზების შემდეგ პროპაგანდა გაუწია დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ ზრახვებს იმ მხრივ, რომ რევოლუციის ხსნისათვის მთავარ ღონისძიებად ომის ბოლომდე გაგრძელება აღიარა. ამავე დროს, მას ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია იმ ღონისძიებებზე, რომელთაც რევოლუციისაგან მოელოდნენ მშრომელი მასები.

ოზაკომი იყო „ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო და დროებითი მთავრობის წარმომადგენელი"[2], იგი ემორჩილებოდა უშუალოდ დროებით მთავრობას. რაც შეეხება სამხედრო ხასიათის საკითხებს, ოზაკომსა და ფრონტის მთავარსარდალს შორის უნდა დამყარებულიყო სრული კონტაქტი. ამავე დროს, სამხედრო ხელისუფალთა ვერცერთი განკარგულება, თუ იგი ეხებოდა კავკასიის სამოქალაქო მოსახლეობას, ვერ შევიდოდა ძალაში ოზაკომთან წინასწარი შეთანხმების გარეშე[1].

ოზაკომი თავიდანვე მტკიცედ შეუდგა მისი მაღალი რწმუნების დაცვას და შემთანხმებლური პარტიების დახმარებით მოახერხა კიდეც თავისი გაეტანა. ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტების პირველ ყრილობაზე, რომელიც თბილისში 18 მარტს გაიხსნა, ბუნებრივია, დაისვა საკითხი ზემოდან მოვლენილი კომიტეტის უფლება-მოვალეობის შესახებ. ყრილობის მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ოზაკომის წევრები და აქ მათ გადმოშალეს სამოქმედო პროგრამა. პაპაჯანოვი ყრილობაზე გარკვევით აცხადებდა: „ჩვენი რწმუნებანი ყველაზე ფართო მასშტაბისაა, ჩვენ ვმოქმედებთ დროებითი მთავრობის სახელითა და უფლებებით"[2]. ყრილობაზე მწვავე კამათი გამოიწვია საკითხმა — საჭირო იქნება თუ არა შეიქნას აღმასრულებელი კომიტეტის სამხარეო ორგანო, რადგან ასეთი ორგანო ოზაკომს დაუპირისპირდება ან მის უფლებებს შეკვეცავსო. ხარლამოვი გამოვიდა განმარტებით და განაცხადა: „უმაღლესი სანქცია ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ ვიმუშავებთ ადგილობრივ საზოგადოებრივ ელემენტებთან კონტაქტში". ჯაფაროვი ამავე სხდომაზე მიუთითებდა: „ჩვენზე რჩება ვეტოს უფლება და ამ უფლებას ჩვენ არავის დავუთმობთო"[3].

---

[1] საქ. სსრ ორსა ფ. 723, 13, 47.

[2] „Закавказская речь" № 66. 21 მარტი, 1917 წ.

[3] იქვე.

ამ პრეტენზიებით შეუდგა ოზაკომი ამიერკავკასიის მართვას.

აპრილის პირველ. ნახევარში გამოქვეყნდა ოზაკომის მოწოდება ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი. აქ ჩამოთვლილი იყო ყველა ის „ღონისძიებანი“, რომელთა განხორციელებას იგი ვარაუდობდა. — ჩვენ დავაარსეთ განსაკუთრებული საბჭო, რომელიც მოახდენს სასამართლო რეფორმას, — აღნიშნული იყო მოწოდებაში. — ტრანსპორტის მოწესრიგებისათვის დავაარსეთ მიმოსვლის საქმეთა საგანგებო კომისია, მიწის საკითხის გადასაჭრელად დავაარსეთ განსაკუთრებული კომისია, მოვაწყეთ საგამომძიებლო კომისია და სხვადასხვა. ეს „კომისიები“, რა თქმა უნდა, სრულებითაც ვერ შეცვლიდნენ მდგომარეობას ხალხის სასარგებლოდ, ვინაიდან ბურჟუაზიული მთავრობის ძირითადი ღონისძიებანი ხალხის ინტერესებს უპირისპირდებოდა.

ოზაკომი ამავე მოწოდებაში მასებს ათასგვარ დაპირებას სთავაზობდა, ურჩევდა ელოდნა დამფუძნებელი კრებისათვის. ამავე დროს აფრთხილებდა არ გაებედა „სხვისი საკუთრების“ მითვისება, ე. ი. ხელი აეღო მემამულეთა და სახაზინო მიწების, საძოვრების, ტყის, წყალსაქაჩების გამოყენებაზე, ძველებურად ეხადა საიჯარო გადასახადები. „სხვისი საკუთრების მითვისება, ძალადობით ტყის გაჩეხვა, კერძოა ეს ტყე თუ სახელმწიფო — ეს სულერთია, და საზოგადოდ ყოველგვარი ძალადობა და თვითნებურად მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია“ — იძლეოდა რჩევა-დარიგებას კომიტეტი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის გლეხობა ისევ უნდა დარჩენილიყო რევოლუციამდელ მძიმე მდგომარეობაში და ბატონყმური ვალდებულებანი მოეხადა. მოწოდება მუქარით აფრთხილებდა იმ გლეხებს, რომლებიც თვითნებურად იწყებდნენ მემამულეთა მიწების დატაცებას.

„ოზაკომი“ ამ მოწოდების ბოლომდე ერთგული დარჩა. იგი თავგამოდებით იცავდა მემამულურ-ბურჟუაზიულ საკუთრებას ამიერკავკასიაში.

რაც შეეხება ოზაკომის მიერ შექმნილ დაწესებულებებს, მის „კომისიებს“, მათ არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ გაუტარებიათ. ისინი ცარიელ მსჯელობას და პროექტებს გადაჰყვნენ, მდგომარეობა უცვლელი დარჩა. თვით მენშევიკური გაზეთი „ერთობა“ იძულებული გახდა აღენიშნა, რომ ოზაკომმა არა თუ ხელუხლებელი დასტოვა მეფის დროინდელი დაწესებულებები, არამედ ძველ ბიუროკრატიულ მექანიზმს კიდევ ახალი დაუმატა და საქმე არივ-დარია. იმის მაგიერ რომ მიწის საკითხი გადაეჭრათ, მათ შექმნეს მიწის კომისიები, იმის მაგიერ რომ განეხორციელებინათ

ფართო ეროვა, მათ შექმნეს აღმასრულებელი კომიტეტები, სასურსათო კომიტეტები და სხვ. ყველა ესენი სუროგატები იყვნენ, დროებითი ხასიათისა" — აღნიშნავდა გაზეთი[1].

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის უშუალო ხელქვეით პირებს წარმოადგენდნენ საგუბერნიო კომისრები. დებულებაში საგუბერნიო და სამაზრო კომისრების შესახებ ნათქვამი იყო, რომ „გუბერნიის კომისარი გუბერნიაში დროებითი მთავრობის პირველი წარმომადგენელია"[2]. მას ნიშნავდა დროებითი მთავრობა. საგუბერნიო კომისრები დებულების თანახმად ვალდებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. ამიერკავკასიის სინამდვილეში ამ არჩევით ორგანოებთან საგუბერნიო და სამაზრო კომისრები მჭიდრო კონტაქტში იყვნენ, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში მოკალათებული პირები მემამულურ-ბურჟუაზიულ ინტერესებს თავგამოდებულად იცავდნენ.

გუბერნიის კომისარი მისდამი რწმუნებულ გუბერნიას მართავდა სამაზრო კომისრების საშუალებით. დებულებაში სამაზრო კომისრების შესახებ აღნიშნულია, რომ:

მაზრის კომისარი, მოქმედებს რა გუბერნიის კომისრის უშუალო ხელმძღვანელობით, როგორც მისი უახლესი თანაშემწე მაზრაში, მაზრის საზღვრებში წარმოადგენს დროებითი მთავრობის წარმომადგენელს[3].

მიუხედავად იმისა, რომ საგუბერნიო, სამაზრო კომისრებსა და ადგილობრივ არჩევით ორგანოებს შორის შეხედულებათა სხვადასხვაობა რევოლუციასა და მის პერსპექტივებზე თითქმის არ არსებულა, ხშირად მათ შორის მწვავე კონფლიქტს ჰქონდა ადგილი. ამიერკავკასიის საგუბერნიო კომისრების ყრილობაზე 1917 წლ. ოქტომბერში კომისრები ჩიოდნენ ამ კონფლიქტზე, გუბერნიებში გამეფებულ ანარქიას მტკიცე და ერთპიროვნული ხელისუფლების არარსებობას აბრალებდნენ და მთელი ძალაუფლების მათთვის დამორჩილებას მოითხოვდნენ[4]. ეს იყო სწორედ ის პერიოდი, როცა დროებითი მთავრობა რუსეთში უკვე აშკარად დგამდა ნაბიჯებს ბურჟუაზიული დიქტატურისაკენ. კომისრები ამ დროისათვის გარ-

---

[1] იხ. „ერთობა" № 198, 16 ნოემბერი, 1917 წ.
[2] საქ. სსრ ორსა ფ. 727, ს. № 426, გვ. 45.
[3] საქ. სსრ ორსა ფ. 727, ს. 426, გვ. 48.
[4] იხ. საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 428.

კვევით მოითხოვდნენ გუბერნატორის რწმუნებებს, „სალაყბო ორგანოების“ ალაგმვას და ლიკვიდაციასაც კი.

დროებითი მთავრობის მიერ შემუშავებული დებულების თანახმად ამიერკავკასიის სოფლებსა და მაზრებში აპრილში დაიწყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები. ოზაკომმა გუბერნიებში თავისი რწმუნებულები მიავლინა. არჩევნებს დიდ პროპაგანდას უწევდა ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პრესა, მას დემოკრატიზმის უმაღლეს გამოვლინებად სახავდა. მაგრამ არჩევნების შედეგები მეტად სავალალო აღმოჩნდა: სოფლებსა და მაზრებში ხელისუფლების ორგანოებში უმთავრესად მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი პირები აღმოჩნდნენ. ამ დებულების საუკეთესო საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს ამიერკავკასიის მხარის საგუბერნიო კომისრების ყრილობის სტენოგრამა, მაზრისა და გუბერნიის კომისართა მოხსენებანი არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, სამაზრო და საგუბერნიო კომისრების დეპეშები ოზაკომის სახელზე და სხვ.

საგუბერნიო კომისრების ყრილობაზე ხას-მამედოვი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ ელიზავეტოპოლის გუბერნიაში დროებითი მთავრობის დებულების თანახმად ჩატარებული არჩევნების საფუძველზე შექმნილი სამაზრო ორგანოები გაცილებით დაბლა დგანან იმ ორგანოებზე, რომლებიც რევოლუციის პირველ დღეებში შექმნილ იქნა თვით ხალხის ინიციატივით, რომ ოზაკომის ჩარევამ არჩევნების საქმეში, და მის მიერ ორგანიზებულმა ხელისუფლებამ „მოკლა ხალხის ინიციატივა“, რომ ახალი ორგანოები უავტორიტეტონი არიან და მთელს გუბერნიაში გამეფებულია საშინელი ანარქია[1]. ბაქოს გუბერნიის კომისარი ილუშინი ამავე ყრილობაზე აცხადებდა, რომ ბაქოს გუბერნიაში მდგომარეობა იგივეა, რაც ელიზავეტოპოლის გუბერნიაშიო[2].

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უავტორიტეტობაზე, არჩევნების წესების დარღვევაზე, ხალხისა და მისი ხელისუფლების ორგანოების მუდმივ კონფლიქტზე, გუბერნიაში მტკიცე, ერთპიროვნული ხელისუფლების შექმნის აუცილებლობაზე ჩიოდნენ თბილისის, ქუთაისის, ერევნის გუბერნიის კომისრები, ბათუმის, ბაქოს, თბილისის ქალაქის თავები[3].

ბევრ მაზრაში აღმასრულებელ კომიტეტებში, სამაზრო კომის–

[1] საქ. სსრ ორსა. ფ. 723, საქმე 428, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 5—6.

[3] საქ. სსრ ორსა. ფ. 723, ს. გვ. 428.

რების თანამდებობაზე მოკალათდნენ მეფის ხელისუფლების მოხელეები. ახალციხის მაზრაში ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლების ორგანოებში გაძვრნენ ყოფილი პოლიციელები, შეძლებული პირები, ხოლო საგუბერნიო კომისრის თანამდებობაზე მოიკალათა ყოფილმა მაზრის უფროსმა გუდიევმა[1]. დუშეთის მაზრაში ხელისუფლება მთლიანად ხელთ იგდეს პირწავარდნილმა რეაქციონერებმა, რომლებმაც მაზრაში მენშევიკი პროპაგანდისტებიც კი არ შეუშვეს[2]. სურამის ადგილობრივი კომიტეტი მთლიანად ხალხისათვის არასასურველი პირებისაგან იქნა შერჩეული. 14 მაისს სურამის მოედანზე შეიკრიბა დაბის მთელი მოსახლეობა და კომიტეტის გადარჩევა მოითხოვა. მაგრამ კომიტეტის მითითებით საქმეში ჩაერია მილიცია, რომელმაც მიტინგს ცეცხლი გაუხსნა. გაბოძახებულ იქნა სამხედრო ნაწილები, რომლებმაც ხალხი გაფანტა და „წესრიგი" აღადგინა[3].

ყოფილი მაზრის უფროსი აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი გახდა ჯევანშირის მაზრაში. ზანგეზურის მაზრაში ყოფილი პრისტავი მილიციის უფროსად იქნა დანიშნული[4]. ერევნის გუბერნიის მაზრებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ისევ ძემაჰულენი, კულაკები, ძველი ხელისუფლების მოხელენი აღმოჩნდნენ[5].

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" კორესპონდენტი წერდა: „როგ გავეცნოთ არჩევნების შედეგებს, საკმარისია გაეიაროთ ამ სოფლებში და ვიკითხოთ ვინ არიან არჩეული მათთან სოფლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და ვინაა დანიშნული სოფლის კომისრად. პასუხი მეტწილად უბრალო და ერთფეროვანია: „ჩვენი მედუქნე" და „საპატიო", ან ყოფილი სტრაჟნიკი და მედუქნე", ან ყველის ქარხნის უფროსი და ყოფილი მწერალი", ან „მამასახლისი". სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ყოველივეს შევაჯამებთ, არჩეულთაგან 90 პროც. აღმოჩნდება მდიდრები, მემამულეები, ტუზები და კულაკები. ძველი რეჟიმის „საპატიონი", ყოფილი პოლიციის ავაზაკები და ზოგიერთ ადგილებში კი პირწავარდნილი ბულიგნები და რეაქციონერები"[6].

ოზაკომის რწმუნებული შუშის მაზრაში 6 აგვისტოს მოხსენებაში აღნიშნავს, რომ აღმასრულებელი კომიტეტი ორგანულად უძლურია რაიმე გააკეთოს ხალხის სასარგებლოდ და მართოს მაზრა,

---

[1] საქ. სსრ ორსა. ფ. 5, (26,) საქმე, 8, გვ. 26.
[2] იქვე, გვ. 3.
[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 3, ს. საქმე 179, გვ. 72—75.
[4] ЦГАОР Азерб. ССР. ф. 30. оп. I, д. II. гв. 63 -70.
[5] საქ. სსრ ორსა, ფ, 723, ს. ფ. 452, ფ. 1, 14.
[6] „Кавказский рабочий" № 160, 29 სექტ.—1917 г.

რადგან იქ სხედან მსხვილი ვაჭრებისა და სპეკულანტების, მემამულეებისა და ხორბლის შემსყიდველების წარმომადგენლები'. ასევითვე ჰდგომარეობაში აღმოჩნდა ამიერკავკასიის თითქმის ყველა მაზრა. რა იყო ამის მიზეზი?

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნავდით, რომ თებერვლის რევოლუცია ამიერკავკასიაში ბარიკადებზე არ შობილა. ცნობა მეფის ხელისუფლების დამხობის შესახებ ამიერკავკასიის სოფლებში თავისებური შელამაზებით ისევ მეფის მოხელეებმა შეიტანეს. ამავე დროს ეს მოხელეები მეფის მთავრობის დამხობას დროებით მოვლენად თვლიდნენ და ხალხს „წესრიგის აღდგენით" ამშვიდებდნენ. სოფლებში ცხოვრება ისევ ძველებური წესით მიმდინარეობდა.

შეძთანხმებლური პარტიების აგიტაცია-პროპაგანდამ დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერის შესახებ სოფლის ჩამორჩენილი მოსახლეობა კიდევ უფრო დააბნია. მეფის მთავრობის მოხელეთა განუწყვეტელი დევნის პირობებში სოფლად ბოლშევიკური ორგანიზაციები განადგურებული იყვნენ. ახალი არჩევნები ყოველგვარი წინასწარი სამზადისის გარეშე, სტიქიურად, თვითდინებით ჩატარდა. ბოლშევიკებს არ გააჩნდათ კადრები, რომ ისინი სოფლებში მიეგლინებინათ და მასებისათვის საქმის ნამდვილი ვითარება აეხსნათ. მენშევიკები, ესერები და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები დროებითი მთავრობის ამ ღონისძიებას დემოკრატიზმის საუკეთესო ღონისძიებად თვლიდნენ და კმაყოფილი იყვნენ არჩევნების შედეგებით. ამავე დროს, სოფლის ბნელ ელემენტებს, რომლებიც ცარიზმის დროს ხალხს უმოწყალოდ ყვლეფდნენ, აგიტაციის, მასებზე ზემოქმედების ფართო ასპარეზი ჰქონდათ. სოფლის მემამულენი, კულაკები, სტრაჟნიკები წინასაარჩევნო დღეებში ეწეოდნენ პროპაგანდას თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ, ხშირად მუქარას მიმართავდნენ, აწყობდნენ თავდასხმებს „ურჩ" პირებზე და ახერხებდნენ (დაშინებით, მოსყიდვით) ხელისუფლების სათავეში მოქცევას.

ნახჭევანის მაზრის უფროსი ერევნის გუბერნატორისადმი მოხსენებაში არჩევნების შედეგების შესახებ აღნიშნავდა, რომ „ნახჭევანის მაზრაში ამომრჩეველთა სინიდისი ხანების, ბეგების და კულაკების გავლენისა და დაწოლის ქვეშ იმყოფება... ყველა როდი კის-

---

[1] ЦГАОР Азерб. ССР, ф. 19/30, оп. I. д. 10, лл. 73.

რულობს დაასახელოს თავისი კანდიდატი. ასახელებენ იმას, ვისაც უბრძანებენ...[1]

ელიზავეტოპოლის, ბაქოს გუბერნიებში მასობრივად ხდებოდა გაბატონებული კლასების მიერ არჩევნების გაყალბება[2]. რევოლუციის პირველ დღეებში ძველი წყობილების წარმომადგენლები მართალია მიყუჩდნენ, მაგრამ სულ მალე, აუღეს რა ალღო დროებითი მთავრობის პოლიტიკას, გაძვრნენ ხელისუფლებაში, სასურსათო კომიტეტებში, ამოეფარნენ რევოლუციურ ფრაზეოლოგიას და ძველებურად დაიწყეს ხალხის სისხლის წოვა[3].

ამრიგად, თებერვლის რევოლუციას არც ამიერკავკასიის სოფლებში გამოუწვევია არსებითი ცვლილება. ხელისუფლების სათავეში ისევ შეძლებული კლასების წარმომადგენლები მოკალათდნენ. ისინი უმტკივნეულოდ შეეგუენ ახალ დროებას. რევოლუციურ ფრაზებს ამოფარებულნი, ისევ ეწეოდნენ მშრომელი მასების ექსპლოატაციას. ხელისუფლების ეს ორგანოები არათუ ზრუნავდნენ მშრომელი მასების ინტერესების დასაცავად, არამედ პირიქით, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ისინი მორჩილებაში ჰყოლოდათ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხელისუფლების ასეთმა შემადგენლობამ სწრაფად დაჰკარგა გავლენა, ძალა, ავტორიტეტი. ხალხმა ზურგი შეაქცია მას. ამავე დროს, სოფლის ბნელმა ელემენტებმა ხელისუფლების უილაჯობით და ზოგჯერ ფარული თუ აშკარა წაქეზებით დრო იშოვეს და ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი[4].

* *

ოზაკომს, ისე როგორც დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას, თავისი კლასობრივი ბუნების გამო, არ შეეძლო გადაეჭრა რევოლუციის არცერთი საკითხი. ამიერკავკასიაში იგი ხელუხლებლად სტოვებდა მემამულეთა ძალაუფლებას, ხოლო მემამულეთა ექსპლოატაციით ხელშეხუთულ გლეხობას პირდებოდა აგრარული საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებაზე. ხოლო როცა ამიერკავკასიის გლეხობამ დაიწყო მემამულეთა მიწების დატაცება და ფეოდალურ გადასახადებზე უარი თქვა, ოზაკომი უყოყმანოდ დადგა მემამუ-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 457, გვ. 1—3.

[2] ЦГАОР Аз. ССР, ф. 30, оп. 1, д. II, гг. 63—70.

[3] იქვე.

[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 457, გვ, 1—3.

ლეთა ბახარეზე და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის დათრგუნვა დაიწყო იარაღის გამოყენებით.

ოზაკომმა, ისე როგორც დროებითმა მთავრობამ უცვლელ მდგომარეობაში დასტოვა მუშათა საკითხი. მან უარი სთქვა დაეწესებინა მუშათა კონტროლი წარმოებასა და პროდუქტების განაწილებაზე, თავის ნებაზე მიუშვა კაპიტალისტები, რომლებმაც ბლოკი შეკრეს რევოლუციის წინააღმდეგ და გადასწყვიტეს მისი წახრჩობა ეკონომიური კონტრრევოლუციით. ოზაკომი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კოლექტიური ხელშეკრულების დადების საკითხში ბაქოს ნავთისბრეწველთა მხარეზე დადგა, ამიერკავკასიელ კაპიტალისტებს იგი ეხმარებოდა მუშათა გაფიცვების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოზაკომმა ასევე ვერ შესძლო გადაეჭრა სასურსათო საკითხი. იგი სამხარეო საბჭოსთან ერთად თითქმის ყოველდღიურად აცხობდა დირექტივებს, რეზოლუციებს, მაგრამ ამ ღონისძიებებს განხორციელება არ ეწერათ. სასურსათო კომიტეტები და კომისიები, რომლებიც ყველა ქალაქსა და მაზრაში არსებობდნენ, უძლურნი იყვნენ რაიმე პრაქტიკული წარმატებისათვის მიეღწიათ, რადგან ოზაკომის მიერ ნებაზე მიშვებული მემამულენი, ჩარჩ-ვაჭრები, კაპიტალისტები ხელოვნურ დაბრკოლებას ქმნიდნენ მომარაგებისათვის, ხელს უწყობდნენ სპეკულაციას. იმპერიალისტური ომისა და მემამულურ-ბურჟუაზიული ხელისუფლების ბატონობის პირობებში სასურსათო საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, სასურსათო კომიტეტებში ხშირად თავს იყრიდნენ სპეკულანტები, ჩარჩ-ვაჭრები, რომლებიც არა თუ ზრუნავდნენ პროდუქტების ნაკლებობის აღმოფხვრაზე, არამედ, პირიქით, ხელოვნურად აფერხებდნენ მოსახლეობის მომარაგებას, რომ სპეკულაციით მაღალი მოგებისათვის მიეღწიათ.

ოზაკომი დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის საგარეო პოლიტიკის განუხრელი გამტარებელი დარჩა. თავისი არსებობის მანძილზე იგი დაუღალავად ეწეოდა ომის პროპაგანდას, მოქმედ არმიაში და ფრონტებზე მიერეკებოდა ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს, მკაცრად ილაშქრებდა არმიაში რევოლუციური განწყობილების წინააღმდეგ და მხარის მშრომელთა სასიცოცხლო საკითხებს ომის, „მტერზე საბოლოო გამარჯვების“ საკითხს უქვემდებარებდა. ცხადია, ამით იგი იცავდა მხოლოდ და მხოლოდ ამიერკავკასიის შეძლებული კლასების ინტერესებს.

ოზაკომმა უცვლელი დასტოვა კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარია. კანცელარიის მოხელეები, რომლებიც მეფის რუსეთის

კოლონიზატორული რეაქციული პოლიტიკის უსიტყვო შემსრულებლები იყვნენ, სრულიად თავისუფლად დარჩნენ ოზაკომის სამსახურში, მოხდა მათი მხოლოდ გარეგნული „გადემოკრატულება“[1].

ჩვენს განკარგულებაში არსებული დოკუმენტური მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი მისი არსებობის პირველსავე დღიდანვე წარმოადგენდა ამიერკავკასიის შეძლებული კლასების — მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობას, რომელიც ისე, როგორც დროებითი მთავრობა, განზრახ აფერხებდა რევოლუციით ნაკარნახევ ღონისძიებათა პრაქტიკულ განხორციელებას, ეხმარებოდა შეძლებულ კლასებს ფეხი მოეკიდებინათ რევოლუციით შერყეულ ნიადაგზე. ეს მთავრობა გვერდში ედგა ქართველ თავად-აზნაურებს, აზერბაიჯანელ ბეგებსა და აღალარებს, სომეხ მემამულეებს და იცავდა მათ მშრომელი გლეხების ხელყოფისაგან.

როგორი იყო საბჭოების როლი ამიერკავკასიაში, სარგებლობდნენ თუ არა ისინი იმ უფლებით, რომელიც რევოლუციამ მიანიჭა?

ჩვენ ვნახეთ, რომ ამიერკავკასიის მსხვილ ქალაქებში საბჭოების უმრავლესობაში მენშევიკები და ესერები აღმოჩნდნენ, რომელთაც იმთავითვე ხელისუფლება ბურჟუაზიულ დაწესებულებებს (საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტები თბილისში, ბაქოში, ერევანში) ჩააბარეს, ხოლო თავად კონტროლის როლი მიატოვეს.

შემთანხმებლურ პარტიებს ამ ნაბიჯის გასამართლებლად „თეორიული“ მოსაზრებაც გააჩნდათ. ისინი ხომ თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად ბურჟუაზიას თვლიდნენ! მათი აზრით, რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში უნდა ჩამდგარიყო ბურჟუაზია, როგორც „საერთო ნაციონალური ამოცანების გადაწყვეტისათვის სოციალურად და ფსიქოლოგიურად უფრო მომზადებული“ (პოტრესოვი). შემთანხმებლები შიშობდნენ, რომ დემოკრატია, რომელიც, მათი აზრით, დანაწევრებული იყო და პოლიტიკური ორგანიზაცია არ გააჩნდა, ვერ შესძლებდა სახელმწიფოებრივი მანქანის დაუფლებას. ამ „თეორიით“ მენშევიკები ამართლებდნენ ბურჟუაზიული მთავრობისათვის ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაცემას, იმ ბურჟუაზიისათვის, რომელსაც მიმდინარე მომენტში, შულიგინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ იცავდა

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 14 (ამკავკასიის განსაკუთრ. კომიტეტის კანცელარიის მოსამსახურეთა სხდომების და საერთო კრებების ოქმები).

საიმპერატორო ყარაული და ხალხის მხარდაჭერის გარეშე იყო დარჩენილი.

მენშევიზმის ლიდერები ამიერკავკასიაში სავსებით იზიარებდნენ ამ შეხედულებას. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე მიმდინარე მომენტის ლოზუნგის გამომუშავებასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ აღნიშნა: „რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ: 1) პროლეტარიატი, 2) არმია და 3) ლიბერალური ბურჟუაზია. ამის შესაბამისად მუშათა დეპუტატების საბჭომ უნდა განსაზღვროს თავისი პოლიტიკური ხაზი. მიმდინარე მომენტში საჭიროა ერთიანობა იმ ძალებისა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იმით, რომ მეფის ხელისუფლებამ არ გაიმარჯვოს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ბრძოლაშიო“[1]. ჟორდანიას ეს თეზისები აღმასრულებელმა კომიტეტმა, ცხადია, გაიზიარა. ამავე აზრის პროპაგანდას ეწეოდა მენშევიკური გაზეთი: „კარგად უნდა დავიმახსოვროთ დღევანდელი დიადი რევოლუციის ნიშანდობლივი ხასიათი, ის წარმოებს ორი მოპირდაპირე კლასის — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის საერთო ხელმძღვანელობით. მაშასადამე, ამ ძალების გათიშვა, ერთი მეორეზე ამხედრება და განმარტოება გზას გაუხსნის რეაქციასა და კონტრრევოლუციას“[2].

ამიერკავკასიელი მენშევიკების მტკიცებით გამოდიოდა ის, რომ რევოლუციის მოხდენაში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას მიუძღოდა თანაბარი დამსახურება (სავსებით გამორიცხული იყო გლეხობის როლი, რომელსაც მენშევიკები საერთოდ არ თვლიდნენ რევოლუციურ კლასად. — ა. ს.). აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა დასკვნა — ხელისუფლებას უნდა დაეპატრონონ ის ძალები, რომელთაც რევოლუცია მოახდინეს, ე. ი. ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ადგილობრივი მართვა-გამგეობის ორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით მენშევიკური გაზეთი წერდა: „ადგილობრივი რევოლუციური მართვა-გამგეობა უნდა მიენდოს ორივე ჯგუფის თანასწორ წარმომადგენლებს (ლაპარაკია ბურჟუაზიასა და პროლეტარიატზე — ა. ს.), ამ გზით წესდება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც გააუქმებს ძველ ადმინისტრაციას, პოლიციას ფრონტზე გაისტუმრებს, წესიერებას დაამყარებს, შეეცდება ძველი წყობილების მომხრეთა ალაგმვას... ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი დროებითი რევოლუციური მთავრობის ორგანო იქნება,.

---

[1] Протоколы Закавк. револ. совет. организации. ტ. I, გვ. VI.

[2] გახ. „თანამედროვე ახრი“ № 52, 5 მარტი, 1917 წ.

მას მხარში ამოუდგება და ადგილობრივ ახალი წყობილების განმტკიცებას იკისრებსო"[1].

ამრიგად, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა შესაბამისობა, ხელისუფლებაში მათი თანაბარი როლი და ბურჟუაზიულ დროებით მთავრობასთან სრული კონტაქტით მუშაობა — აი ის გეზი, რომლითაც შემთანხმებლები თებერვლის რევოლუციის მონაპოვართა „შენარჩუნებას" ვარაუდობდნენ.

ბოლშევიკები ამიერკავკასიის საბჭოებში ყველგან უმცირესობას წარმოადგენდნენ, ზოგიერთ საბჭოში მათ თავიანთი დეპუტატი არც კი ყოლიათ. ეს საბჭოები, ცხადია, ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას ახორციელებდნენ და მათ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სასიცოცხლო ამოცანების გადასაწყვეტად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება გავაიგივოთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მუშაობა თბილისსა და ბაქოში.

ომის წლებში ბაქოს მუშათა შემადგენლობაში ცვლილებების მიუხედავად, ბაქოს პროლეტარიატი მაინც დარჩა ამიერკავკასიის მასშტაბით წამყვანი, სოციალისტური რევოლუციის ავანგარდული ძალა. ბაქოს პროლეტარიატი გაცილებით უკეთ ორგანიზებული იყო. ვიდრე თბილისის წვრილბურჟუაზიული მასა და ბოლშევიკური პარტიის სიტყვა რევოლუციის ამოცანების შესახებ. შემთანხმებლური პარტიების ბუნების შესახებ, იქ გაცილებით სწრაფად პოულობდა გამოხმაურებას, ვიდრე თბილისისა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში, სადაც წვრილბურჟუაზიული მასის გულდანდობა შემთანხმებლებისადმი გაცილებით დიდი იყო. ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების უკან მდგარი ეს სამოციათასიანი ორგანიზაციული პროლეტარული ძალა დაჟინებით მოითხოვდა 8 საათიან სამუშაო დღეს, კოლექტიური ხელშეკრულების დადებას ნავთის მრეწველებთან. საბჭოს მენშევიკ-ესერი დეპუტატები ათასგვარი ხრიკებით აჭიანურებდნენ მუშათა კლასის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც იძულებულნი ხდებოდნენ მასებისათვის გაეწიათ ანგარიში. ბოლშევიკები სათავეში ედგნენ ბაქოს მუშათა კლასის ორგანიზებულ კოლექტივს და საბჭოში თავიანთი რიცხვობრივი სიმცირის კონპენსაციას ახერხებდნენ საბჭოების გარეთ პროლეტარიატის უმრავლესობის მხარდაჭერით. ამიტომ იყო, რომ ბაქოს საბჭო ბევრ ისეთ გადაწყვეტილებას იღებდა, რაც ბურჟუაზიული ხელისუფლების ინტერესებს ეწინააღმდე-

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი" № 53, 7 მარტი, 1917 წ.

გებოდა. იგი ქალაქში ყველაზე ავტორიტეტიანი, მძლავრი ხელისუფლება იყო. ბაქოს პროლეტარიატის მხარდაჭერამ საბჭოს ბოლშევიკურ ფრაქციას შესაძლებლობა მისცა გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინა მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ, თანდათანობით გაემტკიცებინა თავისი პოზიციები. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღეებში ბაქოს საბჭოს მიერ ძალაუფლების საკუთარ ხელში აღება ლოღიკური შედეგი იყო იმ მძლავრი პროლეტარული ორგანიზებულობისა, რომელიც ბაქოს პროლეტარიატში თანდათანობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ბაქოში, რომელიც რუსეთის უმსხვილეს სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. აზერბაიჯანის სხვა ქალაქებსა და განსაკუთრებით სოფლებში, შემთანხმებელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები სრულ კონტაქტში იყვნენ და ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან სოლიდარულად „მართავდნენ“ ქვეყანას.

18 მარტს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტების ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა 160 დელეგატი ამიერკავკასიის საგუბერნიო, საოლქო, საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტებისაგან[1]. ადგილებიდან მოხსენებების მოსმენამ ცხადჰყო რევოლუციის შემდგომ ამიერკავკასიაში ადგილობრივი ხელისუფლების მემამულურ-კულაკური ხასიათი. არავინ არ უარჰყოფდა იმ ფაქტს, რომ სოფლებში ხელისუფლების სათავეში ისევ სოფლის წურბელები, ყოფილი მეფის ხელისუფლების დროს გავლენიანი პირები, ძველი პრისტავები და სტრაჟნიკები მოექცნენ. დემოკრატიული პოზიციიდან შორს იდგა თვით ყრილობის შემადგენლობა, რომელიც საქალაქო, საოლქო და საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტების „ნაღებს“ წარმოადგენდა. მენშევიკების ლიდერი კავკასიაში ნ. ჟორდანია თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს 23 მარტის სხდომაზე, ყრილობის მუშაობას რომ აჯამებდა, ამბობდა: „ყრილობა წარმოადგენდა საკმარისად სამწუხარო სურათს. მასში მონაწილეობდნენ ისეთი პირები, რომლებიც ყოველთვის დემოკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ძალაუფლება კომიტეტებში ჩაიგდეს ხელში უფრო გაბედულმა და ენერგიულმა პირებმაო“[2].

ეს სწორი აღიარება იყო, მაგრამ ჟორდანია სდუმდა იმაზე, რომ ამ „ენერგიულ და გაბედულ პირებს“ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში თავისი შემთანხმებლური პოლიტიკის გამო თანაუგრძნობდა

[1] გაზ. „Закавказская речь“ № 66, 21 მარტი, 1917 წ.

[2] Протоколы Закавказской рев. сов. орг. ტ. 1.

და პრაქტიკულადაც ეხმარებოდა მენშევიკური პარტია, რომლის ლიდერი თვით ნ. ჟორდანია იყო.

ყრილობამ დროებით მთავრობას და მის ახალმოვლენილ ფილიალს ამიერკავკასიაში — ოზაკომს სრული ნდობა გამოუცხადა. ყრილობის დელეგატების ერთმა ნაწილმა ის აზრიც კი წამოაყენა, რომ ოზაკომის შექმნის შემდეგ საჭიროც არ არის აღმასრულებელი კომიტეტების სამხარეო ორგანოს შექმნა, რადგან ეს ორი ორგანო ერთი და იგივე საქმისათვის არის მოწოდებული და მათი თანაარსებობა პარალელიზმის საფრთხეს შეიცავსო[1].

მომენტისა და ტაქტიკის შესახებ ყრილობაზე მომხსენებელი— ნ. ჟორდანია მტკიცედ იცავდა მენშევიზმის თვალსაზრისს რევოლუციის ხასიათსა და მის პერსპექტივებზე. იგი მიუთითებდა, რომ რევოლუციის წამყვან ძალებს ბურჟუაზია და პროლეტარიატი წარმოადგენდნენ, რომ „მომენტის თავისებურება“ მათ სრულ სოლიდარობას მოითხოვსო[2] და მოუწოდებდა დემოკრატიის ძალთა ერთობისაკენ“. ცხადია, ყრილობის ბურჟუაზიული შემადგენლობა, რომელიც ამიერკავკასიის ხელისუფლების ორგანოებში უკვე მტკიცედ გრძნობდა თავს, მიესალმებოდა ჟორდანიას ფორმულას ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის თანამშრომლობის შესახებ, რაც პრაქტიკაში ბურჟუაზიის სრულ ბატონობას ნიშნავდა.

ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები სავსებით იწონებდნენ ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკას, ამავე დროს ამიერკავკასიის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების პრაქტიკულ გადაწყვეტას გვერდს უვლიდნენ და ყველაფერს ანდობდნენ დამფუძნებელ კრებას. რეზოლუცია რჩევას იძლეოდა შეექმნათ მომრიგებელი კამერები, რომლებსაც უნდა „გადაეჭრა“ მუშებისა და გლეხების კონფლიქტი შეძლებული კლასების მიმართ[3].

ყრილობაზე არჩეული აღმასრულებელი კომიტეტების სამხარეო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შემთანხმებლური და ბურჟუაზიულ-ნაციონალური პარტიების წარმომადგენლები შევიდნენ, იმთავითვე ბურჟუაზიული პოლიტიკის უკრიტიკო გამტარებელი გახდა და გვერდში ამოუდგა ოზაკომს.

როგორ ფუნქციებს ასრულებდნენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების სამხარეო ორგანოები? ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო

---

[1] „Закавказская речь“ № 66, 1917 წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ყრილობის შესახებ. აქ აღნიშნავთ იმას, რომ ყრილობაზე გაბატონებული მდგომარეობა მენშევიკებს და ესერებს ჰქონდათ მოპოვებული. ბოლშევიკები თითო-ოროლა დელეგატის სახით იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებდნენ ფარდა აეხადათ ამ პარტიების პოლიტიკის კონტრრევოლუციური ბუნებისათვის. ყრილობის მიერ არჩეულ სამხარეო ორგანოებში ისევ მენშევიკებისა და ესერების პარტიები გაბატონდნენ, რომლებიც, იცავდნენ რა დროებითი მთავრობის (და ცხადია, ოზაკომისადმი) მხარდაჭერის პოლიტიკას, თავიანთ როლს მხოლოდ „კონტროლითა" და „ზემოქმედებით" შემოზღუდავდნენ. მაგრამ ეს კონტროლი და ზემოქმედება ცარიელ ფრაზებად რჩებოდნენ. ბურჟუაზია ფარულად ეკონომიურ კონტრრევოლუციას ახორციელებდა, პოლიტიკურ სფეროებში დიქტატურისაკენ მიისწრაფვოდა. შემთანხმებლების რეზოლუციებს კი ბურჟუაზია მასების სიფხიზლის მიძინებისა და კონტრრევოლუციური პრაქტიკული საქმეების საფარად იყენებდა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და საქართველოში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მჭიდრო თანამშრომლობიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე მომუშავე ზოგიერთი მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ საქართველოში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ არ შექმნილა ორხელისუფლებიანობა და თითქოს სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაქცევისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება. ეს აზრი ნაგები ორხელისუფლებიანობაზე მიუთითებდნენ ბაქოში, ხოლო თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებში აღმოცენებულ საბჭოებსა და ბურჟუაზიულ მთავრობას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდნენ. საკითხის ასე დაყენება მცდარია.

საქმე ისაა, რომ საბჭოები საქართველოშიც, ისე როგორც რუსეთში და ბაქოშიც, რევოლუციის წიაღიდან აღმოცენდნენ და მასში მენშევიკურ-ესერული უმრავლესობის მიუხედავად, მაინც იძულებული იყვნენ ცოტად თუ ბევრად ხალხის ინტერესებისათვის გაეწიათ ანგარიში, განეხორციელებინათ ზოგიერთი, თუმცა მეორეხარისხოვანი, მაგრამ მაინც სასარგებლო ღონისძიებები. ბურჟუაზიული ხელისუფლება (ოზაკომი) კი დროებითი მთავრობის კარნახით მოევლინა ამიერკავკასიას და მისი მიზანდასახულება (ბურჟუაზიული დიქტატურის დამყარება) პრინციპში თვით საბჭოების არსებობას უპირისპირდებოდა.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ არა მარტო ამიერკავკასიაში (ბაქო), არამედ საქართველოშიც, ზოგიერთ ადგილებში, საბჭოებში ზოგჯერ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდათ ბოლშევიკებს, რომლებიც საბჭოს ტრიბუნას ბურჟუაზიული მთავრობის კონტრრევოლუციურ ღონისძიებათა გამოსააშკარავებლად იყენებდნენ და მათ განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებით ცდილობდნენ გადაეჭრათ მშრომელთა მიერ დასახული ამოცანები.

ვ. ი. ლენინი, როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლუციის დამახასიათებელ თავისებურებას ორხელისუფლებიანობაში ხედავდა. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სწორედ იმას, რომ „...დროებითი მთავრობის, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ის მთავრობის, გვერდით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ სუსტი, ჩანასახოვანი, მაგრამ მაინც უეჭველად ნამდვილად არსებული და მზარდი მ ე ო რ ე მ თ ა ვ რ ო ბ ა: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები“[1]. ლენინი, ამავე დროს, აღნიშნავდა იმ ფაქტსაც, რომ ეს „ჩანასახოვანი ხელისუფლება დროებით მთავრობას ან პირდაპირი შეთანხმებით, ან დათმობებით აბარებს პოზიციებს“ და ამის მიზეზს იგი პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობაში ხედავდა. გამოდიოდა რა ამ ფაქტიდან, ლენინი თავის ცნობილ აპრილის თეზისებში პარტიას ავალებდა მხოლოდ მოთმინებით, სისტემატურ, დაჟინებით, მასების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან შეგუებულ განმარტებას იმისა, თუ რატომ აღმოჩნდა ბურჟუაზია ხელისუფლების სათავეში, რაში მდგომარეობდა პროლეტარიატის ტაქტიკური შეცდომები, როგორ უნდა დაგვეღწია თავი ამ შეცდომებისაგან, რატომ იყო აუცილებელი მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის გადაცემა და სხვ.

როგორც ცნობილია, ლენინის აპრილის თეზისები, მხედველობაში იღებდნენ რა ორი ხელისუფლების გადახლართვით რუსეთში შექმნილ თავისებურ ვითარებას, კომუნისტური პარტიის ტაქტიკას მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის ლოზუნგს უმორჩილებდნენ. აპრილის თეზისები რუსეთის და, ცხადია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამა იყო. საქართველოს ბოლშევიკები აპრილის თეზისების საფუძველზე დაუღალავად იბრძოდნენ პარტიის გასათვითცნობიერებლად, საბჭოებში თუ მის გარეთ ამხელდნენ მშრომელი კლასების მიერ დაშვებულ ტაქტიკურ შეცდომებს, იბრძოდნენ იმისათვის, რომ საბჭოებში უმრავლესობა მოეპოვებინათ, ამხელდნენ ბურჟუაზიული

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ 24, გვ. 22.

მთავრობისა და ამიერკავკასიაში მისი ფილიალის — ოზაკომის კონტრრევოლუციურ ბუნებას და ამზადებდნენ პოლიტიკურ არმიას სოციალისტური რევოლუციისათვის. საქართველოს თავისებურებათადმი ზედმეტად გამოდევნებით თუ ორხელისუფლებიანობასაც უარვყოფთ, მაშინ საქართველოს ბოლშევიკების მთელი ტაქტიკური ხაზი აპრილიდან ივლისამდე აუხსნელი დაგვრჩებოდა.

რაც შეეხება ზოგიერთ თავისებურებებს, მათ მართლაც ჰქონდათ ადგილი საქართველოსა და სომხეთში, რაც ადგილობრივი პროლეტარიატის სისუსტით, წვრილბურჟუაზიული სტიქიის სიმძლავრით იყო შეპირობებული. ამ თავისებურებათა შესახებ ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, დანარჩენზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

თ ა ვ ი III

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კომუნისტურ პარტიას ამიერკავკასიაში ლეგალური მუშაობის შესაძლებლობა მიეცა. ახლა შედარებით თავისუფლად, პოლიციისა და ჟანდარმების განუწყვეტელი დევნის გარეშე შესაძლებელი გახდა მასების მოზიდვისა და დარაზმვის მრავალგვარი ფორმის გამოყენება.

ახალ ვითარებაში, პირველ რიგში, საჭირო იყო დანგრეული პარტიული უჯრედების აღდგენა და მათი ქსელის გაფართოება, შეგნებული მუშებისა და უღარიბესი გლეხების პარტიის რიგებში მოზიდვა და მათზე დაყრდნობით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაჩაღება ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობის წარმატებით გაჩაღებისა და იდეური პროპაგანდის მაღალი დონისათვის აუცილებელი შეიქმნა ბოლშევიკური გაზეთის გამოცემის განახლება. ამ საქმის წამოწყება არ იყო ადვილი, რადგან ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, წლობით დევნის შემდეგ, არ გააჩნდათ საჭირო სახსრები. სიძნელეების მიუხედავად, ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. 1917 წ. 11 მარტს თბილისში ს. ქავთარაძის რედაქტორობით გამოვიდა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი", რომელმაც მალე შემოიკრიბა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ფართო აქტივი. იგი მშრომელთა საყვარელი გაზეთი გახდა.

გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ" თავიდანვე, ძირითადში, მიიღინარე რევოლუციის შეფასების საკითხში სწორი პოზიცია დაიკავა. მან აქტიური ბრძოლა გააჩაღა შემთანხმებლური პარტიების წვრილბურჟუაზიულ შეხედულებათა წინააღმდეგ. მე-4, 5, 6, 7 ნომრებში გამოქვეყნებული იქნა სტატიები, სადაც გატარებული იყო ის აზრი, რომ თანამედროვე ვითარებაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია არსებითად განსხვავდება იმ რევოლუციებისაგან,

როლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში. რუსეთის ბურჟუაზია სრულებითაც არ ყოფილა დაინტერესებული რევოლუციით, რადგან იგი მხარს უჭერდა ცარიზმს იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებაში და ეყრდნობოდა მეფის აპარატს მასების ყვლეფის საქმეში. „...ეს მდგომარეობა,—წერდა გაზეთი,—ბევრი ჩვენი ამხანაგისათვის სრულიად გაუგებარია. ისინი ფიქრობენ, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია ყველგან და ყოველთვის უნდა განხორციელდეს ერთი შაბლონით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში. ისინი ამასთანავე ანგარიშს არ უწევენ არც ადგილს, არც დროს"[1]. გაზეთი ამტკიცებდა, რომ რევოლუციის მამოძრავებელი ძალები არიან ქალაქის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა, რომლებიც სასტიკი ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის გამო ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული არსებული წესწყობილების დამხობაში[2].

გაზეთმა სწორი ხაზი მისცა მკითხველებს მომენტის შეფასებაში. იგი ამტკიცებდა, რომ დროებით მთავრობას თავისი ბურჟუაზიული შემადგენლობისა და იმპერიალისტური ბუნების გამო ოდნავადაც არ შეუძლია მშრომელი მასების ინტერესების გადაწყვეტა, რომ განხეთქილება საბჭოებსა და დროებით მთავრობას შორის გარდუვალია, რადგან ერთი წარმოადგენს მუშათა და გლეხთა უმაღლეს ორგანოს, მეორე — ბურჟუაზიის ორგანოს. ამ ორი კლასის ინტერესები კი ერთმანეთს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან. მუშათა დეპუტატების საბჭოების შესახებ გაზეთი აღნიშნავდა: „ერთადერთ რეალურ ძალას და ამბოხებული ხალხისა და ჯარის ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენს სწორედ მუშათა დეპუტატების საბჭო. იგი ფაქტიურად თავის თავში ათავსებს მთელი ხალხის ნება-სურვილს და ამ მიმართულებით უკარნახებს, და ვალდებულია კიდეც უკარნახოს. თავისი ნება-სურვილი დროებითი ხელისუფლების ორგანოებს, რასაც მოცემულ მომენტში წარმოადგენს სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი და სამინისტრო"[3].

გაზეთს თავის პროპაგანდისტულ მუშაობაში ჰქონდა ზოგიერთი შეცდომა. კერძოდ, პირველ ხანებში იგი გვერდს უვლიდა საბჭოების როლის გაბედულ განსაზღვრას, ბურჟუაზიული ხელისუფლების მხილებას, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის შემარიგებლური პოლიტიკის მკვეთრ კრიტიკას და სხვ.

ამ შეცდომების მიუხედავად „კავკაზსკი რაბოჩი" უაღრესად

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий" № 5, 16 მარტი, 1917 წ.

[2] იქვე

[3] გაზ. „Кавказский рабочий" № 2, 12 მარტი, 1917 წ.

დიდ როლს ასრულებდა ბოლშევიკური პროგრამის პოპულარიზაციის საქმეში. იგი ათვითცნობიერებდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებს, რაზმავდა მათ პარტიის რევოლუციური დროშის გარშემო.

* * *

ცნობილია, რომ 1912 წლის პრაღის კონფერენციამ რსდმპ-დან განდევნა მენშევიკი ლიკვიდატორები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკების საბოლოო გაფორმებას დამოუკიდებელ პარტიად[1]. ამ კონფერენციის შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავით გაიშალა ბრძოლა მენშევიკი ლიკვიდატორების წინააღმდეგ პარტიის რიგების ზრდის, სიწმინდისა და ერთიანობისათვის.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ მენშევიკები, როგორც ვნახეთ, ბურჟუაზიის სამსახურში დადგნენ. მაშასადამე, რევოლუციის გაღრმავების ამოცანა მათგან გამიჯვნას და მათი მცდარი, ბურჟუაზიასთან შემთანხმებლური პოლიტიკის სისტემატურ მხილებასა და დაგმობას, მათგან მასების ჩამოცილებას, მათს სრულ იზოლაციას მოითხოვდა. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ შვეიცარიიდან აფრთხილებდა რუს ბოლშევიკებს „ჩემი აზრით ახლა მთავარია თავი არ გავაბმევინოთ სოციალ-პარტიებთან (ან, რაც კიდევ უფრო საშიშია, მერყეევებთან, როგორიც არიან ორგანიზაციული კომიტეტი, ტროცკი და კომპანია) სულელურ „გამაერთიანებელ“ ცდებში და საკუთარ პარტიად განვაგრძოთ მუშაობა თანმიმდევრულ-ინტერნაციონალური სულისკვეთებით“[2].

მაგრამ ამიერკავკასიაში თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში შექმნილი კონკრეტული ვითარების გამო კომუნისტები იძულებულნი იყვნენ მენშევიკებთან ფორმალური ორგანიზაციული ერთიანობა მოეთმინათ მანამ, სანამ პარტიული უჯრედები არ მოლონიერდებოდნენ იმდენად, რომ დამოუკიდებელი ორგანიზაციები შეექმნათ. და რაც მთავარია, ფართო პარტიული მასისათვის თვალსაჩინო არ გახდებოდა მენშევიკებთან ორგანიზაციული ერთიანობის ხელოვნურობა და მცდარობა, ვიდრე პარტია გარკვევით არ შეიმუშავებდა რევოლუციის გაღრმავების პროგრამას VII (აპრილის) კონფერენციაზე.

ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში დღემდე ეს საკითხი განხილული იყო თებერვლის შემდგომი კონკრეტული ვითა-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი, გვ. 15.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 313.

რების გაუთვალისწინებლად. დასკვნები ამიტომაც ხელოვნური და ამდენად მცდარი გამოდიოდა. პროფ. გ. ხაჭაპურიძე თავის შრომაში იმოწმებს რა ვ. ი. ლენინის წერილს შემარიგებლებთან გაერთიანების თავიდან აცილების აუცილებლობაზე, აღნიშნავს, რომ „მიუხედავად ლენინის მრავალი გაფრთხილებისა, თბილისელ ბოლშევიკთა ჯგუფი თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ფ. მახარაძის ინიციატივით, მენშევიკებთან გაერთიანების სასარგებლოდ გამოვიდა“[1]. მცდარად არის ეს საკითხი წარმოდგენილი ჩემს შრომაში[2], სადაც მენშევიკებთან გაერთიანების ინიციატივა მიწერილია თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის შიგნით აღმოცენებული „ოპორტუნისტთა ჯგუფისადმი“ და ფ. მახარაძისადმი. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ისიც, რომ პროფ. გ. ხაჭაპურიძისა და ჩემი თვალსაზრისი გამომდინარეობდა ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში აქამდე გაბატონებული შეხედულებიდან, რომლის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით. გარდა ამისა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ საკითხი ყოველმხრივ დამუშავებული და შესწავლილი არ ყოფილა.

რა კონკრეტულ ისტორიულ ობიექტურ ვითარებას უნდა გაეწიოს ანგარიში, როცა ბოლშევიკების მიერ მენშევიკებთან ორგანიზაციულ დროებითი „გაერთიანებაზე“ ვლაპარაკობთ?

წინა თავში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში შემთანხმებლური პარტიების გამარჯვების მიზეზების გარკვევისას, ვრცლად შევეხეთ იმ თავისებურებას, რომლითაც ხასიათდებოდა ამიერკავკასია. ჩამორჩენილ, აგრარულ ამიერკავკასიაში, წვრილბურჟუაზიული სტიქია ხომ გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე რუსეთში. თებერვლის რევოლუციამ, რომელმაც ჟანდარმერიის არტახებით შებოჭილ ამიერკავკასიაში ერთის დაკვრით პოლიტიკური თავისუფლების ფართო ასპარეზი შექმნა, მუშათა კლასზე უსათუოდ მოახდინა ზეგავლენა. მუშების დიდ უმრავლესობას, პირველ ხანებში, დამთავრებულად მოეჩვენა ის ბრძოლა, რომელსაც ისინი ასე შეუპოვრობით ეწეოდნენ ათეული წლების განმავლობაში. რევოლუციამ ფართო ილუზიები შექმნა რუსეთის პერიფერიულ პარტიულ ორგანიზაციებში, კერძოდ ამიერკავკასიაში. პარტიული მასის ნაწილს მოეჩვენა, რომ ის უთანხმოებანი, რომლე-

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, გვ. 100, 1954 წ. გამოცემა.

[2] ა. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ.), თბილისი, 1954, გვ. 71—72.

ბიც რევოლუციის გამარჯვების საკითხებში ბოლშევიკებისა და მენშევიკების პარტიებს შორის არსებობდნენ, რევოლუციის გამარჯვებამ თავისთავად ამოსწურა და ამიერიდან შესაძლებელია მათი დაახლოება, ერთ ორგანიზაციაში მუშაობა. ამიერკავკასიის მუშებისა და ზოგიერთი რიგითი პარტიელის მაშინდელი განწყობილების შესახებ ა. მიქოიანი, რომელიც იმ დროს ბაქოში მოღვაწეობდა, შემდეგ სტრიქონებს წერს:

„თებერვლის რევოლუციამ არა მარტო შექმნა ილუზიები ნაკლებად შეგნებულ მუშათა შორის, არამედ ჩვენს პარტიულ მასაზეც მოახდინა ზეგავლენა. ბევრ ჩვენ ამხანაგს, განსაკუთრებით მუშებს, ეჩვენებოდა, რომ უთანხმოებანი, რაც ბოლშევიკებს და მენშევიკებს ჰყოფდნენ, ამოიწურა თვითმპყრობელობის დამხობასთან ერთად და რომ რევოლუცია მოითხოვს მთელი სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებას.

ფართო პარტიული მასა ძლიერ გაიტაცა გაერთიანების ტენდენციებმა. ეს საფუძველი გახდა იმისა, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებისა და მენშევიკების ორთავე ფრაქცია ერთ პარტიად გაერთიანდა.

გაერთიანების წინააღმდეგი იყო მხოლოდ 2—3 ამხანაგი აქტიური მუშაკებიდან, დანარჩენი პარტიული მასა ზევიდან ქვევით გაერთიანების მომხრედ გამოდიოდა“[1].

ასეთი იყო პირველ დღეებში რევოლუციით გაბრუებული მუშათა უფრო ჩამორჩენილი ფენების განწყობილება. იმ დროს, როცა რევოლუციის ღელვა არ დამცხრალიყო, როცა პოლიტიკური პარტიები გულუხვ დაპირებებით გამოდიოდნენ მასების წინაშე და თავიანთ პროგრამას განუსაზღვრელ ქება-დიდებას ასხამდნენ, ხოლო ეს პროგრამა ცხოვრებაში შემოწმებული არ ყოფილა, მუშათა ფართო წრეებისა და თვით ბოლშევიკური პარტიული მასისათვისაც კი, ამოწურულად მოჩანდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული გათიშულობა, მისთვის ძნელი იყო ამოცნობა იმ შენიღბული შემთანხმებლური პოლიტიკისა, რომელსაც მენშევიკები რევოლუციის შემდეგ დაადგნენ. რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში ბოლშევიკი მუშები პირდაპირ აყენებდნენ საკითხს გაერთიანებაზე. საბუჩინის რაიონის პარტიული კრების ანგარიშის გარშემო „ბაკინსკი რაბოჩი“ შემდეგს წერდა:

„გაცხოველებული კამათი გამოიწვია საკითხმა ჩვენი ორგანიზაციის ხასიათის შესახებ. კრების ყველა მონაწილე, ერთიმეორეზე

[1] „Бакинский рабочий“ № 57. (185). 14 მარტი, 1923 წელი, გვ. 5.

გამოთქვამდნენ აზრს გაერთიანებული ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ყველა საკითხს ერთად გადაწყვეტს და გამოვა ერთიანი შეხედულებით. უმცირესობას შესაძლებლობა ძიეცემა თავისუფლად დაიცვას თავისი შეხედულებანი იმ მომენტამდე, ვიდრე ორგანიზაცია არ გამოიტანს განსაზღვრულ გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც უმცირესობა უმრავლესობას უნდა დაემორჩილოსო"[1].

იმავე საკითხს იხილავდა ბიბი-ეიბათის პარტიული ორგანიზაცია, სადაც „ყველა მუშა მიესალმებოდა ერთიანი ორგანიზაციის შექმნას და მთელი არსებით გამოდიოდა ორგანიზაციის რაიმე გათიშვის ცდის წინააღმდეგ"[2].

პარტიული მასის ერთი ნაწილის მოთხოვნის შემდეგ ბაქოში მოხდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფორმალური ორგანიზაციული გაერთიანება. გაერთიანების ხელოვნურობის მიუხედავად, იმ მომენტში ამით დაკმაყოფილებულ იქნა პარტიული მასის გარკვეული ჯგუფის ნება-სურვილი. გაერთიანებულ ორგანიზაციაში ბოლშევიკ ხელმძღვანელებს საშუალება მიეცათ ნიღაბი ჩამოეხადათ მენშევიზმის პოლიტიკისათვის, პარტიული მასის წინაშე გამოეაშკარავებინათ იმ ადამიანების სახე, რომლებიც ფრაზებით მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებს იცავდნენ, ხოლო ფარულად აწყობდნენ ბურჟუაზიასთან გარიგებას.

ასეთი იყო მდგომარეობა ბაქოში, სადაც ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლის რევოლუციის შემდეგ შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო, ვიდრე საქართველოში ან სომხეთში. საქართველოსა და სომხეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, წვრილბურჟუაზიული სულისკვეთება მუშათა მასებში გაცილებით მძლავრად იყო გამჯდარი. ამავე დროს, თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში თბილისში, როგორც ამხ. ფ. მახარაძე იგონებს, თითო-ოროლა ბოლშევიკი თუ იმყოფებოდა. თბილისელ ბოლშევიკებს ასეთ ვითარებაში, ბაქოს ორგანიზაციის მაგალითზე (თებერვლის რევოლუციის პირველი დღიდანვე კავშირი ამ ორგანიზაციებს შორის კიდევ უფრო მჭიდრო გახდა) და მასთან შეთანხმებით, ძალაუნებურად, უნდა დაეშვა მენშევიკებთან დროებითი ორგანიზაციული გაერთიანება, რაც იმავე მიზეზებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომელთა შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ 1917 წლის მარტ-აპრილში, ვიდრე პეტროგრადში ჩამოვიდოდა ვ. ი. ლენინი, თითქოს

---

[1] А. Микоян, Бакинская организация большевиков в 17 –18 гг.

[2] იქვე.

ბოლშევიკური პარტიის შიგნით რუსეთში იყო ძლავრი ტენდენცია შესშევიკებთან ერთიანობისა, როგორც ამას ჟურნ. „ვოპროსი ისტორიის“ ფურცლებზე ამტკიცებდა ე. ნ. ბურჯალოვი[1]. როგორც ცნობილია, ე. ნ. ბურჯალოვი უფრო შორსაც წავიდა და შეეცადა ისე დაეხატა ვითარება, თითქოს ამ დროს ჩვენი პარტია არსებითად ნახევრად მენშევიკურ პოზიციაზე იდგა. ხელოვნურად ბერავდა რა ზოგიერთი ხელშეძღვანელი პარტიული მუშაკის ცალკეულ შეცდომას, რაც ორი ხელისუფლების გადახლართვის ვითარებაში სწორი რევოლუციური გზის ძიებას ახლდა, ე. ნ. ბურჯალოვი ცდილობდა გაეიგივებინა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და „პრავდის“ პოზიცია კამენევის ოპორტუნისტულ პოზიციასთან, ი. ბ. სტალინის შეხედულებანი კამენევის შეხედულებებთან. აქ ე. ნ. ბურჯალოვმა და ჟურნალმა საერთოდ უხეში შეცდომები დაუშვა.

ნამდვილად კომუნისტური პარტია თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე მტკიცედ იცავდა რა თავის პროგრამას, მოითხოვდა დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნას. პეტროგრადის და მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში შეუპოვარი ბრძოლით აღწევდა მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას, რაც რევოლუციის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. ააშკარავებდა რა კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის პოლიტიკას, მენშევიკებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების შეთანხმებლობას, პარტია მასებს რაზმავდა რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ლოზუნგის გარშემო, აფართოებდა თავის გავლენას მშრომელ მასებში. ეს დიდი მუშაობა ამდიდრებდა პარტიის გამოცდილებას, ამზადებდა მას იმ ახალი ამოცანებისათვის, რომლებიც აპრილში ვ. ი. ლენინმა დასახა პარტიის წინაშე.

მენშევიკებთან ორგანიზაციული დროებითი „გაერთიანება“ (რასაც რუსეთის ზოგიერთი პარტიულ ორგანიზაციებში და ამიერკავკასიაშიც ჰქონდა ადგილი აპრილამდე), ცხადია, სრულებითაც არ უპასუხებდა პარტიის პოლიტიკას და ამოცანებს იმ პერიოდში.

გადადგეს რა ასეთი ნაბიჯი, ამ ორგანიზაციებმა უსათუოდ დაუშვეს ერთგვარი დათმობა პარტიული მასის იმ ნაწილისადმი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა ამოეცნო წვრილბურჟუაზიული პარტიების პოზიცია რევოლუციის ძირითად საკითხებში. მაგრამ „გაერთიანების“ შემთხვევაშიც ბოლშევიკებს არავითარი დათმობანი არ გაუწევიათ და მალე, როცა ინტერესთა შეურიგებლობა ყველასათვის ცხადი გახდა, ბოლშევიკებმა ეს ფორმალური ორგანიზაციული კავშირიც მენშევიკებთან საბოლოოდ გასწყვიტეს.

[1] იხ. ჟურნ. „Вопросы истории“ № 4, 1956 წ.

ორგანიზაციული გაერთიანების პირველი დღიდანვე ბოლშევიკებმა მთელი შეუპოვრობით დაიწყეს რევოლუციის ამოცანებზე და რევოლუციის შემდგომ პრაქტიკულ საქმეებზე თავიანთი თანმიმდევრული შეხედულებების დაცვა და პროპაგანდა.

12 მარტს ქალაქის თვითმმართველობის შენობაში შედგა თბილისელი მენშევიკებისა და ბოლშევიკების კრება, სადაც დღის წესრიგში იდგა დროებით მთავრობასთან და ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხი. მენშევიკები ამ კრებაზე დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერისა და ბურჟუაზიულ პარტიებთან ჰარმონიული თანამშრომლობის პროგრამით გამოვიდნენ. ბოლშევიკებმა სასტიკად გააკრიტიკეს და დაგმეს მენშევიკების შემთანხმებლური ლოზუნგები. ფ. მახარაძემ და ს. ქავთარაძემ თავიანთ გამოსვლებში დაახასიათეს რა ბურჟუაზიული მთავრობის ბუნება და ბურჟუაზიული პარტიების მოღალატური როლი საქართველოში, მტკიცედ მოითხოვეს დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულ ღონისძიებათადმი მხარდაჭერისაგან ხელის აღება, მასების თვალში ბურჟუაზიული მთავრობისა და პარტიების ღალატის გამომჟღავნება, საბჭოების ხელისუფლების ავტორიტეტულ ორგანოდ გადაქცევა. ბოლშევიკებმა შეიტანეს რეზოლუცია, სადაც დაგმობილი იყო „არათანმიმდევრულობა მენშევიკური პოლიტიკური ხაზისა, რომელიც ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმებისაკენ მიდიოდა და მათი ლოზუნგების არა საკმარისობა“[1].

ბოლშევიკების შეუპოვარ ბრძოლას მენშევიკების შემთანხმებლობის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციაზე, რომელიც 10 აპრილს შედგა.

ამ კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა გამოიწვია თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენამ, პარტიული ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის გამოცოცხლებამ, პარტიის რიგების სწრაფმა ზრდამ, მუშათა რაიონების პარტიული ცხოვრების ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებისათვის საერთო საქალაქო ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობამ. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციები აპრილის დასაწყისში თავის რიგებში უკვე თვლიდნენ წევრების იმდენ რაოდენობას, რომ საქალაქო კონფერენციაზე ყველას მოწვევა აღარ ხერხდებოდა. ამიტომ ჩვეულებრივად, რაიონულ ორგანიზაციებში ჩატარდა კონფერენციის დელეგატთა არჩევნები. კონფერენციას დაესწრო 68 დელეგატი — ბოლშევიკები და მენშევიკები. აღსანიშნავია, რომ დელეგატ-

[1] „Кавказский рабочий“ № 4, 1917 წ.

თა შორის უმრავლესობას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ, რაც მუშათა რაიონებში ბოლშევიკური პარტიული მასის რიცხობრივი სიჭარბის შედეგი იყო.

კონფერენციაზე თანამედროვე მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. შაუმიანი. მან გაარკვია რევოლუციის მამოძრავებელი ძალები, სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასებისა და პარტიების პოზიცია რევოლუციაში, დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული ბუნება, მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის ამოცანები. მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია. მენშევიკები სადოვსკი და აიოლო გააფთრებით იცავდნენ ბურჟუაზიის თანაბარმნიშვნელოვან როლს მიმდინარე რევოლუციაში და დროებით მთავრობისადმი მხარდაჭერას ასაბუთებდნენ. ბოლშევიკური თვალსაზრისი კონფერენციაზე მტკიცედ დაიცვეს მოკამათეებმა ა. ჯაფარიძემ, გ. სტურუამ, ბასინმა და სხვებმა. ბოლშევიკებმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა 39 ხმით 24-ის წინააღმდეგ და 5-ის თავშეკავებით. რეზოლუციაში დახასიათებული იყო მიმდინარე ომის იმპერიალისტური ხასიათი და დასაბუთებული იყო მასების აჯანყების საჭიროება თავიანთი იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ[1].

რევოლუციასთან ბურჟუაზიის დამოკიდებულების საკითხზე რეზოლუცია გარკვევით მიუთითებდა, რომ რუსეთის ბურჟუაზია და მისი დროებითი მთავრობა, თავისი ბუნებით კონტრრევოლუციურია, რომელიც ახლა მასების ზეგავლენით ახორციელებს ზოგიერთ რევოლუციურ ღონისძიებას, თუ მასების დაწოლა შენელდა იგი კონტრრევოლუციის აშკარა ორგანოდ გადაიქცევაო[2].

დღის წესრიგის ყველა საკითხზე კონფერენციის გადაწყვეტილებანი ბოლშევიკური იყო. მენშევიკებმა აქ სასტიკი მარცხი განიცადეს. კონფერენციამ აირჩია კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ბოლშევიკებისა და მენშევიკების წარმომადგენლები, უმრავლესობა ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიულ კონფერენციებზე, რაიონულ პარტიულ კრებებზე, უჯრედებში აპრილ-მაისში, მენშევიკებისა და ბოლშევიკების ორგანიზაციული გაერთიანების დღიდანვე მწვავე იდეური ბრძოლა გაჩაღდა. ბოლშევიკი ხელმძღვანელების მიერ ბურჟუაზიული პარტიებისა და შემთანხმებლების დაუნდობელი მხილება, დროებითი მთავრობის პოლიტიკის გამომზეურება, ომის ბუნებისა და რევოლუციის მამოძრავებელი ძალების გამორკვევა

[1] „Кавказский рабочий" № 4, 1917 წ.

[2] იქვე.

საუკეთესო სკოლა იყო იმ პარტიული მასისათვის, რომელიც რევოლუციის პირველ დღეებში ერთგვარი ბურუსით იყო გარემოცული და მენშევიკების მოთაფლული სიტყვებისადმი დანდობა ეძჩნეოდა.

ამავე პარტიული მასისათვის ცხადი ხდებოდა თუ რაოდენ ხელოვნური, თანამედროვე ეტაპისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა ეს გაერთიანება. უთანხმოებანი ამ ორ პარტიას შორის კიდევ უფრო მწვავე და შეურიგებელ ხასიათს იღებდა.

საქმე ის არის, რომ მენშევიკები ბოლშევიკების წინააღმდეგ იდეურ ბრძოლასთან ერთად მტრულ ორგანიზაციულ ღონისძიებასაც არ მოერიდნენ. ასე, მაგალითად, მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 19 აპრილს გამოტანილ იქნა დადგენილება გაზ. „პრავდის“ იმ 40 000 ეგზემპლარის დაკავების შესახებ, რომელიც პეტროგრადის მუშებმა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს საჩუქრად გაუგზავნეს[1]. გარდა ამისა, კრებამ დაადგინა: „ადგილობრივმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ორგანომ „იზვესტიამ“ გასწიოს წერილობითი კამპანია საერთოდ ბოლშევიკების და კერძოდ, „კავკაზსკი რაბოჩის“ წინააღმდეგო“[2].

კავკასიის მუშებს, ჯარისკაცებსა და რევოლუციურ ახალგაზრდობაში მენშევიკური საბჭოს ამ დადგენილებამ აღშფოთება გამოიწვია. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა სააპროტესტო წერილები სხვადასხვა ორგანიზაციიდან: მშრომელების ერთსულოვანმა პროტესტმა მენშევიკები აიძულა უკან დაეხიათ. აღმასრულებელი კომიტეტის 22 აპრილის სხდომაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება „პრავდის“ აკრძალვის მოხსნის შესახებ.

ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით აპრილში განახლებულ იქნა გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩის“ გამოცემა, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციისა და რეაქციის სუსხიან წლებში წარმოადგენდა ბაქოს ბოლშევიკების საბრძოლო ორგანოს. განახლებული გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წლის 22 აპრილს — მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს. გაზეთს რედაქტორობდა სტ. შაუმიანი. მასში თანამშრომლობდნენ ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ისეთი თვალსაჩინო ბოლშევიკი ხელმძღვანელები, როგორიც იყვნენ ალ. ჯაფარიძე, ა. მიქოიანი, აზიზბეკოვი, ფიოლეტოვი, სტურუა და მრავალი სხვ.

გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ იმთავითვე გადაიქცა ბაქოს ბოლ-

---

[1] გაზ. „ერთობა“ № 28, 22 აპრილი, 1917 წ.

[2] იქვე.

შეიკური კომიტეტის მებრძოლ ორგანოდ, რომელსაც მასებამდე დაჰყავდა პარტიის პოლიტიკა, ლენინის იდეები. იგი დაუნდობლად ააშკარავებდა ბურჟუაზიული მთავრობის, ბურჟუაზიული პარტიების, შემთანხმებლების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების ზრახვებს, წარმართავდა ბაქოს პროლეტარიატის ენერგიულ ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ. გაზეთმა ბაქოს მრავალეროვან პროლეტარულ მასებში იმთავითვე ღრმა სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა. თეორიულ სტატიებში, რომელთა ავტორები იყვნენ შაუმიანი, მიქოიანი, ჯაფარიძე და სხვები, გაშუქებული იყო პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის კონკრეტული ამოცანები ამიერკავკასიაში.

ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა ამავე დროს ორგანიზაცია გაუკეთა გაზეთების გამოცემას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. სომხურ ენაზე გამოცემულ იქნა გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, რომელსაც რედაქტორობდნენ სტ. შაუმიანი და ა. მიქოიანი. აზერბაიჯანულ ენაზე — გაზეთი „გუმეტი“.

4 ივნისს ქართულ ენაზე გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლას“ პირველი ნომერი. თბილისშივე სომხურ ენაზე გამოიცა გაზეთი „ბანვორი კრივი“.

ეს გაზეთები ბოლშევიკური პარტიის ხელში წარმოადგენდნენ მასებთან უწყვეტი კავშირის მძლავრ საშუალებას, მასების გათვითცნობიერების, სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადების მძლავრ იდეურ იარაღს. მათი საშუალებით პარტია ყოველდღიურად ელაპარაკებოდა მასებს მისთვის გასაგებ ენაზე იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დღის წესრიგში ახალმა რევოლუციამ დააყენა.

* * *

3 აპრილს ვ. ი. ლენინი პეტროგრადში ჩამოვიდა. 4 აპრილს თავრიდის სასახლეში იგი გამოვიდა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების თათბირზე მოხსენებით ახალი ომისა და რევოლუციის შესახებ. ამ მოხსენების თეზისები გაიმეორა საბჭოების სრულიად რუსეთის დელეგატების — ბოლშევიკებისა და მენშევიკების კრებაზე.

ეს იყო ცნობილი აპრილის თეზისები, რომელშიც დიდმა ბელადმა დასახა ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ნათელი პროგრამა.

ცნობილია, რომ მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ შექმნა ეპოქა და, როგორც ლენინი ამბობდა, ამ პატარა წიგნაკს მთელი ტომების ღირებულება ჰქონდა. იგივე შეიძ-

ლება ითქვას ლენინის აპრილის თეზისების შესახებ. იგი სულ ნ გვერდისაგან შედგება, მაგრამ მასში კონცენტრირებულია ბოლშევიკური პარტიის მთელი სიბრძნე, ლენინის გენიალური წინასწარგანჭვრეტით გასხივოსნებულია ის ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც უნდა ევლო პარტიას, რათა ქვეყანა ეხსნა კატასტროფისა და კონტრრევოლუციის შემოტევისაგან და რევოლუციის მეორე, სოციალისტური ეტაპი გამარჯვებით დაეგვირგვინებინა.

მიუთითებდა რა რევოლუციის მეორე ეტაპის განხორციელების აუცილებლობაზე, ვ. ი. ლენინი იმ მომენტში დროებითი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას არ მოითხოვდა. დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას მხარს უჭერდნენ საბჭოები, სადაც შემთანხმებლური პარტიები უმრავლესობას შეადგენდნენ. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციის მშვიდობიან განვითარებას და ამ ეტაპზე ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა განემარტათ მასებისათვის, რომ მხოლოდ საბჭოების ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები: დაამთავროს ომი და დადოს ნამდვილი დემოკრატიული ზავი, ჩამოართვას მიწა მემამულეებს და გადასცეს გლეხობას, დააწესოს მუშათა კონტროლი წარმოებაზე. ლენინი ბოლშევიკებს ავალებდა განემარტათ მასებისათვის, რომ საბჭოები, საბჭოთა ხელისუფლება, ეს არის „რევოლუციური მთავრობის ერთადერთი შესაძლო ფორმა“, რომ ამჟამად საბჭოებში მოკალათებული მენშევიკები და ესერები ლაფში სვრიან, ამახინჯებენ რევოლუციის უმაღლესი ორგანოს მაღალ დანიშნულებას და მას ბურჟუაზიის გავლენას უმორჩილებენ. „ვიდრე უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკას, ვარკვევთ შეცდომებს და იმავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოებისთვის გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი შეცდომებს“[1]. ეს იყო რევოლუციის განხორციელების მშვიდობიანი გზა.

ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემის ლენინურ ლოზუნგს სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში ენიჭებოდა უდიდესი მნიშვნელობა. ვ. ი. ლენინმა საბჭოები აღმოაჩინა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. ეს იყო გენიალური აღმოჩენა მარქსისტულ მეცნიერებაში.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 5—6.

1917 წლის 24 აპრილს პეტროგრადში გაიხსნა რსდმპ(ბ) VII (აპრილის) კონფერენცია. ეს იყო პირველი ლეგალური კონფერენცია ბოლშევიზმის ისტორიაში, რომელსაც პარტიის ყრილობის თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა.

კონფერენციას ესწრებოდა 133 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 18 დელეგატი სათათბირო ხმით. ამიერკავკასიიდან კონფერენციის დელეგატები იყვნენ ამხ. ფ. მახარაძე (თბილისის ორგანიზაციიდან), ს. შაუმიანი (ბაქოს ორგანიზაციიდან).

კონფერენციის მუშაობას, როგორც ცნობილია, საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის ცნობილი აპრილის თეზისები. თავის მოხსენებაში მიმდინარე მომენტზე და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ ვ. ი. ლენინმა გენიალურად ახსნა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბუნება და მის შემდეგ შექმნილი თავისებურება (ორი ხელისუფლების გადახლართვა რუსეთში), ნიღაბი ახადა დროებითი მთავრობისა და ბურჟუაზიული პარტიების სახეს, შემთანხმებლობას, ბოლშევიკურ პარტიას გადაუშალა ნათელი პროგრამა სოციალისტური რევოლუციის მოსამზადებლად.

აპრილის კონფერენციის ბრძნული გადაწყვეტილებანი ომისა და რევოლუციის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ ბოლშევიკურ პარტიას გზას უნათებდა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადების გზაზე. რევოლუციაში ლენინური ხაზის გატარება ხორციელდებოდა მწვავე და შეურიგებელ ბრძოლაში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ. ამასთან, ლენინს დიდი მუშაობა უხდებოდა ბოლშევიკური პარტიის შიგნით ცალკეული თვალსაჩინო ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ დაეღწიათ თავი შეცდომებისაგან მიმდინარე მომენტის შეფასებაში, შეუპოვრობით ხასიათდებოდა ბრძოლა აგრეთვე პარტიის შიგნით აღმოცენებულ მემარჯვენე ოპორტუნისტულ ჯგუფთან ლ. კამენევის მეთაურობით. ამ ბრძოლებში იმარჯვებდა და მტკიცდებოდა ლენინური ძალა, აპრილის თეზისები და აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ხდებოდა მთელი რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ერთიან საბრძოლო პროგრამად.

აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მასების მოზიდვის, მათი საბრძოლო აღზრდისა და ორგანიზაციისათვის მჭიდროდ დაირაზმნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკური

ორგანიზაციები. ბოლშევიკურმა გაზეთებმა „კავკაზსკი რაბოჩიმ“[1], „ბაკინსკი რაბოჩიმ“[2], „ბრძოლამ“[3], „სოციალ-დემოკრატმა“[4], „გუმეტმა“[5], „ბანვორი კრივმა“[6] და სხვ. გამოაქვეყნეს კონფერენციის ანგარიშები და მიღებული რეზოლუციის ტექსტები. გარდა ამისა, ხელმძღვანელი ბოლშევიკი ამხანაგები საქარხნო-საფაბრიკო, სარაიონო პარტიულ კრებებზე პარტიულ მასას აცნობდნენ სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის კონფერენციაზე დასახულ ლენინურ ხაზს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონფერენციის დელეგატების ს. შაუმიანის, ფ. მახარაძის, მიხა ცხაკაიას მოხსენებებს აპრილის კონფერენციის მუშაობის შესახებ.

14 მაისს შედგა თბილისის ბოლშევიკების საერთო საქალაქო კრება, რომელმაც მოისმინა VII (აპრილის) კონფერენციის დელეგატების ფ. მახარაძისა და მ. ცხაკაიას მოხსენებანი აპრილის კონფერენციისა და მის გადაწყვეტილებათა შესახებ[7]. მომხსენებლებმა თბილისელ ბოლშევიკებს დაწვრილებით განუმარტეს რევოლუციის ლენინური პროგრამა და დააყენეს საკითხი მენშევიკებთან გათიშვის აუცილებლობის შესახებ.

მართლაც, მენშევიკებთან ორგანიზაციული „გაერთიანების“ ორმა თვემ პარტიულ მასებს ნათლად დაანახვა რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში ბოლშევიკებისა და მენშევიკების შეხედულებათა პრინციპული სხვადასხვაობა, დაანახვა ის, რომ გაერთიანება ხელოვნური, უნაყოფო, შემაფერხებელი აღმოჩნდა, რადგან მენშევიკები კვლავ რჩებოდნენ თავიანთ ძველ, წვრილბურჟუაზიულ პოზიციებზე და არა თუ თავს ანებებდნენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ უწყობდნენ მას ხელს რევოლუციის დასამარებაში. აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება მენშევიკებთან ფორმალური ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა.

თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ და მიუხედავად ბოლშევიკების შეუპოვარი წინააღმდეგობისა, მათ შეეძლოთ თავიანთი შეხედულება ხმის უმრავლესობით, უმცირესობისათვის თავზე მოეხვიათ..

---

[1] იხ. „Кавказский рабочий“ № 32.
[2] „Бакинский рабочий“ № 1, 2.
[3] „ბრძოლა“ № 1.
[4] „სოციალ-დემოკრატი“ № 1.
[5] „გუმეტ“ № 1, 1917 წ.
[6] „ბანვორი კრივი“ № 1.
[7] „Кавказский рабочий“ № 37.

სოციალისტური რევოლუციისათვის პოლიტიკური არმიის მომზადების ამოცანა ბოლშევიკებს დამოუკიდებელი ორგანიზაციული გაფორმების აუცილებლობას უკარნახებდა, მით უმეტეს ახლა, როცა პარტიის რიგები შეივსო, პარტიული მასა ვითარებაში გაერკვა, მენშევიკებთან გათიშვა დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო.

4 ივნისს თბილისში შედგა ბოლშევიკების საერთო საქალაქო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მენშევიკებთან სრული გათიშვისა და დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნის შესახებ. კრებაზე არჩეულ იქნა რსდმპ (ბ) თბილისის დროებითი კომიტეტი და საორგანიზაციო კომისია თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის გაფორმებისათვის არჩევნების ჩასატარებლად[1]. აქვე შემუშავდა მუშებისადმი მიმართვის ტექსტი, რაც გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ და „ბრძოლას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ეხებოდა რა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მენშევიკებთან ორგანიზაციული გათიშვის შესახებ, მიმართვა აღნიშნავდა: „თბილისის ბოლშევიკების საზოგადო კრებამ განიხილა კონფერენციის (აპრილის—ა. ს.) რეზოლუციები და ერთხმად მიიღო ისინი სახელმძღვანელოდ მთელს თავის მოქმედებაში.

აქედან წარმოსდგა საკითხი გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან დამოკიდებულების შესახებ...

ჩვენი პარტია, იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო გავლენისაგან, ვერაფერს ვერ დაუთმობს რევოლუციურ ობორონცობას და სწყვეტს მასთან ყოველივე კავშირს.

ამის გამო კრებამ დაადგინა — გასწყვიტოს კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც იზიარებს რევოლუციური ობორონცობის შეხედულებას, გამოიწვიოს იქედან ყველა ჩვენი თანამოაზრე ბოლშევიკი და შექმნას ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც დგას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე“[2].

ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილებამ მენშევიკების გააფთრება გამოიწვია. ახლა მათ აშკარად დაიწყეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა. მენშევიკები ხალხს თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ისინი უცოდველი არიან, გულწრფელად იცავენ პროლეტარიატის ინტერესებს, დაინტერესებული არიან რე-

[1] „Кавказский рабочий“ № 67, 1917 г.

[2] „Кавказский рабочий“ № 57; გაზ. „ბრძოლა“ № 2, 1917 წ.

ვოლუციის გამარჯვებით და ამ მიზნის მისაღწევად სურთ ბოლშევიკებთან მხარდამხარ მუშაობა, ხოლო ბოლშევიკები კი პარტიაში გათიშვისაკენ მიილტვიან და ამით რევოლუციის წინაშე ღალატს ჩადიანო. ისინი არ ერიდებოდნენ ცილისწამებას, რათა მასების თვალში ბოლშევიკური ტაქტიკისათვის სახელი გაეტეხათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტივობას იჩენდა მენშევიკების ოფიციოზი — გაზ. „ერთობა"[1].

მენშევიკების ლიდერმა ნოე ჟორდანიამ ბოლშევიკებთან გათიშვის შემდეგ ბლოკი შეკრა სოციალისტ-რევოლუციონერებთან. ეს ორი პარტია, მათ შორის არსებული პროგრამული უთანხმოების მიუხედავად, მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და ხელი ხელს მისცა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1917 წ. 12 ივნისს სამხედრო ნაწილებიდან მოვლინებული პროპაგანდისტებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სამხედრო სექციის თათბირზე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თბილისის გარნიზონში ძლიერდება ბოლშევიკების გავლენა და ამასთან დაკავშირებით მენშევიკ პროპაგანდისტებს წინადადება მისცა მიეღონ გადამჭრელი ზომები, გააძლიერონ აგიტაცია და პროპაგანდა ჯარისკაცებს შორის „ბოლშევიკების დეზორგანიზატორული გამოსვლების წინააღმდეგ". აქვე მან მენშევიკებისა და სოც. რევოლუციონერების პროპაგანდისტებს მიუთითა, რომ არ გაამწვავონ მიტინგებსა და კრებებზე პარტიული უთანხმოებანი, გამოვიდნენ ერთიანი ძალით. „ახლანდელ მომენტში აუცილებელია სრული ერთიანობა რევოლუციური ძალებისა ბოლშევიკების ტაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად"[2]. (ხაზი ჩემია — ა. ს.). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მენშევიკები ბლოკს კრავდნენ ყველა პარტიასთან, რომლებიც კი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტივობას გამოიჩენდნენ.

პარტიული ორგანიზაციების ზრდისა და იდეური სიწმინდის დაცვის საქმეში აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ენერგიული მუშაობა გაჩაღდა ბაქოში.

ბაქოს მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, მიუხედავად მათი ორგანიზაციული „ერთიანობისა", მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა. ბოლშევიკები ბაქოს სამრეწველო რაიონებში უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მაგრამ მენშევიკები არ თმობდნენ. ისინი ეწეოდნენ დეზორგანიზატორულ მუშაობას, უხეშად არღვევდნენ

[1] გაზ., „ერთობა" № 67, 70, 72, 76, 1917 წ.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. № 5, ს. 70, გვ. 8.

ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, ფუშავდნენ ღონისძიებებს, გარდა ამისა, ეწეოდნენ ცილისწამებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, როგორც ამბ. მიქოიანი შენიშნავს, გათიშვა აუცილებელი ხდებოდა.

„თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ მენშევიკები, პროგრამულ საკითხში ჩვენთან ნათესაობის მიუხედავად, თავიანთ რეალურ მოღვაწეობაში უფრო ახლოს იყვნენ ესერებთან, ვიდრე ჩვენთან. ამიტომაც, ფორმალური ერთიანობის მიუხედავად, ჯერ კიდევ აპრილის ბოლო რიცხვებიდან ჩვენ, ბოლშევიკები, რაგინდ საოცრადაც არ უნდა გვეჩვენოს, ვიკრიბებოდით მენშევიკებისაგან კონსპირატულად. მართალია, ვიკრიბებოდით არა დიდ ჯგუფებად, არამედ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები 10—12 კაცის რაოდენობით. ამ თათბირების მსჯელობის საგანი იყო ბოლშევიკური ტაქტიკის განსაზღვრა ბაქოში პოლიტიკის საკითხებში და მისი გატარება ერთიანი ორგანიზაციის შიგნით... მენშევიკებთან ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა გაზეთის საკითხში და ეს ბრძოლა საშუალებას არ გვაძლევდა გაზეთი ფართოდ გამოგვეყენებინა ჩვენი მიზნებისათვის, მიგვეცა მისთვის გამოკვეთილი ბოლშევიკური ხასიათი“[1].

ბაქოს კომიტეტმა მენშევიკებს შესაძლებლობა მისცა თავისი გაზეთი გამოეცათ. ეს უკვე მათი ორგანიზაციული ერთიანობის დასასრულის დასაწყისი იყო. 11 ივნისს გამოვიდა მენშევიკური გაზეთის „სოციალ-დემოკრატის“ პირველი ნომერი, სადაც მენშევიკებმა აშკარად აღიარეს, რომ მათ რევოლუციაზე ბოლშევიკებისაგან პრინციპულად განსხვავებული შეხედულება გააჩნიათ, რომ ბაქოს ერთიან ორგანიზაციაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმდინარეობაა და ისინი ურთიერთშორის მწვავე ბრძოლას ეწევიან[2]. ამასთანავე გაზეთი აღსავსე იყო ბოლშევიკების ლანძღვა-გინებითა და მის ხელმძღვანელ მუშაკებზე ცილისწამებით.

მენშევიკებთან გათიშვის აუცილებლობა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით ცხადი გახდა აპრილის (VII) კონფერენციის შემდეგ. აპრილის კონფერენციაზე, როგორც ცნობილია, კავკასიელმა დელეგატებმა მიიღეს ლენინის პირადი მითითება მენშევიკებთან ორგანიზაციული გათიშვის აუცილებლობის შესახებ. კავკასიელმა დელეგატებმა, როგორც აღვნიშნავდით, მთელს ამიერკავკასიაში გააჩაღეს კონფერენციის გადაწყვეტილე-

---

[1] А. Микоян. Бакинская организация большевиков в 17—18 гг. „Бакинский рабочий“ № 57, 14 მარტი, 1923 წ.

[2] „Социал-демократ“ № 1, 1917 წ.

ბათა პროპაგანდა და პრაქტიკულად, დღის წესრიგში დააყენეს მენშევიკებთან გათიშვის საკითხი.

8 ივნისს ბაქოს კომიტეტის სხდომაზე უკვე იდგა საკითხი იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა ერთიანი ბლოკი მენშევიკებთან ქალაქის სათათბიროს არჩევნების კამპანიაში. ბლოკის წინააღმდეგ გაილაშქრეს ბოლშევიკებმა. ისინი მიუთითებდნენ, რომ მენშევიკმა-ობორონცებმა სოციალ-დემოკრატიის პრინციპებზე ხელი აიღეს და შეუძლებელია მათი ტაქტიკის მუშათა კლასის საბრძოლო ინტერესებთან შეთანხმებაო.

მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა კოალიციური სამინისტროსადმი დამოკიდებულების საკითხზე. მენშევიკურმა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა“ ბოლშევიკების ტაქტიკას დეზორგანიზატორული უწოდა. კოალიციური მთავრობა მენშევიკებმა ისეთ ხელისუფლებად გამოაცხადეს, რომელიც თითქოს მთელი რუსეთის მშრომელი მასების ინტერესების გამომხატველი იყო[1]. მენშევიკები ამასთანავე გმობდნენ სამინისტროს იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის და კონტრრევოლუციური საშინაო პოლიტიკის წინააღმდეგ პროპაგანდას.

ბაქოს ზოგიერთ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში (მაგ., ზავოკზალის რაიონი) მენშევიკებს ჯერ კიდევ უმრავლესობა ჰყავდათ. მაგრამ სამრეწველო რაიონები ბოლშევიზმის ციტადელს წარმოადგენდნენ. ხელმძღვანელმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს კონფერენცია, რომელსაც მენშევიკებთან საბოლოო გათიშვის გაფორმება უნდა მოეხდინა, სამრეწველო რაიონში მოეწვიათ. ასეთად არჩეულ იქნა ბალახვანი. კონფერენციის მუშაობის პერიოდში ბაქოს კომიტეტმა ყველა პარტიის წევრს მიმართა მოწოდებით, სადაც დახასიათებული იყო რა მიმდინარე მომენტი, და კერძოდ კოალიციურ სამინისტროში შემავალი ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების კონტრრევოლუციური საქმიანობა, კონკრეტულად ბაქოს პარტიული ორგანიზაციების შესახებ ნათქვამი იყო შემდეგი:

„ჩვენი სარაიონთაშორისო კონფერენციები ქაოტიურად და უწესრიგოდ მიმდინარეობდა. წარმოადგენდნენ რა უმცირესობას, მენშევიკ-ობორონცებს არ სურდათ დამორჩილებოდნენ ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს და ფაქტიურად დიდი ხანია თავისთავი ამ ორგანიზაციის გარეთ დააყენეს. წავიდნენ რა კონფერენციიდან, მათ შექმნეს თავისი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, შექმნეს თავიანთი ხელმძღვანელი ცენტრი, გათიშეს ფრაქცია მუშათა დეპუტა-

[1] „Социал-демократ“ № 2.

ტების საბჭოში და შაბათს 24 ივნისს იწვევენ მენშევიკ-დეპუტატების კონფერენციას. სარაიონთაშორისო კონფერენციამ აღიარა, რომ მენშევიკ-ობორონცებთან მას საერთო გზა არ აქვს, რომ ერთიანი ორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მენშევიკ-ინტერნაციონალისტებთან, რომლებმაც მიიღეს პეტროგრადის ბოლშევიკებისა და მენშევიკ-ინტერნაციონალისტების კონფერენციის რეზოლუცია"[1].

25 ივნისს ბალახვანში გაიხსნა ბაქოს საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტებიც.

კონფერენციამ ხაზი გაუსვა, რომ მენშევიკ-ობორონცების პროგრამა და ტაქტიკა ბურჟუაზიულ მთავრობასთან და ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმების გზით მიემართება, რომ პროლეტარიატსა და მის ავანგარდს ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც ამოცანად დასახული აქვს სოციალისტური რევოლუციის განხორციელება, არ შეიძლება ჰქონდეს მენშევიკ-ობორონცებთან რაიმე საერთო, რომ გათიშვა ფაქტია, და მას ესაჭიროება დაუყოვნებლივი გაფორმება.

კონფერენციამ გააფორმა მენშევიკებთან ორგანიზაციული გათიშვა. არჩეულ იქნა ბოლშევიკური საქალაქო კომიტეტი. ბაქოს კომიტეტის მთელი აპარატი და გაზეთი ბოლშევიკების განკარგულებაში დარჩა. ამის შემდეგ გათიშვის გაფორმება დაიწყო ბაქოსა და აზერბაიჯანის რაიონულ ორგანიზაციებში.

მენშევიკებმა 24 ივნისს უკვე ჩაუყარეს საფუძველი თავიანთ დამოუკიდებელ ორგანიზაციას. მაგრამ მენშევიკები აკეთებდნენ ამას ფარულად, აშკარად კი გათიშვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და პარტიულ მასებში რომ ავტორიტეტი შეენარჩუნებინათ, გამთიშველურ მისწრაფებებს ბოლშევიკებს აბრალებდნენ. ბალახვანის ბოლშევიკურ კონფერენციაზე მენშევიკებმა თავიანთი დელეგაცია გაგზავნეს, მაგრამ მენშევიკი დელეგატების (ი. რამიშვილის და სხვ.) გოდებამ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მენშევიკების ნამდვილი ზრახვები პარტიული მასისათვის ცნობილი ხდებოდა.

თბილისისა და ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციების შემდეგ რაიონულ და პირველად პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო მენშევიკებთან ორგანიზაციული გათიშვის გაფორმება და დამოუკიდებელი უჯრედებისა და კომიტეტების ჩამოყალიბება. 7 ივნისს შედგა თბილისის პირველი რაიონის (ამჟამად ლენინის

[1] „Бакинский рабочий" № 18. 25 ივნისი. 1917 წ.

რაიონის), 10 ივნისს—მეორე რაიონის (ამჟამად სტალინისა), 14 ივნისს—მესამე რაიონის (ამჟამად 26 კომისრისა), 7 ივნისს მეოთხე რაიონის (ამჟამად ორჯონიკიძისა) ბოლშევიკური ორგანიზაციების საერთო კრებები. 5 ივლისს თბილისის საერთო საქალაქო კონფერენციამ აირჩია რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტი.

ბოლშევიკებმა მენშევიკებთან საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი და დამოუკიდებელი ორგანიზაციები გააფორმეს აგრეთვე ბათუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ჩოხატაურში, ახალ-სენაკში, თელავში, სიღნაღსა და სხვა მაზრებში. მენშევიკებთან გათიშვა გაფორმდა სომხეთის რაიონებში — ერევანში, ალექსანდროპოლში და სხვაგან.

ბაქოსა და აზერბაიჯანის ორგანიზაციებში მენშევიკებთან გათიშვის სწრაფად გაფორმებამ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს სიმტკიცე და მთლიანობა შემატა. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია მოწინავე მუშათა ახალი კადრებით შეივსო. ბოლშევიკებმა საბჭოში, ქალაქის სათათბიროში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში რევოლუციის გაღრმავების ნათელი პროგრამის პროპაგანდის შედეგად უზრუნველჰყვეს წამყვანი ადგილი. ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო უფრო მჭიდროდ და გაბედულად დაიწყო ბაქოს პროლეტარიატისა და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის შემოკრება.

მენშევიკებთან გათიშვის შემდეგ დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები მალე მოღონიერდნენ და დაუღალავად ჩაებნენ მასების დამრაზმველ მუშაობაში. დამოუკიდებელი სახით მასების წინაშე გამოსვლამ ხელი შეუწყო პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის გამოფხიზლების დაწყებას. ბოლშევიკების გავლენა თანდათან იზრდებოდა. 25 მაისს თბილისში ყოფ. ალექსანდრეს ბაღში შედგა გრანდიოზული მიტინგი, სადაც ირჩეოდა საკითხი ომისა და ზავის, დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების, „თავისუფლების სესხის“, მიწის და სხვ. შესახებ. მიტინგზე მენშევიკი და ესერი ორატორები ჩვეულებრივ მასების მიმაძინებელი მოთაფლული სიტყვებით გამოვიდნენ და ყველა იმ საკითხის გადაჭრას, რასაც პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა მოელოდა, დამფუძნებელ კრებას ანდობდნენ. მაგრამ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ბოლშევიკი ორატორები, რომელთაც ამხილეს დროებითი მთავრობისა და ამიერკავკასიაში მისი ფილიალის — ოზაკომის კონტრრევოლუციური, იმპერიალისტური პოლიტიკა. ბოლშევიკებმა მიტინგის მონაწილეთა სიმპათია და მხარდაჭერა დაიმსახურეს. მიღებული რეზოლუცია ბოლშევიკური იყო.

მეტად საინტერესოა 25 ივნისის ამბები თბილისში. როგორც

ვიცით, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იმ მიზნით, რომ მასების რევოლუციური განწყობილება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და მომწიფებული გამოსვლები აეცილებინა, დანიშნა დემონსტრაცია, რომელიც ბოლშევიკთა საწინააღმდეგო ლოზუნგებით უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ პირიქით მოხდა: მენშევიკებისა და ესერების ლოზუნგები ბოლშევიკების ლოზუნგებმა დაჩრდილა. 400 ათასი დემონსტრანტი ერთსულოვნად მოითხოვდა იმპერიალისტური ომის დამთავრებას, კაპიტალისტი მინისტრების დამხობას, ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემას.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ასეთივე მიტინგი დანიშნა 25 ივნისისათვის. აქ უნდა განეხილათ საკითხები ფრონტზე შეტევის, ორმოცწლიანი ჯარისკაცებისა და მინდვრის სამუშაოთა შესახებ. მენშევიკები მიტინგისათვის წინასწარ ემზადებოდნენ. მათ სურდათ იგი მენშევიკური პარტიისადმი მასების ერთგულების დემონსტრაციად გადაექციათ, მაგრამ აქაც, პირიქით მოხდა.

მიტინგს უამრავი ხალხი დაესწრო. „...მოედანზე მოგროვილ ურიცხვი ჯარისკაცების მრავალ წითელ დროშებს ასეთი რევოლუციური წარწერები ამშვენებდა: „ძირს ომი!“, „ძირს ათი მინისტრი კაპიტალისტი!“, „მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს!“, „ძირს კერენსკის ანტიდემოკრატიული ბრძანებები ჯარისკაცების წინააღმდეგ მიმართულნი!“, „გაუმარჯოს ფრონტზე დაძმობილება-დამეგობრებას!“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!“, „გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას!“, „ძირს შეტევა, ძმათა სისხლის-ღვრა იმპერიალისტ კაპიტალისტების გულისთვის გამოწვეული!“[1] და მრავალი სხვ.

მენშევიკებს მიტინგისათვის მომზადებული ჰქონდათ ფურცლები, რომლებიც აღსავსე იყო ბოლშევიკებისადმი მიმართული ლანძღვა-გინებით (გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიმ“ შემდეგ გამოაქვეყნა ეს ტექსტი — სათაურით „სამარცხვინო ფურცელი“). მენშევიკი ორატორები თავს ესხმოდნენ „პრავდას“, ადგილობრივ ბოლშევიკებს. მენშევიკების მხრივ ასეთმა გამომწვევმა გამოსვლებმა აღშფოთება გამოიწვია შეკრებილთა შორის, განსაკუთრებით ჯარისკაცებში, რომლებმაც შემდგომ მენშევიკ ორატორებს ლაპარაკის ნება არ მისცეს.

---

[1] გაზ. „ბრძოლა“ № 6, 9 ივლისი, რევოლუციის მატიანე № 1 (16) 1927 წ. გვ. 80—90.

ბოლშევიკურ რეზოლუციაში, რომელიც მიტინგმა მიიღო, ნათქვამი იყო: „ჩვენ კიდევ უფრო დაჟინებით, კიდევ უფრო გადაჭრით მოვითხოვთ, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში“[1].

25 ივნისის გრანდიოზულ მიტინგზე ბოლშევიკების გამარჯვებამ მენშევიკები გააფთრებამდე მიიყვანა. გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე მათ დაიწყეს ცილისწამება ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მიტინგის მეორე დღეს, თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ნ. ჟორდანიამ თავის კოლეგებს ნათლად წარმოუდგინა ის „საფრთხე“, რომელიც თითქოს რევოლუციას „შავი ხალხისაგან“ ემუქრებოდა.

„— ჩვენ ვდგევართ რევოლუციის დიდი კრიზისის წინაშე — განაცხადა ნ. ჟორდანიამ. ეს კრიზისია შავი ხალხის ბატონობა, რასაც რეაქცია მოჰყვება. შავმა ხალხმა იგრძნო, რომ მასზე უფლება აღარავის აქვს და ამოძვრა ზევით... თუ არ გვინდა, რომ იყოს შავი ხალხის ბატონობა, ჩვენ უნდა ვიყოლიოთ შეიარაღებული ძალა და ვაწარმოოთ მტკიცე და მაგარი პოლიტიკა“[2]. ნ. ჟორდანიამ იქვე შეიტანა წინადადება შექმნილიყო საიმედო შეიარაღებული ძალა და გაძლიერებულიყო პროპაგანდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებით ნ. ჟორდანია გულღიად გამოთქვამდა იმას, რაც ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას დიდი ხანია გულში ედო და რის განხორციელებასაც იგი აშკარად ივლისის დღეების შემდეგ შეუდგა.

ეს მიტინგი საინტერესოა მრავალმხრივ: მიტინგმა ცხადყო, რომ პროლეტარიატი და ჯარისკაცები — ფარაჯაგადაცმული გლეხობა ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად მენშევიკური და სხვა ბურჟუაზიული პარტიებისადმი რწმენას თანდათანობით კარგავდნენ და ბოლშევიკური პარტიის გარშემო ირაზმებოდნენ. „ამ მიტინგმა ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ხალხის ფართო მასებში, მეტადრე ჯარისკაცებში რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას ანუ ბოლშევიკურ პარტიას მაგრად აქვს ძირი გადგმული. ამავე მიტინგზე ნათლად დავინახეთ ისიც, რომ ჩვენი ოპორტუნისტების პოზიცია იმავე მასაში ერთობ მკრთალი თანაგრძნობით სარგებლობს“ აღნიშნავდა გაზ. „ბრძოლა“[3].

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5/26, ს. 8, გვ. 83.

[2] იქვე.

[3] გაზ. „ბრძოლა“ № 5, 2 ივნისი.

ეხმაურებოდა რა 25 ივნისის ამბებს თბილისში, გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ მიუთითებდა, რომ „ეს ბოლშევიკების სრული გამარჯვება იყოო“[1].

მიტინგმა ცხადჰყო ისიც, რომ მენშევიკები სინამდვილე'ში მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის ბოლშევიკური პარტიის მტრები იყვნენ და ყველა მომენტს და შესაძლებლობას იყენებდნენ იმისათვის, რომ მისი იზოლაცია მოეხდინათ.

აღსანიშნავია, რომ მენშევიკები სიტყვიერ ბრძოლასაც არ დასჯერდნენ. მათ უფრო ენერგიულ ზომებს მიმართეს. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლების (ესერ რებრუხის და სხვ.) განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები, რომელთაც ქალაქის საკომენდანტო სამმართველოში ოფიცრები აწვალებდნენ და ცემით ემუქრებოდნენ. დატუსაღებული ბოლშევიკები 218-ე პოლკის ჯარისკაცებმა გაანთავისუფლეს[2].

ესერ-მენშევიკების აშკარა გამოხდომამ სასტიკი პროტესტი გამოიწვია ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. მუშები, ჯარისკაცები თავიანთ მიტინგებზე ბაქოში, ალექსანდროპოლში, თბილისში გმობდნენ მენშევიკ-ესერების მოქმედებას. მენშევიკურ-ესერული საბჭოები კი კვლავ აძლიერებდნენ ბოლშევიკების საწინააღმდეგო გამოხდომებს. თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დააყენა საკითხი გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ „შეიარაღებული ძალების“ გამოყენების შესახებ.

გააფთრებულ ანტიბოლშევიკურ კამპანიას ეწეოდნენ მენშევიკები და ესერები ბაქოში. 2 ივლისს შედგა მენშევიკური ბიუროს მიერ მოწვეული პარტიული კონფერენცია, რომელმაც ბაქოს მენშევიკური ორგანიზაციების საქალაქო კომიტეტი აირჩია. მენშევიკებმა თავის ოფიციოზად აღიარეს გაზ. „სოციალ-დემოკრატი“. სომხური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ბაქოში მენშევიზმის სამსახურში დადგა. გაფორმდნენ რა დამოუკიდებელ ორგანიზაციად, მენშევიკებმა, ესერებთან ბლოკში, მუშათა დეპუტატების საბჭოში, სათათბიროში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში შექმნეს თავიანთი ფრაქციები და ბოლშევიკების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა გააჩაღეს. ისინი იმ ხალხმრავალ მიტინგებზე, რომლებიც ბაქოს მუშათა რაიონებში ეწყობოდა, ბოლშევიკებს აბრალებდნენ

[1] „Бакинский рабочий“ № 19, 28 ივლისი.

[2] „Кавказский рабочий“ № 70, 9 ივნისი 1917 წ.

გამთიშკელობას, უწოდებდნენ მათ დეზორგანიზატორებს, რევოლუციის მტრებს და კვერს უკრავდნენ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის საზიზღარ ცილისწამებას — გერმანელ იმპერიალიზმთან ბოლშევიზმის ფარული კავშირის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდნენ ბაქოს მენშევიზმის ლიდერები სადოვსკი, აიოლო, ი. რამიშვილი და სხვები.

მაგრამ მენშევიკ-ესერულ პროვაკაციას წარმატება არ ჰქონია. შაუმიანის, ჯაფარიძის, ფიოლეტოვის, აზიზბეკოვის, კორგანოვის, მიქოიანის გამოჩენა მიტინგებსა და კრებებზე მუშათა და ჯარისკაცთა მასების აღფრთოვანებას იწვევდა. ისინი ამსხვრევდნენ მენშევიკ-ესერების შეთითხნილ ბრალდებებს და მასებს მათ ნამდვილ სახეს უჩვენებდნენ. კრებებსა და მიტინგებზე მიღებული რეზოლუციები ბოლშევიკური იყო.

* * *

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, მიუხედავად მასების წინააღმდეგობისა, არა თუ ხელს იღებდა იმპერიალისტურ გეგმებზე, პირიქით, მას უფრო და უფრო აღრმავებდა. იგი ახალ-ახალ რეზერვებს მიერეკებოდა ფრონტებზე და ამზადებდა შეტევას გერმანიის წინააღმდეგ. მაგრამ შეტევისათვის საჭირო მომზადება არმიას აკლდა. იგი საშინლად მოქანცული იყო, შიმშილობდა. არ იყო საკმაო საომარი მასალა, სუსტი იყო ოფიცერთა შემადგენლობა. ჯარისკაცები დღითი დღე მოელოდნენ ომის დამთავრებას. რევოლუციის შემდეგ მათ აღარ სურდათ სისხლი ეღვარათ კაპიტალისტების ინტერესებისათვის.

ივნისში დაიწყო შეტევა და როგორც მოსალოდნელი იყო მარცხით დამთავრდა. შეტევის მარცხმა მუშები და ჯარისკაცები აღაშფოთა. ახლა უფრო ნათელი გახდა ბურჟუაზიული მთავრობის ღალატი, საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უილაჯობა.

მასების აღშფოთება გამოვლინდა პეტროგრადის 3—5 ივლისის შეიარაღებული დემონსტრაციაში, რომელიც სტიქიურად, ბოლშევიკური პარტიის ნება-სურვილის გარეშე დაიწყო. ბოლშევიკებმა დაინახეს რა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა ვეებერთელა მასის შეკავება შეუძლებელი იყო, თვით ჩაუდგნენ მას სათავეში იმ მიზნით, რომ მისთვის მშვიდობიანი ხასიათი მიეცათ. ბოლშევიკებმა ეს შესძლეს. დემონსტრანტები მშვიდად მიემართებოდნენ ნევის პროსპექტზე, მაგრამ სწორედ ამ დროს, დროებითმა მთავრობამ სოციალისტი მინისტრების დასტურით ფრონტიდან ყველაზე რეაქციული ნაწილები გამოიწვია და მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტა.

დროებითი მთავრობა დემონსტრაციის დახვრეტით არ დაკმაყოფილდა. მან გააფთრებული შეტევა დაიწყო ბოლშევიკური პარტიისა და მისი ორგანოების წინააღმდეგ. დარბეულ იქნა „პრავდის“ რედაქციის შენობა და „ტრუდის“ სტამბა. გაყვანილ იქნა პეტროგრადიდან ჯარისკაცთა ის ნაწილი, რომლებსაც რევოლუციური განწყობილება ემჩნეოდა, გამოიცა ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ, ბოლშევიკები გამოცხადებულ იქნენ გერმანიის აგენტებად და დაიწყო მათი დევნა-დაპატიმრებანი.

ივლისის ამბებმა საბოლოოდ ჩამოგლიჯეს ნიღაბი მენშევიკებსერ ლიდერებს. ისინი მუშებისა და ჯარისკაცების სისხლისღვრის უშუალო მონაწილენი გახდნენ. ისინი აშკარად გადაბარგდნენ ბურჟუაზიის ბანაკში. დამთავრდა ორხელისუფლებიანობა. დამთავრდა რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი ეტაპი.

ივლისის ამბებმა მთელს ამიერკავკასიაში ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. ბურჟუაზიულმა და შემთანხმებლურმა გაზეთებმა განგაში ასტეხეს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც თითქოს „რევოლუციას მარცხნიდან ელოდებოდა“. მათ დაჰგმეს პროლეტარიატის შეიარაღებული გამოსვლა პეტროგრადში და გააჩაღეს ბრძოლა პეტროგრადის ბოლშევიკური ცენტრის წინააღმდეგ, რომელმაც თითქოს „რევოლუციისათვის ასეთ მძიმე ვითარებაში“ ბიძგი მისცა შინაგან ანარქიას.

სწორედ ამ დამახინჯებული ცნობების გამო ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა პირველად, სანამ ვითარებაში გაერკვეოდნენ, ვერ შესძლეს ივლისის ამბებისათვის სწორი შეფასება მიეცათ.

თბილისში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს სხდომაზე ბოლშევიკებმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი ნდობა. სხვა პარტიებთან ერთად ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს მოწოდებას მოსახლეობისადმი. ეს მოწოდება გამოქვეყნდა გაზეთში „გოლოს კრაევოგო სოვეტაში“ და მიუთითებდა, რომ „ყოველგვარი ცალკეული გამოსვლა როგორც შეიარაღებული, ისე შეუიარაღებელი, ვისაც არ უნდა მოეწყო იგი, რევოლუციურ ორგანიზაციათა ცენტრებისა და რევოლუციურ პარტიათა წარმომადგენლების შეუტყობინებლად და მათი თანხმობის გარეშე“ — დაგმობილი უნდა იქნასო[1].

მაგრამ ეს შეცდომა სწრაფად გამოსწორდა. მიღებულ იქნა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო წერილი, სა-

[1] იხ. გაზ. „Голос краевого Совета“ № 19, 1917 წ.

დაც აღწერილი იყო ივლისის ამბების მიმდინარეობა და გამოტანილი იყო დასკვნები. ამ წერილის გაცნობის შემდეგ პარტიული ორგანიზაციები, შეცდომად ჩასთვალეს რა შემთანხმებლებთან ერთად მოწოდებით გამოსვლა, ერთსულოვნად დადგნენ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამომუშავებულ ხაზზე.

9 ივლისს შეიკრიბა რსდმპ (ბ) თბილისის სრულიად საქალაქო კონფერენცია, რომელმაც განიხილა მიმდინარე მომენტი 3—5 ივლისს პეტროგრადში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. კონფერენციამ ერთხმად მიიღო სახელმძღვანელოდ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინფორმაცია და რეზოლუცია.

კონფერენციამ 3—5 ივლისს პეტროგრადში პროლეტარიატის გამოსვლა აღიარა როგორც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის შემთანხმებლური პოლიტიკის ბუნებრივი შედეგი. რეზოლუციამ მიუთითა, რომ შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება[1].

ამ საკითხს მიეძღვნა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა 8 ივლისს. მენშევიკებმა პოპოვმა, ლომთათიძემ, გეგეჭკორმა და სხვ. გააფთრებით გაილაშქრეს ივლისის დემონსტრაციის წინააღმდეგ, მოითხოვეს დროებითი მთავრობისადმი სრული ნდობა და კანონიერად მიიჩნიეს ამ დღეებში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პოზიცია[2]. საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ ბოლშევიკი დეპუტატები კალანდაძე, ნაზარეტიანი, რომლებმაც ამხილეს მთავრობის აშკარა ღალატი და შემთანხმებლების მისდამი მხარდაჭერა, მიუთითეს პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის ხელში მთელი ხელისუფლების გადაცემის აუცილებლობაზე[3].

მენშევიკებმა და ესერებმა გააფთრებული იერიში მიიტანეს ბოლშევიკებზე თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 12 ივლისის სხდომაზეც. ბელიაევსკიმ, ახმეტელოვმა, იდაშკინმა მოითხოვეს თბილისში მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგების აკრძალვა — აუცილებელია თბილისშიაც განვახორციელოთ ის ღონისძიებანი, რომლებიც პეტროგრადში ტარდება — ყვიროდა ბელიაევს-

---

[1] „Кавказский рабочий" № 97. 1917 წ.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5 ს. 13, ფ. 12—15.

[3] იქვე.

კი. მენშევიკებმა და ესერებმა შეიტანეს წინადადება ადგილობრივი ბოლშევიკების დაპატიმრებისა და დასჯის შესახებ[1].

5 ივლისს ალექსანდრეს ბაღში (თბილისში) შემდგარ მიტინგზე, რომელსაც 3000-მდე მუშა და ჯარისკაცი ესწრებოდა, მიღებულ რეზოლუციაში წამოყენებული იყო მოთხოვნა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის შესახებ[2]. ამავე ბაღში 9 ივლისს შედგა მეორე გრანდიოზული მიტინგი. მუშა და ჯარისკაცი ორატორები აღშფოთებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ გამოიტანა დადგენილება ვ. ი. ლენინის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. „კონტრრევოლუცია დგამს მოზომილ ნაბიჯს, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — ამ დატუსაღებას თან მოყვება სხვა, რათა მიაღწიონ თავიანთ მიზანს, — უმეთაუროდ დასტოვონ პროლეტარიატი, ჩამოაცილონ მას თავდადებული მებრძოლები, დახურონ მისი გაზეთები, გადააქციონ იგი სრულიად უძლურად"[3].

გრანდიოზული მიტინგები ჩატარდა ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, ალექსანდროპოლში, ერევანში. მიტინგებზე ყველგან გამარჯვება ბოლშევიკთა მხარეზე იყო. მენშევიკ და ესერ ორატორებს ხალხი ტრიბუნიდან აგდებდა, მათ მოღალატეებს უწოდებდა. მიტინგებზე მიღებული რეზოლუციები ბოლშევიკური იყო.

ამიერკავკასიელი მენშევიკები კი, სავსებით უჭერდნენ რა ხელს დროებითი მთავრობის მიერ შეთითხნილ ბრალდებას ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ, პრესაში წერდნენ: „...რუსეთის რევოლუცია განადგურების საფრთხის წინაშე იმყოფება... მაგრამ მას ეს საფრთხე მოელის უკვე არა მარჯვნიდან, არა იმდენად მარჯვნიდან, რამდენადაც „მარცხნიდან..." კონტრრევოლუცია გადაბარგდა მემარცხენე ფრთაზე, ლენინელებთან... ბრძოლა დაუნდობელი, ბრძოლა თანამედროვე ბოლშევიზმთან ანუ მაქსიმალიზმთან — მორიგი ამოცანაა ყველა იმათი, ვისთვისაც ძვირფასია რევოლუციისა და თავისუფლების ინტერესები"[4].

ივლისის დღეების შემდეგ ბაქოში ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ გააფთრებული იერიშები მიიტანეს მენშევიკებმა, ესერებმა, დაშნაკებმა, მუსავატელებმა. ბურჟუაზიულმა და შემთანხმებ-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5/26, საქ. 8, გვ. 87.

[2] „Бакинский рабочий" № 93. 8 ივლისი, 1917 წ.

[3] „Кавказский рабочий" № 96. 11 ივლისი, 1917 წ.

[4] „Борьба" № 29. 1917 წ.

ლურმა პრესამ გაძოაცხადა, რომ ახლა საკითხი დგას ბოლშევიკებთან არა იდეური ბრძოლის, არამედ მათი განადგურების შესახებ. ისინი მოითხოვდნენ ბაქოში სამხედრო წესების შემოღებას, კონტრრევოლუციური სამხედრო დიქტატურის შექმნას. შემთანხმებლებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ღრიანცელმა გაათამამა კაპიტალისტი მრეწველები, რომლებმაც ბაქოს ნავთის მუშებთან კოლხელშეკრულების დადებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს და უკან წაიღეს ზოგიერთი დაპირებანი.

9 ივლისს ბაქოში ჯარისკაცთა კლუბში პეტროგრადის ამბების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. შაუმიანი. მუშებსა და ჯარისკაცებში აღფრთოვანება გამოიწვია მისმა მოწოდებამ ხელისუფლების დაპყრობისათვის მზადების შესახებ. ესერმა ბეკზადიანმა, მენშევიკმა სადოვსკიმ გადაწყვიტეს დებოშის მოწყობა, მაგრამ მიტინგმა მათ სიტყვა არ აცალა და გააძევა[1].

12—14 ივლისს ბაქოში ჩატარდა სოციალისტური პარტიების კონფერენცია ბაქოს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად. ესერებმა და მენშევიკებმა (სადოვსკიმ, შნეიდერმა, სააკიანმა) მოითხოვეს ბოლშევიკების კანონგარეშე გამოცხადება. შემთანხმებლური პარტიების საბრალდებულო აქტს წარმოადგენდა ს. შაუმიანის, ალ. ჯაფარიძის გამოსვლა, რომლებმაც ვ. ი. ლენინი საზიზღარი ცილისწამებლური ბრალდებებისაგან დაიცვეს[2].

ბაქოს მუშათა რაიონებში ჩატარებულ მიტინგებზე ყველგან ბოლშევიკური რეზოლუციები იქნა მიღებული. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა ელიზავეტოპოლში, პეტროვსკში, ნუხასა და სხვა ქალაქებში.

ივლისის დღეების შემდეგ კონტრრევოლუცია იერიშზე გადავიდა. მთელ რუსეთში ბოლშევიკები იატაკქვეშეთში იქნენ ჩარეკილნი. ლენინი იძულებული შეიქნა კერენსკის ხროვის დევნას დამალვოდა. კონტრრევოლუციის ეს შეტევა მთელს ამიერკავკასიაშიც თვალსაჩინო გახდა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, მენშევიკურ-ესერული სამხარეო ორგანოები და აღმასრულებელი კომიტეტები სრული შეთანხმებით მოქმედებდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა კანონიერ მოთხოვნათა უარყოფისა და მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენების საქმეში. დროებითი მთავრობის განკარგულების საფუძველზე ოზაკომმა საგუბერნიო და საოლქო კომისრებს, ოზაკომის რწმუნებულებს, ბაქოს ქალაქის თავს გაუგზავნა

[1] „Бакинский рабочий" № 26, 14 ივლისი, 1917 წ.

[2] „Бакинский рабочий" № 27, 16 ივლისი.

დეპეშები, სადაც მოითხოვა ყველა ღონისძიების გატარება „საზოგადოებრივი წესრიგის“ დასაცავად, ანუ რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ სამოქმედოდ. ოზაკომი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ავალებდა არ გაეწიათ არავითარი ანგარიში ადგილობრივი საბჭოების მოთხოვნებისათვის, ურყევად გაეტარებინათ დროებითი მთავრობის ყველა განკარგულება და გამოეყენებინათ ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ მათ განკარგულებაში არსებული შეიარაღებული ძალები[1]. მენშევიკმა ჩხენკელმა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სპეციალური ცირკულარით შეაჩერა სამიწათმოქმედო კომიტეტების მუშაობა და გლეხებისაგან მოითხოვა ღალისა და ბეგრის გადახდა. ბაქოელმა მრეწველებმა გააძლიერეს მუშების წინააღმდეგ დაწოლა. განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული არმიის მიმართ, რომელიც შემთანხმებლური პარტიების აზრით რევოლუციურ აფეთქებათა ყველაზე საშიშ უბანს წარმოადგენდა. აკრძალულ იქნა ჯარში ყოველგვარი მიტინგისა და კრების ჩატარება. გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური ნებართვის გარეშე, კავკასიის არმიის სარდლის ბრძანებით აიკრძალა არმიაში გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ გავრცელება.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც შემთანხმებლურ პარტიებთან მჭიდრო კონტაქტში იყო, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა დროებითი მთავრობის განკარგულებას ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ და თავის მხრივ ამიერკავკასიის სათანადო საძიებო ორგანოებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის განკარგულება:

„პეტროგრადის საგამომძიებლო ხელისუფლების დადგენილებით დაპატიმრებული უნდა იქნას ულიანოვი ლენინი, როგორც ბრალდებული 3—5 ივლისის პეტროგრადის შეიარაღებული გამოსვლის საქმეზე. ამიტომ თქვენ გევალებათ გასცეთ განკარგულება ამ დადგენილების დაუყოვნებლივ შესრულებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული პირი გამოჩნდება თქვენდამი რწმუნებულ ოლქში. შედეგების შესახებ გვაცნობეთ“[2].

ზემომოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ ამიერკავკასიის ხელისუფლების ორგანოები, ისე როგორც პეტროგრადის ბურჟუაზიული მთავრობა, ბოლშევიკური პარტიის აშკარა დევნის გზას დაადგნენ. მათ კონტრრევოლუციის ძალების მობილიზაცია და შემ-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, საქ. 1, გვ. 64—65.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 96, საქ. 91, გვ. 260.

ჰიდროება იწყეს, რათა თავიდან აეცდინათ სოციალისტური რევოლუცია და განემტკიცებინათ ბურჟუაზიის დიქტატურა.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ბოლშევიკები არალეგალურ მდგომარეობაზე არ გადასულან, ისე როგორც ეს პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ მოხდა. ვერც ოზაკომი, ვერც შემთანხმებლური პარტიები ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ მოეწყოთ ბოლშევიკური გამოცემების რბევა-დახურვა, ბოლშევიკი ხელმძღვანელების დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ კონტრრევოლუციას ამიერკავკასიაში თავისი ძალები ჯერ კიდევ მობილიზებული არ ჰყოლია და ეშინოდა იმ გაელენისა, რომლითაც ბოლშევიკური პარტიის ლიდერები სარგებლობდნენ. ისინი იმუქრებოდნენ, ცდილობდნენ თავიდან მოეცილებინათ ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და სხვ., მაგრამ ერიდებოდნენ ბაქოს და თბილისის პროლეტარულ მასასთან შეჯახებას. მათ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის გაუვნებადებისათვის საკმარისად მიაჩნდათ დროებითი მთავრობის მიერ პეტროგრადსა და სხვა ცენტრალურ ადგილებში მიღებული რეპრესიები. სამაგიეროდ ამიერკავკასიის მმართველმა წრეებმა მენშევიკ-ესერების დახმარებით მოიშველიეს ცილისწამების არსენალი, რათა სახელი გაეტეხათ ბოლშევიკებისათვის, მოეხდინათ მათი იზოლაცია.

* *

კონტრრევოლუციის გააფთრებული შემოტევის ვითარებაში ჩატარდა ქალაქის სათათბიროს არჩევნები თბილისსა და ბაქოში.

უნდა აღინიშნოს, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქალაქის სათათბიროების შემადგენლობა ამიერკავკასიაში უცვლელი დარჩა. სათათბიროების მხოლოდ გარეგანი „გადემოკრატულება" მოხდა. მათში შეყვანილ იქნენ წარმომადგენლები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებიდან. სათათბიროებს ისევ ხელთ ეპყრათ ქალაქების მართვის სადავეები და რესურსები. ამ რესურსების გამოყენება კვლავ შეძლებული ფენების სასარგებლოდ ხდებოდა. მუშათა კომუნალური მომსახურება, საყოფაცხოვრებო პირობები უყურადღებოდ იყო მიტოვებული. გარდა ამისა, სათათბიროები წარმოადგენდნენ მეტად საშიშ კონტრრევოლუციურ დაწესებულებებს. მათში რევოლუციის ჩამხშობი ძალების კონსოლიდაცია მიმდინარეობდა.

ავიღოთ, მაგალითად, ბაქოს ქალაქის სათათბირო. მასში თავ-

მოყრილი მრეწველები, მსხვილი ვაჭრები, სახლთმფლობელები და სხვ. შეძლებული პირები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ რევოლუციური ორგანიზაციების მოთხოვნას ძველი შემადგენლობის გადარჩევისა და საარჩევნო უფლებების გაფართოების შესახებ. გაბატონებული პოზიცია სათათბიროში კადეტების პარტიას ეკავა. ქალაქისთავი არუთინოვი, სათათბიროს თავმჯდომარე მსხვილი მრეწველი ტაგიანოსოვი, მმართველობის წევრი აშუროვი და სხვები განგებ აჭიანურებდნენ სათათბიროს გადემოკრატიულების საქმეში რაიმე ღონისძიების გატარებას და სხვადასხვა „დამაბრკოლებელ გარემოებათა“ მომიზეზებით სათათბიროს არჩევნებს ნოემბრისათვის სდებდნენ. ამავე დროს დეფიციტური ბიუჯეტის დასაფარავად სათათბირო, ბაქოს პროლეტარიატის მძიმე მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ძარცვის ახალ-ახალ მეთოდებს მიმართავდა. რევოლუციის პირველ დღეებშივე მან გაადიდა „კონკის“ ბილეთების ფასი, ქუჩების დასუფთავების გადასახადი, წყლით სარგებლობის გადასახადი, გამოსცა სესხი და კაპიტალისტებს მიჰყიდა საქალაქო მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც წინათ სარეწების გაშენება იყო ნავარაუდევი და სხვ. სათათბიროს ბიუჯეტის გასავლის ნაწილში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოსაწყობად უმნიშვნელო თანხა იყო გათვალისწინებული. თანხების დიდი უმრავლესობა მრეწველი კაპიტალისტებისა და სახლთმფლობელების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იხარჯებოდა.

ბაქოს ქალაქის სათათბიროს ბურჟუაზიული შემადგენლობის დაუყოვნებლივი გადახალისების აუცილებლობას პირველ რიგში ბოლშევიკებმა მიაქციეს ყურადღება. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომებზე და გაზ. „ბაკინსკი რაბოჩის“ ფურცლებზე ბოლშევიკები მიუთითებდნენ, რომ სათათბირო ძველი წყობილების ხელუხლებელი გადმონაშთია, აღმასრულებელ კომიტეტს აქამდე ყურადღება არ მიუქცევია მისი გადახალისებისათვის, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს არჩევნები ფართო დემოკრატიულ საფუძველზე და ამისათვის საარჩევნო კომისია შეიქმნასო.

სათათბიროს შემადგენლობის წინააღმდეგობისა და საბოტაჟის მიუხედავად, ბაქოს დემოკრატიული მასის დაწოლით, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი იძულებული შეიქმნა 19 ივნისს დაემტკიცებინა საარჩევნო კომიტეტის შემადგენლობა.

საარჩევნო კომიტეტში საბჭოდან მიელინებული ბოლშევიკი დეპუტატები ა. ჯაფარიძე, აზიზბეკოვი და სხვები შეუპოვრად იბრძოდნენ, რომ არჩევნები ბაქოს პროლეტარიატის მონაწილეობით ჩატარებულიყო. ამასთან დაკავშირებით მწვავედ დაისვა სა-

თათბიროს არჩევნებში სამრეწველო-საქარხნო რაიონების მონაწილეობის საკითხი. წინათ ეს რაიონები ქალაქის სათათბიროს მუნიციპალური საზღვრების მიღმა ჰყავდა მიტოვებული. საფაბრიკო-საქარხნო რაიონების შემოერთების საკითხზე ბრძოლა მეტისმეტად გამწვავდა. სათათბიროს ბურჟუაზიული ხმოსნები სამრეწველო გარეუბნების შემოერთების კატეგორიული წინააღმდეგი აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ ბაქოს მენშევიკ-ესერულმა საბჭომ ბოლშევიკ დეპუტატების შეუპოვარი მოთხოვნის მიუხედავად, ამ საკითხში, ჩვეულებრივად, მერყეევი პოზიცია დაიკავა, მან არავითარი ღონისძიება არ დასახა ბაქოს პროლეტარიატის კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მისი გადაწყვეტა მიანდო ოზაკომს, რომელიც თავისი ბუნდოვანი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მითითებებით ამ საკითხში პრაქტიკულ ნაბიჯებს აჭიანურებდა.

ბოლშევიკების მეთაურობით ბაქოს პროლეტარიატი დაჟინებით მოითხოვდა სათათბიროს მიერ იმ უფლების აღიარებას, რაც მას რევოლუციამ მიანიჭა. სამრეწველო რაიონებში ამ საკითხზე სპეციალურად ეწყობოდა კრებები და მიტინგები. მუშებს გამოჰქონდათ დადგენილებანი არჩევნებში მათი მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ. ჩერნოგოროდის რაიონის საქარხნო კომისიის წევრთა კრებაზე გამოტანილ იქნა დადგენილება „მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაცია და მოსთხოვონ დროებით მთავრობას დაუყოვნებლივ შეუერთოს ქალაქს გარეუბანი“. ასეთივე დადგენილებანი გამოტანილ იქნა თითქმის ყველა რაიონში, მსხვილ ქარხნებსა და საძიებელ უბნებზე.

28 ივლისს გარეუბნის შემოერთების საკითხი იხილებოდა ბაქოს აღმასრულებელ კომიტეტში. ს. შაუმიანის რეზოლუცია[1] მოითხოვდა აღმასრულებელი კომიტეტის დაუყოვნებლივ ჩარევას და სამრეწველო გარეუბნის შემოერთების საკითხის პროლეტარიატის მოთხოვნის მიხედვით გადაწყვეტას. აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული შეიქმნა მიეღო ეს რეზოლუცია. მაგრამ ეს მხარდაჭერა ფორმალური აღმოჩნდა. საბჭომ ყურადღებაც არ მიაქცია თავისი გადაწყვეტილების შესრულებას და საკითხის მოგვარება ოზაკომს მიანდო. ოზაკომმა დროებით მთავრობასთან გამართა მოლაპარაკება. ასე გადადიოდა საკითხი კომისიებიდან კომისიებში, ორგანოებიდან ორგანოებში და ყოველთვის ღიად რჩებოდა. ყველაფერი ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ ბაქოს მსხვილი მრეწველებისა და ვაჭრების ინტერესები არ შელახულიყო. გაზეთი „ბაკინსკი

[1] „Бакинский рабочий“ № 32, 28 ივლისი, 1917 წ.

რაბოჩი“ შენიშნავდა, რომ ბაქოს „...ბურჟუაზია ვერმიშევების; ქალაქისთავ არუთინიანის და სხვათა სახით ყველა ღონისძიებას მიმართავს, რომ ჩაიშალოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება. უკანასკნელი სიტყვა ოზაკომს ეკუთვნის. მაგრამ ფრიად შესაძლებელია, რომ ჯაფაროვისთვის უფრო ახლო იყოს ვერმიშევებისა და აშუროვების ინტერესები, ვიდრე სამრეწველო მუშების მოთხოვნები და ინტერესები“[1]. ეს პროგნოზი მართალი გამოდგა. ოზაკომი მრეწველობის მხარეზე დადგა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოელმა ბოლშევიკებმა საბჭოში, აღმასრულებელ კომიტეტსა და საარჩევნო კომიტეტში უმცირესობის გამო, ვერ შესძლეს საკითხის პროლეტარიატის სასარგებლოდ გადაწყვეტა, ამ ბრძოლას სათათბიროს გადემოკრატიულებისათვის თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბაქოს პროლეტარიატი ამ ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიის გარშემო ირაზმებოდა. პროლეტარული მასები თანდათანობით რწმუნდებოდნენ შემთანხმებლური პარტიების ღალატში, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხრიკებში. ისინი რწმუნდებოდნენ, რომ პროლეტარიატის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ განხორციელდებოდა ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო ლოზუნგი — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“

ბაქოს ქალაქის სათათბიროს არჩევნები ზემონათქვამ მიზეზების გამო მეტისმეტად გაჭიანურდა. არჩევნები ჩატარდა 27 ოქტომბერს, ბოლშევიკების საარჩევნო სიას ხმა მისცა 13877 ამომრჩეველმა. სათათბიროში ბოლშევიკებმა 19 დეპუტატი გაიყვანეს[2].

ქალაქის სათათბიროს არჩევნების კამპანია აქტიურად გაჩაღდა თბილისშიც. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მენშევიკებმა და ესერებმა გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ბოლშევიკების წინააღმდეგ, მენშევიკებმა, ესერებმა, ფედერალისტებმა, ნაციონალდემოკრატებმა და სხვ. პარტიებმა წამოაყენეს თავიანთი საარჩევნო პროგრამა და მასების გადაბირებისათვის ფართო წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს. ისინი ყოველგვარ საშუალებას — მოტყუებას, ცილისწამებას, მოსყიდვას, ძალადობას (რაც საერთოდ დამახასიათებელია დღევანდელი ბურჟუაზიული „დემოკრატიისათვის“) მიმართავდნენ, რათა არჩევნებში კანდიდატთა უმრავლესობა გაეყვანათ.

---

[1] „Бакинский рабочий“ № 34, 2 აგვისტო, 1917 წ.

[2] „Известия Бак. совета“ № 174, 175, 176.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია არჩევნებში დამოუკიდებელი პროგრამით გამოვიდა. ბოლშევიკები ამ პროგრამაში განმარტავდნენ მენშევიკურ-ესერული და ბურჟუაზიული პარტიების უუნარობას მუშათა ინტერესების დაცვის საქმეში და მიუთითებდნენ, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მშრომელთა ინტერესები, მოაწესრიგოს კომუნალური მეურნეობა, ალაგმოს ბურჟუაზიის თვითნებობა და სპეკულაცია, გადაჭრას სურსათის საკითხი და სხვ. არის ბოლშევიკური პარტია.

მენშევიკებმა იმისათვის, რომ ამომრჩეველთათვის თავგზა აებნიათ და ბოლშევიკების იზოლაციისათვის მიეღწიათ, ბოლშევიკებს შესთავაზეს დაეშვათ მუნიციპალიტეტის კედლებში „მოქმედების კოორდინაცია". მენშევიკების ეს მორიგი ფანდი ჩაიშალა. ბოლშევიკებმა მენშევიკებთან ერთად გამოსვლაზე უარი თქვეს.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანიაში ყველა ბურჟუაზიული პარტია ბოლშევიკების წინააღმდეგ გაერთიანებული ბლოკით გამოდიოდა, ბოლშევიკებმა სათათბიროში 7 დეპუტატის გაგზავნა მოახერხეს.

სათათბიროს ახალ შემადგენლობაში ადგილების უმრავლესობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მენშევიკებს ხვდათ (50 მენშევიკი, 20 ესერი).

ბოლშევიკური ფრაქცია, მიუხედავად უმცირესობისა, უნარიანად იყენებდა სათათბიროს ტრიბუნას ბურჟუაზიული პოლიტიკის გამოაშკარავებისა და დაგმობისათვის. ახალი სათათბიროს პირველსავე სხდომაზე (7 აგვისტოს) გამოქვეყნებულ დეკლარაციაში კომუნისტებმა გადაჭრით მოითხოვეს მთელი ძალაუფლების გადაცემა რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობისათვის. მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს — ნათქვამი იყო დეკლარაციაში „შეუძლია გადაჭრას რევოლუციის მიერ წამოწყებული ძირითადი საკითხები"[1].

თბილისის ახალი სათათბირო ძველის გზას დაადგა, იგი ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოდ, მშრომელთა მასების თვალის ახვევისა და მოტყუების ორგანოდ დარჩა.

* * *

სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის ბრძოლის გარდამტეხ პერიოდში შეიკრიბა ბოლშევიკური პარტიის VI ყრი-

[1] „Вечерний рабочий" № 21, 1917 წ.

ლობა, რომლის მუშაობა 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე მიმდინარეობდა. ეს იყო შეიარაღებული აჯანყების მომზადების, კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბრძოლო ყრილობა.

ყრილობის მოწვევისათვის უდიდესი საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა ი. მ. სვერდლოვმა, რომელიც სათავეში ედგა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს. მასვე მოუხდა მოხსენებით გამოსვლა მთელ რიგ საკითხებზე. ყრილობა გახსნა პარტიის უძველესმა წევრმა მ. ს. ოლმინსკიმ. ყრილობის მოწვევასა და მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ი. ბ. სტალინი, ფ. ე. ძერჟინსკი, გ. კ. ორჯონიკიძე, კ. ე. ვოროშილოვი, ე. გ. იაროსლავსკი და ბოლშევიკური პარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწენი.

ყრილობას ესწრებოდა 157 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 128 სათათბირო ხმით. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან ყრილობაზე მონაწილეობდა 4 დელეგატი.

ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ დროისათვის ამიერკავკასიაში რიცხობრივად მძლავრი, ორგანიზებული და სიცოცხლით სავსენი იყვნენ. მარტო თბილისის ორგანიზაციაში აღრიცხული იყო 2.675 ბოლშევიკი. ამიერკავკასიელი დელეგატები ყრილობას მოახსენებდნენ, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციების გავლენა, ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების ყოველგვარი დამაბრკოლებელი ზომების მიუხედავად, მასებში დღითი დღე იზრდება, რომ მუშები და ჯარისკაცები ტოვებენ მენშევიკურ-ესერულ პარტიებს და ეწერებიან ჩვენს პარტიაში, რომ ბოლშევიკებს აქვთ მძლავრი საგამომცემლო ბაზა, ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე გამოდის გაზეთები, იბეჭდება პარტიული ლიტერატურა და სხვა.

ყრილობის მუშაობა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მხრივ გააფთრებული დევნის ვითარებაში მიმდინარეობდა. რევოლუციის ბელადი ლენინი იძულებული იყო არალეგალურად ეცხოვრა და იგი ყრილობას არ დასწრებია. მაგრამ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიულ ხელმძღვანელებთან და წარმართავდა ყრილობის მთელ მუშაობას. მოხსენების თეზისები ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ შედგენილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ.

ყრილობის ორ ძირითად საკითხზე — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ — მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. ეს მოხსენებანი იულისის დღეების შედეგად რუსეთში შექმნილი ვითარების ზუსტ ანალიზს

შეიცავდნენ და ახალ ვითარებაში ლენინურ სამოქმედო პროგრამას სახავდნენ.

VI ყრილობამ მოისმინა ინფორმაცია ბაქოს ბოლშევიკური საქალაქო კომიტეტთან არსებული მუსულმანური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის—გუმეტის (ენერგია) შესახებ. გუმეტი ბაქოში დაარსებულ იქნა 1904 წელს და მიზნად ისახავდა აზერბაიჯანელ მშრომელ მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებას. გუმეტს სათავეში ედგნენ მ. აზიზბეკოვი, ალ. ჯაფარიძე, ხანლარ საფარალიევი, მემედ მემედიაროვი და სხვები. ეს ორგანიზაცია, სარგებლობდა რა ბაქოს საქალაქო კომიტეტში რაიონული კომიტეტის უფლებით, იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დარგებში დიდ მუშაობას ეწეოდა, აზერბაიჯანელ მუშებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდა და მათ ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო რიგებში რაზმავდა. პირველი რევოლუციისა და რეაქციის წლებში გუმეტი წარმოადგენდა ბოლშევიკური პარტიის მძლავრ ბირთვს აზერბაიჯანელი პროლეტარიატის რიგებში.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გუმეტმა ისევ განაახლა მუშაობა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და შემთანხმებლური პარტიების კონტრრევოლუციური საქმიანობის გაცხოველების ვითარებაში, როცა საქმე ეხებოდა ბაქოს ყველა ეროვნების პროლეტარული მასებია სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის რიგებში შემოკრებას, გუმეტს ენიჭებოდა მეტად დიდი მნიშვნელობა. მან აზერბაიჯანულ ენაზე გააჩაღა აპრილის კონფერენციის ისტორიულ მითითებათა პროპაგანდა, იგი ნიღაბს ხდიდა მუსავატურ-ნაციონალისტურ ორგანიზაციას, შემთანხმებლებს და აზერბაიჯანელ მუშებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში აერთიანებდა. გუმეტი ივლისის თვიდან სცემდა საკუთარ ბეჭდვით ორგანოს — გაზეთ „გუმეტს“, რომელიც აზერბაიჯანელ მუშებს მშობლიურ ენაზე აცნობდა პარტიული ორგანოების ხაზს, ლენინის მითითებებს, აღწერდა მათს მძიმე მდგომარეობას, მრეწველთა თვითნებობას, კოლექტიური ხელშეკრულებისათვის ბრძოლის მიმდინარეობას და მუშათა ამოცანებს, ნერგავდა ინტერნაციონალურ სულისკვეთებას.

ბაქოს ბოლშევიკური საქალაქო კომიტეტი და „ბაკინსკი რაბოჩი“ გუმეტის მუშაობას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. უშუალო ხელმძღვანელობას გუმეტს უწევდნენ ამხ. მ. აზიზბეკოვი, ნარიმანოვი, რომლებიც სისტემატურად გამოდიოდნენ აზერბაიჯანელი მუშების მიტინგებსა და კრებებზე.

ამხ. ა. ჯაფარიძე VI ყრილობაზე გუმეტის დახასიათებისას მიუ-

თითებდა, რომ „ამ ორგანიზაციას აქვს თავისი სახელწოდება „გუმეტი“, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ჩვენთან პარტიაში გამოჩნდა მეორე „ბუნდი“.

თავიდანვე და ახლაც „გუმეტი“ შერწყმულია ჩვენს პარტიულ ორგანიზაციასთან, ყველა მუსლიმანი ამხანაგი შედის საერთო პარტიულ ორგანიზაციაშიო“[1].

აღინიშნა რა გუმეტის რევოლუციური მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა მიმდინარე ეტაპზე, ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა გაეწია გუმეტისათვის მატერიალური და სხვა საჭირო დახმარება. მან გუმეტს მისალმება გაუგზავნა.

VI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამას, ამიტომ ბუნებრივია, ყრილობის გადაწყვეტილებათა პარტიულ მასებამდე დაყვანისათვის ამიერკავკასიაში ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გაიშალა. გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის“[2], „ბაკინსკი რაბოჩის“[3], „ბრძოლას“[4], „ბანეორი კრივის“, „გუმეტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მიღებული რეზოლუციები. გაზეთებში ყრილობის შესახებ გამოქვეყნებული სტატიები განმარტავდნენ რუსეთში შექმნილ ვითარებას, ბურჟუაზიული მთავრობის მიერ აღებულ კურსს, კოალიციური სამინისტროს კრახის მიზეზებს, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ძალთა კონსოლიდაციის საგანგაშო შედეგებს, შემთანხმებლების გამცემლობას და სხვ.

გარდა ამისა, ყრილობის მონაწილეებმა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის სხვა თვალსაჩინო ხელმძღვანელებმა პარტიულ მასებამდე დაიყვანეს ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებანი. ალ. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, აზიზბეკოვი და სხვ. მუშათა რაიონებში ღია პარტიულ კრებებზე ეწეოდნენ ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე და სხვები მოხსენებებით გამოდიოდნენ თბილისისა და გარეუბნის ღია პარტიულ კრებებზე[5].

ამიერკავკასიაში პარტიული უჯრედებისა და კოლექტივების სწრაფმა ზრდამ, პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგარმა ახალ-

---

[1] იხ. Протоколы шестого съезда РСДРП (б), Москва, 1934 გვ. 89-222.

[2] „Кавказский рабочий“ № 132.

[3] „Бакинский рабочий“ № 37, 38, 39.

[4] „ბრძოლა“ № 12, 20 აგვისტო.

[5] „Кавказский рабочий“ № 130, 148, „ბრძოლა“ № 13, 15.

ვა აძოცანებმა სავსებით მოამზადეს ნიადაგი პარტიული ყრილობის მოწვევისათვის. ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში დამოუკიდებლად მუშაობდნენ. მათ შორის სისტემატური კავშირ-ურთიერთობა არ არსებობდა, სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადების ამოცანა კი ძალების შემჭიდროებას, ერთ ხელმძღვანელ ცენტრს მოითხოვდა. ამავე დროს პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭირო იყო სამოქმედო პროგრამის გამომუშავება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის 22 აგვისტოს სხდომაზე[1], რომელსაც ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კავკასიის საოლქო ყრილობის მოწვევის შესახებ. ჩამოყალიბდა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო. ბიურომ თავის მიმართვაში პარტიული ორგანიზაციებისადმი ასე განსაზღვრა ყრილობის მოწვევის საჭიროება და მნიშვნელობა: „ჩვენი სიეზდის მნიშვნელობა დაუფასებელი იქნება როგორც პარტიისათვის, ისე მთელი ოლქის პოლიტიკური ცხოვრებისათვის. იგი მთელს ოლქში ნამუშევარს და იქ გაფანტულ ძალებს თავს მოუყრის, ის საშუალებას მოგვცემს ურთიერთს ჩვენ-ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ და მდგომარეობა გავაცნოთ; ის ყველა ჩვენთაგანისთვის ერთნაირად საჭირო და მნიშვნელოვან მთელ რიგ კითხვებს გამოარკვევს: ის ჩვენს მუშაობას ერთნაირობას მიანიჭებს, შეგვაერთებს და შეგვადუღებს და ორგანიზაციათა შორის საურთიერთო მტკიცე განწყობილება-დამოკიდებულებას დაამყარებს, რითაც საშუალებას მისცემს პარტიას მიზანშეწონილად მოიხმაროს თავისი ძალები და საშუალებანი; იგი ჩვენს მომავალ შემდეგ მუშაობას მიმართულებას მისცემს; ის, უკანასკნელ, მოგვცემს ჩვენ ორგანოს, რომელიც ჩვენი გამაერთიანებელი და ხელმძღვანელი საოლქო ცენტრი გახდება“[2].

კავკასიის ბოლშევიკების საოლქო ყრილობას, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში გაიხსნა, წინ უსწრებდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენები.

კონტრრევოლუციური ბურჟუაზია გამალებით ემზადებოდა სამხედრო დიქტატურისათვის. წარმოებდა ფარული მოლაპარაკებანი გენერალ კორნილოვთან, რომელსაც, ბურჟუაზიის აზრით, რუსეთი უნდა „ეხსნა“ რევოლუციის ქარიშხლისაგან. კორნილოვშჩინის

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“ № 135, 26 აგვისტო, 1917 წ.

[2] გაზ. „ბრძოლა“ № 15, „Кавказский рабочий“ № 142, 1917 წ.

განმტკიცებისათვის ბურჟუაზიას საჭიროდ მიაჩნდა ძლიერი საერთო რუსული ცენტრის შექმნა. ამ მიზანს ისახავდა სახელმწიფო თათბირი, რომელიც 12 აგვისტოს მოსკოვში, პეტროგრადის რევოლუციურ მუშათა და ჯარისკაცთაგან მოშორებით, გაიხსნა.

ამ თათბირმა, რომელმაც მიზნად დაისახა რუსეთის კონტრრევოლუციის გაერთიანება და მიიღო კორნილოვის პროგრამა, რევოლუციური პროლეტარიატის რიგებში მრისხანება გამოიწვია. თათბირის გახსნის დღეს მოსკოვში იფეთქა 400 ათასი მუშის გაფიცვამ. მოსკოველ პროლეტარებს რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები გამოეხმაურნენ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მოსკოვის სახელმწიფო თათბირის ნამდვილი მიზანი დროულად ამხილეს. ბოლშევიკური გაზეთები თათბირის ზრახვების გარკვევისადმი მიძღვნილ სტატიებში მიუთითებდნენ, რომ თათბირზე შეკრებილი მთელი რუსეთის კონტრრევოლუციონერები აშკარად ამზადებენ კონტრშეტევას, ბურჟუაზიამ დიქტატურის დამყარების ფარული ტაქტიკა შესცვალა აშკარა ბრძოლით, ბურჟუაზია სწრაფად ემზადება, რათა ეს თათბირი გამოაცხადოს „საერთო-ნაციონალურ კრებად“ და მიაღწიოს საბჭოების სრულ ლიკვიდაციას, კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის კორონაციას და სხვ.[1] გაზეთმა „ბრძოლამ“ ამხილა თათბირისადმი მხარდაჭერის საქმეში მენშევიკური საბჭოებისა და „სოციალისტი“ მინისტრების ღალატის ახალი გამოვლინება, დაახასიათა ეს თათბირი, როგორც კონტრრევოლუციის ახალი ეტაპი და მოუწოდა მასებს მზადყოფნისაკენ, ვინაიდან ბურჟუაზია შეტევაზე გადმოსვლას აპირებდა. „ბაკინსკი რაბოჩიმ“ 20 აგვისტოს ნომერში ანშლაგით მისცა ცნობა თათბირისადმი მრისხანე პროტესტის აღსანიშნავად მოსკოვში მუშათა 400 ათასიანი კოლექტივის გაფიცვის შესახებ[2]. ეს იყო უდიდესი მაგალითი ბაქოს პროლეტარიატისათვის, რომელიც კოლხელშეკრულების განხორციელებისათვის პოლიტიკურ გაფიცვას ამზადებდა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბურჟუაზიის წაქეზებითა და აშკარა მხარდაჭერით გენერალმა კორნილოვმა დაიწყო შეიარაღებული გამოსვლა სამხედრო დიქტატურის დასამყარებლად. მაგრამ ეს ავანტიურა მასებისათვის ბოლშევიკური პარტიის ფხიზელი ხელმძღვანელობის მეოხებით მოულოდნელი არ აღმოჩნდა. მთელი რუსეთის პროლეტარიატი კორნილოვის წინააღმდეგ აღდგა. პეტრო-

[1] „Бакинский рабочий“ № 40.
[2] „Бакинский рабочий“ № 42.

გრადში შეიქმნა ბოლშევიკური წითელი გვარდიის რაზმები, პროვინციებში ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტები, ჯარის ნაწილებში ბოლშევიკების მეთაურობით გაჩაღდა აგიტაცია კორნილოვის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა კორნილოვის მომხრეთა დაპატიმრება ან გაძევება. მასების გადამწყვეტმა წინააღმდეგობამ კორნილოვის შეთქმულთა ჯარებში რღვევა შეიტანა. გაიხრწნა თვით შეთქმულთა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი. პროლეტარიატის ერთსულოვანი წინააღმდეგობის შედეგად კორნილოვშჩინა განადგურებულ იქნა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში, კავკასიის არმიის მთავარსარდლობასა და ოფიცრობაში, ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებში კორნილოვს თავგამოდებული დამცველები და მომხრეები გამოუჩნდნენ. ამ გადამწყვეტ დღეებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მასების მობილიზაციას კორნილოვშჩინის წინააღმდეგ და მოსალოდნელი გამოსვლის თავიდანვე ჩაკვლას. ამიერკავკასიელმა ბოლშევიკებმა ამ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი.

კორნილოვის ამბოხების დღეებში ბაქოს მენშევიკურ-ესერული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიც ახმაურდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ზომების მისაღებად, მაგრამ ამ საკითხზე მისი გადაწყვეტილებანი მოწშობდნენ, რომ იგი ამ ხმაურში სწორედ კონტრრევოლუციის საქმეს აკეთებდა. 28 აგვისტოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სასწრაფო დახურულ სხდომაზე გამოჰყო კონტრრევოლუციასთან მებრძოლი ბიურო, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტს უნდა დამორჩილებოდა, აღმასრულებელ კომიტეტში კი ბურჟუაზიის დამცველები და შემთანხმებლები ისხდნენ. ბიუროს არჩევას წმინდა დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა და მუშების მოტყუებას ისახავდა მიზნათ. ეს ბიურო მალე გადადგა კიდეც.

30 აგვისტოს ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ბოლშევიკი დეპუტატების წინააღმდეგობის მიუხედავად მიღებული რეზოლუცია კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას ბურჟუაზიასთან კოორდინაციით ვარაუდობდა და წინადადებას იძლეოდა მოწვეულიყო რევოლუციურ ორგანიზაციათა კრილობა, რომელსაც უნდა შეექმნა ავტორიტეტული ხელისუფლება. ამავე დროს ამ კრილობაზე თანასწორუფლებიან წარმომადგენლად საბჭო ბურჟუაზიულ პარტიებს გულისხმობდა[1].

[1] „Известия Бак. совета" № 124.

საქმე ის არის, რომ ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის შემადგენლობა პირველი არჩევნების შემდეგ არ შეცვლილა, სრულებით აღარ გამოხატავდა ბაქოს პროლეტარიატის ინტერესებს, რომელმაც მარტიდან აგვისტომდე გადადგა გიგანტური ნაბიჯები პოლიტიკური შეგნებულობის გზაზე. საბჭო ახლა შემთანხმებლური პარტიების სრული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და უმცირესობაში მყოფი ბოლშევიკებისათვის იგი მხოლოდ საბჭოს შემთანხმებლური პოლიტიკის მხილების ტრიბუნად რჩებოდა.

ასეთი შემადგენლობის საბჭოზე, ბუნებრივიც არის, რომ მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერთაგანი კორნილოვის ამბოხებას მუშათა კლასსა და ჯარისკაცთა არმიას აბრალებდა[1], ამასთანავე ხელს აფარებდა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას და მის ნაბიჯებს რევოლუციის წინააღმდეგ ამართლებდა კიდეც.

ასეთი საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის ნება-სურვილის მონა-მორჩილი იყო, რომელიც გადადგომის მუქარით საბჭოს აიძულებდა ხოლმე თავისი რეზოლუციები უკან წაეღო.

ახასიათებდა რა საბჭოს ასეთ შემადგენლობას ს. შაუმიანი წერდა:

„როგორ უყურებენ უკანასკნელ ამბებს, კორნილოვის შეთქმულებას ადგილობრივი ბაქოელი მენშევიკები? ო, წაიკითხეთ ამხანაგო მუშებო მანდელშტამის, აიოლოს, რამიშვილის სამარცხვინო სიტყვები, რომლებიც გაზეთ „ბაქოს“ და „კასპიას“ ფურცლებზეა დაბეჭდილი, სიტყვები, რომლებიც წარმოთქმულია მათ მიერ მუშათა დეპუტატების საბჭოზე 30 აგვისტოს. ამ ვითომდა სოციალისტების აზრით კონტრრევოლუციის დამნაშავენი არიან არა კადეტები, არა ბურჟუაზია, არამედ მუშები, რომლებმაც „გაყიდეს თავისუფლება“ გროშის ფასად, დამნაშავენი არიან პეტერბურგის მუშები. ეს „თვითდამცველი ნაგავი“ — ასე თავხედურად ლაპარაკობს ბაქოს ალექსინსკი მანდელშტამი. 3-5 ივლისის გამოსვლის დამნაშავენი არიან ჯარისკაცები, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ სამშობლო და რევოლუცია დაიცვან, „მზესუმზირას აკნატუნებდნენ“ და მიტინგობიას თამაშობდნენ.

და ეს ვაჟბატონები — მანდელშტამი—ბოლშევიზმის რენეგატი, რომელიც ახლა უკანასკნელ მენშევიკზე დაბლა დაქვეითდა, ფიგლიარი აიოლო, ვერმიშევის გუშინდელი თანამშრომელი, ისიდ. რამიშვილი, რომელიც სრულიადაც არ უწევს ანგარიშს იმას, რასაც

[1] „Баку“ № 195, 1917 წ.

ლაპარაკობს და ვერ იგებს თუ რა ხდება მის ირგვლივ ესენი არიან ახლა მუშათა დეპუტატების საბჭოს ბელადები, ბაქოს პროლეტარიატის ბელადები.

შეიძლება თუ არა წარმოიდგინოს კაცმა ამაზე უფრო სამწუხარო და საშინელი სანახაობა?"[1]

ასეთ ვითარებაში ბაქოელ ბოლშევიკებს ეკისრებოდათ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა მენშევიკ-ესერული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და კონტრრევოლუციური პარტიების საპირისპიროდ წარემართათ. აუცილებელი იყო საბჭოს გადარჩევა, კორნილოვის დამხმარე კონტრრევოლუციური ძალების გამოსვლის აღკვეთა. 29 აგვისტოს შეიკრიბა ბაქოს ბოლშევიკების საქალაქო კომიტეტის სასწრაფო სხდომა, რომელზედაც კორნილოვის გამოსვლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. შაუმიანი. კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ კორნილოვ-შჩინის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა შედგეს რევოლუციური კომიტეტები. ეს იქნება საბრძოლო შტაბი, რომელიც დაიცავს რევოლუციის მონაპოვარს. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ბაქოს პროლეტარიატისადმი მიმართვის გამოცემისა და ბაქოს მენშევიკურ-ესერული საბჭოს დაუყოვნებლივი გადარჩევების ორგანიზაციის შესახებ[2].

ბაქოს ბოლშევიკური საქალაქო კომიტეტის 31 აგვისტოს სხდომაზე, სადაც მიმდინარე მომენტზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფიოლეტოვი, დაგმობილ იქნა შემთანხმებლური პარტიების პოზიცია, და მიღებულ იქნა დადგენილება აღმასრულებელი კომიტეტის გადარჩევის შესახებ[3].

ბაქოელი ბოლშევიკები კორნილოვშჩინის დღეებში უნარიანად ამზადებდნენ ბაქოს პროლეტარიატის მრისხანე საგაფიცვო გამოსვლას. მუშების საუკეთესო მაორგანიზებელ ძალას წარმოადგენდნენ საფაბრიკო-საქარხნო კომისიები, რომლებმაც თავი საგაფიცვო კომიტეტად გამოაცხადეს და ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მეთაურობით უზრუნველყვეს პროლეტარიატის ორგანიზებული გამოსვლა ნავთისმრეწველთა თვითნებობის წინააღმდეგ.

კორნილოვშჩინის დღეებში ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ ლაშქრობას კიდევ უფრო აძლიერებენ მენ-

---

[1] „Бакинский рабочий" № 98, 3 სექტ. 1917 წ.

[2] „Бакинский рабочий" № 97.

[3] „Бакинский рабочий" № 98.

შევიკები და ესერები თბილისში, ქუთაისში, ერევანში, ალექსანდროპოლში, ბათუმში, სოხუმსა და სხვაგან.

თბილისის მენშევიკურ-ესერული საბჭოს 3 სექტემბრის სხდომაზე ნ. ჟორდანია, რომელიც მოხსენებით გამოვიდა მიმდინარე მომენტზე, ისევ ქება-დიდებას ასხამდა ბურჟუაზიას პროლეტარიატის თანაბარი დამსახურებისათვის და მოითხოვდა ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციას --- პარლამენტურ რესპუბლიკას, სადაც ყველა პარტიებს თავისი წარმომადგენლობა ეყოლებოდა. ხოლო ბოლშევიკების ყველა გამოსვლას ჰგმობდა და მას რევოლუციისათვის მაუნებელს უწოდებდა[1].

ოზაკომისა და საბჭოების სამხარეო ცენტრის თვალწინ, როცა ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ იერიშს აძლიერებდნენ, დაძრწოდნენ კორნილოვის აგენტები და სხვა მრავალი ბნელი პირები, რომლებიც ქუჩებში მოწოდებებს აკრავდნენ, წვრილბურჟუაზიულ ობივატელურ მასას გამოსვლისათვის აქეზებდნენ. მიმართავდნენ ხულიგნურ გამოხდომებს მუშების წინააღმდეგ.

ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოსა და სომხეთში კორნილოვშჩინის დღეებში პროლეტარიატისა და არმიის ძალთა კონსოლიდაციას ეწეოდნენ და კონტრრევოლუციის გამოხდომებს საბრძოლო რიგების შემჭიდროებით უპასუხებდნენ. ბოლშევიკური პარტიისადმი რევოლუციური მასების მხარდაჭერამ კორნილოვშჩინის დამქაშების ავანტურისტული გეგმები და ვარაუდები სრულად ჩაფუშა.

კორნილოვშჩინასთან ბრძოლის დღეებში გაიშალა საბჭოების განახლების, გამოცოცხლების ბოლშევიზაციის ხანა. ახლა მთელ რიგ ადგილებში გადარჩევების დროს მუშები, გლეხები, ჯარისკაცები ბოლშევიკ დეპუტატებს გზავნიდნენ.

ახლა ისევ დადგა დღის წესრიგში ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მაგრამ ახალ ვითარებაში ეს ლოზუნგი ნიშნავდა ძალაუფლების დაპყრობას იარაღით, დროებითი მთავრობის დამხობის გზით. საბჭოების ბოლშევიზაცია ამავე დროს იმას მოასწავებდა, რომ აჯანყებისათვის აუცილებელი წინაპირობა უკვე მომწიფებული იყო.

კორნილოვის განადგურების შემდეგ მენშევიკები და ესერები შემოვლის გზას დაადგნენ. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ე. წ. „დემოკრატიული თათბირის“ მოწვევას. ამ თათბირს გარკვეული მიზანი ჰქონდა: რევოლუციის აღმავლობის, მისი გამარჯვების წინა დღით,

[1] საქ. სსრ ორსა. ფ. 5, ს. 13, ფურც. 32—35.

შემთანხმებლები რუსეთის ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, ე. წ. წინაპარლამენტს თავაზობდნენ. ეს იყო რევოლუციური პროლეტარიატისათვის თვალის ახვევის, გამარჯვებისაკენ მიმავალი ერთადერთი სწორი გზიდან მისი ჩამოშორების თაღლითური ცდა. ბოლშევიკებმა წინაპარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს. პარლამენტის ბოლშევიკურ ფრაქციაში შემავალი ტროცკისტების (კამენევი, ფეოდოროვიჩი) დაჟინების მიუხედავად, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მასში მონაწილეობა დაგმო.

ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური მაქინაციების საპირისპიროდ რევოლუციური პროლეტარიატი კიდევ უფრო ამჟიდროებდა თავის რიგებს და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა. კრიზისი მომწიფებული იყო. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აწარმოებდა გაცხოველებულ სამზადისს იერიშის დასაწყებად.

ასე ვითარდებოდნენ მოვლენები, როცა 2 ოქტომბერს თბილისში ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი საოლქო ყრილობა.

როგორც სამანდატო კომისიის მოხსენებიდან ჩანს, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ დროისათვის აერთიანებდნენ პარტიის 8636 წევრს[1]. ყრილობას ესწრებოდა 29 დელეგატი (აქედან 3 სათათბირო ხმით). თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში დარბეული და დაქსაქსული ბოლშევიკური ორგანიზაციები რვა თვის მანძილზე იმდენად გაიზარდნენ, რომ წარმოადგენდნენ სერიოზულ ავანგარდულ ძალას, მათ მუშების, უღარიბესი გლეხებისა და ჯარისკაცების მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდათ.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) სამანდატო კომისიის მოხსენება, 2) მოხსენება პარტიის VI ყრილობის შესახებ, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) დამფუძნებელი კრება, 5) ნაციონალური საკითხი, 6) ორგანიზაციული საკითხები, 7) პარტიული პრესა, 8) აგრარული საკითხი, 9) არჩევნები, 10) სხვადასხვა.

დელეგატები ყრილობას მოუთხრობდნენ იმის შესახებ, თუ ბოლშევიკური ორგანიზაციების დამრაზმველი მუშაობის შედეგად როგორ ირღვეოდა „მენშევიკების ძალაუფლების ტახტი“, როგორ ეთიშებიან მასები შემთანხმებლურ პარტიას, რა ჰორებს, პროვოკაციებს მიმართავენ მენშევიკები და ესერები ბოლშევიკების წინააღმდეგ და სდევნიან მათ, მაგრამ, მიუხედავად ასეთი დევნისა, ფართოვდებოდა მათი გავლენა მასებზე. ყრილობის დელეგატი ა. მიქოიანი, ეხებოდა რა ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო უღარიბესი გლეხობის დარაზმვის პროცესს, მაგალითისათვის ასახელებდა ალა-

[1] „Кавказский рабочий“ № 165, 5 ოქტ. 1917 წ.

ვერდის რაიონს. „აქ ბოლშევიკებს, — ამბობდა იგი, — მოხვეჭილი აქვთ დიდი ავტორიტეტი, მუშების სიმპათია მთლიანად ბოლშევიკთა მხარეზეა. ალავერდის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მეწარმეებთან, კულაკებთან, დაშნაკებთან ბრძოლაში მიაღწიეს წარმატებას, უღარიბესი გლეხობა აქტიურად მოქმედებს რევოლუციის მხარეზე“[1].

ყრილობამ მგზნებარე მისალმებით მიმართა ვ. ი. ლენინს. „ყრილობა მტკიცე რწმენას გამოთქვამს, — ნათქვამი იყო ამ მისალმებაში, — რომ ახლო მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავისი ახალი რევოლუციით დაამხობენ მილიუკოვის და მისი ლაქიების—კერენსკების ბატონობას და შეუქმნიან შესაძლებლობას ამხანაგ ლენინს გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან და ღიად დაიკავოს ჩვენი პარტიის ბელადის, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადის პოსტი“[2].

ბოლშევიკების ყრილობის პარალელურად თბილისშივე მიმდინარეობდა მენშევიკების საოლქო ყრილობა. მენშევიკები შეეცადნენ ბოლშევიკების გავლენის შეჩერების ახალი ხერხისათვის მიემართათ. ბოლშევიკების ყრილობას მენშევიკებმა ორგანიზაციული გაერთიანება შესთავაზეს. ამ მანევრის მიზანი ნათელი იყო: მენშევიკებს სურდათ ბოლშევიკებთან გაერთიანების შემდეგ მასებში დაბნეულობა შეეტანათ, ერთიანობის საფარით თავიანთი შემთანხმებლური, რეფორმისტული ლოზუნგები გაეპარებინათ და, ამრიგად, მასები რევოლუციური გზიდან აეცდინათ.

ბოლშევიკების ყრილობამ ამ წინადადებას მტკიცე უარით უპასუხა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლშევიკებს არც იდეურად, არც ორგანიზაციულად საერთო არა აქვთ რა მენშევიკებთან. პირიქით, რევოლუციის გაღრმავების ბოლშევიკური ხაზი წარმოადგენს დაპირისპირებულს მენშევიკთა პარლამენტური პროგრამის მიმართ[3].

მიმდინარე მომენტის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა სტ. შაუმიანი. მან დაწვრილებით განიხილა ივლისის დღეების შემდეგ რუსეთში შექმნილი ვითარება, დაახასიათა კონტრრევოლუციისა და რევოლუციის ბანაკი, ანალიზი გაუკეთა რევოლუციის ძალებს და ხაზი გაუსვა კრიზისის მომწიფებას ახალი რევოლუცი-

---

[1] გაზ. „ბრძოლა“ № 19, „Кавказский рабочий“ № 168, 169, 1917 წ.

[2] Резолюции Кавказского краевого съезда РСДРП (большевиков) გვ. 16.

[3] გაზ. „ბრძოლა“ № 19, Резолюции кавказского краевого съезда РСДРП (большевиков), გვ. 14, № 15.

ისათვის. „დემოკრატიულმა თათბირმა, — ამბობდა იგი, — მჭევრმეტყველურად დაამტკიცა ობორონცების პოლიტიკის გაკოტრება, დემოკრატიის უმრავლესობა კოალიციის წინააღმდეგ წავიდა. წერეთელმა და კომპანიამ საჭირო მთავრობის შედგენა ვერ შესძლეს. ახლად შემდგარი მთავრობა ნდობასა და ყოველგვარ ავტორიტეტს მოკლებულია. წინასწარი „პარლამენტიც“, რომელიც მთავრობის დასაყრდნობ საფუძვლად შექმნეს, თავისთავად არავითარ ძალას არ წარმოადგენს. მთავრობა არ გვყავს. რევოლუციისათვის კი იგი საჭიროა“[1].

მოხსენების დასასრულს შაუმიანმა კავკასიელ ბოლშევიკებს მოუწოდა არ შეუშინდნენ არავითარ დაბრკოლებას, მედგრად გასწიონ წინ, იმ მიზნების განსახორციელებლად, რომელნიც თვით ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი, ხელთ იპყრან ძალაუფლება და მიიყვანონ რევოლუცია სრულ გამარჯვებამდე[2].

მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ყრილობა კარგად ხედავს, რომ ბურჟუაზია და მისი დამქაშები — კერენსკები და წერეთლები (ყოფილნი და ახლანდელნი) ეგრეთწოდებული სოციალისტი მინისტრები არ დასთმობენ უბრძოლველად თავიანთ პოზიციებს და რომ, მეორე მხრით, გარდა მეფის მთავრობის მემკვიდრეობისა, ისინი გვიტოვებენ ჩვენ რღვევისა და ანარქიის ახალ, მძიმე მემკვიდრეობას და შვიდი თვის განმავლობაში გამცემლური შემთანხმებლური პოლიტიკით გამოწვეული ხალხის მასების გულგატეხილობას. მაგრამ მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები არ უნდა შეჩერდნენ სიძნელეთა და მსხვერპლთა წინაშე და გაბედულად უნდა შეუდგნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ქვეყნისა და რევოლუციის ხსნას დაღუპვისაგან“[3].

ყრილობაზე აღინიშნა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა იმ დროს, როცა ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერი თავს აფარებს მის კალთას, როცა VI ყრილობამ გეზი შეიარაღებული აჯანყების გზით დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ აიღო, არის ნაბიჯი უკან და არათუ ხელს უწყობს, არამედ აფერხებს რევოლუციის განვითარებას.

---

[1] გაზ. „ბრძოლა“ № 10, 15 ოქტომბერი, 1917 წ.

[2] იქვე.

[3] Резолюции Кавказского краевого съезда РСДРП (большевиков), გვ. 4.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ნაციონალური საკითხის შესახებ.

როგორც ცნობილია, კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა ერთა თვითგამორკვევას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, მაგრამ კომუნისტებს ერთა თვითგამორკვევისა და მათი სახელმწიფებრივი გამოყოფის ლოზუნგი ყველა ვითარებისათვის მზა რეცეპტად და დოგმად როდი მიაჩნდათ. გამოყოფის საკითხი ყოველი ცალკე შემთხვევისათვის დამოუკიდებლად, ვითარების მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო. არ შეიძლებოდა ერთმანეთში აერიათ გამოყოფის უფლების აღიარებისა და ამა თუ იმ პირობებში გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი.

კონკრეტულ პირობებში ამიერკავკასიისათვის კომუნისტებს მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ გამოყოფა. მხედველობაში იღებდნენ რა საერთო განვითარებას, მუშათა მოძრაობის საერთო პირობებს, კომუნისტები მიუთითებდნენ, რომ ამიერკავკასიის ხალხებს თავიანთი ინტერესების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ რუს ხალხთან კავშირში, მისი ხელმძღვანელობით. პარტიის ეს წინასწარხედვა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ბრწყინვალედ დაადასტურა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ხალხები, შევიდნენ რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის სახით, ხოლო შემდეგ, როცა ამ ფედერაციამ თავისი ისტორიული როლი შეასრულა, ცალკეულ მოკავშირეთა რესპუბლიკების სახით, ხალხთა დიად ოჯახში აღორძინდნენ და აყვავდნენ, საბოლოოდ გადაწყვიტეს თავიანთი ნაციონალური ინტერესები.

მიუხედავად ნაციონალურ საკითხში VII (აპრილის) კონფერენციის პირდაპირი მითითებებისა, ყრილობის ზოგიერთი დელეგატი იცავდა მცდარ შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს დროებითი მთავრობის არსებობის პირობებში უმიზნოა ბრძოლა ნაციონალური საკითხის გადაჭრისათვის, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიამ უნდა მოიპოვოს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა ახალი ტერიტორიული ერთეულების დადგენით ეკონომიური ნიშნების საფუძველზე და სხვ.

ერთა თვითგამორკვევის კომუნისტური ლოზუნგის შესახებ ყრილობაზე ლაპარაკობდნენ სტ. შაუმიანი, ა. მიქოიანი და სხვ. აკრიტიკებდა რა ზოგიერთი დელეგატის მცდარ პოზიციას, შაუმიანი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ ისინი არ ითვალისწინებენ ნაციონალური საკითხის თეორიული დამუშავების დროს ამ ათი წლის მანძილზე მოპოვებულ მიღწევებს, რჩებიან იმავე თვალსაზ-

რისზე, რომელსაც ბოლშევიკების პროგრამა 1913 წლამდე ითვალისწინებდა. სტ. შაუმიანი მიუთითებდა, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლა კი არ უნდა შევანელოთ და გადავდოთ რევოლუციის გამარჯვებამდე, არამედ ვაიძულოთ დროებითი მთავრობა მიანიჭოს ერებს უფლება, თვით გადაწყვიტონ თავიანთი საკითხი. ფინლანდიამ როდი დაიცადა, ვიდრე რუსეთი ეტყოდა მას თვითგამორკვევის შესახებ, ასევე უკრაინამაც[1], — ამბობდა შაუმიანი.

სტ. შაუმიანმა გამოააშკარავა საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნის ანტიკომუნისტური ბუნება. ლენინმა ჯერ კიდევ 1913 წ. მოითხოვა, — აღნიშნავდა იგი, — ოლქების თვითმმართველობა შეცვლილიყო ოლქების ავტონომიით. ამჟამად თვითმმართველობა არ შეესაბამება პროლეტარიატის ინტერესებს, მოვლენებმა წინ გაუსწრეს ამ მოთხოვნას. ოლქის თვითმმართველობას არ აქვს კანონმდებლობის უფლება, იგი თავის ხელში აერთიანებს კულტურულ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ავტონომია განსხვავდება თვითმმართველობისაგან იმით, რომ მას ჰყავს სეიმი ფართო საკანონმდებლო უფლებით. ჩვენ უნდა ვიცნოთ ოლქის ავტონომია.

ეროვნულ საკითხზე მიღებული რეზოლუცია აღიარებდა კავკასიის ავტონომიას: „აღიარებს რა ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას მათი თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, ჩვენი პარტია მოითხოვს დროებითი მთავრობისაგან ამ უფლების დაუყოვნებლივ, აშკარად აღიარებას რუსეთში დასახლებული ყველა ერისათვის და მათს შორის კავკასიის ხალხებისათვისაც. ამასთან ერთად, ყრილობა აცხადებს, რომ ის კავკასიის ერებს არ ურჩევს არც გამოყოფას და არც ფედერატიულ სახელმწიფოთა შექმნას. პირიქით, ვიღებთ რა მხედველობაში ერთა და ტომთა სიჩვრელეს და მრავალრიცხოვნობას, და აგრეთვე, მათს ერთმანეთში არევას ჩვენს მხარეში, და, მეორე მხრით, ვითვალისწინებთ რა მუშათა მოძრაობის ერთიანობის ინტერესებს კავკასიაში, ჩვენ მოვუწოდებთ კავკასიის მთელ დემოკრატიას, განურჩევლად ეროვნებისა, უაღრესად მჭიდრო ერთობისა და დაახლოვებისაკენ“[2].

მიღებული რეზოლუციები დამფუძნებელი კრების, წინაპარლამენტში მონაწილეობაზე უარის შესახებ გამომდინარეობდნენ ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და

[1] გაზ. „Кавказский рабочий“ № 171, 12 ოქტომბერი, 1917 წ.

[2] Резолюции Кавказского краевого съезда (большевиков), გვ. 8.

კავკასიელ ბოლშევიკთა წინაშე სახავდნენ ახალ ამოცანებს რევოლუციის შემდგომი გაღრმავების საქმეში.

აგრარულ საკითხში ყრილობამ წამოაყენა მიწების ნაციონალიზაციის მოთხოვნა და წაახალისა გლეხთა დეპუტატების საბჭოების და საგლეხო კომიტეტების მიერ მიწების ორგანიზებულად ხელში ჩაგდება. ამავე დროს ყრილობამ საჭიროდ აღიარა ასეთი კომიტეტების შექმნის აუცილებლობა მთელს ამიერკავკასიაში.

არმიაში ბოლშევიკების მუშაობის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა გ. ნ. კორგანოვი, რომელმაც დაახასიათა ის დიდი გარდატეხა, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ კავკასიის არმიის შეგნებაში მოხდა. აღინიშნა, რომ ამიერკავკასიაში მთელი რიგი ნაწილები განწყობილი არიან ბოლშევიკურად, რომ რიგითი ჯარისკაცები ტოვებენ სხვა პარტიებსა და ბოლშევიკთა რიგებში ეწერებიან. მანვე ხაზი გაუსვა კავკასიის არმიის ოფიცრობის კონტრრევოლუციურ შემადგენლობას და არმიის სამხარეო საბჭოს შეთანხმებას კონტრრევოლუციურ სარდლობასთან.

ყრილობამ რსდმპ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები გამოაცხადა ერთ სამხარეო ორგანიზაციაში გაერთიანებულად. არჩეულ იქნა რსდმპ ბოლშევიკების კავკასიის საოლქო კომიტეტი[1]. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, ი. ფიოლეტოვი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი, გ. კორგანოვი, ს. ქავთარაძე, ნაზარეტიანი, კუზნეცოვი და სხვები.

კავკასიის ბოლშევიკების საოლქო ყრილობას ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში თვალსაჩინო როლი უჭირავს. ყრილობამ ორგანიზაციულად დააკავშირა ერთმანეთთან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები, მისცა მათ მოქმედების ნათელი პროგრამა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობდა, და შექმნა სამხარეო კომიტეტი, რომელიც ამიერიდან ხელმძღვანელობას გაუწევდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას ადგილებზე, უზრუნველყოფდა კონტაქტს მათ შორის და, ამრიგად, გააადვილებდა მებრძოლი მასების დარაზმვას ბოლშევიკური პარტიის დროშის გარშემო სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად.

---

[1] Резолюции Кавказского краевого съезда РСДРП (большевиков), გვ. 10.

* * *

ამიერკავკასიის ბოლშევიკები სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის მასების დარაზმვის საქმეში უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მუშა და ინტელიგენტ ახალგაზრდობას, ნერგავდნენ მათში ბოლშევიზმის იდეებს, ხელს უწყობდნენ მათ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაში, წარმართავდნენ მათ ბრძოლას ბოლშევიკური ლოზუნგებით.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ერთი ნაწილი (უფრო მეტად ინტელიგენცია) მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებით დაკმაყოფილდა. ამ ნაწილმა, ატარებდა რა შემთანხმებლური პარტიების გავლენას, რევოლუცია დამთავრებულად ჩასთვალა და მენშევიკურ ხელისუფლებას გვერდში ამოუდგა.

მაგრამ ახალგაზრდობის მეორე ნაწილი (მუშათა და ღარიბი გლეხობის წრიდან გამოსული) მალე მიხვდა, რომ რევოლუცია არ არის დამთავრებული, რომ არსებული ხელისუფლება ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებას ემსახურება.

ახალგაზრდობას შორის არსებული ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს დაუპირისპირდა. მათთვის უკვე შეუძლებელი შეიქნა ერთ ორგანიზაციულ ჩარჩოში არსებობა. ამიტომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წრეებში ჯერ კიდევ რევოლუციამდე არსებულმა განხეთქილებამ თანდათან მიიღო შეურიგებელი ხასიათი.

1917 წ. 26 მარტს თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის მარქსისტი მოწაფეების კავშირის მეორე კონფერენცია. იგი მენშევიკებმა სახელდახელოდ მოამზადეს. ამიერკავკასიის ბევრი ქალაქი აქ წარმოდგენილი არ ყოფილა. მიაღწიეს რა დელეგატთა თვითნებურ შერჩევას, მენშევიკებმა კონფერენციაზე გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. ბოლშევიკურად განწყობილმა ახალგაზრდებმა შეგნებულად თქვეს უარი კონფერენციაში მონაწილეობაზე და მას ბოიკოტი გამოუცხადეს.

„ამ კონფერენციაზე მოხდა საბოლოო გათიშვა ახალგაზრდა მენშევიკებსა და კომუნისტებს შორის, რასაც მოჰყვა მენშევიკების მთავრობის მიერ ახალგაზრდა ბოლშევიკების დევნა და შევიწროება“[1].

კომუნისტი ახალგაზრდობა თავიდანვე მტკიცედ დაადგა მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსისტებთან ორგანიზაციულად გათიშვამდე ამ წრეში გაერთიანებული

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ № 247, 23 ოქტომბერი, 1932 წ.

ბოლშევიკურად განწყობილი ახალგაზრდები ქუთაისიდან წერდნენ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“: „გულითადად გესალმებით თქვენ — მარქსიზმის მედგარ დამცველებს და ღრმად გვწამს, რომ თქვენი შეხედულებანი მიმდინარე მომენტზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება“.

კომუნისტური ახალგაზრდობა ამ დროს გატაცებით ადევნებდა თვალყურს, რუსეთის გმირი პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ. პროლეტარიატი კვლავ ემზადებოდა ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი შეჯახებისათვის. კომუნისტური ახალგაზრდობის წინაშე წამოიჭრა საკითხი — აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ამ მზადებაში. ეს კი პირველ რიგში მათ ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას მოითხოვდა. ამიერკავკასიაში კომკავშირული მოძრაობის ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ბ. ძნელაძე იგონებს: „ჩვენ ვღებულობდით მოსკოვის გაზეთებს. ამ გაზეთების გავრცელების საქმეში ჩვენი ახალგაზრდობა მხურვალე მონაწილეობას იღებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ახალგაზრდა წევრების წინაშე წამოიჭრა საკითხი ახალგაზრდათა კავშირის დაარსების შესახებ“[1].

როგორც ცნობილია, პარტიის VI ყრილობამ ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობის ორგანიზაციის საკითხზე და რეზოლუციაში „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“ მიუთითა მშრომელი ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის განვითარების შემდგომ გზებზე, ნათლად განსაზღვრა ახალგაზრდათა კავშირების ამოცანები[2].

ყრილობიდან დაბრუნებულმა დელეგატებმა ამიერკავკასიელ ბოლშევიკებს მოუთხრეს იმის შესახებ, თუ რა სერიოზული ყურადღება მიაქცია ყრილობამ ახალგაზრდობის ორგანიზაციის საქმეს ბოლშევიკების მეთაურობით. ამასთან დაკავშირებით გაჩაღდა ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის პრაქტიკული სამზადისი.

6 აგვისტოს „ბაკინსკი რაბოჩის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მოწოდება ახალგაზრდობისადმი[3]. ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი რევოლუციურ მუშა-ახალგაზრდობას მოუწოდებდა პროლეტარიატის ავანგარდული პარტიის — ბოლშევიკების გარშემო შემოკრებილიყო სოციალიზმისათვის ბრძოლაში[4].

---

[1] ბ. ძნელაძე, საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან.

[2] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში ნაწ. 1, თბილისი, 1954 წ., გვ. 200.

[3] „Бакинский рабочий“ № 36, 6 აგვისტო.

[4] იქვე.

ეს მოწოდება დაწერილი იყო ამხ. ს. შაუმიანის მიერ. მასვე ეკუთვნის ბაქოში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის დაარსების პირველი ინიციატივა. ბაქოელმა ბოლშევიკებმა საქალაქო კომიტეტის მითითების საფუძველზე მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობაში ფართო პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს. მუშა-ახალგაზრდებმა თანდათანობით იწყეს შემოკრება ბაქოს საქალაქო კომიტეტის გარშემო და გაფორმდნენ ორგანიზაციად. ძირითადად ესენი იყვნენ მოსწავლეები. ბაქოს ბოლშევიკები ინფორმირებული იყვნენ ახალგაზრდათა ორგანიზაციების შექმნის შესახებ თბილისში. ამხ. შაუმიანმა პირადად ინახულა ამ ორგანიზაციის მესვეურები. ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩამოყალიბება დაიწყო სამრეწველო რაიონებში, ფაბრიკა-ქარხნებში. ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია შემოდგომაზე შეიქმნა მბეჭდავ მუშა-ახალგაზრდობაში.

ახალგაზრდულ ორგანიზაციებში თავმოყრილი ჭაბუკები პარტიის დავალებების მხურვალე შემსრულებლები იყვნენ. ისინი ავრცელებდნენ ბოლშევიკურ მოწოდებებს, ეხმარებოდნენ გამომცემლობის საქმეში. საქალაქო სათათბიროს არჩევნებისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადარჩევების პერიოდში მუშა ახალგაზრდები წარმოადგენდნენ ბოლშევიკების ერთგულ თანაშემწეებს, სისხლსავსე აგიტატორებს. ბაქოს კომიტეტი ახალგაზრდულ ორგანიზაციებს სისტემატურად ეხმარებოდა და აწრთობდა მათ იდეურად, ჰქმნიდა რეზერვს პარტიის რიგების შევსებისათვის.

რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირის შექმნის ცდებს თბილისში ადგილი ჰქონდა აგვისტოში, ამ საკითხზე პარტიის VI ყრილობის რეზოლუციის მიღებისთანავე, მაგრამ იგი განხორციელდა სექტემბრის დასაწყისში. 1917 წლის 3 სექტემბერს ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში, სადაც მოთავსებული იყო ბოლშევიკების მესამე რაიონის პარტბიურო, ბოლშევიკების ინიციატივით მოწვეულ იქნა მუშა, ჯარისკაც და ინტელიგენტ ახალგაზრდობის კრება. ამ კრებაზე ჩაეყარა საფუძველი ლენინურ კომკავშირს საქართველოში. მაშინ მას ეწოდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია — „სპარტაკი"[1].

ამ დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა ორგანიზაციის წესდება, აირჩია დროებითი კომიტეტი და მოწოდებით მიმართა კავკასიის მშრომელებს[2].

---

[1] ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი" № 247. 23 ოქტომბერი, 1932 წ.

[2] „Кавказский рабочий" № 148, 13 სექტემბერი, 1917 წ.

ბოლშევიკური ახალგაზრდობის ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებაზე შექმნილმა დროებითმა კომიტეტმა თბილისის ბოლშევიკური ახალგაზრდობის შემოკრებისათვის ფართო სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა.

1917 წლის ნოემბერში ნაძალადევში შეიკრიბა მუშა ახალგაზრდობის კრება, რომელსაც ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ხელმძღვანელობდა ამხ. მ. ცხაკაია. კრებამ აირჩია კომიტეტი, მის შემადგენლობაში შევიდა ამხ. ბორის ძნელაძე, რომელიც შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში კომკავშირის მებრძოლი ხელმძღვანელი გახდა.

სპარტაკის ორგანიზაციები შეიქმნა თბილისის ყველა რაიონში, საქართველოს ქალაქებსა და სამაზრო კომიტეტებთან. განსაკუთრებით აქტიური მუშაობა გააჩაღეს ბოლშევიკმა ახალგაზრდებმა ქუთაისში, გურიაში, სამეგრელოში. 1917 წ. ნოემბერში სპარტაკელებმა ქუთაისში გამოსცეს გაზეთი „მესამე ინტერნაციონალი“ (შემდეგ ჟურნალად გადაკეთდა).

„სპარტაკი“ დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკების, ფედერალისტების, „ახალგაზრდა მარქსისტების“ და დაშნაკურ „მიუთუნის“ წინააღმდეგ. იგი რაზმავდა ახალგაზრდობას ბოლშევიკური პარტიის გარშემო, წარმოადგენდა მის საიმედო თანაშემწეს.

ბოლშევიკები სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციულ მშენებლობას, მათ იდეურ წრთობას. ხელმძღვანელი ბოლშევიკები შაუმიანი, მიქოიანი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე ეხმარებოდნენ სპარტაკელებს იდეურ-ორგანიზაციულ მუშაობაში.

ამიერკავკასიის ახალგაზრდული ორგანიზაციები აღტაცებით შეხვდნენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

* * *

კორნილოვშჩინის განადგურებას კონტრრევოლუციის ბანაკის განიარაღება არ მოჰყოლია. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა კვლავ გამალებით ამზადებდა რევოლუციის ძალებზე გადამწყვეტ შეტევას.

ამასთანავე მწიფდებოდნენ სოციალისტური რევოლუციის ობიექტური პირობები: სამეურნეო კრიზისი და ნგრევა კატასტრო-

ფულ ხასიათს იღებდა. იკეტებოდა ფაბრიკა-ქარხნები, მოიშალა ტრანსპორტი, კაპიტალისტები ეკონომიურ კორნილოვშჩინის გზას დაადგნენ და შიმშილის გაძვალტყავებული ხელით აპირებდნენ რევოლუციის წახრჩობას. გაიზარდა უმუშევრობა, შიმშილის აჩრდილი ჩამოწვა რუსეთში.

სამეურნეო კატასტროფამ კიდევ უფრო გააღრმავა ანტაგონიზმი კაპიტალისტურ ქალაქსა და მის მიერ ექსპლოატირებულ სოფელს შორის. მონოპოლისტურმა კაპიტალმა გააძლიერა დაწოლა სოფელზე და მისი ძარცვა. ექსპლოატაციის გაძლიერებამ სოფლად დააჩქარა გლეხობის სოციალური განფენება, კულაკებმა ხელი მოითბეს, ღარიბი გლეხობა ულუკმაპუროდ დარჩა.

მონოპოლისტური კაპიტალის გააფთრებულმა იერიშებმა მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესებზე კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა. ფაბრიკა-ქარხნებში გაიზარდა პროლეტარიატის საბრძოლო აქტიობა, რაც სექტემბერ-ოქტომბერში საგაფიცვო მოძრაობის ტალღის ახალი აზვავებით გამოიხატა. პეტროგრადისა და მოსკოვის პროლეტარებს, რომლებიც რევოლუციური ბრძოლის ავანგარდის როლს ასრულებდნენ, მხარი მისცეს ურალის, დონბასის, უკრაინის, ბაქოს პროლეტარებმა. ეს ძლევამოსილი პოლიტიკური გაფიცვები დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივი დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგით მიმდინარეობდა.

განმტკიცდა რევოლუციური საბრძოლო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას შორის.

კორნილოვშჩინის გაკვეთილებმა მშრომელი გლეხობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დროებითი მთავრობისა და მისი დამცველი პარტიების საქმიანობა რუსეთში ისევ მეფის ხელისუფლებას და მემამულეთა ბატონობას აღადგენდა. მშრომელი გლეხობა დარწმუნდა იმაშიც, რომ დაჩაგრული მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლი ერთადერთი ძალა არის პროლეტარიატი და მისი ავანგარდი ბოლშევიკური პარტია. გლეხობამ კიდევ მეტის რწმენითა და სიმტკიცით მოჰკიდა ხელი იარაღს მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სექტემბერ-ოქტომბერში გლეხობის რევოლუციური გამოსვლების ფორმა და ხასიათი მკვეთრად შეიცვალა, იგი ამაღლდა მემამულეებისა და ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ საერთო აჯანყების დონემდე.

ბოლშევიკურმა განწყობილებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი არმიაში. ჯარისკაცთა მასებმა ზურგი შეაქციეს შემთანხმებლურ პარ-

ტიებს და შემშიდროვდნენ ბოლშევიკების საბრძოლო დროშის გარშემო.

ამავე დროს მრავალეროვან რუსეთში გაიზარდა, გაფართოვდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ — ლოზუნგის გარშემო დაირაზმნენ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და შუაზიის მშრომელი მასები.

რუსეთის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის იერიშის მომზადება მიმდინარეობდა ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ზრდის ვითარებაში. გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ომის საშინელი შედეგები და მონოპოლისტური კაპიტალის ველური ექსპლოატაცია მუშათა კლასის შეუპოვარ წინააღმდეგობას აძლიერებდა. პოლიტიკური გაფიცვების რიცხვმა იმატა. პროლეტარიატის საბრძოლო აღმავლობით დაშინებულმა ევროპის მმართველმა წრეებმა გააძლიერეს რეპრესიები. პირველ რიგში მათ მიზნად დაისახეს საერთოევროპული რევოლუციური მოძრაობის წამყვანი ცენტრის — რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ძალების მოსპობა. ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის კაპიტალისტები არ აკლებდნენ ფულად დახმარებას დროებით მთავრობას, რომ ამ უკანასკნელს წაეხრჩო რევოლუცია. ამავე დროს, ბურჟუაზიის მმართველ წრეებში წარმოებდა ფარული გარიგებანი, რათა საჭიროების შემთხვევაში გერმანული ხიშტები რუსი პროლეტარების წინააღმდეგ მიემართათ.

თავის მხრივ რუსეთის ბურჟუაზია მთელ ძალ-ღონეს არ ზოგავდა რომ შეეკეთებინა მოშლილი სახელმწიფოებრივი მანქანა. იგი აწარმოებდა არმიის ძალთა გადაჯგუფებას, აძლიერებდა რეპრესიებს, ახალისებდა მილიციის კადრებს, სამხედრო-საველე სასამართლოებს ავალებდა მოეწყვიტათ პროლეტარული და ჯარისკაცული მასებიდან რევოლუციის მეთაურები... მაგრამ სახელმწიფოებრივი მანქანის წესრიგში მოყვანას მაინც ვერ ახერხებდა. პირიქით, სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის რიგების სწრაფი ზრდის ვითარებაში ბურჟუაზიის სამმართველო მექანიზმი სავსებით მოიშალა.

ამრიგად, რუსეთში მომწიფდა სოციალისტური რევოლუციის სიტუაცია. სახეზე იყო მისი ობიექტური და სუბიექტური პირობები. კომუნისტური პარტია, გენიალური ლენინი, გრძნობდნენ რა სიტუაციის მომწიფებას, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მასების იერიშების

მომზადებას და დღის წესრიგში დააყენეს პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყების საკითხი.

რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა თანაფარდობის ზუსტი ანალიზის საფუძველზე, ლენინი ასკვნიდა, რომ დადგა პროლეტარიატის გადამწყვეტი იერიშებისათვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი.

„აჯანყებას რომ წარმატება ჰქონდეს, იგი უნდა ეყრდნობოდეს არა შეთქმულებას, არა პარტიას, არამედ მოწინავე კლასს. ეს — ერთი. აჯანყება უნდა ეყრდნობოდეს ხალხის რევოლუციურ აღმავლობას. ეს — მეორე. აჯანყება უნდა ეყრდნობოდეს ისეთ გარდატეხის პუნქტს მზარდი რევოლუციის ისტორიაში, როცა ხალხის მოწინავე რიგების აქტიურობა უაღრესად დიდია, როცა უაღრესად ძლიერია მერყეობა მტრის რიგებში და რევოლუციის სუსტი, ორჭოფი გაუბედავი მეგობრების რიგებში. ეს—მესამე...“ „რაკი ეს პირობები არსებობს, აჯანყებისადმი, როგორც ხელოვნებისადმი, დამოკიდებულებაზე უარისთქმა ნიშნავს უღალატო მარქსიზმს, უღალატო რევოლუციას“ — წერდა ლენინი თავის ცნობილ წერილში ცენტრალური კომიტეტისადმი — „მარქსიზმი და აჯანყება“[1].

ლენინი მიმდინარე მომენტს ადარებდა ივლისის დღეებს და მიუთითებდა განსაკუთრებულ ხელსაყრელობაზე, რომელიც კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ შეიქმნა. რევოლუციისათვის ახლა — წერდა იგი „ჩვენს წინაშე ყველა ობიექტური წანამძღვარია საიმისოდ, რომ აჯანყებას წარმატება ექნება. ჩვენს წინაშეა მდგომარეობის განსაკუთრებული ხელსაყრელობა, როცა მხოლოდ ჩვენი გამარჯვება აჯანყებაში ბოლოს მოუღებს ხალხის მტანჯველ მერყეობას, ამ უსაშინელეს წამებას ქვეყნად; როცა მხოლოდ ჩვენი გამარჯვება აჯანყებაში ჩაფუშავს სეპარატული ზავის თამაშობიას რევოლუციის წინააღმდეგ, ჩაფუშავს იმით, რომ აშკარად წამოაყენებს უფრო სრულ, უფრო სამართლიან, უფრო ახლობელ ზავს, ზავს რევოლუციის სასარგებლოდ“[2].

კომუნისტურმა პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით წარმატებით შესძლო ამ ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენება. კომუნისტურმა პარტიამ, კამენევისა და ზინოვიევის გამცემლური საქმიანობის მიუხედავად, მოახერხა წარმატებით განეხორციელებინა აჯანყებისათვის სამზადისი და პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე დაეწყო გადამწყვეტი იერიშები ბურჟუაზიულ რუსეთზე. ეს მოხდა

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 6.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 9.

1917 წ. 25 ოქტომბერს. კომუნისტური პარტიის წინასწარგანჭვრეტა რევოლუციის გამარჯვებისათვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტის შესახებ ზუსტი აღმოჩნდა, რადგან იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიას ეყრდნობოდა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით პეტერბურგის პროლეტარიატი ძალაუფლებას დაეპატრონა. განხორციელდა დიდი სოციალისტური რევოლუცია.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იერიშის მომზადების პერიოდში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, VI პარტიული ყრილობისა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I საოლქო ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, შეუპოვრად ეწეოდნენ სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადებას.

ეს იყო პერიოდი, როცა ამიერკავკასიის შეძლებული კლასების ორგანო ოზაკომი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მხარდაჭერით აშკარად გადავიდა იერიშებზე რევოლუციის წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა მთელი ძალაუფლების ხელში აღებას და ბურჟუაზიულ-მემამულური დიქტატურის დამყარებას ამიერკავკასიაში.

შეძლებული კლასებისა და პარტიების ეს განზრახვა ნათლად გამომჟღავნდა ჯერ კიდევ კორნილოვშჩინის დღეებში გუბერნიების კომისრებისა და გუბერნიის რწმუნებულთა ყრილობაზე, რომელიც 1917 წლის 4 სექტემბერს შეიკრიბა თბილისში.

ყრილობის პირველ სხდომაზე პაპაჯანოვი, მიუთითებდა რა ამიერკავკასიაში შექმნილ რთულ ვითარებაზე, აღნიშნავდა, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ გაამართლეს მთავრობის იმედები, რომ მეტისმეტმა კოლეგიურობამ ამ ორგანოებში ამიერკავკასია საშინელ ანარქიამდე მიიყვანა. აქ პაპაჯანოვს, პირველ რიგში, იერიშები მიჰქონდა მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებზე, შეცდომად თვლიდა მათთვის ძალაუფლების გაყოფას. იგი წინადადებას იძლეოდა მთელი ძალაუფლება საგუბერნიო კომისრებისათვის გადაეცათ. ამავე დროს, იგი მოითხოვდა საგუბერნიო კომისრების არჩევითი წესის გაუქმებას და მათს დანიშვნას ცენტრიდან[1].

ბაქოს, თბილისის, ქუთაისის, ელიზავეტპოლის, ერევნის,

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, საქ. 13, გვ. 56.

ალექსანდროპოლის გუბერნიების, ყარსის, ბათუმის, ზაქათალის, ოლქების წარმომადგენლები ყრილობაზე თავიანთ გამოსვლებში ახასიათებდნენ რა ამიერკავკასიაში შეძლებული კლასებისათვის შექმნილ მძიმე ვითარებას, პაპაჯანოვის მსგავსად გამოსავალს „მტკიცე, განუყოფელი ხელისუფლების“ შექმნაში ხედავდნენ. ასეთ პირობებში დემოკრატულ საწყისებზე ადგილობრივი ხელისუფლების შექმნაზე არჩევნების სწორი სისტემის გამოყენებით ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო — აცხადებდა ყრილობაზე ოზაკომის რწმუნებული ერევნის გუბერნიაში პაპოვიანი[1]. რევოლუციის პირველ დღეებში აღმასრულებელი კომიტეტებისა და კომისარიატების კოლეგიალობა მიზანშეწონილი იყო, მაგრამ ამჟამად კოლეგიალობა ზედმეტია და მავნეა კიდეცო[2] — ამბობდა ელიზავეტპოლის გუბერნიის კომისარი ხასმამედოვი.

ყრილობის სტენოგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ხელისუფალნი კორნილოვშჩინის დღეებში ვარაუდობდნენ გაერეკათ საბჭოები და მისი აღმასრულებელი კომიტეტები, გაეძლიერებინათ სოფლებსა და ქალაქებში შეიარაღებული ძალები, გაეუქმებინათ არჩევითი წესი. ეს იქნებოდა მათი აზრით მხარეში შექმნილი „ანარქიისაგან თავის დაღწევის ყველაზე საუკეთესო საშუალება“[3]. ჩვენ გვახსოვს, რომ ყველაფერი ეს ოდნავადაც არ განსხვავდებოდა კორნილოვშჩინის პროგრამისაგან. 5 სექტემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა კიდეც დადგენილება გუბერნიებში უმაღლესი ხელისუფლების ერთპიროვნული ორგანოსათვის — გუბერნიის კომისრისათვის გადაცემისა და მათი დანიშვნის წესის შემოღების შესახებ. არჩევითი რჩებოდა მხოლოდ თანამდებობა სოფლის კომისრისა, რომელსაც სამაზრო კომისარი ამტკიცებდა[4]. აქვე მიღებული გადაწყვეტილებით ქალაქის მილიციის შენახვა დაეკისრა ქალაქის მოსახლეობას, სოფლისა — სოფლის მოსახლეობას[5].

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ოზაკომის ინიციატივით შეიქმნა ახალი სამხარეო ორგანო უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც ეწოდა „ანარქიასთან მებრძო-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, საქ. 13, გვ. 58.
[2] იქვე, გვ. 57.
[3] იქვე, გვ. 56—60.
[4] იქვე, გვ. 61.
[5] იქვე.

ლი კომიტეტი"[1]. ამის ნაშდვილ მიზანდასახულობას წარმოადგენდა ბრძოლა მუშათა და გლეხთა მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ და შეძლებული კლასების ბატონობის უზრუნველყოფა. მაგრამ ხელისუფლების აპარატის საერთო მოშლილობის პირობებში ვერც ამ კომიტეტმა, გარდა იმისა, რომ გააძლიერა რეპრესიები, ვერ შესძლო სოფლებსა და ქალაქებში მოძრაობის ჩახშობა. პირიქით, მუშათა საგაფიცვო პოლიტიკურმა ბრძოლამ უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. გლეხობამ მასობრივად მიჰყო ხელი მემამულეთა მიწების დატაცებას. ბოლშევიკური გავლენა ყოველდღიურად იზრდებოდა კავკასიის არმიაში.

ოზაკომი იძულებული გახდა ისევ შეეკრიბა საგუბერნიო კომისრები: 21 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა საგუბერნიო კომისრების საშხარეო ყრილობა, სადაც ჩხენკელი აღნიშნავდა მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას ამიერკავკასიაში და მოითხოვდა დაუყოვნებლივი ზომების მიღებას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. იგი რჩევას იძლეოდა „ანარქიასთან მებრძოლი კომიტეტი" გადაეკეთებინათ „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტად", აღეჭურვათ იგი ფართო რწმუნებით, შეექმნათ ასეთივე ორგანოები გუბერნიებში და გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადებინათ „ანარქიასთან" (ასე უწოდებდნენ ისინი სახალხო მოძრაობას)[2].

ყრილობაზე გუბერნიის კომისრებმა გადმოშალეს ამიერკავკასიის გუბერნიებში შექმნილი სავალალო მდგომარეობა: სურსათის უქონლობა და მასობრივი შიმშილობა, სრული უწესრიგობა ადგილობრივ ორგანოებში, საზოგადოების ბნელი ძალების—ქურდების, ავაზაკების, სპეკულანტების—თვითნებობა, სასურსათო არეულობანი, სომხებსა და თათრულ მოსახლეობას შორის ურთიერთობის მეტისმეტი გამწვავება და სხვ. ცხადია, ისინი სდუმდნენ, რომ მხარეში შექმნილი ასეთი ვითარება დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და მისი ფილიალის — ოზაკომის კონტრრევოლუციური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. მათ დამნაშავედ გამოჰყავდათ მშრომელი მასები, რომლებმაც თითქოს, რევოლუციის შემდეგ აიშვეს თავი, რადგან ვერ მოხერხდა ერთპიროვნული და მტკიცე ხელისუფლების შექმნა[3].

ყრილობაზე გუბერნიის კომისრებმა განსაკუთრებული იერიშები მიიტანეს კავკასიის არმიის წინააღმდეგ, სადაც ამ დროს ბოლ-

---

[1] საქ. სსრ ორსა. ფ. 723, ს. 428, გვ. 4.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 5, 6, 7, 8.

შევიკური განწყობილება ყველაზე ძძლავრი იყო. ისინი აღნიშნავდნენ, რომ არმია ერევა პოლიტიკაში. იგი აქეზებს ანარქიას (იგულისხმე რევოლუციური მოძრაობა — ა. ს.), რომ აუცილებელია დისლოკაციის შეცვლა და სხვ. კომისრები გამოვიდნენ აგრეთვე „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან შექმნის წინააღმდეგ. გუბერნიებში ჩვენ გვჭირია არა ორი ხელისუფლება, არამედ ერთი. ახლა მთელმა ძალაუფლებამ თავი ერთი პირის ხელში უნდა მოიყაროსო' — აცხადებდა ბაქოს გუბერნიის კომისარი ილუშკინი. ყრილობაზე ყველაზე დიდი იერიშები მიტანილ იქნა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ერევნის გუბერნიის კომისარი ვართანიანი არმიის დეზორგანიზაციის „დამნაშავედ“ თვლიდა ბოლშევიკებს, ლენინს და მოითხოვდა საგანგებო ღონისძიებებს ბოლშევიკური აგიტაციის აღსაკვეთად[2].

ამგვარად, შეძლებული კლასების ორგანოებს ამიერკავკასიაში უკვე აღარ შეეძლოთ მართვა ძველი მეთოდებით: სახელმწიფოებრივი მექანიზმი მოშლილი იყო, იგი ვეღარ მოქმედებდა. ასეთ პირობებში ბურჟუაზია და მემამულეები ნაბიჯს აშკარა დიქტატურისაკენ დგამდნენ. მაგრამ საზოგადოებრივი აღგზნების დონე იმდენად მაღალი იყო, რომ ბურჟუაზია ვერ ახერხებდა გადაედგა მისი არსებობისათვის ეს აუცილებელი ნაბიჯიც კი.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში ბაქოს პროლეტარიატის ორგანიზებული გაფიცვა წარმოადგენდა მრეწველი კაპიტალისტებისა და მათი სამხარეო ორგანოების მრისხანე გაფრთხილებას. ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ალავერდისა და მხარის სხვა მსხვილ საწარმოებში მუშათა კრებებზე და მიტინგებზე გამოჰქონდათ მთელი ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემის რეზოლუციები.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო ყრილობის დამთავრების შემდეგ სომხეთში გაემგზავრა ამხ. ს. შაუმიანი, რომელმაც ალექსანდროპოლში მუშათა და ჯარისკაცთა ხალხმრავალ მიტინგზე წაიკითხა მოხსენება დემოკრატიული თათბირისა და მიმდინარე მომენტის შესახებ. მიტინგზე მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია[3]. ამხ. შაუმიანმა შეკრიბა ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები და მისცა მათ კონკრეტული მითი-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 428, გვ. 5, 6.

[2] იქვე, გვ. 14.

[3] Л. М. Эльчибекян, Установление Советской Власти в Армении, Ереван, 1954 წ., გვ. 19.

თებანი, გაანაწილა ძალები ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლად და არმიაში სამუშაოდ. ბოლშევიკებს მან ამოცანად დაუსახა გაეჩაღებინათ მუშაობა საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევისათვის აგიტაციის დარგში და უზრუნველეყოთ საბჭოს დელეგატებად ბოლშევიკების არჩევა[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბრძოლო ამოცანას ამ პერიოდში წარმოადგენდა საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატთა არჩევნები. როგორც ცნობილია, შემთანხმებლურ პარტიებს სავსებით აკმაყოფილებდათ საბჭოების არსებული შემადგენლობა, რადგან იგი უზრუნველყოფდა მათს ბატონობას და საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევის წინააღმდეგი იყვნენ.

12 ოქტომბერს რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა პარტიულ ორგანიზაციას საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაზე დელეგატების არჩევნების შესახებ[2].

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ამ მომენტისათვის დიდი უმრავლესობა წვრილბურჟუაზიულ-შემთანხმებლურ პარტიებს ჰქონდათ მოპოვებული და იგი სრულებითაც არ გამოხატავდა ბაქოს რევოლუციური მასების განწყობილებას. საბჭოს ხელახალ არჩევნებს დაჟინებით მოითხოვდნენ ბაქოს მუშები და ჯარისკაცები.

15 ოქტომბერს შედგა ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გაფართოებული სხდომა საფაბრიკო-საქარხნო კომისიების მონაწილეობით (სწორედ ამ კომისიების მონაწილეობამ უზრუნველყო ბოლშევიკების გამარჯვება ამ სხდომაზე). დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხს შეადგენდა საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატების არჩევა. საბჭოს შემთანხმებელი დეპუტატები გაფართოებულ სხდომაზე ამ საკითხის განხილვის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ისინი მიუთითებდნენ, რომ გაფართოებული სხდომა არ არის უფლებამოსილი განიხილოს ეს საკითხი, რომ ეს მხოლოდ საბჭოს კომპეტენციას შეადგენს. შემთანხმებლებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ საბჭოს ქვორუმის შეკრება მიმდინარე მომენტში შეუძლებელი იყო და რომც შეკრებილიყო, ბოლშევიკები იქ თავისას ვერ გაიტანდნენ. ამიტომ მოითხოვდნენ ისინი საკითხის მოხსნას. მაგრამ კონფერენციამ არ დაუჭირა მხარი შემთანხმებლებს. საკითხი განი-

[1] „Кавказский рабочий" № 181, 24 ოქტომბერი, 1917 წ.

[2] „Кавказский рабочий" № 173, 1917 წ., „Бакинский рабочий". № 66.

ხილა და 284 ხმით 55-ის წინააღმდეგ მიიღო ს. შაუმიანის მიერ შეტანილი რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო შემდეგი:

„იღებს რა მხედველობაში 1) რომ სამი თვის ვადა, რომელიც საბჭოების პირველმა ყრილობამ დააწესა შემდეგი ყრილობის მოსაწვევად, დიდი ხანია უკვე გავიდა; 2) რომ ამჟამად ხელისუფლება იმყოფება კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში, რომელსაც რუსეთი დაღუპვამდე მიჰყავს; 3) რომ დამფუძნებელი კრების დაწესებულ ვადებში მოწვევისათვის იმ შემადგენლობით, რომელიც ხალხის ნებასურვილის ჭეშმარიტი გამომხატველი იქნება, აუცილებელია ხელიდან გამოვგლიჯოთ ძალაუფლება ხალხის მტრებს და თავის ხელში გადავცეთ ხალხს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სახით; 4) რომ დამფუძნებელი კრების მუშაობის დროს აუცილებელია საბჭოების ძლიერი ხელისუფლება, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე, რადგან იგი მხარს დაუჭერს დამფუძნებელი კრების რევოლუციურ ღონისძიებებს და მათს ცხოვრებაში გატარებას; — ქალაქ ბაქოს და მისი რაიონების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების გაფართოებულ საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება მიიღოს მონაწილეობა 20 ოქტომბრის საბჭოების ყრილობაზე და ამ ყრილობაზე გზავნის თავის დელეგატებს“[1].

ეს იყო ბოლშევიკების დიდი გამარჯვება, რაც ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური აქტივობის სწრაფი ზრდის შედეგს წარმოადგენდა. პროლეტარული მასების დაწოლის გამო შემთანხმებლები იძულებული შეიქმნენ ფაქტიურად მკვდარი საბჭოს ნაცვლად; ახალ არჩევნებამდე ეს გაფართოებული სხდომა სრულუფლებიან ორგანოდ ეცნოთ[2]. ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის გამოსვლები წარმოადგენდნენ შემთანხმებლური პოლიტიკის საბრალდებო აქტს.

საბჭოების II ყრილობის დროულად მოწვევის წინააღმდეგი იყვნენ თბილისელი მენშევიკები და ესერები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების 14 ოქტომბრის სხდომაზე, სადაც დიდი დავის შემდეგ დაისვა ყრილობისათვის დელეგატების არჩევის საკითხი, მენშევიკებმა გ. მახარაძემ, ზურაბოვმა, ესერმა ოპენიანსკიმ და სხვებმა გაილაშქრეს საბჭოების II ყრილობის ოქტომბერში მოწვევის წინააღმდეგ.

საბჭოს სხდომაზე ბოლშევიკმა დეპუტატებმა მკვეთრად გაილაშქრეს მენშევიკ-ესერთა თვალსაზრისის წინააღმდეგ და ცხად-

---

[1] Труды Азербайджанского филиала института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС, т. XII, 1948 г., გვ. 55.

[2] „Известия Бакинск. Совета“ № 162, „Бак. рабочий“ № 67.

ჰყვეს, რომ რევოლუციის ხსნის ერთადერთი საშუალება იქნებოდა მთელი ძალაუფლების გადასვლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში. ბოლშევიკმა დელეგატებმა მოითხოვეს საბჭოების ყრილობის მოწვევა დანიშნულ ვადისთვის, ამ საკითხზე შეიტანეს თავისი რეზოლუცია და წამოაყენეს თავიანთი კანდიდატები. მაგრამ მენშევიკურ-ესერულმა საბჭომ ხმის უმრავლესობით დაადგინა ყრილობის გადადება და დელეგატებად გაიყვანა მენშევიკები და ესერები (იდაშკინი, ერაძე, ნ. ელიავა, ალექსეევი, სეკავინი). ყრილობის დელეგატობის მხოლოდ კანდიდატებად არჩეულ იქნა 2 ბოლშევიკი[1]. ამავე საბჭოზე რეზოლუციების სახით განხილულ იქნა ის დირექტივები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ დელეგატებს. ბოლშევიკების მიერ შეტანილ რეზოლუციას მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ ხმა მისცა 82-მა წევრმა, მენშევიკებისა და ესერების რეზოლუციას — მთელ ძალაუფლების „სოციალისტური და დემოკრატიული ელემენტებისათვის“ გადაცემის შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო ამ შემადგენლობიდან, უმრავლესობამ — 115-მა კაცმა[2].

II ყრილობისათვის დელეგატების არჩევნების კამპანია ფართოდ გააჩაღეს სომხეთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა. ეს კამპანია მათ ფართოდ გამოიყენეს აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების შემთანხმებლური პოლიტიკის მხილება-დაგმობისათვის. მაგალითად, 15 ოქტომბერს ალექსანდროპოლის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ბოლშევიკებმა შეიტანეს ორი წინადადება: მოეხდინათ ადგილობრივი საბჭოს გადარჩევა, რადგან ახლანდელი საბჭო არ უპასუხებდა სომეხი მშრომელების განწყობილებას და მიეღოთ მონაწილეობა საბჭოების II ყრილობის დელეგატების არჩევნებში. ორივე ეს წინადადება ბოლშევიკების დაჟინებითი მოთხოვნით, რასაც მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მასები, მიღებულ იქნა. ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენელმა ამხ. გარიბჯანიანმა სრულად დაახასიათა ის მავნე, რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკა, რომელსაც ადგილობრივი საბჭო ადგა. საბჭოს დროებითი ხელმძღვანელობა, მის ახალ არჩევნებამდე დაეცვალა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიურ

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5 ს. 13, გვ. 44—46.

[2] იქვე, გვ. 46.

მუშაკს პ. არევაძეს. არჩეულ იქნა დელეგატები II ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ამავე პერიოდში ჩაატარეს ფართო სამზადისი კავკასიის მხარისა და ფრონტის სამხედრო პარტიული ორგანიზაციების ყრილობის მოსაწვევად.

ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა კავკასიის პირველ საოლქო ყრილობაზე შექმნილი პარტიული სამხედრო ორგანიზაციების დროებითი საოლქო ბიურო, რომელმაც 13 ოქტომბერს კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებსა და პარტიულ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ყრილობის მუშაობაში და ყოველმხრივ მზად ყოფილიყვნენ რევოლუციური იერიშებისათვის.

„რეკავს რევოლუციის უკანასკნელი საათი და ამიტომაც არმიის ჯარისკაცებს, სოფლის პროლეტარებს ევალებათ მტკიცედ მოუჭირონ ხელი შაშხანას, შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები, გვერდში ამოუდგნენ მუშათა რიგებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშის ქვეშ. ყრილობა ორგანიზაციის მძლავრი საშუალებაა: ფრონტისა და მხარის სამხედრო ნაწილებიდან ჩვენი პარტიის წევრთა ყრილობა საფუძველს ჩაუყრის არმიის მტკიცე პარტიულ ორგანიზაციას, გახდება რევოლუციის მძლავრი დასაყრდენი"[2]. — ნათქვამი იყო მოწოდებაში.

ოქტომბრის მეორე ნახევარში ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელობა, როგორც ვნახეთ, ბოლშევიკების ხელში გადავიდა. საბჭოს შემადგენლობის დიდი ნაწილი, მართალია, ისევ შემთანხმებლურ პოლიტიკას იზიარებდა, მაგრამ საბჭოს ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას, ახორციელებდა რა ბაქოს პროლეტარიატის ნება-სურვილს, ამიერიდან შეეძლო ეს ორგანო პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტის გზით წარემართა და მოემზადებინა ნიადაგი მთელი ხელისუფლების ასაღებად.

ბოლშევიკური საბჭოს ხელში „იზვესტია" მებრძოლი რევოლუციური გაზეთი გახდა. გაზეთი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეს, 24 ოქტომბერს თავის ფურცლებზე წერდა:

„დამონებული ჯარისკაცების, მატროსებისა და მუშების მთელი თანაგრძნობა, მთელი სიმპათიები საბჭოს მხარეზეა. ...მთელი ძალა-

---

[1] А. М. Эльчибекян. Установление Советской Власти в Армении, გვ. 19.

[2] „Бакинский рабочий" № 172, 1917 წ.

უფლება უნდა გადავიდეს საბჭოების — ხალხის უდიდესი უმრავლესობის ორგანოების ხელში"[1].

ბაქოს ბოლშევიკებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მომზადებული ყავდათ იმისათვის, რომ მას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორე დღესვე ეცნო პეტროგრადის ახალი პროლეტარული ხელისუფლება და ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის პირველი მეკვლე ყოფილიყო.

---

[1] „Известия Вак. совета" № 169, 1917

თ ა ვ ი IV

ამიერკავკასიის მშრომელი მასების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში

ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხი ხელისუფლების საკითხია. თებერვლის რევოლუციამ ეს თავისებურად გადაწყვიტა, რადგან ქვეყანას მოევლინა ორი ხელისუფლება. „რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, მეორე ეტაპზე გადასვლაში, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს"[1], — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, რომელიც რევოლუციის ახალი ეტაპის გამარჯვებას უზრუნველყოფდა. გეგმაში ნათლად იყო ნაჩვენები რევოლუციური ძალების მთავარი შეტევის მიმართულება და სოციალურ ფრონტზე მასების შესაფერისი განლაგების სქემა.

შეტევის მთავარი მიზანი იყო რუსეთის იმპერიალისტური მთავრობისათვის ძალაუფლების წართმევა და ახალი, სოციალისტური წყობილების დამყარება — საბჭოების ხელისუფლების გზით.

სტრატეგიულ გეგმას შეესაბამებოდა ძალთა შემდეგი განლაგება: მოძრაობის ძირითადი ძალა პროლეტარიატი, უახლოესი რეზერვი ღარიბი გლეხობა, პროლეტარიატი, როგორც რევოლუციის ჰეგემონი, თავის გარშემო იკრებს რუსეთის ყველა ხალხის რევოლუციურ ძალებს და მიმართავს მათ სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად. მოძრაობის ლოზუნგი — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!".

სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო პოლიტიკური

[1] ვ. ი. ლენინი, თხს., ტ. 24, გვ. 4.

არმიის შექმნა, რადგანაც ასეთი არმიის გარეშე, საერთოდ, შეუძლებელია სახალხო რევოლუციის გამარჯვება.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ჰყავდა თავისი პოლიტიკური არმია, რომელიც მიზნად ისახავდა ცარიზმის დამხობას. ამ მიზნის განხორციელების შემდეგ მან თავისი შესაძლებლობანი ამოწურა. მაშასადამე, ახალი არმიის შექმნისათვის საჭირო იყო ძალთა გადაჯგუფება, ახალი პოლიტიკური არმიის შექმნა.

რა ძალები ქმნიდნენ სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკურ არმიას?

ბურჟუაზიული წყობილების დამხობით ყველაზე მეტად დაინტერესებული კლასი იყო პროლეტარიატი, რომელიც ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდიდა და რომელსაც ისტორიამ კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალისტური წყობილების შექმნის როლი დააკისრა. მაშასადამე, პოლიტიკური არმიის ჰეგემონი, მისი ძირითადი ბირთვი პროლეტარიატი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო პროლეტარიატი როდი იყო დაინტერესებული რევოლუციის ბოლომდე მიყვანით. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მემამულეებს შეუნარჩუნა მიწები, პოლიტიკური პრივილეგიები. ღარიბი გლეხობა კვლავ უმიწაწყლოდ დარჩა და ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდიდა. მაშასადამე, პროლეტარიატის პირდაპირი მოკავშირე სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში იყო უღარიბესი გლეხობა. პროლეტარიატს თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა იგი, ამასთანავე, უნდა მიეღწია კულაკობის იზოლაციისათვის, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციისათვის, რადგანაც პირველი (კულაკობა) აღარ იყო დაინტერესებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გაღრმავებით. ხოლო მეორე — (საშუალო ფენა) ჯერ კიდევ მერყეობდა, ეშინოდა რა თავისი წვრილი საკუთრების დაკარგვისა. სოციალისტური რევოლუციის პირდაპირ რეზერვებს წარმოადგენდნენ აგრეთვე სხვა ქვეყნების პროლეტარიატის, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლა, ხოლო არაპირდაპირ რეზერვებს — გაბატონებულ კლასებს შორის არსებული წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები და მსოფლიო ომი, რომელიც ამ წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების უკიდურესი გამწვავების შედეგად დაიწყო.

ყველა არმიას ჰყავს თავისი შტაბი, რომელიც წარმოადგენს არმიის ტვინს. იგი წარმართავს ტაქტიკურ ოპერაციებს სტრატეგი-

ული გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ასეთი შტაბი პოლიტიკური არმიისათვის, ყველაზე ფართო, ყველაზე მასობრივი არმიისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო.

ერთადერთი პარტია, რომელიც პროლეტარიატის მოწინავე, ორგანიზებულ რაზმს წარმოადგენს და მისი კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, არის კომუნისტური პარტია. იგი შეიარაღებულია მოწინავე რევოლუციური თეორიით — მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ყოველმხრივ დაინტერესებულია წარუძღვეს წინ პროლეტარიატს, მიიტანოს ეერიში ბურჟუაზიის ხელისუფლებაზე, დაამხოს იგი და შექმნას ახალი სახელმწიფო წყობილება, სოციალისტური წყობილება. მაშასადამე, პოლიტიკური არმიის მებრძოლი შტაბი კომუნისტური პარტია უნდა ყოფილიყო.

კომუნისტურ პარტიას არ შეეძლო მასების რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობა გაეზიარებინა მენშევიკებისა და ესერებისათვის, ვინაიდან ისინი შემთანხმებლები იყვნენ. ბურჟუაზიული მთავრობის დასაყრდენს იმ პერიოდში წარმოადგენდნენ შემთანხმებლები, სწორედ ისინი ქადაგებდნენ ბურჟუაზიასთან ზავის, მასთან თანამშრომლობის პოლიტიკას. კომუნისტურ პარტიას მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლური პოზიციის სისტემატური მხილებით, მათთან შეურიგებელი ბრძოლით მასებისაგან მათი იზოლაციისათვის უნდა მიეღწია.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველ დღეებში რეაქციისა და რევოლუციის ძალთა თანაფარდობა ჯერ კიდევ არ იყო პროლეტარიატის სასარგებლოდ. პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას როდი ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი. კომუნისტური პარტიის ამოცანას შეადგენდა ამ მოძრაობაში ორგანიზებულობის შეტანა, მისი გაფორმება ყველაზე უფრო შესაფერი, მასების დამპყრობი ლოზუნგით. კომუნისტური პარტია მასების წინაშე გამოვიდა ლოზუნგით — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, რადგანაც სწორედ საბჭოები წარმოადგენენ იმ ძირითად საორგანიზაციო ბერკეტს, რომელსაც შეეძლო გაეადვილებინა მენშევიკებისა და ესერების იზოლაციის საქმე და მშრომელთა მილიონი მასები მიეყვანა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე.

მაგრამ სახალხო რევოლუციის გამარჯვებისათვის საკმარისი როდი იყო მარტოოდენ პარტიული ლოზუნგების სისწორე, საჭირო იყო კიდევ ერთი აუცილებელი პირობა, სახელდობრ, ის, რომ თვით მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ ამ ლოზუნგების სისწორეში. პოლიტიკური არმიის ფორმირებისათვის შეუძლებელია ძალაზე, დეკრეტებზე, განკარგულებებზე დაყრდნობა. აქ

ძირითადია პარტიის პოლიტიკის სწორი შეხამება მასების მოთხოვნილებებთან, მასების დარწმუნება პარტიის ლოზუნგის სისწორეში, მისი განხორციელების აუცილებლობაში. ამიტომაც საჭირო იყო პოლიტიკური არმიისათვის მიეცათ შესვენების პერიოდი, როცა იგი შესძლებდა გათვითცნობიერებას, მტკიცედ დარწმუნდებოდა ბოლშევიკური ლოზუნგის სიმართლეში, და ამ ლოზუნგს დროშად გაიხდიდა.

პოლიტიკურ არმიას თავისი ფორმირების პროცესში უნდა შეექმნა შეიარაღებული რაზმი, რადგან რევოლუციის გამარჯვებისათვის მორალურ უპირატესობასთან ერთად აუცილებელი იყო შეიარაღებული ძალა. ასეთი რაზმი პოლიტიკური არმიის ხელში უნდა ყოფილიყო წითელი გვარდია — მოწინავე მუშათა შეიარაღებული ჯგუფები. ასეთ ძალად შეიძლება გამოყენებულიყო აგრეთვე მთავრობის არმიაც, რომლის ძირითადი მასა ფარაჯაგადაცმული მუშებისა და გლეხებისაგან შედგებოდა და თავისი რევოლუციური სულისკვეთება გამოამჟღავნა თებერვლის რევოლუციის გადამწყვეტ დღეებში. ამიტომ პოლიტიკური მუშაობა ჯარში, კომუნისტური ლოზუნგების განუწყვეტელი პროპაგანდა და თანდათანობითი დარწმუნების მეთოდით ძლიერი დამკვრელი მუშტის შექმნა რევოლუციის განვითარების მიმდინარე ეტაპზე იყო კომუნისტური პარტიის გადაუდებელი ამოცანა.

პოლიტიკური არმიის ლენინურ-სტალინური მოძღვრება მთლიანად გამომდინარეობდა მარქსიზმის ყოვლისმძლე თეორიიდან და წარმოადგენდა მის ბრწყინვალე განვითარებას, იგი მთლიანად ეყრდნობოდა მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების, მისი სრული გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ხელმძღვანელობდა რა ლენინური სტრატეგიით, კომუნისტური პარტია აპრილიდან ოქტომბრამდე შეუსვენებლივ ქმნიდა პოლიტიკურ არმიას.

„...1917 წლის მარტში — აღნიშნავს ი. ბ. სტალინი — ბოლშევიკებს არ ჰყოლიათ, და არც შეიძლება ჰყოლოდათ მზა პოლიტიკური არმია. ასეთ არმიას ბოლშევიკები მხოლოდ ქმნიდნენ (და ბოლოს კიდეც შექმნეს იგი 1917 წ. ოქტომბრისათვის) კლასთა ბრძოლისა და შეტაკებების მსვლელობაში 1917 წ. აპრილიდან ოქტომბრამდე, ჰქმნიდნენ მას აპრილის მანიფესტაციითაც, ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებითაც, სარაიონო და საერთო-საქალაქო თვითმმართველობების არჩევნებითაც, კორნილოვშჩინასთან ბრძოლითაც და საბჭოების დაპყრობითაც“[1].

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 435.

პოლიტიკური არმიის მომზადებას 1917 წ. აპრილიდან ოქტომბრამდე ძირითადად ორი პერიოდი ახასიათებდა. პირველი — აპრილი — ივლისი. ეს იყო მშვიდობიანი პერიოდი, როცა ხდებოდა მასების გათვითცნობიერება, კომუნისტური პარტიის ლოზუნგის სისწორის შემოწმება. ხელისუფლების უსისხლო დაპყრობისათვის ბრძოლა. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა—აპრილის მანიფესტაციამ, ივნისის დემონსტრაციამ, 3—5 ივლისს მუშათა დემონსტრაციის დახვრეტამ უდიდესი როლი ითამაშეს პოლიტიკური არმიის ზრდისა და თვისობრივი დაწმენდის საქმეში. ივლისის დემონსტრაცია უკვე იქცა გარდამტეხ პუნქტად სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის ფორმირების პროცესში.

მეორე პერიოდი იყო ივლისი — ოქტომბერი. ივლისის შემდეგ შეიქმნა სრულიად ახალი ვითარება. ბურჟუაზიული მთავრობის კონტრშეტევაზე გადმოსვლამ პროლეტარიატი და მის გარშემო შეკრებილი ძალები აიძულეს ბურჟუაზიული მთავრობის დასამხობად კურსი შეიარაღებული ბრძოლისაკენ აეღოთ. ახალ ვითარებასთან დაკავშირებით ახალი ტაქტიკური ხაზი კომუნისტურმა პარტიამ გამოიმუშავა პარტიის VI ყრილობაზე, რომელმაც კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ აიღო.

შეჯამებულია რა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის კომუნისტური პარტიის გმირული ბრძოლა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წლისთავის თეზისებში ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებისათვის ბრძოლის მსვლელობაში კომუნისტების პარტია მარტო ხელმძღვანელობდა მშრომელთა მასებს, ამსხვრევდა რა საზიზღარი კაპიტულანტების — ტროცკისტების, ზინოვიეველებისა და რევოლუციის სხვა შტრეიკბრეხერების ყველა ცდას — გადაეცდინათ პარტია ლენინური გზიდან. კაპიტალიზმის ბედი რუსეთში იმ გარემოებამ გადაწყვიტა, რომ პარტიამ ერთიან მძლავრ რევოლუციურ ნაკადად გააერთიანა საერთო დემოკრატიული ბრძოლა მშვიდობისათვის, გლეხთა დემოკრატიული მოძრაობა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისათვის ისე, რომ მემამულეთა მიწა გლეხებს გადასცემოდა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. რაც შეეხება შემთანხმებელ, წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, ყველა მათგანმა (მენშევიკებმა, ესერებმა, ანარქისტებმა) რევოლუციის მსვლე-

ლობაში თავი გამოიჩარაევეს, როგორც ანტიხალხურმა პარტიებმა, რომლებიც ისწრაფვოდნენ კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ"[1].

ემყარებოდა რა მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერულ თეორიას, სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიულმა გეგმამ ბრწყინვალედ გაუძღვა ისტორიის გამოცდას. ეს გეგმა 1917 წლის ოქტომბერში დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

გამოვდივართ რა სოციალისტური რევოლუციის ლენინური სტრატეგიული გეგმიდან, წინამდებარე თავში ჩვენ მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადების პროცესი ამიერკავკასიაში, გვეჩვენებინა ამ არმიის მთავარი მამოძრავებელი ძალების, — მუშათა კლასის, მისი მოკავშირე ღარიბი გლეხობის და კავკასიის არმიის რევოლუციური ბრძოლა, მათი სოციალისტური შეგნების მომწიფების პროცესი, რასაც როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამიერკავკასიაში ზოგიერთი თავისებურებანი ახასიათებდა.

1. ამიერკავკასიის მუშათა კლასი ოქტომბრის გზაზე

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. ფაბრიკა-ქარხნები ისევ კაპიტალისტების ხელში დარჩა. მოგებას დახარბებულმა მრეწველებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ექსპლოატაცია, 1917 წელს ომისაგან გამოწვეულმა სამეურნეო ნგრევამ თავი უფრო მეტად იჩინა. დაიკეტა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა და ქუჩაში ულუკმაპუროდ ასეული ათასი მუშა დარჩა. ცხოვრება გაძვირდა და რეალური ხელფასი მკვეთრად შემცირდა. ამას თან დაერთო რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი კაპიტალისტების საბოტაჟი.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა კაპიტალისტების ინტერესებს იცავდა. იგი ფარულად აქეზებდა ეკონომიურ კონტრრევოლუციას. განაგრძობდა რა დანაშაულებრივ ომს, ქვეყანას გარდუვალი კატასტროფისაკენ მიაქანებდა. ამავე დროს, ეწინააღმდეგებოდა რა წარმოებაზე და განაწილებაზე მუშათა კონტროლს, ხელს

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953), გვ. 18—19.

უწყობდა მსხვილ კაპიტალისტებს რევოლუცია შიმშილის გაძვალტყავებული ხელით წაეხრჩოთ. სოციალისტი მინისტრები კოალიციურ მთავრობაში მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესების სხვადასხვა პროექტს აცხობდნენ, მაგრამ მათ განხორციელება არ ეწერათ. მენშევიკურ-ესერული საბჭოები კი, წარმოადგენდნენ რა ბურჟუაზიული მთავრობის მაჩანჩალებს, მრეწველთა საბოტაჟის მხოლოდ გაკიცხვით კმაყოფილდებოდნენ. სამეურნეო ნგრევა ღრმავდებოდა, მუშათა მდგომარეობა უარესდებოდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ არც ამიერკავკასიის მუშათა კლასის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარა რაიმე გარდატეხა უკეთესობისაკენ, პირიქით, კიდევ უფრო გაღრმავდა კრიზისი, სიძვირემ იმატა და ცხოვრება გაუარესდა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი მუშათა საკითხში არავითარი ღონისძიების გატარებას არ აპირებდა. ისევ რჩებოდა ხანგრძლივი სამუშაო დღე და მათხოვრული ხელფასი. ნავთის მრეწველებმა და ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებმა მეფის ხელისუფლების დამხობით გამოწვეული პირველი შიში ადვილად მოინელეს და ისევ ძველებური მეთოდებით მიჰყვეს ხელი მუშების ექსპლოატაციას.

მარტის თვეში ამიერკავკასიის პროლეტარიატმა ხელისუფლების ორგანოების წინაშე უკვე კატეგორიულად დააყენა სამუშაო დღის შემცირების საკითხი. 24 მარტს ბაქოს ნავთის სარეწებში ჩატარდა მუშათა მიტინგები, სადაც გამოტანილ იქნა დადგენილება 8 საათიანი სამუშაო დღის დაუყოვნებლივ დაწესების შესახებ. ბაქოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭო და აღმასკომი იძულებული შეიქნენ მუშათა მოთხოვნებისათვის ყურადღება მიექციათ. საბჭოს მენშევიკ-ესერი ხელმძღვანელები, ამავე დროს, შიშით იყურებოდნენ ბურჟუაზიისაკენ და ცდილობდნენ იგი არ გაეღიზიანებიათ. ამის შედეგი იყო სამუშაო დროის საკითხზე საბჭოს დადგენილების გაუბედავი და ბურჟუაზიასთან შემარიგებლური ტონი. ეს დადგენილება მუშათა სამუშაო დროის განსაზღვრის საკითხის განხილვას ანდობდა კომისიებს, რომლებიც მრეწველთა და საბჭოს თანასწორი წარმომადგენლობით უნდა შექმნილიყო. საბჭო ამავე დროს მუშათა კლასს ურჩევდა გაფიცვებისაგან თავი შეეკავებინა[1]. კომისია ჩამოყალიბდა არა საბჭოსთან, არამედ აღმასრულებელ კომიტეტთან და მასში შეყვანილ იქნენ მენშევიკები და ესერები, რომელთაც მრეწველთა წარმომადგენლებთან საერთო ენა ადვილად გამონახეს.

[1] „Известия Вак. Совета".

ბაქოს მრეწველებმა კი ამ დროისათვის მოასწრეს შეექმნათ თავიანთი მჭიდრო და ერთსულოვანი ორგანიზაცია, რომელმაც გადასწყვიტა მუშებისათვის არ დაეთმო და შეუპოვრად დაეცვა კაპიტალისტთა ინტერესები. მრეწველთა წარმომადგენლები კომისიის სხდომაზე წინ აღუდგნენ 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას. „ვიღებთ რა მხედველობაში, — ნათქვამი იყო მრეწველთა რეზოლუციაში, — რომ ომის ვითარებაში მოქალაქეთა ღონისძიება მიმართული უნდა იყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოო ძალთა განვითარებისაკენ და რომ სამუშაო დროის შემცირების საკითხი შეეხება არა მარტო მუშებსა და მრეწველებს, არამედ ქვეყნის მთელ მოსახლეობასაც, ბაქოს მრეწველები ფიქრობენ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა გადაიდოს მის განხილვამდე საკანონმდებლო წესით“[1]. მრეწველები რომ სამუშაო დროის ძველი ფარგლებში დატოვებას მოითხოვდნენ და მას „ქვეყნის საერთო ინტერესებით“ ასაბუთებდნენ, იმედოვნებდნენ ბაქოს ობორონცული პარტიების მხარდაჭერაზე, რადგან ეს პარტიები იმპერიალისტური ომის ბოლომდე მიყვანის მომხრენი იყვნენ.

ისინი არც მოტყუვდნენ. ბაქოს მენშევიკურ-ესერულ საბჭოში მრეწველთა ჯიუტობის გამო მხოლოდ ბოლშევიკებმა ასტეხეს განგაში. მენშევიკმა და ესერმა დეპუტატებმა კი ხმის უმრავლესობით საბჭოზე გაიტანეს თავიანთი წინადადება, რომელიც ბაქოს პროლეტარიატს ურჩევდა არ გამოეცხადებინა გაფიცვა. საბჭო თავის მოწოდებაში წერდა: რომ იგი „არ წამოეგება იმ ხაფანგზე, რომელსაც ასე მოხერხებულად უწყობენ მრეწველები. გაფიცვას არ გამოაცხადებს, არამედ კონფლიქტის სახელმწიფოებრივი გზით გადაწყვეტისათვის იბრძოლებს... გაფიცვა ახლა სასარგებლოა მსხვილი ნავთისმრეწველებისა და გემთმფლობელებისათვის, ამიტომ საერთო პაროლია — გაფიცვა არ უნდა მოხდეს“[2].

საბჭოს მიერ აქ ყველაფერი შებრუნებული იყო: იგი ატყუებდა მუშებს, რომ გაფიცვა მრეწველებს მოუტანდა სარგებლობას და არა მუშებს. მუშებს კი ავალებდა ეთმინათ და ელოდნათ საკითხის სახელმწიფოებრივი წესით, ე. ი. დროებითი მთავრობის კანონებით გადაწყვეტისათვის. ეს ხომ ამაო ლოდინი იყო!

მაგრამ ბაქოს პროლეტარიატს კლასობრივი ბრძოლის ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდა. იგი შემთანხმებლების მოწოდებას ყურს არ უგდებდა და დაჟინებით მოითხოვდა 8 საათიანი სამუშაო

---

[1] „Известия Бакинского Совета“.

[2] „Известия Бак. Совета“.

დროის დაუყოვნებლივ დაწესებას და მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებას. ნავთის სარეწებსა და ქალაქის მსხვილ საწარმოებში მუშათა მიტინგებზე გამოტანილი დადგენილებანი საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტს აიძულებდნენ გადაედგათ ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები. აპრილის შუა რიცხვებში საბჭოსა და აღმასკომის სხდომებზე ისევ განხილულ იქნა საკითხი სამუშაო დღის შემცირების შესახებ და აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება: 1-ლი მაისიდან 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესების შესახებ.

ამ დადგენილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გაზ. „იზვესტია“ ბაქოს პროლეტარიატს ულოცავდა გამარჯვებას[1], მაგრამ ეს გამარჯვება მეტად საეჭვო იყო. საქმე ის არის, რომ დადგენილება აღიარებდა 8 საათიან სამუშაო დღეს მხოლოდ „პრინციპში“, ამავე დროს იგი ნებას რთავდა სამხედრო დანიშნულებისა და „პირველი მოთხოვნილების“ საგნებზე მომუშავე ფაბრიკა-ქარხნებს ზედმეტი საათების მუშაობა დაეწესებინათ. ამასთანავე მრეწველებსა და მუშებს შორის კონფლიქტის მოგვარება მინდობილი ჰქონდათ ე. წ. მომრიგებელ კამერებს, რომელთაც ბურჟუაზიული მმართველი ორგანოების პირობებში არავითარი ძალა არ გააჩნიათ.

8 საათიანი სამუშაო დღის დაუყოვნებლივ შემოღების საკითხი საბჭოს წინაშე დააყენეს თბილისის პროლეტარებმა. თბილისის მენშევიკურ-ესერული საბჭო ყოველმხრივ აჭიანურებდა ამ საკითხის გადაწყვეტას. „პრინციპში“ მენშევიკები, რა თქმა უნდა, 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესების მომხრენი იყვნენ, რადგან რევოლუციამდე, ეს მათი ერთ-ერთი საპროგრამო მოთხოვნა იყო, მაგრამ ახლა, მხედველობაში იღებდნენ რა „მომენტის სერიოზულობას“. მხარს უჭერდნენ არა მუშებს, არამედ წარმოებათა მეპატრონეებს. საბჭოზე და აღმასრულებელ კომიტეტზე არა ერთხელ გაირჩა ეს საკითხი. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში ნება-დართულ იქნა კიდეც 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება (ტრამვაი, სტამბები და სხვ.). საბჭომ 19 აპრილის დადგენილებით ფორმალურად აღიარა 8 საათიანი სამუშაო დღე. ეს აღიარება საბჭოზე თბილისის პროლეტარიატის ზემოქმედების შედეგი იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ფორმალურ აღიარებას“ ფაქტიურად არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია. „მომენტის სერიოზულობის“ საბაბით ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები „ზედმეტი საათების“ სისტემას მიმართავდნენ ორმაგი ანაზღაურების გარეშე და სამუშაო საათების ხანგრძლივობა ისევ ძველებური რჩებოდა.

---

[1] „Известия Бак. Совета“ № 14, 17 აპრილი, 1917 წ.

1917 წ. 21 მაისს თბილისში გაიხსნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობა, სადაც მუშათა საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდა მენშევიკი ნ. რამიშვილი. მან ზოგადად ილაპარაკა 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების საჭიროების შესახებ, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარების ღონისძიებებზე არაფერი სთქვა. ყრილობამ მუშათა საკითხზე მიიღო რამიშვილის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, სადაც, საერთოდ, აღიარებული იყო 8 საათიანი სამუშაო დღის აუცილებლობა, მაგრამ, აღნიშნული იყო მისი პრაქტიკული განუხორციელებლობის მოტივიც: „იღებს რა მხედველობაში ომიანობის დროის პირობებს, სიეზდს შესაძლებლად მიაჩნია ზედმეტი მუშაობა თავდაცვაზე მომუშავე საწარმოო დაწესებულებებში, სადაც ეს ადგილობრივ პირობათა გამო აღიარებული იქნება აუცილებელ საჭიროებადო“[1] — ნაოქვამი იყო ამ რეზოლუციაში.

ყრილობის 261 დელეგატიდან დიდი უმრავლესობა მენშევიკები და ესერები იყვნენ. სწორედ ამიტომ ისინი იოლად ახერხებდნენ გაეტანათ შემთანხმებლური რეზოლუციები.

ბოლშევიკებმა, მიუხედავად იმისა, რომ ყრილობაზე რამდენიმე დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილი, მუშათა საკითხში შემთანხმებლური პოლიტიკა მკაცრად დაჰგმეს და წამოაყენეს მუშათა საკითხის გადაწყვეტის ლენინური ლოზუნგები. ბოლშევიკური ფრაქციის დაჟინებითი მოთხოვნით ყრილობაზე მოსმენილ იქნა საკითხი წარმოებასა და პროდუქტების განაწილებაზე მუშათა საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების შესახებ. მუშათა კონტროლის შემოღების ლოზუნგს მენშევიკ-ესერული ლიდერები მტრულად შეხვდნენ და ხმის უმრავლესობით უარყვეს ამ საკითხზე წარმოდგენილი ბოლშევიკური რეზოლუცია[2].

მეწარმეთა და მუშათა შორის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ უებარ საშუალებად მენშევიკებს ე. წ. მომრიგებელი კამერები მიაჩნდათ. ნ. ჟორდანია ჯერ კიდევ 18 მარტს ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე ამბობდა: „რაც შეეხება მუშათა საკითხს, მისი გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებამდე უნდა მივანდოთ მომრიგებელ კამერებსო“.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობამ თავის რეზოლუციაში იმავე საკითხზე აღნიშნა: „შრომის ფასის გასადიდებლად მუშათა და მრეწველთა შორის შესაძლებელ კონფლიქტთა

---

[1] გაზ. „ერთობა“ № 63, 4 ივლისი, 1917 წ.

[2] გ. ბაჰაპურიძე, საბჭ. ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, გვ. 109.

მოსაწესრიგებლად სიეზდი გამოსთქვამს მომრიგებელ კამერათა შემოღების საჭიროებას მუშათა და მრეწველთა ორგანიზაციების მხრით თანასწორ წარმომადგენლობით"[1]

რატომ სჭიროდათ მენშევიკებს მომრიგებელი კამერები?

ცნობილია, რომ მენშევიკები მუშათა კლასის მიმართ ფარისეველური სიტყვების მიღმა კაპიტალისტების საქმეს აკეთებდნენ. ისინი ფართო გასაქანს აძლევდნენ კაპიტალისტების „კერძო ინიციატივას", ხელს უწყობდნენ ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერებას, მის მიერ მრეწველობის საკომანდო პუნქტების დაპყრობას.

მენშევიკების ბურჟუაზიულ პოლიტიკას ნ. რამიშვილი შემდეგნაირად ამართლებდა: „ჩვენ ძალაუნებურად უნდა გვეკეთებინა ბურჟუაზიული დემოკრატიის საქმე... ის მთავრობა, რომელიც ივიწყებს ობიექტურ პირობებს, აკეთებს რეაქციის საქმეს. ამიტომ ჩვენი მიზანი ზომიერი და შეკვეცილი იყო. ჩვენ ამის შემდეგ აღარ ვაღრმავებთ რევოლუციასო"[2].

მენშევიკები ხედავდნენ, რომ მუშათა კლასი პირველი გამაბრუებელი შთაბეჭდილებიდან თანდათანობით ერკვეოდა, თავის მდგომარეობას უფიქრდებოდა და ხედავდა, რომ მის ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გამოფხიზლებული მუშები ერთსულოვნად აყენებდნენ მოთხოვნებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გაფიცვები თანდათან მასობრივი ხდებოდა.

მენშევიკები იმასაც ხედავდნენ, რომ კაპიტალისტები თავისი ნებით არაფერს დათმობდნენ. საჭირო იყო კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ერთგვარი შეთანხმების მიღწევა, გარდუვალი კონფლიქტების ერთგვარი შერბილება და წარმოების შეჩერების თავიდან აცილება. ნ. რამიშვილი იმავე ყრილობაზე ამბობდა: „რეალური ხელფასი ეცემა, შრომასა და კაპიტალს შორის ხშირად ხდება კონფლიქტი, რომელიც უნდა მოაწესრიგოს მომრიგებელმა კამერებმა და მათვე უნდა შეებრძოლონ მუშების უორგანიზაციო გამოსვლასო"[3].

მართლაც, მენშევიკების ინიციატივით წარმოებებში დაიწყო

---

[1] გაზ. „ერთობა" № 63, 4 ივნისი, 1917 წ.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფონდი 2, მენშევიკების მერვე ყრილობის ოქმები.

[3] გაზ. „ერთობა" № 62, 3 ივნისი, 1917 წ.

შომრიგებელ კამერათა შექმნა. მენშევიკებმა მოახერხეს მუშათა მხრიდან კამერებში თავიანთი მომხრეები აერჩიათ.

იცავდნენ თუ არა კამერები მუშების ინტერესებს, ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე სერიოზული გავლენა?

თუ მუშათა მოთხოვნა რადიკალური იყო და მეწარმეთა ინტერესების შელახვას იწვევდა, მეპატრონეები ასეთ გადაწყვეტილებას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ, საწარმოებს თვითნებურად კეტავდნენ და მუშებს ულუკმაპუროდ ტოვებდნენ. ამას თვით მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ აღიარებდა, „რას ფიქრობენ ჩვენი ხაზეინები, — წერდა იგი, — ისინი მხოლოდ თავიანთ ჯიბეს უწევენ ანგარიშს, ამას იქით არაფერს ხედავენ, არც თავიანთ მოსამსახურეების დახმარებაზე იწუხებენ თავს და არც მომენტის მნიშვნელობაზე. ეს რომ ასეა, იქედან ჩანს, რომ გამოცხადდა თუ არა კამერების დადგენილება მოსამსახურეების ჯამაგირის მიმატების შესახებ, ხაზეინებმა დაიწყეს სისტემატურად მათი დათხოვნა. ზოგი ითხოვს ორს, ზოგი სამს, ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის. ასე რომ ამ მოვლენამ ჭუთაისში მასიური ხასიათი მიიღო. ის სცილდება ეკონომიურ ფარგლებს და გადადის პოლიტიკურ სფეროში“[1].

მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილება უყურადღებოდ დატოვეს, მაგალითად, თბილისის იარალოვის ქარხნის მეპატრონეებმა, ხოლო ადელხანოვის, ტოლესა და თაიროვის მექარხნეებმა უარი განაცხადეს მომრიგებელი კამერისათვის გასარჩევად გადაეცათ მუშებთან მომხდარი კონფლიქტი.

მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილება ხშირად მუშების ინტერესთა საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, ამიტომ მუშები სამართლიანად ამბობდნენ უარს მის შესრულებაზე. მაგ., რესტორნების მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვასთან დაკავშირებით მომრიგებელ კამერაში მიღებული გადაწყვეტილება გაფიცულებმა არ იცნეს, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება რესტორნების მეპატრონეთა ინტერესებს იცავდა.

19 მაისს თბილისში დაარსდა ცენტრალური მომრიგებელი კამერა, რომელმაც იმთავითვე დაიწყო ვაჭრული პოლიტიკის გატარება. აქ მუშები ვერასოდეს ვერ პოულობდნენ მხარდაჭერას, წარმოების მეპატრონენი ყოველთვის ახერხებდნენ თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ აღძრული საჩივრები.

ამრიგად, მომრიგებელმა კამერებმა ამიერკავკასიაში, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილეს მუშათა კლასი. კამერებში მენშევიკურ-

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ № 76, 1917 წ.

ესერული საბჭოების ზეგავლენით და წარმოების მეპატრონეთა სიჯიუტის გამო საკითხი ან ჭიანურდებოდა დაუსრულებლად, ან წყდებოდა ნავთის მრეწველთა და მეფაბრიკეთა სასარგებლოდ. კამერებმა პროლეტარიატის ნდობა დაჰკარგეს. მუშათა კლასი იძულებული იყო ისევ ბრძოლის ნაცადი იარაღისათვის — გაფიცვებისათვის მიემართა. ამიერკავკასიის მთელ რიგ წარმოებაში მაისის თვიდან დაიწყო მუშათა გაფიცვები.

აღმასრულებელი კომიტეტის მხარდაჭერით გათამამებული მრეწველები ხშირ შემთხვევაში ლოკაუტის პოლიტიკას მიმართავდნენ. ნუხის აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის მფლობელებმა მუშათა მოთხოვნების საპირისპიროდ დაჰკეტეს წარმოება და 3 ათასამდე მუშა უმუშევარი და ულუკმაპუროდ დასტოვეს[1].

12 მაისს მუშათა დეპუტატების სამხარეო საბჭომ მიიღო ბაქოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფროლოვის დეპეშა ქალაქში მუშებსა და მრეწველებს შორის კონფლიქტის გამწვავების შესახებ. „განწყობილება მეტისმეტად საგანგაშოა, და მოსალოდნელია მდგომარეობის უფრო გამწვავებაო“ — ჩიოდა ამ დეპეშაში ფროლოვი[2].

სამხარეო ორგანომ ეს საკითხი სპეციალურ სხდომაზე დააყენა. შემთანხმებლებმა საკითხი იმით გადაწყვიტეს, რომ თხოვნით მიმართეს ოზაკომს დაენიშნა ბაქოში სპეციალური კომისარი „შრომასა და კაპიტალს შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად“ და ასეთის კანდიდატად წარადგინეს მენშევიკი ისიდორე რამიშვილი[3].

ი. რამიშვილის პოზიცია ბაქოს პროლეტარიატის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტის საქმეში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ანტი პროლეტარული იყო.

* * *

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ეკონომიური პროგრამის ერთ-ერთ ძირითად საკითხს, წარმოებისა და პროდუქტების განაწილებაზე მუშათა კონტროლის დაწესება წარმოადგენდა.

კომუნისტური პარტიის ეს მოთხოვნა შექმნილი ვითარებით იყო ნაკარნახევი. ომის გამანადგურებელმა შედეგებმა მასები გააღატაკა. დროებითი მთავრობა ნგრევისა და შიმშილის სალიკვიდა-

---

[1] „Известия мусульманского комитета“ № 112.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 41 ს. აღწ. 1, საქ. 125, გვ. 20.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 41 ს. 125, გვ. 20.

ციოდ არაფერს არ აკეთებდა. მუშათა კლასის წინაშე იდგა არჩევანი: ან კაპიტალისტების ნებაზე მიშვება, რასაც უმუშევრობა და შიმშილი მოყვებოდა, ან წარმოებისა და განაწილების საქმეში აქტიური ჩარევა, კაპიტალისტთა თვითნებობის ალაგმვა და საკუთარი ინიციატივით ნგრევისა და შიმშილის თავიდან აცილება. „...არა ვინმეს მოუთმენლობა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — არა ვინმეს პროპაგანდა, არამედ ობიექტური პირობები, მთელი კულტურის ეს არნახული კრახი, — აი რა გვაიძულებს გადავიდეთ წარმოებისა და განაწილების მიმართ, ბანკებისა, ფაბრიკებისა და სხვათა მიმართ კონტროლზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უამისოდ ათეულ მილიონობით ადამიანს აუცილებელი დაღუპვა მოელის“[1].

ანარქიულ, უსისტემო კაპიტალისტურ მეურნეობას მუშათა კონტროლის სახით უპირისპირდებოდა საზოგადოებრივი კონტროლი, ხალხის სასარგებლოდ წარმოების ორგანიზაცია და მოწესრიგება. ეს იყო პროლეტარიატის მიერ მრეწველობის საკომანდო პუნქტების ხელში აღების პირველი ნაბიჯი.

მუშათა კონტროლის ძირითად ამოცანას, როცა კაპიტალისტები ეკონომიური კორნილოვშჩინის მეთოდებს მიმართავდნენ, წარმოადგენდა მუშათა რევოლუციური თაოსნობის ყოველმხრივი გაშლა, მრეწველობის, როგორც ბაზის უვნებლად შემონახვა პროლეტარული სახელმწიფოსათვის. ეკისრებოდა რა სოციალისტური რევოლუციით განახლებული ქვეყნის ბატონ-პატრონის როლი, მუშათა კლასს აქედანვე უნდა დაეცვა მრეწველობა გაჩანაგებისაგან, კაპიტალისტების დამანგრეველი საქმიანობისაგან. ამასთანავე, მუშათა კონტროლს წარმოებაზე ბოლშევიკური პარტია უყურებდა როგორც თავისებურ სკოლას, რომლის გავლაც პროლეტარიატს საშუალებას მისცემდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე წარმოების დამოუკიდებელ სამეურნეო მართვას შედგომოდა. მუშათა კონტროლისათვის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლასთან იყო გადაჯაჭვული. ეს საკითხი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, ყოველთვის ისმოდა პროლეტარიატის დიქტატურის გვერდით და მასთან ერთად. ამგვარად, ეკონომიკაში ბოლშევიკური პარტიის პროგრამული მოთხოვნა განუყოფელი იყო მის პოლიტიკურ მიზანდასახულობასთან.

პეტროგრადის პროლეტარიატმა მაისის თვიდან განახორციელა მუშათა კონტროლი ზოგიერთ წარმოებებში. საარტილერიო უწყე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 532.

ბის 12 უმსხვილეს წარმოებაში უკვე დაწესდა მუშათა კონტროლი. მუშებმა მოითხოვეს 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის ნორმირება, ყველა მათი ორგანიზაციის ცნობა და სხვ.

მუშათა კონტროლი შემოღებულ იქნა პეტროგრადის, მოსკოვის, ივანოვოს, დონბასის, ხარკოვის და ქვეყნის მთელ რიგ საწარმოებში. პროლეტარიატის შეგნებულობის ზრდასთან ერთად, სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის გზაზე, იზრდებოდა კონტროლიც. ზოგ წარმოებაში მუშები გამოდიოდნენ არა პასიური მეთვალყურეობის როლში, არამედ აქტიურად ერეოდნენ საწარმოო და საფინანსო-ტექნიკურ საკითხებში, ზღუდავდნენ კაპიტალისტების თვითნებობას წარმოებასა და განაწილებაზე. მაგრამ ეს იშვიათი, ერთეული შემთხვევები იყო. მთელს მრეწველობაზე ნამდვილი კონტროლის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მუშათა კლასს რომ ასეთი კონტროლის შესაძლებლობა ჰქონოდა, იგი ძალაუფლების ბატონ-პატრონიც უნდა ყოფილიყო.

მუშათა კონტროლის შემოღებისათვის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიური ბრძოლა გააჩაღა ამიერკავკასიის პროლეტარიატმა. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობაზე ბოლშევიკი დელეგატები მ. ცხაკაია, ს. ქავთარაძე, აკრიტიკებდნენ რა მენშევიკ-ესერების შემარიგებლურ პოლიტიკას კაპიტალისტებთან, მომრიგებელი კამერების უილაჯობას, მოითხოვდნენ მუშათა კონტროლის შემოღებას, ასაბუთებდნენ მის აუცილებლობას წარმოების თანამედროვე ანარქიის მოწესრიგებისა და მრეწველთა თვითნებობის ალაგმვისათვის.

მენშევიკები მუშათა კონტროლის შემოღების წინააღმდეგი იყვნენ. ცნობილია, რომ დროებით მთავრობაში შესული „სოციალისტი“ მინისტრები თავის გამოსვლებში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მუშათა კლასი არაა მომზადებული კონტროლის გატარებისათვის, რომ კონტროლი წარმოებაში ანარქიამდე მიგვიყვანსო. „თქვენ ანგრევთ მრეწველობას, თქვენ კონტროლის დროშის ქვეშ ატარებთ ქარხნების მართვას, თქვენ ქმნით ქაოსს და ანარქიას და ამით წარმოებაში აძლიერებთ საერთო ნგრევასო“[1] — ამბობდნენ ისინი და ცდილობდნენ მუშათა კონტროლისათვის დაეპირისპირებინათ წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლი. ცხადია, სახელმწიფო კონტროლს, როცა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა მჭიდრო

[1] Труды II Всероссийского съезда советов народного хозяйства, д. 336.

კავშირში იყო კაპიტალისტებთან, მუშათა სასარგებლოდ არავითარი ღონისძიების გატარება არ შეეძლო.

ამიერკავკასიელი მენშევიკები მათ რუს თანამოძმეებს არ ღალატობდნენ. პირველ სამხარეო ყრილობაზე ნ. რამიშვილი ამტკიცებდა: „ცალკე მუშების მიერ კონტროლის დაწესება შეუძლებელია. წარმოების ხელში ჩაგდება ანარქიას გამოიწვევს, ეს ნიშნავს თითქოს სოციალიზმს ვანხორციელებდეთ, რაც შეუძლებელია დღევანდელ პირობებში. არ უნდა ვიკვებებოდეთ ილუზიებით — ვითომ ჩვენ შევსძლებთ სოციალური რევოლუციის დაწყებას მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში, კაპიტალიზმი მძვინვარებს“[1]. ამავე დროს იგი ამტკიცებდა, რომ მუშათა კონტროლი მეწარმეთა მხრივ ლოკაუტს გამოიწვევს, მუშებს მოუხდებათ თვით გაუძღვენ წარმოებას, მათ კი საამისო ძალა არ შესწევთო[2]. წარმოებაზე მუშათა კონტროლს მენშევიკები „პოლიტიკურ სპეკულაციას“, „დეკრეტულ სოციალიზმს“ უწოდებდნენ და ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მისი განხორციელებისათვის.

მუშათა კონტროლს ნავთობის მოპოვების საქმეში ენიჭებოდა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ნავთის მრეწველები ოვითნებობდნენ, ხელს უწყობდნენ ანარქიის გაღრმავებას, რევოლუციისადმი პროტესტის ნიშნად ან სტოვებდნენ სარეწებს, ან განგებ აუარესებდნენ მუშათა მდგომარეობას, ითხოვდნენ და ქუჩაში ჰყრიდნენ მებრძოლ კადრებს. პროლეტარიატის ამოცანას შეადგენდა დაეცვა ნავთის მრეწველობა ასეთი საბოტაჟნიკებისაგან. არ დაეშვა პროდუქციის შემცირება, ამავე დროს იძულებული გაეხადა მრეწველები გაეწიათ ანგარიში მუშებისათვის, გაეუმჯობესებინათ მათი ეკონომიურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გააჩაღა დაუღალავი პროპაგანდა სარეწებზე კონტროლის დასაწესებლად. ამ მხრივ საუკეთესო საშუალებად იქცა ის სასარეწო-საქარხნო კომისიები, რომლებიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშებმა შექმნეს არჩევითს საფუძველზე. კომისიები ბაქოს სარეწებსა და მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში შეიქმნა უკვე აპრილ-მაისის თვეში. კომისიებმა შექმნეს თავიანთი საქალაქო ორგანო ბაქოს საფაბრიკო-საქარხნო კომისიების თათბირის სახით. იგი სისტემატურად იკრიბებოდა და გაბედულად, შეუპოვრად მსჯელობდა წარმოების საკითხებზე და ხშირად

---

[1] გაზ. „ერთობა“ № 74, 17 ივნისი.

[2] იქვე.

აღწევდა იმასაც, რომ დადგენილება ნავთის მრეწველებისათვის სავალდებულო გაეხადა.

1917 წლის ზაფხულისათვის მუშათა კონტროლი განხორციელდა ბაქოს მთელ რიგ უმსხვილეს სარეწებსა და ფაბრიკა-ქარხნებში. სასარეწო-საქარხნო კომისიები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ალ. ჯაფარიძე, ფიოლეტოვი და სხვები არა მარტო ამხელდნენ კაპიტალისტების თვითნებობას, არამედ ხშირად აძევებდნენ მუშებისათვის საძულველ ადმინისტრატორებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს და თავად იღებდნენ ხელში წარმოების მართვის საქმეს.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ბრძოლას, რომელიც სასარეწო-საქარხნო კომისიებმა გააჩაღეს ნავთის მრეწველებსა და მუშათა შორის კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად. მაშინ, როდესაც აღმასრულებელი კომიტეტი შემთანხმებლური პარტიების კარნახით განგებ აჭიანურებდა კოლხელშეკრულების დადებას და თავისი მშიშრული, მერყეევი, ნავთის მრეწველების წინაშე თავმოხრის პოლიტიკით ღალატობდა ბაქოს პროლეტარიატის ინტერესებს, ბაქოს სასარეწო-საქარხნო კომისიები წარმოადგენდნენ ერთადერთ არჩევით ორგანოებს მუშათა შორის, რომლებიც თანმიმდევრულად და შეუპოვრობით იცავდნენ ბაქოს მუშათა კლასის მოთხოვნებს და ლაპარაკობდნენ ბაქოს მთელი პროლეტარიატის სახელით, იძულებულს ხდიდნენ მრეწველებს, შემთანხმებლურ საბჭოებს, ოზაკომს დაეჩქარებინათ ხელშეკრულების დადება. ეს კომისიები რაზმავდნენ ბაქოს მუშათა კლასს ერთ მთლიან კოლექტივად, მის გამოსვლებს აძლევდნენ ორგანიზებულ სახეს; თავს აცხადებდნენ საგაფიცვო კომიტეტად და სხვ.

წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებისათვის ასევე ენერგიული ბრძოლა გაჩაღდა საქართველოსა და სომხეთში. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშებმა შესძლეს მუშათა კონტროლი დაეწესებინათ — თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ტყიბულის, ალავერდის საწარმოებში. ამ საწარმოებში მუშათა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები უდიდეს როლს ასრულებდნენ. ისინი წარმოადგენდნენ ბოლშევიკების დასაყრდენ პუნქტებს მუშათა მასების დარაზმვის საქმეში. ისინი აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ მეწარმეთა თვითნებობას, სათავეში ედგნენ მუშათა მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეს, იცავდნენ შრომის დისციპლინას და სხვ. ეს იყო კომუნისტების მიერ წამოწყებული უდიდესი მნიშვნელობის პრაქტიკული საქმე, რომელიც თავის შედეგებს იძლეოდა არა მარტო იმით, რომ კაპიტალისტების თვითნებობას წინ ეღობებოდა და მუშათა ცხოვრების კოლექტიური რეგულაციის საშუალებებს იძ-

ლეოდა, არამედ იმითაც, რომ მუშათა შორის ნერგავდა კაპიტალის ფრონტისადმი კოლექტიურ-ორგანიზებული შეტევის უტყუარი წარმატების რწმენას.

* * *

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში, ისე როგორც რუსეთში, წარმოება-დაწესებულებებში ფართო მოძრაობა გაიშალა პროფესიული ორგანიზაციების აღდგენა-შექმნისათვის. რეაქციისა და ომის წლებში დათრგუნვილი პროფესიული მოძრაობა 1917 წლის მარტიდან კვლავ იღებს მასობრივ სახეს. მარტის თვეში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში დაიწყო პროფკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალიბება. თბილისში პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის პირველი თაოსნობა მბეჭდავ მუშებს ეკუთვნით. 12 მარტს თბილისში ჩატარდა მბეჭდავ მუშათა კრება, რომელსაც 400 კაცი ესწრებოდა. მუშებმა გამოთქვეს რწმენა, რომ „მხოლოდ გაერთიანებული ძალებით მუშათა კლასი გაათავისუფლებს თავის მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობას თანამედროვე საზოგადოებაში და მიაღწევს ხალხების სრულ განთავისუფლებას კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან"[1]. კრებამ აირჩია კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა პროფესიული საზოგადოების წესდების გამომუშავება. მალე ასეთი ხასიათის კრებები თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის წარმოებებსა და დაწესებულებებშიც ჩატარდა.

მაისში თბილისში მოეწყო პროფკავშირის ცენტრალური ბიურო, აგვისტოს დასაწყისისათვის მარტო თბილისში არსებობდა 31 პროფკავშირი, რომელიც 30 ათას მუშას აერთიანებდა.

მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ პროფესიულ ორგანიზაციებში თავიანთი გავლენა უზრუნველეყოთ. პირველ ხანებში მათ ეს შეძლეს. მოკალათდნენ რა პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში, მენშევიკებმა განიზრახეს გადაექციათ იგი „ნეიტრალურ" ორგანიზაციად, ხელიდან გამოეცალათ მისთვის მუშათა კლასის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის რეალური საშუალებანი. პროფკავშირების მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანად მენშევიკები სატარიფო ხელშეკრულებების მოგვარებას, მომრიგებელი კამერების მუშაობას და სხვა წვრილმან საკითხებს თვლიდნენ. მენშევიკები პროფკავშირული მოძრაობის საუკეთესო

[1] „Кавказский рабочий" № 3, 13 მარტი.

მაგალითს ხედავდნენ ინგლისურ ტრედუნიონებში, რომლებიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ყველაზე მეტად არიან დახელოვნებული მუშათა კლასის მოტყუების საქმეში.

კავკასიის პროფკავშირთა სამხარეო კონფერენციაზე. რომელიც მიმდინარეობდა თბილისში 26—31 დეკემბერს, მენშევიკი ა. ხელაძე ამბობდა: „ინგლისის ტრედუნიონები შეიძლება დავსახოთ კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშების მოხერხებული ბრძოლის მაგალითის მაჩვენებლად. ისინი გაფიცვას ძლიერ იშვიათად მიმართავენ, მაგრამ მიზანს მაინც აღწევენო“[1].

ბაქოში პროფესიული მოძრაობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ფართოდ გაიშალა. მარტის თვეში მუშათა კრებებზე ბაქოს წარმოება-დაწესებულებებში გაფორმდა პროფესიული ორგანიზაციები და არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ორგანოები. აღსანიშნავია, რომ ეს მოძრაობა ბაქოში პირველ ხანებში ვიწრო ცეხობრივ ნიშანს ატარებდა. პროფესიული ორგანიზაციები იქმნებოდნენ დაქუცმაცებულად. მაგალითად, კვების და საგემოვნო მრეწველობის მუშები გათიშული იყვნენ ვიწრო დარგობრივ ორგანიზაციებად (მაგალითად, პურის მცხობელთა, მეფუნთუშეთა, კვასის მკეთებელთა, შეძეხვეთა, მემაკარონეთა, მეთამბაქოეთა და სხვ. მელითონეები — მებეტონეთა, მექვაბეთა, ელექტრო, ოქრო-ვერცხლის და სხვ. კავშირებად). ასეთი დაქუცმაცება პროფმოძრაობას ხელს უშლიდა ყოფილიყო პროლეტარიატის საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში სერიოზული ძალა.

პროფესიული კავშირები ნავთის მრეწველ მუშებს შორის, მართალია ფრიად შეზღუდულს ფორმებში, მაგრამ მაინც არსებობდა თებერვლის რევოლუციის წინ. მაგრამ სწორედ აქ რევოლუციის შემდეგ ყველაზე დაგვიანებით დაიწყო პროფესიული მოძრაობა. ისეთი ფართო და მასობრივი მასშტაბით, როგორც მას ადგილი ჰქონდა სხვა წარმოება-დაწესებულებებში.

საქმე ის არის, რომ ნავთის მუშების მოძრაობას იმთავითვე სათავეში სასარეწო-საქარხნო კომისიები ჩაუდგნენ. ეს კომისიები ნავთის პროლეტარიატის ნამდვილი ნება-სურვილის გამომხატველად იქცნენ და ფაქტიურად ასრულებდნენ იმ სამუშაოსაც, რაც პროფესიულ ორგანიზაციას ეკისრებოდა. თუმცა ისინი პროფესიული ორგანიზაციის უჯრედებს არ წარმოადგენდნენ.

1917 წლის აპრილში ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტა-

---

[1] „Первая Кавказская краевая конференция профсоюзов“, 1918 წ. გვ. 17, თბილისი.

ტების საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც ნავთის მრეწველობის მუშათა შორის პროფკავშირული ორგანიზაციის მომწყობი უნდა ყოფილიყო. მალე პროფკავშირული ორგანიზაციები შეიქმნა ნავთის რაიონებში. ამავე დროს არჩეულ იქნა ქალაქის პროფესიული საბჭო და მისი პრეზიდიუმი.

ამიერკავკასიის პროფესიულ ხელმძღვანელ ორგანოებში შემთანხმებლური პარტიების წარმომადგენლები მოკალათდნენ. თბილისისა და ბაქოს პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოები არა თუ წარმოადგენდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელისშემწყობ ორგანოს — პროლეტარიატის დარაზმვისათვის ბრძოლაში, კოლექტიური ხელშეკრულების დადების, საგაფიცვო მოძრაობის ფართოდ გაჩაღებისათვის, მუშათა კონტროლის შემოღებისათვის ბრძოლაში, არამედ პირიქით, ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ ამ მოძრაობას, გამოქონდათ შემთანხმებლური რეზოლუციები, ელაქუცებოდნენ ნავთის მრეწველებს, კაპიტალისტებს. მათ რევოლუცია დამთავრებულად მიაჩნდათ და მთელ ღონისძიებას მიმართავდნენ იქეთკენ, რომ მუშები დაემშვიდებინათ, კონფლიქტები მიეფუჩეჩებინათ, „მრეწველთა ინიციატივა“ წაეხალისებინათ და სხვ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მაგ., კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლა ბაქოში, რაც პროფესიული ორგანიზაციის უშუალო საქმე იყო, პროფესიული კავშირებისაგან სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. მას სათავეში ბოლშევიკური ორგანიზაციები, სასარეწო-საქარხნო კომისიები ედგნენ.

პროფკავშირული მოძრაობის ფართოდ გაჩაღებას იმთავითვე სერიოზული ყურადღება მიაქცია ბოლშევიკურმა პარტიამ. ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ პროფკავშირებს სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადებისათვის ბრძოლაში ენიჭებოდათ დიდი მნიშვნელობა. პროფკავშირი იყო პარტიის კლასთან დამაკავშირებელი რგოლი, იგი მოწოდებული იყო არა მარტო იმისათვის, რომ სათავეში ჩადგომოდა ბრძოლას მუშათა საყოფაცხოვრებო მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის, არამედ პარტიის მითითებით მუშათა კლასის პოლიტიკური დარაზმულობის ხელშემწყობი ორგანოც უნდა ყოფილიყო. „პროფესიული კავშირი, — წერდა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, — რომელიც უპასუხებს პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს, უნდა იყოს მჭიდრო კავშირში მის იდეურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელთან — სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რადგან მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონო-

მიური ბრძოლა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული"[1]. ბოლშევიკები აკრიტიკებდნენ რა პროფესიული ორგანოების უილაჯობას მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის საქმეში, მიუთითებდნენ, რომ ამის მიზეზია ხელმძღვანელ ორგანოებში შემთანხმებლების ბატონობა. ბოლშევიკები მოითხოვდნენ ხელახალ არჩევნებს პროფესიული კავშირების ორგანოებში, ურჩევდნენ მუშებს გაეყვანათ ბოლშევიკები.

ბოლშევიკები წარმართავდნენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საქმიანობას, იბრძოდნენ ამ კომიტეტების ფუნქციების შეზღუდვის წინააღმდეგ, ურჩევდნენ მათ გათავისუფლებულიყვნენ პროფესიული მოძრაობის იმ ვიხელმძღვანელების ზრუნვა-მეთვალყურეობისაგან, რომლებიც კაპიტალისტებისა და პროლეტარიატის ინტერესთა შერიგების „თეორიას" იზიარებდნენ და პრაქტიკულად მუშათა კონტროლის განხორციელებას აფერხებდნენ. (მაგალითად, პროფესიული ორგანიზაციების კავკასიის მენშევიკურმა კონფერენციამ 1917 წლ. დასასრულს დაჰგმო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების „სეპარატიზმი" და დასახა ღონისძიება იმისათვის, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ხელთ არ ეგდოთ „ქარხნის მმართველობის" ფუნქციები და, მით უმეტეს, ხელში არ ჩაეგდოთ მთლიანად წარმოება"[2]. ან „იმ შემთხვევაში, თუ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და მუშათა საკონტროლო ორგანოები ნაბიჯს გადადგამენ წარმოების ხელში ჩასაგდებათ, კონფერენცია წინადადებას აძლევს კავშირის წევრებს გამოვიდეს ამ ორგანოებიდან"[3].

წარმოებაში შემთანხმებლების ამ აშკარა საბოტაჟის მიუხედავად ბოლშევიკები აღწევდნენ პროფესიულ ორგანიზაციებში თავიანთი გავლენის გაფართოებას. მუშათა ბოლშევიკური ჯგუფები წარმოებაში ნიღაბს ხდიდნენ უმოქმედო პროფკავშირებს, რაც იწვევდა მათი ავტორიტეტის დაცემას. ბოლშევიკები აღწევდნენ რა ახალი არჩევნების დანიშვნას, გამგეობის შემადგენლობაში თავიანთი წარმომადგენლები გაჰყავდათ.

პროფკავშირებში კომუნისტური გავლენის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა შემოდგომაზე. ელექტრო, ტყავის, თამბაქოს, ლითონის, მკერავთა პროფესიულ კავშირებში ბოლშევიკების მონაწილეობა გაიზარდა. მეტყავეთა პროფესიული ორგანიზაციის არჩევნებში ბოლშევიკებმა მიაღწიეს დიდ წარმატებას. გამგეობაში არჩე-

[1] „Кавказский рабочий" № 12, 24 მარტი, 1917 წ.

[2] „Первая Кавк. краевая конф. профсоюзов", 1918, გვ. 69—71.

[3] იქვე.

ული 14 წევრიდან 9 ბოლშევიკი აღმოჩნდა. გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად ბოლშევიკი აირჩიეს.

* * *

1917 წლის რევოლუციის მთელს მანძილზე ბაქოს პროლეტარიატის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოძრაობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ბრძოლას ნავთის მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის.

როგორც ცნობილია, ბაქოს პროლეტარიატმა კოლექტიური ხელშეკრულებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დაიწყო და თავისი შეუპოვრობით მიაღწია კიდეც გამარჯვებას. 1904 წლის დეკემბერში ნავთის მრეწველები ბაქოში იძულებული შეიქმნენ ხელი მოეწერათ მუშებთან კოლექტიური ხელშეკრულებისათვის (ანუ „მაზუთის კონსტიტუციისათვის", როგორც მას მუშები უწოდებენ), რომელიც ზღუდავდა ნავთის მრეწველთა თვითნებობას მუშების ექსპლოატაციის საქმეში. პირველი რევოლუციის წლებში კაპიტალისტები იძულებულნი იყვნენ შეესრულებინათ ხელშეკრულების მუხლები, მაგრამ რეაქციის სუსხისა და იმპერიალისტური ომის ვითარებაში მრეწველებმა მთავრობის მხარდაჭერით ხელშეკრულების ყველა მუხლი ნელ-ნელა გააუქმეს და კვლავ აღადგინეს თავიანთი უფლებები.

თებერვლის რევოლუციას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაქოს მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. მუშები ისევ მათხოვრულ ხელფასს იღებდნენ. ფასები ბაზარზე კი ყოველდღე მატულობდა. „რევოლუციის ხსნის" მყვირალა ფრაზები საქმეს როდი შველოდა. არ გატარებულა მრეწველთა თვითნებობის შემზღუდველი რაიმე კანონი. ნავთის მრეწველობის ყველა ფირმას ხელფასის გაცემის თავისებური წესი ჰქონდა, რაც ეკონომიური მოთხოვნების წამოყენების საქმეში მუშათა ერთსულოვნებას ხელს უშლიდა.

მუშებს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ წვრილი მოიჯარადრეები, მათთან მუშაობის პირობები აუტანელი იყო. გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი" წერდა:

„რამდენი ფირმაა, იმდენი სხვადასხვა ხელფასია, შრომის სხვადასხვა პირობებია. ნავთის მრეწველები ძველებურად რყვნიან მუშებს ჯილდოებითა და საჩუქრების სხვადასხვა ფორმით. მუშები ცხოვრობენ ჭოხმახებსა და საშინელ ყაზარმებში. სანარდო ბურღვის

შუშები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან. ისინი წვრილ, სისხლისმწოველ მოიჯარადრეების შესაჭმელად არიან განწირულნი. ...ბოლო უნდა მოეღოს მუშების გარყვნის მრეწველურ პოლიტიკას. უნდა შეექმნათ შრომის ერთგვარი პირობები ყველა სარეწში... და მტკიცე საძირკველი ჩაეუყაროთ ნავთის მრეწველობისა და დამხმარე საწარმოების ყველა მუშის ნამდვილ გაერთიანებასა და შემჭიდროებას"[1].

თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე ბაქოს პროლეტარიატმა ერთ-ერთ პირველ საკითხად მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადების საკითხი დააყენა. ნავთის ყველა ფირმის მუშათა კრებებზე ამ საკითხზე გამოტანილ იქნა დადგენილებანი და აღიძრა შუამდგომლობა მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელზე.

საბჭოს არ შეეძლო ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისათვის გვერდი აევლო. ბოლშევიკი დეპუტატები საბჭოს კრებებზე, პრესაში, მუშათა მიტინგებზე დაჟინებით მოითხოვდნენ კოლხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებას.

ბაქოს პროლეტარიატი შემთანხმებლური საბჭოს უმოქმედობის ვითარებაში თვით იწყებდა საკუთარი სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტას. 12 მაისს ბაქოდან ფედოროვის ხელმოწერით მიღებული დეპეშა ოზაკომს აუწყებდა: „მთელ რიგ, უმთავრესად ნავთის სარეწებში მუშებმა გადააყენეს გამგეები და მართველები. სხვა საწარმოებში მუშები აყენებენ ეკონომიურ მოთხოვნებს და აგრეთვე მმართველობის თავიდან მოცილებას მოითხოვენ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშაობის შეწყვეტა როგორც მუშების, ისე მეპატრონეთა მხრივ გამოაცხადა დანაშაულად. საერთო განწყობილება მეტის-მეტად საგანგაშოა"[2].

ბაქოს საბჭომ აპრილის ბოლო რიცხვებში გამოჰყო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა კოლექტიური ხელშეკრულების მუხლები. კომისიაში ბოლშევიკებიდან შეყვანილ იქნა ალ. ჯაფარიძე. კომისია ნელა და სიფრთხილით შეუდგა მუშაობას. მაგრამ ნავთის სარეწების მუშათა პროტესტმა ხელშეკრულების მუხლების გამომუშავების გაჭიანურების გამო აიძულა საბჭო ამ საკითხზე სპეციალური დადგენილება მიეღო და კომისიის საქმიანობა დაეჩქარებინათ. 15 მაისისათვის ხელშეკრულების მუხლები უკვე გამომუშავებული იყო. იგი აწესრიგებდა სამუშაო დღეს, შვებულების საკითხს, მუშათა ორგანიზაციების არსებობის უფლებას, ხელფასს,

---

[1] „Бакинский рабочий" № 3, 2 მაისი, 1917 წ.

[2] Я. Шафир, Очерки Грузинской жиронды, გვ. 16.

ავადმყოფობის შემთხვევაში ანაზღაურებას, დათხოვნის წესებს, კომპენსაციას, საბინაო საკითხს, მობილიზებულთა ოჯახების დახმარების საკითხს და სხვ.[1]

ხელშეკრულების ეს პროექტი კომისიამ ნავთის მრეწველებს წარუდგინა.

ნავთის მრეწველებმა კომისიის მიერ წარდგენილი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი არ მიიღეს. პირველად მათ არც კი სურდათ ამ საკითხზე კომისიასთან ლაპარაკი, მაგრამ კომისიის განცხადებამ, რომ მათი მოთხოვნა ბაქოს მთელი მუშათა კლასის ხმაა, მრეწველები აიძულა კომისია კანონიერ ორგანოდ ეცნოთ[2], თუმცა ხელშეკრულების პირობებზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

მრეწველები, ცხადია, გრძნობდნენ რომ ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანოებს კოლხელშეკრულების საკითხში ერთსულოვნება აკლდა, რომ მენშევიკ-ესერები ბურჟუაზიასთან კორდინაციის პოლიტიკას იზიარებდნენ და „ქვეყნის ინტერესებისათვის“ არ დაუშვებდნენ მუშათა გაფიცვას. მაისის ბოლო რიცხვებში ბაქოში ჩავიდა მუშათა და ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი, რომლის თანამდებობაც კი ოზაკომის გაფორმებით — (შრომისა და კაპიტალის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის მოწესრიგების რწმუნებული) — თავისთავად მეტყველებდა შემთანხმებლების პოზიციას კოლხელშეკრულების საკითხში. რამიშვილმა პირველსავე მოწოდებაში გამოთქვა ამ საკითხში სამხარეო საბჭოს თვალსაზრისი და პროგრამა — ბაქოს ნავთი ქვეყნისათვის ახლა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია. მრეწველები ქვეყნის თავდაცვაზე მუშაობენ და რაიმე შეფერხება მათს მუშაობაში არავითარ შემთხვევაში დაშვებული არ იქნება. ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ შეთანხმებისათვის, მრეწველებმა უნდა დათმონ „წაგებული პოზიციები“, მუშებმა უნდა უკუაგდონ ანარქისტული მოქმედება (იგულისხმება გაფიცვა) და ითმინონ — ამბობდა ი. რამიშვილი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1 ივლისის სხდომაზე ალ. ჯაფარიძემ თავის მოხსენებაში ამხილა ის მშიშრული პოზიცია, რომელიც შემთანხმებლებს ეკავათ და რაც მრეწველებს ჯიუტობის საშუალებას აძლევდა.

საბჭოს არ შეიძლებოდა არ გაეზიარებინა ამხ. ჯაფარიძის მო-

---

[1] В. В Покишевский, Положение Бакинского пролетариата накануне революции (1914—1917 гг.), გვ. 78.

[2] „Бакинский рабочий“ № 16, 21 ივნისი.

საზრებანი, რადგან ბაქოს პროლეტარიატი ახლა საბჭოს თითოეულ სიტყვას ყურს უგდებდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა. საბჭომ მიიღო ალ. ჯაფარიძის მოხსენების გარშემო ბოლშევიკების მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა:

„1) მოიწვიონ ხუთშაბათს, 6 ივლისს სასარეწო-საქარხნო კომისიების კონფერენცია კოლექტიური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების საკითხის განსახილველად; 2) გადაეცეს ამ კომისიას განსახილველად საკითხი ერთდღიანი გაფიცვის მოწყობის შესახებ; 3) გამოცემულ იქნას დეკრეტი 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ ყველა კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის; 4) გამოცემულ იქნას დეკრეტი ერთდროული დახმარების გაცემის შესახებ; 5) ის მრეწველები, რომლებიც შეკვეცავენ წარმოებას, დაპატიმრებულ იქნან და გადაეცენ სასამართლოს, ხოლო სამხედრო ვალდებულნი გაგზავნილ იქნან ფრონტზე; 6) მოითხოვონ სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა ნავთის მრეწველობაში შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში“[1].

დადგენილება ასახავდა ბაქოს პროლეტარიატის ინტერესებს, მაგრამ იგი ქაღალდზე რჩებოდა. მრეწველები ისევ ჯიუტობდნენ, ხოლო საბჭო, მისი შემთანხმებლური უმრავლესობის გამო, დადგენილების განხორციელებისათვის ენერგიულად არ იბრძოდა.

ივლისის დღეებმა და დროებითი მთავრობის შეტევაზე გადასვლამ კი ნავთის მრეწველებს რევოლუციის დასამარების იმედი აღუძრა. ახლა ისინი დაჟინებით ამბობდნენ უარს დათმობაზე და, პირიქით, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებზე ახალი იერიშები მიჰქონდათ.

ბოლშევიკურმა პარტიამ ბაქოს პროლეტარებს მოუწოდა მრეწველებისათვის არ დაეთმოთ, ეჩვენებინათ მათთვის თავიანთი ორგანიზებულობა, ძალა და იძულებული გაეხადათ დათანხმებულიყვნენ ხელშეკრულების პირობებზე.

„ჩვენ აღარ შეგვიძლია კვლავ დუმილი, — წერდა „ბაკინსკი რაბოჩი“, — ჩვენთვის აუცილებელია პროტესტი. აუცილებელია ორგანიზაციული ბრძოლის გაჩაღება გათავხედებული კაპიტალის წინააღმდეგ[2]. გაზეთი ამავე დროს მუშებს განუმარტავდა კაპიტალისტების გათავხედების მიზეზს. მათ ჰგონიათ, რომ ჩაქრა რევო-

[1] „Известия Бак. Совета“.

[2] „Бакинский рабочий“ № 21.

ლუციის ძალა, რომ დადგა პირიქით შემოტევის დრო, რომ მუშები ვეღარ გაბედავენ გაფიცვას.

„ჩვენი პასუხი მათდამი ასეთია: შორს სისხლიანი ხელები სახალხო სიმდიდრისაგან. თქვენ დიდი ხანია ეწეოდით ძარცვას... თქვენ ხართ ამ ომის დამნაშავენი, ამ ნგრევის დამნაშავენი. თქვენ არ შეგიძლიათ ებრძოლოთ მას. ძირს მძარცველი კაპიტალისტები, მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს“[1] — მოუწოდებდა გაზეთი ბაქოს პროლეტარიატს.

ნავთის მუშათა დაჟინებითმა მოთხოვნამ და გაფიცვის საშიშროებამ მენშევიკები დააფრთხო. ი. რამიშვილმა დროებითი მთავრობის შრომის მინისტრს სკობელევს სასწრაფოდ უდეპეშა: „მუშებსა და მრეწველებს შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადების საკითხში მოლაპარაკება ჩაიშალა. მრეწველები უარს ამბობენ აწარმოონ მოლაპარაკება. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა, რაც არაა სასურველი სარეწების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო. მუშები თანახმანი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს, მაგრამ ნავთის მრეწველების მხრივ არაა მოსალოდნელი რაიმე დათმობა. საჭირო ხდება სახელმწიფო ხელისუფლების ყურადღება საკითხის გადასაწყვეტად“[2].

მიუხედავად იმისა, რომ მუშები არაფერს არ თმობდნენ და ამის შესახებ საერთოდ მუშათა წრეებში ლაპარაკიც კი არ ყოფილა, რამიშვილი მუშათა სახელით თვით აკეთებდა ამ დათმობას, რომ „შრომისა და კაპიტალის ინტერესთა შერიგება“, რაც მისი უშუალო თანამდებობრივი მოვალეობა იყო, მუშების ინტერესთა ხარჯზე მოეხდინა.

შრომის მინისტრმა სკობელევმა, ისე როგორც ბაქოელმა შემთანხმებლებმა, ცხადია, „მომენტის“ მომიზეზებით მუშათა გაფიცვა ქვეყნის დამღუპველად გამოაცხადა. დეპეშის პასუხში იგი აღნიშნავდა: „გაფიცვა და სამუშაოს შეჩერება ნავთის მრეწველობაში მიმდინარე მომენტში ქვეყნისათვის დამღუპველი და დაუშვებელია“[3].

მთავრობის წევრის ასეთმა დეპეშამ შემთანხმებლები გაამხნევა. გაზეთის ფურცლებზე მათ აგიტაცია გააჩაღეს მუშათა საგაფიცვო ბრძოლის წინააღმდეგ და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მთავარ პირობად შრომის ნაყოფიერების ზრდა

[1] „Бакинск. рабочий“ № 21.
[2] „Известия Бак. Совета“.
[3] „Известия Бак. Совета“ № 32.

გამოაცხადეს. შემთანხმებლებმა მობილიზაცია გაუკეთეს თავიანთ ძალებს და საბჭოს კონფერენციაზე მიაღწიეს გაეტანათ რეზოლუცია. რომელიც, კრძალავდა რა მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს, პროლეტარიატს ხელიდან აცლიდა თავისი პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საშუალებას. კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებას შემთანხმებლების ორგანო ბრძნულს უწოდებდა და, ქება-დიდებას ასხამდა რა მას, თავის მხრივ დასძენდა:

„თუ გაფიცვამ ქვეყანას უნდა წაართვას მილიონი ფუთი ნავთობი, ეს იმ დროს, როცა საწვავი წარმოადგენს სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან ნერვს, მაშინ დასკვნა ერთი უნდა იყოს: არავითარი გაფიცვა. ამას მოითხოვს მთელი ქვეყნის ინტერესები"[1].

მუშათა საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ რეზოლუცია მიღებულ იქნა და შემთანხმებლური ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდა ბაქოში მიმდინარეობდა ივლისის თვეში, სწორედ იმ დროს, როცა ბოლშევიკების წინააღმდეგ დროებითმა მთავრობამ, ბურჟუაზიულმა პარტიებმა და შემთანხმებლებმა გაერთიანებული ლაშქრობა გამოაცხადეს. კონტრრევოლუციური ძალების ეს აქტივობა თვალსაჩინოდ იყო შესამჩნევი ბაქოში. ბაქოელი მენშევიკები, რომ არაფერი ვთქვათ კადეტებზე, მუსავატებსა და დაშნაკებზე, ხმამაღლა გაჰყვიროდნენ ბოლშევიკების სახელმწიფოებრივ ღალატზე, ყაიზერულ გერმანიასთან მათს კავშირზე, მათი დაპატიმრების აუცილებლობაზე.

ბაქოს ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ კოლხელშეკრულებისათვის ბრძოლა იყო არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ბრძოლა, ბრძოლა მუშათა კლასის დასარაზმავად ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ. მოვლენათა ობიექტური მსვლელობა ბოლშევიკური ლოზუნგის სისწორის დამადასტურებელი იყო. მუშები თანდათან ერკვეოდნენ ვითარებაში და რწმუნდებოდნენ, რომ კაპიტალისტებთან არავითარი შეთანხმების მიღწევა არ შეიძლება, თვით ხელისუფლება ფარულად შეძლებული კლასების მხარეზეა, პროლეტარიატს ისევ სჭირდება ხელში იარაღის აღება, რომ მისი ინტერესების თანმიმდევრული დამცველი მხოლოდ ბოლშევიკური პარტიაა. ასეთ დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა მარტიდან ივლისამდე დროებითი მთავრობის და მისი მხარდამჭერი საბჭოების პოლიტიკის ანალიზი.

ყველაფერი ეს ცხადი იყო პროლეტარიატის შეგნებული ნაწილისათვის. მაგრამ ბაქოს მუშათა კლასის მაშინდელი შემადგენლო-

[1] „Известия Бак. Совета" № 32.

ბა სრულებითაც არ ყოფილა ერთგვარი, ამიტომ დამოკიდებულება კოლხელშეკრულებისადმი, ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგებისადმი ერთგვარი არ ყოფილა.

თუ ბაქოს პროლეტარიატის ძველი კადრის შემადგენლობა შემთანხმებლური პოლიტიკის გადაჭრით წინააღმდეგი იყო და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგი მაღლა ეჭირა, სამაგიეროდ მუშათა საკმაოდ დიდი ნაწილი, უმთავრესად ომისა და რევოლუციის წლებში აზერბაიჯანის, დაღისტნისა და ამიერკავკასიის სხვა რაიონებიდან მოსულნი, ჯერ კიდევ ობორონცული ბურუსით გარემოცული იყო, და, ენდობოდა რა ბურჟუაზიული ნაციონალისტების მყვირალა და მოთაფლულ დაპირებებს, სჯეროდა დროებითი მთავრობის „რევოლუციურობა“, ეშინოდა რა მეფის რეჟიმის აღდგენისა, იგი ადვილად ეგებოდა ბურჟუაზიული პარტიების მიერ გადაგდებულ ანკესზე — მიაჩნდა რომ დროებითი მთავრობისათვის ხელის შეწყობა იხსნიდა რევოლუციას. ასეთი მერყევი, პარტიათა ნამდვილ ბუნებაში გაურკვეველი ფენა ამიერკავკასიის და ბაქოს პროლეტარიატს შორის საკმაოდ ძლიერი იყო. იგი უფრო ძლიერი იყო მარტში და აპრილში, ვიდრე ივნისსა და ივლისში. ივლისის შემდეგ მათი რიგები სწრაფად თხელდებოდა. მუშები ზურგს აქცევდნენ შემთანხმებლებს; ცხოვრება, ყოველდღიური პრაქტიკა, პარტიების ლოზუნგების საქმით შემოწმება მერყევ და შეუგნებელ ელემენტებს, რა თქმა უნდა ბოლშევიკური პარტიის ბანაკისაკენ უბიძგებდა, მაგრამ ეს პროცესი ნელი და მტკივნეული იყო. მათს ცნობიერებაში მკვეთრი გარდატეხა ერთი ხელის დაკვრით არ ხდებოდა. ამიტომ იყო, რომ შემთანხმებლებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს თვით პროლეტარიატის რიგებში ჰყავდათ თავიანთი დამცველები. პროლეტარიატის ბანაკში შეხედულებათა ეს სხვადასხვაობა სთიშავდა, აჩიავებდა მუშათა მოძრაობას.

30 ივლისს შედგა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის საქალაქო თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი კოლხელშეკრულებისათვის ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი ფიოლეტოვი). თათბირზე აღინიშნა ის დაბრკოლებანი, რომლებსაც აწყდებოდა ბოლშევიკური ორგანიზაცია კოლხელშეკრულების გატარების საქმეში. ფიოლეტოვი ხაზს უსვამდა შემდეგი ხასიათის სიძნელეებს: 1) ბაქოს მუშების სხვადასხვაგვარი შემადგენლობა, როგორც ნაციონალური, ისე შეგნებულობის დონის მიხედვით, 2) სამრეწველო მუშების მუდმივი ელემენტის უქონლობა და ცვალებადი ელემენტის სიჭარბე, 3) შენდრიკოველობა, რომელიც გამოიხატება მუშე-

ბის მისწრაფებაში მიიღონ მეწარმეთაგან საჩუქრები, 4) შეძლებული კლასების ხელისუფლებასთან შემთანხმებლური პოლიტიკა, რომელსაც ატარებენ მენშევიკები და ესერები; 5) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ინდიფერენტული დამოკიდებულება კოლექტიური ხელშეკრულებისადმი და 6) ჯიუტობა, მრეწველებისა, რომლებმაც ისარგებლეს რა რეაქციის დაწყებით, არ მოისურვეს წასულიყვნენ დათმობებზე მუშათა მოთხოვნების მიმართ[1].

ფიოლეტოვის მოხსენებამ, რომელიც ბაქოს პროლეტარიატის წარუმატებლობის მიზეზების სწორ ახსნას იძლეოდა, ცხოველი კამათი გამოიწვია. მოკამათეები აღნიშნავდნენ, რომ კოლხელშეკრულების ჩაშლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობა და მოითხოვდნენ ბაქოს პროლეტარიატის სამდღიან გაფიცვას, როგორც მრისხანე გაფრთხილებას მრეწველებისადმი.

ს. შაუმიანმა თათბირზე განაცხადა, რომ მიმდინარე ვითარებაში როცა რეაქციის შეტევა დაიწყო, როცა ბაქოში მთელი კამპანია გაჩაღდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ბოლშევიკური ორგანიზაცია ვერ გამოვა გაფიცვის ორგანიზატორად, მაგრამ თუ იგი დაიწყება, სტიქიურად, ჩვენი ორგანიზაცია მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებსო. თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამხ. შაუმიანის მიერ იყო შეტანილი[2].

„ბაკინსკი რაბოჩის“ ფურცლებზე ა. ჯაფარიძე მიუთითებდა: „საჭიროა უველაზე ადრე და უპირველეს ყოვლისა დავძლიოთ შემთანხმებლობა, გავთავისუფლდეთ ჩვენს რევოლუციაში მუშათა მოძრაობის ამ წყლულისაგან, — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ისევე ვიტრიალებთ ერთ ადგილზე, როგორც ციყვი ბორბალში და თანდათან შევავიწროებთ იმ მარყუჟს, რომელიც წაახრჩობს რევოლუციას. ამხანაგო მუშებო, თუ ასე არ მოვიქცეთ, ჩვენ მოგვიხდება დავასამაროთ არა მარტო კოლექტიური ხელშეკრულება, არამედ თვით რევოლუცია“[3].

ივლისის ბოლო რიცხვებშივე კოლექტიური ხელშეკრულების დადების საკითხს მიეძღვნა სასარეწო-საქარხნო კომისიების კონფერენცია, რომელსაც 583 კაცი ესწრებოდა. კონფერენციაზე მუშა დელეგატებმა სასტიკად დაჰგმეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შემთანხმებლური საქმიანობა, გაკიცხეს საბჭოს მიერ 6 ივლისს მიღებული დადგენილება და მენშევიკების (რამიშვილის

[1] „Бакинский рабочий“ № 34, 2 აგვისტო.

[2] იქვე.

[3] „Бакинский рабочий“ № 53, 16 სექტემბერი, 1917 წ

შეთაურობით) პროტესტის მიუხედავად მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება ნავთის მრეწველებთან ჩაითვალოს დამთავრებულად, მიეთითოს მთავრობას იძულებითი სინდიცირების აუცილებლობაზე, აირჩიონ გაფართოებული კომისია გაფიცვის მოწყობის საკითხის გადასაწყვეტად და გაეგზავნოს მთავრობას დეპეშა გადამწყვეტი ზომების მისაღებად[1].

მდგომარეობა დაიძაბა. მუშები გადამჭრელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდნენ. შემთანხმებლები დაფრთხნენ. მათ დეპეშა აფრინეს დროებით მთავრობაში. საქმეში ჩარევა, ბაქოში ჩამოსვლით, გადასწყვიტა სკობელევმა. დეპეშამ სკობელევის ბაქოში ჩამოსვლის განზრახვის შესახებ შემთანხმებლებს ისევ აღუძრა იმედი, რომ მუშებს დაიყოლიებდნენ გაფიცვაზე ხელი აეღოთ.

„ბაკინსკი რაბოჩი“ სკობელევის ჩამოსვლამდე წინასწარმეტყველებდა იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც შრომის მინისტრი დაიკავებდა მრეწველებთან მოლაპარაკების საკითხში. „პატივცემული მინისტრისაგან ჩვენ, უეჭველია, კვლავ გავიგონებთ ყველასათვის ცნობილ სიტყვებს იმის შესახებ, რომ რუსეთი იღუპება, რომ მუშებმა უნდა შეზღუდონ თავიანთი მოთხოვნები და ა. შ.“[2]. — წერდა გაზეთი და ბაქოს მუშებს ურჩევდა, რომ თქვენ მოგეხმარებათ არა მინისტრი, არამედ შეუპოვრობა თქვენი კანონიერი მოთხოვნების დაცვაში, ორგანიზებული მოძრაობაო[3].

ბოლშევიკური გაზეთის ვარაუდები სავსებით დადასტურდა. სკობელევმა ბაქოში „მოღვაწეობის“ მთელ მანძილზე ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ თავიდან აეცდინა მუშათა მოსალოდნელი გაფიცვა. მან აშკარად დაიცვა ბაქოს ნავთის მრეწველთა ინტერესები, შეპირდა მათ ნავთის პროდუქტებზე ფასების მომატებას, სახელმწიფოებრივ დახმარებას წვრილი ფირმებისადმი, ხოლო კოლხელშეკრულებაზე მოლაპარაკების საკითხი პეტროგრადში გადაიტანა. იგი დაიბნა იმ შეუპოვარი გაბედული განწყობილების წინაშე, რომელიც სასარეწო-საქარხნო კომისიებს აღმოაჩნდათ და ამჯობინა საკითხის გადაწყვეტა ბაქოს პროლეტარიატისა და მისი მებრძოლი ორგანოსაგან მოშორებით მოეხდინა.

მსხვილი მრეწველი ტაგიანოსოვი მრეწველების წინაშე არ ფარავდა იმ გამარჯვებას, რომელიც მათ მინისტრმა მოუპოვა.

„— გუშინდელ დღესთან შედარებით ჩვენ უდიდესი წარმატება

---

[1] „Известия Бак. Совета“.

[2] „Бакинский рабочий“ № 35, 4 აგვისტო, 1917 წ.

[3] იქვე.

მოვიპოვეთ. გუშინ ჩვენგან მოითხოვდნენ გაგვეცხადებინა თანხმობა კოლექტიური ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მიღებაზე... ამასთანავე არავითარ გარანტიას არ გვაძლევდნენ ფიქსირებული ფასების გადიდების შესახებ. დღეს ჩვენ გვთავაზობენ მივცეთ ავანსი, და არ გვავალდებულებენ დავეთანხმოთ კოლექტიური ხელშეკრულების მიღებაზე, გვპირდებიან კოლექტიური ხელშეკრულების შემდეგი განხილვა აწარმოონ პეტროგრადში, სადაც ეს საკითხი გადაწყდება ფიქსირებული ფასების გადიდების საკითხთან ერთად. ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ ეს შემთხვევა და მივიღოთ შრომის მინისტრის მიერ შემოთავაზებული წინადადებაო"[1]. — ამბობდა იგი.

სკობელევის უმთავრეს ამოცანას, ბაქოში რომ ჩამოდიოდა, შეადგენდა მოსალოდნელი გაფიცვის თავიდან აცილება. შემთანხმებლების დახმარებით მან ამას მიაღწია. მრეწველებს ურჩია მუშებისათვის ავანსის სახით მიეცათ 2 თვის ხელფასი, მიეყუჩებინათ ისინი, ხოლო კოლექტიური ხელშეკრულების დადების საკითხს, სამაგიეროდ, იგი გადასდებდა... განუსაზღვრელი ვადით.

სკობელევი მალე დემოკრატიულ თათბირზე გაემგზავრა.

მრეწველებმა მინისტრს დაპირება მისცეს მუშებისათვის ავანსის გაცემის შესახებ, მაგრამ შემდეგ ამ მცირეოდენ დათმობაზეც უარი განაცხადეს. საზოგადოება „ზაფატემას" ადმინისტრაციამ კატეგორიული უარით უპასუხა მუშებს ავანსის მიცემაზე. საქმეში ჩაერია შრომის კომისარი რამიშვილი, მაგრამ მისმა თხოვნამ მრეწველებს ოდნავადაც გული ვერ მოულბო.

მრეწველების მორიგმა თავხედობამ მუშები მოთმინებიდან გამოიყვანა. 11 სექტემბერს „ზაფატემას" საზოგადოების მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს: გაფიცვა გარდუვალი ხდებოდა დანარჩენ ფირმებშიც.

შრომის მინისტრის სკობელევის მორიგმა გამცემლობამ მუშათა მიღება-დათხოვნის უფლების საკითხში ბაქოს პროლეტარიატის მოთმინების ფიალა აავსო. ბაქოში ყოფნის დროს სკობელევმა გამოაქვეყნა ცირკულარი, რომელიც მეწარმეებს განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებდა მუშებისა და მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის საკითხში. ეს მრეწველებისათვის ხელ-ფეხის სრულ გახსნას ნიშნავდა.

ნავთის სარეწების მუშებმა ამ დადგენილების გამოქვეყნებას ერთსულოვანი პროტესტით უპასუხეს. თითქმის ყველა ფირმაში

---

[1] Азербайджанский филиал Института Маркса-Ленинизма при ЦК КПСС, ф. № 19.

ჩატარდა მუშათა მიტინგები. მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილი იყო შრომის მინისტრის პოზიცია. სურახანის რაიონის მუშებმა გამოიტანეს დადგენილება მოეწყოთ გაფიცვა და აღმასრულებელი კომიტეტი და შრომის კომისარი იძულებული გახდათ ეს დადგენილება გაეუქმებინა"[1].

ბაქოს პროლეტარიატისა და მრეწველების დამოკიდებულება უკიდურესობამდე გაიწვავდა. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მრეწველები დათმობაზე არ მიდიოდნენ, ისინი განგებ აჭიანურებდნენ მოლაპარაკებას, რომ დრო მოეგოთ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დღეს თუ ხვალ რევოლუციას წაახრჩობდა დროებითი მთავრობა. კორნილოვშჩინამ ეს იმედები გააორკეცა.

მრეწველთა თვითნებობა კი ეკონომიურ კატასტროფას თანდათან აღრმავებდა. სამეურნეო ნგრევა უფრო და უფრო საშინელ ხასიათს იღებდა. მარტო 1917 წელს ბაქოში დაკეტილ იქნა ნავთის 20 ფირმა. მრეწველები იქითკენ ისწაფოდნენ, რომ ნავთის პროდუქტებზე ფასები აეწიათ. ფასების ზრდის მოლოდინში, მოპოვებულ ნავთობს ინახავდნენ, რომ ახალ ფასებში გაეყიდათ. 1917 წლის სექტემბერში ნობელის ფირმას შესაძლებლობა ჰქონდა 150 მილ. ფუთი ნავთი გაეტანა, მაგრამ გაიტანა მხოლოდ 65 მილიონი, ეს მაშინ, როცა ქვეყანა ნავთის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ამავე დროს თანდათან მცირდებოდა ბურღვა. 1913 წელთან შედარებით ნავთობის მოპოვება 1917 წელს შემცირებული იყო დაახლოებით 110 მილიონი ფუთით.

პროლეტარიატი მარტიდან სექტემბრამდე მშვიდობიანი მოლაპარაკების ყველა ხერხს მიმართავდა, რომ კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის მიეღწია. მუშებმა ბევრი დათმეს, ხელშეკრულების მუხლები მინიმუმამდე დაიყვანეს, ხოლო სექტემბერში უაღრესად აუცილებელი, გადაუდებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვეს და მრეწველებისაგან ამაზედაც უარი მიიღეს[2]. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ მუშებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ნავთობის მოპოვების უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნისათვის, რჩებოდა მხოლოდ ერთი გამოსავალი — გაფიცვა.

გაფიცვა სტიქიურად უკვე დაიწყო ცალკეულ ფირმებში.

18 სექტემბერს შედგა სასარეწო-საქარხნო კომისიების კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნა ზევინის მოხსენება მიმდინარე მომენტისა და კოლხელშეკრულებისათვის ბრძოლის საკითხზე.

---

[1] „Бакинский рабочий" № 47.

[2] „Бакинский рабочий" № 57, 27 სექტ.

პირველ საკითხზე კონფერენციამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა შემთანხმებლური პოლიტიკის შეწყვეტას და სრულ გათიშვას ბურჟუაზიასთან, მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში, საყოველთაო-დემოკრატიული ზავის დადებას ყველა მეომარ ქვეყანასთან, ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მუშების დაუყოვნებლივ შეიარაღებას პარტიის კონტროლის ქვეშ, ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, კორნილოვშჩინის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას, ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერების დაპატიმრებას, მათი ბეჭდვითი ორგანოების დაკეტვას, სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებას ჯარისკაცებისათვის, ოფიცერთა შემადგენლობის გაწმენდას და სხვ.[1]

კონფერენციაზე აღნიშნულ იქნა ნავთის მრეწველთა ჯიუტობის მიზეზები — ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შეთანხმება მრეწველებთან მომხდარიყო. მუშებს არ შეუძლიათ არც ლოდინი, არც მეტი დათმობა. მუშათა გაფიცვა გარდუვალია, მხოლოდ ორგანიზებული გაფიცვა მიგვიყვანს გამარჯვებამდე — ამბობდნენ კონფერენციაზე მუშათა წარმომადგენლები. კონფერენციამ მიიღო დადგენილება — „იმის შესახებ, რომ მრეწველთა ხელმოწერა კოლხელშეკრულებაზე მოთხოვნილ იქნას ულტიმატუმის სახით. თუ მრეწველები მაინც არ დასთანხმდებიან, გამოცხადდეს საყოველთაო გაფიცვა და კომისიამ თავისთავი საგაფიცვო კომიტეტად გამოაცხადოს“[2].

მრეწველებმა სასარეწო-საქარხნო კომისიების კონფერენციის ულტიმატუმის შესრულებაზე უარი განაცხადეს. მაშინ, დადგენილების თანახმად, კონფერენციამ თავისითავი საგაფიცვო კომიტეტად გამოაცხადა, 22 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 27 სექტემბრიდან ბაქოში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

ბაქოს პროლეტარიატის გადაწყვეტილებამ საყოველთაო გაფიცვის შესახებ შეაშფოთა შემთანხმებლები. ბაქოში სასწრაფოდ ჩავიდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო ცენტრიდან ე. გეგეჭკორი, რომელიც რამიშვილთან ერთად ყველა ზომას მიმართავდა, რომ პროლეტარიატის გამოსვლა არ დაეშვა.

26 სექტემბერს, გაფიცვის წინა დღეს შეიკრიბა სასარეწო-საქარხნო კომისიების კონფერენცია.

---

[1] „Бакинский рабочий“ № 153, 20 სექტემბერი.

[2] იქვე.

კონფერენციაზე გეგეჭკორი, რამიშვილი, ბეკზადიანი და სხვა შემთანხმებლები გაფიცვის შეწყვეტას, მშვიდობიანი მოლაპარაკების გაგრძელებას მოითხოვდნენ.

შემთანხმებლური პოლიტიკის მკვეთრი მხილებით გამოვიდა ა. ჯაფარიძე, რომელმაც შეიტანა რეზოლუცია გაფიცვის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ 27 სექტემბრიდან მანამდე, ვიდრე მრეწველები დათმობაზე არ წავიდოდნენ[1].

27 სექტემბერს, როგორც წერდა ამხ. ა. ჯაფარიძე, ბაქოს მუშებმა „იმ საყვირების ხმაზე, რომლებიც მათ ყოველდღიურად ჯოჯოხეთურ პირობებში კატორღული შრომისკენ მოუწოდებდა, დასტოვეს ქარხნებისა და ჰაბურღილების სარეწების ტერიტორია და ორგანიზებულად დაიწყეს ბრძოლა თავიანთი ექსპლოატატორების წინააღმდეგ“[2].

სექტემბრის გაფიცვაში 610 ფირმიდან 65 ათასზე მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. გაფიცვა ორგანიზებულად ჩატარდა, ბაქოს ბოლშევიკური პარტიის საქალაქო კომიტეტი, საგაფიცვო კომიტეტი, უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ გაფიცვას, აქვეყნებდნენ მოწოდებებს. სარეწებზე ბოლშევიკი მუშები იძლეოდნენ ორგანიზებულობის, შეუპოვრობის ნიმუშებს.

3 ოქტომბერს ნავთის მრეწველები იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე. გაფიცვა გამარჯვებით დაგვირგვინდა. შაუმიანი უდებეშებდა „რაბოჩი პუტის“ რედაქციას:

„ბაქო. 3 ოქტომბერი. ამხ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ჩატარებული გაფიცვა დამთავრდა 3 ოქტომბერს სრული გამარჯვებით. მრეწველებმა ხელი მოაწერეს კოლექტიურ ხელშეკრულებას. მუშების მიღებისა და დათხოვნის უფლება დეკრეტირებულია სამხარეო ხელისუფლების მიერ. გვოზდევმა მიზანშეწონილად ჩასთვალა დაეგვიანებინა და „ავადმყოფობის“ მომიზეზებით დღე ვაგონში გაატარა.

ბაქოს პროლეტარიატის გამარჯვება არის დამარცხება შემთანხმებლებისა, რომლებიც ექვსი თვე აწვალებდნენ მუშებს“[3].

ბაქოს მუშების გაფიცვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო დიდი გამარჯვება იმ დროს, როცა კონტრრევოლუცია თავისი ძალების კონსოლიდაციას ეწეოდა. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი 13 ოქტომბრის თარიღით გამოგზავნილ მისალმებაში წერდა:

---

[1] „Бакинский рабочий“ № 59, 24 სექტემბერი.

[2] იქვე.

[3] გაზ. „Рабочий путь“ № 29. 19 ოქტომბერი, 1917 წ.

„მივესალმებით ქალაქ ბაქოს რევოლუციურ პროლეტარიატს, რომელმაც აშკარა ბრძოლაში გაიმარჯვა ორგანიზებულ კაპიტალზე“[1]. ცენტრალური კომიტეტის ორგანო სპეციალურ სტატიაში „ისწავლეთ ბაქოელებისაგან“ მიუთითებდა ბაქოს პროლეტარიატის გაფიცვაზე, როგორც კაპიტალისტების წინააღმდეგ ორგანიზებული შეტევის საუკეთესო მაგალითზე.

ბაქოს მუშების გამარჯვების ამბავი სიხარულით გაიზიარეს ამიერკავკასიის მშრომელებმა, რომლებიც ყურს უგდებდნენ ამ ბრძოლის მიმდინარეობას. მილოცვის დეპეშები მოსდიოდათ მუშებს გროზნოს მუშებისაგან, კავკასიის მოქმედი არმიისაგან, თბილისის პროლეტარებისაგან და სხვ. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის საოლქო ყრილობა, რომელიც გაფიცვის დღეებში მიმდინარეობდა თბილისში, ბაქოს მუშებისადმი მისალმებაში წერდა:

„კავკასიის ბოლშევიკთა ყრილობა მხურვალედ მიესალმება ბაქოს რევოლუციურ პროლეტარიატს კაპიტალის წინააღმდეგ ბრწყინვალე გამარჯვების გამო.

ემზადეთ ახალი ბრძოლებისათვის.

პრეზიდიუმი“[2].

დროებითმა მთავრობამ ბაქოს პროლეტარიატის გმირული გაფიცვის დღეებში იქ მიავლინა შრომის მინისტრი მენშევიკი გვოზდევი, რომელიც ნავთის მრეწველებს უნდა დახმარებოდა ამ მძიმე დღეებში. მაგრამ არც მინისტრს, არც ადგილობრივ შემთანხმებლებს აღარ ჰქონდათ ავტორიტეტი. მუშები მათ აღარ უჯერებდნენ.

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, სადაც გვოზდევი ესწრებოდა, ა. ჯაფარიძემ გააკეთა ანგარიში გაფიცვის შესახებ. შრომის მინისტრს ჯაფარიძემ მიმართა: „ჩვენ დავამთავრეთ გაფიცვა თქვენს გარეშე, შრომის მინისტრო, მაგრამ თქვენ გაფიცვის დროსაც რომ ჩამოსულიყავით, მაშინაც თქვენი როლი ნულამდე იქნებოდა დაყვანილი, რადგან შრომის სამინისტრომ, ვიმეორებ, დაჰკარგა ავტორიტეტი და გავლენა მუშებსა და მრეწველებს შორის. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება შრომის ადგილობრივი კომისარიატი“[3].

ბაქოს მუშათა გაფიცვა სრულებითაც არ ყოფილა მხოლოდ ეკონომიური გამარჯვება. ეს იყო უდიდესი ნაბიჯი ბაქოს პროლე-

---

[1] გაზ. „Рабочий путь“ № 29, 19 ოქტომბერი, 1917 წ.

[2] „Бакинский рабочий“ № 64, 11 ოქტომბერი.

[3] „Бакинский рабочий“ № 62, 6 ოქტომბერი.

ტარიატის ორგანიზებულობის, შეგნებულობის, რევოლუციური გათვითცნობიერების გზაზე. გაფიცვამ მუშებს ერთხელ კიდევ დაანახა თავისი ძლიერება, რაც პირველ ყოვლისა მათს ორგანიზებულობასა და შეუპოვრობაში მდგომარეობდა.

გაფიცვამ მუშებს დაანახვა აგრეთვე უსუსურობა იმ შემთანხმებლური პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდნენ ადგილობრივი მენშევიკები და ესერები, შრომის კომისარი რამიშვილი, სამხარეო საბჭო და ოზაკომი. პროლეტარიატი დარწმუნდა, რომ მუშათა კლასის ინტერესების თანმიმდევრული დამცველი ბოლშევიკური პარტია იყო, რომლის დროშის ქვეშ დარაზმვა მუშებს ახალ-ახალი გამარჯვებების გზით წაიყვანდა. ა. ჯაფარიძე ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ამბობდა, რომ ამ გამარჯვების მნიშვნელობა სრულიადაც არ ამოიწურება კოლხელშეკრულების დადებით, რომ მატერიალურად ახლა, როცა ცხოვრება ასე გაძვირდა, კოლხელშეკრულებას არაფერი მოაქვს, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მუხლები მათხოვრულია, მაგრამ ეს გამარჯვება არის ორგანიზებული პროლეტარიატის გამარჯვება ორგანიზებულ კაპიტალზე, ეს არის ბაზა შემდგომი ბრძოლებისათვის, რასაც პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციით დააგვირგვინებსო[1].

სამხარეო საბჭო გაფიცვის დღეებში ბაქოს პროლეტარიატს შეპირდა, რომ გამოსცემდა დეკრეტს მუშათა მიღება-დათხოვნის საკითხის სასარეწო-საქარხნო კომისიებისათვის გადაცემის შესახებ, მაგრამ სამხარეო კომიტეტმა დაპირება არ შეასრულა. ნავთის მრეწველებმა იჩივლეს ოზაკომში და ბურჟუაზიულ მთავრობას მოსთხოვეს მათი ინტერესების დაცვა[2]. გვოზდევმა, ცხადია, მრეწველების მხარე დაიკავა. მოაწერეს რა ხელი კოლხელშეკრულებას, მრეწველები ისევ ჯიუტობდნენ და აყოვნებდნენ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებას.

სასარეწო-საქარხნო კომისიების მორიგ კონფერენციაზე, რომელიც ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეიკრიბა, ა. ჯაფარიძემ ამხილა სამხარეო საბჭოს, ოზაკომის, გვოზდევის მაქინაციები, მათი ფარული მხარდაჭერა ნავთის მრეწველებისადმი, და ბაქოს პროლეტარიატს მოუწოდა ახალი იერიშებისათვის მომზადებულიყვნენ.

საგაფიცვო კომიტეტის სახელით კონფერენციაზე ა. ჯაფარიძემ შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა: 1) პროტესტი გამოეცხადებინათ ოზაკომის მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ,

---

[1] „Бакинский рабочий" № 62, 6 ოქტომბერი.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 1471, ს. 13, გვ. 181.

2) არ დაეშალათ საგაფიცვო კომიტეტი, 3) ვადა მიეცათ ოზაკომისათვის — გაეტარებინა დეკრეტით ის დაპირებანი, რაც გაფიცვის დღეებში გაიღო. რეზოლუცია ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა[1].

კაპიტალისტები შემთანხმებლების მხარდაჭერით ისევ თავისას იჟინებდნენ. მაგრამ ბაქოს პროლეტარიატი, რომელმაც სექტემბრის გაფიცვით უკვე შეძლო თავისი რიგების საბრძოლო დათვალიერება, ემზადებოდა გადამწყვეტი შეტევისათვის, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

* * *

ბაქოს გმირულ პროლეტარიატს რევოლუციურ ბრძოლაში მხარში ედგნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის მუშები. ამიერკავკასიის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში საგაფიცვო მოძრაობამ თავი იჩინა მაისის თვიდან, როცა მუშებისათვის ცხადი გახდა, რომ რევოლუციამ მათი ეკონომიური მდგომარეობა არ გააუმჯობესა და ძალაში დასტოვა კაპიტალისტთა ძალაუფლება.

მართალია 8 საათიანი სამუშაო დღე „პრინციპში“ აღიარებულ იქნა საბჭოების დადგენილებით, მაგრამ იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოვრებაში არ გატარებულა. მეწარმეები ხელშეუხლებელნი დარჩნენ. მათი თვითნებობის ალაგმვას საბჭოები ვერ ახერხებდნენ. მომრიგებელი კამერები უსუსურნი, ხოლო ხშირ შემთხვევაში მეწარმეთა ნება-სურვილის გამტარებელნი იყვნენ, ხელფასი მათხოვრული რჩებოდა, სიძვირე და სპეკულაცია იზრდებოდა ყოველდღიურად. ასეთ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ „სოციალისტები“ (მენშევიკ-ესერები) მუშებს ყურს უჭედდნენ — ნუ ღუპავთ რევოლუციას და გაფიცვებს ნუ მიმართავთო, მუშებს არ ჰქონდათ სხვა გამოსავალი. ერთსულოვან ორგანიზებულ გაფიცვას შეეძლო წარმოების მეპატრონეთა ჯიუტობის დაძლევა.

პირველ გაფიცვას რევოლუციის შემდეგ ადგილი ჰქონდა თბილისში ადელხანოვის ფაბრიკასა და სამრეცხაო-სამღებრო ქარხნებში. აქ მუშათა მდგომარეობა მართლაც რომ მონური იყო. ჯოჯოხეთურ პირობებში მუშები 16—18 საათს მუშაობდნენ და გასამრჯელოთ გროშებს იღებდნენ. „ყველას აუტანელ პირობებში გვიხდება შუშაობა. დილის 6 საათიდან ღამის ათ საათამდე ვმუშაობთ და ხანდისხან კიდევ მეტს. ყოფილა შემთხვევა, თეატრიდან გამოსული ხალხი შეჩერებულა ფანჯრებთან და ჩვენი მუშაობისათვის გაკვირვებით დაუწყია ცქერა... მოგება უკეთესი არ შეიძლება, ესენი (წარ-

[1] „Бакинский рабочий“ № 64, 11 ოქტომბერი.

მოების მეპატრონენი) როშ იგებენ, მაგრამ მუშებს თვალებს უბრმავებენ — ტირიან ვითომ არაფერი რჩებათ. მუშა ქალს მთელი დღის მუშაობის გასამრჯელო ეძლევა 1 მ. და 70 კაპ. ამ საზღაპრო ძვირობის დროს რას ნიშნავს 1 მ. და 70 კაპიკი?"[1]—ჩიოდა მუშა ქალი გაზეთის ფურცლებზე.

გაფიცულმა მუშებმა მოითხოვეს სამუშაო დღის ნორმირება, ხელფასის მომატება. მეპატრონენი ყოყმანობდნენ, მაგრამ ბოლოს, მუშათა ორგანიზებულობისა და დაჟინებითი მოთხოვნის წინაშე ქედი მოიხარეს — შეამცირეს სამუშაო დღე, მოუმატეს ხელფასი. გაფიცვა შეწყდა.

1 მაისს, დღესასწაულის წინ, ჰიათურის მაღაროების მუშების საგაფიცკო კომისიამ შეიმუშავა მოთხოვნილება და წარუდგინა ადმინისტრაციას. თუ ადმინისტრაცია ამ მოთხოვნებს არ შეასრულებდა, მუშები გაფიცვით იმუქრებოდნენ. ისინი მოითხოვდნენ 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, ზედმეტი სამუშაოების აკრძალვას, ხოლო თუ ის აუცილებელი იქნებოდა, ერთნახევარი ნორმით ანაზღაურებას, დღესასწაულისა და კვირა დღეებში მუშაობის აკრძალვას, 15 წლის ასაკს ქვევით მაღაროში მუშაობის დაუშვებლობას, ანგარიშგასწორების წიგნაკების შემოღებას, „ხაზეინებისაგან" მუშებისადმი თავაზიან მოპყრობას, მაღაროების ახლო ჰიგიენური საცხოვრებლების მოწყობას გათბობითა და განათებით, მუშების მიღებისა და დათხოვნის საქმის მუშათა კომიტეტებისათვის გადაცემას[2], მუშების დაზღვევას მრეწველთა ხარჯზე და სხვ. მუშებმა ამ მოთხოვნების შესრულების ვადათ 29 აპრილი დააწესეს.

მრეწველებმა იჩივლეს. საქმეში ჩაერია ჰიათურის მუშათა დეპუტატების საბჭო. მუშებმა უარი რომ მიიღეს, გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვით დამფრთხალმა მრეწველებმა იკისრეს მოთხოვნების ყველა პუნქტების შესრულება, გარდა 11 და 19 პუნქტებისა (მუშების მიღება-დათხოვნის მუშათა კომიტეტებისათვის გადაცემა, მუშათა დაზღვევა მრეწველების ხარჯზე).

გაფიცვა 2 მაისამდე გრძელდებოდა. საქმეში ჩაერივნენ საბჭოს შემთანხმებელი დეპუტატები. მრეწველებმა მიიღეს მუშათა მოთხოვნების უმრავლესობა. 2 მაისს გაფიცვა შეწყდა[3].

ივნისსა და ივლისში გაფიცვებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღეს. სამეურნეო ნგრევასთან, შიმშილობასთან და მრეწველთა საბოტაჟთან ერთად გაფიცვის მასობრიობას ხელი შეუწყო რუსეთის

[1] გაზ. „ერთობა" № 52, 21 მაისი.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 566, გვ. 3—4.

[3] იქვე.

უდიდეს სამრეწველო ცენტრებში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ.

ივნისის ბოლო რიცხვებში გაიფიცნენ თბილისის კლუბებისა და რესტორნების მოსამსახურეები. მათ მხარი დაუჭირეს ელექტრო-სადგურის მუშებმა. ამავე თვეში სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის ხელმძღვანელობით გაფიცვები დაიწყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, დანდუროვის, ჩილინგაროვის, პოპოვისა და როტინოვის სავაჭროებში.

ივნისის ბოლო რიცხვებში თბილისში გაიფიცნენ პურისმცხობელი მუშები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 29 ივნისის სხდომაზე განიხილა საკითხი პურისმცხობელთა გაფიცვის შესახებ. მან გაფიცვას მხარი არ დაუჭირა. მუშებს მოუწოდა მუშაობა დაეწყოთ[1].

სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში წარმოებებსა და დაწესებულებებში გაფიცვები ხშირი და ხალხმრავალი გახდა. გაიფიცნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები. გაფიცულ მუშებს ენერგიულ დახმარებას უწევდნენ ის პროფესიული კავშირები, სადაც ბოლშევიკების გავლენა სჭარბობდა. მაგალითად, თბილისის გაიდამაკინის კონვერტის ფაბრიკაში მთელი სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლა მეპატრონეებსა და მუშებს შორის, „გაფიცვა უკვე გრძელდება 3 თვეს, — წერდა გაზეთი „ბრძოლა“ ამ ფაბრიკის მუშათა შესახებ, — ამ ხნის განმავლობაში პროფესიული კავშირი აძლევს დახმარებას გაფიცულებს, რაც შესამჩნევად დააჩნდა კავშირის ისედაც ღარიბ ქონებას. ბ-ნი გაიდამაკინი კი, როგორც ჩანს, სრულებით იზიარებს რუსეთის იმ მრეწველთა ტაქტიკას, რომლებიც განგებ ხურავენ ქარხნებს, რომ ამნაირად სისრულეში მოიყვანონ რიაბუშინსკის მიერ წარმოთქმული სიტყვები ვაჭარ-მრეწველთა სიეზდზე — „შიმშილის გამხმარი ხელები ჩააბშობს რევოლუციას“[2].

მუშათა საგაფიცვო მოძრაობა გაიშალა ერევნის, ალექსანდროპოლის, ალავერდის საწარმოებში. გაზაფხულზე გაიფიცნენ სტამბა „ლუის“-ის და ელექტროკამპანია „ამპერ“-ის მუშები, რომელთაც მეწარმეები სასტიკად ჩაგრავდნენ და აძლევდნენ მათხოვრულ ხელფასს, რასაც სომხეთში არსებული სიძვირის პირობებში მუშათა მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეეძლო. მაისში გაიფიცნენ სამომხმარებლო საზოგადოება „ეკონომიას“ მუშა-მო-

---

[1] გაზ. „Известия Тбилисского Совета раб. и солд. депутатов“ № 77.
[2] გაზ. „ბრძოლა“ № 16, 17 სექტემბერი, 1917 წ.

სამსახურეები, შუსტოვის ღვინო-კონიაკის ქარხნის მუშები. მათ მოითხოვეს ხელფასის მომატება[1].

ალავერდის ქარხნის მუშებმა ბოლშევიკების მეთაურობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ადმინისტრაციასთან ბრძოლაში. მუშათა ეკონომიურ გაფიცვებს ადგილი ჰქონდათ ალექსანდროპოლში. ერევანში იელისის თვეში მოეწყო მშრომელთა დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო პირველმოთხოვნილების საგნებზე. სპეკულაციური ფასების დაწესებისა და ვაჭართა თვითნებობის წინააღმდეგ[2].

ბაქოში მაისი—ივნისის თვეში გაიფიცნენ მირზაბეკიანის ლითოგრაფიის მუშები[3], თამბაქოს ფაბრიკის მუშები[4], ბაქოს რაიონის შექვაბეები და მემოქლონეები[5]. ივნისის თვეში ჩორნი გოროდის 20 სახელოსნოს და დამხმარე მეურნეობის მუშებმა (800 კაცმა) გამოაცხადეს გაფიცვა და ფირმებს წაუყენეს ეკონომიური მოთხოვნები[6]. იელისში გაფიცვა გამოაცხადეს ფირმა „მოლოტის“ მუშებმა, აგვისტოში — ბაქოში დაიწყო მბეჭდავთა საყოველთაო გაფიცვა[7]. ზაფხულსა და შემოდგომაზე გაფიცვის არა ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ნუხის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკებში, კასპიის ფლოტილიის მეზღვაურთა შორის და სხვ.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის საბრძოლო აქტიობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი ბაქოს პროლეტარიატის ორგანიზებულმა გაფიცვამ სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში. თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ალავერდის, ერევნის წარმოებების, ნუხის ფაბრიკების მუშები აღტაცებული იყვნენ ბაქოს მუშების შეუპოვრობით. მუშათა კრებებსა და მიტინგებზე გამოქონდათ ბაქოელი თანამოძმეებისადმი მხარდაჭერის რეზოლუციები, უგზავნიდნენ მილოცვას გაფიცულებს. ოქტომბრის თვეში გაიფიცნენ თბილისის ზე-ტყის სახერხი ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკის მუშები, ჭიათურელი მემაღაროელები, აფთიაქის მუშა-მოსამსახურეები, სახალხო სახლის მომსახურე პერსონალი და სხვ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა შორის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიკურ პარტიას უპრავლესობა

---

[1] А. М. Эльчибекян. Установл. Советской Власти в Армении.
[2] იქვე.
[3] „Известия Бакинского Совета“ № 42.
[4] Проф. Вестник г. Баку № 1.
[5] „Известия Бакинского Совета“ № 51.
[6] იქვე. № 76.
„Известия Бак. Совета“, № 110.

ჰყავდა. ამის შედეგი იყო ის დიდი ცვლილება რკინიგზის მუშათა კადრის შემადგენლობაში, რაც ომის წლებში მოხდა. მუშები უჯერებდნენ რა მენშევიკ ნაფიც ორატორებს, გულწრფელად ვარაუდობდნენ, რომ გაფიცვა „რევოლუციას ავნებდა“, სამეურნეო ნგრევას კიდევ უფრო გააღრმავებდა და ამიტომ ითმენდნენ, მიუხედავად იმისა, რომ აუტანელი პირობები ჰქონდათ. რევოლუციის შემდეგ რკინიგზაში ცარიზმის დროინდელი პირობები და წესები უცვლელი დარჩა. გაზ. „ბრძოლა“ სამართლიანად შენიშნავდა: „რით შეიცვალა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრება რევოლუციის შემდეგ? დიდად არაფრით. მთელი უფროსი პერსონალი შედგებოდა ზნეობით გახრწნილ ბიუროკრატ ჩინოვნიკებისაგან, რომლებიც გადაჯაჭვული იყვნენ ჟანდარმებთან და მაძებარ პოლიციელებთან და ერთად განაგრძობდნენ მოსამსახურეთა შევიწროებას. რევოლუციის პირველ დღეებში დროებითმა მთავრობამ ჟანდარმერია გადააყენა, ხოლო რეაქციონერი ჩინოვნიკობა თავის ალაგზე დასტოვა, რომლებიც ძველებურად განაგრძობენ თავის ბნელ საქმეებს.

რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა პირობები ძველებურად ფეხქვეშ გათელილია და ამით აიხსნება ის, რომ რევოლუციის შემდეგ მათთვის არავითარი შეღავათი არ მიუციათ. ასე რომ მოსამსახურეების ბედიღბალს ისევ ბიუროკრატიული ჩინოვნიკობა განაგებს“[1].

რუსეთის რკინიგზაზე სექტემბერში იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ, რამაც ამიერკავკასიის რკინიგზელ მუშათა ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა. დაიწყო მზადება გაფიცვისათვის, მაგრამ მენშევიკებმა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა გაფიცვის საწინააღმდეგოდ ენერგიული აგიტაცია გააჩაღეს. ქუთაისის რკინიგზის ადგილობრივმა აღმასრულებელმა მენშევიკურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება „ყოველგვარი ეკონომიური გაფიცვა ასეთ მძიმე დროს ჩაითვალოს დამღუპველად და დაუშვებლად. რეკომენდირებული გაფიცვა არ ითვალისწინებს მომენტს, ამიტომ მას არ შეიძლება დაეთანხმოს რკინიგზის შეგნებული დემოკრატია“[2].

მენშევიკებმა და სხვა შემთანხმებლურმა პარტიებმა მიაღწიეს იმას, რომ ჩაშალეს ამიერკავკასიის რკინიგზელთა მონაწილეობა რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვაში.

მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელობას საქართველოში და სომხეთში, ისე როგორც ბაქოში, ახორციელებდნენ

---

[1] გაზ. „ბრძოლა“ № 20, 15 ოქტომბერი.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 22, ს. 5582, გვ. 21—22.

კომუნისტები. ისინი სათავეში ედგნენ მუშათა საგაფიცვო კომიტეტების საქმიანობას, ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ წარმოების მეპატრონეთათვის წარსადგენი მოთხოვნების შემუშავებაში, ატარებდნენ წინასწარ მუშაობას, რათა გაფიცვას ძტკიცე ორგანიზებული ხასიათი ჰქონოდა. კომუნისტები პირადი მაგალითით ნერგავდნენ შეუპოვრობის ჩვევებს გაფიცულთა შორის, ამავე დროს მეთაურობდნენ გაფიცულთა ურთიერთდახმარების, ორგანიზაციის საქმეს.

საგაფიცვო მოძრაობაში კომუნისტ მუშებს შეჰქონდათ პოლიტიკური მოთხოვნები. ისინი მუშებს განუმარტავდნენ, რომ შეუძლებელია მეწარმეთა თვითნებობის ალაგმვა მანამ, ვიდრე არსებობს ბურჟუაზიული ხელისუფლება. მუშების ამოცანა პირველ რიგში უნდა იყოს მთელი ხელისუფლების გადაცემა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსათვის. საბჭოდან შემთანხმებლური პარტიების გახდევნა და მისი შევსება კომუნისტებით.

კომუნისტი მუშების აგიტაციას საუკეთესო შედეგები მოჰყვა. ოქტომბრის თვეში საგაფიცვო მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

იგი თავს იჩენდა ხოლმე როგორც თბილისის წარმოებებსა და დაწესებულებებში, ისე საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებში. ამასთანავე აღსანიშნავია ფრიად საყურადღებო მოვლენა: თუ აქამდე მუშათა გაფიცვები ეკონომიურ ხასიათს ატარებდნენ, ოქტომბერ-ნოემბერში უკვე იწყება მობრუნება. გაფიცვები თანდათან იღებდნენ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ხ ა ს ი ა თ ს. ეს, ამავე დროს, ბაქოს მუშათა ორგანიზებული გამოსვლის უშუალო გავლენა იყო. ჯერ კიდევ სექტემბერში თამბაქოს ფაბრიკების მუშებმა თავიანთ საერთო კრებაზე ერთსულოვნად მოითხოვეს თბილისის საბჭოსაგან თამბაქოს ფაბრიკების კონფისკაცია იმ შემთხვევაში, თუ ფაბრიკების ადმინისტრაცია გაჟინიანდება და ანგარიშს არ გაუწევს მუშათა მოთხოვნებს.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის მზარდი რევოლუციური ბრძოლა იმას მოწმობდა, რომ შემთანხმებლური პარტიების პოლიტიკა მუშათა მასებში თანდათან კარგავდა გავლენას. მუშათა მასები თანდათან ირაზმებოდნენ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

მუშათა შორის ბოლშევიკური გავლენის ზრდა მენშევიკთა შორის შეშფოთებას იწვევდა. ისინი ალაპარაკდნენ „მუშების გახრწნაზე“ და „ხრწნის“ თავიდან ასაცილებლად ახალახალი ღონისძიებანი გამოიმუშავეს. მენშევიზმის ლიდერი კავკასიაში ნ. ჟორდანია თანამოაზრეებს ჯერ კიდევ სექტემბერში აფრთხილებდა — ჩვენი ტაქ-

ტიკა ამჟამად ისე უნდა ავაგოთ, რომ „მუშათა მასები ჩამოვაცილოთ ბოლშევიკურ გავლენას, რასაც იგი მოუცავსო“[1].

წვრილბურჟუაზიულ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოსა და თბილისში მენშევიზმს, რომელსაც, „ბრძოლას“ სიტყვებით რომ ვთქვათ „ძლიერების ტახტი ჰქონდა დადგმული“, საფუძველი ერყეოდა. მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებოდნენ ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგის სისწორეში და ამ ლოზუნგის განსახორციელებლად ირაზმებოდნენ. ცხადია, პროლეტარიატის რიგებში ჯერ კიდევ საკმაო ნაწილი შემთანხმებლობასთან გულდადობის ვითარებაში იმყოფებოდა, მაგრამ მათი პოზიცია მტკიცე აღარ იყო. ისინი მერყეობდნენ. მათი რიგები ყოველდღიურად იშლებოდა და მცირდებოდა. სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმია ივსებოდა ახალი კადრებით.

2. ამიერკავკასიის გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მემამულეთა მიწათმფლობელობა ხელუხლებელი დარჩა. უმიწაწყლო გლეხობა იძულებული იყო ძველებურადვე მემამულეებისათვის მიემართა და მიწის დამუშავების უფლება კაბალურ პირობებში მოეპოვებია.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი გლეხობის საკითხში, ისევე როგორც ყოველგვარ საქმეში, მტკიცედ ატარებდა დროებითი მთავრობის რეაქციულ-მემამულურ ხაზს. იგი არც აპირებდა ხელი ეხლო მიწათმფლობელობის იმ სისტემისათვის, რომელიც ამიერკავკასიაში რევოლუციამდე არსებობდა. დროებითი მთავრობის 17 მარტის დეკრეტის (საუფლისწულო მიწების მიწათმოქმედების სამინისტროში გადასვლის შესახებ) საფუძველზე ოზაკომმა საუფლისწულო განყოფილებას დაავალა წარედგინა მისთვის მოხსენება ამიერკავკასიაში საუფლისწულო მამულების მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არსებითი ცვლილებანი ამ მეურნეობათა ორგანიზაციაში და მასში მომუშავე გლეხობის უფლებებში არ მოუხდენია. საუფლისწულო მამულების გლეხობა ძველებურადვე იხდი-

[1] Н. Жордания, „Моя дна года“, გვ. 40.

და გადასახადებს, საიჯარო ქირას და კაბალურ პირობებში მუშაობდა[1].

რევოლუციის შემდეგ, ამიერკავკასიაში ისევ გრძელდებოდა დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის არსებობა. 1912 წლის კანონი, როგორც ვიცით მეტისმეტად ნელა ხორციელდებოდა და გამოსყიდვის ოპერაციები ვალდებულთა მცირე პროცენტმა თუ ჩაატარა. გლეხობის დიდი ნაწილი კი იხდიდა მსხვილ თანხებს და მემამულეთა უღელ ქვეშ გმინავდა.

1917 წლისათვის მიწადმომწყობი კომისიის ცნობით ამიერკავკასიის ხუთ გუბერნიაში 6.184 აქტიდან გაფორმებული იყო 2.795 აქტი, ე. ი. 46%[2]. მეფის ნაცვლის კანცელარიის მონაცემებით ყოველწლიურად ამიერკავკასიის დროებით ვალდებულ გლეხებს გამოსასყიდი თანხის ანგარიშში უნდა შეეტანათ 902.559 მანეთი. აქედან თბილისის გუბერნიაზე მოდიოდა 163.361 მან. ქუთაისისაზე — 68.110 მ., ელიზავეტპოლისაზე—338.949 მ., ერევნისაზე—206.461 მან. ბაქოს გუბერნიაზე — 131.678 მან. ამავე დროს, დასაფარავი თანხები ზაქათალის, დაღისტნის ოლქების დამოკიდებული გლეხებისაგან ყოველწლიურად შეადგენდა 28.838 მანეთს[3]. ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს სახელმწიფოს ფინანსიური კრიზისის პირობებში მეტისმეტად ეძნელებოდა ამ თანხებზე ხელის აღება. ამიერკავკასიაში სამიწათმომწყობო კომისიის წევრი ზერცალოვი თავის მოხსენებაში ოზაკომისადმი წერდა, რომ „საერთო ჯამი იმ დანაკარგისა, რომელიც მოუვა სახელმწიფო ხაზინას, თუ გაუქმდება გამოსასყიდი თანხების შეტანა ამიერკავკასიელ გლეხებისა და სხვა

---

[1] ამიერკავკასიაში ამ დროისათვის მრავალი მსხვილი საუფლისწულო მამული არსებობდა. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: ჩაქის საუფლისწულო მამული, რომელსაც 13.050,17 დესეტინა ეკავა, 114 მუდმივი მუშა ემსახურებოდა, ხოლო ყოველწლიურად 500—1000 კაცს ქირაობდა; წინანდლის საუფლისწულო მამული, 801,99 დესეტინა მიწით. მამულს მუდმივად ემსახურებოდა 124 კაცი. დაქირავებულნი—50—150-მდე. ნაფარეულის საუფლისწულო მამული 11 195,42 დესეტ. მიწით და 84 მუდმივი მუშით. მუკუზნისა—1.503,50 დესეტინა მიწით; „ვაჩევისა" (შორაპნის მაზრაში) 42,05 დესეტინა მიწით. გიაღრ არხაკის (ბორჩალოს მაზრაში) 15.218 დესეტინა მიწით. კარაბალისა (ბორჩალოს მაზრაში) 26.718 დესეტ. მიწით. და მრავალი სხვ. ოზაკომს ამ მსხვილ საუფლისწულო მეურნეობათათვის ხელი არ უხლია. საუფლისწულო უწყება მამულებს რევოლუციამდელი წესებით მართავდა. გლეხების და დაქირავებული მუშების საჩივარს არავინ ყურს არ უგდებდა. ამიტომ აპრილ-მაისის თვიდან საუფლისწულო მამულებში დაიწყო გლეხების მიერ მიწების მასობრივი დატაცება. (საუფლისწულო მამულების შესახებ ცნობები იხ. საქ. სსრ ორსა, ფ. 723 ს. საქმე 64, გვ. 15—27).

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 387, გვ. 265.

[3] იქვე, გვ. 266.

მცხოვრებლებისაგან, შეადგენს 23.000.000 მანეთს, ხოლო ყოველწლიურად ხაზინას დააკლდება დაახლოებით 937.000 მანეთიო"[1].

მაგრამ გლეხობა, ყურს აღარ უგდებდა რა ბურჟუაზიულ მთავრობას, თვითვე აუქმებდა ბატონყმური ურთიერთობის ამ ნაშთს, რომელიც მხოლოდ ამიერკავკასიაში იყო შემორჩენილი. მას აღარ შეჰქონდა გამოსასყიდი ვალები, ხოლო მთავრობა უძლური იყო გლეხობისაგან ეს თანხები აშკარად მოეთხოვა. თუ როგორი იყო გლეხობის გადამხდელ-უნარიანობა 1917 წელს, ჩანს ქუთაისის გუბერნიის საგადასახადო ინსპექტორების ყრილობის მასალებიდან. ეს ყრილობა მოწვეული იყო 1917 წლის აგვისტოში[2] იმის გასარკვევად, თუ რატომ არ იკრიბება გადასახადები მოსახლეობისაგან და რა ზომები უნდა იქნას მიღებული გადასახადების ამოქაჩვისა და სახელმწიფო სალაროს შესავსებად. ყრილობაზე ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატის მმართველმა ციფრებით უჩვენა ის კატასტროფული მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდნილი იყო სახაზინო პალატა.

გადასახადების დასახელება (მანეთებში)	1916 წელი				1917 წელი			
	აპრილი	მაისი	ივნისი	სულ სამი თვისა	აპრილი	მაისი	ივნისი	სულ სამი თვისა
სახაზინო გადასახადი . .	60317	55306	57523	173146	18262	9863	16.195	44.320
საერობო გადასახადი . . .	14789	24049	28208	67046	6.566	2341	5.449	14 356
გამოსასყიდი გადასახადი . .	2839	5328	9878	18046	314	3	143	460
ს უ ლ .	77995	84683	95610	258238		—	—	—

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ გლეხობის მიერ გადასახადის გადახდისუნარიანობა 1917 წელს გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე 1916 წელს. ქუთაისის გუბერნიის გლეხობას 1917 წ. აპრილს, მაისსა და

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 387, გვ. 265.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. საქ. 806, გვ. 2—3.

ივნისში უნდა გადაეხადა (სახაზინო, საერობო, საღალო გამოსაღები გამოსასყიდი ვალები, სამხედრო გადასახადი) 87.161 მანეთი. გადაიხადა ამ ხნის განმავლობაში 3.452 მანეთი, ანუ 25-ჯერ ნაკლები[1]. რაც შეეხება გამოსასყიდი თანხების დაფარვას, აქ ხაზინისათვის პირდაპირ სავალალო მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. როგორც ჩანს, გლეხობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ საკუთარი ინიციატივით ზედმეტად თვლიდა ბატონყმურ ვალდებულებათა მოხდა გაეგრძელებინა. მან თითქმის საესებით შეწყვიტა თანხების შეტანა. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში.

ამრიგად, მოსახლეობამ თვითვე გააუქმა დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის ნაშთები ამიერკავკასიაში, რადგან მან შესწყვიტა გადასახადების შეტანა და „ნადელს“ დაეპატრონა. (თუმცა, ბევრგან გლეხობა ისევ იხდიდა ამ „ვალდებულებას“. ოზაკომის სახელზე დეპეშაში ზუგდიდიდან ნათქვამია: „1912 წლის კანონით დაწესებული გადასახადების აკრეფა გლეხობაში იწვევს აღშფოთებას. მოსალოდნელია არეულობანიო“)[2]. მაშინ როცა გლეხობა უარს ამბობდა ყოველგვარ მემამულურ ვალდებულებებზე და მიწების უსასყიდლოთ გადაცემას მოითხოვდა, ოზაკომს არ შეეძლო აშკარად ებრძოლა ფეოდალური ურთიერთობის იმ ნაშთების შესანარჩუნებლად, რაც თვით ცხოვრებამ წალეკა. ამიტომ ოზაკომმა 1917 წლის 7 ივლისს სპეციალურ სხდომაზე განიხილა რა დროებით ვალდებულთა გამოსასყიდი თანხების გაუქმების საკითხი, დროებითი მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა სასწრაფოდ, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, გამოცემული ყოფილიყო საკანონმდებლო აქტი ვალდებული გლეხების შესახებ, შეწყვეტილიყო თანხების შეტანა და არ აეკრიბათ ის ნარჩენი თანხები, რაც გლეხობაზე ირიცხებოდა 1917 წლ. 1 ივლისამდე[3].

მემამულეებსა და მოიჯარე გლეხობას შორის ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავებამ, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი აიძულა აგრეთვე მიწათმოქმედების სამინისტროსათვის წარედგინა ამიერკავკასიაში ნატურალური იჯარის მოგვარების პროექტი. ამასთანავე, კომიტეტი თავის შუამდგომლობაში დასძენდა, რომ ეს ღონისძიება გამოწვეულია ამიერკავკასიაში მუშახელის, ინვენტარის, თესლის უზომო

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. საქ. 806, გვ. 2—3.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. საქმე 806, გვ. 2—3.

[3] იქვე, საქმე 387, გვ. 264—269.

გაძვირებით, რაც ყველაზე მეტად მწარმოებელ მოსახლეობას აწვებაო. პროექტით ნატურალური იჯარის ოდენობა დაწეული უნდა ყოფილიყო ერთი საფეხურით ქვევით, ე. ი. ნაცვლად 1/4-ისა—ერთი მეხუთედი, ნაცვლად 1/5-ისა—1/6 და ა. შ. მაგრამ არა ნაკლებ ერთი მეათედისა. მიწათმფლობელებს უფლება ჰქონდათ ნატურალური იჯარა შეეცვალათ ფულადით, ოღონდ წილხვდომილი პროდუქტის ფულადი შეფასება უნდა მომხდარიყო საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების მიერ დადგენილი ფასების მიხედვით[1].

აი ის ორი ღონისძიება, რაც ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებულმა მიწათმოწყობის კომისიამ მოამზადა და ოზაკომმა გადასაწყვეტად დროებით მთავრობას მიანდო. ორთავე ეს ღონისძიება მიმართული იყო ამიერკავკასიაში აგრარული კონფლიქტების შემსუბუქებისაკენ და გლეხთა მოძრაობის აქტიურობით იყო ნაკარნახევი. დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას ეს ღონისძიებანი არც კი დაუმტკიცებია, მაგრამ ისინი ცხოვრებამ დააკანონა.

1917 წლის 21 აპრილს ამიერკავკასიაში ოზაკომთან შეიქმნა სამხარეო სამიწათმოქმედო კომიტეტი, რომელიც შემუშავებული დებულების მიხედვით მიზნად ისახავდა სამიწათმოქმედო რეფორმის მომზადებას და დროებით, გადაუდებელ ღონისძიებათა შემუშავებას ამიერკავკასიაში მიწათმოწყობის მოსაწესრიგებლად[2]. ამავე დროს ამიერკავკასიაში შეიქმნა საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო, საუბნო და სათემო სამიწათმოქმედო კომიტეტები[3]. როგორც მთავარი კომიტეტი, ისე მისი ადგილობრივი ორგანოები არაფერს აკეთებდნენ მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრისათვის. მოქმედებდნენ რა ბურჟუაზიული მთავრობის ცირკულარების მიხედვით, ეს კომიტეტები ყველა ზომას მიმართავდნენ, რომ სოფლებში აგრარული „უწესობანი" თავიდან აეცილებინათ. ეხმარებოდნენ რა მემამულეებს ძველებურად აეღოთ გლეხებისაგან ღალა-ბეგარა და იჯარა, ისინი გლეხებს ამშვიდებდნენ დამფუძნებელი კრებით. ერთი სიტყვით, სამიწათმოქმედო კომიტეტები გადაიქცნენ ბურჟუაზიული ხელისუფლების ისეთ ორგანოებად, რომლებიც არა თუ წყვეტდნენ მიწათმფლობელობის საკითხს მშრომელი კლასების სასარგებლოდ, არამედ ხელს უწყობდნენ ძველი, დრომოჭმული ნახევრად ფეოდალური ურთიერთობის შენარჩუნება-განმტკიცებას.

რევოლუციის პირველ დღეებში გლეხებს იმედი ჰქონდათ, რომ

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 387, გვ. 362.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, საქ, 832, გვ. 1.

[3] იქვე.

მემამულეებთან კონფლიქტის შემთხვევაში ახალი მთავრობა მათ ინტერესებს დაიცავდა. ისინი განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე გზავნიდნენ თხოვნის ბარათებს, სადაც აღწერილი იყო მემამულეთა თვითნებური, უკანონო მოქმედებანი. გლეხები თხოვდნენ მთავრობას საქმეში ჩარეულიყო და მემამულეები აელაგმა, მაგრამ ამ თხოვნას არავითარი ფასი არ ჰქონდა. განსაკუთრებული კომიტეტი მათ ზოგჯერ სრულებით არ აქცევდა ყურადღებას, ხოლო ზოგჯერ თავის წარმომადგენელს თუ გზავნიდა, იმისათვის, რომ ხალხი დაპირებებით დაემშვიდებინა. გლეხების საჩივართა სიხშირით თავმობეზრებული განსაკუთრებული კომიტეტი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სახელზე დირექტივებს გზავნიდა და ავალებდა მათ ჩაეტარებინათ მუშაობა სოფლად ხალხის დასამშვიდებლად. მაგალითად: ბორჩალოს რაიონის სოფ. ციცკლას გლეხების თხოვნა — მიეცათ მათთვის მემამულეთა მიერ უკანონოდ მითვისებული მიწები — „ოზაკომმა“ არ შეიწყნარა, ხოლო ბორჩალოს რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს 1917 წ. 5 ივნისის თარიღით გაუგზავნა შემდეგი განკარგულება:

„ბორჩალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

კომიტეტს ვთხოვ მოახდინოს განკარგულება, გამოუცხადოს ბორჩალოს რაიონის არხანლინსკის საზოგადოების სოფ. ციცკლის მცხოვრებთ მათ მიერ ა. წ. 30 მაისს შეტანილი თხოვნის საპასუხოდ, რომ კერძომფლობელობითი მიწების გლეხთა საზოგადოებების ხელში გადაცემა შეადგენს დამფუძნებელი კრების კომპეტენციას და ამიტომ მათი შუამდგომლობა არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას. ამასთანავე, კომიტეტს ვთხოვ მიავლინოს თავისი წარმომადგენელი, რათა დაარწმუნოს ხსენებული გლეხები, რომ რუსეთის ყველა მოქალაქის მოვალეობას წარმოადგენს დაიცვას სახელმწიფო წესრიგი, თავი შეიკავოს თვითნებობიდან, თვითნებური დატაცებისაგან და დაუცადოს დამფუძნებელ კრებაზე მიწის საკითხის გადაწყვეტასო“[1].

ეს განკარგულება ტიპიური დოკუმენტია. მასში ნათლად მოჩანს ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკა გლეხთა საკითხში.

რევოლუციისაგან მშრომელი გლეხობა მიწას და თავისუფლებას მოელოდა, მაგრამ სინამდვილეში ვერცერთი ვერ მიიღო. მემამულეები და სოფლის ბურჟუაზია — კულაკები გლეხს წინანდებურად სწოვდნენ სისხლს. მთავრობა კი მას ურჩევდა ეთმინა... დამფუძნებელ კრებამდე. ხვნა-თესვა კარზე იყო მიმდგარი. გლეხი კარგად

[1] გ. ბაქაური ძე, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოში.

ხედავდა, რომ, თუ ახლა არ დათესდა ყანას, შემდეგ მას არც მთავრობა, არც დამფუძნებელი კრება არაფერს მისცემდა და მარტის თვიდანვე, რევოლუციის მხარდაჭერით წათამამებულმა ღარიბმა გლეხებმა დაიწყეს მემამულეების, საუფლისწულო, სამონასტრო, სახაზინო მიწების დატაცება და დამუშავება.

აპრილის დამდეგს მუხრანის საუფლისწულო მამულის გლეხებმა ხელი მიჰყვეს მიწების თვითნებურ დამუშავებას[1], ასევე მოიქცნენ ჩაქვის საუფლისწულო მამულის გლეხები ორთაბათუმიდან. მათ მამულის ტერიტორიაზე სიმინდის ყანები დათესეს. გლეხები აცხადებდნენ, რომ აღარ ემორჩილებიან ძველ რეჟიმს, რომ რევოლუციამ მათ მისცა მიწა და სხვ. საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციამ გლეხები სასამართლოს გადასცა[2]. ბორჩალოს მაზრის სოფელ სარჩაპეტის გლეხობამ აღძრა საჩივარი კარაკლისის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციის წინააღმდეგ და მოითხოვა საძოვრები გადაეცათ მათთვის ხელმისაწვდომ ფასებში. ამიერკავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორმა ეს საჩივრები უკანონოდ სცნო და დაიცვა ადმინისტრაციის უფლებები[3]. მსხვილი მემამულე ცატუროვი პაპაჯანოვს და ერევნის აღმასრულებელ კომიტეტს 6 აპრილს უდეპეშებდა „ნოვობაიაზეთის მაზრაში საუფლისწულო მამულში აგრარულ „უწესოებათა“ შესახებ. — გლეხებმა თვითნებურად დაიტაცეს მიწები, მოხნეს და დათესეს, ადმინისტრაცია უძლურია დაიცვას მამულის მეპატრონეთა უფლებებიო — ჩიოდა ცატუროვი“[4].

საყანე მიწების, საძოვრების დატაცება მასობრივ მოვლენად იქცა ერევნის, ალექსანდროპოლის გუბერნიებში. აზერბაიჯანელმა გლეხებმა ბატონყმური ურთიერთობის ვალდებულებათა შესრულებაზე უარი განაცხადეს, ისინი დაეპატრონენ სახნავ მიწებს, საძოვრებს, წყალსაჩაჩებს. ნუხის მაზრაში სოფ. ზეიზიტის გლეხებმა მაისში ხელთ იგდეს წყალი, რომელსაც მანამდე ბეგები ფლობდნენ. გლეხებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს დამსჯელ რაზმს, რომელიც გუბერნიის კომისრის მიერ იყო გაგზავნილი. შულავრის სამაზრო კომისარი შეშფოთებით იუწყებოდა, რომ მოსახლეობამ შეიარაღებული ძალებით იგდო ხელთ კერძომფლობელობითი მიწები, საძოვრები, მათზე აღარ სჭრის ახსნა-განმარტება, ადგილობრივი ძალებით შეუძლებელია გლეხებისათვის წინააღმდეგობის გა-

[1] საჭ. სსრ ორსა, ფ. 723 ს. 64, გვ. 47.
[2] იქვე, გვ. 40—41.
[3] იქვე, გვ. 695.
[4] საჭ. სსრ ორსა, ფ. 7, ს. 43, გვ. 4—5.

წევა და სამხედრო ძალები მოგვაშველეთო[1]. ჩხენკელის სახელზე ჯულფიდან გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ გლეხებმა ხელთ იგდეს სარწყავი წყლის სათავეები და თვითნებურად მიწის დამუშავებას მიჰყვეს ხელიო. ადგილობრივი კომისარი მოითხოვდა სამხედრო ძალების საქმეში ჩარევას[2]. გუდაუთში ჯარისკაცებმა გლეხებს მოუწოდეს არ გადაეხადათ საიჯარო ქირა და მემამულის თანხმობის გარეშე მოეხნათ მიწები[3].

აპრილის დამდეგს სიღნაღისა და თბილისის მაზრებში დაიწყო სახაზინო ტყეების მასობრივი გაჩეხვა. ბორჯომის ტყეებში (რომელიც შეადგენდა მიხეილ ნიკოლოზის-ძის საკუთრებას მაიორატის უფლებით) გლეხებმა ხელი მიჰყვეს საშენი მასალების დამუშავებას და ნადირობას.

თავ. ციციანოვის „საციციანოს მთის“ სახელწოდების მამულში ზიზანთა პირობებში მცხოვრებმა გლეხებმა, რომელთაც 79 ათასი ჰექტარი მიწა ეკავათ, უარი განაცხადეს ეხადათ ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ. მათ მამულიდან გააძევეს ადმინისტრაცია და დაკავებული მიწები თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს.

გორის მაზრაში გლეხებმა მიწები წაართვეს ერისთავებს. აქვე მათ მამულებიდან გააძევეს კულაკი-მოიჯარადრენი, რომელნიც ღარიბ გლეხებზე იჯარით მიწას კაბალურ პირობებში აქირავებდნენ.

გლეხთა ერთსულოვანი მასობრივი მოქმედების ფაქტებს ადგილი ჰქონდა დუშეთის მაზრაში, ქუთაისის გუბერნიის მრავალ სოფელში.

მიწების დატაცებისას სოფლის ღარიბი მოსახლეობა ერთსულოვნად გამოდიოდა მემამულეებისა და ხელისუფლების ღონისძიებათა საპასუხოდ, კოლექტიური წინააღმდეგობის ხერხს მიმართავდა. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ დაბეჭდილია ასეთი ცნობა: „ამას წინათ ბორჩალოს რაიონში გლეხ თათართა მიერ მითვისებულ იქნა მემამულეთა მიწები.

დაზარალებულმა მემამულეებმა არაერთხელ მიმართეს სამაზრო კომისარიატს წინადადებით დაუყოვნებლივ დაეპატიმრებიათ დამტაცებელთა მეთაურები.

გაგზავნილ იქნა რაიონული კომისარი 50 შეიარაღებული მილიციონერისა და მოხალისის თანხლებით.

ამ სოფლის მოქალაქეებმა უარი სთქვეს გაეცათ მეთაურები იმ

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 28 ს. 32, გვ. 36.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 1472, ს. 462. გვ. 35.
[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 723 ს. 203, გვ. 5.

მოტივით, რომ მიწები დატაცებულია არა ცალკეულ პირთა მიერ, არამედ ამ სოფლის ყველა გლეხის მიერ.

კომისარმა არ დაუჯერა და დაჟინებით მოითხოვა მეთაურთა გაცემა.

მაშინ ყველა გლეხმა, თავიანთი ბავშვებითა და ცოლებით, თავი მოიყარეს კომისრის გარშემო და განუცხადეს მას: ჩვენ არ გვყავს მეთაურები. თუ გსურთ დამტაცებელთა დაპატიმრება, მაშინ ყველა ჩვენ დაგვაპატიმრეთ, ჩვენი ბავშვები და ცოლები, რადგან ეს მიწები დატაცებულია ჩვენი სოფლის ყველა გლეხის მიერ (ხაზი ჩემია — ა. ს.).

რაიონული კომისარი გაჩუმდა. იგი წავიდა, რომ მოახსენოს თავის უფროსს დამტაცებელ თათართა ამ გმირული გამოსვლის შესახებ"[1].

მემამულეები და სოფლის ბურჟუაზია შეშფოთებული იყვნენ გლეხთა ერთსულოვანი მოქმედებით. ისინი განსაკუთრებულ კომიტეტს, საგუბერნიო კომისარიატს თხოვდნენ მიეღოთ ენერგიული ზომები გლეხების ალაგმვისათვის.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე გაგზავნილ თხოვნაში აღნიშნავდა, რომ „მიწათმფლობელთა და გლეხთა შორის არსებული მწვავე ურთიერთობა მოსალოდნელია გადაიქცეს დიდ სახელმწიფო უბედურებად... ჩვენ ვთხოვთ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს მოაწყოს მთავრობის დახმარება იმ მიმართულებით, რომ მიწათმფლობელებმა მიიღონ კუთვნილი წილი მოსავლიდან და მიწის სჭიჯარო გადასახადი თავიანთი საკუთარი მიწებიდან, რომლებიც გლეხების სარგებლობაშია".

მემამულეები თავის საჩივრებში აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ მთავრობას გაეუქმებინა სოფლის საგლეხო კომიტეტების დადგენილებანი, გაეგზავნა სოფლად შეიარაღებული ძალა გლეხების „დასამშვიდებლად".

განსაკუთრებული კომიტეტი სრულებითაც არ ერიდებოდა, რამდენადაც ძალა შესწევდა, ურჩი გლეხების მიმართ მიეღო სასაგანგებო ღონისძიებანი. მოწოდებებთან, ახსნა-განმარტებებთან და დაპირებებთან ერთად იგი შეიარაღებული ძალების გამოყენებასაც მიმართავდა[2].

---

[1] „Кавказский рабочий" № 165.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 13 (ოზაკომის სხდომათა ოქმები).

საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო კომისრების სახელზე დაგზავნილ დირექტივებში გლეხთა მიერ მიწა-წყლის ხელში ჩაგდებისა და ტყეების თვითნებური გაჩეხვის შესაჩერებლად განსაკუთრებული კომიტეტი მოითხოვდა შეიარაღებული ძალების გამოყენებას.

„კანონის მთელი სისასტიკით დევნილ იქნან ის პირნი, რომელნიც დანაშაულს ჩაიდენდნენ თვითნებური მოქმედებით“ — ნათქვამია დირექტივაში, რომელსაც აზის ა. ჩხენკელის ხელმოწერა. კომიტეტის დირექტივებს პირნათლად ასრულებდნენ საგუბერნიო და საბაზრო კომისრები. ბორჩალოს მაზრის კომისარი კალესნიკოვი განსაკუთრებულ კომიტეტს ატყობინებდა: „მაზრის მოსახლეობა ყველგან შეიარაღებული ძალით ეუფლება კერძო მესაკუთრეთა მიწებს და საზამთრო საძოვრებს. ის არავითარ ანგარიშს არ უწევს დროებითი მთავრობის განკარგულებას, დარწმუნება მასზე არ მოქმედებს. ადგილობრივი ძალებით ამ მოვლენის წინააღმდეგ ვერაფერს გავხდებით, საჭიროა სამხედრო ნაწილების დაჩქარებით გამოგზავნა“[1] (ხაზი ჩემია — ა. ს.).

გლეხთა მასობრივი მღელვარებით და მემამულური მიწათმფლობელობის სწრაფი ნგრევით დამფრთხალი ოზაკომი მიწათმოქმედების მინისტრს ჩერნოვს პეტროგრადში უდეპეშებდა, რომ ამიერკავკასიაში აგრარულ საკითხში დიდი გართულებაა და აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება — სამიწათმოქმედო კომიტეტების შექმნაო[2]. (თუ რა გააკეთეს სამიწათმოქმედო კომიტეტებმა ეს ჩვენ უკვე ვნახეთ).

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს 2 მაისის სხდომაზე განიხილა ბორჩალოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მაზრაში განლაგებული საკავალერიო ნაწილი მიემგზავრება და კომიტეტი თხოულობს მაზრა არ იქნეს დატოვებული სამხედრო ნაწილების გარეშე[3]. ცხადია, სამხედრო ნაწილები აქ საჭირო იყო გლეხების წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ბიურომ გამოიტანა დადგენილება აღძრას შუამდგომლობა მაზრაში სხვა ნაწილის გადაყვანის შესახებ.

მაისის, ივნისის, ივლისის თვეებში გლეხთა მოძრაობა მემამუ-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723 ს. 387, გვ. 176.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. 8, გვ. 25.

[3] გაზ. „ერთობა“ № 81, 25 ივლისი, 1917 წ.

ლეთა თვითნებობის წინააღმდეგ კიდევ უფრო მასობრივი და შეუპოვარი გახდა. აზერბაიჯანში შუშის, ჯებრაილის, ელიზავეტოპოლის, არეშის, ყაზახის, ნუხის მაზრებში ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებს, რომლის ჩასაქრობად საჭირო გახდა შეიარაღებული ძალების გამოწვევა. ერევნის გუბერნიის კომისარი ოზაკომისადმი მოხსენებაში ჩიოდა მასობრივ აგრარულ „უწესოებათა“ შესახებ[1], ალექსანდროპოლში, ალავერდში, ყარსში, ზანგეზურში გლეხებმა ხელი მიჰყვეს მიწების დამუშავებას მემამულეთა დაუკითხავად. გახშირდა მემამულეებისა და ადმინისტრაციული პირებისადმი ანგარიშსწორების შემთხვევები. ნაფარეულის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციის წარმომადგენელს სოფ. ენისელის გლეხებმა მოუწყვეს თვითგასამართლება და მოჰკლეს[2]. მიწების დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო გორის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის მაზრებში, ქუთაისის გუბერნიაში, აფხაზეთში, სადაც ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით სეკვესტრი დაედო დიდი მთავრის რომანოვის მამულებს „სინოპსა“ და „გიამურს“[3].

მსგავსი ფაქტების მოტანა მრავლად შეიძლება. საარქივო დოკუმენტებში მრავალი საჩივარია ოზაკომის სახელზე ამიერკავკასიის თითქმის ყველა მაზრიდან. ცხადია, გლეხობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიწის საკითხის გადაწყვეტას საკუთარი ინიციატივით, ბურჟუაზიული მთავრობისაგან გვერდის ავლით შეუდგა.

* * *

ამიერკავკასიის ბურჟუაზიული ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლური პარტიების აგრარული პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდებოდა დროებითი მთავრობის მიერ აღებული კურსისაგან. იგი ხელს უწყობდა ბურჟუაზიული მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებას ამიერკავკასიაში.

დაშნაკები, მუსავატები, კადეტები ამიერკავკასიაში საერთოდ აგრარულ საკითხში რევოლუციამდელ ვითარებასთან შედარებით რაიმე არსებით ცვლილებებს არც კი ითვალისწინებდნენ. წარმოადგენდნენ რა ამიერკავკასიის შეძლებული კლასების — მემამულეების და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველ პარტიებს, ისინი

---

[1] საჭ. სსრ ორსა, ფ. 794 ს. 625, გვ. 7.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723 ს. 64, გვ. 62.

[3] გ. ბაქაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, გვ. 107.

წინააღმდეგი იყვნენ მიწების არა თუ ნაციონალიზაციის, არამედ მუნიციპალიზაციისაც კი. მაგრამ ამ პარტიებს გლეხთა მზარდი რევოლუციური მოძრაობის გამო არ შეეძლოთ მემამულური მიწათმფლობელობის აშკარა დამცველები ყოფილიყვნენ. ეს მათ ჩამოაცილებდა ადგილობრივი მოსახლეობის იმ ჯერ კიდევ შეუგნებელ ნაწილს, რომელსაც ამ პარტიების დემაგოგიური ხრიკებისა არაფერი გაეგებოდა და მათი „პროგრესულობა" გულწრფელად სწამდა. დაშნაკებმაც, მუსავატელებმაც, კადეტებმაც აღიარეს, რომ საჭიროა ამიერკავკასიაში გადაიჭრას აგრარული საკითხი, მაგრამ ეს შეუძლია მხოლოდ ისეთ ავტორიტეტულ ორგანოს, როგორიც დამფუძნებელი კრება არისო.

კადეტური პარტია საკმაოდ ძლიერი იყო ამიერკავკასიაში. იგი უმთავრესად რუსი ბურჟუაზიისა და მოხელეობის წარმომადგენლებს აერთიანებდა. კადეტების აგრარული პროგრამა მიწაზე მემამულურ-კულაკური საკუთრების დაცვა-შენარჩუნებაში მდგომარეობდა. ისინი თითქოს დამფუძნებელი კრებისათვის ამზადებდნენ მიწის რეფორმას, მაგრამ ეს რეფორმა რუსეთის 1861 წლის საგლეხო, ან სტოლიპინის რეფორმის მსგავსი უნდა ყოფილიყო და ახალს ვითარებაში მაქსიმალურად დაეცვა მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესები. კადეტური პარტიის ყრილობები (1917 წ. მაისში) და პრესა მთელს რუსეთში (და ამიერკავკასიაში) ტყავში ძვრებოდა იმის „დასამტკიცებლად", რომ მიწაზე აუცილებელია კერძო საკუთრების შენარჩუნება, ისინი საგუბერნიო, სამაზრო ყრილობებზე მხარს უჭერდნენ მიწის რეფორმის საკითხის დამფუძნებელი კრებისათვის მინდობას და გლეხთა „თვითნებურ" რევოლუციურ ღონისძიებათა წინააღმდეგ მთელი შესაძლებლობით ილაშქრებდნენ.

როგორი იყო აგრარულ საკითხში მენშევიკების მიერ აღებული ხაზი?

ისევე როგორც რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში, აქაც მენშევიკები ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას იზიარებდნენ.

მენშევიკები გლეხობას უჩიჩინებდნენ — ხელი აეღო ყოველგვარ თვითნებურ მოქმედებაზე და ეცადნა, ვიდრე აგრარულ საკითხს დამფუძნებელი კრება გადაწყვეტდა. დამფუძნებელ კრებამდე კი მენშევიკები გლეხობას, ისევე როგორც მუშებს, სთავაზობდნენ ე. წ. მომრიგებელ კამერებს, რომელთაც მხარეთა შორის კონფლიქტი უნდა გადაეწყვიტა. საბჭოების სამხარეო ყრილობაზე 18 მარტს ნ. ჟორდანია ამბობდა: გლეხთა საკითხი უნდა გადაიჭრას აგრეთვე შეთანხმებით, ე. ი. შეიქმნას სოფლებში მომრიგებელი

კამერები, რომლებიც გადაწყვეტენ მიწის საკითხის გარშემო წარმოშობილ ყოველგვარ უთანხმოებას, რაც შეეხება მიწის კონფისკაციის საკითხს, იგი საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება დამფუძნებელ კრებაზეო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორ წყვეტდნენ მომრიგებელი კამერები მუშათა საკითხს. ასეთსავე მისიას აკისრებდა მათ ჟორდანია სოფლადაც. ეს იყო გლეხობის მოტყუება და თვალის ახვევა სოფლად აგრარული მოძრაობის მიყუჩებისა და მემამულეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

1917 წ. 19 ივნისს თბილისში გაიხსნა გლეხთა სამხარეო ყრილობა, რომლის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს მენშევიკებმა. ყრილობაზე ისინი თავგამოდებით იცავდნენ მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას. „მე არ შემიძლია დაგიმალოთ, რომ ის, რასაც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები გპირდებით მიწის საკითხის გადასაჭრელად, ე. ი. მუნიციპალიზაცია მიწისა, არ არის სამოთხე, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დღეს კაპიტალიზმის ხანაა და სხვა უფრო რადიკალური ზომა მიწათმფლობელობის მოსაგვარებლად არ შეიძლება იყოს“[1] — ასე იხდიდა ბოდიშს ყრილობაზე აგრარული საკითხის შესახებ მომხსენებელი მენშევიკი კ. გვარჯალაძე.

ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია გლეხობას პირდებოდა ზოგიერთ შეღავათს, მაგრამ მათი მოგვარება ჩვენთვის ცნობილ მომრიგებელ კამერებს და საადგილმამულო კომიტეტებს ჰქონდათ მინდობილი.

„ცარიელი მინდვრების და სახნავი მიწების შესახებ ყველა საკითხს სწყვეტს მომრიგებელი კამერები. იმ საკითხებს კი, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დამუშავება-დათესვასთან, არჩევს საადგილ-მამულო კომიტეტები“[2], — ნათქვამი იყო ამ რეზოლუციაში.

მენშევიკები ეხმარებოდნენ ამიერკავკასიელ მემამულეებს, რათა ისინი არ დაზარალებულიყვნენ საიჯარო ქირის მიღების საქმეში. რეზოლუცია აღნიშნავდა: „იჯარის ფულის გადახდა უნდა დარჩეს დამფუძნებელ კრებამდეო“[3].

ყრილობამ აირჩია გლეხთა სამხარეო საბჭო, რომელიც თითქმის მთლიანად მენშევიკური აღმოჩნდა. საბჭომ ადრე გამონახა საერთო ენა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან და სავსებით გაი-

---

[1] გაზ. „ერთობა“ № 81, 26 ივნისი, 1917 წ.
[2] გაზ. „ერთობა“ № 83, 28 ივნისი, 1917 წ.
[3] იქვე.

ზიარა გლეხობის „დაწუნარების“ საქმეში მის მიერ აღებული ხაზი.

გლეხთა სამხარეო საბჭო გულგრილად ეკიდებოდა გლეხთა საჩივრებსა და მოთხოვნებს. საკითხის გამწვავების შემთხვევაში კი საბჭო ყოველთვის მემამულეთა მხარეზე იყო. ეხებოდა რა გლეხთა დეპუტატების საბჭოს გულგრილობას ახალქალაქის გლეხობის შევიწროების საქმეში, გაზ. „ბრძოლა“ წერდა: „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი სავსებით გამოხატავს და იცავს მემამულეების ინტერესებს, ე. ი. იგი ემსახურება კონტრრევოლუციონურ კლასს. იგი წინააღმდეგია არა მარტო იმისა, რომ მიწები გლეხობის ხელში გადავიდეს, არამედ იმისაც კი, რომ გლეხებს რაიმე შეღავათი მიეცეს მემამულის მხრით რაიმე შევიწროებისაგან. თავისთავად იგულისხმება, რომ აქ გასაკვირალი არაფერია, ვინაიდან ამიერკავკასიის კომიტეტი კოალიციური სამინისტროს ორგანოა, და ასრულებს იმას, რასაც მას მთავრობა უბრძანებს. მაგრამ გასაკვირალია მეორე გარემოება, სახელდობრ ის, რომ გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც ვალდებულია გლეხების ინტერესი დაიცვას, ამ საქმეში პილატესავით ხელს იბანს, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს. ეს საბჭო, როგორც ჩანს, სავსებით შეუბოჭავს და თავისი გავლენისათვის დაუმორჩილებია დროებითს მთავრობას, რომელიც კაპიტალისტების და მემამულეების ინტერესებს ემსახურება“[1].

მენშევიკები ზოგჯერ ბურჟუაზიულ მთავრობაზე მეტ აქტიობასაც იჩენდნენ. ნათლავდნენ რა ხულიგნურ მოქმედებად გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას, ისინი მოითხოვდნენ ყოველგვარი საშუალებით ბრძოლას ამ მოძრაობისა და მისი ორგანიზატორების წინააღმდეგ.

...ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებებით გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს იმათ, ვინც სოფლის ბნელ ხალხს აქეზებს ასეთი ხულიგნური გამოსვლებისათვისო იმუქრებოდა თბილისის მენშევიკური საბჭოს ორგანო „იზვესტია...“

ამიერკავკასიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შენიღბულ, დაუძინებელ მტრებს წარმოადგენდნენ ესერები, რომელთაც ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებში მენშევიკებთან ერთად უმრავლესობა ჰქონდათ. ესერები რევოლუციამდე გაჰყვიროდნენ მიწის „სოციალიზაციაზე“, კერძო საკუთრების მოსპობაზე, მაგრამ როცა მთავრობის სათავეში აღმოჩნდნენ (კერენსკი) და აგრარული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა მიეცათ, მაშინ კერძო, მემამულური საკუთრების თავგამოდებულ დამ-

[1] გაზ. „ბრძოლა“ № 13, 27 აგვისტო, 1917 წ.

ცველებად იქცნენ. ცნობილია, რომ დროებითი მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრი ესერი ჩერნოვი, რომელსაც „გლეხურ მინისტერსაც“ კი ეძახდნენ, ადგენდა უამრავ პროექტს აგრარული საკითხის მოსაგვარებლად. იგი ყველა ლიბერალი მოხელის მსგავსად ბრტყელი სიტყვებით კმაყოფილდებოდა, მაგრამ არც მის პროექტებს, არც მის სიტყვებს არ ეწერათ განხორციელება. მინისტრობის დროს მისი 10 პროექტიდან არც ერთი პროექტი (გარდა ერთისა, მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ) განსახილველადაც კი არ გაუტანიათ.

ესერების მაღალი ფრაზები წარმოადგენდა საფარს მათი წვრილბურჟუაზიული ბუნების დასაფარავად. ეს პარტია სამაზრო, სასოფლო, საგუბერნიო საბჭოებში ყოველთვის დემაგოგიას ეწეოდა, თვალებს უხვევდა მშრომელ გლეხობას, ურჩევდა ელოდნა დამფუძნებელი კრებისათვის და ამრიგად კადეტებთან, მენშევიკებთან ერთად ებრძოდა გლეხობის ორგანიზებულ მოქმედებას მემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობისათვის. ამიერკავკასიის გლეხობის ნაწილს ესერების დემაგოგიის სჯეროდა, მას გულწრფელად სჯეროდა ესერების დაპირებანი, მაგრამ როცა ცხოვრებამ მშრომელ გლეხობას დაანახა თუ რა უფსკრული იყო ესერების მოთაფლულ სიტყვებსა და პრაქტიკულ საქმეებს შორის, მან ზურგი შეაქცია ესერებს და ბოლშევიკური პარტიის დროშის გარშემო დაირაზმა.

* * *

კომუნისტური პარტიის აგრარული პროგრამა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში ნათლად და ამომწურავად ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა აპრილის VII კონფერენციაზე. ანალიზი გაუკეთა რა აგრარული მოძრაობის აღმავლობას რუსეთში და დროებითი მთავრობისა და სხვადასხვა პარტიების აგრარულ პროგრამას, ვ. ი. ლენინმა ცხადჰყო, რომ ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების აგრარული პროგრამა ვერ დააკმაყოფილებს გლეხობას, ვერ მოსპობს აგრარულ რევოლუციას. „შეუძლებელია ახლა მივიღოთ რეცეპტები შინგარიოვისა და კადეტებისა, რომლებიც მოითხოვენ დავუცადოთ დამფუძნებელ კრებას, რომლის მოწვევის ვადა გამოურკვეველია, ანდა შევუთანხმდეთ მემამულეებს ოჯარის შესახებო.

გლეხები უკვე იტაცებენ მიწას უსასყიდლოდ ანდა იჯარის მეოთხედს იხდიან"[1].

ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის საფუძველზე აპრილის კონფერენციამ მიიღო დადგენილება აგრარულ საკითხზე, რომელიც მიუთითებდა:

„1) პროლეტარიატის პარტია მთელი ძალით იბრძვის რუსეთში, მემამულეთა მთელი მიწის (აგრეთვე საუფლისწულო, საეკლესიო, საკაბინეტო და სხვ. მიწების) დაუყოვნებლივი და სრული კონფისკაციისათვის.

2) პარტია გადაჭრით მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაეცეს მთელი მიწა გლეხთა დეპუტატების საბჭოებში, ან სხვა ნამდვილად საკუთარი დემოკრატიულად არჩეულ და მემამულეებისა და მოხელეებისაგან საკუთარით დამოუკიდებელ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დარაზმულ გლეხობას"[2].

რეზოლუცია მოითხოვდა აგრეთვე გადამჭრელ ბრძოლას, როგორც დროებითი მთავრობის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ, ისე ნაროდნიკებისა და მენშევიკ სოციალ-დემოკრატების წვრილბურჟუაზიული მერყეობის წინააღმდეგ.

რეზოლუცია მხარს უჭერდა გლეხობის მიერ მემამულეთა მიწების ორგანიზებულად ხელში ჩაგდებას, სოფლად გლეხთა კომიტეტების შექმნას, რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ გლეხობისათვის მიწების ხელში ჩაგდების საქმეში, ამასთანავე არ დაეშვათ ინვენტარისა და ქონების არავითარი გაფუჭება, ეზრუნათ წარმოების გადიდებისათვის[3].

ლენინი მიუთითებდა ბოლშევიზმის აგრარული პროგრამის შესაბამისობაზე მიწათმფლობელობის ძველი, დახავსებული, ნახევრად ბატონყმური ფორმების მოსპობის ობიექტურად აუცილებელ პროცესებთან. „სახელმწიფოს მთელი მიწების ნაციონალიზაციისადმი გლეხობის მისწრაფების მატერიალურ საფუძველს შეადგენს ყველა ამ მოძველებული და მავნე ზღუდის აუცილებლად დამსხვრევა, მიწის მიჯნების აუცილებლად „მოშლა", მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების მთელი ურთიერთობის ახლად გარდაქმნა მთელი რუსეთის და მთელი მსოფლიო მეურნეობის ახალი პირობების შე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 334—335.

[2] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I, გვ. 431.

[3] სკკპ ყრილობების, კონფერენც. და ცენტრ. კომ. პ. რეზოლუციებში, გვ. 431—432.

საბამისად" — აღნიშნულია ლენინის მიერ აგრარულ საკითხზე შეტანილ რეზოლუციაში VII (აპრილის) კონფერენციაზე[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მტკიცედ იცავდნენ და პრაქტიკულად ახორციელებდნენ გლეხობის საკითხში ლენინურ პროგრამას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის პოლიტიკური არმიის მომზადება. ბოლშევიკებმა თებერვალ-ოქტომბრის პერიოდში შეუპოვარი ბრძოლა ჩაატარეს, რათა განეხორციელებინათ პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი — „პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის საბრძოლო კავშირი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის".

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მტკიცე და საიმედო მოკავშირის — ღარიბი გლეხობის შესახებ გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი" წერდა: „რევოლუციის მატარებელი პროლეტარიატის შემდეგ პირველ ყოვლისა არის გაღატაკებული გლეხობა, მაგრამ იგი რომ რევოლუციას შევუერთოთ, რევოლუციისათვის აქტიური მებრძოლი რომ გავხადოთ, აუცილებელია ახლავე წამოვაყენოთ ღარიბი გლეხობის ყველაზე უფრო მომწიფებული მოთხოვნები". ამ მოთხოვნებში გაზეთი გულისხმობდა ყველა მიწის დაუყოვნებლივ კონფისკაციას და ღარიბ გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში მის გადაცემას[2].

ბოლშევიკები გმობდნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის კონტრრევოლუციურ ხაზს, ნიღაბს ხდიდნენ მენშევიკების, ესერებისა და სხვა ბურჟუაზიული პარტიების „სოციალისტური" პროგრამის თვალთმაქცურ ბუნებას, გლეხობის მიმაძინებელ პოლიტიკას და ხელმძღვანელობდნენ გლეხებს მემამულეთა კაბალისაგან განთავისუფლების საქმეში.

ბოლშევიკები ამიერკავკასიის მშრომელ გლეხობას მოუწოდებდნენ ორგანიზებულად ჩაეგდოთ ხელში მემამულეთა მიწები, ყური არ ეგდოთ მენშევიკებისა და ესერებისათვის, შეექმნათ საგლეხო კომიტეტები და მოეწყოთ სახნავის, საძოვრების ორგანიზებული განაწილება, მორწყვის ორგანიზაცია.

ს. შაუმიანი ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე ნიღაბს ხდიდა რა გლეხთა საკითხში ბურჟუაზიისა და შემთანხმებლების თვალთმაქცობას, ბოლშევიკებს მიუთითებდა: „რაც შეეხება გლეხ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 339.

[2] გაზ. „Кавказский рабочий" № 8, 1917 წ.

თა საკითხს, ჩვენ ახლავე უნდა გადავისროლოთ მასებში მიწების კონფისკაციის ლოზუნგი და გაბედულად ვიმოქმედოთო"[1].

ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობაზე მენშევიკებისა და ესერების აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ შეუპოვრად გაილაშქრეს ბოლშევიკმა დელეგატებმა მ. ცხაკაიამ, ა. ჯაფარიძემ და სხვებმა. ბოლშევიკები ამ ყრილობაზე უმცირესობას წარმოადგენდნენ და მენშევიკები ადვილად ახერხებდნენ ხმის უმრავლესობით გაეტანათ თავიანთი რეზოლუციები. ყრილობის ტრიბუნიდან გლეხ დელეგატებს ბოლშევიკები მოუწოდებდნენ დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი მემამულეების მიწების დამუშავებას, ამასთანავე ამ საქმეში გამოეჩინათ ორგანიზებულობის მაქსიმუმი, ემოქმედათ ბოლშევიკი ამხანაგების მითითებითა და ხელმძღვანელობით.

მემამულეთა წინააღმდეგ გლეხობის რევოლუციურ ბრძოლაში ბოლშევიკები ხელმძღვანელ როლს ახორციელებდნენ. სამაზრო, საგუბერნიო კომიტეტების დეპეშებსა და დასმენებში აღნიშნულია, რომ გლეხკაცობას მიწების თვითნებური დამუშავებისათვის აქეზებენ ბოლშევიკები; იმ მაზრებში, სადაც გლეხთა დეპუტატების საბჭოების შემადგენლობაში ბოლშევიკები მოხვდნენ, მიწების ორგანიზებული დამუშავება გლეხობის მიერ აქტიურად დაიწყო; საბჭოები აქეზებენ მშრომელ გლეხობას ასეთი ღონისძიებისაკენ და დახმარებას უწევენ გლეხებს. ბორჩალოს მაზრის კომისარი თბილისის გუბერნიის კომისრისადმი მოხსენებაში მოითხოვდა შეცვლილიყო რაიონებში ის ბოლშევიკი კომისრები, რომლებიც არა თუ სპობენ, არამედ აქეზებენ აგრარულ რევოლუციასო[2]. 17 აგვისტოს მოხსენებაში იგივე მაზრის კომისარი აღნიშნავდა, რომ თბილისიდან მაზრაში სისტემატურად ჩამოდიან სხვადასხვა პირები, რომლებიც ეწევიან გლეხობაში აგიტაციას მემამულეების წინააღმდეგ, მოითხოვენ მიწების ჩამორთმევას მემამულეთათვის[3].

25—26 მაისს მიმდინარეობდა მუღანისა და შირვანის ველების გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელსაც 122 გლეხი დეპუტატი ესწრებოდა. ყრილობაზე იხილებოდა საკითხები სურსათის, წყლით მომარაგების, მიწათსარგებლობის შესახებ. გლეხმა დელეგატებმა დაახასიათეს ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც უხდებოდათ მუშაობა და მტკიცედ მოითხოვეს სასურსათო, წყლის ხარჯვის

---

[1] „Кавказский рабочий" № 18, 19 მარტი.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 28 ს. 32, გვ. 26.

[3] იქვე, გვ. 23.

ორგანიზაციის, მიწათმფლობელობის საკითხების დაუყოვნებლივი მოგვარება.

— მიწა უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც ამუშავებსო — მიუთითებდნენ გლეხები[1].

ბოლშევიკური პარტიის აგიტაცია-პროპაგანდის და სოფლად პრაქტიკული მუშაობის შედეგად მშრომელი გლეხების რევოლუციური აქტივობა კიდევ უფრო გაიზარდა და მასობრივი გახდა. ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის თვეებში ამიერკავკასიის თითქმის ყველა მაზრაში გლეხების „თვითნებური“ მოქმედება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მემამულეები, საუფლისწულო და სახაზინო მამულების ადმინისტრაცია ჩიოდნენ, რომ ადგილობრივი ძალებით გლეხთა „ძალადობის“ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია, რომ გლეხები ყოველგვარ ვალდებულების შესრულებაზე უარს ამბობენ და სხვ. ივლისის თვეში მეტად გამწვავდა მემამულეების ორბელიანების, ციციშვილების, ქობულოვებისა და მათი მოიჯარადრე გლეხების დამოკიდებულება. სათემო კანცელარია მოითხოვდა საქმეში ოზაკომის ჩარევას[2].

ივლისსა და აგვისტოში ბორჩალოს მაზრის გლეხები საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ ტყეს, უარს ამბობენ საიჯარო ქირის გადახდაზე[3]. საიჯარო ქირის გამო გლეხებმა ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების სამხარეო საბჭოში იჩივლეს, მაგრამ სამხარეო ცენტრი მემამულეთა მხარეზე დადგა და გლეხებს მიუთითა გადასახადები ძველებურადვე ეხადათ. გლეხებმა ამ გადაწყვეტილებას არ დაუჯერეს და საიჯარო გადასახადი არ გადაუხდიათ[4].

აგვისტოს პირველ რიცხვებში თიანეთის მაზრის მემამულეებმა შანშიევმა და გულისოვმა თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე შეიტანეს თხოვნა დახმარების შესახებ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ „რევოლუციის შემდეგ ჩვენს სოფლებში მომრავლდნენ აგიტატორები, რომლებიც გლეხებს ურჩევენ დაეპატრონონ მემამულეთა მიწებს, რომ ასეთი აგიტატორების რჩევით გლეხობა გათამამებულია და უარს ამბობს ყველა ვალდებულებაზე და ჩვენს საკუთრებას ეპატრონება თუ არ მოგვაშველეთ სამხედრო ძალა, ჩვენ დაღუპვა არ აგვცდებაო“[5].

---

[1] „Известия Бакинск. Совета“ № 49. 2 ივნისი.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 10, ს. 22, გვ. 9.

[3] იქვე.

[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 2, ს. 17, გვ. 73.

[5] საქ. სსრ ორსა, ფ. 28, ს. 73, გვ. 13—15.

24 აგვისტოს თარიღით შულავრის აღმასკომი დეპეშით აუწყებდა ოზაკომს, რომ „მიწების დატაცებამ მიიღო მასობრივი ხასიათი. ხელისუფლება უძლურია რაიმე იღონოს გლეხების წინააღმდეგ. წესრიგის აღსადგენად მოგვაშველეთ კაზაკები“[1].

ელიზავეტპოლის საოლქო სასამართლოს პროკურორი თბილისის სამოსამართლო პალატისადმი მოხსენებაში აღწერს ჯარსა და გლეხობას შორის შეიარაღებული შეტაკების შემდეგ შემთხვევას:

21 აგვისტოს სოფ. ჩაილის მახლობლად ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებას მუსლიმან გლეხებსა და კაზაკებს შორის. ამ სოფელს აკრავს საძოვარი ადგილი, რომელიც ადრევე წარმოადგენდა ქიშპობის საგანს ადგილობრივ გლეხებსა და მემამულე მელიქოვებს შორის. მელიქოვებმა ეს ადგილი მიჰყიდეს მემამულე ჰასან ადიგეზალოვს, მაგრამ სოფ. ჩაილის გლეხობა, თვლიდა რა საძოვარ ადგილს თავის კანონიერ საკუთრებად, კვლავ ხმარობდა მას. გლეხობას სხვა საძოვარი არ გააჩნდა. ადიგეზალოვმა დახმარებისათვის მიმართა ელიზავეტპოლის საგუბერნიო კომისარიატს, რომლის განკარგულებითაც 1 უბნის კომისრის თანაშემწე 57-ე დონის პოლკის ჯარისკაცთა რაზმით გაემგზავრა გლეხების დასასჯელად. რაზმის გამოჩენისთანავე სოფლელებმა კაზაკებს ცეცხლი გაუხსნეს. ბევრი ჯარისკაცი დაიჭრა. გლეხები რიცხვით მეტი იყვნენ და კაზაკებმა უკან დაიხიეს. გლეხებმა კაზაკების ნაწილი შეიპყრეს, მაგრამ მას შემდეგ რაც ჩამოართვეს პირობა, რომ აღარ იბრძოლებდნენ მათ წინააღმდეგ, გაუშვეს.

პირველი მარცხის შემდეგ საგუბერნიო კომისარმა ადგილზე გაგზავნა ჯარისკაცთა მთელი ასეული პოლკოვნიკის მეთაურობით. გლეხები თავს შეუპოვრად იცავდნენ. ასეულის შეტევა ამჯერადაც მოგერიებულ იქნა. ასეულს ვაზნები გაუთავდა და უშედეგოდ უკან გაბრუნდა[2].

ელიზავეტპოლის მაზრის სოფელ კარაკუჯაში გლეხებმა მემამულეს წაართვეს საძოვარი. უბნის კომისარი გაემგზავრა სოფელში მემამულესა და გლეხებს შორის ამტყდარი დავის გამოსარკვევად. გლეხები შეიარაღებული გამოცხადდნენ. კომისარმა საკითხის გარჩევის დროს მემამულის მხარე დაიჭირა და გლეხებს უბრძანა საძოვარი უკანვე დაებრუნებინათ. გლეხები კომისარს ემუქრებოდნენ: „ჩვენ განა იმიტომ აგირჩიეთ, რომ მემამულეს გამოსარჩლე-

[1] საქ. სსრ ცრსა, ფ. 28, საქ 32, გვ. 110.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს მუზეუმის ბაქოს ფილიალის ფოტო დოკ. № 931.

ბოდი. თუ ასეა, ჩვენ სხვაგვარი მოლაპარაკებაც შეგვიძლიაო". კომისრის დარიგებაზე გლეხებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ მიწას ისინი არავის მისცემენ, რადგან მიწა მშრომელ ხალხს ეკუთვნის[1]. ოზაკომის სახელზე გამოგზავნილ განცხადებაში სამხედრო ძალების მოშველიებას მოითხოვდა მემამულე სულეიმან ბეკი შამხორსკი, რომლის მამული სოფ. დოლიარის გლეხებმა ორგანიზებულად გაანაწილეს[2].

ლენჭორანის მაზრიდან გლეხები უდეპეშებდნენ ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომ მემამულეებმა გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც საძოვრებს იყენებენ, შექმნეს ბანდები. ისინი იტაცებენ საქონელს და ხოცავენ, არ ინდობენ არც მოსახლეობას. როდესაც საჩივრით მივმართეთ უბნის კომისარს, მან გვიპასუხა — მე თვით მემამულე ვარ. ეს კომისარი არავის არ აურჩევია. იგი თვითნებობს მთელს უბანში და ფარული კავშირი აქვს ბანდიტებთანო[3].

მთელ რიგ რაიონებში, სადაც სათემო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებში და კომისრების თანამდებობაზე აღმოჩნდნენ შეძლებული კლასების წარმომადგენლები, მემამულეები გლეხების წინააღმდეგ კრავდნენ ბლოკს, აშინებდნენ გლეხებს ამოხოცვით, ძალად ახდევინებდნენ საიჯარო გადასახადებს, ძველებურად ეწეოდნენ თარეშს.

იმ ადგილებში, სადაც სომხური და თათრული მოსახლეობა ერთმანეთში არეული, ან ერთმანეთთან მეზობლად ცხოვრობდა, მემამულეები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების აგენტების დახმარებით განგებ აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს და ცდილობდნენ სომეხი და თათარი გლეხები ერთმანეთისათვის მიესიათ, მათი ძალები გაეთიშათ, ხოლო თვით ძველებურად ემართათ თავიანთი მამული.

შუშის მაზრის შესახებ ოზაკომის რწმუნებულის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „კონტრრევოლუციური ელემენტები, თათარი და სომეხი ბეგები მემამულეები და კულაკები ცდილობენ დააშინონ სოფლის ხალხი, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს, აქეზებენ სომხურ და თათრულ მოსახლეობას ერთმანეთის წინააღმდეგ, ამ ნაცად მეთოდს ისინი მიმართავენ ყველა იმ შემთხვევაში, თუ ამჩნევენ

---

[1] ვ. ი. ლენინის მუზეუმის ბაქოს ფილიალის ფოტო დოკ. № 931.

[2] იქვე, დოკ. № 917.

[3] „Известия Бак. Совета" № 138, 20 სექტემბერი.

რომ გლეხურ მოსახლეობაში აზვირთებას იწყებს აგრარული მოძრაობის ტალღაო"[1].

მემამულეთა მიწების ორგანიზებულ დატაცებას, ტყეებით სარგებლობას ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე შეიარაღებული შეტაკებანი მოსარგებლე გლეხებსა და მემამულის წარმომადგენლებს შორის. ამასთანავე გაბოროტებული გლეხები ადგილობრივი მმართველი ორგანოების გულგრილობის გამო მიმართავდნენ უხეში, მოძალადე მოხელეებისადმი თვითგასამართლების მეთოდს. საგარეჯოს უბნის კომისარი თბილისის გუბერნიის კომისრისადმი მოხსენებაში აღნიშნავს „აგრარული უწესოების" ნიადაგზე თვითგასამართლების ორ შემთხვევას, რომელიც გლეხებმა მოაწყვეს[2].

სამაზრო და საგუბერნიო კომისრები გლეხობის გააქტიურების გამო დეპეშებს დეპეშებზე გზავნიდნენ ოზაკომში და დაჟინებით ითხოვდნენ მათდამი რწმუნებულ მაზრებში და გუბერნიებში სამხედრო ძალების გაგზავნას. ჯულფის სამაზრო კომისარი ოზაკომს თხოვდა დაუყოვნებლივ მიეშველებინათ მისთვის სამხედრო ძალები, რომლითაც მოსახერხებელი იქნებოდა „წესრიგის დაცვა"[3]. ასეთივე თხოვნით მიმართავდნენ ოზაკომს შულავერის სამაზრო კომისარი. „თუ სამხედრო ძალები არ მოგვაშველეთ, მოსალოდნელია დიდი მასშტაბის შეტაკებაო — წერდა იგი[4].

გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ მძლავრი გაქანება მიიღო სომხეთში. ერევნის, ალექსანდროპოლის გუბერნიების გლეხობა იტაცებდა მემამულეთა მიწებს, საძოვრებს და ორგანიზებულად აწყობდა მათს გადანაწილებას. ოზაკომში განუწყვეტლივ მიდიოდა მემამულე ცატუროვების, შერემეტიევის, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სააქციო საზოგადოების, ეჩმიაძინის მონასტრის, „კიზილ კიშლაკის" ადმინისტრაციის საჩივრები გლეხობის თვითნებური მოქმედების შესახებ. მემამულეები ჩიოდნენ, რომ მათი სახნავ-სათესი, საძოვრები, წყალი გლეხებმა დაისაკუთრეს, ისინი არავითარ ვალდებულებას არ გრძნობენ, არ იხდიან საიჯარო ჭირას

---

[1] აზერბ. სსრ ორსა. ფ. 30, აღწ. 1, საქ. 11, გვ. 63—70.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 28, საქ. 32, გვ 37.
[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 1472, საქ. 462. გვ. 35.
[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 28, ს. 32, გვ. 36.

და ხშირად ამოხოცვითაც კი გვემუქრებიანო[1]. ამხ. ა. მიქოიანი, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველ საოლქო ყრილობაზე ახასიათებდა რა სომხეთში აგრარულ მოძრაობას, აღნიშნავდა: რომ „სომეხი მცირე მიწიანი და უმიწაწყლო გლეხობა რევოლუციური სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშაა დარაზმული. ეს აიხსნება ადგილობრივი ეკონომიური ცხოვრების პირობებით, სადაც კლასობრივი ბრძოლა ნახევრადპროლეტარულ გლეხებსა და მიწათმფლობელ კლასებს შორის უკიდურესად გამწვავებული და გამძაფრებულია. გლეხები მიწებს იტაცებენ. ალავერდის ჭარხნის მუშები, ისე როგორც გლეხები, ჩვენ პარტიას მიჰყვებიანო"[2].

გლეხთა მოძრაობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ლორის შარურო-დარალაგეზის, დილიჯანის, ზანგეზურის, ნორბაიაზეთის და სხვ. მაზრებში[3].

ოზაკომი და მენშევიკურ-ესერული გლეხთა სამხარეო ცენტრი აგვისტო-სექტემბრის თვიდან გადავიდნენ გლეხთა წინააღმდეგ აშკარა რეპრესიების პოლიტიკაზე. მთელ რიგ მაზრებში ჩაყენებული იქნა სამხედრო ნაწილები, რომლებიც იცავდნენ მამულებს გლეხთა „ხელყოფისაგან". საგუბერნიო კომისრები ისევ და ისევ მოითხოვდნენ სამხედრო ძალების გაძლიერებას.

ბორჩალოს მაზრის მენშევიკურმა ხელისუფლებამ მოითხოვა გლეხების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა. სიღნაღის გლეხთა აგრარული მოძრაობის დასამშვიდებლად ადგილობრივმა კომისარმა მოითხოვა სამხედრო ნაწილების განლაგება შემდეგ რაიონებში: დედოფლის წყაროზე — 400 კაცი, ველისციხეში — 100, ლაგოდეხში — 100 და სხვ. ერთი ასეული ჯარის გაგზავნას მოითხოვდა თელავის მაზრის კომისარი.

გუბერნიის ხელისუფლება არ აგვიანებდა ზომების მიღებას ამ უწესობათა დაწუნარებისათვის. 12 სექტემბერს თბილისის საგუბერნიო კომისარი პოპოვი (მენშევიკი) თხოვდა კავკასიის არმიის შტაბის უფროსს: — აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დანიშნოს სამხედრო ნაწილები: თელავის მაზრაში — ერთი ასეული, ბორჩალოს მაზრაში — შულავერში, ბაშკიჩეთში, ეკატერინოფელდში

---

[1] Гос. архив Армянской ССР. ф. 30/103, д. № 73, л. 17—19.

[2] „Кавказский рабочий".

[3] С. А. Вартанян. Победа Совет. Власти в Армении (автореферат), 33. 12.

და ჯელალ-ოღლში — 100 — 100 კაცი; თბილისის მაზრაში — ნახევარი ასეული.

ეს დამსჯელი რაზმები გლეხობას ანგარიშს უსწორებდნენ ცარიზმისათვის დამახასიათებელი მეთოდებით.

* * *

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირს. მუშათა კლასისა და სოფლის ღარიბების ერთი დროშის ქვეშ გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რუსეთში ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამსხვრევა და ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს აშენება.

ბურჟუაზიის აგენტები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის პროლეტარიატს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში არ შეუძლია იქონიოს გლეხობის მხარდაჭერის იმედი, და სწორედ ამიტომ, რუსეთში, რომელიც წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა და გლეხობა უმრავლესობას შეადგენს, შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაო. ამ თეორიას აცამტვერებდა თვით ცხოვრება. თებერვლის ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ მუშათა კლასის მხარდამხარ ირაზმებოდა სოფლის ღარიბობა, რაც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა. ხოლო საშუალო გლეხის მერყეობა იმას ნიშნავდა, რომ სოფლად პარტიას ჰყავდა საიმედო და მრავალრიცხოვანი რეზერვი, რომელსაც თავის რიგებშივე გააერთიანებდა, თუ მას საქმით დაუმტკიცებდა ბურჟუაზიაზე მეტად მშრომელებისადმი ერთგულებაში თანამიმდევრობას.

ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას უთმობდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირის განმტკიცებას და იგი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნდა. ჯერ კიდევ შვეიცარიიდან გამოგზავნილ წერილებში ვ. ი. ლენინი სვამდა საკითხს, — „ვინ არიან პროლეტარიატის მოკავშირენი მიმდინარე რევოლუციაში?“ — და უპასუხებდა: „მას ორი მოკავშირე ჰყავს: ჯერ-ერთი, რუსეთის ნახევრადპროლეტარული და ნაწილობრივ წვრილი გლეხური მოსახლეობის ფართო, მრავალ ათეულ-მილიონიანი მასა, რომელიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს. ამ მასისთვის

აუცილებლად საჭიროა ზავი, პური, თავისუფლება, მიწა"[1]. ლენინი აღნიშნავდა, რომ ეს მასა ქანაობს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ცხოვრების გაკვეთილები მას პროლეტარიატისაკენ უბიძგებენ, აიძულებენ გაჰყვეს პროლეტარიატს. ჩვენი პარტია ახლავე, უწინარეს და უმეტეს ყოვლისა, უნდა ცდილობდეს ამ მასის გათვითცნობიერებას და შეკავშირებას, რათა დააჩქაროს მათი პროლეტარიატის მხარეზე დადგომის დრო[2].

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი, როგორც ცნობილია აღიარებდა პროლეტარიატის კავშირს მთელ გლეხობასთან. ეს ლოზუნგი რუსეთში მეფის დამხობისა და რევოლუციურ-დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის იყო გამიზნული და მან თავისი როლი შეასრულა. ახალ ვითარებაში, როცა რუსეთში ბურჟუაზიის ხელისუფლება დამყარდა, პარტია ველარ დაეყრდნობოდა მთლიან გლეხობას, რადგან მთელი გლეხობის ინტერესები ამის შემდეგ არ შეიძლება ერთგვარი ყოფილიყო: კულაკობა ბურჟუაზიის აშკარა მოკავშირე იყო, საშუალო გლეხი მერყეობდა: როგორც წვრილი მესაკუთრე, იგი ბურჟუაზიისაკენ მიიწევდა, როგორც მშრომელი, მიწისა და თავისუფლების მონატრული, — მუშათა კლასისკენ იხრებოდა. საიმედო მოკავშირე გლეხური მასიდან ამ პერიოდში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ღარიბობა. ამიტომაც პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ეტაპზე იყო: კავშირი უღარიბეს გლეხობასთან, საშუალო გლეხის ნეიტრალური პოზიცია, ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები, მართებულად ერკვეოდნენ რა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირის განმტკიცების პირველხარისხოვან მნიშვნელობაში, ენერგიულ ბრძოლას ეწეოდნენ ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საბრძოლო მეგობრობის შესაკვრელად და განსამტკიცებლად.

ბოლშევიკები რევოლუციის პირველ დღეებშივე მშრომელი გლეხების სასიცოცხლო ინტერესების დაცვის სადარაჯოზე დადგნენ და მოუწოდეს მათ ორგანიზებულად დაეტაცებინათ და დაემუშავებინათ მემამულეთა მიწები. ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მუშათა კლასისა და გლეხობის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ 407.

[2] იქვე.

საბრძოლო კავშირის საკითხს. იგი ბურჟუაზიასთან და მის პარტიებთან ყოველგვარ შეთანხმებას გმობდა, ამხელდა მენშევიკებსა და ესერებს, როგორც ბურჟუაზიის აგენტურას მუშათა მოძრაობაში. გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის და ბოლშევიკური პარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა სტატიები. ამ საკითხების გარშემო სისტემატურად წერდნენ აგრეთვე ამხ. ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. ქავთარაძე, ა. მიქოიანი და სხვები. „ბაკინსკი რაბოჩი“ და „კავკაზსკი რაბოჩი“ მშრომელ გლეხობას მოუწოდებდნენ მემამულეთა მიწების მითვისებასა და დამუშავებაში გამოეჩინათ მეტი ორგანიზებულობა, ყოფილიყვნენ შეუპოვარნი[1].

ბოლშევიკები სისტემატურ მუშაობას ეწეოდნენ სოფლებში. ისინი იბრძოდნენ, რათა სათემო და სამაზრო საადგილმამულო კომიტეტებში შეეყვანათ მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველი ადამიანები. ბოლშევიკები გლეხებს ურჩევდნენ ორგანიზებულად ემოქმედათ მემამულეთა წინააღმდეგ. სოფლებში ბოლშევიკების ასეთ გამარევოლუციურებელი საქმიანობის შესახებ შეშფოთებით იუწყებოდნენ თავიანთ დასმენებში სამაზრო კომისრები[2].

ზოგიერთ დასმენაში აღნიშნულია, რომ გლეხობას აქეზებენ ქალაქიდან ჩამოსული ბოლშევიკი აგიტატორები[3]. ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ისე, რომ ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში ექცეოდა ბოლშევიკი. იგი უყოყმანოდ ახორციელებდა მემამულეთა მიწების გლეხობისათვის ორგანიზებულ გადაცემას[4].

ბოლშევიკები ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებში. ჯარისკაცებს, რომლებიც ფარაჯაგადაცმული გლეხები და მუშები იყვნენ, ომის დამთავრებაზე არა ნაკლებ აინტერესებდათ მიწა. ბოლშევიკები, განმარტავდნენ რა პარტიის აგრარულ პროგრამას, მოუწოდებდნენ მასების (მუშებისა და გლეხების) საბრძოლო კავშირის განმტკიცებისაკენ. ჯარის ბოლშევიკური ნაწილები სოფლებში, თავის მხრივ, ეწეოდნენ არა მარტო აგიტაციას მშრომელი გლეხების სასარგებლოდ, არამედ ხშირად გლეხების მხარეზე მონაწილეობდნენ მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის საუკეთესო დამადასტურებელია კომისრების მოხსენებანი ოზაკომის სახელზე ელიზავეტოპოლიდან, ერევნის, ალექსანდროპო-

---

[1] „Кавказский рабочий“ № 63, 1 ივლისი, 1917 წ.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 28, საქ. 32, გვ. 26.

[3] იქვე, გვ. 23.

[4] იქვე, გვ. 26.

ლის, ქუთაისის, თბილისის გუბერნიებიდან, სოხუმის ოლქიდან და სხვ. მთავრობა ამიერკავკასიაში ხშირად ცვლიდა ჯარის დისლოკაციას, რევოლუციურად განწყობილ ნაწილებს ფრონტზე გზავნიდა, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. ჯარისკაცები უფრო მეტის გაბედულებით დგებოდნენ მშრომელი გლეხობის მხარეზე.

მუშებისა და მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირის განმტკიცებაში ამიერკავკასიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების — დაშნაკების, მუსავატელების, ფედერალისტების წინააღმდეგ ბრძოლას. იყვნენ რა ამიერკავკასიის შეძლებული კლასების ინტერესების თავგამოდებული დამცველები, ეს პარტიები ცდილობდნენ ესარგებლათ ამიერკავკასიის მოსახლეობის ნაციონალური მრავალფეროვნებით და მასების სოციალური ბრძოლა ნაციონალისტური შხამის გამოყენებით შეესუსტებინათ. მუსავატები მუსლიმან გლეხებს მუსლიმანური აღმოსავლეთის შექმნის ილუზიით ჰკვებავდნენ, ყოველმხრივ აფუჩეჩებდნენ რა კლასობრივ ბრძოლას აზერბაიჯანელ გლეხებსა და მემამულეებს შორის, ისინი პირველ პლანზე აყენებდნენ ამიერკავკასიაში მუსლიმანური მოსახლეობის პრივილეგიის საკითხს და მუსლიმანობას უპირისპირებდნენ სომხობას და ქართველობას. ასევე იქცეოდნენ თავის მხრივ დაშნაკები, ფედერალისტები. ბოლშევიკური პარტიის წინაშე იდგა ამოცანა — მოეხდინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების იზოლაცია, განემტკიცებინა ამიერკავკასიის მასების ინტერნაციონალური სოლიდარობა, უამისოდ ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნა-გამოწრთობა შეუძლებელი იყო. ამიერკავკასიელი ბოლშევიკები მათთვის ჩვეული შეუპოვრობით ასრულებდნენ ამ ამოცანას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ მხრივ გუმეტის საქმიანობას. სომხურ მუშებსა და გლეხობაში ბოლშევიკურ პროპაგანდას და დაშნაკური კონტრრევოლუციის მხილებას სისტემატურად ეწეოდა სომხური გაზეთები „სოციალ-დემოკრატი“ (გამოდიოდა ბაქოში), „ბანვორი კრივი“ (გამოდიოდა თბილისში), „ნორ კიანკ“ (გამოდიოდა ალექსანდროპოლში) და სხვები. ქართველი გლეხობის გარევოლუციურების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართულ ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლას“.

ის ფაქტი, რომ აგვისტო-სექტემბრის თვეებში გლეხთა აგრარული მოძრაობა ამიერკავკასიის სოფლებში უფრო მასობრივი და აქტიური გახდა, თავისთავად მოწმობდა ბოლშევიკური აგრარული პოლიტიკის წარმატებას. მშრომელი გლეხობა ორგანიზებულად

მოქმედებდა, იგი მუშათა კლასის მხარდამხარ დგებოდა, იზრდებოდა პოლიტიკური არმიის რიგები, რომელსაც სოციალისტური რევოლუციის იერიშები უნდა დაეწყო.

3. რევოლუციური აღმავლობა კავკასიის არმიაში

კავკასიის არმიის შემადგენლობაში თებერვლის ბოლო რიცხვებში უკვე მიაღწია ცნობამ პეტროგრადში რევოლუციის შესახებ. ორ, სამ მარტს თბილისის, ბაქოს, ერევნის გარნიზონის ჯარისკაცები უკვე მონაწილეობდნენ იმ მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც საწარმოებში, ქუჩებში, მოედნებზე იმართებოდა. მალე ცნობა გაანაპირა გარნიზონებს და საფრონტო ნაწილებსაც მოედო. ოფიცრობა უძლური აღმოჩნდა შეეკავებინა ჯარისკაცები. ამ მღელვარე დღეებში დაიწყო არმიის ახლებური ცხოვრება.

რუსეთის არმიაში ოფიცრისა და ჯარისკაცის დამოკიდებულება მტრული იყო. ოფიცერი ჯარისკაცს ყოველთვის უცქეროდა ზემოდან, დაცინვით, ზოგი მას რუხ ფარაჯიან ცხოველს უწოდებდა, დისციპლინას სასჯელებით ამყარებდა. თავადაზნაურული წრიდან გამოსული ოფიცრობა წარმოადგენდა ჩაკეტილ, თვითკმაყოფილ, კუდაბზიკა კასტას, რომელსაც გარდა პირადი ყოყოჩობისა და სამსახურში წინწაწევისა არაფერი არ აინტერესებდა. ჯარისკაცებს სძულდათ ოფიცრები, რომლებიც მათ დაუნდობლად სცემდნენ და აწამებდნენ.

და აი, შეიჭრა თუ არა რევოლუციის ტალღა არმიაში, მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა. მეფის ერთგული და ომის გაგრძელების მომხრე ოფიცრობა უფრო გააფთრდა, იგი ჯარისკაცებს გასაჭანს არ აძლევდა და ძველებური მეთოდებით ცდილობდა დისციპლინის შენარჩუნებას. ჯარისკაცები კი რევოლუციის გამარჯვებით წათამამებულნი, ერთსულოვნად და გაბედულად მოქმედებდნენ: აპატიმრებდნენ მათთვის საძულველ გენერლებს, ოფიცრებს, ირჩევდნენ თავიანთ ხელმძღვანელ ორგანოებს[1] და სათავეში ედგნენ რევოლუციური წესრიგის დაცვას[2]. კავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბოლხოვიტინოვი შეშფოთებული იყო რა ჯარისკაცების თვითნებური მოქმედებით, მთავარ ბანაკს

---

[1] ცენტრარქივი, 1918 წლის რევოლუცია ისტორიულ საბუთებში, გვ. 42—43.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5 საქ. 48, გვ. 20—21.

აუწყებდა არმიაში „ბნელი, ეშმაკის ძალების“ გაჩენის შესახებ, მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოქმედებას.

უმაღლესი მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ცოფს ყრიდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს № 1 ბრძანების გამო და მოითხოვდა დაუყოვნებლივ მიეღოთ ღონისძიება არმიის წესრიგში მოსაყვანად, არმიის საქმეში ჩარევის აღსაკვეთად. თუ ეს ახლავე არ გაკეთდა, ჩვენს წინაშეა „საბედისწერო კატასტროფა“ წერდა იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლვოვის და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს სახელზე.

მაგრამ არმიის მთავარსარდლობისა და დროებითი მთავრობის ღონისძიებანი უძლური იყვნენ. არმიაში ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობდა ძველი ურთიერთობის მსხვრევა. 6 მარტს ყარსის ციხე-სიმაგრის გარნიზონის ჯარისკაცებმა იცნეს რა აღმასრულებელი კომიტეტის ხელისუფლება, დაატუსაღეს ციხის კომენდანტი, გუბერნატორი, ვიცეგუბერნატორი, შტაბის უფროსი, ქალაქის კომენდანტი და მთელი რიგი სხვა თანამდებობის პირი ოფიცრები. ჯარისკაცთა დელეგატები სათავეში ჩაუდგნენ წესრიგის ორგანიზაციას, აირჩიეს ციხის ახალი დროებითი კომენდანტი[1]. ჯარისკაცთა შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი ჰქონდა ეჩმიაძინში[2]. ჯარის ნაწილებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მიტინგების მოწყობა და დღის წესრიგში რევოლუციის მტკივნეული საკითხების დაყენება. სარდლობა უძლური იყო დაეშალა ჯარისკაცებისათვის ეს და თავის დეპეშებში კავკასიის სარდლობას სთხოვდა მიეცა მითითება როგორ მოქცეულიყვნენ[3].

9 მარტს ტრაპიზონში შეიკრიბა მიტინგი, რომელსაც 2 ათასი ჯარისკაცი, 'მატროსი, ნავსადგურის მუშა ესწრებოდა. მიტინგზე დადგენილ იქნა პოლიციისა და ჟანდარმების მოხსნა, დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლება. იუდენიჩისადმი ტრაპიზონის გარნიზონის უფროსის დეპეშაში აღიარებულია, რომ გარნიზონის სარდლობამ დაკარგა ყოველგვარი ძალაუფლება, ჯარისკაცთა არჩევითი ორგანოები გახდნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი[4].

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჯარისკაცებში კიდევ უფრო გაიზარდა უსამართლო და მტაცებლურ ომისადმი ზიზღი. ჯარისკაცები ახლა უფრო გაბედულად ამბობდნენ უარს შეტევაზე წა-

---

[1] საქ. სსრ ორსა. ფ. 5, ს. საქმე 48, გვ. 56.

[2] იქვე, გვ. 61.

[3] იქვე. გვ. 67.

[4] ცენტრარქივი, 1917 წ. რევოლუცია, გვ. 72—73.

სელაზე. ისინი რევოლუციაში, პირველ ყოვლისა, ომის დასასრულს ხედავდნენ.

22 მარტს სარიყამიშიდან ფრონტზე გამგზავრებაზე უარი თქვა კავკასიის 28-ე მსროლელი პოლკის ეშელონმა. 22-ე მსროლელმა პოლკმა მოითხოვა ზურგში გაყვანა დასასვენებლად და შესავსებად.

ჯარის გადემოკრატიულება მეფის ტრადიციებზე აღზრდილ ოფიცრობას არმიის დაღუპვად ეჩვენებოდა. № 1 ბრძანებამ მოსპო არმია როგორც დისციპლინიანი საბრძოლო ერთეული იო — ჩიოდნენ ისინი. სარდლობამ მიიღო ყველა ზომა, რომ ეს ბრძანება არ გავრცელებულიყო ამიერკავკასიაზე. კავკასიის ნაწილებს განუმარტავდნენ, რომ ეს ბრძანება მხოლოდ პეტროგრადის გარნიზონს შეეხება და მოქმედი არმიის ნაწილებზე არ ვრცელდებაო[1].

მარტის პირველ ხანებში კავკასიის არმიის ზურგისა და ფრონტის ყველა ნაწილში ჩატარდა ასეულების, პოლკის კომიტეტების, გარნიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეულებისა და პოლკის კომიტეტების უმრავლესობა, ხოლო ჯარისკაცთა საგარნიზონო საბჭოს თითქმის მთელი შემადგენლობა მენშევიკურ-ესერული აღმოჩნდა. თბილისის, ბაქოს, ერევნის, ალექსანდროპოლის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში თითო-ოროლა ბოლშევიკის გაყვანა მოხერხდა. გაბატონებული მდგომარეობა ჯარისკაცთა საბჭოებში შემთანხმებლებმა დაიკავეს და მუშაობა დროებით მთავრობასთან და ამიერკავკასიაში მის ფილიალ ოზაკომთან შეთანხმებით დაიწყეს[2].

ამიერკავკასიაში მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნის პროცესს რომ ვიხილავდით, აღვნიშნეთ, თუ რამ შეუწყო ხელი საბჭოებში ობორონცული პარტიების გამარჯვებას. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა კავკასიის არმიაშიც: ბოლშევიკური ორგანიზაციების სასტიკი დევნის შედეგად რევოლუციის წინა დღით კავკასიის ჯარის ნაწილებში იგრძნობოდა ბოლშევიკური აგიტაციის ნაკლებობა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს კი აგიტაციის ფართო ასპარეზი გააჩნდათ. უდიდესი მნიშვნელობისა იყო ის მკვეთრი გარდატეხა, რომელიც რევოლუციას მოჰყვა. აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებას მოკლებული ჯარისკაცთა მასები უეცრად პოლიტიკური თავისუფლების წინაშე აღმოჩნდნენ, ჯარისკაცი პირველად ისტორიაში აღიარებულ იქნა ადამიანად და მას

---

[1] ცენტრარქივი, 1917 წ. რევოლუცია, გვ. 77.

[2] „Известия Бакинского Совета" № 3.

სამშობლოს ბედისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრა. საერთო მოდად იქცა პოლიტიკა, მომავალზე ცხარე მსჯელობანი. ყველაზე ობივატელი ადამიანებიც კი გააქტიურდნენ. ამას ზედ დაერთო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მყვირალა ლოზუნგები სახალხო თავისუფლების შესახებ, კაიზერის იმპერიალისტური გერმანიისაგან „თავისუფალი რუსეთის“ დაცვის მიზნით ომის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ და ყოველივე ამან, პირველ დღეებში ჯარისკაცები გააბრუა. მათ რიგებში ობორონცული განწყობილება შექმნა.

მაგრამ, რაც უფრო ნათელი ხდებოდა ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზიული მთავრობის და მისი დამჭაში მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციურ-იმპერიალისტური ბუნება, მით უფრო იფანტებოდა ობორონცული ბურუსი და ქრებოდა თვითდამშვიდება. ჯარისკაცთა გამოფხიზლებას ხელს უწყობდა მგზნებარე ბოლშევიკური პროპაგანდა.

ჯარისკაცს პირველ რიგში აინტერესებდა მისთვის უსარგებლო ომის დამთავრება და სახლში დაბრუნება, იგი რევოლუციისაგან მოელოდა ზავს, რომელიც საშუალებას მისცემდა ენახა წლობით მიტოვებული და უპატრონობით გაპარტახებული ოჯახი, ახალი მთავრობა კი ისევ ომს განაგრძობდა.

ჯარისკაცს, რომელიც ომამდე ან მემამულის უღელქვეშ გმინავდა, ან წარმოებაში კაპიტალისტის ექსპლოატაციას განიცდიდა, აინტერესებდა მიწა, რომელსაც იგი თავის სურვილისამებრ დაამუშავებდა, აინტერესებდა ექსპლოატაციის მოსპობა, ნორმალური მუშაობისა და დასვენების უფლების მოპოვება. ახალი მთავრობა კი მიწებს კვლავ მემამულეებს, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებს კაპიტალისტებს უნარჩუნებდა.

ჯარისკაცი იმასაც ხედავდა, რომ მთავრობის ამ მოქმედებას ქებით იხსენიებდნენ მენშევიკები და ესერები, ყურებს უჰედავდნენ მას დემოკრატიის გამარჯვების შესახებ, ამავე დროს დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერას მოითხოვდნენ.

ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ თავიანთი პროტესტი ჯარისკაცებმა, პირველ ყოვლისა, დეზერტირობით გამოხატეს. რუსი ჯარისკაცი, რომლის მამაცობა და გმირობა სამშობლოს დაცვაში განუზომელი იყო, ახლა ამ უაზრო, უსამართლო, ყაჩაღური ომისაგან მობეზრებული, მიდიოდა ოჯახში, რათა იგი ფეხზე დაეყენებინა. ამით ჯარისკაცი თავისი სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს სრულებითაც არ ღალატობდა.

კავკასიის სამხედრო ნაწილებში დეზერტირობამ მასობრივი

ხასიათი მიიღო. შეშფოთებული სარდლობა ზედიზედ ატარებდა საწინააღმდეგო ღონისძიებებს, მაგრამ შედეგი ნაკლებად ჩანდა. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 13 მარტის სხდომაზე სადგ. ნავთლუღის კომენდანტი ჩიოდა იმის გამო, რომ სადგური სავსეა ფრონტიდან წამოსული ჯარისკაცებით და მოითხოვდა აღმასრულებელი კომიტეტის ჩარევას და სასწრაფო ზომების მიღებას მათი უკანვე დაბრუნებისათვის. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობით 19 მარტისათვის დუშეთის მაზრაში იყო 4.000 დეზერტირი. საბჭო ზედიზედ სცემდა მოწოდებებს ჯარისკაცებისადმი, თავის წარმომადგენლებს და პროპაგანდისტებს გზავნიდა ნაწილებში, მაგრამ ფრონტიდან თვითნებურად დაძრულთა ნაკადის შეჩერება მაინც შეუძლებელი ხდებოდა.

ჯარისკაცთა დეპუტატების ესერულ-მენშევიკურმა საბჭოებმა არმიის მოსალოდნელი „გახრწნის“ თავიდან ასაცილებლად მიიღეს გადაწყვეტილება პროპაგანდისტთა კოლეგიის შექმნის შესახებ. პროპაგანდისტთა კოლეგია ნაწილებში ეწეოდა ახსნა-განმარტებითი მუშაობას და „ასაბუთებდა“ ომის ბოლომდე მიყვანის აუცილებლობას. ესერი და მენშევიკი ორატორები ენერგიას არ ზოგავდნენ, რომ არმიის მორალური სიმტკიცე შეენარჩუნებინათ. ისინი ცილისწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, გაკიოდნენ, რომ ბოლშევიკები თავიანთი მოქმედებით ასუსტებდნენ ფრონტს და რევოლუციას აგდებენ საფრთხის წინაშეო.

ყველაფერი ეს შემთანხმებლების მიერ შეთხზული ჭორი იყო. ვ. ი. ლენინი ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენციაზე ომის საკითხზე წარდგენილი რეზოლუციის პროექტში აღნიშნავდა: „ეს ომი შეუძლებელია დამთავრდეს იმით, რომ მარტო ერთი მხარის ჯარისკაცებმა უარი თქვან ომის განგრძობაზე, რომ ერთ-ერთმა მეომარმა მხარემ უბრალოდ შეწყვიტოს საომარი მოქმედება.

კონფერენცია კიდევ და კიდევ აცხადებს პროტესტს იმ მდაბალი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც კაპიტალისტები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ავრცელებენ, სახელდობრ, ვითომც ჩვენ თანავუგრძნობდეთ გერმანიასთან სეპარატიულ (ცალკე) ზავს. გერმანიის კაპიტალისტებს ჩვენ ისეთივე ყაჩაღებად ვთვლით, როგორც რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტებს, ხოლო იმპერატორ ვილჰელმს ისეთივე გვირგვინოსან ავაზაკად, როგორც ნიკოლოზ მეორეს და ინგლისის, იტალიის, რუმინეთისა და ყველა სხვა მონარქს“[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 318—319.

ბოლშევიკები მოითხოვდნენ არა ფრონტის გაშიშვლებას და გერმანიის იმპერიალისტური არმიისათვის გზის გახსნას, არამედ ძალაუფლების გადასვლას მშრომელი კლასების ხელში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ომის დაუყოვნებლივ დამთავრება, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოპოვება.

ომი, — განმარტავდა ვ. ი. ლენინი, — მსოფლიოა. ომს აწარმოებენ განსაზღვრული კლასები და იგი წარმოშობილია საბანკო კაპიტალის მიერ. მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ იმით, თუ ძალაუფლება სხვა კლასის ხელში გადავა. თუ ძალაუფლება გაბატონებულ კლასებს შერჩათ — ზავი ვერაფერს შეცვლის. ...ომი არის განსაზღვრული კლასის პოლიტიკის გაგრძელება. ომის ხასიათის შეცვლა — ეს ნიშნავს ხელისუფლების სათავეში მდგომი კლასის შეცვლას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ფართო სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს კავკასიის ფრონტისა და ზურგის ნაწილებში. თვლიდნენ რა არმიას რევოლუციის შემდგომი გაღრმავებისათვის მნიშვნელოვან ძალად, ბოლშევიკები ცდილობდნენ დაერაზმათ იგი პროლეტარიატსა და ღარიბ გლეხობასთან ერთად სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად.

რევოლუციის გაღრმავების ბოლშევიკური პროგრამის პროპაგანდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბეჭდვით სიტყვას.

გაზეთი „პრავდა“, რომელიც თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მენშევიკურ-ესერული საბჭოს მიერ შექმნილი ყოველმხრივი დაბრკოლების მიუხედავად ჯარისკაცთა მასამდე მაინც აღწევდა, არმიულ მასას არსებულ წყობილებასთან ბრძოლის აუცილებლობის შეგნებითა და მეთოდებით აიარაღებდა. გაზ. „პრავდაში“ ჯარისკაცები აღფრთოვანებით კითხულობდნენ რევოლუციის ბელადის ლენინის სტატიებს, რომლებშიც მოცემული იყო მომენტის ზუსტი შეფასება და მომავლის პროგრამა. გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა, თავიანთი გაზეთისადმი უსაზღვრო სიყვარულის შედეგი იყო ჯარისკაცთა პროტესტები იმ დროს, როცა თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება „პრავდის“ ფრონტის ნაწილებში აკრძალვის შესახებ[1]. კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის ასეთივე პოპულარობით სარგებლობდა „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბაკინსკი რაბოჩი“.

ბოლშევიკები არ ჯერდებოდნენ პროპაგანდას გაზეთის საშუალებით. ჯარისკაცთა მიტინგებსა და კრებებზე ბოლშევიკი ორატო-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. საქ. 8, გვ. 44—45.

რები მოუწოდებდნენ არ დაეპირათ მხარი დროებით მთავრობისათვის, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის იმპერიალისტებთან და მათთან ერთად განაგრძობდა ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას. ბოლშევიკები ასაბუთებდნენ, რომ ვიდრე ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელშია, ფიქრი ზავის შესახებ განუხორციელებელი ოცნებაა, რომ ყველა პარტია, გარდა ბოლშევიკებისა, მიუხედავად იმისა, რომ თავის თავს სოციალისტურს უწოდებს, ფარულად აკეთებს ბურჟუაზიის საქმეს, ამიტომ აუცილებელია გამიჯვნა ამ პარტიებისაგან, მათი გაშავება ჯარისკაცთა არჩევით ორგანოებში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ენერგიული სამზადისი გააჩაღეს ჯარში პარტიული უჯრედების შესაქმნელად, რასაც ჯარისკაცთა მასების გათვითცნობიერებისა და დარაზმვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვ. ი. ლენინი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველსავე დღეებში აყენებდა ჯარში პარტიული ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობას.

მენშევიკები ჯარში პარტიული ორგანიზაციების შექმნის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჯარი არ წარმოადგენს კლასობრივად მთლიან ორგანიზაციას, ამიტომ აქ პარტიულ დაჯგუფებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგან პარტიული ფრაქციულობა ჯარს საერთო ამოცანის განხორციელებაში შეუშლის ხელს და დისციპლინას დასცემსო.

კავკასიის ჯარისკაცთა I ყრილობისათვის მზადების პერიოდში თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: „არ დაეშვა არმიაში პარტიული ორგანიზაციების შექმნა და ჟორდანიას, ჯუღელს და დგებუაძეს დაავალა ყრილობაზე დაეცვათ აღმასკომის ეს გადაწყვეტილება“[1].

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე ბოლშევიკები ასაბუთებდნენ ასეთი „თეორიის“ მცდარობას. „ჯარისკაცები რევოლუციონერები არიან, მაშასადამე, ისინი არიან პოლიტიკური მებრძოლები და ჩამოვაშოროთ პოლიტიკური მებრძოლები პოლიტიკისაგან, ეს ნიშნავს გადავაქციოთ ისინი მიმდინარე მოვლენის უსაქმურ და უაზრო მაყურებლად...

დატოვო ჯარისკაცი პარტიის გარეშე, ნიშნავს, დატოვო იგი პოლიტიკის გარეშე, ნიშნავს სრულებით გარიყო იგი სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, ნიშნავს დაასუსტო რევოლუციის ძა-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ა. ს. 8, გვ. 52.

ლები და გაზარდო კონტრრევოლუციის ძალები"[1], — წერდა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი".

თბილისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება თბილისში მოწვეული ყოფილიყო კავკასიის არმიის ჯარისკაცთა ყრილობა. მენშევიკებმა და ესერებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ყრილობაზე უზრუნველეყოთ თავიანთი უმრავლესობა.

ჯერ ერთი, ჯარისკაცთა ფართო მასებში წინასწარ განხილული და დამუშავებული არ ყოფილა ყრილობის დღის წესრიგი. ჯარისკაც დეპუტატებს არ ჰქონდათ მოწონებულ-მიღებული ნაკაზები, დელეგატების არჩევნები უცბად მოხდა, ამავე დროს საგარნიზონო საბჭოებს, სადაც უმრავლესობას შემთანხმებლები წარმოადგენდნენ, შესაძლებლობა მიეცათ მასებისათვის თავზე მოეხვიათ თავიანთი კანდიდატები. ყრილობის დელეგატები არ გამოხატავდნენ კავკასიის არმიის განწყობილებას. არჩევნების დროს განსაზღვრული იყო 500 — 1000 ჯარისკაცზე ერთი დელეგატი. ყრილობას კი 1800 დელეგატი ესწრებოდა. ასე რომ პროპორცია სრულებითაც დაცული არ ყოფილა და დელეგატების საკმაო დიდი ნაწილი ყოველგვარი არჩევნების გარეშე გარნიზონების და უმთავრესად თბილისის გარნიზონის მენშევიკ წარმომადგენლებით იყო შევსებული[2].

14 აპრილის თბილისის საბჭოს სხდომაზე მენშევიკი ლომთათიძე აცხადებდა, რომ ჯარისკაცთა ყრილობაზე დასასწრებლად თბილისში ჩამოსულმა დელეგატებმა მასზე საშინელი შთაბეჭდილება დასტოვეს; საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ ყრილობაზე გაბატონებული მდგომარეობის დასაკავებლად, საბჭო უნდა დაეყრდნოს თავის 50 სოციალ-დემოკრატ დელეგატს და ყრილობა თავის სასარგებლოდ წარმართოსო[3].

19 აპრილს იმავე თბილისის საბჭოს მუშათა და ჯარისკაცთა სექციების გაერთიანებულ სხდომაზე შემუშავებულ იქნა კავკასიის არმიის ყრილობის დღის წესრიგი. ყველა საკითხზე მომხსენებლად დამტკიცებულნი იქნენ მენშევიკები და ესერები. მიღებულ იქნა დადგენილება სხვა პარტიათა წარმომადგენლები 5 კაცის რაოდენობით მხოლოდ სათათბირო ხმით დაეშვათ[4].

ყრილობა გაიხსნა 23 აპრილს. დღის წესრიგში დასმული იყო

---

[1] „Кавказский рабочий" № 37, 28 ივნისი, 1917 წ.

[2] „Кавказский рабочий" № 63, 1 ივნისი.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, საქ. 8, გვ. 40.

[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. 8, გვ. 42.

შიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის, ომისა და ზავის, დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების, აგრარული, ნაციონალური, დამფუძნებელი კრებისა და მისი მოწვევის ვადის საკითხები.

ბოლშევიკმა არმიელებმა (კორგანოვმა, კრიუკოვმა, სუვოროვმა და სხვ.) ამხილეს ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ბუნება და გააქარწყლეს მომხსენებელ პოპოვის დებულებანი მიმდინარე მომენტში რუსეთის ბურჟუაზიის თითქოსდა პროგრესულობის შესახებ. რევოლუცია პროლეტარიატმა და არმიამ განახორციელა, ბურჟუაზია რევოლუციის დაუძინებელი მტერია, ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ რრგანიზაციას უნდა დავუპირისპიროთ მშრომელთა ერთსულოვანი ორგანიზაციები — ამბობდა ბოლშევიკი კრიუკოვი. ბოლშევიკმა მალიგინმა მოითხოვა მთელი ძალაუფლების გადაცემა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისათვის[1]. ყრილობის ბოლშევიკ დეპუტატებს ხარბად უსმენდნენ ჯარისკაცები. ბოლშევიკებმა ფარდა ახადეს „თავისუფლების სესხის“ იმპერიალისტურ ხასიათს, დაიცვეს არმიაში პარტიული ორგანიზაციების შექმნის საჭიროება, შეიტანეს ამ საკითხზე თავიანთი რეზოლუციები. მაგრამ იმის გამო, რომ ყრილობის შემადგენლობა ძირითადად მენშევიკურ-ესერული იყო, გავიდა ყველა ის რეზოლუცია, რომლებიც შემთანხმებლების მიერ იყო შეტანილი. ჯარისკაცთა საბჭოების სამხარეო საბჭოს შემადგენლობაშიც მთლიანი შემთანხმებლები მოხვდნენ.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მიერ ივნისში ფრონტზე შეტევის დაწყებამ კავკასიის არმიის ნაწილებში აღშფოთება გამოიწვია. მათ თავიანთი საპროტესტო ხმა ერთსულოვნად შეუერთეს მთელი რუსეთის პროლეტარიატისა და არმიის ხმას. „ამხანაგებო, ჩვენგან თხოულობენ შეტევას, — წერდა ჯარისკაცი ფრონტიდან,— მაგრამ ამ შეტევის მომხრენი სრულებითაც არ ფიქრობენ იმის შესახებ, რომ, როცა ჩვენ ფრონტზე ვანადგურებთ უდანაშაულო ადამიანებს, იმავე დროს ჩვენ სახლებში შიმშილის, სიცივისა და სხვა აუტანელი გაჭირვებისაგან იხოცებიან ჩვენი ცოლები და შვილები, ხოლო ცოცხლად დარჩენილნი დაეხეტებიან ქუჩებში. არა, ბატონო ომის მომხრენო, ჩვენ აუცილებლად ვცანით, ვინემ ვანადგუროთ უდანაშაულო ადამიანები, ვიხსნათ ჩვენი ცოლები და შვილები სიკვდილისაგან და თავიდან ავიცილოთ ყველა ის საშინელებანი, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდეს ეს უბედური თაობა, რომელიც

[1] „Известия Совета раб. депутатов гор. Тбилиси“ № 24, 27 აპრილი, 1917 წ.

ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. ამიტომაც ჩვენ არ გვინდა ომი, არამედ გვინდა ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ"[1].

ჯარისკაცთა მრავალრიცხოვან მიტინგებზე, რომლებიც იმართებოდა როგორც ცალკეულ ნაწილებში, ისე გარნიზონების მასშტაბით, ჯარისკაცები ლაპარაკობდნენ ფრონტის საშინელ მდგომარეობაზე, ქვეყანაში გამეფებულ ანარქიაზე, მოითხოვდნენ შეტევის შეწყვეტას, ომის დამთავრებას, მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციური ორგანოსათვის ხელისუფლების გადაცემას.

279-ე სათადარიგო პოლკის ჯარისკაცებმა ბაქოში თავიანთ რეზოლუციაში ჩასწერეს, რომ „ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რადგან დროებითი მთავრობა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ და საპირისპიროდ მოქმედებსო"[2].

თბილისში 28 მაისს მოეწყო ჯარისკაცთა გრანდიოზული მიტინგი. მასში მონაწილეობას იღებდნენ ამიერკავკასიის საარტილერიო საყარაულო ბატალიონის, არსენალის მუშათა მეხუთე ასეულის 218-ე პოლკის მეტყვიამფრქვეველთა რაზმის და გარნიზონის სხვა ნაწილების ჯარისკაცები. მიტინგზე მოსმენილ იქნა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. ჯარისკაცები თავიანთ გამოსვლებში გმობდნენ დროებითი მთავრობის განკარგულებას მომავალი შეტევის შესახებ, მოითხოვდნენ ყოფ. მეფის საიდუმლო-ხელშეკრულებების გამოქვეყნებას და სხვ.[3]

ფრონტზე შეტევის საწინააღმდეგო მიტინგები ჩატარდა და ბოლშევიკური რეზოლუციები მიღებულ იქნა ალექსანდროპოლის, ერევნის, ბათუმის, სარიყამიშის, ტრაპიზონის გარნიზონებში.

31 მაისს თბილისში ალექსანდრეს ბაღში გამართულ დიდ მიტინგზე ჯარისკაცებმა და მუშებმა მოისმინეს სხვადასხვა პარტიების ორატორთა სიტყვები. მათი სიმპათია ბოლშევიკების მხარეზე იყო. მიტინგის შემდეგ,—მოგვითხრობს გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი",—800 ჯარისკაცი ალექსანდრეს ბაღიდან რევოლუციური სიმღერებით გაემართა გიორგიევის ქუჩაზე გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქციისაკენ.

„ჯარისკაცები შედგნენ რედაქციის წინ და მიესალმნენ მას.

რედაქციამ მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს მათ მიერ მუშათა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩისადმი" გამოთქმული თანაგრძნობის-

---

[1] „Кавказский рабочий" № 58, 26 მაისი.

[2] „Бакинский рабочий" № 18, 25 ივნისი.

[3] Кавказский рабочий" № 60, 28 მაისი.

გამო... ჯარისკაცებს დაურიგდათ „კავკაზსკი რაბოჩის“ ნომრები და სრულიად რუსეთის (აპრილის — ა. ს.) კონფერენციის რეზოლუცია.

ამის შემდეგ ჯარისკაცებმა მადლობა გამოუცხადეს რედაქციას და მშვიდად დაიშალნენ, დატოვეს რა გაზეთის ფონდში 13 მ. და 80 კაპ.“[1].

15 ივნისს 218-ე ქვეითი სათადარიგო პოლკის ეზოში გაიმართა ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილიდან მოსული ჯარისკაცები. მიტინგზე ნათლად ჩანდა, რომ ჯარისკაცთა სიმპათია ბოლშევიკების მხარეზე იყო. ისინი აღფრთოვანებით უსმენდნენ ბოლშევიკ ორატორებს[2].

24 ივნისს ალექსანდრეს ბაღში შემდგარ ჯარისკაცთა მიტინგზე, რომელსაც 4000-მდე ჯარისკაცი ესწრებოდა, მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია, სადაც შეტევის გამო გამოთქმული იყო მკაცრი პროტესტი და წამოყენებული იყო ომის დაუყოვნებლივი შეწყვეტის მოთხოვნა[3].

ბოლშევიკური გავლენა სწრაფად ვრცელდებოდა ჯარისკაცთა მასებში არა მარტო თბილისის, არამედ ბაქოს, ბათუმის, ქუთაისის, ახალციხის, ელიზავეტპოლის და სხვ. გარნიზონებში.

ბათუმის მიდამოებში განლაგებულ 221-ე პოლკის 42-ე და მე-13 კადრის ასეულების საერთო კრებაზე, რომელსაც 640 ჯარისკაცი ესწრებოდა, მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია, კრებამ პროტესტი გამოთქვა თბილისელი ბოლშევიკების დაპატიმრების გამო და მოითხოვა მათი სასწრაფოდ განთავისუფლება[4].

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ კორესპონდენტი აღნიშნავს იმ სწრაფ გარდატეხას, რომელიც გამოიწვია კერენსკის ბრძანებამ შეტევის შესახებ ალექსანდროპოლის გარნიზონის ჯარისკაცებში. ჯარისკაცები აღფრთოვანებით უსმენდნენ ბოლშევიკ ორატორებს, გმობდნენ დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას, მოითხოვდნენ ზავის სწრაფად დადებას და სხვ. გაზეთი წერდა, რომ ალექსანდროპოლის გარნიზონის ჯარისკაცებს შორის ყოველდღიურად ძლიერდება ინტერესი ბოლშევიზმისადმი. ჯარისკაცთა განწყობილებაში გარდატეხა მოხდა შეტევის შესახებ კერენსკის ბრძანებასთან დაკავშირებით. მერყეენი ხარბად ეძიებენ პასუხს მათთვის სა-

---

[1] „Кавказский рабочий“ № 66, 4 ივნისი, 1917 წ.

[2] „Кавказский рабочий“ № 78, 18 ივნისი, 1917 წ.
„Кавказский рабочий“ № 86, 26 ივნისი, 1917 წ.

[4] „Кавказский рабочий“ № 89, 2 ივლისი, 1917 წ.

ინტერესო საკითხებზე. საკმაოა ორატორმა განავითაროს ინტერნაციონალური თვალსაზრისი, რომ მერყევნი ბოლშევიკებს მიემხრონო[1].

შემახის გარნიზონის ჯარისკაცები ერთსულოვნად იზიარებდნენ ბოლშევიკურ პოზიციას რევოლუციის ყველა საკითხზე. ბაქოს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ იქ სამუშაოდ გაგზავნა ესერი პროპაგანდისტები, მაგრამ ჯარისკაცებმა მათ არ მოუსმინეს.

პეტროგრადის პროლეტარიატისა და ჯარისკაცების 3-5 ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტამ კავკასიის არმიის ნაწილებში რისხვის ტალღა გამოიწვია. კვლავ გაიმართა მიტინგები ცალკეულ ნაწილებში გარნიზონების მასშტაბით. ჯარისკაცები თავიანთ გამოსვლებში და მიღებულ რეზოლუციებში გმობდნენ დროებითი მთავრობის მხეცურ პოლიტიკას, „სოციალისტი“ მინისტრების ღალატს და მოითხოვდნენ გადამწყვეტ მოქმედებას ხელისუფლების რევოლუციური ორგანოს ხელში გადაცემისათვის.

თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებში ბოლშევიკური გავლენის განმტკიცების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა 25 ივნისის მიტინგი თბილისში, სადაც ჯარისკაცებმა „ხიშტით დაიცვეს“ ბოლშევიკური რეზოლუციები და მენშევიკ-ესერ ორატორებს არც კი მისცეს ლაპარაკის საშუალება[2].

სამხედრო ნაწილებში დღითი დღე იზრდებოდა ბოლშევიკური გავლენა. აღარ უსმენდნენ ჯარისკაცები მენშევიკ პროპაგანდისტებს, ხშირად ისინი სტვენითა და მუქარით ჩამოჰყავდათ ტრიბუნიდან. სამაგიეროდ ბოლშევიკი ორატორების თითოეულ სიტყვას ტაშით აჯილდოებდნენ.

9 ივლისს ბაქოში ჯარისკაცთა კლუბში პეტროგრადის 3-5 ივლისს ამბების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. შაუმიანი. ჯარისკაცებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შაუმიანს. მიტინგზე სიტყვა მოითხოვა ესერმა ბეკზადიანმა, მენშევიკმა სადოვსკიმ. მათ მოიწადინეს ჩაეშალათ მიტინგი, მაგრამ ჯარისკაცებმა არ მისცეს ამის ნება. მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია[3].

ბოლშევიკური განწყობილება განსაკუთრებით სჭარბობდა 218-ე ქვეით სათადარიგო პოლკში. მიტინგზე და კრებებზე უმრავლეს შემთხვევაში ბოლშევიკური რეზოლუციები გამოჰქონდათ. 1-ლ

---

[1] Стеклов, Рев. движение в Кавказской армии в период первой мировой войны (დისერტაცია).

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. დ. 8, გვ. 83.

[3] „Бакинский рабочий“ № 26, 14 ივლისი.

ივლისს აღნიშნული პოლკის ჯარისკაცთა მიტინგზე მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით იყო მოთხოვნილი, რომ მთელი ძალაუფლება გადასცემოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს[1].

ჯარისკაცთა თბილისის საგარნიზონო საბჭოს პროპაგანდისტთა კოლეგია 12-დან 22 ივნისამდე თავის ანგარიშში იძულებული იყო აღენიშნა, რომ „არიან ნაწილები ...სადაც ბოლშევიკთა შიშველმა ლოზუნგებმა ამა თუ იმ მიზეზების გამო მტკიცე ბუდე დაიდგეს. ასე, მაგალითად, 218-ე პოლკის ქვეითი სათადარიგო პოლკის საყარაულო ბატალიონების ორთავე ნაწილებში საპიორის ქუჩაზე და კახეთის ქუჩაზე ჯარისკაცთა განწყობილება ისეთია, რომ ისინი მზად არიან ხიშტებით დაიცვან თავიანთი ლოზუნგებიო"[2]. ცხადია, ამ შემთხვევაში ჯარისკაცები აღარ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ პროტესტებით, არამედ მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ თავიანთი რწმენის დასაცავად.

არმიის მენშევიკური სამხარეო საბჭო და თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობდნენ დედაქალაქი გაეთავისუფლებინათ მათთვის არასაიმედო ნაწილებისაგან. ისინი არჩევდნენ ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცებს და ფრონტზე გზავნიდნენ. მაგალითად, 218-ე საყარაულო ბატალიონი და სხვა ნაწილები, რომლებიც ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილი, სასწრაფოდ გაიყვანეს ქალაქიდან და ფრონტზე გაგზავნეს.

აგვისტოს დასაწყისში კავკასიის სამხედრო ოლქში შეიქმნა სპეციალური კომისია ბაქოს და სხვა სამრეწველო ქალაქების ჯარისკაცებისაგან განსატვირთავად. ეს ღონისძიება თითქოს ნაკარნახევი იყო სასურსათო კრიზისით, მაგრამ ამ საბაბის ქვეშ დაიწყეს თბილისისა და ბაქოს განტვირთვა რევოლუციურად განწყობილი ნაწილებისაგან. ასეთი ნაწილები გაყვანილ იქნენ საფრონტო ზონაში.

პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, მენშევიკურ სამხარეო ცენტრებთან სრული შეთანხმებით, შეუდგა აქტიურ მოქმედებას არმიაში ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდის აღსაკვეთად. 15 ივლისს კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს ორგანომ (გაზ. „გოლოს

---

[1] გახ. „Кавказский рабочий"-ს ფურცლებზე დაბეჭდილია ამ მიტინგებისა და კრებების რამდენიმე რეზოლუცია.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს, 70, გვ. 8.

კრაევოგო სოვეტა") გამოაქვეყნა დადგენილება გენერალ პრჟევალსკის ხელმოწერით, სადაც ნათქვამი იყო:

„...ყოველგვარი მიტინგები და კრებები შეიძლება მოწყობილ იქნას გარნიზონებში მხოლოდ გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით; პოლკებსა და რაზმებში — პოლკისა და რაზმის კომიტეტების ნებართვით.

ყველა ორატორი, რომელიც კი გამოვა გარნიზონის მიტინგზე, უზრუნველყოფილი უნდა იქნას საგარნიზონო აღმასრულებელი კომიტეტის მოწმობით. იმ პირებს, რომლებიც სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში არ შედიან და გამოდიან სამხედრო ნაწილის კრებებზე, თან უნდა ჰქონდეთ აგრეთვე უმაღლესი ადგილობრივი სამხედრო ორგანიზაციის მოწმობები.

ის პირები, რომლებიც მოუწოდებენ ფრონტის მიტოვებას და აგიტაციას ეწევიან შეტევის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ უნდა იქნან დატუსაღებული და გადაცემული სასამართლოზე"[1].

ეს დადგენილება პირდაპირ ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული. საგარნიზონო საბჭოებში ისხდნენ მენშევიკები და ესერები. ისინი არასოდეს არ მისცემდნენ მიტინგის ჩატარების უფლებას იმ ნაწილს, სადაც ბოლშევიკების გამარჯვება იყო მოსალოდნელი. ამავე დროს, კრებაზე მომხსენებლის მანდატს ვერ მიიღებდა ვერც ერთი ბოლშევიკი. შეტევის წინააღმდეგ აგიტაციის სულისჩამდგმელი ბოლშევიკები იყვნენ. მაშასადამე, მათ ამიერიდან დევნა და დაპატიმრება მოელოდათ.

გარდა ამისა, აკრძალულ იქნა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" მიტანა კავკასიის არმიის ნაწილებში. ეს იყო აშკარა შეტევა რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცთა წინააღმდეგ.

მენშევიკურ-ესერულ საბჭოებსა და სამხარეო ორგანოებში დიდი შეშფოთება გამოიწვია დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებამ 3-5 ივლისის მონაწილე პეტროგრადელი ჯარისკაცების ამიერკავკასიაში გაგზავნის შესახებ. ბაქოს აღმასრულებელი კომიტეტი ოზაკომს თხოვნით მიმართავდა, რომ ეს ჯარისკაცები არ შეეშვათ ბაქოში, რადგან „ბაქოში ამჟამად ისედაც ძლიერია ბოლშევიკების გავლენა და ბოლშევიზმით დაავადებული ჯარისკაცების ქალაქში შეშვება ჩვენთვის საშიშ მდგომარეობას შექმნისო"[2].

მიიღო რა მხედველობაში საბჭოების ეს თხოვნა, კავკასიის არ-

---

[1] „Голос краевого Совета" № 56, 15 ივლისი.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, ს. 174, გვ. 1.

მიის სარდლობამ პეტროგრადელი ნაწილები უშუალოდ საფრონტო ზონებში დაანაწილა.

მთავრობის რეპრესიების გამო კიდევ მეტად იზრდებოდა უკმაყოფილება კავკასიის არმიის ჯარისკაცებში. თუ როგორ უყურებდნენ ისინი ბურჟუაზიული მთავრობისა და მენშევიკური სამხარეო ცენტრის კონტრრევოლუციურ ნაბიჯებს, ნათლად ჩანს ჯარისკაცის წერილიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „კავკაზსკი რაბოჩში“.

„ამხანაგო ჯარისკაცებო!

კავკასიის არმიას აკრძალული აქვს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ კითხვა. ეს ნიშნავს ჩვენამდე, სომხეთის შორეულ და მაღალ მთებამდე უკვე ვეღარ მიაღწევს მუშათა გაზეთის მართალი სიტყვა. ჩვენს წინააღმდეგ უხვად იყენებენ რეპრესიებს, დღითი-დღე გვართმევენ მოპოვებულ თავისუფლებას. მიმოიხედეთ ამხანაგებო, არა მარტო ბოლშევიკებს, არამედ იმათაც, ვინც რევოლუციის ენით ილაპარაკებს — არ აძლევენ ლაპარაკის უფლებას.

სად არის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება? ჩვენ გვიკრძალავენ ბოლშევიკური წიგნების, ბროშურებისა და გაზეთების კითხვას და გვდევნიან მათი კითხვისათვის. სად არის კრებების თავისუფლება? ჩვენ გვიკრძალავენ თავშეყრას, მიტინგების მოწყობას „საბრძოლო მოქმედების რაიონში“, ხოლო ეს რაიონი უფროსების სურვილისამებრ იტევს მთელ მოქმედ არმიას.

სად არის კავშირების თავისუფლება? სოც. დემოკრატი ბოლშევიკები, მათი ორგანიზაციები იდევნებიან, მათ წრეებს და თანამგრძნობებსაც კი აპატიმრებენ. ჩვენ გვიკრძალავენ მოვაწყოთ საარმიო ყრილობები და მონაწილეობა მივიღოთ მათში, ხოლო სად არის პიროვნების ხელშეუხებლობა? დაიწყეს თვითნებური დაპატიმრება, დანაშაულის წარდგენის გარეშე საპატიმროში მოთავსება.

ამასთან ერთად, ჩვენ გვაშინებენ სიკვდილით დასჯით, დახვრეტით, დაშლით, წოდების აყრით, საარჩევნო უფლების ჩამორთმევით, სამარცხვინო ნიშნებით. ჩვენ გვპირდებიან დისციპლინარული სასჯელის აღდგენას, ხოლო არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობამ — თითქმის მთლიანად კონტრრევოლუციონერებმა — თავი ასწია, გაჰბედა ხელყოს ჩვენი კომიტეტები“[1].

არმიის ნაწილებში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ესერები, რომლებიც არ ერიდებოდნენ არავითარ ხულიგნურ ხერხებს, რათა შეეჩერებინათ მა-

[1] „Кавказский рабочий“ № 131, 22 აგვისტო.

სების მისწრაფება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ამ მხრივ ესერებმა ადვილად მონახეს საერთო ენა მენშევიკებთან, შექმნეს მათთან ერთად კონტრრევოლუციური ბლოკი და დაიწყეს ცილისმწამებლური თავდასხმები ბოლშევიკების წინააღმდეგ. მიუხედავად ამ გააფთრებული ცდებისა, ისინი ყოველდღიურად კარგავდნენ თანამგრძნობთა რიცხვს და იზოლირებული რჩებოდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ჯარისკაცთა საგარნიზონო მიტინგი, რომელიც შედგა 25 სექტემბერს ქუთაისში.

არა ერგზის მოთხოვნის შედეგად, ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებმა მიაღწიეს საგარნიზონო მიტინგის მოწყობას. როცა საერთო სურვილის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა, ქუთაისის საგარნიზონო საბჭოს ესერი და მენშევიკი წევრები აქტიურად მოემზადნენ, რათა ჯარისკაცები მოექციათ თავიანთი გავლენის ქვეშ. შომხსენებლებად მიმდინარე მომენტზე გამოვიდა ესერების წარმომადგენელი. ხალხი მას არ უსმენდა. მდგომარეობის გამოსწორება ცადეს სხვა ორატორებმა, მაგრამ ამაოდ. როცა აღელვებული მასის დამორჩილება და დაწყნარება ვერ შეძლეს, ესერებმა თხოვეს თავიანთ მომხრე ჯარისკაცებს გამოყოფოდნენ მიტინგს და განცალკევებით შეკრებილიყვნენ კლუბში. ამ წინადადებას თანაგრძნობით შეხვდა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი, რომლებიც განცალკევებით იდგნენ. როცა ტრიბუნაზე ბოლშევიკი ორატორები ავიდნენ, ჯარისკაცები მათ აღფრთოვანებით შეხვდნენ. გაგულისებულმა ესერებმა ბოლშევიკ ორატორთა ჯგუფს ქვები დაუშინეს. მიტინგი ამ ხულიგნური მოქმედების გამო გადადებულ იქნა მეორე დღისათვის. მაგრამ მეორე დღეს, იცოდნენ რა სრული კრახი მოელოდათ, ესერებისა და მენშევიკების წარმომადგენლები მიტინგზე არ მოსულან. ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით მიტინგი წესიერად ჩატარდა. ერთხმად იქნა მიღებული ბოლშევიკური რეზოლუცია[1].

მენშევიკებმა და ესერებმა, დაინახეს რა არმიაში რევოლუციური განწყობილების ზრდა, განგაში ასტეხეს არმიის „ხრწნის" გამო. ისინი გაბოროტებით აღნიშნავდნენ, რომ არმიაში დამკვიდრდა მიტინგობა, რომ ჯარისკაცები მხოლოდ მზესუმზირას წიწკნიან და პოლიტიკანობენ, ხოლო სამშობლოს დაცვა დავიწყებული აქვთ, რომ ეს სენი არმიაში ბოლშევიკებმა შეიტანესო და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდნენ ესერი ბეკზადიანი, გახოკია, მენშევიკები სადოვსკი, გეგეჭკორი და სხვები. ასეთი ცილისწამების წინააღმდეგ იყო მიმართული ამხ. ს. შაუმიანის სტატია „ნუ უკრძა-

[1] „Кавказский рабочий" № 102, 1 ოქტომბერი, 1917 წ.

ლავთ ჯარისკაცებს იყვნენ მოქალაქენი". — მენშევიკებს და ესერებს სურთ მოახდინონ ჯარის იზოლაცია პოლიტიკისაგან, მათ აშინებთ არმიის ბოლშევიკური განწყობილება, მაგრამ არმიის ჩამოცილება მუშათა კლასისაგან, მისი ჩაკეტვა ახალი უბედურება იქნებოდა ბაქოსა და რევოლუციისათვისო[1] — წერდა ს. შაუმიანი.

გენერალ კორნილოვს კავკასიის არმიის სარდლობასა და ოფიცრობაში თანამგრძნობები ჰყავდა. მთელი რიგი არმიების, დივიზიების სარდლებმა, უმაღლესმა ოფიცრობამ თავიანთ დეპეშებში კავკასიის სარდლობის მიმართ გამოაცხადეს, რომ ისინი ემხრობიან გენერალ კორნილოვს[2]. კორნილოვის თავგამოდებული დამცველები შეთქმულების დღეებში თბილისში, ბაქოში, ალექსანდროპოლში და სხვ. ეწეოდნენ აგიტაციას კორნილოვის სასარგებლოდ[3]. კორნილოვშჩინის დღეებში ოზაკომთან შეიქმნა საგანგებო საგამომძიებლო კომისია, რომელიც მხარის პოლიტიკურ და სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდა[4]. კომისიის ხელში თავი მოიყარეს კორნილოველთა საქმეებმა, მაგრამ კომისიამ კორნილოვშჩინის საქმეზე დაპატიმრებული თითქმის ყველა ოფიცერი გაამართლა და ძიება მოსპო[5].

ჯარისკაცთა მასებსა და დემოკრატიულად განწყობილ ოფიცრობაში კორნილოვის თავხედურმა გამოსვლამ აღშფოთება გამოიწვია. კრებებსა და მიტინგებზე ჯარისკაცები თავიანთ რისხვას გამოთქვამდნენ კერენსკის მთავრობისა და მენშევიკ-ესერების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებმაც ეს შეთქმულება მოაწყვეს.

2 სექტემბერს ზურგის საავტომობილო სახელოსნოს ჯარისკაცთა კრებაზე ს. ქავთარაძის მოხსენების შემდეგ მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილი იყო კორნილოვის გამოსვლა, როგორც რეაქციული ბურჟუაზიის ცდა ლახვარი ჩასცეს რევოლუციას. რეზოლუცია კიცხავდა შემთანხმებლური პარტიების მოქმედებას. „ესერებისა და მენშევიკების გამცემლობამ და თანამშრომლობამ ბურჟუაზიასთან შექმნა კორნილოვშჩინის მომზადების შესაძლებლობა. იგი ამიერიდანაც საფრთხეს შეუქმნის რევოლუციას, თუ ხელისუფლება მთლიანად არ გადავა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა

---

[1] „Вак. рабочий" № 49, 6 სექტემბერი.

[2] ცენტრარქივი, 1917 წლ. რევოლუცია, გვ. 121.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 3, ს. ს. 178, გვ. 177.

[4] იქვე, ფ. 3, ს. 6, გვ. 18.

[5] საქ. სსრ ორსა, გვ. 3, ს. სექტემბერი 6, გვ. 1—50; 167, გვ. 269—275; 83, გვ. 47.

რევოლუციური ორგანიზაციების ხელში" — ნათქვამია რეზოლუციაში[1].

ჯარისკაცები მოითხოვდნენ კორნილოვის აგენტებისა და მომხრეების დაუყოვნებლივ დაპატიმრებას და გასამართლებას, საკუთარი ინიციატივით ავლენდნენ ასეთ პირებს.

არმიაში მომუშავე ამიერკავკასიელმა ბოლშევიკებმა კორნილოვშჩინის დღეებში შესძლეს ჯარისკაცთა მასების მტკიცედ ორგანიზება ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო. ჯარისკაცთა ასეთი ერთსულოვნების ვითარებაში კორნილოვშჩინის ერთგულმა ოფიცრებმა ვერ გაბედეს პრაქტიკული მოქმედების დაწყება, რადგან ჯარისკაცთა სიფხიზლის ვითარებაში კორნილოველთა ყოველგვარი მოქმედება საწყის მდგომარეობაშივე ლიკვიდირებული იყო.

კორნილოვშჩინის დღეებში ჯარისკაცთა საბჭოებში ბოლშევიკების ავტორიტეტმა იმატა. მთელ რიგ საგარნიზონო საბჭოში უმრავლესობა ბოლშევიკებმა მოიპოვეს. როგორც ცნობილია, საბჭოების გააქტიურებას და ბოლშევიზაციას ადგილი ჰქონდა მთელი რუსეთის მასშტაბით და ამასთან დაკავშირებით დროებითი მთავრობა იძულებული იყო გამოეცა სპეციალური განკარგულება. სექტემბრის 25 თარიღით ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტი გუბერნიის კომისრებს ბრძანებას აძლევდა დაუყოვნებლივ მოეხდინათ კორნილოვშჩინის დღეებში შექმნილი „საექსტერნო" რევოლუციური ორგანიზაციების ლიკვიდაცია, რომლებიც ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას[2].

კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ კავკასიის არმიის რევოლუციური განწყობილება კიდევ უფრო გაიზარდა. გენერალ ოდიშელიძე, ეძახდა რა კავკასიის არმიის გარევოლუციურებას დისციპლინის მოშლას, წერდა:

„კორნილოვის გამოსვლის შემდეგ გაჭრა დისციპლინის უკანასკნელი ნიშანწყალიც კი. საბოლოოდ დაეცა ავტორიტეტი ყველა ჩინის უფროსებისა. გარდუვალი უფსკრული გაჩნდა ოფიცერთა კორპუსსა და ჯარისკაცთა შორის. უფროსთა შემადგენლობამ საბოლოოდ დაჰკარგა ჯარისკაცთა ნდობა. უფროსთა ბრძანებებმა, როგორც საერთო ხასიათისა, ისე საბრძოლომ, დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა"[3].

არმიაში შექმნილ საშიშ მდგომარეობაზე მიუთითებდა ფრონ–

---

[1] ცენტრარქივი, 1917 წ. რევოლუცია, გვ. 147.

[2] „Кавказский рабочий" № 142, 1917 წ.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 10, ს. 29, გვ. 36.

ტის სარდალი ლევანდოვსკი 21 ოქტომბერს თბილისში მოწვეულ ამიერკავკასიის მხარის საგუბერნიო კომისართა ყრილობაზე[1]. აქ გამოთქმულ იქნა მოსაზრება ნაციონალური პოლკების შექმნის შესახებ. ამ პოლკებს, სარდლობის აზრით, სათავეში უნდა ჩადგომოდა ადგილობრივი საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტები.

ოზაკომის 14 ოქტომბრის სხდომაზე გენერალი პრჟევალსკი, ჩიოდა რა არმიაში დისციპლინის დაცემის გამო, მიუთითებდა ბოლშევიკური გავლენის გაძლიერებაზე და მოითხოვდა გადამჭრელ ზომებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. პრჟევალსკის მხარი დაუჭირა და სასწრაფო ზომების მიღება მოითხოვა ოზაკომის წევრმა პაპაჯანოვმა[2].

კავკასიის არმიაში რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ბოლშევიკების პირველი სამხარეო ყრილობის გადაწყვეტილებას. ყრილობის მიერ არჩეული სამხედრო ბიურო ამიერიდან უშუალოდ ჩაუდგა სათავეში არმიაში პარტიულ მუშაობას. ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო ამოცანად ახლა არმიის წინაშე დადგა ჯარისკაცთა ხელისუფლების ორგანოების ხელახალი არჩევნები, რადგან მარტ-აპრილის თვეში შექმნილი კომიტეტები, საგარნიზონო საბჭოები და თვით სამხარეო ორგანოც ოდნავად არ გამოხატავდნენ არმიაში შექმნილ განწყობილებას, ეს შემთანხმებლური ორგანოები ახლა აფერხებდნენ ჯარისკაცებში რევოლუციურ მუშაობას, ხელს უწყობდნენ კონტრრევოლუციას.

ჯარისკაცებს კრებებზე, მიტინგებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები არმიაში ხელმძღვანელი ორგანოების ხელახალი არჩევნებისა და კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის მოწვევის შესახებ.

„არმიის საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა, არჩეული რევოლუციის დასაწყისში არმიის პირველ ყრილობაზე, როცა ჯარისკაცთა მასებში პარტიული დაჯგუფება ის იყო იწყებოდა, რევოლუციის ნახევარი წლის შემდეგ, ჯარისკაცთა პოლიტიკური განწყობილებებისა და პარტიულ დაჯგუფებებში მომხდარ ძლიერი ძვრის შემდეგ უკვე აღარ გამოხატავს არმიის ჯარისკაცთა რევოლუციურ ნებას, უკვე ვეღარ ჩაითვლება მათ სწორ პოლიტიკურ წარმომადგენლად“[3] — ნათქვამი იყო კავკასიის მსროლელთა საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცთა რეზოლუციაში.

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 723. ს. 428, გვ. 25.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 723, ს. 13, გვ. 147.

[3] „Кавк. раб.“ № 178, 1917 წ.

კომიტეტებისა და საბჭოების შემადგენლობაში წინათ არსებული პირების შემოწმებას და შეუფერებელ პირთა გამოძევებას ამ ორგანოებიდან მოითხოვდნენ კავკასიის საბაზო საწყობის ჯარისკაცები[1]. ასეთი ხასიათის მოთხოვნებს აყენებდნენ თითქმის ყველა გარნიზონში.

ახალი არჩევნები არმიაში და სამხარეო ყრილობა, გამოავლენდნენ ბოლშევიკური პროპაგანდის ბრწყინვალე შედეგს — კავკასიის არმიის გაერთიანებას კომუნისტური პარტიის საბრძოლო ლოზუნგის გარშემო — საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად (ეს დადასტურდა არმიის მეორე სამხარეო ყრილობაზე. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

ზემოთ მოტანილი ფაქტები და დოკუმენტები ვფიქრობთ, ცხადყოფენ, რომ ბურჟუაზიული მთავრობისა და შემთანხმებლური პარტიების მიერ „პატრიოტული" აგიტაციით გაბრუებული ჯარისკაცები მოვლენათა ობიექტური მსვლელობის ვითარებაში თანდათანობით რწმუნდებოდნენ, რომ თებერვლის რევოლუციამ მათ ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები ვერ შეიტანა და საჭიროა რევოლუციის შემდგომი გაღრმავება. ჯარისკაცთა გამოსაფხიზლებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიის დამრაზმველ საქმიანობას. ბოლშევიკებმა ჯარისკაცებს თვალთაგან ჩამოხადეს ობორონცული რიდე და ჩააყენეს ისინი სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის რიგებში. ვ. ი. ლენინი წერდა: „ბოლშევიკებმა ეს მოამზადეს მთელი თავიანთი პროპაგანდით, აგიტაციით, არალეგალურ-ორგანიზაციული მუშაობით 1914 წ. აგვისტოდან. რა თქმა უნდა, სოციალიზმის გამცემლები, ყველა ერის შეიდემანები და კაუცკები, ამის გამო თავს იძვრენდნენ ლაყბობით ბოლშევიკური აგიტაციით არმიის გ ა ხ რ წ ნ ი ს შესახებ. მაგრამ ჩვენ ვ ა მ ა ყ ო ბ თ იმით, რომ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, როცა გავხრწენით ჩვენი კლასობრივი მტრის ძალები, ხელიდან გამოვგლიჯეთ მ ა ს შეიარაღებული მუშების და გლეხების მასები ექსპლოატატორების წინააღმდეგ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ..."[2] 1917 წ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის ბოლშევიკებს არმიაში ჰქონდათ დამკვრელი მუშტი, რომელიც ბურჟუაზიულ ხელის-

[1] „Кавказский рабочий" № 145.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 305.

უფლებაზე იერიშის მომენტში პარტიის საიმედო და ერთ-ერთ გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდა.

ასეთი ძალა კავკასიის არმიის სახით მომზადებული ჰყავდათ ამიერკავკასიის ბოლშევიკებსაც. შემთხვევითი როდი იყო ის აქტიური მხარდაჭერა და პრაქტიკული ბრძოლა კავკასიის კონტრრევოლუციური ხელისუფლების წინააღმდეგ, რაშიც კავკასიის არმიამ თავი ისახელა.

———————

თ ა ვ ი v

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ამიერკავკასია 1917 წლის მიწურულში

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პირველმა დაამხო კაპიტალიზმი რუსეთში, შეარყია კაპიტალიზმის სისტემა მთელ მსოფლიოში, შექმნა სოციალიზმის პირველი ციტადელი, დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიაში ახალ, — სოციალიზმის ეპოქას.

ოქტომბერმა კაპიტალისტურ სამყაროს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა იმით, რომ მსოფლიოს მეტროპოლიებსა და კოლონიებში გადაისროლა ბურჟუაზიის ბატონობისაგან განმათავისუფლებელი რევოლუციის თესლი, პროლეტარიატის დიქტატურის სახით რუსეთში შეიქმნა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აშკარა და მძლავრი ბაზა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში არა მარტო მოსპო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა, ხალხთა შორის შუღლი და მტრობა, არამედ შექმნა ქვეყნის ეკონომიური, სამხედრო, კულტურული ჩამორჩენის სწრაფი ლიკვიდაციის პირობები, მშრომელთა შეძლებული ცხოვრების მატერიალური საფუძველი, მოამზადა ნიადაგი სოციალიზმის აშენებისათვის.

სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის, სახალხო კომისართა საბჭოს, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის დეკრეტებსა და ღონისძიებებში რუსეთის მშრომელმა მასებმა უკვე მიიღეს მათი სასიცოცხლო მოთხოვნების აღიარება და დაკმაყოფილება. „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“ აკანო-

ნებდნენ სრულიად ახალ, ბურჟუაზიულ ურთიერთობისაგან ძირფესვიანად განსხვავებულ ცხოვრებასა და ხალხთა ურთიერთობას, აქცევდნენ მანამდე ხალხთა საპყრობილე მეფის რუსეთს თავისუფალ ერთა ძმური კავშირის ქვეყნად. ამ დეკრეტებში უკვე ხორცს ისხამდა ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეს პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე დიდი ლენინის მიერ წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვები: „ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება“[1].

* * *

საბჭოთა მთავრობამ, ჩაუდგა რა ქვეყანას სათავეში, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისათვის დაუყოვნებლივ დაიწყო უდიდესი პრაქტიკული ღონისძიებების გატარება. იგი გაბედულად შეუდგა ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მსხვრევას და ახლის შენებას. ეს პროცესი მიმდინარეობდა კადეტების, მენშევიკების, ესერების გააფთრებული წინააღმდეგობის, მათ მიერ მოწყობილი საბოტაჟის, შეთქმულებებისა და აჯანყებების ლიკვიდაციის ვითარებაში. საბჭოთა მთავრობამ მოახერხა ცარიზმისა და ბურჟუაზიის უმაღლეს მოხელეთა საბოტაჟის დაძლევა. მოსამსახურეთა ყოფაცხოვრებითი პირობების დაუყოვნებლივი გაუმჯობესებით მან გადმოიბირა მოსამსახურეთა დაბალი და საშუალო ფენის დიდი ნაწილი. სახელმწიფო დაწესებულებები შეავსო პრაქტიკულ საქმეებში გამოუცდელი, მაგრამ რევოლუციის საქმისათვის თავდადებული ადამიანებით მშრომელი მასების რიგებიდან.

იუსტიციის ახალი საბჭოთა აპარატის შექმნამ, თავაშვებული სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლამ და ახალი, საბჭოთა სასურსათო აპარატის შექმნის შედეგად სასურსათო საბოტაჟის ლიკვიდაციამ, ძველი სამინისტროების ნაცვლად საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის ახალი აპარატის — სახალხო კომისარიატების ჩამოყალიბებამ დასაწყისი მისცა ახალ, სოციალისტურ წესრიგს სახელმწიფოს მმართველი მანქანის მუშაობაში. სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით იქცა ჩვენი ქვეყნის შტაბად, რომელიც ახორციელებდა მმართველობის ყველა ამოცანას.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო კომისართა საბჭოსთან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნას, რომელსაც უშუალოდ ეკისრებოდა კონტრრევოლუციონერებისა და საბოტაჟ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 26, გვ. 276.

ნიკების წინააღმდეგ ბრძოლა. ვჩკ ფ. ძერჟინსკის მეთაურობით შევსებულ იქნა სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული მუშებისა და მეზღვაურების რიგებიდან და საბჭოთა ხელისუფლების მრისხანე იარაღად, სოციალისტური სამშობლოს ფხიზელ დარაჯად იქცა.

საბჭოთა სახელმწიფო დაუყოვნებლივ შეუდგა არმიისა და საზღვაო ფლოტის დემოკრატიზაციას, გამოსცა დეკრეტი ძველი არმიის თანდათანობითი დემობილიზაციის შესახებ. ძველი არმიის ნაცვლად, რომელიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ემსახურებოდა, საბჭოთა მთავრობა შეუდგა სამზადისს ახალი, საბჭოთა არმიის შესაქმნელად. ვ. ი. ლენინის წინადადებით ჩამოყალიბებულ იქნა წითელი არმიის შექმნისა და ფორმირების საერთო რუსული კოლეგია, რომელმაც მოამზადა წითელი არმიის შექმნის დეკრეტის პროექტი.

წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის შექმნის შესახებ დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკაში დაიწყო სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ფორმირება.

საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური მსვლელობის ვითარებაში გასაოცარი სისწრაფით იჩინა თავი მასების შემოქმედებითმა აქტიობამ. რუსეთის თვალუწვდენ სივრცეებზე მუშები და გლეხები უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ანგრევდნენ ძველს და ქმნიდნენ ახალ სამმართველო აპარატს. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სახით ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად ხდებოდნენ აქამდე დაჩაგრული, მივიწყებული, უფლება აყრილი უბრალო ადამიანები. საბჭოებმა პოლიტიკურ მმართველობასთან ერთად თანდათან აიღეს ხელში სამეურნეო მმართველობის ფუნქციები, გამოგლიჯეს რა იგი საერობო და საქალაქო ბურჟუაზიულ თვითმმართველობებს და ადგილზე უმაღლეს ხელისუფლებად გადაიქცნენ. მთელი ქვეყანა დაიფარა სასოფლო, სათემო, სამაზრო, საგუბერნიო, საოლქო საბჭოების ქსელით, რომლებიც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის სულისკვეთების ნამდვილი გამომხატველნი იყვნენ. ეს იყო ახალი, უმაღლესი ტიპის დემოკრატიის, სოციალიზმის დემოკრატიზმის აღმოცენება.

საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო ფუნქციების ამოქმედებას. სოციალისტური ეკონომიკის შექმნისა და სწრაფი განმტკიცების მიზნით შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომლის წინაშე დასახულ იქნა სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო ფი-

ნანსების ორგანიზაციის ამოცანა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი ორგანოს შექმნამ ადგილებზე სამეურნეო ორგანოების ჩამოყალიბებამ და ამოქმედებამ დასაწყისი მისცა საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო მოღვაწეობის ლენინური პროგრამის განხორციელებას, მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის, საყოველთაო შრომითი ვალდებულების დაწესებას, ტრანსპორტის, ფინანსების მოწესრიგებას, მრეწველობის გადაყვანას მშვიდობიან რელსებზე, საჭონელბრუნვის მოგვარებას და ა. შ.

საბჭოთა სახელმწიფომ შესძლო ფეოდალიზმის ნაშთების — წოდებრიობის, ქალთა უთანასწორობის სწრაფი ლიკვიდაცია, გამოყო ეკლესია სახელმწიფოდან და სკოლები ეკლესიისაგან, მოსპო უთანასწორობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, დააწესა რა მუშათა კონტროლი წარმოებასა და განაწილებაზე, განახორციელა რა საწარმოთა ნაციონალიზაცია, ამით მოახდინა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, გასტეხა ბურჟუაზიის სამეურნეო ძლიერება, დაიკავა სამეურნეო მართვის საკომანდო სიმაღლეები, გაატარა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობის დარგში და დასაწყისი მისცა კულტურულ რევოლუციას ჩვენს ქვეყანაში.

ყველა ამ ღონისძიებამ, რაც მოკლე დროში განხორციელდა ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით, განამტკიცეს სოციალისტური სახელმწიფო, აამოქმედეს ხალხის წიაღში დაგროვილი ენერგია, განამტკიცეს მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო კავშირი, რომლის წინაშე შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციის ყველა ცდა — ძველი ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენის, — სასიკვდილოდ განწირული აღმოჩნდა.

* *

26 ოქტომბერს ამიერკავკასიის ქალაქებში უკვე იცოდნენ პეტროგრადში აჯანყებული მუშებისა და ჯარისკაცების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესახებ.

იმავე დღეს თბილისში ჩატარდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, აღმასრულებელი კომიტეტის, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო საბჭოს სასწრაფო სხდომები და თათბირები, რომელთა ოქმებისა და რეზოლუციების შესწავლა ნათელს ფენს პეტროგრადის მოვლენებისადმი სხვადასხვა პარტიების დამოკიდებულებას.

სამხარეო საბჭოსა და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის

გაერთიანებულ სხდომაზე მენშევიკებმა დაჰგმეს პეტროგრადში ბოლშევიკების მეთაურობით მოწყობილი აჯანყება. ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და მენშევიზმის სხვა ლიდერები მიუთითებდნენ „დემოკრატიის გათიშვაზე". ისინი „შიშობდნენ" კონტრრევოლუციის საფრთხის გაძლიერებას და მიუთითებდნენ საბჭოთა ხელისუფლების „მშვიდობიანი და დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის" აუცილებლობაზე. მენშევიკების მიერ აღებული პოზიცია სავსებით გაიზიარეს ესერებმა. რეზოლუცია, რომელიც შემთანხმებლურმა სამხარეო საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო, პეტროგრადში შექმნილ ვითარებასა და შემთანხმებლების დამოკიდებულებას მისდამი შემდეგნაირად ახასიათებდა:

„ბოლშევიკების გამოსვლა პეტროგრადში, მისი დროებითი წარმატების ან ძალით სასწრაფოდ ჩახშობის შემთხვევაში კონტრრევოლუციის წარმატებასა და მოპოვებული გამარჯვების დაღუპვას გამოიწვევს. რევოლუციის ინტერესები გვიკარნახებენ აჯანყების მშვიდობიანი ლიკვიდაციის აუცილებლობას რევოლუციური დემოკრატიის ყველა ძალებთან შეთანხმებით. აცხადებს რა ამის შესახებ, სამხარეო ცენტრი მოუწოდებს ყველას შეინარჩუნონ რევოლუციური წესრიგი და რევოლუციური დემოკრატიის ერთიანობა"[1].

მენშევიკების პოზიციის წინააღმდეგ ბოლშევიკებმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 26 ოქტომბრის სხდომაზე ორატორები ბოლშევიკური ფრაქციიდან მიესალმებოდნენ რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში და მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაუყოვნებლივ ცნობას. ბოლშევიკების რეზოლუცია მიესალმებოდა საბჭოების II ყრილობას და მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი სრულ მხარდაჭერას[2]. მაგრამ შემთანხმებლებმა, წარმოადგენდნენ რა უმრავლესობას, აქაც მიიღეს თავიანთი რეზოლუცია, რომელიც სამხარეო ცენტრში მიღებული რეზოლუციის ანალოგიური იყო.

რა მიზანს ისახავდა მენშევიკების ეს შეფერადებული რეზოლუცია? ისინი გრძნობდნენ, რომ ბოლშევიკების გამარჯვება პეტროგრადში არ იყო შემთხვევითი მოვლენა, რომ იგი რევოლუციის განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა და მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა და შეიარაღებული ძალებით აჯანყების ჩახშობი-

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევ. არქივი, ფ. 5, ს. 8, გვ. 110—111.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. 8, გვ. 110—111.

სათვის მოწოდება აშკარას გახდიდა ბურჟუაზიისა და შემთანხმებლების შეხედულებათა ერთიანობას. დემოკრატიის თვალში ისედაც შერყეული მდგომარეობა შემთანხმებლებს უკარნახებდა „აეხსნათ" ბოლშევიკების მიერ პეტროგრადში გადადგმული ნაბიჯი როგორც შეცდომა, როგორც დემოკრატიის დასამარების საფრთხე და მთელი სიძძიმე გადაეტანათ დამფუძნებელ კრებაზე, რომლის არჩევნების მიმდინარეობა მათ შემთანხმებლური და ბურჟუაზიული ბლოკის გამარჯვების იმედებს უსახავდა. მენშევიკები იმასაც ვარაუდობდნენ, რომ კერენსკი და რუსეთის კონტრრევოლუციური ბურჟუაზია შინაგანი ძალებითა და ანტანტის დახმარებით მოახერხებდა მალე მოეხდინა ახლად შობილი ხელისუფლების ლიკვიდაცია. ბურჟუაზიული გაზეთების მხარდამხარ, თავიანთი ორგანოების ფურცლებზე ისინი ავრცელებდნენ ხმებს საბჭოთა ხელისუფლების უდღეურობის, კერენსკის შეტევის, საბჭოების ლიკვიდაციის შესახებ. ამგვარად, ჟორდანიას ფორმულის—„ბოლშევიკების როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება კონტრრევოლუციის ზეიმამდე მიგვიყვანსო", ნამდვილი შინაარსი გულისხმობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შენიღბულ ფორმებში ბრძოლას, მის გაბიაბრუებას, მის ლიკვიდაციას ისე, რომ ამ ბრძოლაში დაფარული ყოფილიყო შემთანხმებლების როლი.

მეტად მღელვარე იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 29 ოქტომბრის სხდომა. გაზ. „ბრძოლა" აღნიშნავს, რომ საბჭო წარმოადგენდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკს. თითქმის მთელი ქანდარა დაუპირისპირდა პარტერში მსხდომ საბჭოს წევრების დიდ უმრავლესობას (შემთანხმებლებს—ა. ს.). ქანდარაზე ღელავდნენ, შფოთავდნენ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყვეტინებდნენ ორატორს სიტყვას, რაც იწვევდა პრეზიდიუმის მხრიდან მუქარას ქანდარისადმი.

პირველ სხდომაზე თავმჯდომარემ ამის გამო სხდომაც დახურა დროებით.

ქანდარიდან უყვიროდნენ საბჭოს წევრებს: „ჩვენ იმიტომ არ გამოგგზავნეთ აქ, რომ ჩვენი ნება-სურვილების წინააღმდეგ რეზოლუციები მიიღოთ, თქვენ გვიღალატეთ, გაგვყიდეთ და სხვა ასეთი"[1].

საბჭოს სხდომაზე შემთანხმებლების პოლიტიკა მკაცრად დაგმეს ბოლშევიკმა დეპუტატებმა ნაზარეტიანმა, დენისოვმა, კალანდაძემ, ბოგდანოვმა და სხვებმა. ამხილეს რა მენშევიკი ორატორების ცილისმწამებლური ჭორები, მათ ცხადყვეს, რომ ამჟამად არსებობს

[1] გაზ. „ბრძოლა" №: 23, ნოემბერი, 1917 წ.

მოვლენების განვითარების მხოლოდ ორი გზა: რევოლუციური და კონტრრევოლუციური. ბოლშევიკები რევოლუციური გზით წავიდნენ, ყველა სხვა გზა, დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული, მხოლოდ და მხოლოდ კონტრრევოლუციის ბანაკში მიემართება. ბოლშევიკები თავიანთ რეზოლუციაში მოითხოვდნენ საბჭოს არჩევნების ხელახალ დანიშვნას, რადგან არსებული საბჭო თავისი შემთანხმებლური და ორჭოფული ბუნებით აღარ გამოხატავდა მასების განწყობილებას, მოვლენებს უკან ჩამორჩებოდა. „მთელი ძალაუფლება რევოლუციური საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს“ — მტკიცედ განაცხადეს ბოლშევიკებმა[1]. მაგრამ აქაც, ხმის უმრავლესობით ბოლშევიკების რეზოლუცია უარყოფილ იქნა. როგორც გაზ. „ბრძოლა“ აღნიშნავდა, ამის შემდეგ ბოლშევიკებმა საკითხი საბჭოს გარეთ, თვით მასებში გადაიტანეს.

თბილისის პროლეტარიატის შეგნებული ნაწილი მხარს უჭერდა ბოლშევიკებს. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში აცხადებდნენ, რომ „რუსეთის ყველა მუშასთან, პროლეტარული გლეხური რევოლუციის ავანგარდთან ხელიხელჩაკიდებული აღსდგებიან რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს დასაცავად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და მემამულეების ყველა ძალის წინააღმდეგ“[2]. მბეჭდავთა კავშირისა და საწარმოთა რწმუნებულების კრება თბილისის ყველა სტამბის მუშათა სახელით თავის რეზოლუციაში მოითხოვდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ გადარჩევებს, რომ მუშებსა და ჯარისკაცებს შესაძლებლობა მისცემოდათ გამოეთქვათ თავიანთი ნამდვილი ნება-სურვილი[3].

პეტროგრადში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას ორგანიზებულად შეხვდნენ თბილისის გარნიზონის ჯარისკაცები. 26-27 ოქტომბერს თბილისში მიმდინარეობდა კავკასიის სამხედრო ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკთა კონფერენცია, რომელმაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ მისალმებაში კონფერენციის დელეგატები, გამოთქვამდნენ თავიანთ აღფრთოვანებას და წერდნენ: „კავკასიის მხარის და ფრონტის სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების სამხედრო ორგანი-

---

[1] საქ სსრ ორსა, ფ. 5, ს. 10, გვ. 7—8.

[2] „Кавказский рабочий“ № 194, 1917 წ.

[3] „Кавказский рабочий“ № 189, 1917 წ.

ზაციების კონფერენცია მიესალმება პეტროგრადის რევოლუციურ პროლეტარიატს და არმიას. ამ უდიადეს მომენტში, როდესაც წყდება რევოლუციის ბედ-იღბალი, კონფერენცია კავკასიის არმიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის ყველა წევრის სახელით ფიცს სდებს, რომ ან მოიპოვებს გამარჯვებას რევოლუციურ პეტროგრადთან ერთად, ან დაიღუპება პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლაში... კონფერენცია... თავის მხურვალე სალამს უძღვნის პროლეტარული რევოლუციის უნიჭიერეს ბელადს რუსეთში, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის უენერგიულეს მებრძოლს ამხანაგ ლენინს"[1].

კონფერენციის გადაწყვეტილებამ და ჯარისკაცებისადმი მიმართვამ თბილისის გარნიზონი პრაქტიკულად აამოქმედა. სწორედ ამ დღეებში თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თბილისის არსენალიდან უხვად ურიგებდა იარაღს მენშევიკ კომისრებს, რომლებიც „რევოლუციური წესრიგის დაცვის" საფარქვეშ კონტრრევოლუციურ ელემენტებს აიარაღებდნენ, ცხადია, რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ. ჯარისკაცებმა თავის მხრივ მოითხოვეს გარნიზონის ნაწილების შეიარაღება.

27 ოქტომბერს ზურგის საავტომობილო ნაწილის ჯარისკაცთა კრებაზე არჩეულმა დელეგატებმა საარტილერიო საწყობის ჯარისკაცთა კრებაზე არჩეულ დელეგატებთან ერთად წამოაყენეს წინადადებანი თბილისის ნაწილების ჯარისკაცთა შეიარაღების, პეტროგრადის რევოლუციური ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების დაუყოვნებლივი დანიშვნის შესახებ. ეს მოთხოვნები მალე თბილისის გარნიზონის ყველა ჯარისკაცისათვის ცნობილი გახდა და ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. დელეგატები გარნიზონის სხვა ნაწილებმაც აირჩიეს და ამრიგად სასწრაფოდ, ჯარისკაცთა ინიციატივით შეიქმნა სადელეგატო კრება, რომელმაც 28 ოქტომბერს, მეორე სხდომაზე, გარკვეით ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა.

თბილისის გარნიზონში ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში სადელეგატო კრების შექმნა იმას მოწმობდა, რომ ჯარისკაცები უნდობლად უყურებდნენ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, გმობდნენ მის შემთანხმებლურ პოლიტიკას. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, სადაც აგრეთვე გარნიზონის სამხედრო ნაწილების

[1] „Кавказский рабочий" № 184, 1917 წ.

საორგანიზაციო კომიტეტების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ბოლშევიკი დეპუტატი გახოკია აცხადებდა: „სადელეგატო კრება შეიქმნა როგორც ზოგად ისე ადგილობრივ საკითხებში საბჭოს პოლიტიკისადმი უკმაყოფილების გამო. გადარჩევის მოთხოვნა სავსებით ბუნებრივია. იმის გამო, რომ აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭო წინააღმდეგობას უწევს სადელეგატო კრებას, უკმაყოფილო ნაწილები შეუერთდნენ სადელეგატო კრებას იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად დაიცვან თავიანთი უფლებებიო"[1].

სადელეგატო კრებამ, რომელიც მალე თბილისის 70 სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა განწყობილების გამომხატველი გახდა, მოითხოვა არა მარტო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადარჩევა, არამედ არმიის II ყრილობის მოწვევა და არმიის სამხარეო ორგანოს შეცვლა, რადგან ეს ორგანო, ისე როგორც თბილისის საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი, ბურჟუაზიასთან ფარული გარიგების, ოქტომბრის რევოლუციის ჩახშობის პოზიციას ადგა. ამავე დროს, სადელეგატო კრებამ გამოაცხადა, რომ თბილისის გარნიზონი მთლიანად უჭერს მხარს პეტროგრადის მთავრობას და წინადადებას აძლევს აღმასრულებელ კომიტეტს შეაიაროს გარნიზონის ნაწილები, რადგან კონტრრევოლუციამ თავი წამოყო და პეტროგრადის ხელისუფლების გამარჯვებას ემუქრებაო[2].

სადელეგატო კრებამ ულტიმატუმი წაუყენა თბილისის საბჭოს: მოსთხოვა მას გარნიზონის ჯარისკაცთა ამ ორგანოს ცნობა და მის მიერ წამოყენებული მოთხოვნების გატარება.

სადელეგატო კრება იყო ჯარისკაცთა მიერ კარგად წამოწყებული საქმე, პრაქტიკული ნაბიჯი ხელისუფლების მოპოვებისაკენ. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სამხარეო საარმიო საბჭოს შემთანხმებელ ლიდერთა შორის ამ ორგანოს შექმნამ ნამდვილი პანიკა გამოიწვია. ვერეშჩაკი, ჯუღელი, რებრუხი და სხვა მენშევიკი და ესერი დეპუტატები სადელეგატო კრების არსებობას საბჭოს გვერდით უწოდებდნენ ორხელისუფლებიანობას და, ცოფს ყრიდნენ რა ამის გამო, მის დაუყოვნებლივ დაშლას მოითხოვდნენ[3]. ამავე დროს, ეშინოდათ რა გარნიზონის ჯარისკაცთა განწყობილებისა, ისინი თანხმობას გამოთქვამდნენ ახალი არჩევნების დანიშვნაზე. არჩევნების დანიშვნის თანხმობის გამოძალვა შემთანხმებ-

---

[1] საქ. სსრ ორსა. ფ. S, ს. 8, გვ. 114.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 113—115.

ლური აღმასრულებელი კომიტეტისაგან იყო სადელეგატო კრების პირველი გამარჯვება. სადელეგატო კრებამ, არ ენდო რა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ ღონისძიებას ახალ არჩევნების დანიშვნის საქმეში, თვითვე აირჩია კომისია, რომელსაც უნდა ემუშავა თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილ საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით. ამავე დროს მოითხოვა: არსენალის დაცვა და უიარაღო ნაწილების შეიარაღება, სამხარეო საბჭოს გადარჩევისათვის აგიტაციის გაჩაღება, რუსეთის ახალი რევოლუციისათვის მხარდაჭერა და მისი სრულუფლებიან ორგანოდ ცნობა[1]. თუ თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წინააღუდგება სადელეგატო კრებას, იგი შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს მას და, ამასთანავე, მთელი პასუხისმგებლობა შედეგებისათვის თბილისის საბჭოს დაეკისრებაო — ნათქვამი იყო რეზოლუციაში[2].

თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 4 ნოემბრის სხდომაზე ბოლშევიკებს შემთანხმებელ მესვეურთა იერიშების წინააღმდეგ დაძაბული ბრძოლა მოუხდათ. მენშევიკი ჭიაბეროვი, რომელიც თურმე ესწრებოდა სადელეგატო კრების ერთ-ერთ სხდომას, აცხადებდა, რომ ეს ორგანო შექმნილია არა თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობისათვის, არამედ მის ასაფეთქებლადო[3]. მენშევიკი ზურაბოვი სხდომას მოუთხრობდა რა რევოლუციის შემდეგ ბაქოში შექმნილ ვითარებაზე, სადელეგატო კრებას ადარებდა ბაქოს საფაბრიკო-საქარხნო კომისიების კონფერენციას, რომელიც აგრეთვე ხელისუფლების ხელში ჩაგდებისაკენ მიისწრაფვისო[4]. ბოლშევიკებმა საბჭოზე დაასაბუთეს სადელეგატო კრების შექმნის კანონზომიერება და მოითხოვეს მისი ცნობა. მაგრამ ბოლშევიკური რეზოლუცია აღმასრულებელ კომიტეტზე მიღებულ არ იქნა და ხმის უმრავლესობით მოწონებულ იქნა დადგენილება, რომელიც სადელეგატო კრების დაშლას მოითხოვდა. ამის შემდეგ ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ ისინი თავიდან იხსნიან პასუხისმგებლობას იმ შედეგების გამო, რაც მოჰყვება აშკარა კონფლიქტს სადელეგატო კრებასა და აღმასრულებელ კომიტეტს შორის და

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. 8, გვ. 114.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

გადიან აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან. ბოლშევიკებმა სხდომა დასტოვეს[1].

სადელეგატო კრების საკითხი აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 10 ნოემბრის სხდომაზე გამოიტანა. ბოლშევიკებმა საბჭოს ტრიბუნიდან კვლავ დაასაბუთეს სადელეგატო კრების შექმნის კანონიერება და მისი აღიარება მოითხოვეს[2]. ამჟამად სადელეგატო კრება — აცხადებდა კუზნეცოვი — თბილისის გარნიზონის 77 ნაწილის ნებასურვილის გამომხატველია და მისი გარეკვა მეტისმეტად სარისკო ნაბიჯი იქნება, ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ სადელეგატო კრებასთან კონტაქტში მუშაობას[3]. შემთანხმებლურმა საბჭომ უარჰყო ბოლშევიკების რეზოლუცია. ამავე დროს იგი ჩააფიქრა ბოლშევიკების კატეგორიულმა განცხადებამ აღმასრულებელი კომიტეტიდან გასვლის შესახებ და ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ბოლშევიკებს მოუწოდა „არ გაეთიშათ დემოკრატია“, გადაეხედათ თავიანთი გადაწყვეტილებებისათვის და რევოლუციის ძალთა კონსოლიდაციის ინტერესებისათვის ისევ დაბრუნებულიყვნენ აღმასრულებელ კომიტეტში[4]. ცხადია, ამ შემთხვევაში შემთანხმებლებს აინტერესებდათ არა „რევოლუციის ძალთა კონსოლიდაცია“, არამედ მასებში ავტორიტეტის საკითხი, ბოლშევიკების საბჭოდან გამოსვლა და სადელეგატო კრების მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება შემთანხმებლების ავტორიტეტს ზიანს აყენებდა.

შემთანხმებლური რეზოლუციის მიღების შემდეგ ბოლშევიკური ფრაქციის სახელით კუზნეცოვმა განაცხადა, რომ „ფრაქციამ გადახედა თავის გადაწყვეტილებას და აღიარებს რა სადელეგატო კრების კანონიერების თვალსაზრისს, საბჭოს მიერ სადელეგატო კრების დათხოვნის მიღების გამო ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას აღმასრულებელი კომიტეტიდან გასვლის შესახებ და რჩება საბჭოში“[5].

სადელეგატო კრების საკითხი განხილულ იქნა რსდმპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტში. საოლქო კომიტეტმა აღიარა, რომ ბოლშევიკების გამოსვლა თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან უკვე ნიშნავს ომის გამოცხადებას საბჭოსა-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. 8, გვ. 114.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5. ს. 10, გვ. 13—18.
[3] იქვე.
[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, ს. 80, გვ. 18.
[5] იქვე.

თვის. მაგრამ არის თუ არა სახეზე ასეთი ომისათვის საჭირო ძალები? საოლქო კომიტეტმა ეს ძალები არასაკმარისად ჩასთვალა. სადელეგატო კრება გამოხატავდა ჯარისკაცთა განწყობილებას, მაშინ როცა ადგილობრივი პროლეტარიატი მას ჯერ კიდევ არ გამოხმაურებია არც განცხადებით, არც პრაქტიკული მოქმედებით[1].

სადელეგატო კრების არსებობის, ბოლშევიკური ფრაქციის საბჭოდან გამოსვლის საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული შეიარაღებული აჯანყების საკითხთან. ბოლშევიკური პარტიის საოლქო ცენტრი საკითხს ასე სვამდა: არის თუ არა სახეზე ყველა პირობა იმისათვის, რომ საბჭოებს ომი გამოეცხადოს და მათი გარეკვა მოხდეს იარაღის გამოყენებით, თუ ჯერჯერობით უმჯობესია ბრძოლა საბჭოების მშვიდობიანი დაპყრობისათვის.

მართლაც, ეს იყო ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეები, როცა ახლადშობილი პროლეტარული სახელმწიფოს დიადი პროგრამა მასების შეგნებამდე დაყვანილი არ ყოფილა. საბჭოების მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ ცნობები მხოლოდ კანტი-კუნტად ვრცელდებოდა ქალაქში. ამავე დროს ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პროპაგანდა ძალებს არ იშურებდა, რომ ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღება ბლანკიზმად, ავანტიურიზმად, უპერსპექტივო და უდღეურ მოვლენად გამოეცხადებინათ. ამ პერიოდში საბჭოებისათვის იარაღით ომის გამოცხადება მეტად სარისკო ნაბიჯი უნდა ყოფილიყო. არა თუ თბილისში, სადაც წვრილბურჟუაზიული ტალღა ძლიერი იყო, არამედ ბაქოშიც კი, სადაც პროლეტარიატი გაცილებით მომწიფებული და ორგანიზებული იყო პროლეტარული რევოლუციისათვის, ბოლშევიკები ჯერ კიდევ ერიდებოდნენ ბურჟუაზიულ დაწესებულებებთან აშკარა ომის გამოცხადებას, იტანდნენ მათ არსებობას და ცდილობდნენ მიეღწიათ საბჭოებისა და ქალაქის ხელისუფლების ორგანოების მშვიდობიანი დაპყრობისათვის.

ამხ. ფ. მახარაძე შენიშნავს, რომ „აქ (თბილისში) მართლაც არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც არსებითად ბურჟუაზიული ხელისუფლება იყო. მაგრამ აჯანყება მის წინააღმდეგ მისი დამხობის მიზნით მასისათვის გაუგებარი დარჩებოდა. მეორეს მხრივ, არსებული საბჭოები უკვე აღარ გამოხატავდნენ სინამდვილეს, საჭირო იყო მათი გადარჩევა. აი ამას მოითხოვდა მაშინ ბოლშევიკური ცენტრი ამიერკავკასიაში და კერძოდ თბილისში, სრუ-

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 94.

ლიად დარწმუნებული იმაში, რომ, თუ გადარჩეულ საბჭოებში ის ვერ მიიღებდა უმრავლესობას, ყოველ შემთხვევაში, მას ეყოლებოდა საგრძნობი უმცირესობა, ხოლო ჯარისკაცთა სექციაში უთუოდ უმრავლესობა. ამიტომ ბოლშევიკურმა ცენტრმა (საოლქო კომიტეტმა) წამოაყენა საბჭოების დაუყოვნებლივ ხელახალი არჩევნების ლოზუნგი"[1], ხოლო თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბოლშევიკურ ფრაქციას წინადადება მისცა დაბრუნებულიყო საბჭოში და განეგრძო საბჭოს შემთანხმებლური პოლიტიკის მხილება და ახალი არჩევნებისათვის სამზადისი.

2 ნოემბერს რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის საოლქო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საქართველოს მშრომელებს მხარი დაეჭირათ ოქტომბრის რევოლუციისათვის. „ჩვენ სწორი ცნობებიც კი არ გვაქვს სატახტო ქალაქის შესახებ. ხალხს უმალავენ ამ ცნობებს, არ აცნობენ საქმის ნამდვილ ვითარებას. გუშინ მთელი დღე ლაპარაკობდნენ თბილისში მოსულ რადიოტელეგრამაზე, რომელიც პეტროგრადს შეეხება. მის შინაარსს ამ სიტყვებით გადმოგვცემენ: „რუსეთის რევოლუციის მატიანეში ჩაიწერა ახალი ბრწყინვალე გვერდი, დამარცხდნენ კერენსკის ჯარები, გაცემულია ბრძანება კერენსკის დატუსაღების შესახებ".

რევოლუციის ცენტრს შველა უნდა. კონტრრევოლუცია ყველგან უნდა აილაგმოს, ხალხი უნდა დაირაზმოს თავისი რევოლუციური საბჭოების გარშემო და თავგანწირულად დაუჭიროს მხარი რევოლუციის ცენტრებს — პეტერბურგს და მოსკოვს!"[2].

16 ნოემბრის მოწოდებაში ამიერკავკასიის მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი, ბოლშევიკური პარტიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავდა: „თუ თქვენ არ გსურთ მოწყვეტილი იყოთ რევოლუციური რუსეთიდან, მისი რევოლუციური დემოკრატიისაგან, თუ გსურთ თქვენი უფლებების და ინტერესების კანონიერი დაცვა, თუ გამოძრავებთ მშვიდობის, მიწის, პურის, თავისუფლების ინტერესები, — დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოთ ყველგან ცენტრალური მუშურ-გლეხური ხელისუფლების აღიარება"[3].

11 ნოემბერს ნაძალადევში გაიმართა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც სამი ათასამდე მშრომელი ესწრებოდა. მიტინგზე ბოლშევიკმა ორატორებმა მასებს მოუწოდეს საბ-

---

[1] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭ. ხელისუფლ. საქართველოში, გვ. 91—92.

[2] გაზ. „ბრძოლა" № 24, 1917 წ.

[3] გაზ. „Кавказский рабочий" № 201, 1917 წ.

ჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის, კონტრრევოლუციის ძალებთან დაუნდობელი ბრძოლის შესახებ. სიტყვებით გამოვიდნენ გროზნოსა და ბაქოს წარმომადგენლები. გროზნელი დელეგატი თავის გამოსელაში აღნიშნავდა ჩრდილოეთ კავკასიისა და გროზნოს გარნიზონის ერთსულოვნებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი საქართველოს მშრომელთა მხარდაჭერას მოითხოვდა. ბაქოს დელეგატი სიამაყით ამბობდა: ბაქოში ძალაუფლება საკუთებით საბჭოს ხელში გადავიდა და ახლა ამასვე ელიან თბილისიდან. მიტინგმა მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომლითაც პეტროგრადის რევოლუციურ არმიას მიესალმებოდა და მხოლოდ მუშურგლეხურ მთავრობას სცნობდა[1].

თბილისში დაიწყო საბჭოს ხელახალი არჩევნებისათვის სამზადისი. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს კამპანია მენშევიკებმა უკეთ ჩაატარეს, ვიდრე ბოლშევიკებმა. მათ ყველა საშუალება გამოიყენეს, რომ ხმების უმრავლესობისათვის მიეღწიათ. მენშევიკებმა და ესერებმა არჩევნების პერიოდში მიმართეს აგრეთვე დემოკრატიის ინტერესების უგულვებელყოფის და არჩევნების ფალსიფიკაციის შეტად უხეშ სისტემას: არჩევნები მათ ჩაატარეს ე. წ. მაჟორიტალური წესით, რომლითაც საბჭოს შემადგენლობაში თავის დელეგატებს გზავნიდა მთლიანად ის ფრაქცია, რომელიც კენჭის ყრის დროს თუნდაც ერთი ხმით მეტს მიიღებდა. ასეთი მაქინაციებით მენშევიკებმა უზრუნველჰყვეს ახალ საბჭოში მთლიანად თავიანთი წარმომადგენლების გაყვანა და ბოლშევიკები თბილისის საბჭოდან გამოდევნილ იქნენ. ეს იყო თბილისის ბოლშევიკების სერიოზული შარცხი, რაც წინასაარჩევნო კამპანიაში მათმა პასიურობამ გამოიწვია. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს სერიოზული შეცდომები კავკასიის ბოლშევიკების საოლქო და თბილისის კომიტეტებისა, რომლებმაც დროულად ვერ ამხილეს და საჯაროდ ვერ დაჰგმეს მენშევიკური მაქინაციები, ვერ გამოიყენეს გარნიზონის განწყობილება და ვერ უზრუნველჰყვეს თბილისის პროლეტარიატის ავანგარდული ნაწილის დარაზმვა თავისი უფლებების დასაცავად.

არჩევნების ასეთი შედეგების შემდეგ საოლქო კომიტეტში დაისვა პარალელურად ბოლშევიკური საბჭოს შექმნის საკითხი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც საოლქო კომიტეტის წევრები მდგომარეობისადმი შემარიგებლობის პოზიციას დაადგნენ და ვერ უზრუნველჰყვეს ფართო აგიტაცია-პროპაგანდა იმისათვის, რომ არ დაეთმოთ პოზიციები და მოეთხოვათ ახალი არჩევნების ჩატარება. ბოლშევი-

[1] გაზ. „ბრძოლა" № 35, 15 ნოემბერი, 1917.

კურმა ცენტრმა არა თუ გააღრმავა ბრძოლა საბჭოებში უმრავლესობის მისაღწევად, არამედ სანქცია მისცა კიდევ სადელეგატო კრების დაშლას, კრებისა, რომელიც ხელისუფლების მოპოვებისაკენ პირველი და სერიოზული ნაბიჯი იყო.

• •

როგორ შეხვდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ბაქოს პროლეტარიატი და მისი ავანგარდი ბოლშევიკური პარტია?

26 ოქტომბერს ბაქოს პროლეტარიატმა უკვე იცოდა პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა მიერ ხელისუფლების აღების შესახებ. ბაქოს ნავთის სარეწებსა და ფაბრიკა-ქარხნებში 26—30 ოქტომბერს ჩატარებულ მიტინგებზე გამოტანილ რეზოლუციებით მუშებმა აღიარეს ოქტომბრის რევოლუციისადმი მხურვალე მხარდაჭერა.

26 ოქტომბერს პეტროგრადის მოვლენებისადმი დამოკიდებულების საკითხი დაისვა ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტური პარტიები, პროფესიული კავშირების საბჭო, კასპიის ფლოტილიის ცენტრალური საბჭო, სამხედრო ნაწილების, რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტები.

შემთანხმებლურმა პარტიებმა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, მუსავატელებთან და დაშნაკებთან ფარულ კავშირში მიზნად დაისახეს ხელიდან გამოეგლიჯათ ხელისუფლების სადავეები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსათვის, რომელიც ბოლშევიკებს უჭერდა მხარს და კოალიციის პრინციპზე შეექმნათ ახალი ორგანო, სადაც მათ ბლოკის ვითარებაში შეეძლებოდათ თავიანთი პოლიტიკის გატარება და საბჭოს ღონისძიებათა გაუფასურება. ასეთ ორგანოდ დასახეს „საზოგადოებრივი უშიშროების ბაქოს კომიტეტი“, რომელშიც უნდა შესულიყო აღმასკომის და საბჭოს 3-3 წარმომადგენელი და ზემოთ მითითებული ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი. ამხ. შაუმიანმა სასტიკად გაილაშქრა შემთანხმებლური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბლოკის ამ ახალი ცდების წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ბაქოში ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც ენდობა მუშათა კლასი, არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და მისი აღმასკომი, რომელიც

არავის არ დაუთმობს თავის ძალაუფლებას, რადგან მხოლოდ იგია პასუხისმგებელი ბაქოს მშრომელი მასების წინაშეო[1].

ბოლშევიკების შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად სოციალისტურმა პარტიებმა მოახერხეს გაეტანათ წინადადება „საზოგადოებრივი უშიშროების ბაქოს კომიტეტის“ შექმნის შესახებ. საბჭოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბოლშევიკებმა დაჟინებით მოითხოვეს ეს საკითხი განსახილველად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე გადაეტანათ.

საბჭოს გაფართოებული სხდომა მეორე დღეს — 27 ოქტომბერს შეიკრიბა და იგი მეტად მღელვარე იყო. პეტროგრადში მომხდარი აჯანყების გამარჯვებისა და მისდამი ბაქოს პარტიების დამოკიდებულების შესახებ ბოლშევიკური ფრაქციიდან მოხსენებით გამოვიდა ა. ჯაფარიძე, მენშევიკებიდან — ათარბეგოვი, ესერებიდან — სააკიანი.

ა. ჯაფარიძემ ჩამოაყალიბა ოქტომბრის რევოლუციისადმი ბაქოს პროლეტარიატის და მისი ავანგარდის ბოლშევიკური პარტიის დამოკიდებულება: — პეტროგრადში მუშებისა და ჯარისკაცების მიერ ხელისუფლების აღება ერთადერთი გზაა რევოლუციის ხსნისა, იგი დასაწყისია დიდი რევოლუციური ეპოქისა მთელ მსოფლიოში. ჩვენ არა თუ მხარს ვუჭერთ მას, არამედ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ადგილობრივ, ბაქოში მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემას მივაღწიოთ, — ამბობდა იგი.

მენშევიკმა ათარბეგოვმა ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღება დანაშაულად აღიარა, იგი გზას უხსნის კონტრრევოლუციას, ჯაფარიძის მოწოდება ბაქოში სამოქალაქო ომის გაჩაღებას გამოიწვევსო — აცხადებდა იგი. მას სავსებით დაუჭირა მხარი სააკიანმა. შემთანხმებლები ცილისმწამებლური გამოხდომებით და ჭორებით ვარაუდობდნენ პეტროგრადის საბჭოთა ხელისუფლებისათვის დელეგატების თვალში სახელი გაეტეხათ, „წესრიგისაკენ“ მოუწოდებდნენ ბაქოს პარტიებს, რაც არსებითად ბურჟუაზიული რეჟიმის ხელუხლებლობისაკენ მოწოდება იყო. მოხსენებათა ირგვლივ გამართულ ცხარე კამათში ბოლშევიკური ფრაქციიდან მონაწილეობა მიიღეს შაუმიანმა და აზიზბეკოვმა, რომლებმაც დაიცვეს ლოზუნგი მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ.

შემთანხმებლებმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც ანალოგი-

[1] „Известия Бак. Совета“ № 173.

ური იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოზე და თბილისის საბჭოზე მიღებული რეზოლუციისა[1].

შემთანხმებლები რეზოლუციაში მოითხოვდნენ ბოლშევიკების გამოსვლის მშვიდობიან, უმტკივნეულო ლიკვიდაციას, მთელი ხელისუფლების მომავალი დამფუძნებელი კრებისათვის გადაცემით[2].

ბოლშევიკების რეზოლუცია მხურვალედ უჭერდა მხარს პეტროგრადის რევოლუციურ ხელისუფლებას და მოითხოვდა ადგილობრივ მთელი ძალაუფლების საბჭოსათვის გადაცემას.

კენჭისყრის შედეგად შემთანხმებლურმა რეზოლუციამ მიიღო 248 ხმა, ბოლშევიკურმა — 149 ხმა და 3-მა თავი შეიკავა. ამრიგად, სხდომაზე გამარჯვება შემთანხმებლებმა მოიპოვეს და მიიღეს კიდეც დადგენილება „საზოგადოებრივი უშიშროების ბაქოს კომიტეტის" შექმნის შესახებ.

ორთავე რეზოლუცია ასახავდა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა თანაფარდობას ბაქოში. შემთანხმებლები და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, ეშინოდათ რა ბაქოს პროლეტარიატის განწყობილებისა, ვერ ბედავდნენ, აშკარად მოეთხოვათ პეტროგრადში შექმნილი ხელისუფლების დაუყოვნებლივი დამხობა, თუმცა ისინი ამისათვის ფარულად იკრებდნენ ძალებს. ბოლშევიკები ხედავდნენ, რომ საბჭოს გადაწყვეტილება არ უპასუხებდა ბაქოს პროლეტარიატის სულისკვეთებას. ამიტომ, სავსებით მართებულად, ხელისუფლების საკითხი მათ უშუალოდ პროლეტარულ მასაში გადაიტანეს. ბაქოს მსხვილ სარეწებსა და ფაბრიკა-ქარხნებში ჩატარებულ მიტინგებზე დაგმობილ იქნა საბჭოს 27 ოქტომბრის დადგენილებანი. კასპიის ფლოტილიის მეზღვაურთა კრების რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„ჩვენ, კასპიის ფლოტილიის მეზღვაურები, ვაცხადებთ, კმარა თამაში ყბადაღებულ კონტრრევოლუციასთან, რომელიც ავანტიურისტ კერენსკის მიერაა შედგენილი. ჩვენ მოვითხოვთ მთელი ხელისუფლების დაუყოვნებლივ გადაცემას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსათვის როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე"[3].

ბერინგის სააქციო საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების რეზოლუცია მოითხოვდა: „დაუყოვნებლივ გადაეცეს მთელი ხელისუფლება საბჭოებს. მთლიანად უერთდებით პეტრო-

---

[1] „Известия Бак. Совета" № 172.

[2] იქვე.

[3] „Бакинский рабочий" № 73, 1 ნოემბერი, 1917 წ.

გრადის რევოლუციურ პროლეტარიატს და მის მოღვაწეობას და მზად ვართ პირველ დაძახილზევე დავდგეთ ბარიკადებზე კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ რევოლუციისა და თავისუფლების დასაცავად"[1].

საბჭოს 27 ოქტომბრის დადგენილების მიმართ პროტესტი გამოთქვეს ბეკენდორფის სარეწების მუშებმა, გარნიზონის ჯარისკაცებმა. განსაკუთრებით გრანდიოზული იყო მიტინგი, რომელიც 29 ოქტომბერს ქალაქში თავისუფლების მოედანზე შედგა. მიტინგს წინ უსწრებდა კასპიის ფლოტილიის მეზღვაურთა მანიფესტაცია ქალაქში. მიტინგზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მუშები, ჯარისკაცები, მეზღვაურები, მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც მოთხოვნილი იყო მთელი ძალაუფლების საბჭოსათვის გადაცემა.

ბაქოს პროლეტარიატის უმრავლესობის მხურვალე რეზოლუციებმა კიდევ უფრო განამტკიცა ბოლშევიკთა პოზიციები. მემარჯვენე ესერები ცოფს ყრიდნენ პროლეტარიატის მოთხოვნების გამო, მათ მშიერ-ტიტველ ბრბოს უწოდებდნენ და კიცხავდნენ „ბნელი ინსტიქტებისათვის", ხოლო ბოლშევიკებისა და პროლეტარული მასის ერთსულოვნებას ისინი მიიჩნევდნენ როგორც დემოკრატიის „გამოწვევას ბრძოლაში". 31 ოქტომბერს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ბოლშევიკებმა გამარჯვება მოიპოვეს. ხმის უმრავლესობით (288 მომხრე, 78 წინააღმდეგი) მიღებული რეზოლუცია, აღიარებდა რა მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის აუცილებლობას, ავალებდა აღმასრულებელ კომიტეტს ამ საკითხის შესახებ წარმოედგინა მოხსენება საბჭოს უახლოეს სხდომაზე[2].

გაფართოებულმა სხდომამ დაადგინა „საზოგადოებრივი უშიშროების ბაქოს კომიტეტის" გაუქმება.

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 2 ნოემბრის გაფართოებულ სხდომაზე (კონფერენციაზე) ბოლშევიკებმა ბაქოს პროლეტარიატის მხარდაჭერით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. აქ უკვე გარკვევით დაისვა ბაქოს საბჭოს ხელში ძალაუფლების პრაქტიკული გადასვლის საკითხი. შემთანხმებლების ბლოკმა გაფართოებულ სხდომაზე კვლავ აღიარა პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღება „რევოლუციისათვის საზიანოდ", წინ აღუდგა ბაქოში ძალაუფლების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსათვის გადაცემას. მათ გამოაქვეყ-

---

[1] „Известия Бак. Совета" № 173.

[2] „Известия Бакинского Совета" № 173, 2 ნოემბერი, 1917 წ.

ნეს შემდეგი შინაარსის განცხადება: „რამდენადაც ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა აქაც, ბაქოში, ხელისუფლების დაპყრობის განხორციელებას, მითითებულ პარტიებს, არ სურთ რა თავისთავზე აიღონ ამ დამღუპველი ნაბიჯების შედეგების პასუხისმგებლობა, თავისი წარმომადგენლები გაჰყავთ დროებით აღმასრულებელი კომიტეტიდან და მისი ორგანოებიდან და თავისი ორგანიზაციის წევრებს მიუთითებენ არ შევიდნენ ამ ორგანოების შემადგენლობაში“[1]. ამ განცხადების შემდეგ შემთანხმებლებმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებთან ერთად დასტოვეს გაფართოებული სხდომა. გაფართოებულ სხდომაზე დარჩნენ: 122 ბოლშევიკი, 109 ბოლშევიკების თანამგრძნობნი, 84 მემარცხენე ესერი, 6 მენშევიკი-ინტერნაციონალისტი, 1 დაშნაკი, 22 უპარტიო. ამ შემადგენლობით გაფართოებულმა სხდომამ თავისთავი კანონიერად აღიარა და გააგრძელა საკითხების განხილვა. სტ. შაუმიანმა თავის მოხსენებაში მოითხოვა კონტრრევოლუციური „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასკომის“ დაუყოვნებლივ გაუქმება, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ხელში აღება და ამ საქმისათვის კომისრების დანიშვნა, მილიციის ორგანიზაცია, სასურსათო საკითხის მოთავეობა და ფინანსურ და სამეურნეო დარგებში სიძნელეთა მოგვარება და სხვ.[2]

შემთანხმებლებისა და ნაციონალისტების ბლოკის საბჭოდან გასვლა უკვე ნიშნავდა ბაქოს პროლეტარიატის გამოწვევას ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის დასაწყისს. „ობორონცებმა დასტოვეს პროლეტარიატის ბანაკი და აშკარად გადაბარგდნენ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბანაკში — წერდა „ბაკინსკი რაბოჩი“. ამიერიდან არსებობს მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების ერთიანი რევოლუციური ფრონტი. ამიერიდან არსებობს ერთიანი კონტრრევოლუციური ფრონტი მემამულეებისა, ჟანდარმებისა და მათი დამცველებისა. ამიერიდან გაჰკრა შუალედი ცრუსოციალისტური ბანაკი. ჩვენ მივესალმებით რევოლუციის ყველაზე უარესი მტრების იდეური და სულიერი გავლენისაგან მასების განთავისუფლებას“[3].

შემთანხმებლებმა ახლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებთან ბლოკში დაიწყეს საბჭოს წინააღმდეგ ბრძოლა. „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მიერ

---

[1] „Известия Бак. Совета“ № 177.

[2] „Известия Бак. Совета“ № 178.

[3] „Бакинский рабочий“ № 76.

უკანონო ორგანოდ იქნა აღიარებული, კვლავ განაგრძობდა მოქმედებას. მან გამოსცა საკუთარი ორგანო[1], რომელიც ეწეოდა ცილისწამებას პეტროგრადის ხელისუფლების წინააღმდეგ, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წინააღმდეგ. გარდა ამისა, „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“ ბეჭდავდა საბჭოს წინააღმდეგ მოწოდების ფურცლებს და ავრცელებდა ქალაქში. კომიტეტის ირგვლივ თავმოყრილი შემთანხმებლები საბჭოს ნებართვის გარეშე მართავდნენ კრებებს, მიტინგებს, უწევდნენ საბოტაჟს საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

შემთანხმებლებმა იგრძნეს, რომ საბჭოდან მათი დემონსტრაციული გასვლა ნაჩქარევი აღმოჩნდა, რადგან ამ ფაქტს არ შეურყევია საბჭოს ძალა და ერთსულოვნება. შემთანხმებლებმა ესერების ინიციატივით გადასწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ საბჭოში, რათა შიგნიდან აეფეთქებინათ იგი, მიეღწიათ საბჭოს შემადგენლობის გადარჩევისათვის. 5 ნოემბერს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ესერი ტერ-ოგანოვი თავისი პარტიის სახელით აცხადებდა, რომ 2 ნოემბერს საბჭოს დატოვება პარტიის მიერ იყო პროტესტის გამოხატვა და დეპუტატების კერძო გადაწყვეტილება, პარტიას გადაწყვეტილი აქვს ისევ დაბრუნდეს საბჭოში, აუცილებელია საბჭოს შემადგენლობის გადახალისება ახალი არჩევნების საფუძველზე და ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნაო. ესერი იუზბაშევი ამავე სხდომაზე ურჩევდა ბოლშევიკებს დაემყარებინათ კონტაქტი „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტთან“.

საბჭო იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია ესერების განცხადებისათვის და დათანხმებულიყო საბჭოს შემადგენლობიდან წასული პარტიების დაბრუნებაზე. ამ პარტიების შემადგენლობაში მყოფი ბევრი მუშა დეპუტატი მართლაც გულწრფელად დაბრუნდა საბჭოში იმ რწმენით, რომ თავიდან იქნებოდა აცილებული სამოქალაქო ომი. ბოლშევიკები ასეთ ადამიანებს მიესალმებოდნენ, რადგან ისინი სამოქალაქო ომის წინააღმდეგი იყვნენ და ხელისუფლების მშვიდობიანი გზით მოპოვების ტაქტიკას ახორციელებდნენ. მაგრამ შემთანხმებლური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მესვეურები საბჭოში ჯიბეებში ქვებ ჩაწყობილი დაბრუნდნენ.

„საზოგადოებრივი უშიშროების ბაქოს კომიტეტის“ არსებობას მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიული დაწესებულებები. მათ მხარეზე იყო ბაქოს პროფკავშირების ცენტრალური საბჭო, სადაც თავმოყ-

[1] „Известия революционного комитета общественной безопасности“.

რილი იყვნენ შემთანხმებლები. ბაქოს პროლეტარული მასა კი თავის გადაწყვეტილებებში გარკვევით მიუთითებდა „საზოგადოებრივი უშიშროების ბაქოს კომიტეტის“ დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის და მთელი ხელისუფლების საბჭოსათვის გადაცემის აუცილებლობაზე. 6 ნოემბერს კასპიის ფლოტილიის მეზღვაურთა პირველ ყრილობაზე, ნობელის ამხანაგობის საწარმოთა მუშების კრებაზე, „მოტივილიხას“ და მირზოევის ამხანაგობის მუშათა კრებებზე და სხვ. მიღებული რეზოლუციები ჰგმობდნენ „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის“ ბნელ საქმიანობას და გამოთქვამდნენ რა საბჭოებისადმი ერთგულებას, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ავალებდნენ მოეხდინა კომიტეტის ლიკვიდაცია და ხელში აეღო მმართველობის სადავეები. ბაქოს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 10 ნოემბრის მოწოდებამ, — „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! მოითხოვეთ ყველგან კრებაზე, ფაბრიკა ქარხნებსა და ჯარის ნაწილებში, ორგანიზაციებში, რომ ეგრეთწოდებულმა „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტმა“ შეწყვიტოს თავისი დანაშაულებრივი არსებობაო“[1] — გამოიწვია მუშათა დიდი ნაწილის მხარდაჭერა. პროლეტარიატის მტკიცე იერიშის ტალღამ „საზოგადოებრივი უშიშროების ბაქოს კომიტეტი“ წალეკა. იგი ლიკვიდირებულ იქნა.

მაგრამ კონტრრევოლუციას ისევ ჰქონდა თავისი ორგანოები. ეს იყო ბაქოს ქალაქის სათათბირო და „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი“.

ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით იმ მუშაობაზე, რომელსაც ბაქოს ბოლშევიკები ეწეოდნენ სათათბიროს გადემოკრატულებისათვის. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მაქინაციებისა და შემთანხმებლების მერყეობის და ბურჟუაზიასთან კავშირის ვითარებაში სათათბიროს ბურჟუაზიული შემადგენლობის გადახალისება ვერ მოხერხდა. არჩევნები ოქტომბრის ბოლომდე გაჭიანურდა. არჩევნების პროცესში ბურჟუაზიის ბლოკმა სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით კვლავ შექმნა ძლიერი ფრაქცია სათათბიროში და ეს ორგანო ისევ ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველ დაწესებულებად დასტოვა. სათათბიროს კი ხელთ ჰქონდა ქალაქის მმართველობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, იგი განაგებდა ქალაქის მეურნეობას, ფინანსებს, მილიციას.

ბოლშევიკებს სათათბიროში უმცირესობა ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკების ხმა სათათბიროში ძლიერად ჰქუხდა იმიტომ,

[1] „Известия Вак. Совета“ № 182, 10 ნოემბერი, 1917 წ.

რომ ეს იყო არა პატარა ჯგუფის, არამედ ბაქოს ორგანიზებული მრავალათასიანი პროლეტარიატის საბრძოლო ხმა. ხშირ შემთხვევაში სათათბირო იძულებული იყო დაეთმო და ეკისრა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნათა გატარება. ბოლშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ სათათბირომ რეალიზაცია უყო ბესხს ქალაქის საჭიროებისათვის და დაადასტურა ქალაქთან სამრეწველო რაიონების შეერთება.

სათათბიროს კონტრრევოლუციური ბლოკი, არ სცნობდა რა საბჭოთა ხელისუფლებას, მთელ იმედებს დამფუძნებელ კრებაზე ამყარებდა. დამფუძნებელი კრების დაცვის საფარქვეშ სათათბირო იცავდა ბაქოს კონტრრევოლუციურ ბანაკს და იმუქრებოდა ბოლშევიკების კანონგარეშე გამოცხადებით. 16 დეკემბრის სათათბიროს სხდომაზე სააკიანი აშკარად ემუქრებოდა ბოლშევიკებს. „მე თქვენ გაფრთხილებთ — ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები — აი რა ამოქმედდება თქვენს წინააღმდეგო“[1].

კონტრრევოლუციის ორგანოს ბაქოში წარმოადგენდა აგრეთვე „საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი“, რომელიც მასების ზურგს უკან კონტრრევოლუციური ძალებისა და შემთანხმებლების ფარული გარიგებით მოეწყო ქალაქს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი, ისე როგორც სხვა კონტრრევოლუციური ორგანოები, უპირისპირდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს. ქალაქის სათათბიროსთან კავშირში იგი მიმართავდა საბჭოს ღონისძიებათა ჩაშლას. მან სცადა დაეკეტა ბაქოს საბჭოს ორგანოს „ღვესტიას“ სტამბა.

ბოლშევიკებმა „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასკომის“ ბუნება და მიზან-დასახულება გამოააშკარავეს. საბჭოს 13 ნოემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასკომის“ ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო მას შემდეგ, როცა კომიტეტმა ანგარიში არ გაუწია საბჭოს დადგენილებას და წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ეს კონტრრევოლუციური ორგანო კანონგარეშე იქნა გამოცხადებული.

21 ნოემბერს „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასკომის“ ლიკვიდაციის საკითხი ბოლშევიკებმა თვით საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბჭოს სხდომაზე დააყენეს. პარტიათა წარმომადგენლების ცხარე კამათის შემდეგ ბოლშევიკებმა შეიტანეს რეზოლუ-

---

[1] გაზ., „Каспий“ № 277, 19 დეკემბერი, 1917 წ.

ცია, რომელშიც კომიტეტის, როგორც უკანონო და კონტრრევოლუციური დაწესებულების დაუყოვნებლივ დაშლას მოითხოვდა[1].

რეზოლუცია ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტის“ წევრები, რომლებიც არ აპირებდნენ ნებაყოფლობით დაშლას, თავიანთი შენობიდან კომუნისტი მუშების მიერ ძალით იქნენ გამორეკილნი.

„საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტისა“ და „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასკომის“ ლიკვიდაცია ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დიდი გამარჯვება იყო. ბაქოს პროლეტარიატის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა შემთანხმებლებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების ორი ორგანოს დაშლა, რაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს როლსა და ავტორიტეტს ამტკიცებდა.

მაგრამ არსებობას ისევ განაგრძობდა ქალაქის სათათბირო, რომელსაც კონტრრევოლუციონერებმა ხელი მაგრად ჩასჭიდეს; ბურჟუაზიამ შემთანხმებლებთან ერთად ახლა წამოაყენა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება ქალაქის სათათბიროს“. ბურჟუაზია და მისი ესერულ-მენშევიკური და მუსავატურ-დაშნაკური დამქაშები ახლა იმისათვის იბრძოდნენ, რომ სათათბირო კონტრრევოლუციის მთავარ შტაბად გადაექციათ და არ დაეშვათ ბაქოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

საკითხი ისმის, რატომ არ გარეკეს ბოლშევიკებმა ბაქოს სათათბირო? ეს ნაბიჯი ბოლშევიკების აზრით ნაადრევი იყო. რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა თანაფარდობა ჯერ კიდევ არ იძლეოდა საშუალებას ასეთი მკვეთრი ზომების მისაღებად, რასაც უსათუოდ სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა. მართალია, ბაქოს პროლეტარიატის უმრავლესობა მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის მომხრე იყო, მაგრამ პროლეტარიატს არ ჰქონდა იარაღი. საბჭოს არ გააჩნდა შეიარაღებული ძალა, — არმია. ამავე დროს ბაქოს მშრომელ მასებში სრული სოლიდარობა ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა. სათათბიროს არჩევნების შედეგები მიუთითებდნენ, რომ მასების მნიშვნელოვანი ნაწილი მუსავატელებს, დაშნაკებს, ესერ-მენშევიკებს მიჰყვებოდა. მუსავატელებისა და დაშნაკების მიერ შექმნილი „ეროვნული საბჭოები“, სპეკულაციას ეწეოდნენ რა მუსლიმანი და სომეხი მშრომელების ნაციონალური გრძნობებით, ახერხებდნენ მასები ეროვნებათა მიხედვით გაეთიშათ და თავიანთი

[1] Азербайдж. филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС.

კონტრრევოლუციური პოლიტიკა ფარულად გაეტარებინათ. ასეთ ვითარებაში პირდაპირი იერიში სათათბიროზე, რომელიც არჩევითი ორგანო იყო და რომელსაც ხელში ჰყავდა შეიარაღებული მილიცია, როცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებს უკვე ჰყავდათ თავიანთი შეიარაღებული ძალები, არ სახავდა უეჭველი წარმატების პერსპექტივას. ასეთ ვითარებაში ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელმაც მშვიდობიანი გზით მოიპოვა ძალაუფლება და კონტრრევოლუციურ ორგანოებთან ბრძოლაში რიგ გამარჯვებებს მიაღწია, კვლავ განაგრძობდა ახალ-ახალი პოზიციების თანდათანობით, ფრთხილად, უსისხლოდ დაპყრობის ტაქტიკას.

მაგრამ ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას ამ მხრივ უსათუოდ გააჩნდა ნაკლოვანი მხარეები. ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით ბაქოს—სხვადასხვა ეროვნებათა ამ კალეიდესკოპის პირობებში ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო პროლეტარიატის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის ბრძოლა. ომის ვითარებაში გაფურჩქნილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს. ისინი კი საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ, ფარულ და ყველაზე საშიშ მტრებს წარმოადგენდნენ. ეს პარტიები გამალებით მუშაობდნენ, შეიარაღებულ ძალებს ქმნიდნენ, კონტრრევოლუციასთან ბლოკს აკოწიწებდნენ, ხოლო ბოლშევიკები და პროლეტარიატის რევოლუციური ორგანო — საბჭო თითქოს პასიურად იყვნენ განწყობილი მათ თვალწინ მზარდი მუსავატურ-დაშნაკური კონტრრევოლუციისადმი. ეს მეტისმეტი სიფრთხილე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებისადმი დამოკიდებულების საქმეში საშუალებას აძლევდა ამ პარტიებს ძალთა მობილიზაცია მოეხდინათ.

„ნაციონალისტური პარტიები—დაშნაკცუტუნი და მუსავატი—შენიშნავს ამხ. მიქოიანი,—ჰქონდათ რა მოქმედების თავისუფლება, აგროვებდნენ, აიარაღებდნენ, აყალიბებდნენ თავიანთ ძალებს აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ნაციონალური ხოცვა-ჟლეტის გასაჩაღებლად“[1].

მართალია, ბაქოს ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები გაზეთის ფურცლებზე, საბჭოს სხდომებზე, კრებებზე მუშათა რაიონებში ნიღაბს ხდიდნენ ამ პარტიებს, მაგრამ ეს არ გამოდგა საკმარისი. სიტყვიერ აგიტაციას კონკრეტული საქმენი აკლდა.

გარდა ამისა, ნელა მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების

---

[1] А. Микоян, Бакинская организация большевиков в 17—18 гг. „Бакинский рабочий“ № 57, 1923 წ.

შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია, ორი ბანაკის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების ვითარებაში პროლეტარულ არმიას, საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამასთან, საბჭოში დაბრუნებულ შემთანხმებლებს საშუალება ჰქონდათ აშკარად ეწარმოებინათ ბრძოლა თვით საბჭოს წინააღმდეგ. „თუმცა ძალაუფლება ბაქოს საბჭოს ხელში იყო — შენიშნავს ამხ. მიქოიანი იმავე სტატიაში, — მაგრამ მენშევიკებს და ესერებს, ისე როგორც წინათ, ჰქონდათ ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციის და ბრძოლის შესაძლებლობა“[1].

თუმცა ბაქოს სათათბირო ქალაქში ერთადერთი ხელისუფლების უფლებას იჩემებდა, იგი მოკლებული იყო უნარს, ქალაქის ცხოვრება ნორმალურ პირობებში წარემართა. როდესაც სათათბიროში ირჩეოდა სამრეწველო რაიონების ქალაქთან შემოერთების საკითხი, და სათათბირო ფორმალურად ვალდებული იყო დამორჩილებოდა ოზაკომში უკვე მიღწეულ გადაწყვეტილებას ქალაქისათვის სამრეწველო რაიონების შეერთების შესახებ, მუსავატელებმა აშკარად და თავხედურად განაცხადეს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებიან სამრეწველო რაიონების ქალაქთან შეერთებას, რომ მათთვის სავალდებულო არაა დადგენილება და მას არ შეასრულებენ. „ჩვენ ხელთა გვაქვს იმდენი ძალა, რომ ეს არ დავუშვათო“ — გამომწვევი ტონით გაყვიროდა ხმოსანი თობჩიბაშევი. როცა სათათბირო იძულებული იყო მიეღო ბოლშევიკების მიერ შეტანილი წინადადება სამრეწველო რაიონების ქალაქთან შეერთების შესახებ, მუსავატელებმა დემონსტრატულად დასტოვეს სათათბირო და თავიანთ ორგანოში ბოლშევიკების წინააღმდეგ მოუწოდეს მუსლიმან მოსახლეობას.

მუსავატელები იმუქრებოდნენ. ქალაქში მიმდინარეობდა ფარული გაცხოველებული სამზადისი საბჭოსა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის. ქალაქის სათათბირო იბრძოდა არა იმისათვის, რომ დაეცვა წესრიგი და აელაგმა ბნელი ძალები, არამედ აქეზებდა მას ანარქიისაკენ. ასეთ ვითარებაში მოვლენებისადმი დამშვიდებული ცქერა შეუძლებელი იყო და ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, ქალაქში წესრიგის აღსადგენად და ბაქოს საბჭოს ძალაუფლე-

---

[1] А. Микоян, Бакинская организация большевиков в 17—18 гг. „Бакинский рабочий“ № 57. 14 м.—1923 წ.

ბის განსამტკიცებლად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბ-ჭოსთან შეექმნათ რევოლუციური კომიტეტი.

12 დეკემბერს კომიტეტი ჩამოყალიბდა ბაქოს საბჭოს აღმას-რულებელ კომიტეტთან.

14 დეკემბერს რევოლუციური კომიტეტის სავალდებულო დადგენილება[1] მიზნად ისახავდა წესრიგის აღდგენას და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფას ქალაქში. კომიტეტი წესიერების დამრღვევ პირებს სათანადო ღონისძიებების მიღებით ემუქრებოდა.

რევოლუციური კომიტეტის შექმნა ბაქოს ბოლშევიკების მიერ კონტრრევოლუციისათვის კიდევ ერთი ძლიერი პოზიციის ხელიდან გამოგლეჯას მოასწავებდა. შემთხვევითი როდი იყო ის შეშფოთება და ხმაური, რომელიც სათათბიროში ასტეხეს მუსავატელებმა, კადეტებმა, მენშევიკ-ესერებმა საბჭოსთან რევოლუციური კომი-ტეტის შექმნის გამო. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები კადეტებთან ერთად მოითხოვდნენ ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ სათათ-ბიროს აღიარებას, მენშევიკ-ესერებმა კი წამოაყენეს შემთანხმებ-ლური რეზოლუცია — ხელისუფლების დროებითი ორგანოს შე-ქმნის შესახებ, სადაც თანასწორი რაოდენობით შეყვანილი იქნებო-და წარმომადგენლები სათათბიროდან, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან, გლეხთა კავშირისა და ნაციონალური საბჭოებისაგან. ბოლშევიკებმა გადაჭრით მოითხოვეს ეცნოთ ერ-თადერთ ხელისუფლებად მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუ-ტატების საბჭო. ხმის უმრავლესობა ვერც ერთმა რეზოლუციამ ვერ მიიღო და ხელისუფლების საკითხი სათათბიროში ისევ გადაუწყვე-ტელი და ცხარე მსჯელობის საგნად დარჩა.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში ჩატარდა ბაქოს მუშათა და ჯა-რისკაცთა დეპუტატების საბჭოს არჩევნები. მენშევიკ-ესერებმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა წინასაარჩევნო დღე-ებში უეცრად იცვალეს ელფერი და მუშათა კლასის განწყობილე-ბის შესაბამისად თავი საბჭოთა ხელისუფლების მომხრედ გამოაცხა-დეს. ამ ფანდით მათ კვლავ მოახერხეს ჯერ კიდევ მერყეევი და ამ პარტიათა ნამდვილ არსში გაურკვეველი მუშების გადაბირება.

საბჭოს ახალ შემადგენლობაში შემთანხმებლებმა, მუსავატებმა და დაშნაკებმა კვლავ ძლიერი ფრაქცია შექმნეს. მაგრამ საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი, მიუხედავად შემთანხმებლური ბლოკის საბოტაჟისა, მაინც ახერხებდა ქალაქის ხელისუფლების საკომანდო პუნქტების ნელ, თანდათანობით დაპყრობას.

---

[1] ЦГИА Азерб. ССР, ф. 19/с, оп. 5, д. 185, л. 83.

მენშევიკ-ესერული და მუსავატ-დაშნაკური საბოტაჟის ვითარებაში ახალი საბჭო ვერ ახერხებდა დაუყოვნებლივ გადაეჭრა ბაქოს პროლეტარიატის მთავარი საბრძოლო ეკონომიური ამოცანა. ნავთის მრეწველები თავს ისევ არხეინად გრძნობდნენ და კოლექტიური ხელშეკრულების მუხლებს არ ასრულებდნენ. ნავთის სარეწებსა და ქარხნებში მდგომარეობა თითქმის უცვლელი რჩებოდა. პროდუქტების ნაკლებობისა და საშინელი სიძვირის პირობებში კაპიტალისტები კიდევ მეტ დაწოლას მიმართავდნენ.

ბოლშევიკები ხედავდნენ, რომ საჭირო იყო მრეწველობის ნაციონალიზაცია. იძულების გარეშე მრეწველები არ წავიდოდნენ არავითარ დათმობაზე. პარტიულ ორგანიზაციებში, საგაფიცვო კომიტეტში არა ერთხელ იხილებოდა კოლექტიური ხელშეკრულების და ამასთან ერთად ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხები. მაგრამ იმ პირობებში კომუნისტების უმრავლესობის თვალსაზრისით შეუძლებელი იყო ნაციონალიზაციის განხორციელება, რადგან ქალაქი იდგა მწვავე ფინანსიური და სასურსათო კრიზისის წინაშე, არ იყო რეგულარული კავშირი საბჭოთა რუსეთთან და რაც მთავარია, საბჭო არ წარმოადგენდა ერთადერთ ხელისუფლებას. გარდა ამისა, საბჭოს ჯერ კიდევ არ გააჩნდა შეიარაღებული ძალა თავისი გადაწყვეტილებების დასაცავად.

11 დეკემბერს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე იხილებოდა კოლხელშეკრულების და ბაქოს ნავთის მრეწველებისადმი დამოკიდებულების საკითხი. საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც კოლექტიურ ხელშეკრულებას, საგაფიცვო კომიტეტის რედაქციით აცხადებდა სავალდებულო დადგენილებად, ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს აკისრებდა ცენტრალური საკონტროლო კომიტეტის ფუნქციას, ხოლო რაიონულ საქარხნო კომიტეტებს—რაიონული საკონტროლო კომიტეტების ფუნქციას. საბჭო აღიარებდა, რომ აღმასრულებელ კომიტეტს უნდა მიეღწია კოლექტიური ხელშეკრულების განხორციელებისათვის, უკიდურეს შემთხვევაში რეპრესიული ღონისძიებების გამოყენებითაც კი. ამავე დროს, უნდა დასმულიყო საკითხი სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ.

ამგვარად, საბჭომ ამ საკითხში გადადგა გაბედული ნაბიჯი წინ იმით, რომ წარმოებაზე მუშათა მტკიცე კონტროლი დააწესა და დღის წესრიგში დააყენა სამზადისი მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად საბჭოს მუშაობაში იდგა სურსათით ქალაქის მომარაგების საკითხი. ამ მხრივ სათათბირო

არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ ეწეოდა. სათათბიროში მოკალათებულ ბურჟუაზიას აწყობდა სასურსათო კრიზისის გამწვავება, რაც წაახრჩობდა საბჭოების ხელისუფლებას. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ხედავდა რა, რომ კრიზისი იღებდა კატასტროფულ სახეს, გადასწყვიტა სასურსათო ფუნქციები სათათბიროსათვის ხელიდან გამოეგლიჯა. აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა სასურსათო საკითხის მოსაგვარებლად სპეციალური კომისია, რომელმაც თავის ხელში მოუყარა თავი სურსათის მომარაგება-განაწილების ძაფებს, დანიშნა სპეციალური კომისრები რკინიგზებზე მატარებლების მოძრაობის რეგულირებისათვის, პურის რაიონებში დააწესა შემსყიდველი პუნქტები და სხვ. საბჭოს ეს ღონისძიებანი ბურჟუაზიის საბოტაჟის მიუხედავად, მუშათა მასების ენერგიული მხარდაჭერით ხორციელდებოდა. მუშები, იწონებდნენ რა საბჭოს ინიციატივას, აქტიურად ეხმარებოდნენ მას სურსათის განაწილების საქმეში.

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ იმთავითვე მიაქცია ყურადღება პროლეტარიატის შეიარაღებული ძალების შექმნას. ბოლშევიკები შესანიშნავად გრძნობდნენ, რომ ხელისუფლების მშვიდობიანი დაპყრობის ტაქტიკა დროებითი იყო, რომ ბურჟუაზია და მისი მოკავშირე შემთანხმებლები პოზიციებს არ დასთმობდნენ და იარაღის დრო დადგებოდა. ამავე დროს, კონტრრევოლუცია საბჭოს თვალწინ ეწეოდა ძალების მობილიზაციას. ეროვნული საბჭოები ქმნიდნენ ეროვნულ პოლკებს, მუსავატური ბანდები უკვე პარპაშებდნენ აზერბაიჯანის სოფლებში და ამზადებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ციტადელზე შეტევას. სათათბიროს განკარგულებაში იყო ბურჟუაზიული მილიცია. მართალია, საბჭომ მიაღწია მილიციის უფროსის დანიშვნის უფლებას, მაგრამ მილიცია თავისი არაპროლეტარული შემადგენლობით საბჭოების დასაცავად სრულებითაც არ გამოდგებოდა.

წითელი გვარდიის ფორმირება დეკემბრიდან დაიწყო. პარტიის საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა ძველ ბოლშევიკთა კრება, სადაც წითელი გვარდიის შექმნა-ორგანიზაციის საკითხები წყდებოდა. ს. შაუმიანის მოწოდებას წითელი გვარდიის შექმნის შესახებ მუშები მხურვალედ გამოეხმაურნენ. ისინი მოხალისეებად ეწერებოდნენ წითელ გვარდიაში. შეიქმნა წითელი გვარდიის ცენტრალური შტაბი ძველი ბოლშევიკის კვიტჩენკოს ხელმძღვანელობით. ბაქოს კომიტეტმა შტაბში სამუშაოდ მიავლინა თავისი წარმომადგენელი ვაცეკი. შეიქმნა რაიონული შტაბები. მუშათა სამრეწველო უბნებში ჩამოყალიბდნენ წითელგვარდიული რაზმები. 1918 წლის თებერვ-

ლისათვის გვარდია დაახლოებით 3.500 კაცს აერთიანებდა[1]. გვარდიელები იცავდნენ საბჭოს და სხვა საბჭოთა დაწესებულებებს, ეწეოდნენ პატრულირებას ქალაქში. პირველ თვეებში გვარდია მცირერიცხოვანი და სუსტი იყო. მისი ზრდა ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. კონტრრევოლუციასთან შეჯახებაში მას არ შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა. გვარდიის შემადგენლობის ზრდა სწრაფად დაიწყო 1918 წლის დასაწყისიდან. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა კავკასიის არმიის სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც თბილისიდან ბაქოში გადავიდა.

ვაჯამებთ რა ზემოთქმულს, ჩვენს თვალწინ წარმოსდგება ასეთი სურათი:

ბაქო პირველი ქალაქი იყო ამიერკავკასიაში, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე იცნო საბჭოთა ხელისუფლება. მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭომ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, კონტრრევოლუციის ბანაკის გააფთრებული წინააღმდეგობის ვითარებაში მოახერხა თავისი პოზიციების გაფართოება-განმტკიცება და ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების დიად ღონისძიებათა განხორციელებას. კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ანალიზის შედეგად, ბოლშევიკები მართებულად ახორციელებდნენ ხელისუფლების უსისხლოდ დაპყრობის ტაქტიკას, ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ რა იმას, რომ საბოლოოდ შეჯახება რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ბანაკებს შორის გარდუვალი იყო. ამ შეჯახებისათვის ემზადებოდა ორივე მხარე. ბოლშევიკების პრაქტიკული მოღვაწეობა მშრომელი მასების ინტერესების განუხრელი დაცვის საქმეში წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქმედითი აგიტაციის ყველაზე საუკეთესო ფორმას. ბოლშევიკები ყოველ ნაბიჯზე ააშკარავებდნენ ბურჟუაზიის ბნელ ზრახვებს, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების — მუსავატელების, დაშნაკების ვერაგულ პოლიტიკას, მენშევიკურ-ესერული ბლოკის ფარულ ღალატს და ჰქმნიდნენ ბაქოს პროლეტარიატის სახით დამკვრელ ძალას კონტრრევოლუციის სალიკვიდაციოდ.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას ერევანში, ალექსანდროპოლში და სომხეთის სხვა სამრეწველო

---

[1] И. А. Гусейнов, Большевики—организаторы победы социалистической революции в Азербайджане. 1946 г., Москва, (სადოქტორო დისერტაცია).

რაიონებში მუშები და ჯარისკაცები მხურვალე მხარდაჭერით შეხვდნენ. ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში, (10 ნოემბერს) ერევნის გარნიზონის ნაწილებმა მოწინავე მუშებთან ერთად ქალაქში მოაწყეს დემონსტრაცია საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით. 23 ნოემბერს ალექსანდროპოლის გარნიზონისა და მშრომელთა ხალხმრავალ მიტინგზე მოთხოვნილ იქნა ქალაქში მთელი ძალაუფლების მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისათვის გადაცემა[1].

ჯალალოღლის (სტეპანავანის) მშრომელთა მიტინგმა 15 ნოემბერს ერთსულოვნად აღიარა პეტროგრადის მუშური სახელმწიფოსადმი მხარდაჭერა. რეზოლუციაში მოთხოვნილი იყო ძალაუფლების საბჭოებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემა, შემთანხმებლური პარტიებისათვის ზურგის შექცევა, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. მიტინგი პეტროგრადის მუშებსა და ჯარისკაცებს აქტიურ მხარდაჭერას აღუთქვამდა[2].

ახპატის ბოლშევიკური ორგანიზაციის ინიციატივით მოწვეულმა მუშათა მიტინგმა 1918 წლ. 9 იანვარს მიმდინარე მომენტზე მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად აღიარებდა პეტროგრადის სახალხო კომისართა საბჭოს და, ჰგმობდა რა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებს, მოითხოვდა აქტიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის[3]. საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის რეზოლუცია მიღებულ იქნა სარიყამიშის გარნიზონის მიტინგზე. სარიყამიშის გარნიზონის ჯარისკაცები არ დაკმაყოფილდნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების სიტყვიერი განცხადებით. 1918 წლის იანვრის დასაწყისში აქ ჩამოყალიბდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ქალაქში თავის ხელში აიღო ძალაუფლება და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ ყველა დაწესებულებაში დანიშნა თავისი კომისრები. „მხურვალედ მივესალმებით სახალხო კომისართა საბჭოს და თავისთავს ვაცხადებთ საბჭოთა სოციალისტურ არმიად, რომელიც მზად არის პირველი დაძახებისთანავე აღსდგეს რუსეთის დიდი რევოლუციის დასაცავად". — ნათქვამი იყო გარნი-

---

[1] Г. Гарибджанян, Великая Октябрьская революция и освобождение армянского народа. Известия акад. наук Армянской ССР, 1954, Февраль, № 2, გვ. 17.

[2] „Кавказский рабочий" № 102, 1918 г.

[3] А. Элчибекян, Установление Советской власти в Армении, Ереван, 1951 г., გვ. 28.

ზონის ჯარისკაცთა გადაწყვეტილებაში. სარიყამიშის ჯარისკაცებსა და მოსახლეობას შორის რევოლუციურ მუშაობას უნარიანად წარმართავდა ბოლშევიკი ს. ალავერდიანი.

ეს მიტინგები და რეზოლუციები ძირითადად გამოხატავდა სომხეთში განლაგებული სამხედრო ნაწილებისა და მუშათა მოწინავე ნაწილის განწყობილებას, რომელთა შორის შედარებით მძლავრი იყო ბოლშევიკური გავლენა. სომხეთის მშრომელთა დიდი ნაწილი კი ჯერ ისევ რჩებოდა დაშნაკური და მენშევიკურ-ესერული ილუზიების ტყვეობაში. სომხეთის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული შემადგენლობა წარმოადგენდა დამაბრკოლებელ მიზეზს ოქტომბრის რევოლუციის მხარეზე მისი ერთსულოვანი შემობრუნებისათვის. ეს იყო არა მარტო სომხეთის, არამედ მთელი ამიერკავკასიის (ბაქოს გამოკლებით) დამახასიათებელი მოვლენა.

სოციალისტური რევოლუციის დაუძინებელ მტრებს — დაშნაკებს სომხეთის წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილში ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა. დაშნაკები ურცხვად აღიარებდნენ თავიანთ თავს სომეხი ერის მეთაურად, პირდებოდნენ მას ეროვნულ ჩაგვრის ლიკვიდაციას და „დიდი სომხეთის“ საკითხის მოგვარებას, მომავალ სომხეთს კლასთა ჰარმონიის ქვეყნად წარმოადგენდნენ და ცარიზმის დროს სულშეხუთული, თურქეთიდან ლტოლვილ სომხების შეგნებაში ნერგავდნენ რა სიძულვილს ბოლშევიკებისა და პეტროგრადში შობილი საბჭოთა სახელმწიფოსადმი, ამიერკავკასიის სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებთან ერთად ამზადებდნენ ნიადაგს „დამოუკიდებელ“ ამიერკავკასიასა და სომხეთში მათი ბატონობისათვის. სომხური ბურჟუაზია უხვად აფინანსებდა დაშნაკებს, ბურჟუაზიული გაზეთები გაყვიროდნენ, რომ რუსეთში ანარქიაა და ახლა დადგა დრო ეროვნული თვითმყოფობის საკითხის მოსაგვარებლად. დაშნაკებს ხელს უწყობდნენ მენშევიკები და ესერები. ბოლშევიკური ორგანიზაციები სომხეთში შედარებით სუსტი იყო და საშუალებას მოკლებული ჩაეხშო ოქტომბრის რევოლუციისადმი მტრული პროპაგანდა.

ერევნის, ალექსანდროპოლის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში შემთანხმებლურ-დაშნაკურ ბლოკს დეპუტატების უმრავლესობა ჰყავდათ. ამიტომ საბჭოს სხდომებზე, ბოლშევიკების აქტიური პროტესტის მიუხედავად, მიმდინარე მომენტზე მიღებული რეზოლუციები ჰგმობდა ბოლშევიკების გამოსვლას პეტროგრადში, მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას და მომავალი ხელისუფლების ორგანიზაციას დამფუძნებელ კრებას ანდობდა.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელები. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით აქ გაჩაღდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აქტიური ბრძოლა.

4 ნოემბერს ვლადიკავკაზის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე პეტროგრადში ოქტომბრის დღეებისა და საბჭოების II ყრილობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოების II ყრილობის დელეგატი ს. მ. კიროვი. კიროვის გარშემო შემოიკრიბა საბჭოს ბოლშევიკური ფრაქცია, რომლის გავლენა ოქტომბერ-ნოემბერში საბჭოში საგრძნობლად ძლიერი იყო, და გაჩაღდა შეურიგებელი ბრძოლა ობორონცული პარტიების წინააღმდეგ. ნოემბერშივე ვლადიკავკაზელმა ბოლშევიკებმა მენშევიკებზე თვალსაჩინო გამარჯვებას მიაღწიეს. საბჭოს ბოლშევიკური ფრაქცია ეყრდნობოდა ვლადიკავკაზის ჯარისკაცული მასისა და მოწინავე მუშათა განწყობილებას, რომელიც მოითხოვდა მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემას.

მსხვილ რევოლუციურ ცენტრს ამ დროისათვის წარმოადგენდა აგრეთვე გროზნი. ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცები ბოლშევიკებს უჭერდნენ მხარს. ისე როგორც ვლადიკავკაზში, გროზნშიც ბოლშევიკებმა საბჭოში უმრავლესობა მოიპოვეს.

30 დეკემბერს ვლადიკავკაზის საბჭომ გამოიტანა დადგენილება, იცნონ საბჭოთა ხელისუფლება და ცხოვრებაში გაატარონ სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეორე დღესვე ვლადიკავკაზში ამოქმედდა კონტრრევოლუციის ბანაკი, რომლის ირგვლივ თავი მოიყარეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლმა ბნელმა ძალებმა. ადგილობრივ შეკოწიწებული კონტრრევოლუციური „მთავრობის“ ბრძანებით საბჭოს თავს დაესხა ოფიცერთა ბანდა, დაატუსაღა პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში ედგა ძველი ბოლშევიკი ნ. ბუაჩიძე. განადგურებულ იქნა ბოლშევიკური პარტიული კომიტეტი. საბჭოს მიმართ ასეთი უხეში ძალადობა განმეორდა გროზნში. ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციამ წამოიწყო სამოქალაქო ომი. კონტრრევოლუციის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მშრომელები გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ კარაულოვისა და მეფის გენერლების მიერ შეკოწიწებულ სხვა ბანდებს.

ოქტომბრის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცხოვრებაში. გარნიზონის ჯარისკაცებმა და მოწინავე მუშებმა საბჭოთა ხელის-

უფლების ცნობა მოითხოვეს. დეკემბერში საბჭოს ხელახალი არჩევნების დროს საბჭოში ბოლშევიკებმა ძლიერი ფრაქცია შექმნეს. საბჭოს პრეზიდიუმი ბოლშევიკური შემადგენლობის იყო. გარდა ამისა, რკპ (ბ) ბათუმის კომიტეტის წინადადებით შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის, გარნიზონისა და სამხედრო-საზღვაო კომიტეტების წარმომადგენლები. კომიტეტის ინიციატივით დაიწყო მოწინავე მუშებისა და ჯარისკაცებისაგან შეიარაღებული ძალების — წითელი გვარდიის ფორმირება.

ბოლშევიკებს დიდი გავლენა ჰქონდათ ტრაპიზონის გარნიზონის ჯარისკაცთა შორის. აქ შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დირექტივებით მოქმედებდა. გამოცემულ იქნა გაზეთი „ტრაპეზუნდსკაია პრავდა“, რომელიც საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ მხურვალე აგიტაციას ეწეოდა. ბათუმის კომიტეტი რუსეთ-თურქეთის ფრონტის აჭარის უბანზე რევოლუციურ მუშაობის ორგანიზატორი იყო.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური ბრძოლა გაჩაღდა აფხაზეთში. აფხაზეთის თავად-მემამულეებმა, კულაკებმა, ბურჟუაზიამ თავისი მტრული დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა მთავრობისადმი და ცდა მთელი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ნათლად გამოამჟღავნეს აფხაზეთის გლეხთა 1-ლ ყრილობაზე, რომელიც 1917 წ. 7 ნოემბერს გაიხსნა.

ყრილობა სრულებითაც არ გამოხატავდა აფხაზეთის მშრომელი გლეხობის განწყობილებას. ბურჟუაზიულმა პარტიებმა შემთანხმებლებთან ერთად საკმაო მუშაობა ჩაატარეს იმისათვის, რომ ყრილობის დელეგატებად თავადები, აზნაურები, კულაკები, ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები გაეყვანათ.

ყრილობას ესწრებოდა ბოლშევიკი დეპუტატების პატარა ჯგუფი. ბოლშევიკებმა დაჟინებით მოითხოვეს მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემა. მაგრამ მენშევიკებმა ა. ჩხენკელის, ვ. ჯუღელის და სხვ. მეთაურობით სასტიკად გაილაშქრეს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მენშევიკების მხარდაჭერით ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურად განწყობილმა ინტელიგენციამ შეიტანა აფხაზეთის „სახალხო საბჭოს“ შექმნის რეზოლუცია[1].

ბურჟუაზიული ინტელიგენცია ყრილობაზე აფხაზეთის დამო-

[1] Г. А. Дзизария, Абхазия в 1917—1918 годах, Сухуми, 1945 г. (დისერტაცია) გვ. 60.

უკიდებლობის მოდური ლოზუნგით გამოვიდა. ეს „დამოუკიდებლობა“ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის ტრიუმფალური სვლის ვითარებაში იყო ცდა რევოლუციური რუსეთისაგან უმტკივნეულოდ გამიჯვნისა და ადგილობრივი შეძლებული კლასების ბატონობის უზრუნველყოფისათვის. ყრილობამ მიიღო აფხაზეთის „სახალხო საბჭოს“ შექმნის გადაწყვეტილება. აგრეთვე „დეკლარაცია“ და „აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუცია“, რომელიც კონტრრევოლუციონერთა მიერ იყო შედგენილი და, გვერდს უხვევდა რა მშრომელთა სასიცოცხლო საკითხების გადაწრას, აფხაზეთში ნახევრად ფეოდალური ურთიერთობის კონსერვაციას გულისხმობდა.

მაგრამ აფხაზეთის მშრომელ მოსახლეობაში ამ საბჭოს არავითარი მხარდაჭერა და ავტორიტეტი არ აღმოაჩნდა. სუხუმის მუშათა და ჯარისკაცთა მასები დაირაზმნენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო. სუხუმის საქალაქო საბჭოში გაიზარდა ბოლშევიკების გავლენა და 1918 წლის დამდეგს საბჭოს თავმჯდომარედ ბოლშევიკი იქნა არჩეული. აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ მუშაობას ეწეოდნენ ძველი ბოლშევიკები ათარბეგოვი და კ. მელაძე, რომელთაც მუშებსა და ჯარისკაცთა შორის მაღალი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდათ მოხვეჭილი. ბოლშევიკები აგრძელებდნენ ძალებს ხელისუფლების ხელში აღებისათვის.

ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია იყო გუდაუთში, რომელიც აფხაზ გლეხებში ეწეოდა დაუღალავ პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

რიცხობრივად მცირე იყო ბოლშევიკების ფრაქცია ქუთაისის, ელიზავეტოპოლის მუშათა დეპუტატების საბჭოებში. ამიტომ აქ შემთანხმებლებმა ადვილად მოახერხეს მიეღოთ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული რეზოლუციები[1]. ქუთაისის წვრილბურჟუაზიული მასა, მცირე გამონაკლისს გარდა, შემთანხმებლებისადმი გულდანდობით იყო შეპყრობილი. აზერბაიჯანელი ხან-ბეგების და მუსავატური პარტიის ციტადელი ელიზავეტოპოლი ხდებოდა ხანურ-ბეგური კონტრრევოლუციის ბუდედ, სადაც თავს იყრიდნენ ოქტომბრის რევოლუციის დაუძინებელი მტრები და ამზადებდნენ ბაქოს საბჭოებზე შეტევას.

ვაჯამებთ რა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის მშრომელთა არჩევით ორგანოებში — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში შექმნილ ვითარებას,

[1] ЦГАОР СССР, Ф. 6978, оп. I, д. 398, стр. 15—16.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაქოს გარდა, რომელიც ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელად და გზის მანათობელ შუქურად იქცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საბჭოების შემადგენლობაში ამიერკავკასიის მთელ რიგ მნიშვნელოვან ცენტრებში. საბჭოებში გაიზარდა ბოლშევიკური ფრაქცია რიცხობრივად, გაიზარდა მათი გავლენა და ძალა, ხოლო ბევრგან ბოლშევიკები წარმმართველ ფრაქციად გახდნენ. ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაუღალავ პროპაგანდას ეწეოდნენ, უნარიანად იყენებდნენ ყველა საშუალებას ბურჟუაზიული ორგანოებისათვის ხელისუფლების სადავეების ხელიდან გამოგლეჯისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ თავს იკავებდნენ კონტრრევოლუციის ბანაკთან გადამწყვეტი შეიარაღებული შეჯახებისაგან, რადგან ეს შეჯახება კლასობრივ ძალთა თანაფარდობაში ცვლილებას და შეიარაღებული ძალების წინასწარ მომზადებას საჭიროებდა. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლის ვითარებაში სამოქალაქო ომის ხანძარის დანთება უფრო მეტად ბურჟუაზიას სწყუროდა.

* * *

ძალაუფლების მშვიდობიანი დაპყრობის პირობებში ამიერკავკასიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუშათა და ჯარისკაცთა სამხარეო ორგანოების პოზიციას. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ეს ორგანოები მთლიანად შემთანხმებლური პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდნენ და თუ ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში ბოლშევიკების გამოსვლის „მშვიდობიანი“ ლიკვიდაციის რეზოლუციებს ამოფარებულნი, ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს ადგილობრივი ორგანოების რევოლუციური გზით მსვლელობას, მალე აშკარად გამოვიდნენ სახალხო კომისართა საბჭოს წინააღმდეგ და ანტისაბჭოური ძალების კონსოლიდაცია დაიწყეს. მაგრამ სამხარეო ორგანოების ამ ძველ შემადგენლობას მალე რწმუნება უნდა ჩაებარებინა და ბევრი იყო დამოკიდებული მასზე, თუ მუშათა და დეპუტატების საბჭოებისა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობები როგორ პოზიციებს დაიკავებდნენ.

მენშევიკურ-ესერულმა სამხარეო საბჭომ კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს ყრილობა დანიშნა 17 დეკემბრისათვის და დაწესა 500 ამომრჩეველზე 1 დელეგატის წარმომადგენლობის წესი. ასეთი წესი აგებული იყო იმის ვარაუდზე, რომ თბილისიდან შორს დაცილებული მუშათა დეპუტატების საბჭოები შექმნილ ვითარებაში ვერ მოახერხებდნენ დელეგატების სრული შემადგენლობის გაგზავნას ყრილობაზე. მენშევიკებს ყველაზე მეტად ბაქოსა

და ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოების წარმომადგენლობა აშინებდათ. ფინანსური კრიზისის, ტრანსპორტის მოშლილობის, ადგილებზე დაძაბული ვითარების პირობებში, მაგალითად, არც ბაქოს, არც ჩრდილოეთ კავკასიას არ შეეძლო გაეგზავნა თბილისში 220 დელეგატი, რადგან ეს დაკავშირებული იყო კოლოსალურ თანხებთან, რაც საბჭოებს არ გააჩნდათ.

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, სადაც ყრილობაზე ბაქოს წარმომადგენლობის საკითხი ირჩეოდა, ფიოლეტოვი, ამხელდა რა სამხარეო ცენტრის ფანდს, მიუთითებდა რომ „წარმომადგენლობის ასეთი სისტემა გამომუშავებულია იმ მიზნით, რომ კავკასიის პროლეტარიატის შეხედულება დაამახინჯონ. ბაქოს, გროზნის, პეტროვსკის და სხვ. პროლეტარებს არ შეუძლიათ გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები სრულად, თბილისის პროლეტარიატი კი, იმიტომ, რომ იგი ადგილზეა, სრულად იქნება წარმოდგენილი. ჩვენი ხმა საბჭოზე სუსტი იქნება, რადგან ჩვენ საშუალება არ გვაქვს ავიტანოთ 150 — 100 კაცის გაგზავნის ხარჯებიო“.

სამხარეო ცენტრის წარმომადგენელმა ამ სხდომაზე მოითხოვა მანდატების ნაწილი თბილისელი მუშებისათვის გადაეცათ. ეს აწყობდა სამხარეო საბჭოს, რადგან თბილისში შემთანხმებლური გავლენა უფრო ძლიერი იყო. საბჭომ ეს წინადადება უარყო და გადაწყვეტილება მიიღო გაეგზავნა 1 დელეგატი 2000 კაცზე იმ ანგარიშით, რომ თვითეული დელეგატი ბაქოდან ისარგებლებდა 4 ხმის უფლებით.

ბაქოს საბჭომ თავის დელეგატებს მისცა ნაკაზი ემხილებინათ სამხარეო ცენტრისა და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის პოლიტიკა, კალედინ-კარულოვთან ფარული კავშირი და ამ ბრალდების დადასტურების შემთხვევაში სამხარეო ცენტრის შემადგენლობა პასუხისგებაში მიეცათ, მოეთხოვათ აგრეთვე სამხარეო ცენტრის ახალი შემადგენლობისათვის გადამჭრელი ბრძოლა კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ[1].

დელეგატების საჭირო რაოდენობა ვერ გაგზავნეს ვერც ჩრდილოეთ კავკასიამ, ვერც ეკატერინოდარის და სხვა ბოლშევიკურმა და მემარცხენე ესერულმა საბჭოებმა. ჩრდილოეთ კავკასიიდან 60 დელეგატის ნაცვლად წარმოდგენილი იყო ორი, ეკატერინოდარიდან 40-ის ნაცვლად — 5, კადიშევის ქარხნიდან — 15-ის ნაცვლად 1 და ა. შ. ამრიგად, ყრილობაზე 15-მდე ბოლშევიკური და მემარცხენე-

[1] „Известия“ № 212, 1917 წ.

ესერული საბჭო, რომელიც 198.300 ამომრჩეველს განასახიერებდა, 397 დელეგატის ნაცვლად წარმოდგენილი იყო 91 დელეგატით, მაშინ როცა თბილისის და ქუთაისის მუშათა დეპუტატების საბჭოები წარმოდგენილი იყვნენ 200 დელეგატით, რომელთა შორის უმრავლესობა მენშევიკურ-ესერული განწყობილების მატარებლები იყვნენ.

ყრილობა გაიხსნა თბილისში 17 დეკემბერს. ბაქოს და ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატებმა სამართლიანად მოითხოვეს მიეცათ მათთვის იმდენი ხმა, რამდენი ამომრჩევლის ნება-სურვილსაც ისინი განასახიერებდნენ. მაგრამ საბჭოთა ცენტრი ამის წინააღმდეგი წავიდა. ცხადი გახდა, რომ შემთანხმებლებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა კავკასიის მუშათა კლასის ბედ-იღბალის გადაწყვეტა მიენდოთ მენშევიკურ-ესერული ყრილობისათვის, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრებდა და სანქციას მისცემდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთა პოლიტიკას.

ბოლშევიკური საბჭოების დელეგატებს არ აწყობდათ ასეთ ყრილობაზე მონაწილეობა. ამავე დროს მათ, როგორც ს. შაუმიანი მიუთითებდა, სრული უფლება ჰქონდათ „თავისთავი გამოეცხადებინათ ყრილობად და გამოეტანათ თავიანთი გადაწყვეტილებანი იმ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც გადადებას არ ითმენდნენ“[1]. მათ ჰქონდათ ასეთი უფლება, რადგან ამიერკავკასიის მუშათა კლასის უმრავლესობის ნება-სურვილს განასახიერებდნენ. დელეგატები ასეც მოიქცნენ. ისინი შეიკრიბნენ ცალკე და გამოიტანეს გადაწყვეტილებანი, რომლებშიც მიესალმებოდნენ სახალხო კომისართა საბჭოს და აღუთქვამდნენ საბჭოთა მთავრობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას, ჰგმობდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთა პოლიტიკას[2].

რაც შეეხება საბჭოების სამხარეო ყრილობას, მის შემთანხმებელ მესვეურებს აღარ გასჭირვებიათ დაეკავებინათ საბჭოთა მთავრობისადმი მტრული პოზიცია, საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა რუსეთში მოენათლათ როგორც „ანარქია“ და „ანარქიის“ ვითარებაში კანონიერად ეცნოთ ამიერკავკასიის გამოყოფა, კომისარიატის შედგენა და მისი კონტრრევოლუციური ღონისძიებანი.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა ამიერკავკასიის არმიის

---

[1] С. Шаумян, Статьи и речи, გვ. 09. 1929 წ.

[2] იქვე.

II ყრილობა, რომელიც ჯარისკაცული მასების სულისკვეთებას გამოხატავდა.

ჩვენ ზემოთ, თბილისის, ბაქოს, ერევნის, ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ რომ ვლაპარაკობდით, გაკვრით უკვე მივუთითეთ ჯარისკაცთა მასების განწყობილებაზე. ეს განწყობილება ბოლშევიკური იყო. კავკასიის არმიის ჯარისკაცები მიესალმებოდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, საბჭოების მეორე ყრილობის დეკრეტებს ზავის, მიწის შესახებ. ისინი ყრილობის პროგრამაში ხედავდნენ მუშათა და გლეხთა საუკუნეობრივ ოცნებათა განხორციელებას.

კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ, შტაბმა, არმიის მენშევიკურ-ესერულმა სამხარეო საბჭომ ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღიდანვე ყველა ზომას მიმართეს, რომ კავკასიის არმია რუსეთის დიდი რევოლუციური მოვლენებისაგან იზოლირებული ყოფილიყო. ჯარისკაცებს ყოველდღიურად მიმართავდნენ მოწოდებებით, რომლებშიც რუსეთის რევოლუცია ასახული იყო როგორც ანარქია, ბოლშევიკების „დეზორგანიზატორული გამოსვლა“ და სამშობლოს ღალატი. ჯარისკაცებს ურჩევდნენ დაეცვათ „წესრიგი“, კვლავაც განეხორციელებინათ „პატრიოტული მოვალეობანი“[1]. შემთანხმებლური და ბურჟუაზიული პრესა ხომ ოქტომბრის რევოლუციისადმი ცილისწამებლური სტატიებით იყო აღსავსე. მაგრამ არმია, მიუხედავად ამისა, ახერხებდა სწორად გარკვეულიყო ვითარებაში და შეეფასებინა ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა.

კავკასიის არმიის სწორი ინფორმირებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერისათვის არმიის მობილიზების საქმეში შეუპოვარ სისტემატურ მუშაობას ეწეოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტი, მისი ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი“, ბოლშევიკური გაზეთები „ბაკინსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“, „ბანვორი კრივი“ და სხვები. საოლქო კომიტეტის მოწოდებებში ჯარისკაცებისათვის მისაწვდომი ენით განმარტებული იყო საბჭოთა მთავრობის პროგრამა, მის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი, გამახვილებული იყო ყურადღება იმ საფრთხეზე, რომელიც რევოლუციას ელოდა. საოლქო კომიტეტი ჯარისკაცებს მოუწოდებდა იარაღით ხელში დაეცვათ საბჭოთა მთავრობა[2]. ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ჯარისკაცთა საგარნიზონო კრებებსა და მიტინგებზე, ამხელდნენ კონტრრევოლუციური

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 1, ს. 190, გვ. 4—9.

[2] „Кавказский рабочий“ № 207, 1917 წ.

ბანაკის ბნელ გეგმებს, შემთანხმებლური პოლიტიკის დამღუპველობას.

ჯარისკაცთა მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში აღიარებული იყო არმიის მზადყოფნა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად[1]. ჯარისკაცები არ სცნობდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფლებას, აღარ ასრულებდნენ საოლქო შტაბის, არმიის სამხარეო საბჭოს დადგენილებებს. გარნიზონებში იქმნებოდა საბჭოთა ხელისუფლების პროგრამის პრაქტიკული განმახორციელებელი ორგანოები (სადელეგატო კრება თბილისში), ფრონტისპირა ზოლში ყალიბდებოდნენ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები. სარიყამიშის, ყარსის, ტრაპიზონის გარნიზონის ჯარისკაცები მხოლოდ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტების განკარგულებებს ემორჩილებოდნენ. არმიის შტაბში და სამხარეო საბჭოში ჩიოდნენ იმის შესახებ, რომ ჯარისკაცთა განწყობილება ბოლშევიკურია, ოფიცერთა ხელისუფლება ნულამდეა დაყვანილი, ჯარისკაცები მოითხოვენ იარაღს და რუსეთში გამგზავრებას საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად[2].

საბჭოთა ხელისუფლების მომხრე ჯარისკაცები, ცხადია, ვეღარ მოითმენდნენ ისეთ სამხარეო საბჭოს, რომელიც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციასთან კავშირში აღმოჩნდა, რუსეთიდან ამიერკავკასიის მოწყვეტას მხარი დაუჭირა და წინ ეღობებოდა ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას.

კავკასიის არმია ოქტომბრის რევოლუციამდე არ ენდობოდა არმიის სამხარეო საბჭოს, მთელი რიგი გარნიზონები მის გადარჩევას მოითხოვდნენ, ხოლო რევოლუციის შემდეგ ეს მოთხოვნა იმდენად ერთსულოვანი გახდა და მომწიფდა, რომ მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო. ამიერკავკასიის მენშევიკური მესვეურები ცდილობდნენ გადაეწიათ არჩევნების ვადა. სადელეგატო კრების გამოჩენამ თბილისში და მისმა კატეგორიულმა მოთხოვნამ საბჭოების გადარჩევის შესახებ ამიერკავკასიის ქალაქების საგარნიზონო და საფრონტო ნაწილების კრებების გადაწყვეტილებებმა სამხარეო საბჭო აიძულეს ყრილობა დეკემბრისათვის დაენიშნა.

ბოლშევიკებმა არმიის ნაწილებში აქტიური წინასაარჩევნო პროპაგანდა გააჩაღეს. ამიერკავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა გამოიმუშავა ნაკაზი, რომლითაც არმიელი დელეგატები

---

[1] „Кавказский рабочий" № 215, 217, 223 და სხვ.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 1, საქმე 43, გვ. 17.

თავიანთ ყრილობაზე უნდა წარმდგარიყვნენ. ეს ნაკაზი მოითხოვდა:

„1) საკუთარი მკერდით დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება — საერთო მთელი რუსეთისათვის. კავკასიაში დაუყოვნებლივ განხორციელდეს სახალხო კომისართა საბჭოს ყველა კანონები, დეკრეტები, დადგენილებანი და განკარგულებანი.

2) შეუერთდეთ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს;

3) შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში, გავრეკოთ თვითნებური ამიერკავკასიის კომისარიატი“[1].

ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის ამ პროგრამას ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობა ერთსულოვნად შეხვდა და დელეგატებს მისი დაცვა დააკისრა.

წინასაარჩევნო დღეებში გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდნენ შენშევიკები, ესერები და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც ვარაუდობდნენ თავიანთი ინტერესების დამცველი დელეგატების ბლოკით ჩაეშალათ ყრილობის ბოლშევიკური ღონისძიებანი.

10 დეკემბერს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის მეორე საარმიო ყრილობა. ყრილობის მონაწილე ასე გადმოგვცემს ყრილობის დაწყების სურათს. „...ზუბალოვის სახლის დარბაზი... ხმაურია, ისმის ფრონტელთა ხმამაღალი მისალმება! უხეში ჯარისკაცური მაზარები, ქარდაკრული მტკიცე და აღგზნებული სახეები — ასე გამოიყურებოდნენ კავკასიის ფრონტის მეომრები, — ყრილობის დელეგატები, ისინი, რომლებიც აქ მოვიდნენ მტკიცე განაწესით: მიესალმონ და მკერდით დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება.

დარბაზში შემოდის ჯარისკაცთა დელეგატების დიდი ჯგუფი, რამდენიმე ოფიცერი და მოქალაქე. ხმაური დარბაზში უეცრად წყდება, ყველას ყურადღება ამ ჯგუფისადმი არის მიპყრობილი და უეცრად, სიჩუმეს არღვევს ხალხმრავალი დარბაზის მისალმებათა ქარიშხალი და „ურას“ საზეიმო ხმა. „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!“ „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ — ასე ესალმებოდნენ კავკასიის ფრონტის II საარმიო ყრილობის დელეგატები ყრილობის ხელმძღვანელ ბოლშევიკურ ჯგუფს“[2].

ყრილობის დასაწყისში შემთანხმებლურ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ბლოკს დელეგატების უმეტესობა ჰყავდათ, მათ შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც ჯერ კიდევ სჯეროდათ ამ პარტიების მოთაფლული სიტყვებისა, მაგრამ როდესაც ცხარე კამათში გაირკვა

---

[1] გაზ. „Бакинский рабочий“ № 95, 1917 წ.

[2] В. Мраян, Встречи с Шаумяном, Армиздат, 1933 წ., გვ. 9.

სამხარეო ორგანოში მოკალათებული შემთანხმებლებისა და „ეროვნული პოლკების“ მესვეური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების პრაქტიკული საქმეები, ბევრი დელეგატი გულწრფელად დადგა ბოლშევიკების მხარეზე.

მენშევიკები და ესერები შეეცადნენ თავიდანვე ეგდოთ ხელთ ყრილობის ხელმძღვანელობა. ესერმა დანსკოიმ თავისი თავი ყრილობის თავმჯდომარედ გამოაცხადა. მაგრამ ბოლშევიკებმა მკაცრად გაილაშქრეს კონტრრევოლუციონერ დონსკოის კანდიდატურის წინააღმდეგ.

ს. შაუმიანმა ვრცელ სიტყვაში ფარდა ახადა სამხარეო საბჭოსა და კავკასიის არმიის სარდლობის ბნელ საქმეებს. გამოქვეყნებულ იქნა პრჟევალსკისა და გენერალ პოლოვცევის მოლაპარაკების ტექსტი ჩრდილოეთ კავკასიის ბანდებისათვის ამიერკავკასიიდან იარაღის გაგზავნის შესახებ[1].

ყრილობის მენშევიკმა და მემარჯვენე ესერმა დელეგატებმა ხმაური ატეხეს. საარმიო საბჭოს საქმიანობის და დონსკოის კანდიდატურის დაცვა ე. გეგეჭკორმა იკისრა, მაგრამ საპასუხო სიტყვაში ს. ქავთარაძემ მრავალი დამატებითი საბუთი მოიტანა და ცხადჰყო, რომ დონსკოის ცხვირწინ, მისი ფარული ხელშეწყობით ვაგონებით ეგზავნებოდა იარაღი კალედინს და კარაულოვს — თეთრგვარდიელ გენერლებს, მაშინ როცა არმიის მთელი ქონების ერთადერთი დამცველი ეს საბჭო უნდა ყოფილიყო. საბჭოს წევრებმა თვითვე აღიარეს ამ ფაქტის სისწორე და ამით თავი სამუდამოდ შეირცხვინესო[2].

მენშევიკები და მემარჯვენე ესერები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. დონსკოის კანდიდატურა მოხსნილ იქნა. ეს იყო ბოლშევიკი დეპუტატების პირველი გამარჯვება.

ყრილობის დღის წესრიგის ყველა საკითხზე ფრაქციათა შორის შეურიგებელი ბრძოლა წარმოებდა. ბოლშევიკების პოზიციას შეუპოვრად იცავდნენ ს. შაუმიანი, ს. ქავთარაძე, მ. ცხაკაია, მეომარი დეპუტატები ი. მალიგინი, გ. კორგანოვი, პ. არველაძე, კ. მიშჩენკო, ს. ოვსეპიანი, რ. ავაკიანი და სხვები.

ყრილობაზე ბოლშევიკებმა მემარცხენე ესერების მხარდაჭერის შემდეგ უმრავლესობა მოიპოვეს. ყრილობამ დადგენილებით იცნო საბჭოთა ხელისუფლება და გამოთქვა მისი პროგრამის გან-

---

[1] С. Шаумян, Статьи и речи, გვ. 164.

[2] გაზ. „ბრძოლა“ № 55, 14 დეკემბერი, 1917 წ.

ხორციელებისათვის ბრძოლის მზადყოფნა[1]. კონტრრევოლუციურმა ბლოკმა მარცხი განიცადა. მიღებული რეზოლუციები მიმდინარე მომენტზე, მიწის, ზავის, მუშათა კონტროლის საკითხებზე ბოლშევიკური, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისკვეთებით გაჟღენთილი იყო[2].

არჩევნებში ბოლშევიკებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. სამხარეო საბჭოს შემადგენლობაში მათ მემარცხენე ესერებთან 52 ადგილი ხვდათ, ხოლო ყველა დანარჩენ პარტიას — 48[3]. არმიის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი ოფიცერი გ. ყორგანოვი. ყრილობა სახალხო კომისართა საბჭოსადმი მისალმებაში აღნიშნავდა, რომ არმიის ახალი საბჭო თავის თავს აცხადებს უმაღლეს ხელისუფლებად სამხარეო სფეროში და სთხოვს ყველა განკარგულება კავკასიაში საბჭოს სახელზე გამოიგზავნოსო[4].

ახალი სამხარეო საბჭო მუშაობას შეუდგა. ყრილობის მიმდინარეობის მომენტში მიღებულ იქნა დეპეშა სახალხო კომისართა საბჭოსაგან გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. 5 დეკემბერს კავკასიის ფრონტზე თურქეთის მთავრობასა და ამიერკავკასიის კომისარიატს შორის მოხდა დაზავება და საომარი მოქმედება შეწყდა. მრავალწლიანი ომით მოღლილ ჯარისკაცებს სამშობლოში დაბრუნება სწყუროდათ. ამასთანავე ისინი აღსავსენი იყვნენ მისწრაფებით დაეცვათ იარაღით საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვარი. სამხედრო ნაწილები ემზადებოდნენ საბჭოთა რუსეთში გასამგზავრებლად. საჭირო იყო ამ საქმის ორგანიზაცია, რადგან არმიის ნაწილების ერთდროულ და სტიქიურ მსვლელობას ადვილი შესაძლებელი იყო დიდი უბედურება მოჰყოლოდა. არმიის სამხარეო საბჭომ სასწრაფოდ ჩამოაყალიბა კავკასიის არმიის დემობილიზაციის სამხარეო კომიტეტი, რომელსაც დემობილიზაციის ორგანიზებულად ჩატარების ხელმძღვანელობა დაეკისრა. სამხარეო საბჭო, აცნობდა რა ჯარისკაცებს ყრილობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, მიმართვაში აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მთავრობამ დაიწყო საზავო მოლაპარაკება მეომარ ქვეყნებთან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჯარისკაცებმა მიატოვონ ფრონტი, დემობილიზაცია უნდა ჩატარდეს ორგანიზებულად, წინააღმდეგ შემთხვევაში არმიის მასა წალეკავს ყველაფერს, დასტოვებს ან გაანადგურებს.

---

[1] „Кавказский рабочий" № 229, 1917 წ.

[2] „Кавказский рабочий" № 230, 1917 წ.

[3] იქვე.

[4] გახ. „ბრძოლა" № 66, 1917 წ.

ჭონებას. საბჭო ავალებდა მსხვილ შენაერთებს, გარნიზონებს, ცალკე ნაწილებს ადგილობრივ ჩამოეყალიბებინათ სადემობილიზაციო კომიტეტები, რომლებიც სამხარეო კომიტეტის მითითებით იმუშავებდნენ[1].

არმიის სამხარეო საბჭოში არჩეულმა მენშევიკურ-ესერულმა უმცირესობამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის და მუშათა დეპუტატების სამხარეო საბჭოს ფარული წაქეზებითა და მხარდაჭერით მიზნად დაისახა ამ ღონისძიებათა საბოტაჟი, არმიის სამხარეო საბჭოს გათიშვა და ბოლშევიკური უმრავლესობის იქედან გამოდევნა.

შემთანხმებლები პირველი სხდომიდანვე საბოტაჟის გზას დაადგნენ. მათ ჩაშალეს ყველა ღონისძიება, არ მისცეს საბჭოს ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობა, ისინი მოითხოვდნენ ბოლშევიკებს ხელი აეღოთ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის გატარებაზე ამიერკავკასიაში და როცა ამ მხრივ ვერაფერს გახდნენ, თავხედურად დაეპატრონენ შენობას, საბჭოს მთელ სახსრებსა და საკუთრებას. მათ ხელთ იგდეს არმიის მმართველობის ცენტრალური აპარატი[2]. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შემთანხმებლურმა შემადგენლობამ ეს უზურპაცია კანონიერად იცნო.

ამრიგად, საბჭოს შემთანხმებლურმა უმცირესობამ თვითნებურად, ძალადობით, დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევით, თავისთავი არმიის სამხარეო ხელისუფლებად აღიარა და სავსებით შეაქცია ზურგი კავკასიის არმიის ყრილობას, ფეხქვეშ გათელა მისი გადაწყვეტილებანი და ინტერესები. ახალი საბჭო, ცხადია, ამიერიდან არა არმიას, არამედ კონტრრევოლუციურ კომისარიატს და ნაციონალურ საბჭოებს ეყრდნობოდა, თავის მოქმედებას არმიის საწინააღმდეგოდ მიმართავდა და როგორც შემდეგში დავინახავთ, ერთი ინიციატორთაგანი გახდა იმ ხოცვა-ჟლეტისა, რაც არმიის დემობილიზაციისა და რუსეთში გამგზავრების პერიოდში შამქორთან და კავკასიის სხვა ადგილებში მოხდა.

არმიის სამხარეო საბჭოს ბოლშევიკურმა შემადგენლობამ გადაწყვიტა გადასულიყო ბაქოში, სადაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და გარნიზონს მტკიცე პოზიციები ეკავა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მანათობელ შუქურას წარმოადგენდა.

---

[1] „Кавказский рабочий" № 230. 1917 წელი.

[2] „Кавказский рабочий" № 231. 1917 წელი.

* *

როგორც ვნახეთ, ოქტომბრის რევოლუციის პირველ თვეებში ამიერკავკასიაში კონტრრევოლუცია უკეთ ორგანიზებული აღმოჩნდა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა და შემთანხმებლებმა, რომელთაც შეიარაღებული ძალები ყავდათ, შესძლეს პირველი იერიშები პროლეტარიატის უფრო სუსტად ორგანიზებულ პუნქტებში მიეტანათ და ხელთ ეგდოთ ძალაუფლება. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელ ფაქტს წარმოადგენს ნოემბრის მიწურულში თბილისში კონტრრევოლუციური ბლოკის მიერ გათამაშებული ფანდები.

ამიერკავკასიის კომისარიატს და თბილისის ქალაქის ბურჟუაზიულ-შემთანხმებლურ სათათბიროს მოსვენებას არ აძლევდა თბილისის არსენალი, რომელსაც ამ დროს ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო ნაწილი იცავდა. ბოლშევიკური დაცვა არ ასრულებდა ქალაქის საბჭოს მითითებებს, არ აძლევდა იარაღს მენშევიკ კომისრებს.

არსენალისადმი შიში განსაკუთრებით მაშინ გაძლიერდა, როცა ფრონტიდან დაიძრნენ ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო ნაწილები. — ჩვენ ან უნდა აგვეღო არსენალი, ან უნდა დავღუპულიყავით — მენშევიკ ჯუღელის ეს სიტყვები თბილისის საბჭოს სხდომაზე ნათლად გამოხატავდა კონტრრევოლუციონერთა შიშს და განწყობილებას.

ეშელონების თბილისთან მოახლოების დღეებში არსენალის ხელში ჩაგდებისათვის წინასწარი ღონისძიებების მისაღებად კონტრრევოლუციის ბლოკი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას შეუდგა.

25 ნოემბერს მოწვეულ იქნა მენშევიკების საოლქო და თბილისის კომიტეტების სასწრაფო კრება, რომელმაც კავკასიის ფრონტზე ზავის საკითხთან ერთად განიხილა საკითხი ქალაქში საგანგაშო მდგომარეობის შესახებ ბოლშევიკების აგიტაციასთან დაკავშირებით. კრებამ დაავალა საოლქო კომიტეტს — გამოიყენოს ყველა საშუალება სამოქალაქო ომის თავიდან აცილებისათვის, „რევოლუციური წესრიგის“ დამყარებისათვის მიიღოს გადამჭრელი ზომები“[1].

მენშევიკების საოლქო კომიტეტმა ამ საშუალებათა გამოყენება არ დააყოვნა. მეორე დღეს, 26 ნოემბერს, მოწვეულ იქნა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრისა და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატე-

[1] გაზ. Известия раб. и солд. деп. гор. Тбилиси, № 1917—1918 წ.

ბის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებული საგანგებო სხდომა. მენშევიკების ლიდერებმა დღის წესრიგში პრაქტიკული მოქმედების საკითხი დააყენეს: „ჩვენ მოვახსენეთ სხდომას ქალაქში შექმნილ საშიშარი მდგომარეობის შესახებ, — იგონებს ნ. ჟორდანია, — სხდომამ მიანდო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს მიემართა საჩქარო საგანგებო ზომებისათვის. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ უნდა გამოგვეცხადებინა ჩვენი ძალაუფლება, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა და გამოვაცხადეთ კიდეც ქალაქში სამხედრო წესები“.

28 ნოემბერს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმოწერით (ამიერკავკასიის კომისარიატის სანქციით) გამოქვეყნდა მოწოდება თბილისის ყველა მცხოვრებისადმი. მოწოდებაში ნათქვამი იყო:

„მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრის დადგენილების საფუძველზე, ამიერკავკასიის კომისარიატის თანხმობით, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს ქალაქ თბილისში სამხედრო მდგომარეობას.

ეს საგანგებო ღონისძიება გამოწვეულია მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილის საგანგაშო განწყობილებით: უპასუხისმგებლო ჯგუფები და პირები ცდილობენ მიუსიონ ერთი სამხედრო ნაწილი მეორეს და გამოიწვიონ ძმათ საჭლეტი სასაკლაო და პოგრომები...“[1] ამ განმარტებათა შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი კრძალავდა ყოველგვარ კრებებსა და მიტინგებს ქუჩებსა და მოედნებზე, შეიარაღებული გამოსვლის საგაზეთო პროპაგანდას, ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებას და მოითხოვდა აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებისადმი ყველა დაწესებულების უსიტყვო დამორჩილებას, ხოლო დამნაშავეებს ამ მხრივ სამხედრო-რევოლუციურ სასამართლოზე გადაცემას პირდებოდა.

გარდა ამისა, მენშევიკებმა თავიანთი გაზეთის ფურცლებზე გააჩაღეს გაძლიერებული ცილისმწამებლური კამპანია ბოლშევიკების წინააღმდეგ[2].

ეს იყო საბჭოს პირველი ღონისძიება ობივატელური მოსახლეობის დასაფრთხობად და აგრესიულობის გასამართლებლად. ნამდვილად თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აინტერესებდა არსენალი, რომელსაც ბოლშევიკი ჯარისკაცები იცავდნენ.

---

[1] გაზ. Известия раб. и солд. гор. Тбилиси 1917—1918 წ.

[2] გაზ. „Известия“ № 198, 28 ნოემბერი.

აღმასრულებელი კომიტეტი პრაქტიკულ მოქმედებაზე გადავიდა. კონტრრევოლუციურად განწყობილი ელემენტებისაგან შედგენილი რაზმის (რომელსაც ისინი „წითელ გვარდიას“ უწოდებდნენ) შესაიარაღებლად აღმასრულებელმა კომიტეტმა მოითხოვა იარაღი და წერილობითი განკარგულება გაუგზავნა არსენალის საარტილერიო საწყობს. აღმასრულებელმა კომიტეტმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ არსენალს ბოლშევიკი ჯარისკაცები იცავდნენ და ისინი იარაღის გაცემაზე არ დათანხმდებოდნენ. მაგრამ ეს იყო საბაბი, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტი თავისი შემდგომი ნაბიჯების გასამართლებლად ეძებდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, არსენალას ბოლშევიკმა დამცველებმა იარაღის გაცემაზე უარი თქვეს. მაშინ მენშევიკური გვარდია ღამით გაემართა არსენალისაკენ, იარაღის საწყობს თავს დაესხა და ხელთ იგდო იგი. 1-ლ დეკემბერს თბილისის მენშევიკური საბჭოს ორგანოში გამოქვეყნდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი ცნობა:

„30 ნოემბერი, დილის 11 საათი.

გუშინ, 29 ნოემბერს, დილით, აღმასრულებელმა კომიტეტმა არსენალში წარადგინა მოთხოვნა კომიტეტის განკარგულებაში მყოფი წითელი გვარდიის საჭიროებისათვის 2.000 შაშხანის გაცემის შესახებ. არსენალის რაზმმა იარაღის გაცემაზე უარი სთქვა: მაშინ აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა უარის მთქმელთა დამორჩილება, რისთვისაც იმავე საღამოს, შეიარაღებული ძალით, ერთი გასროლის გარეშე, დაიკავა არსენალი. ამან აღელვება გამოიწვია გარნიზონის ბოლშევიკურ ნაწილებში და 218 სათადარიგო პოლკის მე-4 ბატალიონის ჯარისკაცთა ჯგუფმა 150 კაცის რაოდენობით, თითოობლივ, ღამით მიაღწია რა არსენალამდე, დღეს, 30 ნოემბერს, დილით გააჩაღა უწესრიგო სროლა. მაგრამ ბოლშევიკურ ჯგუფს, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულების წინააღმდეგ წავიდა, არავინ დაუჭირა მხარი და იგი იძულებული შეიქნა თავის ყაზარმაში დაბრუნებულიყო.

გარნიზონში სრული წესრიგია.

შემდგომის შესახებ დამატებით გაცნობებთ“[1].

თბილისის მენშევიკური საბჭოს ამ ნაბიჯმა, როგორც ირკვევა, ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტი ფეხზე დააყენა. ინიციატივა მენშევიკების ხელთ იყო. საჭირო იყო სწრაფი და გადამწყვეტი

[1] გაზ. Известия, Тбилисского совета раб. и солд. депут. № 201, 1 დეკ. 1917 წ.

მოქმედება, მაგრამ ამისათვის კომიტეტი მომზადებული არ ყოფილა. შეიკრიბა საოლქო კომიტეტის სამხედრო შტაბი, სადაც გადაწყდა უბრძოლველად არსენალი არ დაეთმოთ, თუ ამისათვის ცოტაოდენი შესაძლებლობა იქნებოდა. მაგრამ სასწრაფო ეფექტური კონტრღონისძიებების დაპირისპირება შეუძლებელი აღმოჩნდა: არ იყო შედგენილი მოქმედების გეგმა, სამხედრო ნაწილებმა არ იცოდნენ თუ როგორ უნდა ემოქმედნათ, თვით სამხარეო კომიტეტის წევრები იძლეოდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგო განკარგულებებს. მაგ., გაზ. „კავკასკი რაბოჩის“ რედაქციის ერთ-ერთი მუშაკი იგონებს: უკვე დილის 11 საათი იყო (ლაპარაკია 30 ნოემბრის შესახებ). რედაქციაში მოდიოდნენ ჯარის სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც თხოულობდნენ, რომ ნება მიეცა ჩვენს კომიტეტს აეღოთ ძალაუფლება. მაგრამ ორგანიზაციამ ამის ნება არ მისცა და საათის 12—1 მენშევიკების ბანდებმა ჩაიბარეს არსენალი, საიდანაც უამრავი იარაღი გამოიტანა ისეთმა ხალხმა, რომლებმაც ვინ იცის შემდეგ ვის წინააღმდეგ გამოიყენეს იგი.

არსენალის რაიონში გაგზავნილ იქნა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული მანქანა, მაგრამ ამ პატარა რაზმის განიარაღება მენშევიკებმა შეძლეს. ინიციატივა რომ ხელში აიღეს, მენშევიკებმა შეძლეს გაემაგრებინათ არსენალის რაიონი. მენშევიკური გვარდიის მხარდასაჭერად მათ ფეხზე დაყენებული ჰყავდათ მათი მომხრე სამხედრო ნაწილები. სასახლესთან განლაგებული იყო ზარბაზნები, რომელთა ლულა არსენალისკენ იყო მიმართული.

იმავე დღეს მენშევიკებმა მოაწყეს გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის“ და „ბრძოლის“ რედაქციების დარბევა, ხოლო თანამშრომლები დააპატიმრეს. ნ. ჟორდანია მოხსენებაში თბილისის 29-30 ნოემბრის ამბების შესახებ თავს იმართლებდა: დაპატიმრება მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ გაგზავნილმა ყარაულმა თავის რწმუნებას გადააჭარბაო. ეს იყო მხოლოდ ბოდიშის მოხდა ჩადენილი ფაქტის შემდეგ. სინამდვილეში ყარაულს, როგორც რედაქციის და სტამბის მუშები ადასტურებენ, დაპატიმრების ორდერი ხელთ ჰქონდა.

თბილისში 28-29 ნოემბრის ამბებთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული შეიქმნა თბილისის მშრომელი მასებისადმი შემდეგი შინაარსის მოწოდებით მიემართა: „უკვე რამდენიმე დღეა კონტრრევოლუციური ბურჟუაზია და მენშევიკების და ესერების ობორონცული პარტიები გაძლიერებით ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს, თითქოს ბოლშევიკების გამოსვლა მზადდებოდა.

ჩვენმა პარტიამ გარკვევით და გადაჭრით განაცხადა, რომ ბოლშევიკები არავითარ გამოსვლას არ ამზადებენ თბილისში...

არცერთი გასროლა, არცერთმა ტყვიამ არ უნდა განგმიროს მუშის გული, ჯარისკაცის გული.

ჩვენ მუდამ დარწმუნებული ვიყავით, რომ მშვიდობიანი გზით შეიძლებოდა იმ საკითხის ლიკვიდაცია, რომლის გამო კონფლიქტი მოხდა.

ჩვენ ახლაც დარწმუნებული ვართ, რომ მთელი საკითხი შეიძლებოდა გადაჭრილიყო სისხლისმღვრელ შეტაკებათა გამოუწვევლად...

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ ჯარისკაცების, მუშებისა და მოქალაქეების წინაშე, რომ ბოლშევიკები არავითარ გამოსვლას არ აწყობენ თბილისში. ასეთ გამოსვლას არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვდა (ხაზი ჩემია — ა. ს.), განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც მუშურ-გლეხური მთავრობა განმტკიცდა, გაძლიერდა და ცნობილია რუსეთის დემოკრატიის უდიდესი უმრავლესობის მიერ"[1].

ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის ეს მოწოდება ისტორიულ ლიტერატურაში, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიის 1917—18 წლების მოვლენებს შეეხება, ჩვენის აზრით, არა სწორად იყო გაგებული. მცდარი შეფასება მიმდინარეობდა წლების მანძილზე დანერგილი ოფიციალური შეხედულებიდან, რომელიც ხალხის მტერ ბერიას ე. წ. „შრომაში" იყო გამოთქმული.

ბრალს სდებდა რა ამიერკავკასიის ბოლშევიკების გარკვეულ ჯგუფს ოპორტუნიზმსა და გამცემლობაში, ეს „შრომა" ამტკიცებდა, რომ ამ დროს თბილისის კომიტეტმა უარი სთქვა ამიერკავკასიასა და საქართველოში ძალაუფლების დაპყრობაზე, ვერ გამოიყენა ხელსაყრელი რევოლუციური სიტუაცია კონტრრევოლუციური ბლოკის დასამხობად, უარი სთქვა გაეწია აგიტაცია ჯარისკაცებში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ და, გადასცა რა არსენალი მენშევიკებს, თვით დადგა კაპიტულანტობისა და გამცემლობის გზაზეო.

ამ პერიოდის ყველა მკვლევარი (და ამ სტრიქონების ავტორიც) ამ შეხედულებას დოგმად იღებდა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სამწლიან გაჭიანურებას ამიერკავკასიაში „თბილისის კომიტეტში მოკალათებული ოპორტუნისტების" მოღალატეობით

[1] გაზ. „Кавказский рабочий" № 213, 1 დეკ. 1917 წ.

ხსნიდა, მიმართავდა რა ფაქტების შელამაზებას, ვერც კი ამჩნევდა როგორ ეშვებოდა მოვლენების სუბიექტურ-იდეალისტურ ახსნამდე.

ჩვენ ამ პერიოდის მოვლენების შესწავლის პროცესში ახალმა კვლევა-ძიებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანეს, რომ ნაძალადევი და დაუსაბუთებელია აზრი, თითქოს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში სამხარეო კომიტეტის ნაწილი და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელი ჯგუფი კაპიტულანტობამდე დაშვებულიყოს და გ ა ნ ზ რ ა ხ შეეფერხებინოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ ორგანოების მუშაობაში არ ჰქონია ადგილი სერიოზულ შეცდომებს, რაზედაც ზემოთაც აღვნიშნავდით და მომავალშიც მოგვიხდება ლაპარაკი.

საკითხი ასე უნდა დაისვას: იყო თუ არა სავსებით მომზადებული რევოლუციის ძალები ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში იმ პერიოდისათვის, როცა თბილისის არსენალის დაპყრობის ფაქტი მოხდა? სხვაგვარად, შეიძლებოდა თუ არა აჯანყება იმ მომენტში კონტრრევოლუციური კომისარიატისა და შემთანხმებლური საბჭოების წინააღმდეგ?

ჩვენ ვნახეთ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ამიერკავკასიაში ფეხზე დააყენა მშრომელი მასები. ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ პროლეტარიატისა და კავკასიის არმიის მოწინავე ნაწილის საბრძოლო მოწოდებად იქცა. ბაქოში, ბათუმში, ფრონტისპირა გარნიზონებში ბოლშევიკებმა საბჭოს შემადგენლობაში უმრავლესობა მოიპოვეს. მაგრამ ესენი ჯერ კიდევ კუნძულებს წარმოადგენდნენ შემთანხმებლური ორგანოების ზღვაში. ბურჟუაზიას და შემთანხმებლებს ხელისუფლება ეპყრათ ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც იყო თბილისი, ელიზავეტპოლი, ერევანი, ალექსანდროპოლი, სუხუმი და სხვ. და ამიერკავკასიის სოფლები მთლიანად.

ოქტომბრის რევოლუციის განმათავისუფლებელმა სხივმა ამიერკავკასიის სოფლებში დაგვიანებით შეაღწია. შემთანხმებლური და ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები ოქტომბრის რევოლუციას ანარქიას უწოდებდნენ და „ასაბუთებდნენ“ მისი სწრაფი დაოუპვის აუცილებლობას. დამფუძნებელი კრების დელეგატების არჩევნების პერიოდში შემთანხმებლები მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდნენ ათასგვარ დაპირებებს, დამფუძნებელ კრებას ანდობდნენ მასების ყველა სასიცოცხლო საკითხის გადაწყვეტას. სოფლის წვრილბურჟუაზიული მასა, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაბედულად ამსხვრევდა ფეოდალური ურთიერთობის ნაშ-

თებს და მემამულეთა მიწებს ეპატრონებოდა, გულწრფელად ენდობოდა შემთანხმებლებს და სჯეროდა კიდეც ამ დაპირებისა.

სოფლად მენშევიკებს და ესერებს მრავალრიცხოვანი უჯრედები ჰყავდათ. წვრილბურჟუაზიული ფენებიდან გამოსული სოფლის ინტელიგენცია მენშევიკურ-ესერული და ნაციონალისტური განწყობილებით იყო შეპყრობილი. გლეხობის დიდი ნაწილის შეგნება ჯერ კიდევ ვერ წვდებოდა ბოლშევიკი და მენშევიკი აგიტატორების უთანხმოებას და მას იგი უბრალო შინაპარტიულ პოლემიკად თვლიდა. საბჭოები სოფლად, მიუხედავად მათი მენშევიკურ-ესერული შემადგენლობისა, მას მაინც რევოლუციის მონაპოვრად, ძველი წყობილების საპირისპირო ორგანოდ მიაჩნდა. რა თქმა უნდა, ამ ორგანოს წინააღმდეგ იარაღით ხელში გლეხობის გამოყვანა ძნელი იყო. მოვლენათა მსვლელობას გლეხობისათვის უნდა ეჩვენებინა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების დიადი საქმენი და ამავე დროს ფარდა აეხადა ამიერკავკასიის შემთანხმებლური საბჭოების კონტრრევოლუციურობისათვის.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ გარკვეულ დროს შემდეგ, როცა კომისარიატის მიერ გამოცემულმა მიწის „დეკრეტმა“ გლეხობას არაფერი მისცა, როცა ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა სოფლებში მოიტანეს საბჭოთა რუსეთის სოფლებში მიმდინარე ამბები, როცა კონტრრევოლუციონერებმა ამიერკავკასია იძულებით მოგლიჯეს რუსეთს და იგი თურქ-გერმანელი იმპერიალისტების ინტერვენციის ობიექტად გადააქციეს, გლეხობა თითქმის ერთსულოვნად აღსდგა და ამიერკავკასიის სოფლებს მოსდო რევოლუციის ხანძარი. მაგრამ ეს გარდატეხა 1918 წლის დასაწყისიდან გახდა შესაძლებელი. მანამ კი მშრომელი გლეხობის აქტიობა ძირითადად ყოფილ მემამულეებთან მიწის საკითხზე დავითა და ბრძოლით შემოიფარგლებოდა.

კონტრრევოლუციის ბლოკის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებით გამოსვლა ნოემბერ-დეკემბერში ამიერკავკასიის პროლეტარიატის რიგებსაც დაქსაქსვით ემუქრებოდა. ყველაზე ორგანიზებულ, შეგნებულ, კლასობრივ შეჯახებებში ნაწრთობ ძალას, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ბაქოს პროლეტარიატი, რომელმაც ოქტომბრის შემდეგ საბჭოების ძალაუფლება კიდეც აღიარა. მაგრამ ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც წმინდა პროლეტარული არ ყოფილა. პროლეტარიატის ინტერესების ჰეშმარიტ დამცველ ბოლშევიკებთან ერთად, საბჭოში საკმაოდ ძლიერი ფრაქცია ჰქონდათ მენშევიკებს, ესერებს, მუსავატელებსა და დაშნაკებს. ამავე დროს ქალაქში, საბჭოს პარალელურად არსებობდნენ

ბურჟუაზიული ორგანოები. ბაქოს კომუნისტები, ანგარიშს უწევდნენ რა ძალთა თანაფარდობას, თავს იკავებდნენ ბურჟუაზიის ორგანოებზე პირდაპირი იერიშებისაგან. ისინი უმტკივნეულოდ, ნაბიჯნაბიჯ, ბურჟუაზიულ და შემთანხმებლურ პარტიებს შორის წინააღმდეგობის გამოყენებით, შერჩევითი მოქმედებით (лавированием) იპყრობდნენ ხელისუფლების სადავეებს, ამავე დროს, დაჟინებით ეწეოდნენ რა საბჭოთა ხელისუფლების აგიტაციას, და, პრაქტიკულად ახორციელებდნენ რა პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანებს, აფართოებდნენ თავიანთ გავლენას, შემთანხმებლური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური განწყობილებებიდან ათავისუფლებდნენ შეუგნებელ მუშებს და ქმნიდნენ პოლიტიკურ არმიას მომავალ გადამწყვეტ შეჯახებაში გამარჯვების უზრუნველსაყოფად. იმ დროს, როცა მუსავატელებსა და დაშნაკებს თავიანთი ეროვნული პოლკები ჰყავდათ, ქალაქის მილიციის პატრონი ბურჟუაზიული სათათბირო იყო, ხოლო აზერბაიჯანის სოფლის მოსახლეობა დაშნაკებისა და მუსავატელების მიერ მოწყობილ პოგრომებში იყო ჩათრეული, აზერბაიჯანელ კომუნისტებს არ შეეძლოთ თავად დაეწყოთ იარაღით იერიშები კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. სხვა რომ არ ვთქვათ, მათ ჯერ კიდევ არ გააჩნდათ საკუთარი შეიარაღებული ძალა — წითელი გვარდია. იგი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფებოდა.

მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო საგუბერნიო ქალაქებში — ელიზავეტოპოლში, ალექსანდროპოლში, ერევანში, ქუთაისში, სადაც პროლეტარიატი სუსტი და წვრილბურჟუაზიული ილუზიებით იყო დაავადებული. რაც შეეხება ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრს—ქალაქ თბილისს, აქ კონტრრევოლუციის პოზიცია ყველაზე მტკიცე იყო, მენშევიკური პარტიის ოქროპირ ლიდერებს ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა პროლეტარიატის უმრავლესობაში (რაც მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნებშიც დადასტურდა) და საჭირო იყო რამდენიმე ისეთი სისხლიანი აქტი კონტრრევოლუციის მხრივ, როგორიც შამქორსა და თბილისის ალექსანდრეს ბაღში დატრიალდა, რომ მუშებს სოციალიზმის ნიღაბით მოქმედი შემთანხმებლების ნამდვილი სახე დაენახათ და მათგან პირი ებრუნებინათ.

ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო წაელეკა კონტრრევოლუციის ბლოკი ამიერკავკასიაში, იყო კავკასიის არმია, სადაც ბოლშევიკებს დიდი გავლენა ჰქონდათ. მაგრამ არმიაში დისციპლინა ამ დროს მოშვებული იყო. იგი ორგანიზებულ ერთეულს აღარ წარმოადგენდა. ბოლშევიკური ნაწილების გვერდით ძველი ხელისუფლების მომხრე ნაწილებიც იყვნენ. თვით პოლკების შიგ-

ნით განხეთქილება სუფევდა. არმიას, რომელიც მშობლიურ სახლკარს წლობით იყო მოწყვეტილი, ყველაზე მეტად სახლში დაბრუნება ეჩქარებოდა. იგი არა მყარი, არამედ წამსვლელი ძალა იყო. დეზორგანიზებული არმიის შეტევა კონტრრევოლუციურ ორგანოებზე, ეროვნული ნაწილების წინააღმდეგობისა და პროლეტარიატის ერთი ნაწილისა და გლეხთა მასების უმრავლესობის ინერტულობის ვითარებაში, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ეს იქნებოდა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი. ანარქიის კიდევ უფრო გამწვავება მთელს ამიერკავკასიაში, რაც უთუოდ, ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების გავლენით, ამიერკავკასიის ხალხების ძმათამკვლელ ომში გადაიზრდებოდა. ეს საფრთხე კარგად ჰქონდათ შეგნებული ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანოებს, ამიტომ მათი საზრუნავი საგანი ამ პერიოდში იყო არმიის არა კონტრრევოლუციური ბლოკის წინააღმდეგ მისევა, არამედ ორგანიზებული გაყვანა ამიერკავკასიიდან (ეს კარგად ჩანს ამხ. შაუმიანის და კავკასიის ბოლშევიკური საარმიო საბჭოს მოწოდებებში არმიის მიმართ).

ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი ამ მეტად გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში ფრთხილად მოქმედებდა. კომიტეტში დაისვა საკითხი გამოიყენონ თუ არა კავკასიის არმია კომისარიატისა და შემთანხმებლური საბჭოების გასარეკად, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. სამხარეო კომიტეტის ზოგიერთი წევრი ამ მომენტს ხელსაყრელად თვლიდა და რჩევას იძლეოდა დაეწყოთ გადამწყვეტი მოქმედება. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ მომენტი ხელსაყრელი არ იყო, რადგან ძალაუფლების დაპყრობისა და შენარჩუნებისათვის ადგილობრივი ძალები მომწიფებული არ ყოფილან.

საოლქო კომიტეტის წევრი ფ. მახარაძე თავის შრომაში სწორედ ამ საკითხებს ეხება და აღნიშნავს: „ბოლშევიკურმა ცენტრმა თბილისში კარგად იცოდა თუ რას ნიშნავს ჯარის ნაწილების ასეთი (ბოლშევიკური — ა. ს.) სულიერი განწყობილება. რა თქმა უნდა, მას შეეძლო გამოეყენებინა რუსის ჯარის ნაწილების უკმაყოფილება თავის ბრძოლაში მენშევიკურ-ესერულ-დაშნაკური საბჭოს წინააღმდეგ. მას შეეძლო და უფლებაც ჰქონდა გამოეყენებინა ეს ჯარი, როგორც შეიარაღებული ძალა, ამ საბჭოების გასარეკად, ნამდვილი საბჭოების და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. ეს საკითხი თავისთავად დადგა ბოლშევიკების საოლქო კომიტეტში. კომიტეტის ერთ ნაწილს, რიცხვით სრულიად უმნიშვნელოს, მიზანშეწონილად მიაჩნდა ამ შეიარაღებული ძალის გამოყენება. მაგრამ ეს ამხანაგები ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს იმ გა-

რემოებას, რომ, მართალია, ჯარი უკმაყოფილო იყო ამიერკავკასიის ორგანოების მოქმედებით, მაგრამ მას სურდა სახლში დაბრუნება, ასე რომ, ის სრულებითაც არ ფიქრობდა ჩვენში გაჩერებას. ამიტომ მისი გამოყენება კარგავდა მნიშვნელობას. ამის გამო საოლქო კომიტეტმა დიდი უმრავლესობით უარყო საკითხის ასე დაყენება, მით უფრო, რომ ჯარში უკმაყოფილების მიზეზი ბოლო ხანებში იყო უმთავრესად დროზე ვაგონების მიუწოდებლობა"[1].

ეხება რა თბილისის მენშევიკური საბჭოების მიერ არსენალის დაპყრობის დღეებს, სხვა ადგილას ფ. მახარაძე წერს:

„ამ ამბებს (ნოემბრის ბოლო რიცხვებში არსენალის დაპყრობა— ა. ს.) წინ უძღოდა მენშევიკების მიერ მოჩმახული პროვოკაცია იმის შესახებ, რომ თბილისის ბოლშევიკების ცენტრმა თითქოს გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოაწყოს აჯანყება თბილისის საბჭოს წინააღმდეგ. მართალია, ეს საკითხი წამოიჭრა ბოლშევიკების საოლქო კომიტეტში და არ შეიძლებოდა არ წამოჭრილიყო. ყოველმხრივ განხილვის შემდეგ საოლქო კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ პირობებში აჯანყება მენშევიკურ-ესერული საბჭოების წინააღმდეგ მიზანშეუწონელი იყო. მოსაზრება ის იყო, რომ საბჭოების დამარცხება უნდა მომხდარიყო შეიარაღებული ძალით, რომელიც თითქმის სავსებით არა ადგილობრივი ელემენტებისაგან შედგებოდა, მაშინ, როცა საბჭოების უმრავლესობას ადგილობრივი ელემენტები შეადგენდნენ. ამიტომ აჯანყების საკითხი მოხსნილ იქნა. მენშევიკებმა ეს გარემოება კარგად იცოდნენ, მაგრამ ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ბოლშევიკების წინააღმდეგ პროვოკაცია, რათა აჯანყების საქმე სამუდამოდ ჩაეშალათ"[2].

ამრიგად, სამხარეო კომიტეტი, ანგარიშს უწევდა რა რევოლუციის და კონტრრევოლუციის ძალთა თანაფარდობას ამიერკავკასიაში, ჯერჯერობით თავს იკავებდა ქუჩებში შეიარაღებული გამოსვლისაგან და ხელისუფლების უსისხლოდ მოპოვების ტაქტიკას ახორციელებდა. საოლქო კომიტეტს მშვენივრად ესმოდა, რომ კონტრრევოლუციონერები პოზიციას ნებით არ დათმობდნენ და შეიარაღებული შეჯახება ბოლოს და ბოლოს გარდუვალი გახდებოდა, მაგრამ უდროოდ დაწყებულ მოქმედებას შეეძლო პირუკუ შედეგები მოჰყოლოდა. ბოლშევიკები ანგარიშს უწევდნენ იმასაც,

[1] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 104.

[2] იქვე, გვ. 95.

რომ დრო მათ სასარგებლოდ მოქმედებდა: საბჭოთა ხელისუფლება იზრდებოდა და მტკიცდებოდა. იგი ვრცელდებოდა რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეებზე, მოიწევდა სამხრეთისაკენაც და ამსხვრევდა დონ-ყუბანის და ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციის ზღუდეებს. ასეთი პერსპექტივის პირობებში საოლქო კომიტეტი უმჯობესად თვლიდა გაეწია საბჭოთა ხელისუფლებისათვის აგიტაცია მშრომელ მასებში, ფარდა აეხადა კონტრრევოლუციის ბლოკის საქმეებისათვის. და გადაებირებინა შემთანხმებლური ილუზიებით ჯერ კიდევ გამსჭვალული მასები, ამავე დროს შეექმნა საკუთარი შეიარაღებული ძალა და უფრო ხელსაყრელ მომენტში დაერტყა კონტრრევოლუციისათვის.

აქვე მოვიტანთ ერთ დოკუმენტს. ეს არის კავკასიის ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის ღია წერილი. 1918 წ. 10 თებერვლის შემდეგ, როცა კომისარიატის მესვეურებმა თბილისში ბოლშევიკური გაზეთები დაკეტეს და ბოლშევიკური პარტია იატაკქვეშ ჩარეკილი აღმოჩნდა, ხოლო ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პრესა ავრცელებდა ათასგვარ ჭორებს ბოლშევიკური პარტიის შესახებ, საოლქო კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩასთვალა შეედგინა ღია წერილი პრესაში გამოსაქვეყნებლად და გაეფანტა ის ჭორები, რასაც ეს გაზეთები ავრცელებდნენ.

ღია წერილში აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტს დეკემბერ-იანვარში არ ჰქონია განზრახული შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. „ამიერკავკასიის მუშები და გლეხები რომ ამდგარიყვნენ დანაშაულებრივი კომისარიატის დასამხობად, — ნათქვამია წერილში, — ჩვენ, ცხადია, თავს არ შევიკავებდით იმისაგან, რომ ეშელონები დაგვეძრა მათი მოძმეების — მუშებისა და გლეხების დასახმარებლად, რადგან ჩვენ, რუსი ჯარისკაცები არ მიგვაჩნდა „უცხოდ“ და ადგილობრივ საქმეებში ჩარევის უფლებამოკლებულად. მაგრამ არაა მართალი, თითქოს ჩვენ ხიშტების საშუალებით გვინდოდა ამიერკავკასიის დემოკრატიისათვის თავზე მოგვეხვია მისთვის არასასურველი ხელისუფლება. სიცრუეა — თითქოს ჩვენ გვსურდა დაგვეძრა არმია თბილისის გასანადგურებლად. პირიქით, რევოლუციური კომიტეტები და ჩვენი ამხანაგები, რომლებიც 300 ვერსზე მუშაობდნენ, ბევრ ძალ-ღონეს ახმარდნენ იმას, რომ არმია წასულიყო ჩრდილოეთ კავკასიისაკენ ყოველგვარი ექსცესების, რბევის და სხვ. გარეშე, რომ თავისი კანონიერი აღშფოთება და გაბოროტება კომისარიატისა და ვერაგი ელიზავეტოპოლელი ბეგების წინააღმდეგ არმიას არ გაევრცელებინა ამიერკავკასიის მშვიდობიან მოსახლეობაზე. ოფიცია-

ლური, დაჟინებითი და სისტემატური ცრუ პროპაგანდა ჩვენს ვითომცდა დამარბეველ მოწოდებათა შესახებ თბილისის წინააღმდეგ მიზნად ისახავს განაწყოს მოქალაქენი და მუშები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ხოლო ამხ. ს. შაუმიანის ხშირი ხსენება ცრუ ბრალდებით, თითქოს იგი ფრონტზე გაემგზავრა ჯარების წამოსაყვანად,... მიზნად ისახავს პირადად ამხ. შაუმიანის წინააღმდეგ აამხედროს ჯერ კიდევ ბნელი ელემენტები და გაამართლოს ის უკანონო და დაუშვებელი დევნა, რაც კომისარიატმა დაიწყო მისი, როგორც კავკასიაში რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლის, წინააღმდეგ"[1].

ამ დოკუმენტიდანაც ცხადი ხდება, რომ საოლქო კომიტეტს იმ მომენტში არ ჰქონია მიზნად დასახული შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, მაგრამ კომისარიატსა და მენშევიკურ საბჭოებს დასჭირდათ ეს განგაში იმისათვის აეტეხათ, რომ გაემართლებინათ არსენალის ბოლშევიკურ ნაწილებზე თავდასხმა და იარაღის მითვისება კონტრრევოლუციის ძალთა შესაიარაღებლად.

ასეთ ვითარებაში სამხარეო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ზემოთ მოტანილი განცხადება სავსებით ლოგიკური იყო. მის მიზანს შეადგენდა გაეფანტა კონტრრევოლუციის ჰორი და ემხილა კომისარიატისა და საბჭოების პროვოკაცია, დაემშვიდებია აღელვებული და გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი მასები.

აქვე საჭიროა მოვიტანოთ ერთი დოკუმენტიც. ეს არის ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიმართვა ქალაქ ბაქოს მუშებისა, ჯარისკაცებისა და მოქალაქეთადმი 1917 წ. 12 დეკემბრის თარიღით. აქ ნათქვამია:

„უკანასკნელ დღეებში ქალაქში ბნელი ძალები პროვოკაციული მიზნით ავრცელებენ ხმებს ბოლშევიკების მიერ აჯანყების დღეთ ვითომცდა კვირის დაწესების შესახებ. მოსახლეობის შეგნებულმა ნაწილმა და ჩვენმა ამხანაგმა ჯარისკაცებმა და მუშებმა იციან რა წყაროებისაგან მოდის ეს ხმები. რევოლუციის მტრებს არაერთხელ გაუვრცელებიათ მსგავსი ხმები იმ მიზნით, რომ შიშისა და აღშფოთების გრძნობა აღეძრათ მშვიდობიან მცხოვრებლებში და შეემზადებინათ ნიადაგი თავიანთი პროვოკაციული გამოსვლისათვის. მსგავსი ხმების გავრცელება — ეს რევოლუციის მტრების ბრძოლის სამარცხვინო და შეუფერებელი მრავალგვარი მეთოდების ერთერთი მაგალითია.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ახ. ფილიალი, ფ. 273, ს. 84, გვ 3—4

კომიტეტს არა ერთხელ განუცხადებია აშკარად, რომ არ აქვს აზრი გამოსვლას, როცა მუშათა და გლეხთა მთავრობის გავლენა ყოველდღე იზრდება და ღრმავდება მთელ ქვეყანაში. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს ქალაქის ყველა ჯარისკაცს, მუშას და მოქალაქეს არ დაუჯერონ უხამს ხმებს ვითომცდა აჯანყების შესახებ და მოუწოდონ ერთიმეორეს მშვიდობისა და წესრიგისაკენ.

რაც შეეხება პროვოკატორებს, რომლებიც მოქალაქეთა სიმშვიდეს არღვევენ, მიღებული იქნება ყველა ღონისძიება მათი სამარცხვინო საქმეების აღსაკვეთად"[1].

ეს მიმართვა დაწერილია ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის ზემომოტანილი განცხადებიდან 12 დღის შემდეგ, შინაარსით სავსებით ემთხვევა სამხარეო კომიტეტის განცხადებას და ისახავს იმავე მიზანს—გაფანტოს კონტრრევოლუციონერთა პროვოკაციული ხმები. ულოგიკო იქნებოდა „ოპორტუნისტული ელემენტების" დეზორგანიზატორულ ტაქტიკად ჩაგვეთვალა სამხარეო კომიტეტის განცხადება და სწორად მიგვეჩნია ბაქოს ხელმძღვანელი ბოლშევიკების ტაქტიკა (იხ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიმართვა). ვფიქრობ სავსებით ნათელია, რომ ორთავე ეს დოკუმენტი შიზნად ისახავს იმ პერიოდში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საერთო ტაქტიკური ხაზის დაცვასა და გატარებას. გარდა ამისა, თბილისის მოქალაქეთადმი მიმართული განცხადება რომ თბილისის „ოპორტუნისტული ხელმძღვანელი ჯგუფის" კერძო ინიციატივა ყოფილიყო, ცხადია, იგი ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სხვა წევრთა შორის, ბაქოს ხელმძღვანელ კომუნისტთა რიგებში მკაცრ შეფასებასა და გაკიცხვას გამოიწვევდა, ეს საკითხი ამავე დროს არ დარჩებოდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის ყურადღებისა და რეაგირების გარეშე. ბაქოს ბოლშევიკური გაზეთები კი, ეხმაურებოდნენ რა თბილისის ამბებს, სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ კონტრრევოლუციის ბლოკს, რომელიც ავრცელებდა ბოროტ ჭორებს ვითომცდა ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლების შესახებ და ამით სამოქალაქო ომის ხანძარს აღვივებდა ამიერკავკასიაში[2]. ამიერკავკასიის კომიტეტის ოპორტუნისტულ განწყობილებებზე ლაპარაკი პარტიულ ლიტერატურაში მხოლოდ 1937 წლის შემდეგ დაიწყო. თუ რატომ, ამის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით.

[1] „Известия Бак. Совета" № 207, 12 დეკემბერი, 1917 წ.

[2] იხ. „Бакинский рабочий" № 98, 3 დეკემბერი და „Известия Бак. Совета" № 208, 14 დეკემბერი.

მაგრამ საოლქო და თბილისის კომიტეტების მიერ ამ მოძენტში დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები. მთავარი შეცდომა იყო არსენალის ჩაბარება. არსენალს, როგორც ვთქვით, ბოლშევიკური ნაწილი იცავდა. მაშინ, როცა ბურჟუაზიამ განგაში ასტეხა ბოლშევიკთა გამოსვლის შესახებ, ხოლო ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა, ბოლშევიკების ხელმძღვანელ ორგანოებს შეეძლოთ მიეღოთ სასწრაფო ღონისძიებანი ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის დასაცავად ისე, რომ მენშევიკურ გვარდიას მასზე თავდასხმა ვერ გაებედა. არსენალს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკებისათვის. სწორედ ამ პერიოდში ბაქოსა და თბილისში იწყებდნენ ფორმირებას ბოლშევიკური რაზმები, რომელთა შეიარაღება თბილისის არსენალს შეეძლო. ბოლშევიკებმა თბილისში ვერ შეძლეს ალღო აეღოთ კონტრრევოლუციის ბლოკის ზრახვებისათვის, არსენალი პატარა საბრძოლო ჯგუფის ასაბრად მიტოვებული აღმოჩნდა. ვ. ი. ლენინი კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრის მოხსენებას რომ ისმენდა თბილისის 28-29 ნოემბრის ამბების შესახებ, ბოლშევიკებს უსაყვედურებდა, რომ არსენალი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგეთმოთო[1]. შეცდომა იყო ისიც, რომ ბოლშევიკები იმთავითვე არ გამოეხმაურნენ მენშევიკური საბჭოსა და კომისარიატის პროვოკაციებს და ფართო ახსნა-განმარტებებით ვერ უზრუნველყვეს მისი გაქარწყლება. სამხარეო კომიტეტის განცხადება თბილისის ამბების გამო გამოქვეყნდა მას შემდეგ, როცა კონტრრევოლუციის ბლოკს არსენალი უკვე აღებული ჰქონდა. ამ შეცდომების შესახებ თავიანთ შრომებში მიუთითებდნენ სამხარეო კომიტეტის წევრები — ფ. მახარაძე[2], მ. ორახელაშვილი[3], თუმცა მ. ორახელაშვილი იქვე აღნიშნავს, რომ ბოლშევიკების სამხარეო ცენტრს არცერთი შეცდომაც რომ არ დაეშვა იმ მომენტში, ამიერკავკასიის პირობებში ბოლშევიკები ვერ უზრუნველყოფდნენ ოქტომბრის გამარჯვების შეუჩერებელ მსვლელობას. ამ გამარჯვებისათვის საჭირო გახდა ძნელი და შემოსავლელი გზების გაკვლევაო[4].

---

[1] რევოლუციის მატიანე № 2(27), 1927 წ., გვ. 51—52.

[2] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭ. ხელისუფ. საქართველო'ში, გვ. 95.

[3] მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, 1917 წ., რევოლუციის მატიანე № 2(17). 1917 წ., გვ. 19—55.

[4] იქვე, გვ. 55.

* * *

სახალხო კომისართა საბჭო და პირადად ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიაში შექმნილ ვითარებას სისტემატურად ადევნებდნენ თვალყურს და მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიასთან კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთში კონტრრევოლუციური ბანდების თარეშის გამო თითქმის გაწყვეტილი იყო, მაინც ახერხებდნენ მიეღოთ ცნობები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის შესახებ, მიეცათ სამხარეო კომიტეტისათვის კონკრეტული მითითებანი, გაეწიათ მისთვის მატერიალური დახმარება.

1917 წლის 16 დეკემბერს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა, განხილულ იქნა საკითხი კავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ეროვნებათა საქმეების კომისარი ი. ბ. სტალინი. სახალხო კომისართა საბჭომ გაითვალისწინა რა მთელი სერიოზულობა მომენტისა კავკასიაში, სადაც კონტრრევოლუციური და რევოლუციური ძალების გადამწყვეტი შეჯახება მზადდებოდა, გამოიტანა დადგენილება ს. გ. შაუმიანის კავკასიის საგანგებო კომისრად დანიშვნის შესახებ. იმ დიდი ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რომლის წინაშე იმ მომენტში საბჭოთა მთავრობა იმყოფებოდა, დადგენილ იქნა კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის გამოყოფილიყო 500.000 მანეთი[1], რომელიც კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის განკარგულებაში გადავიდოდა.

ს. შაუმიანს ცნობილმა რევოლუციონერმა კამომ 1918 წლის იანვარში თბილისში ჩამოუტანა მანდატი ვ. ი. ლენინის ხელმოწერით.

1918 წლის 22 იანვარს ს. შაუმიანი შეუდგა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის მოვალეობის შესრულებას, რის შესახებ ცნობა გამოქვეყნებულ იქნა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე იმავე დღეს.

ამ ცნობის გამოქვეყნებამ ამიერკავკასიის კომისარიატი ფეხზე დააყენა. კომისარიატის მესვეურთა თვალსაზრისით სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება კავკასიის საკითხზე აქ მეორე ხელისუფლების ჩამოყალიბებას ნიშნავდა, და ეს იმ მომენტში, როცა

---

[1] Документы по истории гражданской войны СССР, т. I, გვ. 279.

თურქეთის ფრონტიდან დაძრული ეშელონები თბილისს რეალურ საფრთხეს უქადდა.

ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების გამო სასწრაფო ღონისძიების გამომუშავებისათვის 24 იანვარს მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა[1].

სხდომაზე გეგეჭკორმა გამოაქვეყნა „კავკაზსკი რაბოჩის“ ცნობა შაუმიანის საგანგებო კომისრად დანიშვნის შესახებ და განაცხადა, რომ მომენტი მეტად სერიოზულია, ვინაიდან ბოლშევიკების წრეში მიმდინარეობს სამზადისი გამოსვლისათვის, რომ ისინი ეყრდნობიან ეშელონებს და ფიქრობენ დასძრან ისინი თბილისზე კომისარიატის წინააღმდეგ. კომისარიატის შემადგენლობის ერთი ნაწილი მოითხოვდა თავდაცვის საგანგებო ღონისძიებათა გატარებას, კომუნისტური ორგანიზაციების ლიკვიდაციას, ჯარისკაცთა ეშელონების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას. ნ. რამიშვილი აცხადებდა: „შეტევა ხელსაყრელია, თავდაცვა — კრახი. ისინი უნდა განვაიარაღოთ გაზეთების დახურვით, ლიდერების დაპატიმრებით და სხვ. ძალა ჩვენ გვყავს — ესაა ნაციონალური ნაწილები. ეს ძალა რომ არ გვყავდეს, ამ სასახლეში ახლა სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლები ისხდებიან. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ნაწილები მერყეობენ...

მე ვფიქრობ, რომ მოქმედების მომენტი დადგა. შეიძლება ხვალ გვიან იყოს... მე ვამტკიცებ, რომ ეშელონები მშვიდად არ წავლენ...“[2]

შეტევის რამიშვილისეულ წინადადებას იზიარებდნენ ტერგაზარიანი, მალხაზოვი, ალექსი-მესხიევი და სხვები, რომლებიც აგრეთვე ჩიოდნენ კომისარიატის უმოქმედობასა და უავტორიტეტობაზე.

ნ. ჟორდანია, გენერალი მდივანი და სამხარეო საბჭოს ზოგიერთი წევრები უფრო ფრთხილ მოქმედებას მოითხოვდნენ. ისინი ვარაუდს იმაზე ამყარებდნენ, რომ ბოლშევიკები ვერ გაბედავენ თბილისზე შეტევას, რადგან არ გააჩნიათ ადგილობრივი ძალები, ქალაქი კარგად არის დაცული, ახლა საჭიროა არა შეიარაღებული ბრძოლა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ანარქიას, არამედ ღონის-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41 საქ. 12, გვ 51—54.

[2] იქვე, გვ. 52.

ძიების მიღება, რათა ეშელონები თბილისიდან მოვლით იქნენ ჩრდილოეთში გაგზავნილიო[1].

კომისარიატმა ვერ შესძლო ამ სხდომაზე რაიმე ღონისძიება გამოემუშავებინა და საკითხი გადასდო მეორე სხდომისათვის, რომელიც 25 იანვარს შეიკრიბა. აქ განსაკუთრებით აქტიობდნენ დაშნაკები. კარჩიკიანცი გადაჭრით აცხადებდა, რომ საჭიროა ორხელისუფლებიანობის დაუყოვნებლივი მოსპობა. ტერ-გაზარიანმა მოითხოვა რეპრესიული ზომები შაუმიანის მიმართ[2]. ჯაფაროვმა მოითხოვა კომისარიატის გადადგომა და დაუყოვნებლივი შექმნა ახალი მთავრობისა, რომელსაც ექნებოდა მეტი ძალა და ავტორიტეტი.

კომისარიატმა ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება მიემართა ენერგიული ღონისძიებებისათვის. შაუმიანს და მის მდივან კუზნეცოვს წინადადება მიეცათ 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ ამიერკავკასიის. საზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაპატიმრებულ იქნებოდნენ[3].

ამ გადაწყვეტილებების შემდეგ კომისარიატი გადავიდა პრაქტიკულ საქმეებზე. თბილისის გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო წესები. ქალაქში ისევ გამოჩნდნენ ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები. კომისარიატს ნაციონალური პოლკები და მენშევიკური გვარდიის ნაწილები იცავდნენ. თბილისში გამოწვეულ იქნა ველური დივიზია.

შაუმიანი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. კომისარიატის აგენტებმა მას გააფთრებით დევნა დაუწყეს.

31 იანვარს ს. შაუმიანის რედაქტორობით გამოცემულ იქნა გაზეთ „კავკაზსკი ვესტნიკ სნკ“ პირველი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ს. შაუმიანის მიმართვა ამიერკავკასიის მშრომელი მასებისადმი.

„1917 წლის 18 დეკემბრის დეკრეტით სახალხო კომისართა საბჭომ მე დამნიშნა კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად, ვიდრე კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება შეიქმნებოდეს. კავკასიაში დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას საბჭოთა ხელისუფლება. არსად რუსეთში რევოლუციის საქმე ისეთ საფრთხეში არ არის, როგორც ჩვენთან, კავკასიაში. ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებული

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 12, გვ. 52.

[2] იქვე, გვ. 102.

[3] იქვე, გვ. 104.

კონტრრევოლუციის კვალდაკვალ აშკარად წამოყო თავი კონტრრევოლუციამ ამიერკავკასიაშიც...

შეუდგეთ საქმეს ამხანაგებო! მე მივმართავ კავკასიის უმსხვილეს საბჭოებს ბაქოში, თბილისში, გროზნოში და სხვაგან. აგრეთვე სამხარეო ცენტრების ნაწილებს მოწოდებით აიღონ თავიანთ ხელში ინიციატივა კავკასიის ყველა საბჭოების ყრილობის დაუყოვნებლივ სწრაფი მოწვევისათვის ცენტრალური ავტორიტეტულ საბჭოთა ხელისუფლების შესაქმნელად.

კავკასია უფსკრულის პირზეა, იხსენით იგი. შექმენით აქ ინტერნაციონალური მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც მჭიდროდ შეკავშირებული რუსეთის საბჭოთა ცენტრებთან და სახალხო კომისართა საბჭოსთან ბოლოს მოუღებს კონტრრევოლუციას კავკასიაში და მხარის მუშათა და გლეხთა მოსახლეობას წაიყვანს ბრწყინვალე მომავლისა და სოციალიზმის სამეფოსაკენ"[1]. — ნათქვამი იყო ამ მოწოდებაში.

კავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი ამზადებდა ძალებს კონტრრევოლუციის ბლოკზე გადამწყვეტი შეტევისათვის. მაგრამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციამ მოახერხა პირველს მიეტანა იერიშები ბოლშევიზმის კერებზე თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. საბჭოთა ხელისუფლების მიუვალ ციტადელად ჯერ ისევ ბაქო რჩებოდა. 9 თებერვალს ბოლშევიკური გაზეთების დარბევისა და გამოცემის აკრძალვის, ალექსანდრეს ბაღში მუშათა მიტინგის დახვრეტის და ხელმძღვანელი კომუნისტებიs დაპატიმრების, ხოლო მარტში ბაქოში მუსავატელთა ამბოხების შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო ამიერკავკასიაში მშვიდობიანი გზით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე ფიქრი. კონტრრევოლუცია ტყვიამფრქვევებით უსწორდებოდა რევოლუციას. საჭირო იყო იარაღისათვის იარაღის დაპირისპირება. ბოლშევიკური ორგანიზაციები ამიერკავკასიაში არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ. ბაქოს საბჭოების ხელისუფლება ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში გზის მანათობელ შუქურად დარჩა.

ამიერკავკასია შევიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური ბრძოლის პერიოდში.

---

[1] Кавказский вестник совета народных комиссаров, 1918 г. 13 февр.

თ ა ვ ი VI

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ძალების ბლოკი ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში ამიერკავკასიის შეძლებული კლასების შიში და ძრწოლა გამოიწვია. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე ღონისძიებებში მათ აღსასრულის მოახლოება იგრძნეს და ძველი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ძალთა მობილიზაცია დაიწყეს.

შეძლებული კლასების ინტერესების დამცველად, ისე როგორც ყოველთვის, ამჟამადაც, ამიერკავკასიაში გამოვიდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები — მუსავატელები, დაშნაკები, ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები და სხვ. ეს პარტიები, როგორც ცნობილია, ყოველთვის ურცხვად ვაჭრობდნენ „ერის ინტერესებით“. ამჟამადაც, კლასობრივი ბატონობის დასაცავად მათ ისევ „ნაციონალური თვითგამორკვევის“ და „სამშობლოსა და დემოკრატიის ხსნის“ ფარისეველური ლოზუნგები მოიმარჯვეს, პრაქტიკაში კი ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი“ ბურჟუაზიული დიქტატურის შენება-განმტკიცებას მიჰყვეს ხელი.

შეძლებული კლასების ბატონობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიებს მხარში ამოუდგნენ მენშევიკები და ესერები. შემთანხმებლებს, როგორც ცნობილია, „ერის მოწყობის“ საკითხებში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებიდან განსხვავებული შეხედულება გააჩნდათ. ისინი ყოველ ფეხისნაბიჯზე ძიძგნიდნენ ერთმანეთს. მაგრამ ახლა, როცა არსებობის საკითხი წყდებოდა და საკითხი ასე ისმებოდა — ბურჟუაზიის დიქტატურა თუ პროლეტარიატის დიქტატურა, შემთანხმებლებისათვის ძირითად ამოცანად იქცა არა ნაციონალისტურ პარტიებთან ბრძოლა, არამედ კონსოლიდაცია ყველა იმ ძალისა, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდგებოდნენ. რადგან საბჭოთა ხელისუფლება მტკიცდებოდა და კერენსკის ავან-

ტურაც კრახით დასრულდა, ხელისუფლების სიტკბოს მიჩვეულმა შემთანხმებლებმა დროულად დაინახეს ჩაექროთ ხანძარი ადგილობრივ და ამიერკავკასია ჩრდილოეთიდან მომავალი ქარიშხლისგან დაეცვათ.

შეძლებულ კლასებს და კონტრრევოლუციურ პარტიებს სწორედ ახლა სჭიროდათ მტკიცე ხელისუფლება, რომელიც ბოლოს მოუღებდა მათი სიტყვებით რომ ვთქვათ „ანარქიას", ანუ რევოლუციას. ხელისუფლება კი ამ დროს ამიერკავკასიაში აღარ არსებობდა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც თავიდანვე მოკლებული იყო ავტორიტეტს და მასებში დასაყრდენი არ გააჩნდა, რუსეთში დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ ფორმალურადაც მოკვდა. აღარ შეიძლებოდა მას ეკისრა რუსეთის იმ მთავრობის წარმომადგენლობა, რომელიც აღარ არსებობდა.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ბლოკს, პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლების სწრაფი დაცემის იმედების გაცრუების შემდეგ, დარჩენოდა ორი გამოსავალი: ან ეცნო საბჭოთა ხელისუფლება, ან მას სავსებით გამიჯნოდა და ამიერკავკასიაში რევოლუციის გამარჯვება არ დაეშვა. პირველი მას არ აწყობდა, რადგან იგი მისი ბატონობის აღსასრულს მოასწავებდა. რჩებოდა მეორე გამოსავალი — რევოლუციური რუსეთიდან გამიჯვნა და ისეთი ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელიც ჩააბშობდა მასების რევოლუციურ სულისკვეთებას, დახმარებას გაუწევდა რუსეთის კონტრრევოლუციურ ძალებს „წესრიგის აღდგენის", ანუ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა რუსეთიდან გამიჯვნისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციის სარისკო ნაბიჯს რომ სდგამდნენ, კონტრრევოლუციის მესვეურებს ცალი თვალი ეჭირათ იმპერიალისტური ანტანტისაკენ, რომელიც, როგორც ცნობილია, რუსეთის კონტრრევოლუციის სულისჩამდგმელად გამოდიოდა.

იმპერიალისტური ინგლისი ამიერკავკასიას, როგორც ახლო აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს და უმოკლეს გზას ინდოეთისაკენ, დიდი ხანია უთვალთვალებდა. XIX საუკ. მოკიდებული იგი ყველა მოხერხებულ შემთხვევას იყენებდა, რომ ამიერკავკასიიდან რუსეთი გაედევნა და თვით ჩაეგდო ხელში. იგი აქეზებდა თურქეთისა და ირანის მმართველ წრეებს, გზავნიდა აგენტებს, აბანდებდა თავის კაპიტალს ბაქოს ნავთის სარეწებში. და ახლა, როცა ომისაგან დასუსტებულ რუსეთში ძველი წყობილების ნგრევა დაიწყო, ბრიტანელმა იმპერიალისტებმა დაინახეს, რომ

ძველთაძველი გეგმების სისრულეში მოყვანის ყველაზე მოსახერხებელი შემთხვევა დადგა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ინგლისელი იმპერიალისტები აღმოსავლეთის კოლონიების, პირველ რიგში ინდოეთის ბედმა დააფიქრა. ინდოეთის მშრომელები უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალს რუსეთის დიდ სახალხო რევოლუციას. საბჭოთა მთავრობის მოწოდების შედეგად თითქმის ერთდროულად დაიწყო ახლო და შუა აღმოსავლეთის მუსლიმანური მოსახლეობის გამოღვიძება. ამიერკავკასიასა და შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, როცა ინდოეთში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა აზვირთებას იწყებდა, დაასამარებდა არა მარტო ბრიტანულ გეგმებს ახლო აღმოსავლეთში, არამედ ბოლოს მოუღებდა ინდოეთში ინგლისის ბატონობასაც. ამ საშიშროების თავიდან აცილებას ინგლისელი იმპერიალისტები საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციით ვარაუდობდნენ.

ინგლისური პრესა ამ პერიოდში განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდა კავკასიაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებაში. გაცხოველებით მუშაობდნენ თბილისში ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის საკონსულოები და მისიები. ისინი განუწყვეტლივ ეთათბირებოდნენ სამხედრო ოლქის სარდლობას, კონტრრევოლუციური ბლოკის მესვეურებს, აღუთქვამდნენ მათ ფინანსურ დახმარებას და ამზადებდნენ ნიადაგს ამიერკავკასიის რუსეთიდან გამოჭრისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადაქცევისათვის. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერ ხელისუფალთა დახმარებით ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ მოსახლეობაში საბჭოური იდეების ჩახშობა მათ არა მარტო ახლად დაპყრობილ მესოპოტამიასა და არაბეთში ბრიტანული რეჟიმის განმტკიცების, არამედ, საერთოდ, ინგლისის კოლონიური იმპერიის შემდგომი გაფართოების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ[1].

კავკასიას უკანასკნელი ადგილი როდი ეკავა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მმართველი წრეების გეგმებში. ეს სახელმწიფოები, ისე როგორც ინგლისი, ვარაუდობდნენ რა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებას, ამზადებდნენ ნიადაგს თურქეთთან ფარული გარიგებისათვის, შურით შეყურებდნენ ბაქოს

[1] Академик И. И. Минц. Разгром первого заговора американских, англо-французских и других империалистов против Советской власти. Ученые записки московского городского пединститута, том XXVI. 1952 г., Москва, გვ. 24—25.

ნავთობის საბადოებს, კავკასიის მრავალფეროვან ბუნებრივ სიმდიდრეებს და მოკავშირე ინგლისისგან ფარულად, ახლო აღმოსავლეთში საკუთარი გავლენის გაფართოებისათვის ყველა მოხერხებულ შემთხვევას იყენებდნენ. ინტერესთა სხვადასხვაობის მიუხედავად, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პირველი რიგის საერთო ამოცანას საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია შეადგენდა. ხოლო ამ ამოცანის შესრულებაში ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ბლოკს უბანისა და ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციასთან კავშირში დიდი როლი უნდა ეთამაშა. ამიტომ დასავლეთის იმპერიალისტები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ამიერკავკასიისა და დონ-ყუბანის კონტრრევოლუციურ ძალთა გაერთიანებისათვის. ეწეოდნენ სამხრეთ რუსეთის ფედერატიული სახელმწიფოს შექმნის პროპაგანდას.

ამრიგად, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკისა და ანტანტის იმპერიალისტთა გეგმები ერთ ძირითად მიზანს ემსახურებოდნენ, ერთ ფოკუსში იყრიდნენ თავს — ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია. გასაგებია, თუ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის დიპლომატიური მისიები რატომ უშუალოდ მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი“ მთავრობის ორგანიზაციაში და არა მარტო მონაწილეობდნენ, არამედ აქეზებდნენ ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად, პირდებოდნენ რა კონტრრევოლუციის ადგილობრივ მესვეურებს რეალურ დახმარებას.

ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი“ ხელისუფლების შექმნის წინა დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების კონსული თბილისში სმიტი უდაპეშებდა სახელმწიფო მდივან ლანსინგს: „შაბაფს მე დავესწრები სხდომას, სადაც ჩამოყალიბდება ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც გაერთიანდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ფედერაციაში და უარს იტყვის დაზავებასა და სეპარატიულ ზავზე. აუცილებელია გაუწიოთ მათ ფინანსური დახმარება... ამ დახმარებას ითხოვენ როგორც დროებითი მთავრობის წარმომადგენლები, ისე არმიის სარდალი“[1].

მართლაც, 11 ნოემბერს, თბილისში შედგა კონტრრევოლუციური ბლოკის მესვეურების თათბირი. მასში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ქალაქის სათათბიროს გამგეობა, კავკასიის არმიის სარდლობა, სამხარეო საბჭოები, ოზაკომის შემადგენლობა და ანტანტის სახელმწიფოთა მისიები

[1] Papers relating to the Foreign relations of the Jnitedn States. 1918. Rossia, Waschington, 1932, T. II. стр. 582. (შემდეგში F. R.)

თბილისში. თათბირზე იდგა ამიერკავკასიის მთავრობის შექმნის საკითხი.

კონტრრევოლუციურმა ბლოკმა განგებ, შემდგომი პროვოკაციებისათვის რომ გზა გაეწალდა, თათბირზე ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლებიც მოიწვია. ბოლშევიკებმა შესანიშნავად იცოდნენ ამ თათბირის მიზან-დასახულება, ისიც, რომ თათბირზე მათ, როგორც უმნიშვნელო უმცირესობას, ანგარიშს არ გაუწევდნენ. მაგრამ თათბირის ტრიბუნიდანაც ხომ საჭირო იყო მართალი სიტყვის თქმა, შეთქმულების მხილება და საჯაროდ აღიარება იმ დამოკიდებულებისა, რომელიც ბოლშევიკების სამხარეო ცენტრს ასეთი მთავრობისადმი ექნებოდა.

ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლებმა—ფილიპე მახარაძემ, მიხა ცხაკაიამ თათბირზე ამხილეს კონტრრევოლუციონერთა ბლოკის გეგმები, რევოლუციური რუსეთიდან ამიერკავკასიის ჩამოცილების და „დამოუკიდებელი მთავრობის“ შექმნა აღიარეს როგორც გაუგონარი ღალატი ამიერკავკასიის მშრომელი მასებისადმი და განაცხადეს, რომ ამიერკავკასიის მშრომელი მასები ამიერიდან მეტი ენერგიით იბრძოლებენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის[1]. დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ ბოლშევიკებმა თათბირი დასტოვეს[2].

კონტრრევოლუციური თათბირის მონაწილენი, მალავდნენ რა თავიანთ ზრახვებს, ხმა-შეწყობილად მიუთითებდნენ ახალი მთავრობის შექმნის „მიზეზებზე“: — რუსეთში ანარქიაა. ხელისუფლება აღარ არსებობს. ამიერკავკასია მოწყდა რუსეთს. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის დემოკრატიას დარჩენია ერთი გამოსავალი. იგი ან უნდა დაიღუპოს, ან შექმნას საკუთარი ხელისუფლების ორგანო მანამ, ვიდრე რუსეთში წესრიგი არ იქნება აღდგენილიო—აცხადებდნენ ისინი.

დამახასიათებელია, რომ ახლად შედგენილი მთავრობის პირველ ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც 15 ნოემბრის გაზეთებში გამოქვეყნდა, კვლავ წინა პლანზე წამოწეული იყო ფარისევლური თავისმართლება იმ უკანონო ნაბიჯისათვის, რაც 11 ნოემბერს იქნა გადადგმული. ამიერკავკასიის კომისარიატი იუწყებოდა, რომ „...არაჩვეულებრივ გარემოებათა გამო, რაც გამოწვეულია პოლიტიკური მომენტით და ცენტრალური, ყველასათვის აღიარე-

---

[1] „Кавказский рабочий“ № 200. 15 ნოემბერი, 1917 წ.

[2] Я. Шафир, Гражданская война в России и меньшевистская Грузия. М., 1921 г., Предисловие М. Цхакая, გვ. 6.

ბული ხელისუფლების უქონლობით" ...ამიერკავკასიის დემოკრატია იძულებული გახდა ხელში აეღო მმართველობის საქე და შექმნა თავისი მთავრობა, რომელიც ამიერიდან ამიერკავკასიის ფარგლებში უმაღლესი ხელისუფლებაა და მას ემორჩილებიან ყველა ორგანოებიო[1].

ამიერკავკასიის კომისარიატის 15 ნოემბრის სხდომაზე ოზაკომმა ჩააბარა თავისი რწმუნებანი. გაფორმდა ახალი მთავრობა, სადაც თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა მენშევიკმა ე. გეგეჭკორმა. მთავრობის სხვა წევრებმა — ა. ჩხენკელმა (მენშევიკი), დონსკოიმ (ესერი), კარჩიკიანმა (დაშნაკი), ხან-ხოისკიმ (მუსავატი), ალექსეევ-მესხიევმა (ფედერალისტი), ხას-მამედოვმა (მუსავატი), ნერუჩევმა (ესერი), ტერ-გაზარიანმა (დაშნაკი) და სხვ. მიიღეს მინისტრთა თანამდებობაზე დანიშვნა[2]. დადგინდა ახალ მთავრობას მოწოდებით მიემართა ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი.

მოწოდება, ცხადია, სდუმდა კონტრრევოლუციური კომისარიატის ნამდვილი მიზნების შესახებ და რუსეთთან საუკუნეობრივი მეგობრობით შედუღაბებული ამიერკავკასიის მშრომელთა რისხვა რომ თავიდან აეცდინა, აღნიშნავდა: მთავრობის შექმნა ამიერკავკასიაში მხოლოდ დროებითი ღონისძიებაა დამფუძნებელ კრებამდე, ამიერკავკასია განუყოფელია რუსეთისაგან და იგი კვლავ მასთან იქნება, როცა იქ წესრიგი (ე. ი. ბურჟუაზიის ბატონობა — ა. ს.) იქნება აღდგენილიო. სამაგიეროდ კომისარიატი უხვად იძლეოდა დაპირებებს: მუშებს იგი აღუთქვამდა შრომის პირობების გაუმჯობესებას, გლეხებს — სამიწათმოქმედო ურთიერთობის მოგვარებას[3].

კომისარიატის შემდგომმა საქმიანობამ ფარდა ახადა მისი მესვეურების ნამდვილ მიზანდასახულებას. კომისარიატის 20 ნოემბრის სხდომაზე ქუთაისის გუბერნიის კომისარმა შეიტანა წინადადება აღეჭურვათ იგი საგანგებო უფლებებით გუბერნიაში „წესრიგის" აღდგენის საქმეში. კომისარიატმა ეს წინადადება მოიწონა და საჭიროდ ჩასთვალა ასეთი საგანგებო უფლებანი ამიერკავკასიის პირველი თანრიგის ყველა ქალაქზე გაევრცელებინა. ეს უკვე მოასწავებდა ამიერკავკასიაში საგანგებო წესების შემოღებას[4]. პროლეტარიატის რევოლუციური აქტიობით დაშინებული კომისარიატი

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41 საქ. 116, გვ. 12.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 20—21.
[4] იქვე, გვ. 82.

უკვე იწყებდა ხალხთა მოძრაობის ჩახშობისათვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას.

კომისარიატს თავისი გეგმების განხორციელებაში ესაჭიროებოდა შეიარაღებული ძალა. კავკასიის რეგულარულ არმიას იგი ვეღარ დაეყრდნობოდა, რადგან არმია ბოლშევიკურად იყო განწყობილი და კონტრრევოლუციურ კომისარიატს, როგორც ხელისუფლებას არ სცნობდა. 17 ნოემბრის სხდომაზე[1] კომისარიატის შემადგენლობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათ შეუძლიათ დაეყრდნონ მხოლოდ ეროვნულ ნაწილებს, რომელთა ფორმირება ეროვნული საბჭოების თაოსნობით იყო დაწყებული.

კომისარიატმა ყველა საშუალება გამოიყენა ეროვნული პოლკების დაკომპლექტებისა და შეიარაღებისათვის, მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, რომ ეს პოლკები კომისარიატს დასაყრდენად ვერ გამოადგებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პოლკების ერთ ნაწილს ბოლშევიკური განწყობილება მოედო და დასაშლელი გახდა, მეორეც — დაშლას გადარჩენილი ეროვნული პოლკების ფაქტიურ ბატონ-პატრონად ეროვნული საბჭოები იქცნენ, რომლებიც სრულებითაც არ უწევდნენ ანგარიშს კომისარიატს და სწორედ ამ პოლკების საშუალებით ფარულად ამზადებდნენ ამიერკავკასიის კოალიციური ხელისუფლების აფეთქებასა და სომხური, ქართული, აზერბაიჯანული „დამოუკიდებელი“ ბურჟუაზიული რესპუბლიკების ფორმირებას.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ჩამოყალიბების დღიდანვე მჭიდრო კავშირი დაამყარა ჩრდილოეთ კავკასიისა და დონ-ყუბანის კონტრრევოლუციურ ბანდებთან. კომისარიატის ერთ-ერთ სხდომაზე გეგეჭკორი აცხადებდა, რომ „ამიერკავკასიის მიზნები სავსებით ემთხვევა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის მიზნებსო“[2]. საერთო მიზანი, ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის ბრძოლა იყო. თეთრგვარდიელი ბანდებისათვის დახმარებას იარაღით კომისარიატი მალულად ახორციელებდა და ამიერკავკასიის მშრომელთა რისხვის შიშის გამო ერიდებოდა სამხრეთის კონტრრევოლუციასთან ოფიციალური კავშირის გაფორმებას[3]. 6 იანვარს სხდომაზე კომისარიატმა მიიღო დადგენილება კალედინ-კარაულოვისათვის იარაღის ახალი პარტია გაეგზავნა[4] და ამიერკავკასიის

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ 41 ს. 116, გვ. 20—21, 16—17.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 41 ს. 116, გვ. 59.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 41 ს. 12, გვ. 12.

[4] იქვე.

სარდლობას დააევალა ეს დადგენილება სისრულეში მოეყვანა. კომისარიატის ეს გადაწყვეტილება, თავის მხრივ, მოიწონეს და დაადასტურეს მენშევიკურ-ესერულმა სამხარეო საბჭოებმა. ამიერკავკასიის ეს კონტრრევოლუციური ხელისუფალნი ჩრდილოეთ კავკასიისა და ყუბანის თეთრგვარდიელ ბანდებს რომ დახმარებას უწევდნენ, თავიანთ საქციელს ამართლებდნენ იმით, რომ თითქოს ამიერკავკასიას სამაგიეროდ პური ეგზავნებოდა და თუ ასეთი დახმარება არ იქნებოდა, მოსახლეობა შიმშილით ამოწყდებოდა. ეს იყო უბადრუკი თავისმართლება. პირიქით, პურის საკითხის მოგვარება ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე უკეთ კარაულოვისა და კალედინის ბანდების თარეშის აღკვეთის შემთხვევაში შეიძლებოდა. ამ ბანდებისათვის დახმარება კი ანარქიას უფრო აღრმავებდა და ამიერკავკასიაში პურის შემოტანას შეუძლებელს ხდიდა[1]. მაგრამ გეგეჭკორი და კომპ. როცა თეთრგვარდიელ გენერლებს ასე გულუხვად სთავაზობდნენ დახმარებას, სწუხდნენ არა იმდენად პურზე, რამდენადაც მოკავშირეზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ყველაზე უფრო აინტერესებდათ ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის გამარჯვებით აღემართათ ჯებირი, რომელიც რუსეთიდან დაქროლილ რევოლუციურ ქარიშხალს შეაკავებდა.

მიწათმფლობელებსა და გლეხებს შორის დაუსრულებელი კონფლიქტის ვითარებაში კომისარიატი იძულებული შეიქნა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია აგრარული საკითხისათვის. კომისარიატის თითქმის ყველა სხდომაზე იხილებოდა საკითხი მიწის დეკრეტის გამოცემის შესახებ. პროექტს ამუშავებდა სპეციალური აგრარული კომისია. მაგრამ კომისარიატში აგრარული საკითხის გადაწყვეტას სხვადასხვაგვარად უყურებდნენ: მენშევიკ და ესერ წარმომადგენლებს საჭიროდ მიაჩნდათ მცირედი დათმობა — მემამულეთათვის მიწების ნაწილის ჩამორთმევა და გლეხებისათვის გადაცემა. ეს გლეხებს შეუნარჩუნებდა მათ. სხვაგვარად ფიქრობდნენ მსხვილ მემამულეთა ინტერესების თავგამოდებული დამცველები. მუსლიმანური კომიტეტის წარმომადგენელმა თობჩიბაშევმა კომისარიატის 27 ნოემბრის სხდომაზე მიწის საკითხზე ყოველგვარი დეკრეტის წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ საქმეს უშველის არა დეკრეტები, არამედ ამიერკავკასიაში „წესრიგის აღდგენა"[2], რაც მისებურად აგრარული მოძრაობის ხიშტებით ჩახშობას მოასწავებდა. ხან-ხოისკი მთელი შესაძლებლობით იცავდა

[1] С. Шаумян. Статьи и речи, გვ. 105.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 116, გვ. 45.

აზერბაიჯანის მსხვილი ბეგების უფლებებს მამულებზე და ცოფს ყრიდა დეკრეტის გამო, მაგრამ გლეხთა აგრარული მოძრაობის გაღრმავებამ მემამულეთა ინტერესების დამცველებს ტონი შეაცვლევინა. ამასთანავე, აგრარულმა კომისიამ შეიმუშავა და კომისარიატს წარუდგინა დეკრეტის ისეთი პროექტი, რომელზედაც ხელის-მოწერა დიდად არც ხან-ხოისკის და თოპჩიბაშევს გასჭირვებიათ.

16 დეკემბერს კომისარიატის ხელმოწერით გამოქვეყნდა დებულება „სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო იურიდიული პირებისა და კერძომფლობელური მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ“[1]. დებულებით „ნორმაზე ზევით“ მლფობელთა მიწები სამხარეო საადგილმამულო ფონდს უნდა გადასცემოდა, რომელიც მას საგუბერნიო და საოლქო სამიწათმოქმედო კომიტეტებს გაუნაწილებდა. დებულება ატარებდა დეკლარაციულ ხასიათს. მას მხოლოდ პროპაგანდისტული მიზანი ჰქონდა და გლეხობისათვის თვალისასახვევად იყო ნავარაუდევი. დეკრეტს შემდეგ მოჰყვა კანონი, რომელიც მიწათმფლობელის სარგებლობაში დანატოვებ ნორმებს საზღვრავდა. ეს ნორმები ფრიად მაღალი იყო (40-50 დესეტინა). გარდა ამისა, საგუბერნიო სამიწათმოქმედო კომიტეტებს და ერობებს უფლება ეძლეოდათ ნორმები შეეცვალათ თავიანთი შეხედულებით; ეწარმოებინათ როგორც ჩამორთმევა, ისე მისი გლეხებზე განაწილება[2] (ერობები კი იმ დროს ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებულიც არ ყოფილა).

კომისარიატი მხოლოდ „დეკრეტის“ გამოცემით დაკმაყოფილდა. მას არ გააჩნდა დეკრეტის ცხოვრებაში გატარების ძალა და ავტორიტეტი. მალე ამ კანონის არსებობაც დაავიწყდათ. მემამულეები ძველებურადვე ფლობდნენ მამულებს, ამუშავებდნენ გლეხებს, მოითხოვდნენ ღალასა და ბეგარას, საიჯარო გადასახადს. განხორციელდა დებულების მხოლოდ ის ნაწილი, რაც ხიზნური ურთიერთობის გაუქმებას და გამოსასყიდი გადასახადის შემდგომი შეტანისაგან ყოფილ დროებითვალდებულ გლეხთა განთავისუფლებას შეეხებოდა. მაგრამ ეს ვალდებულებანი თებერვლის რევოლუციის შემდეგ თვით ცხოვრებისაგან იყო წალეკილი და კომისარიატის დამსახურებას ამ მხრივ მომხდარი ფაქტის მხოლოდ ფიქსაცია შეადგენდა.

კომისარიატს თითიც არ გაუნძრევია ამიერკავკასიის პროლეტარიატის ინტერესების სასარგებლოდ. ნავთის მრეწველები ბაქოში

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. Ე, საქ. 41, გვ. 173.

[2] იქვე, გვ. 222—223.

ისევ ჯიუტობდნენ და კოლექტიური ხელშეკრულების მუხლების შესრულებაზე უარს ამბობდნენ. ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები თვითნებურად იქცეოდნენ მუშებისათვის შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეში. მუშათა რეალური ხელფასი ბაზარზე საქონლის სიძვირის ყოველდღიური ზრდის გამო თანდათან ეცემოდა. ძალაში რჩებოდა ექსპლოატაციის კაპიტალისტური ფორმები. კომისარიატის მთელი „მოღვაწეობა“ მუშათა კლასის ინტერესების დაცვის საქმეში შემოიფარგლა მხოლოდ დეკრეტის გამოცემით 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესების შესახებ[1], მაგრამ ეს დეკრეტიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ პროლეტარიატის დაწოლის შედეგად საბჭოების მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიების ფორმალურ დადასტურებას წარმოადგენდა. თუმცა მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში არც საბჭოს ადრინდელი ღონისძიებანი, არც კომისარიატის დეკრეტი პრაქტიკულად არ განხორციელებულა და მუშები ისევ 10-12 საათს მუშაობდნენ. კომისარიატს არ უცდია კაპიტალისტური თვითნებობის ალაგმვა წარმოებასა და განაწილებაზე მუშათა კონტროლის შემოღებით. პირიქით, იგი მტრულად იყო განწყობილი იმ ღონისძიებათადმი, რასაც ადგილებზე ბოლშევიკური მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ატარებდნენ. მაგალითად, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე ბაქოს ნავთის მრეწველები უარს ამბობდნენ და მას კომისარიატში ასაჩივრებდნენ, რადგან ამ ორგანოში ჰპოვებდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების დაცვას. მრეწველების ინტერესებს კომისარიატთან ერთად თავგამოდებით იცავდა მუშათა დეპუტატების შემთანხმებლური სამხარეო საბჭო. კომისარიატისა და სამხარეო საბჭოს სხდომებზე მიმდინარეობდა მხოლოდ გაჭიანურებული მსჯელობანი „მომრიგებელი კამერების“ ორგანიზაციისა და უფლებების შესახებ. ამ კამერებს კი, როგორც ვიცით, არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნდათ და თუ საერთოდ ერეოდნენ მუშათა ყოფაცხოვრების საკითხებში, ისიც ისევ მრეწველთა სასარგებლოდ.

„დამოუკიდებელი“ ამიერკავკასიის მთავრობა არ გამოეხმაურა საბჭოთა მთავრობის მიერ ბრესტში დაწყებულ მოლაპარაკებას გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. იგი არ სცნობდა რა საბჭოთა ხელისუფლებას, მაშასადამე, არ სცნობდა მის მიერ წამოწყებულ არც ერთ ღონისძიებასა და საგარეო საქმეებში ქვეყნის დამოუკიდე-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 116, გვ. 202—221, 43.

ბელი მართვის პრეტენზიას იჩემებდა. ნოემბერში, თურქეთის მესამე არმიის სარდალმა ფერიკ-ვეჰიბ-მეჰმედ-ფაშამ, თურქეთის მთავრობის დავალებით კავკასიის არმიის სარდალ გენერალ ოდიშელიძეს მიმართა წერილით დროებითი დაზავების საკითხებზე მოლაპარაკების შესახებ[1]. ეს საკითხი გაირჩა ამიერკავკასიის კომისარიატის 21 ნოემბრის სხდომაზე. ფრონტის მთავარსარდლის პრევალსკის მოხსენების საფუძველზე კომისარიატმა დაადგინა მიეღო თურქეთის არმიის სარდლის მიერ შემოთავაზებული წინადადება. საგარეო საკითხებში თავისი სეპარატული მოქმედება კომისარიატის დადგენილებაში გამართლებული იყო საბჭოთა რუსეთისადმი ჩვეულებრივი ცილისწამებით — თითქოს რუსეთში არ არსებობს ერთიანი და ყველას მიერ აღიარებული მთავრობა, სამოქალაქო ომის მიერ დანგრეულია მთავარსარდლობის უმაღლესი ბანაკი, ხოლო საერთო პოლიტიკური ვითარება ვერ ითმენს საკითხის გადიდებასო[2].

კომისარიატმა თავისი დადგენილება, რა თქმა უნდა, ამცნო თბილისში მყოფ დასავლეთის სახელმწიფოთა კონსულებს, რომლებთანაც კონტაქტში იგი მუშაობდა საერთოდ და გაგზავნა კომისია ერზინჯანში თურქეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად.

ამიერკავკასიის კომისარიატი თურქეთთან დაზავებას ახლა განსაკუთრებით ჩქარობდა. თავისი კონტრრევოლუციური პოლიტიკით მან გადაიმტერა კავკასიის მოქმედი არმია, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება და ომის დაუყოვნებლივი დამთავრება სწყუროდა. არმია არ სცნობდა ამიერკავკასიის უზურპატორულ მთავრობას, დაჟინებით მოითხოვდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად გამგზავრებას. ფრონტი ირღვეოდა, მთავრობას მისი შეკავება არ შეეძლო. გენერალი ოდიშელიძე ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის მეთაურ ვიშინსკის ერზინჯანში 4 დეკემბერს უდეპეშებდა: „მდგომარეობა იმდენად კატასტროფიულია, რომ ძვირფასია ყოველი საათი. განუმარტეთ კომისიას, რომ საჭიროა ზედმეტი ლაპარაკისა და ზედმეტი ცერემონიების გარეშე სასწრაფოდ მოხდეს დაზავება, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთის რწმუნებულებს

---

[1] ცენტრარქივი, 1917 წლის რევოლუცია, გვ. 208–209.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 116, გვ. 30.

შეუძლიათ მოწმენი გახდნენ პირველი კორპუსის კატასტროფიული რღვევისა"[1].

კომისიამ იჩქარა. 5 დეკემბერს ხელმოწერილ იქნა თურქეთისა და კავკასიის არმიებს შორის დროებითი დაზავების ხელშეკრულება. შეწყდა საომარი მოქმედება თურქეთ-კავკასიის მთელ ფრონტზე, შემუშავებულ იქნა სადემარკაციო ხაზი[2].

საომარი მოქმედება შეწყდა, მაგრამ კომისარიატის პოლიტიკა სრულებითაც ვერ უზრუნველყოფდა ხანგრძლივ სიმშვიდეს. კომისარიატი ითავისუფლებდა რა თავისთავს ბრესტის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობისა და ზავის ვალდებულებებისაგან, ამით ცხადია, უფლებას ანიჭებდა თურქეთსაც ამიერკავკასიისადმი დამოკიდებულებაში დამოუკიდებელი ყოფილიყო. თურქეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისას ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ „ამიერკავკასიის მთავრობა ბრესტის ხელშეკრულებას არ სცნობს, ჩვენ რომ ბრესტის ხელშეკრულება გვეცნო, მაშინ საჭიროც აღარ იქნებოდა დაგვედო ხელშეკრულება ერზინჯანში დაზავების შესახებო"[3].

ასეთ განცხადებას კომისარიატის სახელით დელეგაცია აკეთებდა სწორედ იმ მომენტში, როცა კავკასიის არმია დაიძრა ფრონტიდან საბჭოთა რუსეთში გასამგზავრებლად. თურქეთის ხელისუფალნი არ გამოპარვიათ ეს მოვლენა. დაზავების შემდეგ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ თურქეთის სარდლობამ უკვე დაიწყო ჩივილი იმ შევიწროებაზე, რომელსაც თითქოს მუსლიმანურ მოსახლეობას რუსი ჯარები აყენებდნენ. მანვე მოიმიზეზა ისიც, რომ თითქოს რუსეთის არმიის ნაწილები სადემარკაციო ხაზს არღვევენ და სხვ.

თურქეთის არმიის სარდლობის ეს ჩივილი საბაბი იყო თურქეთის მხრივ დაზავების დარღვევისა და საომარი მოქმედების განახლებისათვის. თურქეთის მმართველ წრეებს არ გამოპარვიათ, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის უგუნური პოლიტიკა ჰქმნიდა ხელსაყრელ ვითარებას ამიერკავკასიაზე შეტევისა და მისი ტერიტორიების მიტაცებისათვის.

ამრიგად, ამიერკავკასიის კომისარიატის „დამოუკიდებელი" პოლიტიკა თურქეთის მიმართ ფაქტიურად ამიერკავკასიაში თურქეთის ინტერვენციის ერთ-ერთ წამახალისებელ ფაქტორად იქცა.

---

[1] ცენტრარქივი, 1917 წლის რევოლუცია, გვ. 221.

[2] იქვე, გვ. 222—226.

[3] იქვე, გვ. 226.

• • •

ამიერკავკასიის კომისარიატი უძლური აღმოჩნდა კავკასიის ფრონტის დაშლა შეეკავებინა. საარმიო საბჭოს, კომისარიატის, სარდლობის მოწოდებებს და ღონისძიებებს ფრონტის ნაწილებში ძალა დაეკარგა. კომისარიატის დეკრეტმა ნაციონალური პოლკების ორგანიზაციის შესახებ საქმე კიდევ უფრო არიე-დარია. ჯარისკაცები მიხვდნენ, რომ ეროვნულ სამხედრო ნაწილების ორგანიზაცია ბოლოს და ბოლოს მათ საპირისპიროდ ხდებოდა. ცხადია, არ შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის არმიის მთელი შემადგენლობა ბოლშევიკურად იყო განწყობილი. მთელ რიგ სამხედრო ნაწილებში (განსაკუთრებით კაზაკთა პოლკებში) ჯერ კიდევ მტკიცე იყო „დისციპლინა“, ანუ კონტრრევოლუციური კომისარიატისადმი ნდობა და მისთვის სამსახურის სურვილი. ეს ნაწილები კომისარიატისა და საარმიო საბჭოების განკარგულებებს ემორჩილებოდნენ. ფრონტის დიდი ნაწილი კი, არ სცნობდა რა უზურპატორულ კომისარიატს და საარმიო სამხარეო საბჭოს, ემორჩილებოდა საბჭოს იმ შემადგენლობას, რომელიც არმიის II ყრილობაზე იყო არჩეული და ბაქოში გადავიდა. ადგილებზე მოქმედებდნენ რევოლუციური კომიტეტები (ენზელში, ჯულფაში, შახტატში, სარიყამიშში, ტრაპიზონში). არმიის ბოლშევიკური სამხარეო საბჭო, კარგად იცნობდა რა ჯარისკაცთა განწყობილებას, არ ეწინააღმდეგებოდა მის სურვილს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად რუსეთში გამგზავრების შესახებ. მას კანონიერად მიაჩნდა აგრეთვე ისიც, რომ ჯარისკაცებს თან წაეღოთ იარაღი, რომლითაც მათ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ. მართლაც, ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციური კომისარიატის არსებობის ვითარებაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას არ სცნობდა და იარაღით ამარაგებდა ჩრდილოეთ-კავკასიის თეთრგვარდიულ ბანდებს, აზრი ეკარგებოდა ვეებერთელა არმიის უაზროდ ჯდომას თურქეთის საზღვრისპირა სანგრებში, როცა რუსეთში მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების ყოფნა არყოფნის საკითხი წყდებოდა. ს. შაუმიანი კომისარიატს პირში ახლიდა სიმართლეს, როდესაც წერდა: „კავკასიაში დგას რუსი ჯარისკაცების ნახევარმილიონიანი არმია, რომელიც სამი წლის განმავლობაში ღვრიდა სისხლს კავკასიის საზღვრების დასაცავად. როგორ ფიქრობთ — შეუძლია თუ არა მას მშვიდად დარჩეს ფრონტზე, როცა თქვენ ეწევით რუსეთის რევოლუციის გამცემლობას, როცა თქვენ კალედინს ლენინს არჩევთ. რუს ჯარისკაცს არაფერი ექნება საწინააღმდეგო საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ავტონო-

მიისა, მაგრამ იგი უფლებამოსილია მკაცრი პროტესტი გამოთქვას თქვენი მთავრობის წინააღმდეგ რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხში. რუს ჯარისკაცს შეუძლია თავისთავს დაუსვას კითხვა: რატომ უნდა დავიცვა ფრონტი თურქებისაგან, თუ მე კავკასიაში ვარ „მოსული“ ელემენტი, რომლის ინტერესებს ადგილობრივ ანგარიშს. არ უწევენ. ყველა ფრონტელ ჯარისკაცს შეუძლია იფიქროს, რომ რევოლუციური მოვალეობა მას უკარნახებს დაუყოვნებლივ გაემგზავროს ჩრდილო კავკასიაში კალედინისა და კარაულოვის წინააღმდეგ საომრად რუსეთის რევოლუციის დასაცავად „მიწისა და თავისუფლების“ სახელით“[1].

ცხადია, რუსეთის ამ ნახევარმილიონიანი არმიის აყრის და ფრონტის გაშიშვლების გამომწვევი იყო კონტრრევოლუციონერების პოლიტიკა, უშუალო დამნაშავე იყო ამიერკავკასიის კომისარიატი.

დაიწყო თუ არა რუსეთში გამგზავრებისათვის ფრონტის ნაწილების სამზადისი, კომისარიატმა ოლქის სარდლობას დააკისრა ეზრუნა, რომ არმიას იარაღი, საჭურველი და მთელი ქონება ამიერკავკასიაში დაეტოვებინა. ამავე დროს კაზაკთა ნაწილებს იგი იარაღით გზავნიდა დონ-ყუბანის კონტრრევოლუციური მთავრობის განკარგულებაში[2]. კომისარიატმა და თბილისში მოკალათებულმა „საარმიო სამხარეო საბჭომ“ ჩაფუშეს რევოლუციური კომიტეტების შიერ დადგენილი წესები ეშელონების გამგზავრების შესახებ. ასეთ ვითარებაში საქმე უფრო აიწეწა, ბევრი ნაწილი რიგ გარეშე და ერთდროულად დაიძრა, გადაიტვირთა მატარებლები, გზები, მრავალ ადგილზე ნაციონალურ ნაწილებსა და ეშელონებს შორის შეტაკებასაც ჰქონდა ადგილი. კავკასია საშინელი საფრთხის წინაშე დადგა.

კომისარიატს და შემთანხმებლურ სამხარეო საბჭოებს ახლა ორი ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. პირველი ის, რომ ფრონტიდან დაძრული რევოლუციური ნაწილები თბილისისათვის აეცილებინათ, რადგან თბილისში მათი ჩამოსვლა კონტრრევოლუციური ორგანოების არსებობას რეალურ საფრთხეს უქადდა. მეორე — გაენირაღებინათ ეშელონები თბილისიდან შორს, რადგან იგი ადგილზე არ მოხერხდა.

თბილისში სწორედ ამ დროისათვის ფეხზე დააყენეს გვარდია, ქუჩებში გამოჩნდა ზარბაზნები. მიღებულ იქნა ზომები თბილისზე შორეული შემოვლით ნაწილებისათვის ახალი გზის გასაყვანად. გა-

---

[1] „Кавказский рабочий“ № 223, 1917 წ.

[2] ცენტრარქივი, 1917 წლ. რევოლუცია, გვ. 229.

ძლიერდა რეპრესიები, ბოლშევიკური ორგანიზაციების რბევა-დაპატიმრება. თბილისი „გადარჩა". ახლა მორიგი ამოცანა — ეშელონების განიარაღება — უნდა გადაწყვეტილიყო.

რუსეთის ნახევარმილიონიანი არმიის განიარაღების გეგმის სულისჩამდგმელთა როლში გამოვიდნენ ინგლისისა და ამერიკის მისიები ამიერკავკასიაში, რომლებმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ანტანტისა და ამერიკის მისიები კომისარიატის შექმნის დღიდანვე მის მესვეურთა მრჩევლებად იქცნენ. ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთის კონტრრევოლუციის ძალთა გაერთიანებისათვის ყველა ზომას მიმართავდნენ. ამ საკითხზე სმიტმა ამიერკავკასიის და დონ-ყუბანის კონტრრევოლუციურ მთავრობათა წარმომადგენლებთან სპეციალური თათბირი ჩაატარა და ურჩია მათ გაერთიანება, შეპირდა დიდ ფინანსურ დახმარებას და დეფაქტოდ ცნობას. სმიტი ამ მოლაპარაკების შემდეგ ლანსინგს აუწყებდა: „ვემხრობი რა ამიერკავკასიის გაერთიანებას სამხრეთ-აღმოსავლეთის ფედერაციასთან და დონის კაზაკებთან, დაჟინებით გირჩევთ, მომცეთ რწმუნება ვიცნო ეს მთავრობა დეფაქტოდ"[1].

ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენდნენ ინგლისის მისიის წევრები, რომლებიც ე. გეგეჭკორს რჩევა-დარიგებას აძლევდნენ საშინაო და საგარეო საკითხების გადაწყვეტაში, ამავე დროს ფინანსურ და სამხედრო დახმარებას პირდებოდნენ.

ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციური მთავრობის შექმნამ ინგლისის მმართველ წრეებს იმედი ჩაუსახა ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთზე შეტევის ერთ-ერთ საიმედო ციტადელად გადაექციათ. ინგლისიდან მისიების ახალი ტალღა დაიძრა, რომლებიც თბილისსა და ნოვოჩერკასკში მოკალათდნენ[2]. მათ ევალებოდათ ადგილობრივ მთავრობათა დასახმარებლად შეექმნათ არმია. 1917 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, როგორც ვილსონის მრჩეველი პოლკოვნიკი ჰაუზი იტყობინებოდა, შედგა საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის პრემიერ მინისტრთა თათბირი, სადაც სპეციალურად იხილებოდა ამიერკავკასიის საკითხი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება

---

[1] F. R. т. II, გვ. 583.

[2] Академик М и н ц. Разгром первого заговора американских, англо-французских и других империалистов против Советской власти. Уч. записки, გვ. 26.

გაეგზავნათ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიები თბილისში სამოქმედო პროგრამის დასახვისათვის.

ინგლისელ იმპერიალისტებს როდი აწყობდათ ამიერკავკასიის შინაგან საქმეებში ამერიკელებისა და ფრანგების ხელისფათური. ეს მხარე მათ ესახებოდათ როგორც დიდი კოლონიური სამფლობელოს ახალი მნიშვნელოვანი შენაძენი. ინგლისის მისიების ჩუმი, დამოუკიდებელი მოქმედებით უკმაყოფილონი იყვნენ საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მისიები. სამხედრო შეკვეთებისა და ფინანსების სამოკავშირეო კომიტეტში ამერიკის წარმომადგენელი ა. კროსბი ლანსინგის წინაშე ჩიოდა, რომ ინგლისის წარმომადგენლები მოქმედებენ დამოუკიდებლად, თავიანთ გეგმებს არა თუ არ ათანხმებენ ამერიკელებთან, არამედ არც კი თვლიან საჭიროდ რაიმე გვაცნობონო. ინგლისელთა ასეთი ქცევით განაწყენებული კროსბი წერდა: „ცხადია, რომ ინგლისელთა ღონისძიებანი სპარსეთში და სომხეთში ნაკარნახევია სპეციალური ინგლისური ინტერესებით, რომელთაც მსოფლიო ომთან არავითარი კავშირი არ აქვთო“[1].

ინგლისელი მმართველი წრეები, რომლებიც სხვისი ხელით ნარის გლეჯაში იყვნენ დახელოვნებულნი, აქეზებდნენ ადგილობრივ კონტრრევოლუციას, ამასთანავე დაპირებებში მეტად გულუხვი იყვნენ. ისინი, როგორც აკად. მინცი შენიშნავს: „ყველა კონტრრევოლუციურ მთავრობას პირდებოდნენ ფულს, რომელიც ნაღდად არ გააჩნდათ და არც კი სჯეროდათ, რომ ოდესმე ექნებოდათ. ისინი აბნევდნენ რწმენას მარჯვნივ და მარცხნივ ჯარების სასწრაფო ლაშქრობის შესახებ, წინასწარ იცოდნენ რა, რომ არავითარი დამხმარე ძალა გამოგზავნილი არ იქნებოდა. ინგლისის იმპერიალისტები თამაშობდნენ ხალხთა ბედით, თავიანთი ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ბედით, რომლებიც შემდეგ, როგორც ეს ბაქოში მოხდა, განწირულნი იყვნენ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების მიერ განადგურებისათვის“[2].

1917 წლის დეკემბრის მიწურულში ინგლისის მმართველმა წრეებმა მიაღწიეს მოკავშირეთა შორის თავისი უპირატესობის ოფიციალურ აღიარებას ამიერკავკასიაში. უ. ჩერჩილი იგონებს: „...1917 წლის 23 დეკემბერს ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებულ იქნა კონვენცია, რომელიც შეიმუშავეს კლემანსომ, პიშონმა და ფოშმა ერთის მხრივ, და ლორდმა მილნერმა, ლორდმა

[1] F. R. т. II, გვ. 598.

[2] Академик Н. Н. Минц, მითითებული სტატია.

რობერტ სესილმა და ინგლისის სამხედრო წრეების წარმომადგენლებმა, მეორეს მხრივ. ეს კონვენცია მიზნად ისახავდა დაედგინა ორივე სახელმწიფოს შემდგომი პოლიტიკა რუსეთის სამხრეთში. კონვენცია ითვალისწინებდა დახმარებას გენერალ ალექსეევისადმი, რომელიც მაშინ ნოვოჩერკასკში იმყოფებოდა, და ამ ორი სახელმწიფოს მოქმედების სფეროს გაყოფას იმ საზღვრებამდე, სანამ ისინი გაწვდებოდნენ. ფრანგებს უფლება ეძლეოდა განევითარებინათ თავისი მოქმედება იმ ტერიტორიაზე, რომელიც შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარეობდა, წარემართათ იგი „მტრების წინააღმდეგ", ე. ი. გერმანელებისა და მტრული რუსი ჯარების წინააღმდეგ. ინგლისელებს — შავი ზღვიდან აღმოსავლეთით თურქეთის წინააღმდეგ. ამრიგად, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების მესამე სტატიაში, ფრანგების ზონაში ექცეოდა ბესარაბია, უკრაინა და ყირიმი, ინგლისისაში — კაზაკების, კავკასიის, სომხეთის, საქართველოს და კურდისტანის ტერიტორიები"[1].

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის მესვეურები აღფრთოვანებული იყვნენ ინგლისის მმართველი წრეების ამიერკავკასიაში პქტიობით. ისინი, ამავე დროს, ინგლისის მისიებს სთხოვდნენ რეალურ დახმარებას, აშინებდნენ მისრებს იმით, რომ, თუ არ დაგვეხმარებით, ამიერკავკასიაში ბოლშევიზმი გაიმარჯვებსო. ინგლისელები კომისარიატს შეპირდნენ დიდი საგარეო სესხის მიცემას. ამ წარმატებით გახარებული გეგეჭკორი იანვრის ერთ-ერთ სხდომაზე კომისარიატს მოახსენებდა, რომ მოლაპარაკებამ ინგლისის მისიებთან გამოიღო დადებითი შედეგები და მალე ჩვენ მსხვილ საგარეო სესხს მივიღებთო[2].

კომისარიატის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი ფულით დახმარების საქმეში ევაჭრებოდა არა მარტო ინგლისის, არამედ აშშ წარმომადგენლებსაც. 30 ნოემბრის თარიღით სმიტი ლანსინგს უდეპეშებდა, რომ ამიერკავკასიის პრემიერ-მინისტრი მოითხოვს 60 მილიონ მანეთ სესხს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება ხელისუფლება ბოლშევიკებს გადასცეს, ეს კი იქნება დიდი უბედურება ჩვენთვის, რადგან ჩვენ უკვე ვდგავართ ამიერკავკასიის სამხრეთ აღმოსავლეთის ფედერაციასთან გაერთიანების წინაშეო[3].

ამიერკავკასიის ხელისუფალთა მოლაპარაკება თურქეთის სარდლობასთან დაზავების შესახებ დასავლეთის სახელმწიფოთა წარ-

---

[1] У. Черчилль, Мировой кризис, Госполитиздат, 1932 г.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 12, გვ. 50.

[3] Академик И. И. Минц. (მითით. სტატია).

მომადგენლებთან წინასწარ იყო შეთანხმებული. მართალია, ასეთი დაზავების გამო მათ პროტესტიც კი განაცხადეს, მაგრამ მას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მოკავშირეთა წარმომადგენლები ახლა საჭიროდ თვლიდნენ კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების შეწყვეტას, რადგან ახლა მოკავშირეთათვის მთავარი მტერი იყო ბოლშევიზმი. მათ საჭიროდ მიაჩნდათ ამიერკავკასიის კომისარიატს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელები გახსნილი ჰქონოდათ[1].

თურქეთთან დაზავების შემდეგ, 11 დეკემბერს, ამერიკის საკონსულოში შედგა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის „მთავრობის“ მეთაური ხარლამოვი, ინგლისელი გენერალი შორი და ფრანგი პოლკოვნიკი შარდინი. აქ მოსმენილ იქნა ხარლამოვის ინფორმაცია. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფედერაციის შექმნისა და მის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თათბირზე ხარლამოვმა მიიღო დამატებითი ინსტრუქციები. ამერიკის კონსული თავის მოხსენებაში იუწყებოდა, რომ სამხრეთში კალედინისა და ალექსევის მეთაურობით ჩამოყალიბებულია არმია და იგი ახლავე იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია მოიგერიოს ბოლშევიკური ძალების შემოტევა, დაიკავოს სამარა, ტამბოვი და სარატოვიო[2].

მოკავშირეთა წარმომადგენლები ამზადებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედ დიდ არმიას. მათ ახლა თურქეთის საპირისპიროდ უსაქმოდ სანგრებში მსხდომარე და ბოლშევიკური სულისკვეთებით აღჭურვილი არმია აღარ ესაჭიროებოდათ. მათ აწყობდათ ამ არმიის გაწმენდა. საიმედო კაზაკური ნაწილების დონზე გაგზავნა, რევოლუციური არმიების უიარაღოდ განდევნა კავკასიის ფარგლებიდან, ხოლო კავკასიაში არსებული სამხედრო ქონებით ნაციონალური პოლკების შეიარაღება, რომელნიც უფრო საიმედონი უნდა ყოფილიყვნენ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფრონტიდან დაძრული კავკასიის არმიის განიარაღების იდეის და გეგმის სულისჩამდგმელები მოკავშირეთა მისიები იყვნენ. სმიტი ლანსინგს დეკემბერშივე აუწყებდა, რომ „მე შევძლებ მივაღწიო თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებული სამხედრო ნაწილების

---

[1] Академик И. И. Минц. (მითით. სტატია).

[2] იქვე.

განიარაღებას, ნაწილებისა, რომლებიც მთლიანად გაბოლშევიკებული არიანო"[1].

სმიტი ინგლისისა და საფრანგეთის მისიებთან შეთანხმებით ამ საკითხთან დაკავშირებით ეთათბირებოდა ხარლამოვს, ურჩევდა მას, რომ „პირველ ყოვლისა, ყუბანისა და თერგის მთავრობებს არ დაეშვათ ამიერკავკასიიდან დეზორგანიზებული სამხედრო ნაწილების დაბრუნება, რომლებიც, დაბრუნდებიან რა ფრონტიდან სახლში, ისე რომ გზაზე არავითარი დაბრკოლება არ ექნებათ, მოექცევიან ჩვენი არმიის ზურგში და გაზრდიან ჩვენთვის საშიში ადამიანების რიცხვს.

მეორეც და ეს უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა ზოგიერთ მსხვერპლთან არის დაკავშირებული, აუცილებელია საერთო კეთილდღეობისათვის, რომ კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში გამოგზავნილ იქნას კაზაკთა რაზმები, რომლებიც ქართულ ნაწილებთან ერთად შექმნიან თავდაცვით ხაზს რკინიგზის ხაზის გასწვრივ ფრონტსა და თბილისს შორის და შეუდგებიან იმ რაზმების განიარაღებას, რომლებიც ფრონტიდან ბრუნდებიან და შინაგანი წესრიგისათვის საშიშნი არიან"[2].

ეს წერილი ნათელს ფენს მოკავშირეთა ვერაგულ გეგმებს. კომისარიატის მესვეურებთან ერთად, მათ, პირველ ყოვლისა, აშინებდათ ბედი კონტრრევოლუციის ცენტრის—თბილისისა, რომელსაც ფრონტიდან დაძრული ბოლშევიკური არმიის სახით რეალური საფრთხე ელოდა. ტყუილად როდი მიმდინარეობდა გაცხოველებული მუშაობა იმისათვის, რომ ეშელონებს თბილისზე არ გაევლოთ. ადგილობრივი თავდაცვა მოკავშირეებს საიმედოდ არ მიაჩნდათ და ვარაუდობდნენ დამხმარე ძალად კაზაკთა ნაწილები გამოეწვიათ. ამრიგად, თბილისის დაცვის გეგმა, რომელიც ოლქის შტაბში მუშავდებოდა, მისიების უშუალო მონაწილეობით დგებოდა. მოკავშირენი, ამავე დროს, ყველაფერს ამზადებდნენ, რომ ეშელონები, იარაღით არ გაეშვათ, მოეწყოთ შეიარაღებული დახვედრა. უდაოა, რომ შამქორის ტრაგედიის უშუალო სულისჩამდგმელნი და მონაწილენი იყვნენ ანტანტის და აშშ. მმართველი წრეები, რომელთა კარნახითაც მოქმედებდნენ თბილისში თავმოყრილი მისიები.

6 იანვარს, როდესაც ეშელონები თბილისს გასცდნენ, ნ. ჟორდანიამ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების

---

[1] F. R. ტ. II. გვ. 589—590.

[2] F. R. ტ. II. გვ. 607.

საშხარეო ცენტრის სახელით კავკასიის ყველა საბჭოს სახელზე დაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ამიერკავკასიის ყველა საბჭოს...

ვინაიდან რუსეთში მიმავალ სამხედრო ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და, თუ დროებითი ზავი წარმატებით არ დამთავრდა, ნაციონალური ნაწილები შეიძლება ისე დარჩნენ, რომ საკმაო იარაღი არ ექნეთ ფრონტის დასაცავად, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა საბჭოს მიიღონ ზომები მიმავალი ნაწილებისათვის იარაღის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს“[1].

ეშელონებისადმი იარაღის აყრის საკითხი იხილებოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა სამხარეო ცენტრში, კავკასიის ფრონტის შტაბში, ამიერკავკასიის კომისარიატში. ეშელონების განიარაღების სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორნი უცხოეთის მისიებთან ერთად იყვნენ ჟორდანია, რამიშვილი, გეგეჭკორი, პაპაჯანოვი, ჯაფაროვი და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკის სხვა მესვეურები.

გენერალ-მაიორი ლებედინსკი ფრონტის შტაბის 3 იანვრის თათბირის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ეშელონების განიარაღებისათვის საჭიროა ძალების მობილიზაცია, მაგრამ ამ მიზნისათვის თბილისის შეიარაღებული ძალების გამოყენება სახიფათოა, ვინაიდან, თუ ეს ძალები გაიგზავნა განიარაღების ადგილზე, მაშინ ქალაქი დაცვის გარეშე დარჩება და გართულების შემთხვევაში, რაც უსათუოდ მოჰყვება იარაღის აყრას, თბილისს შეიძლება ეშელონები დაეპატრონონო[2].

4 იანვარს სამხარეო ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე ნ. ჟორდანიამ დააყენა ეშელონებისათვის იარაღის აყრის საკითხი. სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯარისკაცთა სექციის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ილენინი თავის ჩვენებაში აღნიშნავს: „ამა წლის 4 იანვარს სამხარეო ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე, მობილიზაციის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, როცა ხალხი დაღლილი იყო, ჟორდანიამ გააკეთა განცხადება, რომ კომისარიატმა გადასწყვიტა ეშელონების განიარაღება. ეს საკითხი სხდომას მოხსენდა იმდენად ნაჩქარევად და გაკვრით, რომ არცერთ

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 63.

[2] საქ. სსრ ორსა, ფონდი 1, საქმე 715, გვ. 38—41.

დამსწრეს არ გამოუთქვამს თავისი აზრი და კამათის გარეშე კენჭისყრას შეუდგნენ. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა"[1].

ამიერკავკასიის კომისარიატმა გააფრთხილა აგრეთვე ელიზავეტოპოლის ნაციონალური კომიტეტი ეშელონებისათვის იარაღის ასაყრელად საჭირო ზომები წინასწარ მიეღოთ. ამ საფუძველზე 7 იანვარს ნაციონალურმა კომიტეტმა დაადგინა განეიარაღებინა ეშელონები რადაც უნდა დამჯდარიყო. კომიტეტმა ეს საქმე მუსლიმანთა შეიარაღებულ ბანდებს დააკისრა. სწორედ ამ დროს ელიზავეტოპოლში იმყოფებოდა „ველური დივიზია". ეს დივიზია ამიერკავკასიის რევოლუციური ძალების წინააღმდეგ სამოქმედოდ იყო გამიზნული, კომისარიატის მითითებით განიარაღების ორგანიზაცია თავისთავზე ამ დივიზიას უნდა აეღო.

7 იანვარს როტმისტრი აფხაზავა მუსლიმანური ცხენოსანი პოლკის მეთაურის მაღალოვის სახელზე გზავნის დეპეშას: „მოდის ხუთი შეიარაღებული ეშელონი ქვემეხით, შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარეობის იარაღით".

აფხაზავა, რომელსაც კომისარიატიდან სპეციალური დავალება ჰქონდა—ჯავშნოსანი მატარებელი გამოეყენებინა იმ შემთხვევაში, თუ ეშელონები ნებით იარაღს არ დათმობდნენ, 8 იანვარს ელიზავეტოპოლში ჩავიდა. ამავე დღეს გენერალ შდივნისა და გობეჩიას ხელმოწერით აფხაზავასა და მაღალოვს თბილისიდან მიუვიდათ დეპეშა, რომელიც კვლავ მოაგონებდა მათ იარაღის აყრის აუცილებლობას.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი სეიმის სხდომაზე, უარყოფდა რა ეშელონების განიარაღებაში კომისარიატის უშუალო მონაწილეობას, ამ სისხლიან ტრაგედიას მხოლოდ გაუგებრობას აწერდა. მაგრამ დოკუმენტები საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ და ცხადად ამხელენ ამ ხოცვა-ჟლეტაში კომისარიატის ხელმძღვანელ როლს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა კომისარიატის წარმომადგენლისა და პოლკოვნიკ მაღალოვის ტელეგრაფით საუბრის ჩანაწერი, რომლის მთლიანად მოტანა მიზანშეწონილად ვცანით.

„...მ ე—ს ა ს ა ხ ლ ე ვ ა რ. ჩხენკელი არ არის. აპარატთან ზის მისი ამხანაგი ქარცივაძე და კანტემიროვი.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: გადაეცით მათ, რომ საქმე შემდეგნაირადაა: დაახლოებით დღის პირველი საათისათვის სადგურ შამქორში მოვი-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 1, საქმე 715, გვ. 25—28.

და ყველა ეშელონი, რომლებმაც, დაინახეს რა ჩვენი შეიარაღებული ძალების სიჯარბე, გადასწყვიტეს დაარწმუნონ ამხანაგები ჩაგვაბარონ იარაღი. დღეს სამი საათიდან დელეგატები პრინციპულად დაგვთანხმდნენ ჩაგვაბარონ თავიანთი ეშელონების იარაღი. ორი საათის განმავლობაში ჩემთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, თუ რა პირობებში მოხდეს იარაღის ჩაბარება. ბოლოს, საღამოს 6 საათისათვის დელეგატებმა განმიცხადეს, რომ საბოლოო პასუხს ხვალ დილით მომცემენ. პასუხის მოლოდინში აფხაზავა ჯავშნიანი მატარებლით და მე, ღამეს ვათევთ შამჭორში, ყველაფერი რაც სათქმელი მქონდა, მოგახსენეთ.

ს ა ს ა ხ ლ ე: ჩვენ საღამოზე გადმოგვცეს, რომ გზა შამჭორსა და დოლიარს შორის აყრილია. მართალია თუ არა ეს?

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: მართალია, აყრილია.

ს ა ს ა ხ.ლ ე: ვის მიერ არის აყრილი? ეშელონებისა თუ ჩვენს მიერ.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: საქმე ასეა: საღამოზე მიღებულ იქნა ცნობა, რომ ეშელონებს განზრახული აქვთ ხელთ იგდონ ჯავშნიანი მატარებელი. ეს რომ თავიდან აგვეცდინა, გზა ჩვენ ავყარეთ.

ს ა ს ა ხ ლ ე: გესაჭიროებათ თუ არა თქვენ რაიმე დახმარება, შევსება?

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: სადგურ დოლიარში 17 ეშელონია და სად. აქსტაფაში 3 ეშელონი. ეს უკანასკნელი სამი ეშელონი დღეს მოვიდა. თქვენის მხრივ დახმარება იქნებოდა ნავთლუღიდან ეშელონების შემდგომი მოძრაობის დაუშვებლობა, ვიდრე განიარაღებული არ იქნება ეშელონები.

ს ა ს ა ხ ლ ე: ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესძლებთ ყველა 10 ეშელონის განიარაღებას.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: საჭიროა ვიცოდეთ, ჰქონდა თუ არა სასახლეს მოლაპარაკება ბაქოს დელეგატებთან?

ს ა ს ა ხ ლ ე: გაუგებარია, რომელი მოლაპარაკების შესახებ ლაპარაკობთ თქვენ.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: ამ ეშელონების განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე.

ს ა.ს ა ხ ლ ე: ამ კითხვაზე პასუხს ეხლავე მიიღებთ (წავიდნენ გასარკვევათ). გვითხარით თქვენი აზრი მოლაპარაკების ხვალამდე გაჭიანურების შესახებ.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: შეიძლება ვივარაუდოთ სხვადასხვა მიზეზები. ერთი მიზეზთაგანი ეს არის დავაგროვოთ უფრო მეტი რეალური ძალა ზედმეტი ეშელონების მოსვლის შემთხვევისათვის. მეორე მი-

ზეზი—უთანხმოება ეშელონებს შორის იარაღის ჩაბარების საკითხზე. დაბოლოს — მოლაპარაკება გაჭიანურდა დაბნელებამდე, ხოლო სიბნელეში არ შეიძლება განიარაღების ჩატარება.

ს ა ს ა ხ ლ ე: გვითხარით, ხომ არ არის საშიშროება ეშელონების მხრივ ღამით გამგზავრების შესახებ?

მ ა ღ ა ლ ო ვ ი: ეს გვაქვს მხედველობაში და ვიღებთ სათანადო ზომებს.

ს ა ს ა ხ ლ ე: ასე, ნახვამდის. დელეგატებთან მოლაპარაკება არ ჰქონიათ. ასე რომ, არ ვიცით მათ გაიარეს თუ არა. მეტი არაფერი, ველოდებით სასიამოვნო ცნობას.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. მესმის"[1].

ზემომოტანილი საბუთი ცხადყოფს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა ჩაატარა წინასწარი საჭირო სამზადისი ეშელონების განსაიარაღებლად, გადაისროლა რა მაღალოვისათვის დამხმარე ძალა ჯავშნოსანი მატარებლის სახით. იგი აგრეთვე ცხადყოფს, რომ კომისარიატს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა ყველა გართულება, რაც ამ განიარაღებას უნდა მოჰყოლოდა და ამიტომ იძლეოდა განკარგულებას დაცვის გაძლიერებაზე, რათა შამქორიდან იარაღის ჩაუბარებლად არც ერთი ეშელონი არ გასულიყო. ნათელია, რომ შამქორის სისხლიან ამბებს კომისარიატი მეთაურობდა.

9 იანვარს მაღალოვმა და აფხაზავამ ეშელონებს განუმეორეს იარაღის ჩაბარების კატეგორიული მოთხოვნა, მაგრამ უარი მიიღეს. ამის შემდეგ ისინი შეუდგნენ ძალით განიარაღებას, რასაც მოჰყვა უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა. ათასობით რუსი ჯარისკაცის გვამით მოიფინა რკინიგზის ხაზი. ეშელონებს ჩამოართვეს 15.000 თოფი, 70 ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი. ეს იარაღი მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტის ბანდებმა დაიტაცეს.

ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურებმა საქმის ნამდვილი ვითარების მიჩქმალვის მიზნით შექმნეს კომისია, რომელსაც შამქორის ტრაგედიის მიზეზები უნდა გამოეძია. მაგრამ ეს მიზეზები გეგეჭკორმა, ჟორდანიამ, რამიშვილმა და სხვებმა უკეთ იცოდნენ. კომისიის შექმნის მიზანი კი ის იყო, რომ ნამდვილი დამნაშავეები დაეფარათ და კომისარიატისათვის ეს შავი ლაქა ჩამოერეცხათ.

ამავე მიზანს ისახავდა ე. გეგეჭკორის სიტყვა ამიერკავკასიის სეიმის პირველ სესიაზე 1918 წლის 13 თებერვალს. გეგეჭკორი ყველა ხერხს მიმართავდა, რათა კომისარიატი ამ ბრალდებიდან უდანაშაულო გამოეყვანა. იგი ტრიბუნაზე ცრემლებს ღვრიდა „შამქო-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 1, საქმე 715. გვ. 44—46.

რის მსხვერპლთა“ პატივსაცემად, ლაპარაკობდა რევოლუციის მაღალ დანიშნულებაზე, თავისუფლებაზე, ცილს წამებდა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ (კომისარიატის მიერ ამ გაზეთზე ლაშქრობა რომ გაემართლებინა) და, ამგვარად, თვალთმაქცურად უხვევდა გვერდს თვით შემაძრწუნებელ ფაქტს—უდანაშაულო ჯარისკაცთა დახვრეტას[1].

მაგრამ ამიერკავკასიის მშრომელებმა უკვე გაიგეს შამქორზე დატრიალებული ფაქტი. მათთვის ცხადი გახდა ისიც, თუ ვინ მოაწყო ჯარისკაცების დახვრეტა. ამხელდნენ რა კომისარიატის თვალთმაქცობას, ბოლშევიკური გაზეთები „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ მშრომელებს მოუთხრობდნენ სიმართლეს შამქორის შესახებ. 1918 წლის 2 თებერვალს გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ ვრცელი სტატია „სიმართლე ელიზავეტპოლის ამბების შესახებ“ ნიღაბს ხდიდა კომისარიატის ცდას—მოენათლა შამქორის ტრაგედია, როგორც ყაჩაღთა ბრბოების ეშელონებზე თავდასხმის შედეგი და ცხადყოფდა, რომ ეს „ყაჩაღური თავდასხმა თვით კომისარიატის მხრივ მზადდებოდა“[2]. 4 თებერვალს გაზეთმა გამოაქვეყნა რსდმპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა ჯარისკაცებისადმი. საოლქო კომიტეტი აფრთხილებდა ჯარისკაცებს, რომ კონტრრევოლუციური კომისარიატისაგან ისევე მოსალოდნელია ასეთი თავდასხმის განმეორება და მოუწოდებდა მათ მზადყოფნისაკენ[3].

შამქორში დატრიალებულმა ამბებმა ამიერკავკასიის მშრომელებში მძაფრი გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვიეს. მუშათა და ჯარისკაცთა კრებებსა და სოფლის მიტინგებზე გამოქონდათ რეზოლუციები, რომლებიც გმობდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურ საქმიანობას და მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

* * *

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატს, როგორც ზემოთ ვნახეთ, თითიც არ გაუნძრევია მშრომელი მასების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. პირიქით, იგი ეხმარებოდა შეძლებულ კლასებს, ახშობდა ხალხის რევოლუციურ ბრძოლას. კომისარიატის ასეთი პოლიტიკა ზიზღს და აღშფოთებას იწვევდა მშრომელ მასებში. ეს უზურპატორული და თვითმარქვია მთავრობა, რომელიც კონ-

---

[1] Закавказский сейм. Стенограф. отчет, გვ. 6—7, 8.

[2] გაზ. „Кавказский рабочий“ № 25, 1918 წ.

[3] გაზ. „Кавказский рабочий“ № 26, 1918 წ.

ტრეველუციურ ძალთა შეთქმულებით მოეღინა ამიერკავკასიას და მშრომელი მასების მხარდაჭერას მოკლებული იყო, ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა.

კომისარიატს არ ჰქონია არავითარი ავტორიტეტი ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ და შემთანხმებლურ დაწესებულებათა შორისაც კი. თბილისის, ბაქოს, ერევნის ქალაქის სათათბიროები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ კომისარიატის განკარგულებებს და ქალაქს თვითნებურად მართავდნენ. ეროვნებათაშორისი საბჭო და სომხური, ქართული და აზერბაიჯანული ეროვნული საბჭოები წარმოადგენდნენ სახელმწიფოებს სახელმწიფოში, რომელთაც საკუთარი სამმართველო ორგანოები და არმია ჰყავდათ. მენშევიკურ-ესერული სამხარეო საბჭოები, მართალია კომისარიატთან კონტაქტში მუშაობდნენ, მაგრამ „მთავრობის“ უძლურებასა და უავტორიტეტობაში რომ დარწმუნდნენ, ამიერკავკასიის მართვის ფუნქციებში თანდათან დამოუკიდებლობას აღწევდნენ.

„ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ როდესმე ან სადმე მსოფლიოში არსებულიყოს უფრო საცოდავი და უბადრუკი მთავრობა, ვიდრე არის ამიერკავკასიის კომისარიატი გეგეჭკორის მეთაურობით — წერდა სტ. შაუმიანი ამ მთავრობის შესახებ. კერენსკის მთავრობას, რომელიც ასე უბადრუკად დასრულდა, მაინც ჰქონდა ხმაურიანი დასაწყისი. ამიერკავკასიის კომისარიატს კი, მისი გამოჩენის პირველსავე დღიდანვე, არ ჰქონია არავითარი რეალური დასაყრდენი და არავითარი მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტი. ეს ავტორიტეტი მას არ ჰქონდა საკუთარ თვალშიც კი“[1].

ამიერკავკასიის კომისარიატს თავიდანვე ღრღნიდა შინაგანი წინააღმდეგობანი. მაშინ, როდესაც კომისარიატის შემადგენლობაში შესული მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები ერთიმეორეს პირში ელაქუცებოდნენ და გამოთქვამდნენ მისწრაფებას ერთობლივი ძალით ემართათ ამიერკავკასია, პირს უკან ძირს უთხრიდნენ ერთმანეთს და თავიანთ ეროვნულ საბჭოებში სეპარატულ მისწრაფებებს აძლიერებდნენ. ამ პარტიებს სძულდათ ერთმანეთი, არ ენდობოდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის წასისიანებით, მიყურადებით და ინტრიგებით იყვნენ გართული.

ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურები თვითვე აღიარებდნენ, რომ მათ არავითარი ძალაუფლება არ გააჩნიათ და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ ამიერკავკასიაში დაისადგურა საშინელმა ანარქიამ, ყველა ქალაქს თავისი ხელისუფლება აქვს და

[1] С. Шаумян, Статьи и речи, 1924 წ. გვ. 120.

ასეთ ვითარებაში კატასტროფა მოახლოებულია, რომ საჭიროა სასწრაფო ღონისძიებანი ავტორიტეტული, ძლიერი ხელისუფლების შესაქმნელად[1].

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები „დამოუკიდებელ“ მთავრობას რომ აყალიბებდნენ, დიდი იმედებით იყვნენ განმსჭვალული დამფუძნებელი კრებისადმი, რომელიც მათი აზრით ბოლოს მოუღებდა საბჭოთა მთავრობას და ძალაუფლებას ისევ ბურჟუაზიას დაუბრუნებდა.

შემთხვევითი როდია, რომ შემთანხმებლური მენშევიკურ-ესერული საბჭოები, გმობდნენ რა ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას, ებღაუჭებოდნენ ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას!“ ეს ორგანო მათ „დემოკრატიის“ ხსნათ მიაჩნდათ. ამ ლოზუნგს გაჰყვიროდნენ არა მარტო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები, არამედ რუსეთის ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერები ესერებიდან კადეტებამდე.

მაგრამ შეეძლო თუ არა დამფუძნებელ კრებას გამოეხატა რუსეთის დაჩაგრული ხალხების ინტერესები? შეეძლო თუ არა მას შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა რუსეთის მუშებისა და გლეხების მონაპოვარი? დამფუძნებელი კრების არჩევნები მიმდინარეობდა იმ სიების მიხედვით, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე იყო შედგენილი, მაშინ ესერებს გლეხობა ჯერ კიდევ ნდობით უყურებდა, შემთანხმებლების მოთაფლული დაპირებანი, რომ დამფუძნებელი კრება ყველაფერს გადაწყვეტდა, მასების დიდი ნაწილის გულდანდობას იწვევდა. ამასთანავე არჩევნები მთელ რიგ რაიონებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩატარდა. ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლების პირველმა ღონისძიებებმა კლასების ძალთა თანაფარდობაში უდიდესი ცვლილება გამოიწვია. მშრომელი მასები საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგნენ. გლეხობის უდიდესი ნაწილი ჩამოსცილდა ესერებს, რომლებმაც თავიანთი კონტრრევოლუციური ბუნება საბჭოთა ხელისუფლების ღალატით გამოააშკარავეს. მასებმა ასევე შეაქციეს ზურგი მენშევიკებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში კონტრრევოლუციის მხარეზე დადგნენ. დამფუძნებელი კრების დელეგატების უმრავლესობა კი ამ შემთანხმებელი პარტიების წარმომადგენელთაგან შედგებოდა. ეს პარტიები უპირისპირდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მოითხოვდნენ მის ლიკვიდაციას, ხოლო მთელი ძალაუფლების დამფუძნებელი კრებისათვის გადა-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 12, გვ. 26.

ცემა ამ პირობებში იქნებოდა ოქტომბრის რევოლუციის დასამარება, ბურჟუაზიის ძალაუფლების აღდგენა, ისტორიის ჩარხის უკუღმა მობრუნება.

საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა თავისი დამფუძნებელი კრება. ეს იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც რუსეთის მილიონიანი მუშებისა და გლეხების მისწრაფებას გამოხატავდნენ. საკითხი ასე იდგა: ან „დამფუძნებელი კრება“, ე. ი. ბურჟუაზიის ხელისუფლების რესტავრაცია, ან საბჭოები—მშრომელთა მონაპოვრის დაცვა და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ლიკვიდაცია.

ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დეკლარაცია, რომელიც „დამფუძნებელ კრებაზე“ რსდმპ (ბოლშევიკების) ფრაქციამ გამოაქვეყნა, მიუთითებდა, რომ „დამფუძნებელი კრება მისი ახლანდელი შემადგენლობით შედეგია ძალთა იმ თანაფარდობისა, რომელიც ჩამოყალიბდა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე. დამფუძნებელი კრების ახლანდელი კონტრრევოლუციური უმრავლესობა, არჩეული მოძველებული პარტიული სიების მიხედვით, გამოხატავს რევოლუციის გუშინდელ დღეს და ცდილობს წინ გადაეღობოს მუშათა და გლეხთა მოძრაობასო“[1].

საბჭოთა მთავრობამ შესანიშნავად იცოდა როგორი შემადგენლობისა იქნებოდა მომავალი დამფუძნებელი კრება, ან როგორ პოზიციას დაიკავებდა იგი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთავრობამ გადაწყვიტა მისი მოწვევა, რომ იგი მთელი რუსეთის მშრომელი მასების წინაშე გაეშიშვლებინა, როგორც კონტრრევოლუციური დაწესებულება.

დამფუძნებელი კრება გაიხსნა 1918 წლის 5 იანვარს. კონტრრევოლუციური პარტიის უმრავლესობამ დამფუძნებელ კრებაზე უარჰყო ოქტომბრის რევოლუცია, მისი მონაპოვარი. მან არ მიიღო „მშრომელ და ექსპლოატირებულ ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, თავისი თავი გამოააშკარავა როგორც გაბოროტებული კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და მემამულეების ორგანომ. მშრომელ მასებს აღარ შეეძლოთ მოეთმინათ მისი არსებობა და საბჭოთა მთავრობამ იგი გარეკა.

დამფუძნებელი კრების გარეკვით ჩაიშალა კონტრრევოლუციის ვარაუდები. საბჭოთა მთავრობამ 12 იანვარს მოიწვია საბჭოების III ყრილობა, რომელიც რუსეთის მუშათა და გლეხთა ინტერესების ნამდვილი გამოხატულება იყო. საბჭოების III ყრილობის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 501—502.

1587 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით (ორჯერ მეტი, ვიდრე დამფუძნებელი კრების შემადგენლობა) მთელ მსოფლიოს უჩვენებდა გათავისუფლებული რუსეთის მშრომელთა ერთსულოვან მისწრაფებას დაეცვა და განემტკიცებინა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი. საბჭოების III ყრილობაზე ამიერკავკასიიდან წარმოდგენილი იყო მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატი, ამიერკავკასიის პროლეტარიატის დანარჩენ შემადგენლობას და მშრომელ გლეხობას შემთანხმებლურმა ორგანოებმა საშუალება არ მისცეს ყრილობაზე თავისი დეპუტატები ჰყოლოდათ. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შეუნელებელი ბრძოლა ამიერკავკასიაში იმის მომასწავებელი იყო, რომ ამიერკავკასიის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებებს უჭერდა მხარს.

დამფუძნებელი კრების გარეკვამ დაამსხვრია ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა იმედები რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი ლიკვიდაციის შესახებ. გაკოტრდა კონტრრევოლუციონერთა აგიტაცია საბჭოთა მთავრობის უდღეურობაზე. პირიქით, საბჭოთა სახელმწიფო ყოველდღიურად იზრდებოდა და მტკიცდებოდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციის ვულკანის ხმაური ამიერკავკასიაშიც თანდათან მატულობდა. უკანონო და უავტორიტეტო კომისარიატი უძლური აღმოჩნდა ჩაეხშო მასების აჭრიობა. კონტრრევოლუციონერები საბოლოოდ დაადგნენ რევოლუციური რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოთიშვის გზას. „დამოუკიდებელ" ამიერკავკასიას კი უფრო ავტორიტეტული და კანონიერი მთავრობა სჭიროდა, ვიდრე კომისარიატი იყო. 12 იანვარს კომისარიატის მორიგ სხდომაზე გეგეჭკორმა დახატა ამიერკავკასიის კომისარიატის პირდაპირ სასაცილო მდგომარეობა და მოითხოვა დაუყოვნებლივ ზომების მიღება. მისი აზრით დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ამიერკავკასიისათვის „კანონიერი მთავრობის" შესაქმნელად არსებობდა მხოლოდ ერთი გზა—დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დელეგატების მოწვევით სეიმის შექმნა, რომელიც შეასრულებდა პარლამენტის—საკანონმდებლო ორგანოს—ფუნქციას[1].

კომისარიატმა სეიმის მოწვევის იდეა მოიწონა. შემთანხმებლურმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა გაზეთებმა, გააძლიერეს რა საბჭოთა მთავრობისადმი ცილისწამება დამფუძნებელი კრების გარეკვის გამო, სეიმის მოწვევის პროპაგანდა დაიწყეს.

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, საქ. 12, გვ. 26.

ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის საკითხი განხილულ იქნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების, არმიის სამხარეო საბჭოებზე. 1918 წლის 28 იანვარს სეიმის მოწვევის საკითხს მიეძღვნა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა. ეს ერთადერთი შემთანხმებლური ორგანო იყო თბილისში, რომელშიც ბოლშევიკური ფრაქცია კიდევ არსებობდა. მომხსენებელი ვ. ჯუღელი ყოველმხრივ ცდილობდა დაესაბუთებინა სეიმის კანონიერება, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა სეპარატიზმი. სეიმში იგი ხედავდა „დემოკრატიის ხსნას", ლანძღავდა ამიერკავკასიელი ბოლშევიკების „ანარქიზმს" და სხვ.[1] ვ. ჯუღელს კვერს უკრავდნენ და ბოლშევიკების წინააღმდეგ ახალ-ახალ გამოხდომებს აწყობდნენ კამათში მონაწილე მენშევიკები და ესერები — ხარტიშვილი, პეტროსიანი, ციცკაძე, გაბუნია და სხვები. სეიმის მოწვევის წინააღმდეგ საბჭოში მკვეთრად გაილაშქრეს ბოლშევიკებმა რომანოვმა, გახოკიამ, ტრაპაიძემ და სხვებმა. ბოლშევიკებმა ამხილეს კომისარიატის კონტრრევოლუციური პოლიტიკა, დაასურათეს ამიერკავკასიის მშრომელთა მისწრაფება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და რუსეთის მოძმე მშრომელ მასებთან განუყოფლობისაკენ[2].

ბოლშევიკური რეზოლუცია, როგორც მოსალოდნელი იყო, შემთანხმებლური საბჭოსაგან უარყოფილ იქნა. მენშევიკებმა და ესერებმა თავიანთ რეზოლუციაში მოიწონეს სეიმის მოწვევის აზრი და აღუთქვეს მას სრული მხარდაჭერა[3].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის მითითებით ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მშრომელ მასებში გააჩაღეს კონტრრევოლუციური სეიმის მამხილებელი პროპაგანდა. წარმოება-დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში მოწყობილ კრებებზე და მიტინგებზე ბოლშევიკები ჰგმობდნენ კონტრრევოლუციის ფანდებს, გამოჰქონდათ რეზოლუციები, სადაც ხაზგასმული იყო საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობა, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობა.

ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა მასობრივ ხასიათს იღებდა. ბაქოდან, ბათუმიდან, სუხუმიდან, ერევნიდან კომისარიატს მისდიოდა შემაშფოთებელი ცნობები. ფრონტიდან დაძრული სამხედრო ნაწილები კვლავ რეალურ საფრთხეს წარმოადგენდნენ. თბილისის პროლეტარიატმა გაფიცვით გამოხატა თავისი

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, საქ. 10, გვ. 1—2.

[2] საქ. სსრ ორსა. ფ. 5, საქ. 10, გვ. 28.

[3] იქვე.

გულისწყრომა. კომისარიატმა იეარაუდა იარაღით გაეკაფა გზა სეიმისათვის და რეპრესიების გაძლიერებით მასების აქტიობა ჩაეხშო. არმიის გულის მოგების მიზნით მან გამოსცა დადგენილება განიარაღების აკრძალვის შესახებ[1]. თბილისის გუბერნიაში შემოიღო სამხედრო მდგომარეობა, ფეხზე დააყენა გვარდიის ნაწილები. არმიისათვის ჩაკეტილ იქნა თბილისზე მისასვლელი გზები. დაპატიმრებულ იქნა ხელმძღვანელი ბოლშევიკი მუშაკები თბილისში. 8 თებერვალს კომისარიატის განკარგულებით დარბეულ იქნა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქცია. 9 თებერვალს გვარდიელთა რაზმები თავს დაესხნენ გაზეთ „ბანვორი კრივს“. აიკრძალა ბოლშევიკური გაზეთების გამოცემა. დაიწყო აშკარა ანგარიშგასწორება ბოლშევიკებთან.

მაგრამ თბილისის პროლეტარიატს არ ეძინა. 8 და 9 თებერვალი თბილისის წარმოება-დაწესებულებებში გადაიქცა კონტრრევოლუციური კომისარიატის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტისა და აღშფოთების დღედ. ყველგან ჩატარდა მიტინგები. რკინიგზის მუშათა მიტინგმა, რომელსაც 3.000 კაცი დაესწრო, დაადგინა გაფიცვა გამოეცხადებინა იმ შემთხვევაში, თუ სამი დღის განმავლობაში არ მოხდებოდა ბოლშევიკური გაზეთების გამოცემის განახლება და დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლება. პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადება დაადგინეს მბეჭდავებმა, ელექტრონზე მომუშავე, ტოლეს, ბარგარიანცის, ბარენცოვის, არსენალის, მამედ საბეკოვის ქარხნების მუშებმა და მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა[2].

თბილისის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა მენშევიკი მოძალადეების მხრივ სასტიკი რეპრესიების პირობებში მაინც შეძლეს მუშათა მასებში სეიმის კონტრრევოლუციური მიზნების გამოაშკარავება. აღსანიშნავია, რომ 9 თებერვალს, „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვის მეორე დღესვე, კომუნისტებმა მოახერხეს გამოეცათ გაზეთი „კავკაზსკი პრავდა“, რომელშიც დაიბეჭდა მიმართვა ამიერკავკასიის მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი. მიმართვა ამხელდა ამიერკავკასიის კომისარიატის ბნელ საქმიანობას და სეიმის ნამდვილ მიზანს, აქ ნათქვამი იყო:

„...10 თებერვალს ისინი დამფუძნებელი კრების გადაყენებულ წევრთაგან იწვევენ ეგრეთწოდებულ სეიმს, რომელსაც სურთ ჩაა-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, ს. 12, გვ. 34.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საარქივო ფონდი № 33, საქმე 27, გვ. 21—22.

ბარონ მთელი ძალაუფლება და მით გააუქმონ და დააუძლურონ საბჭოები.

10 თებერვალს ისინი საფლავს უმზადებენ ამიერკავკასიის რევოლუციას და ემზადებიან იმისათვის, რომ ლურსმნით თავი დაუჭედონ მათ მიერ საბჭოსათვის დამზადებულ კუბოს.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ნუთუ თქვენ ნებას მისცემთ მათ ჩაჰკლან რევოლუციის დიადი მონაპოვარი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები?

ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი და ბუტაფორიული სეიმი!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს!

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!"[1]

თბილისის წარმოებათა საგაფიცვო კომიტეტებმა გადაწყვიტეს სეიმის გახსნის დღეს, 10 თებერვალს, ალექსანდრეს ბაღში საპროტესტო მიტინგი მოეწყოთ. მენშევიკთა მუქარის მიუხედავად მუშათა მიტინგზე გამოცხადდა 3 ათასამდე მშრომელი. მიტინგზე მუშები უიარაღონი მოვიდნენ, მას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ სეიმის კონტრრევოლუციური ბუნების მხილებას ისახავდა მიზნად. მიტინგზე გამოსული მუშები თავიანთ სიტყვებში გმობდნენ კომისარიატის საქმიანობას.

მიტინგის გახსნისთანავე ბაღში შევიდა შეიარაღებული ჯარისკაცების ორი ასეული. მათ წითელი დროშა გაშალეს და მიტინგის მონაწილეებს, რომლებიც შეიარაღებულ ჯარისკაცთა დანახვამ შეაშფოთა და წასვლას აპირებდნენ, დამშვიდება დაუწყეს. მიტინგის თავმჯდომარე ს. ქავთარაძე მისალმებას აპირებდა, მაგრამ ჯარისკაცები სწრაფად გაიშალნენ, ბაღიდან ყველა გასასვლელი დაკეტეს და უეცრად ასტეხეს შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების სროლა. უმიზნებდნენ უმთავრესად ესტრადაზე მდგომ პრეზიდიუმს. მოჰკლეს 8 კაცი და დაიჭრა 29-ზე მეტი. 10 ტყვიით მოჰკლეს ერთი ამხანაგი, რომელიც ქავთარაძეს ჰგავდა და მასავით იყო ჩაცმული; „წითელგვარდიელები" ერთმანეთს უყვიროდნენ, ქავთარაძე უკვე მოკლულიაო. ხალხის ნაწილი გაიფანტა. მეორე ნაწილი მიწაზე გაწვა. სროლამ 15 წუთს გასტანა.

ამ დროს სასახლის სხდომათა დარბაზში უკვე შეიკრიბა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური სეიმი და ტყვიამფრქვევების კაკანში საზეიმოდ გაიხსნა პირველი სხდომა.

კომისარიატმა გადაწყვიტა დაეფარა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტის დამნაშავენი. სასწრაფოდ გამოქვეყნდა მთავრობის

---

[1] გაზ. „Кавказская правда" № 2, 1918 წ.

ცნობა, სადაც აღნიშნული იყო, რომ თითქოს ალექსანდრეს ბაღში შეკრებილმა ბრბომ მოინდომა მილიციონერთა განიარაღება, რომლებიც წესრიგს იცავდნენ. მილიციონერებმა თავდაცვის მიზნით ასტეხეს სროლა, რის შედეგად მოკლული და დაჭრილ იქნა რამდენიმე კაცი, ამასთანავე მთავრობის ცნობა მთელ ამ პროვოკაციას აბრალებდა ბოლშევიკებს, კერძოდ ს. შაუმიანს და მის მდივან კუზნეცოვს, რომელთაც თითქოს თბილისზე მოჰყავდათ შეიარაღებული ეშელონები[1].

13 თებერვალს, სეიმის სხდომაზე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი ცდილობდა დაეფარა კომისარიატის მიერ გადადგმული სისხლიანი აქტი. იგი ლაპარაკობდა კომუნისტი ჯარისკაცების მუქარაზე, კომისარიატის დამხობის ცდაზე, ამიერკავკასიაში კომუნისტური მთავრობის არსებობაზე და განგებ ჩქმალავდა იმ ფაქტს, რომ კომისარიატის ბრძანებით ალექსანდრეს ბაღში უიარაღო მუშები დახვრიტეს. გეგეჭკორმა სეიმის წინაშე "საქმე ისე დახატა, თითქოს შეიარაღებული რაზმი ბაღში წესრიგის დასაცავად მივიდა, მაგრამ მიტინგის მონაწილეები პირველი გადავიდნენ იერიშზე და „ერთი მილიციონერი მოკლეს, მეორე განაიარაღეს, მესამე დაჭრეს და მხოლოდ თავდაცვის მიზნით ატეხა რაზმმა სროლა, რასაც ჩვენთვის სამწუხარო შედეგები მოჰყვაო"[2].

გეგეჭკორისა და მენშევიკური პრესის თვითმართლება რომ თაღლითური იყო, ეს უკვე ყველამ იცოდა. მუშათა მრისხანების ტალღა აზვირთდა საქართველოში. საპროტესტო მიტინგები იმართებოდა ფაბრიკა-ქარხნებში. სოფლად, ჯარის ნაწილებში, ყველგან სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ კომისარიატის მოღვაწეობის ამ ფინალს და სეიმის მოღვაწეობის დასაწყისს, როგორც სისხლიანსა და კონტრრევოლუციურს.

მენშევიკებმა 10 თებერვალს მუშათა მიტინგის დახვრეტის გამოსარკვევად შექმნეს სპეციალური კომისია, რომელსაც მიზნად დაუსახეს მიტინგის დახვრეტაში კომისარიატის მონაწილეობის მიჩქმალვა. საარქივო სამმართველოში დაცული მასალები, კერძოდ, სხვადასხვა პირთა ჩვენებანი ცხადყოფენ კომისარიატის უშუალო მონაწილეობას ამ საქმეში. მაგალითად, კომისიამ დაკითხა გენერალური შტაბის პოლკოვნიკს ი. ფ. ეგოროვს, რომელიც ამ დღეს შემთხვევით ალექსანდრეს ბაღში მოხვდა, თავისი თვალებით ნახა ყველაფერი და შემთხვევით ჭრილობაც მიიღო. პოლკოვნიკმა და-

[1] ისტ. სარ ორსა, ფ. 41, ს. 276, გვ. 5.

[2] Закавказский сейм, Стеногр. отчет, გვ. 9—10.

კითხვაზე განაცხადა: „მე წავიკითხე 10 თებერვლის ამბების შესახებ მთავრობის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ რაზმის მხრივ, რომელმაც სროლა ასტეხა, წინასწარ იყო გაფრთხილებული (მიტინგი — ა. ს.). მე მივდიოდი თვით მიტინგის გვერდით ძალზე ნელი ნაბიჯით, და ვამტკიცებ, ჩემ დროს არავითარი გამაფრთხილებელი განკარგულება გაცემული არ ყოფილა. ბარიატინსკის ქუჩიდან წითელი დროშის გამოჩენისთანავე[1] სროლა დაიწყო. შემდეგ, მთავრობის იმავე ცნობაში მე წავიკითხე, რომ პირველი გასროლა ბრბოს მხრიდან მოხდა. მე ვამტკიცებ, რომ არათუ პირველი, არამედ საერთოდ, არავითარი გასროლა ბრბოს მხრივ არ ყოფილა და მათ შორის, საერთოდ, არც კი ყოფილან შეიარაღებულნიო“[2].

კომისარიატის სისხლიანი დანაშაულის მამხილებელი დოკუმენტია ამხ. ს. ქავთარაძის ჩვენება, რომელიც მან მთავრობის მიერ შექმნილ კომისიას მისცა. ამხ. ქავთარაძე აღწერს მიტინგის მოწვევის, მისი მშვიდობიანი მიმდინარეობისა და იმ ვერაგული თავდასხმის მთელ პროცესს, რომელსაც ამ დღეს ჰქონდა ადგილი. ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ დახვრეტა არა შემთხვევითი, არამედ კომისარიატის მიერ წინასწარ მოფიქრებული გეგმით ჩატარდა[3].

ალექსანდრეს ბაღში დახვრეტის ფაქტს თბილისელმა მუშებმა „საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვით უპასუხეს. ამხელდა რა კომისარიატის მიუტევებელ დანაშაულს მშრომელთა წინაშე, საგაფიცვო კომიტეტის პროკლამაცია მუშათა განწყობილების შესახებ მიუთითებდა: „ამ გაფიცვით თბილისის მუშებმა დაგვანახვეს, რომ მათთვის უცხოა ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის ბურჟუაზიის ინტერესები, რომ მათთვის, პირიქით ახლობელი და საერთოა მთელი რუსეთის მუშათა ინტერესები, რომ ისინი რევოლუციის გასამარჯვებლად წარმოებულ საერთო ბრძოლაში წავლენ არა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატთან და ობორონცულ ცენტრებთან ერთად, არამედ ხელიხელჩაკიდებულნი მხარდამხარ წავლენ მთელი რუსეთისა და მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად“[4].

ბათუმის მეზღვაურთა საერთო კრებამ ამ დახვრეტის საპასუხოდ შეადგინა დეპეშა ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის სახელზე.

---

[1] რაზმი, რომელმაც მიტინგს სროლა აუტეხა, წითელი დროშით შევიდა ბაღში.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 3, საქ. 717, გვ. 263—268.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, ს. 135, გვ. 36—41.

[4] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფონდი № 3.

დეპეშაში დაგმობილი იყო საბჭოს კონტრრევოლუციური პოლიტიკა, მისი მხარდაჭერა კომისარიატისადმი. მეზღვაურები მოითხოვდნენ კონტრრევოლუციური სეიმის დამხობას და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას[1].

კომისარიატის სისხლიანი ნაბიჯი მრისხანე პროტესტებით იქნა დაგმობილი მთელს ამიერკავკასიაში.

ალექსანდრეს ბაღში მუშათა მიტინგის დახვრეტის ინიციატორები ამხილა და მათთვის პროლეტარული სასამართლო მოითხოვა რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტმა თავის პროკლამაციაში. „1918 წ. 10 თებერვალს ამიერკავკასიის მენშევიკების კონტრრევოლუციურმა პარტიამ, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის სათავეში დგას, ვერაგულად დახვრიტა რსდმპ (ბ) კომიტეტის მიერ მოწვეული თბილისელი მუშების მშვიდობიანი, უიარაღო მიტინგი...

ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! თქვენ მოწმენი გახდით საშინელი დანაშაულისა, რომელიც ჩაიდინეს იმ ადამიანებმა, თავისთავს რომ სოციალისტებს და მუშათა კლასის მეგობრებს უწოდებენ. მთელი ეს სისხლიანი დანაშაული ჩვენ ჩვენს საკუთარ პროლეტარულ სასამართლოს უნდა გადაეცეთ“[2] — ნათქვამი იყო პროკლამაციაში.

* * *

როგორი იყო ამიერკავკასიის სეიმის შემადგენლობა? შეიძლებოდა თუ არა იგი კანონიერი ხელისუფლება და ამიერკავკასიის დემოკრატიის ინტერესების გამომხატველი ყოფილიყო?

კონტრრევოლუციონერებმა ფორმალობის წესების დაცვის მიზნით სეიმის შემადგენლობაში მოიწვიეს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. თუმცა მათ მშვენივრად იცოდნენ სეიმისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულება. 1918 წლის 22 იანვარს ამასთან დაკავშირებით რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის განცხადება:

„ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 16 იანვრის № 758 წინადადების პასუხად რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტი აცხადებს შემდეგს:

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 2, ს. 34, გვ. 281—284.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის საარქივო ფ. № 3, გვ. 1—3.

იღებს რა მხედველობაში: „1) რომ ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ამჟამად მოწვეული სეიმი მოკლებულია ყოველგვარ რწმუნებას ამიერკავკასიის ხალხისაგან, რადგან მისი დეპუტატები ირჩეოდნენ სრულიადაც არა სეიმისათვის; 2) სეიმი არც მეტი, არც ნაკლები გაგრძელება იქნება ამიერკავკასიის კომისარიატისა, რომელმაც საბოლოოდ შეირცხვინა თავისთავი ამიერკავკასიის მოსახლეობის თვალში; 3) ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა რუსეთში შექმნილი ვითარების პირობებში ნიშნავს ამიერკავკასიის რუსეთიდან ფაქტიურ გამოყოფას და აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას; ამავე დროს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ე. ი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრძოლას მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან კავშირში და 4) ამიერკავკასიის სეიმი იქმნება რუსეთში უკვე აღიარებული საბჭოთა რესპუბლიკის საპირისპირო მიზნით; იღებს რა ყოველივე ამას მხედველობაში, რსდმპ (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი უარს ამბობს ახლახან მოწვეულ ამიერკავკასიის სეიმში ყოველგვარ მონაწილეობაზე და ამასთან ერთად აცხადებს, რომ ბოლშევიკების პარტია ყველა ღონისძიებას იხმარს, რათა ამხილოს ამიერკავკასიის სეიმის ინიციატორები, როგორც ხალხის მატყუარები“[1].

სეიმში ფრაქციების სახით წარმოდგენილი იყო შემდეგი პარტიები: სოციალ-დემოკრატია, სახალხო თავისუფლების პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერები, დაშნაკცუტუნი, ფედერალისტები, მუსავატელები, ნაციონალ-დემოკრატები, მუსლიმანური სოციალისტური ბლოკი, რუსეთის მუსლიმანების ფრაქცია — იტიხად-ისლამი, გუმეტი (მემარჯვენე, ნაციონალისტური ფრთა). ყველაზე ძლიერი ფრაქცია ყავდათ მენშევიკებს (32), მუსავატელებს (30) და დაშნაკებს (27)[2].

ჩვენთვის უკვე ნაცნობია ეს თაიგული. ცხადია, ეს პარტიები გამოხატავდნენ მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის, მსხვილი კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესებს, ისინი დაუძინებელი მტრები იყვნენ სოციალისტური რევოლუციისა, რომლის განხორციელებისათვის ამიერკავკასიის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა იბრძოდა. სეიმის ტრიბუნიდან თვითეული ამ ფრაქციის წარმომადგენელი ამიერკავკასიის „დემოკრატიის სახელით“ ლაპარაკობდა. ცხადია, დემოკრატია მხოლოდ საფარი იყო ნაციონალური ბურჟუ-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, საქ. 176, გვ. 16.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, ს. 10, გვ. 10—11.

აზიის და ფეოდალური მიწათმფლობელობის ხელუხლებლობის დასაცავად.

ამრიგად, სეიმის შემადგენლობა ექსპლოატატორული კლასების — მემამულეებისა და კაპიტალისტების წრიდან იყო გამოსული და მხოლოდ მათ ინტერესებს იცავდა. ამიერკავკასიის პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას სეიმში არცერთი წარმომადგენელი არ ყოლია. მართალია სეიმის შემადგენლობის ერთი ნაწილი არჩეული იყო დამფუძნებელი კრების დელეგატებად, მაგრამ ეს არჩევნები მიმდინარეობდა იმ მომენტში, როცა მშრომელი მასების დიდ ნაწილში ჯერ კიდევ არ გაქარწყლებულიყო მენშევიკ-ესერებისადმი ნდობა, ჯერ კიდევ არ გამოაშკარავებულიყო მათი კონტრრევოლუციური საქმიანობა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მშრომელი მასების შეგნებაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა. შემთანხმებლებსა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდნენ, ჩამოსცილდა მასების შეგნებული ნაწილი და იგი ბოლშევიკური დროშის ქვეშ დაირაზმა.

გარდა ამისა, სეიმში დამფუძნებელი კრების დელეგატთა რაოდენობა მცირე იყო. ბურჟუაზიულ ნაციონალისტურმა და შემთანხმებლურმა პარტიებმა სეიმში ხალხისაგან დაუკითხავად წარგზავნეს თავიანთი ლიდერები. სეიმის 17 თებერვლის სხდომაზე დეპუტატი ვრაციანი ამბობდა: „ქვეყანაზე არსად არ არსებობს ისეთი სეიმი, როგორიც ჩვენია. ჩვენი სეიმის სამი მეოთხედი ხომ შედგება არა არჩეული წარმომადგენლებისაგან, არამედ პარტიების მიერ დანიშნული პირებისაგანო“[1].

სეიმში წამყვანი მდგომარეობა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაიკავა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს ახლა აღარ ეშინოდათ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატი ლიდერებისა, რომლებმაც აქტიური ბრძოლა გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გადაჭრით დადგნენ ბურჟუაზიის მხარეზე. მენშევიკების სოციალისტური ნიღაბი დაშნაკებსა და მუსავატებს მასების ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელი ნაწილის გადაბირების მოხერხებულ საშუალებად მიაჩნდათ.

სეიმის მეორე სხდომაზე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი გამოვიდა კომისარიატის საქმიანობის ანგარიშით. მან გვერდი აუარა კომისარიატის კონტრრევოლუციურ

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, ს. 48, გვ. 69.

საქმეებს, კერძოდ მის კავშირს ჩრდილოეთ კავკასიის და დონ-ყუბანის კონტრრევოლუციასთან, დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს. მთელი ყურადღება ომისა და ზავის საკითხზე გადაიტანა, ამასთანავე გული იჯერა საბჭოთა მთავრობის, ამიერკავკასიის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის ლანძღვით და ცილისწამებით, ნიანგის ცრემლები ღვარა შამქორსა და ალექსანდრეს ბაღში ჯარისკაცებისა და მუშების დახვრეტის გამო, მიუხედავად ამისა, ვერ შესძლო დაეფარა ის, რომ კომისარიატი იყო უავტორიტეტო, ჰაერში გამოკიდებული და უილაჯო ხელისუფლება, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები არ სცნობდნენ და ზიზღით ზურგს აქცევდნენ[1].

სეიმისათვის ანგარიშის ჩაბარების შემდეგ კომისარიატმა მოიხსნა თავისი რწმუნება. 23 თებერვალს სეიმის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც ფრაქციათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გამოითქვა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ ახალი მთავრობა უნდა ჩამოეყალიბებინა ს.—დ. პარტიას. სხდომამ დაადგინა, რომ ახალი მთავრობის შედგენა მიენდოთ ე. გეგეჭკორისათვის. ამავე დროს პრეზიდიუმმა აღიარა, სეიმის მოღვაწეობას საფუძვლად დასდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და დეკლარაცია, რომელიც 15 თებერვალს გამოქვეყნდა[2].

გეგეჭკორმა სეიმის დასტურის შემდეგ შეადგინა „ახალი მთავრობა“, რომლის შემადგენლობაში კომისარიატთან შედარებით მცირე ცვლილება მოხდა. მთავრობაში ისე როგორც სეიმში, გაბატონებული მდგომარეობა სამმა პარტიამ — მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა დაიკავეს[3].

ამგვარად, სეიმის მოწვევისა და კომისარიატის გადადგომის შემდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფლებაში თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარა. სეიმი, რომელიც ისევე თვითნებურად მოევლინა ამიერკავკასიას, როგორც კომისარიატი, უშუალო გამგრძელებელი აღმოჩნდა კომისარიატის მიერ აღებული კონტრრევოლუციური, ანტიხალხური კურსისა. სეიმში მეტი გამოკვეთილობით იჩინა თავი ამიერკავკასიაში მემამულურ-ბურჟუაზიული დიქტატურისკენ მისწრაფების სულისკვეთებამ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, ამიერკავკასიას

---

[1] Закавказский сейм, Стеногр. отчет, გვ. 9—12.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, საქ. 10, გვ. 15.

[3] იქვე, გვ. 5.

მშრომელი მასების რევოლუციური სულისკვეთების ჩახშობა, რევოლუციური რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამიჯვნის საბოლოო გაფორმება და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა, — აი ის ძირითადი კურსი, რომელიც სეიმმა აიღო. მაგრამ სეიმს, ისე როგორც კომისარიატს დიდი ხნით არსებობა არ ეწერა.

ამიერკავკასიის მშრომელი მასების მხარდაჭერას მოკლებულმა, შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე ამ სალაყბო ორგანომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უსახელოდ დაასრულა თავისი არსებობა.

* * *

შევეხოთ მოკლედ იმ ბნელ საქმიანობას, რომელსაც ეროვნული საბჭოები ეწეოდნენ სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ და რასაც შედეგად მოჰყვა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობის შესუსტება, ხოლო რიგ ადგილებში ძმათამკვლელი შეტაკებანი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამიერკავკასია ნაციონალური შემადგენლობის მრავალფეროვნების მხრივ შორეული წარსულიდანვე წარმოადგენდა რუსეთის განაპირა მხარეებს შორის ყველაზე დამახასიათებელ კუთხეს. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელი თათრები, ლეკები, ოსები და აფხაზები ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ დაჭუცმაცებულად, ზოგან ერთმანეთში შერეულადაც კი.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ერების არსებობის შენარჩუნებისათვის, მათი ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ურთიერთშორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება და განმტკიცება. ასეთი კეთილმეგობრული ურთიერთობის გარეშე ამიერკავკასიის ტერიტორია გადაიქცეოდა მუდმივი შუღლის, ჭიშპობის, ძმათამკვლელი ომების ასპარეზად, რაც დაასუსტებდა ამ ხალხებს, სისხლიდან დასცლიდა მათ, ხოლო ამიერკავკასიის მტაცებელ მეზობლებს საშუალებას მისცემდა დაეპონებინათ ისინი.

ამიერკავკასიის ხალხებს თავიანთი ერცელი და მღელვარე ისტორიის მანძილზე შესანიშნავად ესმოდათ მათ წინაშე მდგარი ამოცანა. ამიტომაა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას შორეული წარსული და ღირსეული ტრადიციები გააჩნდა. ძველთაგანვე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხები მამაცურად ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობლებს — რომაელებსა და ბიზანტიელებს, არაბებსა და მონღოლებს, თურქებსა და ირანელებს.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში გენიალურმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ განადიდა ადამიანთა საბრძოლო მეგობრობა. მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე მხატვრული ქმნილება, რომელიც ისე სიყვარულითა და გატაცებით უმღეროდეს უცხო ტომის შვილთა — ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის — ერთმანეთისადმი სიყვარულსა და თავდადებას, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“ მოცემული. მეგობრობისადმი ასეთი შეხედულება რუსთაველის მხრივ არ შეიძლება შემთხვევით აიხსნას. თავისი ეპოქის უდიდეს ჰუმანისტს და მოაზროვნეს ესმოდა ამ მეგობრობის ძალა, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ვითარებაში.

XIX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიის ხალხებმა თავიანთი ბედი რუს ხალხს დაუკავშირეს. ამ ისტორიული მნიშვნელობის აქტმა საზღვარი დაუდო მტაცებელი მეზობლების ირანისა და თურქეთის მადას — ხელთ ეგდოთ ამიერკავკასიის მდიდარი მიწა-წყალი და მასზე მოსახლე ხალხებისათვის მონობის მძიმე უღელი დაედგათ. ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ხალხებმა, რომლებიც გარედან შემოსევის საფრთხისაგან უკვე დაცული იყვნენ, თავიანთი ძალები ქვეყნის აღორძინებისაკენ მიმართეს. მეფის რუსეთის პოლიციური რეჟიმის სისასტიკის მიუხედავად, რუს ხალხში მათ პოვეს ჭეშმარიტი თანამოძმე და მეგობარი ხალხი, რომელიც იკრებდა ძალებს ძალადობისა და ჩაგვრის დასამხობად.

ცარიზმის შოვინისტურმა, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ამიერკავკასიის ხალხებში გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ფეოდალური დაჩუცმაცების თანდათანობითმა მოსპობამ, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვამ და განვითარებამ ამიერკავკასიის ხალხები ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დააკავშირა, გააძლიერა მათი ურთიერთგავლენა. მართალია, 60-70 წლებში სომეხი და ქართველი ინტელიგენტების ერთ ნაწილს შორის ადგილი ჰქონდა შუღლსა და ჭიშპობას, მაგრამ, როგორც ამას მიუთითებს ს. ორჯონიკიძე, — „მას არასოდეს არ ჰქონია რამდენადმე შესამჩნევი ფესვები ურთიერთშორის ძმურად მცხოვრებ ხალხებს— ქართველებსა და სომხებს შორის. ეს შუღლი აღმოცენებული იყო სომეხი ვაჭრების მიერ საქართველოში, და განსაკუთრებით თბილისში, ვაჭრობასა და მრეწველობაში სრული ბატონობისა და დაჰყრობის გამო. აქ ერთმანეთს ებრძოდნენ გაკოტრებული ქართველი თავადაზნაურობა და თავადაზნაურული ინტელიგენცია და სომეხი ვაჭრები და სომხური ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელთა

ხელში აღმოჩნდა ქართველი თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული და გაყიდული სახლები და მიწები[1].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები, დემოკრატიის ინტერესების ჰეშმარიტი დამცველები საქართველოში—ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, სომხეთში—ხაჩატურ აბოვიანი და მიქელ ნალბანდიანი, აზერბაიჯანში—მ. ფ. ახუნდოვი და ს. ა. შირვანი, რუსი ხალხის საუკეთესო შვილების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის იდეებზე აღზრდილნი, საკუთარი სამშობლოს ღირსების დაცვისა და კულტურის განვითარებისათვის. რომ იბრძოდნენ, ყოველთვის სათუთად იხსენიებდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციულ მეგობრობას ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის, იღწვოდნენ, რათა ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცებულიყო.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში ახალ საფეხურს წარმოადგენდა XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის გარიჟრაჟი, როცა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია. როგორც ცნობილია, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ნაციონალური საკითხი აქტუალურ საკითხად იქცა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ამიერკავკასიაში, ვინაიდან ნაციონალური საკითხის მხოლოდ მარქსისტული გადაჭრა უზრუნველყოფდა კავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის რევოლუციური ძალების შემჭიდროებასა და მათ დაკავშირებას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. კავკასიის კავშირის კომიტეტმა იმთავითვე განსაზღვრა, რომ ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობას უნდა ემოქმედნათ რუსეთის მოწინავე, გმირულ პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთი ავანგარდის — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ.

ამიერკავკასიელი ბოლშევიკები უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე შექმნისა და გამოწრთობისათვის. ამიერკავკასიის მშრომელთა ერთმანეთში სიყვარულის სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. ისინი დაუნდობლად ამხელდნენ და ანადგურებდნენ მენშევი-

[1] Орджоникидзе. Избр. статьи и речи, გამოცემა, 1939 წ., გვ. 174, ОГИЗ-ის.

კების, დაშნაკების, მუსავატელების, ფედერალისტებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების რეაქციულ პოლიტიკას, რომელიც ამიერკავკასიის ხალხების გათიშვისა და მათ შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებისაკენ იყო მიმართული. აშუქებდა რა ამიერკავკასიის რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების ამ ნაყოფიერ მუშაობას, ლენინური „ისკრა“ წერდა: „კავკასიელი ამხანაგები გადაჭრით წინააღმდეგნი არიან რასობრივი (ნაციონალური) ორგანიზაციებისა; თითოეული კომიტეტი წარმოშობიდანვე მუშაობდა ყველა ენაზე და წარმოადგენდა ყველა ქალაქის მუშებს ეროვნების განურჩევლად, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან შედგებოდა თვითონ კომიტეტი. კავშირის კომიტეტი კავკასიაში მომუშავე ამხანაგების ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობამ აირჩია იმის მიუხედავად, თუ რომელ რასას ეკუთვნოდა ესა თუ ის ამხანაგი“[1].

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში გამოცემული ბოლშევიკური გაზეთები — „პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ რუსულ ენაზე. „ახალი დროება“ ქართულ ენაზე. „კაიწ“ სომხურ ენაზე, „ნოხოსქ“ სომხურ ენაზე, „ბაკინსკი რაბოჩი“ რუსულ ენაზე, „ბანვორი ძაინ“ სომხურ ენაზე, „ჭოჩ-დეველტ“ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და სხვ.—მტკიცედ იცავდნენ რა ლენინურ პრინციპებს, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო მეგობრობის გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ატარებდა რა ნაციონალური ჩაგვრის, ნაციონალური შუღლის გაღვივების პოლიტიკას, მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ერთმანეთისათვის მიესია ამიერკავკასიის ხალხები და ამ შუღლისა და ურთიერთმტრობის ვითარებაში განემტკიცებინა თავისი ბატონობა. მაგრამ კავკასიელ ბოლშევიკთა დამრაზმველი მუშაობის წინაშე უძლური იყო ცარიზმისა და ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების ზრახვები — მოეწამლათ ამიერკავკასია ნაციონალიზმის შხამით. „...თუ კავკასიელებმა მოახერხეს, — წერს ი. ბ. სტალინი, — სომეხ და თათარ მუშებს შორის ნაციონალური უთანხმოების დაძლევა, თუ მათ მოახერხეს მოსახლეობის უშიშარყოფა ხოცვა-ჟლეტისა და ერთმანეთისათვის ტყვიის დაშენის შესაძლებლობისაგან, თუ ბაქოში ნაციონალური ჯგუფე-

---

[1] გაზ. „ისკრა“ № 50, 15 ოქტომბერი, 1903 წ.

ბის ამ კალეიდოსკოპში, ახლა უკვე შეუძლებელია ნაციონალური შეტაკებანი, თუ იქ მოხერხდა მუშების ჩაბმა ძლავრი მოძრაობის ერთიან კალაპოტში, — ამაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალურმა წყობამ"[1].

იმპერიალისტური ომის წლებში, და განსაკუთრებით, რუსეთში 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიების მუშაობა გააქტიურდა. ბურჟუაზიულმა ნაციონალისტურმა პარტიებმა, გამოხატავდნენ რა ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესებს, თებერვლის რევოლუციაში, პირველ ყოვლისა, ნაციონალური ბურჟუაზიული სახელმწიფოების შექმნისათვის ხელსაყრელი ვითარება დაინახეს. დროებითი მთავრობის მიერ სიტყვიერად აღიარებული „თავისუფლება ერებისა" განაპირა მხარეების ბურჟუაზიული წრეებისათვის აღმოჩნდა ხელჩასაკიდი იდეა ნაციონალური დროშის ქვეშ ერის დასარაზმავად. ცხადია ეს „ბურჟუაზიული სახელმწიფოები" თავიანთ სამოღვაწეო პროგრამაში სრულებითაც არ ისახავდნენ მიზნად სოციალური საკითხების გადაჭრას. მაგრამ რუსეთის ცარიზმის დროს დაჩაგრული განაპირა მხარეების ხალხებისათვის ბურჟუაზიის ასეთი ხმაური დამოუკიდებლობისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის მაინც, გარეგნულად, მოსჩანდა როგორც პროგრესული და რევოლუციური ღონისძიება და მან ჩამორჩენილი მასების საკმაო ნაწილი გაიყოლია კიდეც. ბურჟუაზიამ ერთა თვითგამორკვევის უფლება გაიგო როგორც ნაციონალური ბურჟუაზიის უფლება დაპატრონებოდა ხელისუფლებას. ადგილობრივ ბურჟუაზიას სწორედ ასე აწყობდა. მეტროპოლიის ბურჟუაზიისაგან შევიწროებულს, ახლა თებერვლის რევოლუციის შემდეგ დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა და შეუზღუდველი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო „საკუთარი ერის" მუშებისა და გლეხების ძარცვაში.

ყველაზე დიდი პრეტენზიით თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში მუსლიმანური ბურჟუაზიული ინტელიგენცია გამოვიდა, რომელიც მუსავატური პარტიის გარშემო იყო შემოკრებილი. რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში განჯაში აზერბაიჯანელი მემამულეების მხარდაჭერით და მონაწილეობით ჩამოყალიბდა ფედერალისტური პარტია. მისი ორგანიზატორი იყო ნასიბ ბეკ უსუბეკოვი (შემდეგში აზერბაიჯანის კონტრრევოლუციური მთავრობის ერთ-ერთი მესვეურთაგანი და მეთაური). ფედერალისტების პარტიამ თავის პროგრამაში აღიარა დემოკრატიული

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 393.

რესპუბლიკა ნაციონალურ ტერიტორიულ ფედერატიულ საწყისებზე საერთოდ, ხოლო აზერბაიჯანისათვის, თურქმენეთის, ყირგიზეთისა და ბაშკირეთისათვის ტერიტორიული ავტონომია მოითხოვა.

1917 წლის 15 აპრილს მოწვეულ იქნა მუსლიმანების საერთო კავკასიური ყრილობა, რომლის მიზანს, მის მესვეურთა განცხადებით, შეადგენდა მუსლიმანურ ძალთა კონსოლიდაცია ამიერკავკასიაში. ყრილობაზე მონაწილეობდნენ მუსავატელები, ფედერალისტები, იტიხადის წარმომადგენლები, ესერები. ყრილობაზე „გუმეტის“ წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა იმ მიზნით, რომ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა სეპარატიზმის ბუნება ემხილათ და წინა პლანზე სოციალური საკითხები წამოეწიათ.

ტაგიევისა და სხვა მსხვილი აზერბაიჯანელი მრეწველების რჩევით ყრილობამ წამოაყენა აზერბაიჯანის ავტონომიის საკითხი. ტაგიევმა ყრილობას „ნაციონალური ფონდის“ შექმნის მიზნით 50.000 მანეთი შესწირა. აქვე, მუსლიმანური სასულიერო პირების წარმომადგენლებმა საზეიმოდ გამოაცხადეს დაზავება შიიტებსა და სუნიტებს შორის და ყველას „ნაციონალურ ძალთა გაერთიანებისაკენ“ მოუწოდეს.

„გუმეტის“ წარმომადგენლებმა აზიზბეკოვის მეთაურობით პირველ პლანზე მუშათა და გლეხთა სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტა წამოწიეს და მუსავატი ორატორების მტკიცება იმის შესახებ, რომ ყრილობის რწმუნებაში არ შედის სოციალური საკითხების გადაწყვეტაო, მკაცრად ამხილეს და დაგმეს. გუმეტელებს გამარჯვება ხვდათ. ყრილობა იძულებული შეიქნა დღის წესრიგში შეეტანა მუშათა და გლეხთა საკითხები, ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა მასების ეკონომიური ცხოვრების მოწყობის საკითხები, მაგრამ კომისიის შემადგენლობაში გაყვანილ იქნენ ბურჟუაზიის აშკარა დამცველები. ამიტომ კომისიის მიერ ყრილობაზე შეტანილი რეზოლუცია მუშათა და გლეხთა საკითხზე კუდმოკვეცილი, ესერული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ყრილობაზე მაინც მძლავრად გაისმა გლეხი დეპუტატების საპროტესტო ხმა, სადაც ჩანდა ის საშინელი შევიწროება, რომელსაც აზერბაიჯანელი გლეხობა აზერბაიჯანელი მემამულეებისაგან განიცდიდა. გლეხი დეპუტატების ასეთმა გამოსვლებმა დაადასტურა, რომ მემამულეებისა და გლეხობის „საერთო ნაციონალური ფრონტი“ ფიქცია იყო, გლეხობის ინტერესები მემამულეთა ინტერესებს მკვეთრად უპირისპირდებოდა.

ყრილობამ სრული მხარდაჭერა აღუთქვა დროებით მთავრობას. ფედერალისტებმა ყრილობაზე ტონის მიმცემი პოზიცია დაიკავეს.

რეზოლუციაში ნაციონალურ საკითხზე გატარებულ იქნა ფედერალისტების შეხედულება ტერიტორიულ-ფედერატიულ საწყისზე აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ყრილობა, როგორც სამართლიანად უთითებს პროფ. გუსეინოვი წარმოადგენდა „აზერბაიჯანის ბურჟუაზიის ერთერთ პირველ ცდას შეექმნა ბარიერი რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ, უპირისპირებდა რა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ნაციონალურ კომიტეტებს, იგი ვარაუდობდა შეექმნა კავკასიის მუსლიმანთა მოქმედების ერთიანობა დროებითი მთავრობის წინაშე, გამოეყენებია რევოლუცია ადგილობრივ ხელისუფლების თავის ხელში ჩასაგდებად"[1].

ყრილობის შემდეგ აზერბაიჯანი დაიფარა საერთო ნაციონალური დაწესებულებებით — მუსლიმანური ეროვნული კომიტეტებით. ეს კომიტეტები დაუპირისპირდნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, ძირს უთხრიდნენ მათ საქმიანობას. ეროვნული კომიტეტების სულსა და გულს მუსავატელები წარმოადგენდნენ. ეს პარტია კი, როგორც ცნობილია, ყოველმხრივ აღვივებდა ანტისომხურ და ანტირუსულ ნაციონალიზმს, ამავე დროს ნერგავდა პანისლამისტურ იდეებს.

მუსლიმანი ნაციონალისტების საქმიანობას, უნდა ითქვას, ერთგვარი წარმატება ჰქონდა აზერბაიჯანელ გლეხობაში და მუშებშიც კი. ცნობილია, რომ მეფის რეჟიმის დროს მუსლიმანები ამიერკავკასიაში შევიწროებას განიცდიდნენ. აზერბაიჯანელი მუშებისათვის დაუფარავი როდი იყო ის უპირატესობანი, რომლითაც ბაქოში რუსი მუშები სარგებლობდნენ. მეფის მთავრობა ხელს უწყობდა აგრეთვე ეროვნული შუღლის გაღვივებას აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. ამ ვითარებაში ჯერ კიდევ ადრე შეიმჩნეოდა მუსლიმანი მუშების ერთგვარი კარჩაკეტილობა, განდგომილობა რუსი და სომეხი მუშებისაგან. იმპერიალისტური ომის წლებში ასეთი განკერძოებულობა და ურთიერთდაპირისპირება კიდევ უფრო გაიზარდა. მთავრობამ მუსლიმანებს ამიერკავკასიაში იმთავითვე ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. მაშინ როცა დაშნაკები სომეხი მოსახლეობისაგან მოხალისეთა პოლკებს ქმნიდნენ და სახსრებს აგროვებდნენ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მთავრობას აზერბაიჯანელ მოსახლეობაზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესე-

[1] Проф. Исмаил Гуссейнов. Борьба за Октябрьскую революцию в Азербайджане. Труды Азербайджанского Гос. Университета им. С. М. Кирова. том VI. 1948 г., გვ. 47.

ბული და მათ არმიაშიც კი არ იწვევდა. დაშნაკები, სარგებლობდნენ რა მთავრობის ასეთი განწყობილებით, მის წინაშე მლიქვნელობდნენ, ასმენდნენ მუსლიმანურ მოსახლეობას, მიისწრაფოდნენ კავკასიაში უპირატესი მდგომარეობის მოპოვებისაკენ. კომუნისტური ორგანიზაციები, როგორც ცნობილია, ომის დროს სუსტნი იყვნენ და მუსლიმან მოსახლეობაში პარტიული მუშაობა არ ატარებდა სისტემატურ და მასობრივ ხასიათს. ამ ვითარებაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციისათვის ძნელი არ აღმოჩნდა ჩამორჩენილი მუსლიმანური გლეხობისა და მუშების დიდი ნაწილის გადაბირება.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კი, როგორც აღვნიშნავდით, მუსლიმანური ნაციონალისტური ორგანიზაციების მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა, მაშინ როცა ბოლშევიკებს აზერბაიჯანის სოფლებში კადრების სიმცირის გამო ხელი არ მიუწვდებოდა. ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუსლიმანურ მოსახლეობაში კომუნისტური იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროპაგანდის გაჩაღებას და ამ საქმის პრაქტიკული ორგანიზაციისათვის როგორც ცნობილია, აღადგინა გუმეტის მოღვაწეობა, მაგრამ ეს მუშაობა სოფლებში მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში ჩანდა, იგი ახლა იწყებდა გაშლას და შეგნებული ელემენტების შემოკრებას. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობის შედეგად გლეხობა თანდათან თავისუფლდებოდა ნაციონალისტური განწყობილებისაგან და ბოლშევიკური დროშის ქვეშ ირაზმებოდა. მაგრამ ეს პროცესი ხანგრძლივად, ნელა მიმდინარეობდა. ამიერკავკასიაში მშრომელი გლეხობის მასობრივი მობრუნება ბოლშევიკებისაკენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიწყო.

ეროვნული კომიტეტების ერთ-ერთი პირველი ინიციატორ-თაგანი ამიერკავკასიაში დაშნაკების პარტია აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, დაშნაკების საქმიანობამ განსაკუთრებული „აყვავება" იმპერიალისტური ომის წლებში განიცადა, როცა საერთოდ შოვინისტური და ნაციონალისტური უგარი მოედო მთავრობასა და ბურჟუაზიულ წრეებს. „დიდი სომხეთის" იდეით გატაცებულმა დაშნაკებმა, შექმნეს რა თავიანთი საბრძოლო დრუჟინები, კავკასიაში სომხური მოსახლეობის კონსოლიდაცია და თურქეთის შემადგენლობაში მყოფი სომხური მოსახლეობის გაერთიანება სცადეს. კავკასიაში დაშნაკები, სხვა პარტიებთან შედარებით, მეფის მთავრობის დროსაც პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ სომხური ბურჟუ-

აზია—ამიერკავკასიის თითქმის ყველა სამრეწველო ცენტრებში ეკონომიურად წელმომაგრებული, პოლიტიკურად თავს მაინც შევიწროებულად გრძნობდა. ამიტომ მიესალმა იგი მეფის მთავრობის დამხობას და „ხალხთა თავისუფლების“ ბურჟუაზიულ დეკლარატიულ განცხადებაში დამოუკიდებელი სომხური ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა ამოიკითხა. დაშნაკებს თებერვლის რევოლუცია იმიტომაც აწყობდათ, რომ იგი მშრომელი კლასების მდგომარეობაში არავითარ ცვლილებას არ ითვალისწინებდა, იმპერიალისტურ ომს ისევ აგრძელებდა, ბურჟუაზიის ინიციატივას აქეზებდა. ნაცადმა დაშნაკმა აგიტატორებმა, ასტეხეს რა ხმაური სომხურ მოსახლეობაში მეფის დროს მათი „შევიწროების“ შესახებ, ისტორიული უბედურების შესახებ, მოუწოდეს სომეხ ხალხს შემოკრებილიყვნენ დაშნაკების გარშემო, ხალხს ისინი ეროვნულ სუვერენიტეტს, სომხურ სახელმწიფოს შექმნას პირდებოდნენ. მასების გულის მოგების მიზნით რაღაც სოციალურ რეფორმებზეც ლაპარაკობდნენ, თუმცა ასეთი რეფორმები მათს პროგრამაში არ შედიოდა. მალე თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიფარა სომხური ეროვნული კომიტეტებით, რომელთა სული და გული დაშნაკები იყვნენ. დაშნაკები ამ კომიტეტებში აღვივებდნენ სიძულვილს სოციალისტური რევოლუციისადმი, სთესდნენ შუღლსა და მტრობას კავკასიის ეროვნებათა შორის, ბერავდნენ მუსლიმანურ-სომხურ მოსახლეობაში ინციდენტების ცალკეულ ფაქტებს და განაწყობდნენ სომხურ ჩამორჩენილ მასებს მათი თანამოძმე აზერბაიჯანული და ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. დაშნაკებს ჰქონდათ წარმატება მოსახლეობის ჩამორჩენილ წვრილბურჟუაზიულ ფენებში. ბოლშევიკური აგიტაცია სომხეთის სოფლებში სუსტი იყო. ამიტომ ნაციონალისტური განწყობილებისაგან მასების გათავისუფლება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც აქ ნელა და მტკივნეულად მიმდინარეობდა.

საქართველოში ნაციონალისტური მოძრაობის მოთავეებად ნაციონალ-დემოკრატები და ფედერალისტები გამოდიოდნენ, რომელნიც ქართველი თავადაზნაურობისა და სუსტი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველნი იყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარტიებს, ინტელიგენციის ერთი ჯგუფის გარდა, არ ყოლია თავისი მომხრეები და ისინი დიდი პოპულარობით არ სარგებლობდნენ. საქართველოს წვრილბურჟუაზიული მასა, გლეხობა და მუშათა კლასის უფრო ჩამორჩენილი ფენა მენშევიკების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. მენშევიზმი კი ამიერკავკასიაში, როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციამდე ნაციონალურ საკითხში ფორმალურად თითქოს სეპა-

რატულ თვალსაზრისს არ იზიარებდა და რევოლუციის წარმატებას რუსეთის დემოკრატიული მასების მთლიანობაში ხედავდა. მაგრამ მენშევიკებს, როგორც ბურჟუაზიასთან შემთანხმებლურ პარტიას და ნაციონალურ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს ერთმანეთთან აკავშირებდათ რევოლუციის სოციალურ საკითხებზე საერთო შეხედულებანი. ყველა ისინი თებერვლის შემდეგ რევოლუციას დამთავრებულად თვლიდნენ. მუშათა კლასისა და გლეხობის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტა არცერთ მათგანს პირველი რიგის ამოცანად არ მიაჩნდათ. სოციალისტური რევოლუციის თანდათანობით მომწიფების ვითარებაში ყველა ეს პარტია ერთმანეთს შორის მეტ საერთო ენას პოულობდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან ბოლშევიკური პროგრამა და ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშებისა და გლეხების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნაციონალ-დემოკრატებს, ფედერალისტებს და მენშევიკებს „რევოლუციის დაღუპვად“ და ანარქიად მიაჩნდათ. ისინი, პროგრამულ საკითხში ზოგიერთი უთანხმოების მიუხედავად, ბოლშევიზმის წინააღმდეგ საერთო ბლოკით გამოდიოდნენ. ამ ბლოკის თვალსაჩინო გამოხატულება, სხვას რომ თავი დავანებოთ, იყო ის საპარტიათაშორისო საბჭო, რომელიც საქართველოში შეიქმნა ოქტომბრის დასაწყისში. ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა“ ამის შესახებ წერდა: მენშევიკური „პარტიის ლიდერები, რომლებსაც მენშევიკების საოლქო კომიტეტში მოუყრიათ თავი, მასის დაუკითხავად და მის ზურგს უკან აკეთებენ მეტად სერიოზულ პოლიტიკურ ნაბიჯებს. ისინი მართავენ მოლაპარაკებას მოწინააღმდეგე პარტიებთან, აწყობენ მათთან შეთანხმებას, ქმნიან მუდმივ საერთო ორგანოს შოვინისტებთან და ნაციონალისტებთან და ყოველივე ამას უმალავენ თავის პარტიულ ამხანაგებს და ამავე დროს კი მოქმედებენ იმათი სახელით“[1].

გაზეთი, ამხელდა რა ნაციონალურ საკითხშიც მენშევიკების პოლიტიკის ნაციონალისტურ ყაიდაზე გადაგვარების ნიშნებს, მუშებს აფრთხილებდა: „შეთანხმება ქართულ ნაციონალისტურ პარტიებთან, ქართული პოლკების შედგენის გამართლება, ავტოკეფალიის გამოსარჩლება და სხვა — იმას მოწმობენ, რომ ქართველი მენშევიკების ლიდერებს ქართული პარტიის შედგენა სურთ. შეგნებულმა მუშებმა ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ და მას შესაფერი ანგარიში უნდა გაუწიონ“[2].

---

[1] გახ. „ბრძოლა“ № 21, 22 ოქტომბერი, 1917 წ.

[2] იქვე.

ამრიგად, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე გაიბა ურთიერთობის ძაფები მენშევიზმსა და ნაციონალისტებს შორის, შეიქმნა ისეთი საპარტიათაშორისო და საერთო ნაციონალური ორგანო, სადაც ბურჟუაზიული ნაციონალისტები და „სოციალისტები“ ერთად იყვნენ წარმოდგენილი „საერთო ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად“. უკვე ფორმალურადაც იჩინა თავი მენშევიზმის ნაციონალურ სეპარატიზმამდე დაშვებამ.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკა არა თუ ხელს უწყობდა ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაციას, არამედ მას კიდევ უფრო აღვივებდა. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ერების ჩაგვრის აღმოფხვრა, მათი გაერთიანება ერთ ოჯახში თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობითს პრინციპებზე. საბჭოთა მთავრობამ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციით“ მთელი მსოფლიოს წინაშე აღიარა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნაციონალურ საკითხში თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდებდა რუსეთის ხალხთა თანასწორუფლებიანობას და დამოუკიდებლობას, ერების თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას სრულ გამოყოფამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნამდე. ისპობოდა ყოველგვარი ნაციონალურ-რელიგიური პრივილეგიები და შეზღუდვები. ამხელდა რა ცარიზმის მიერ ხალხთა ურთიერთმისევის პოლიტიკას, დროებითი მთავრობის მიერ ხალხთა ურთიერთუნდობლობის გაღვივების პოლიტიკას, საბჭოთა მთავრობა აღუთქვამდა ერებს, რომ ამიერიდან მათი ურთიერთობა ღია, პატიოსან, ურთიერთნდობისა და პატივისცემის პოლიტიკაზე იქნებოდა დამყარებული.

საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის პრინციპები ნათლად იყო ჩამოყალიბებული მთავრობის ცნობილ მოწოდებაში „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მუსლიმან მშრომელისადმი“. აქ მხილებული იყო აღმოსავლეთის ხალხთა ჩაგვრის, არათანასწორუფლებიანობის ცარისტული და ბურჟუაზიული პოლიტიკა; უქმდებოდა ერთა არათანასწორუფლებიანობის ყველა ხელშეკრულება, აღმოსავლეთის ხალხები სუვერენობას და ყველა ხალხებთან თანასწორობას იღებდნენ.

საბჭოთა მთავრობის დეკლარაციები, მოწოდებანი, დადგენილებანი ნაციონალურ საკითხში როდი ნიშნავდა ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლების მხოლოდ დეკლარაციულ აღიარებას, არც დაპირებას, რასაც ბურჟუაზიული მთავრობებიც მიმართავდნენ. ყველა ხალხისადმი პატივისცემის, მეგობრობის,

ურთიერთდახმარების საბჭოური პოლიტიკა თვით სოციალისტური წყობილების ბუნებიდან მომდინარეობდა. საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა ამ ისტორიული დოკუმენტების ცხოვრებაში გატარებას. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატმა დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ყოველი ხალხის ისტორიულ თავისებურებათა შესაბამისად ერთა თვითგამორკვევის განხორციელებისათვის.

აღიარებდა რა ერთა თვითგამორკვევის უფლებას სრულ გამოყოფამდე, საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია სრულებითაც არ ურჩევდა ერებს რუსეთისაგან გათიშვას. პირიქით, ახლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების პირობებში საჭირო იყო ყველა ერის გაერთიანება ნებაყოფლობისა და სუვერენობის პრინციპებზე, საჭირო იყო ძალების კონსოლიდაცია საერთო მტრის — თეთრგვარდიელი კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ. ამას მოითხოვდა ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის ინტერესები. საბჭოთა რუსეთიდან გამოთიშულ რომელიმე ერს სოციალისტური და იმპერიალისტური ბანაკების სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების ვითარებაში მოელოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა უღელი. ამის პრაქტიკული მაგალითი უკვე სახეზე იყო. ამის ერთერთ თვალსაჩინო მაგალითს თვით ამიერკავკასია წარმოადგენდა.

საბჭოთა მთავრობას აწუხებდა ამიერკავკასიის ხალხთა ბედი. იგი ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის დამღუპველ პოლიტიკას, რომელსაც შედეგად მოსდევდა გერმანელ-თურქ და ინგლისელ იმპერიალისტთა უღელი. იგი ამიერკავკასიის ხალხებს საბჭოთა სახელმწიფოსთან ძმური თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა. ამიერკავკასიის მშრომელი მასების ხსნა საბჭოთა ხელისუფლებით შეიძლებოდა.

1918 წლის 13 იანვარს სახალხო კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა დეკრეტი თურქეთის სომხეთის შესახებ. დეკრეტით სომეხი ხალხის შემდგომი ბედი თურქეთში უნდა გადაეწყვიტა თავისუფალ რეფერენდუმს, რომელიც უნდა ჩატარებულიყო: 1) თურქეთის სომხეთიდან ჯარების გამოყვანის და სომხური სახალხო მილიციის დაუყოვნებლივი შექმნის შემდეგ, თურქ ხელისუფალთა მიერ ომის წლებში იძულებით გადასახლებულ სომეხთა თურქეთის სომხეთში დაბრუნების შემდეგ, თურქეთის სომხეთის დროებითი სახალხო მმართველობის შექმნის პირობებში[1]. კავკასიის საქმეთა დროებით

[1] Образование СССР, Сборник документов 1917—1927 гг. под ред. Гепкиной, Москва, 1949 г.

საგანგებო კომისარ ს. შაუმიანს ევალებოდა გაეწია თურქეთის სომხეთის მშრომელებისადმი ყოველგვარი დახმარება რეფერენდუმის ჩატარებაში, აგრეთვე იმ კომისიის მუშაობაში, რომელსაც უნდა განესაზღვრა თურქეთის სომხეთიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის ვადა და საშუალებანი.

ეროვნულ საკითხში საბჭოური პოლიტიკის განუხრელი გატარება უზრუნველყოფდა სომეხი, ქართველი, აზერბაიჯანელი ხალხების ნაციონალურ სუვერენობას, მათს დამოუკიდებლობასა და თანასწორუფლებიანობას.

მაგრამ ბურჟუაზიულ-ნაციონალურ პარტიებს აწუხებდა არა მშრომელი მასების, არამედ ბურჟუაზიის, მემამულე ბეგებისა და აზნაურების ბედი. საბჭოთა ხელისუფლების აღიარება კი შეძლებული კლასების ბატონობის აღსასრულს მოასწავებდა. ამიტომ ებღაუჭებოდნენ ისინი დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს „დამოუკიდებლობა“ სოციალისტური რუსეთისაგან, იმპერიალისტურ სახელმწიფოებისადმი დამოკიდებულებად და მონობად იქცეოდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ „ეროვნული კომიტეტების“ საქმიანობა ამიერკავკასიაში განსაკუთრებით გააქტიურდა. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ეროვნული პოლკების ორგანიზაციის საქმეს და, ამრიგად, საკუთარი შეიარაღებული ძალაც გაიჩინეს. მაგრამ ეროვნული პოლკების შექმნამ ნაციონალისტების მეთაურობით, მრავალფეროვან კავკასიაში ხალხთა ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა. ეროვნული საბჭოები თავიანთ სამხედრო ნაწილებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ, მოძმე ხალხისადმი სიძულვილის სულისკვეთებით ზრდიდნენ. ყოველი პატარა ინციდენტი სომეხსა და თათარს, ქართველსა და სომეხს შორის ნაციონალისტური პარტიების, მათი ეროვნული საბჭოების მიერ განგებ იბერებოდა, მუქდებოდა, რომ მას ახალი შუღლი და გართულება გამოეწვია. ნაციონალისტური პრესა აღვივებდა ამ სიძულვილს, აზვიადებდა ინციდენტებს და პირდაპირ უსევდა ხალხებს ერთიმეორეს.

ვინც ამ პერიოდის საარქივო დოკუმენტებში თვალს გადაავლებს მაზრებისა და გუბერნიის კომისრების აღმასრულებელი კომიტეტების დეპეშებსა და მოხსენებითს ბარათებს კომისარიატისა და სეიმის სახელზე, მას თვალწინ წარმოუდგება ამიერკავკასიის სოფლებსა და ქალაქებში ნაციონალური შუღლისა და შეტაკებების ამაზრზენი სურათები. 15 ნოემბერს ერევანში სომეხი და მუსლიმანური ნაციონალისტური კომიტეტების წაქეზებით ადგილი ჰქონდა მწვავე შეტაკებას სომეხ და მუსლიმან მოსახლეობას შორის, რასაც

დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა[1]. სომხურ და მუსლიმან მოსახლეობას შორის შეტაკებების შესახებ იუწყებოდნენ სურმალოს, ბორჩალოს, ახალციხის, ელიზავეტპოლის, შემახის და სხვ. მაზრებიდან. თურქეთის შემოსევასთან დაკავშირებით ახალქალაქისა და ბაშკიჩეთის მუსლიმანური მოსახლეობა გააქტიურდა და დაიწყო თავდასხმები სომხურ სოფლებზე[2]. სეიმმა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში, სადაც სომხურ-თათრულ-ქართული მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა, და მათ შორის საშინელი შუღლი იყო გამეფებული, მდგომარეობის შესასწავლად სპეციალური დელეგაცია გაგზავნა. დელეგაციას ეს მაზრები სამხედრო ბანაკის ვითარებაში დახვდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამასთან ერთად აცხადებდნენ, რომ აქამდე ისინი ძმურად ცხოვრობდნენ და არავითარ ნაციონალურ შუღლს ადგილი არ ჰქონია, რომ ახლა სოფლებში დაძრწიან ბნელი პირები და სომხებს თათრების წინააღმდეგ ამხედრებენ, თათრებს სომხების წინააღმდეგ[3].

1918 წლის თებერვალში დაშნაკების წაქეზებით ერევანში კვლავ განმეორდა მუსლიმანურ მოსახლეობაზე თავდასხმა. ამას მოჰყვა მუსლიმანური კომიტეტების პროტესტები მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამავე დროს ელიზავეტპოლში, შუშის, შემახის მაზრებში მუსლიმანურმა მოსახლეობამ მუსავატელების წაქეზებით სომხური სოფლების რბევა დაიწყო[4].

ნახჩევანში 1918 წლის თებერვალ-აპრილში გამუდმებით ხდებოდა შეტაკებანი სომხებსა და თათრებს შორის. ქალაქი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. ასეთივე მდგომარეობაში იყო ელიზავეტპოლი, სადაც მუსლიმანთა ნაციონალური საბჭო და ნაციონალური პოლკი ეწეოდა სომეხ მოსახლეობის დარბევა-ჟლეტას. მეტად დაიძაბა ვითარება ოსურ სოფლებში, აფხაზეთში. მენშევიკები ოსებისა და აფხაზების მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას ნაციონალიზმს უდებდნენ საფუძვლად და გვარდიული რაზმებით სოფლებს ანადგურებდნენ.

სეიმის მუსავატელი, დაშნაკი და მენშევიკი დეპუტატები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ ამიერკავკასიაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა. ამავე დროს ისინი ნაციონალური შუღლისა და მტრობის გაღვივებას ხან ერთმანეთს, ხან ბოლშევიკებს აბრალებდ-

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 1472, საქ. 621, გვ. 9—10.
[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, საქ. 183, გვ. 1—5.
[3] იქვე, საქ. 183, გვ. 13—15.
[4] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, საქ. 185, გვ. 1—4.

ნენ. სამხედრო მინისტრი გიორგაძე ასეთ ვითარებას ამიერკავკასიაში ხელისუფლების სისუსტით ხსნიდა. რეალური ძალა ნაციონალურ კომიტეტებს აქვთ ხელში, მთავრობა კი უძლურიაო[1] — ამბობდა იგი.

სეიმის ნაციონალისტი დეპუტატები ლაყბობდნენ ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარობის აუცილებლობაზე, სეიმის ტრიბუნიდან ცრემლებსაც კი ღვრიდნენ მომხდარი ინციდენტების გამო, მაგრამ ცხადია, დამნაშავეს არ ამხელდნენ, რადგან თვით იყვნენ დამნაშავენი. სეიმის ერთ-ერთი დეპუტატი მუსავატ და დაშნაკ თვალთმაქცებს პირში ეუბნებოდა: „თქვენ ტყუილად ხარჯავთ ლამაზ სიტყვებს, თქვენ ტყუილად თამაშობთ თითოეული ნაციის კეთილშობილურ გრძნობებზე, რადგან მე ვიტყოდი, რომ პრაქტიკაში ჩვენ სრულიად პირუკუს ვხედავთო"[2].

სეიმის 5 მარტის სხდომაზე დეპუტატთა შორის უკვე გაისმა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „ამიერკავკასიაში მუშაობს ვიღაცას შავი ხელი", რომელიც იწვევს ასეთ არეულობას, ძმათა მკვლელობებს. ამასთანავე ასეთ შავ ხელს მუსავატელები დაშნაკებსა და მენშევიკებს შორის ეძებდნენ, ხოლო დაშნაკები — მუსავატელებსა და მენშევიკებში. მენშევიკები სოციალიზმის ნიღბით დემოკრატიის ერთიანობაზე მოუწოდებდნენ და გამთიშველობას ნაციონალისტურ პარტიებს აბრალებდნენ. ნამდვილად, მათ უკვე საქართველოში ყავდათ ეროვნული საბჭოს სახით ის ორგანო, რომელსაც საქართველოს ბედი უნდა განეგო და დემოკრატიული ამიერკავკასიის ნანგრევებზე თავისი „დამოუკიდებელი" საქართველო შეექმნა.

ამზადებდნენ რა საქართველოს დამოუკიდებლობას, მენშევიკებმა აშკარად დაიწყეს კავშირის გაბმა საქართველოს თავადაზნაურობასთან და მის პარტიებთან. 29 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ გამოიტანა დადგენილება თავისი წოდებრივი ორგანიზაციის ქონების ქართველი ხალხისათვის გადაცემის შესახებ[3]. თავადაზნაურობა მოვლენების განვითარების შედეგად კარგად ხედავდა, რომ მისი წოდებრივი პრივილეგიები ამიერიდან არქივს ბარდებოდა, მან გადაწყვიტა ხალხის გული მოეგო და გადაეცა მცირე ნაწილი იმ ქონებისა, რაც ხალხისავე ოფლით და სისხლით ჰქონდა შეძენილი. ამავე დროს ამ გულუხვობით იგი მომავალ დემოკრატიულ მმართველობაში მონაწილეობისათვის გზას იწვალ-

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, საქ. 41, გვ. 228—229

[2] იქვე, გვ. 247.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 1472, საქ. 403, გვ. 6.

დავდა. თბილისელი თავადაზნაურების „ინიციატივას“ ქუთაისის თავადაზნაურობამაც მიბაძა[1]. მენშევიკურმა პრესამ თავადაზნაურობის ამ „გულუხვობისა“ და „ინიციატივის“ გამო დიდი ხმაური ასტეხა. ინტერპარტიულმა საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ. ეს ყრილობა შექმნიდა სპეციალურ ორგანოს ქონების მოსავლელად და გადაწყვეტდა „სხვა საჭირბოროტო საკითხებს“.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ყრილობაზე მოწვეული იყვნენ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. აქ იყვნენ მემამულეები, მრეწველები, ვაჭრები, სასულიერო ხელისუფალნი, უცხო სახელმწიფოთა მისიები. ერთი სიტყვით — ყველა გარდა ბოლშევიკებისა, რომლებიც ქართველი მუშებისა და გლეხების მისწრაფებათა გამომხატველნი იყვნენ. ყრილობა თავისი შემადგენლობით, როგორც ფ. მახარაძე მიუთითებს, აშკარა ნაციონალისტურ-შოვინისტურ-კლერიკალური იყო. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა მენშევიზმის ლიდერი ნ. ჟორდანია, რომელმაც ხაზი გაუსვა სწორედ იმ „საჭირბოროტო საკითხებს“, რაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებს და მათთან ერთად მენშევიკებსაც აღელვებდათ. ჟორდანიამ თავის სიტყვაში განაცხადა: „დღეს არ არსებობს ცენტრალური მთავრობა და რუსეთთან ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქოს სავსებით გაწყდა. ამნაირად, ერთი მხრით, ჩვენს ახლოს დიდი საომარი ფრონტის არსებობა, ხოლო, მეორე მხრით, რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვავალებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს ვუპატრონოთ. ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები და სთქვეს, ჩვენში არის გადასაჭრელი ორი კითხვა და საჭიროა მათ გარშემო როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური ძალების გაერთიანება. პირველი კითხვაა — შექმნა იმ საფუძვლისა, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალი და კულტურული განვითარების შენობა. დღევანდელმა ეროვნულმა ყრილობამ ამ შენობას ერთი ქვა უნდა დაუდვას საფუძვლად“. ჟორდანიას ეს საპროგრამო განცხადება ქართველი ნაციონალისტებისათვის ნამდვილი ზეიმი იყო. მენშევიკების ლიდერი აქ ხელს იღებდა ნაციონალ-დემოკრატებთან, ქართველ ფედერალისტებთან ყოველგვარ დავაზე და, ღალატობდა რა კლასობრივ პრინციპს, „საერთო ნიადაგის“ პოზიციებზე ეშვებოდა. მენშევიკების მიერ წამოყენებული პროგრამა ამ ყრილობაზე საქართველოს

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 1472, საქ. 403, გვ. 16.

დამოუკიდებლობას მოითხოვდა და ამ ყრილობასაც, ნამდვილად, პირველი დამფუძნებელი ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა.

ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, მიიღო რეზოლუციები, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, გამოსცა მოწოდებები, რომლებიც რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

შექმნეს რა ეროვნული საბჭო, მენშევიკებმა აქაც წამყვანი როლი დაიკავეს და ეს ორგანო, რომლის ინიციატივით უკვე დაიწყო ეროვნული პოლკების ჩამოყალიბება, გადააქცევს თავის დასაყრდენ ძალათ მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ **ბრძოლისათვის.** კომისარიატის თვალწინ და მის საპირისპიროდ ეს ორგანო უკვე ამზადებდა საქართველოს გამოთიშვას „დემოკრატიული“ ამიერკავკასიიდან. შემთხვევითი როდია, რომ ფონ ლოსოვს დახმარებისათვის პირველ რიგში ეროვნულმა საბჭომ მიმართა. იგივე ეროვნული საბჭო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სეიმის დაშლის პირველსავე დღეს საქართველოს ბურჟუაზიულ მთავრობად იქცა.

მთელი ეს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილით გამსჭვალულმა მენშევიკურმა პარტიამ საბოლოოდ ამოსდო მაუდქვეშ სოციალისტური რეზოლუციები, დაივიწყა კლასთა ბრძოლა და კლასობრივი პრინციპი, უღალატა ნაციონალურ საკითხში თავის პირვანდელ თვალსაზრისს, კავშირი შეჰკრა ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობასთან და მათთან კოალიცია იმისათვის გამოიყენა, რომ მუშათა და გლეხთა მოძრაობა სისხლში ჩაეხშო, გერმანელ კოლონიზატორთა უღელი მიეღო და მათი ხიშტების დახმარებით ბურჟუაზიული დიქტატურა დაემყარებინა.

მენშევიკების საქმიანობა ამ მხრივ სავსებით ემთხვეოდა მუსავატელებისა და დაშნაკების საქმეებს, რომლებიც სეიმისაგან მალულად და საპირისპიროდ აზერბაიჯანსა და სომხეთში თავიანთ ბატონობას ამზადებდნენ უცხოელი იმპერიალისტებისა და მემამულური კონტრრევოლუციის ხიშტების დახმარებით.

თ ა ვ ი VII

ამიერკავკასიის მშრომელი მასების შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის კონტრრევოლუციური სეიმის პერიოდში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში შემთანხმებლური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გავლენა მუშათა და გლეხთა შორის არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებანი მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ერთი მხრივ, ხოლო, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატისა და სეიმის მიერ შეძლებული კლასების აშკარა დაცვა, მეორე მხრივ, მუშებისა და გლეხების შეგნებაში სწრაფ გარდატეხას იწვევდა. ესერების, მენშევიკების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გავლენა თანდათან მცირდებოდა. მასები მათ ზურგს აქცევდნენ და ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ ირაზმებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საბრძოლველად.

1917 წლის დეკემბერსა და 1918 წლის იანვარში თბილისის პროლეტარიატის შეგნებაში საგრძნობი გარდატეხა მოხდა. იგი პოლიტიკური მოვლენების აქტიურ მეთვალყურედ იქცა და კომისარიატის რეპრესიებს მკაცრი საპროტესტო გამოსვლები დაუპირისპირა. შამქორში ჯარისკაცების დახვრეტას თბილისის წარმოება-დაწესებულებებში მოჰყვა მუშათა ერთსულოვანი აღშფოთება, რაც კომისარიატის წინააღმდეგ მიმართულ რეზოლუციებში გამოიხატა. კიდევ უფრო მკაცრი პასუხით შეხვდნენ თბილისელი მუშები ბოლშევიკური გაზეთების დახურვას და ბოლშევიკების დაპატიმრებას. ქალაქის მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში მთავრობის ამ აქტს მოჰყვა პოლიტიკური გაფიცვები. მუშებმა მოითხოვეს ბოლშევიკური გამოცემების განახლება და დაპატიმრებული ბოლშევიკების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მუშათა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტამ სავსებით

ჩამოხადა ნიღაბი ამიერკავკასიელ კონტრრევოლუციონერებს. საპროტესტო მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში მუშები საბჭოთა ხელისუფლებისათვის იარაღით ბრძოლის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ.

იანვარ-თებერვლის თვეებში გააქტიურდნენ ბათუმის, ჭიათურის, ტყიბულის, ფოთისა და ერევნის მუშები. ყველგან გაისმოდა შემთანხმებლების მამხილებელი მკაცრი ხმა. აღსანიშნავია, რომ მასების თვალში თავიანთი პოლიტიკის გაკოტრებას აღარ მალავდნენ მენშევიზმის ლიდერებიც კი. ნ. ჟორდანია სეიმის სხდომაზე 1918 წ. თებერვალში შეშფოთებული აღიარებდა, რომ „მუშათა კლასის განწყობილება ბოლშევიკურია, თვით მენშევიკი მუშებიც ბოლშევიზმით არიან დაავადებულიო“.

უდიდესი გარდატეხა მოხდა ამიერკავკასიის სოფლებში. ნოემბერ-დეკემბერში გლეხობა სდუმდა. იგი ჯერ კიდევ ნდობით უყურებდა მენშევიკებსა და ესერებს. მას იმედი ჰქონდა დამფუძნებელი კრებისა, რომელსაც მრავალი თვის განმავლობაში შემთანხმებელთა ოქროპირი აგიტატორები ყოვლისშემძლე დაწესებულებად აღიარებდნენ. მაგრამ მოვლენებმა სოფლადაც გაფანტა ბურუსი: გლეხობამ ვერ მიიღო მიწა, დამფუძნებელი კრება კი კონტრრევოლუციის თავშესაფარი აღმოჩნდა. ამასთან ერთად სოფლებში დაბრუნდნენ დასავლეთის ფრონტებზე ნამსახური ჯარისკაცები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ რუსეთში განხორციელებული აგრარული კანონის ამბავი მოიტანეს. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილი და სოფლებში საბჭოთა ხელისუფლების მგზნებარე აგიტატორებად იქცნენ. მენშევიკური ორგანო „სოციალ-დემოკრატი“ ჯარისკაცების განწყობილებას რომ ახასიათებდა, მწუხარებით აღნიშნავდა: „ჯარისკაცების სოფლად შემოსვლამ ახალი საფრთხე შემოიტანა და რევოლუციის (წაიკითხე კონტრრევოლუციის — ა. ს.). მდგომარეობა საფრთხეში ჩააგდო. ჯარისკაცები ცარიელი როდი დაბრუნდნენ შინ. მათ თან მოიტანეს ეგრეთწოდებული ბოლშევიზმი და სოფელს საჩუქრად შესთავაზეს. დღეს მცნება ჯარისკაცი და ბოლშევიკი ერთმანეთშია გადახლართული. ეს სიტყვები სინონიმებია და ვინც ახსენებს ჯარისკაცს, მან ამავე დროს უნდა ახსენოს ბოლშევიკიცო“[1].

იგივე გაზეთი, ამავე დროს, აშკარად ემუქრებოდა ფრონტიდან დაბრუნებულ გლეხებს და აცხადებდა:

„ზოგიერთ სოფლებში მობოლშევიკო ჯარისკაცები ხალხს აქე-

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ № 259, 1918 წ.

ზებენ ძთავრობის წინააღმდეგ. უნდა იცოდნენ აღნიშნულმა პირებმა, რომ მათ ასეთი წაქეზებისათვის სიკვდილით დასჯა მოელით და სჯობს ხელი აიღონ ასეთ მოქმედებაზე. უკვე დასაჯეს რამდენიმე პირი, რომლებიც ასეთ გამოსვლებს ახდენდნენო[1].

საბჭოთა ხელისუფლების აგიტაციისათვის სოფლებში ჯარისკაცებს ნიადაგი მომზადებული დახვდათ. კომისარიატის გამოცემული აგრარული კანონი არ ტარდებოდა. მთავრობის მხარდაჭერით წაქეზებული მემამულეები ძველებურად თარეშობდნენ. ანარქია და შიმშილობა ძლიერდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლება ეჭმაგებოდა სოფლის შეძლებულ პირებს. უავტორიტეტო ხელისუფლებას ძალა დაკარგული ჰქონდა, რითაც სარგებლობდნენ ბნელი ელემენტები. მომრავლდა ქურდობის, ბანდიტიზმის შემთხვევები.

ყველაფერი ეს გლეხობაში სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. მას უკვე მოსდიოდა ამბები რუსეთში ბოლშევიკების დიადი საქმეების შესახებ. იგი იმასაც ხედავდა, რომ ამიერკავკასიის შეძლებულმა კლასებმა და მათი ინტერესების დამცველმა პარტიებმა რუსეთს განგებ მოგლიჯეს ამიერკავკასია. გლეხობა რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მხურვალე დამცველი იყო და კონტრრევოლუციონერთა მიერ გამოცხადებული „დამოუკიდებლობის“ ზურგს უკან მისი ჩაგვრის დაკანონების ცდებს ხედავდა. ამ ვითარებაში ფრონტელი ჯარისკაცების სოფლად ჩამოსვლამ ბრძოლის ცეცხლი სწრაფად გააღვივა. სულ მალე ამიერკავკასიის სოფლები რევოლუციის ხანძარში გაეხვია.

მშრომელი გლეხობის რევოლუციური ბრძოლის გააქტიურებამ ადგილობრივი ხელისუფლება ფეხზე დააყენა. მაზრისა და გუბერნიის კომისრებმა ნაძირალა ელემენტებისაგან შეიარაღებული რაზმების შედგენა დაიწყეს. ამავე დროს კომისარიატს საგანგებო რწმუნებანი მოსთხოვეს. თბილისის გუბერნიის მაზრის უფროსთა ყრილობაზე, რომელიც 1918 წლის 23-26 იანვარს მიმდინარეობდა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხმად ჩიოდნენ, რომ „ანარქიის“ მთავარი მიზეზია სოფლად მრავალხელისუფლებიანობა, საჭიროა ენერგიული ღონისძიებანი, მთელი ძალაუფლების კომისრებისათვის გადაცემა, საბჭოების და აღმასრულებელი კომიტეტების ლიკვიდაცია, იარაღი და სხვ.[2]

თბილისის გუბერნიის კომისარი მენშევიკი ჯაფარიძე ამიერ-

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ № 371, 1918 წ.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 1472, ს. 582, გვ. 1—2.

კავკასიის კომისარიატისადმი მოხსენებაში 24 იანვრის თარიღით აღნიშნავდა:

„ამიერკავკასია ანარქიის ალშია გახვეული. შრავალხელისუფლებიანობა, ნამდვილი უფროსის უყოლობა ქვეყანაში ნგრევის მთავარი მიზეზია. ამიერკავკასიის კომისარიატი, აღმასრულებელი კომიტეტი, სამხარეო ცენტრები, ნაციონალური საბჭოები — ყველანი უფროსები არიან, ყველანი მართავენ, ყველანი კანონებს სცემენ, რომელიც არ სრულდება, რადგან ბოლოს და ბოლოს, აღარ ვიცით ვის დავემორჩილოთ, ვინ განაგებს...

წესრიგის აღსადგენად აუცილებელია მტკიცე, სრული და განუყოფელი ავტორიტეტული და ყველასაგან აღიარებული ხელისუფლების შექმნა. აუცილებელია, რომ მოქალაქეები გრძნობდნენ ასეთი ხელისუფლების არსებობას“[1].

მენშევიკი ხელისუფალნი განგებ ხუჭავდნენ თვალს სოფლად შექმნილი ვითარების ნამდვილი მიზეზების გამო. ისინი მალავდნენ, რომ გლეხობა თავისი ადამიანური უფლებების დასაცავად აღსდგა და მის რევოლუციურ ბრძოლას ანარქიად აცხადებდნენ, ხოლო „წესიერების აღდგენის“ მთავარ საშუალებად მიაჩნდათ სოფლად არჩევითი ორგანოების ლიკვიდაცია, მეტი იარაღი, ე. ი. მეფის მთავრობის მეთოდებით ბრძოლა. მაგრამ გამოღვიძებული გლეხობა ახლა აღარც ხელისუფლების რეპრესიულ ღონისძიებებს ეპუებოდა და კატეგორიულად აყენებდა მოთხოვნებს: „1) საბჭოთა ხელისუფლება, 2) პირების უსასყიდლოდ ჩამორთმევა მემამულეებისაგან და გლეხებზე გადაცემა და 3) რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერა“[2].

1918 წლის იანვარში თბილისის გუბერნიაში მშრომელი გლეხობის ბრძოლამ მემამულეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი ხასიათი მიიღო. თიანეთის, დუშეთის, ბორჩალოს მაზრის კომისრები, ჩიოდნენ რა თავის უილაჯობაზე, კომისარიატს ჯარებით დახმარებას სთხოვდნენ. მღელვარებამ მოიცვა ქუთაისის გუბერნია, მთელი აფხაზეთი, ერევნისა და ალექსანდროპოლის გუბერნიები.

აგრარულმა მოძრაობამ განსაკუთრებით მძლავრი გაქანება აზერბაიჯანში მიიღო. გაბოროტებული გლეხობა თითქოს ეროსულოვნად დაეტაკა მემამულე ბეგებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც თავს არხეინად გრძნობდნენ და ვეებერთელა

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 153, საქ. 118, გვ. 9.

[2] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭ. ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 106.

ლატიფუნდიებში ძველი ფეოდალური წესრიგი ჰქონდათ შემონახული.

6 იანვარს ელიზავეტპოლის მაზრის ცნობილი მემამულეების ზულგიადაროვების წინააღმდეგ ადგილობრივმა გლეხებმა შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს. მემამულეების 6 ოჯახი თითქმის მთლიანად ამოხოცეს, სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, ქონება ერთმანეთში გაინაწილეს. ელიზავეტპოლიდან ამიერკავკასიის კომისარიატს ატყობინებდნენ: აგრარულმა მოძრაობამ ფართო გაქანება ჰპოვა. „მოკლულია მრავალი მემამულე, ცხედრები დაწვეს, მთელი ქონება ცეცხლს მისცესო“[1].

ერთდროულად გლეხთა შეიარაღებულმა გამოსვლებმა იფეთქა ყაზახის, არეშის, შუშის, ჯევაშირის, ჯევადის, ლენქორანის, გეოგჩაის, შემახის, ყუბის მაზრებში. მემამულე შამხორსკების, კარაბეკოვების, გოლიცინების, სულთანოვების, ვეზიროვების და სხვათა მამულები და სახლკარი ცეცხლში გაეხვია. მარტო ელიზავეტპოლის მაზრაში გლეხებმა ხელთ იგდეს მემამულეთა 100 ათასი ღესეტინა მიწა. გლეხები მემამულე ბეგებს რომ ანგარიშს უსწორებდნენ, ადგილებზე ქმნიდნენ თავიანთ მმართველობას. გამარჯვებული გლეხები მისალმებით მიმართავდნენ ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, სახალხო კომისართა საბჭოს, მოითხოვდნენ დახმარებას.

ეს უკვე ამიერკავკასიაში ნამდვილი რევოლუციის დასაწყისს მოასწავებდა. საბჭოთა ხელისუფლების ციტადელის—ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მხარდამხარ დადგა მშრომელი გლეხობა. ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გლეხთა მასობრივ მოძრაობაში იმთავითვე დაინახეს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისი. ს. შაუმიანმა მუშურ-გლეხური მთავრობის სახელით მუსლიმანური პროვინციების გლეხობას მიმართა მგზნებარე მოწოდებით:

„ძმებო, გლეხებო! დაჰკრა საათმა, როცა თქვენ საბოლოოდ უნდა მოიცილოთ თავიდან მემამულე-მიწათმფლობელების, ხანების, ბეგების, აღალარების და სხვების საუკუნეებრივი უღელი. ხანებმა, ბეგებმა და აღალარებმა მეფის მოხელეთა დახმარებით, გაბოაცხადეს რა მიწები მთლიანად თავიანთ საკუთრებად, თქვენ ნამდვილ მონებად გადაგაქციეს და მრავალი ხნის განმავლობაში უსინდისოდ გძარცვავდნენ. და გჩაგრავდნენ, მაგრამ ახლა ყოველივე ამას ბოლო ეღება!

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 1, ს. 74, გვ. 38.

გლეხებო, მუსლიმანებო! აქ, ამიერკავკასიაში აქამდე მთავრობის სათავეში დგანან თქვენი ხანები და ბეგები და მათი მოკავშირეები სხვა ერებიდან. თქვენ უკვე დაიწყეთ აბოხება იანვრის დასაწყისიდან თქვენი ბეგების წინააღმდეგ და მათს მიწებს ეუფლებით.

მუშურ-გლეხური მთავრობის სახელით მივესალმები თქვენს ბრძოლას. მიწა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. რასაც ახლა თქვენ ხელთ იგდებთ, მას თქვენ ვერავითარი ძალა ვერ წაგართმევთ.

არაა საჭირო თქვენი ხანებისა და ბეგების, მათი ცოლებისა და შვილების მოკვლა, არაა საჭირო მათი ქონების დაწვა და განადგურება. როცა თქვენ მათ მიწას და სიმდიდრეს ჩამოართმევთ, ხანები და ბეგები თქვენთვის აღარ იქნებიან საშიშნი, ხოლო მათი ქონება და სახლ-კარი დეე, ხელუხლებლად დარჩეს თქვენს საკუთრებაში.

თქვენი ბედი და თქვენი შვილების მომავალი თქვენს ხელშია. რუსეთის ახალი მუშურ-გლეხური მთავრობა თავისუფლებასა და ბედნიერებას უსურვებს მუსლიმან ხალხს.

ძირს ხანებისა და ბეგების საუკუნეობრივი უღელი!"[1].

ამხ. ს. შაუმიანი, მიესალმებოდა რა გლეხობის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ამავე დროს, მათ ორგანიზებულობისაკენ, უმიზნო სისხლისღვრისა და ნგრევისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდებდა. ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანას ამ დროს გლეხთა აზღვავებულ მოძრაობაში წესრიგის, ორგანიზებულობის შეტანა, მისი სპყოველთაო აჯანყებად გადაქცევა წარმოადგენდა.

მიუთითებდა რა გორის მაზრის გლეხთა აგრარული მოძრაობის სისხლიან, ტერორისტულ ხასიათის უარყოფითობაზე, გაზეთი „კავკაზსკი ვესტნიკ სოვეტა ნაროდნიხ კომისაროვ" მოუწოდებდა გლეხობას: „სისხლიანი ანგარიშგასწორება ყოველად დაუშვებელი უარყოფითი მოვლენაა. შეგნებულობამ და ორგანიზებულობამ ამ მოძრაობას უნდა მისცეს არა კლასობრივი შურისგების, არამედ კლასობრივი ბრძოლის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს არა მიწათმფლობელთა — მემამულეთა ფაქტიურ სიკვდილს, არამედ ეკონომიურ სიკვდილს — მთელი მიწების კონფისკაციას და მათს გადაცემას გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში. რევოლუციურმა ორგანიზაციებმა მთელი ძალღონე უნდა დაძაბონ, რომ ნორმალური არხით წარმართონ აგრარული მოძრაობა ამიერკავკასიაში"[2].

1918 წლის თებერვალში გლეხთა აჯანყებებმა თითქმის ერთ-

---

[1] С. Шаумян. Статьи и речи, გვ. 106—107.

[2] Вестник Совета народных комиссаров № 1, 1918 წ.

დროულად იფეთქა ლეჩხუმის, გორის, ზუგდიდის, სენაკის მაზრებში, აფხაზეთსა და დუშეთში.

ლეჩხუმის მაზრა საქართველოს მთიან, განაპირა უბანს წარმოადგენდა. მაზრის მცირე მიწიანი და ღარიბი მოსახლეობა ქვეყნის სამეურნეო ნგრევის ვითარებაში გაძვალტყავდა და შიმშილობდა. 1918 წლის დასაწყისში მდგომარეობა უკიდურესობამდე გამწვავდა. მაზრაში სრულიად გაქრა პირველმოთხოვნილების საგნები. დამშეული ხალხი, როგორც ამას შემთანხმებლური პრესაც არ მალავდა, პურის, ნავთის, მარილის უქონლობის გამო დრტვინავდა.

მაზრაში 1917 წელს არც კი არსებობდა დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია. მენშევიკები აქ თავს არხეინად გრძნობდნენ. მოსახლეობას სჯეროდა მათი დაპირებებისა და ელოდა აგრარული კანონის გატარებას, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, როცა იქ დასავლეთის ფრონტელი ჯარისკაცები დაბრუნდნენ. მოსახლეობაში ჯარისკაცებმა საბჭოთა ხელისუფლების აგიტაცია გააჩაღეს. ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობის ასამხედრებლად ნიადაგი შემზადებული იყო. მალე ჯარისკაცების ინიციატივით ლეჩხუმის მრავალ სოფელში ჩამოყალიბდა გლეხთა რაზმები, რომლებიც იარაღის შეძენას და აჯანყებისათვის მზადებას შეუდგნენ. იანვრის ბოლო რიცხვებში სოფ. დეხვირში შედგა ბოლშევიკი ფრონტელი ჯარისკაცებისა და გლეხთა აქტივის არალეგალური კრება, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება მოეწყოთ ლეჩხუმის გლეხთა სამაზრო ყრილობა, და თუ მენშევიკები ნებით არ დათმობდნენ ხელისუფლებას, აჯანყება დაეწყოთ. არჩეულ იქნა დელეგაცია ბოლშევიკური ორგანიზაციების ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტთან მოლაპარაკებისათვის. საგუბერნიო კომიტეტმა ლეჩხუმელი გლეხობის მოთავეებს ურჩია გამოსვლისაგან თავი შეეკავებინათ მანამ, ვიდრე ამის სიგნალი მათ მიცემული არ ექნებოდათ. საგუბერნიო კომიტეტი სწორედ ამ პერიოდში გლეხობის საყოველთაო აჯანყების სამზადისს ეწეოდა და ვადაზე ადრე და ცალკეული გამოსვლა, ცხადია, საზიანოდ მიაჩნდა.

თებერვლის დასაწყისში ლეჩხუმის მაზრაში გლეხთა მიტინგები თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. მიტინგებზე იღებდნენ ბოლშევიკურ რეზოლუციებს, რომლებშიც დაგმობილი იყო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ხელისუფლება და გაისმოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლისაკენ მომწოდებელი ხმა. სოფ. ლასურიაში მოწვეულ ყრილობაზე, სადაც ესწრე-

ბოდნენ წარმომადგენლები მთელი მაზრიდან, გლეხებმა სამაზრო ერობას მოსთხოვეს მონაწილეობა მიეღო ყრილობის მუშაობაში, ხოლო როცა ერობამ უარი შემოთვალა, მას გაეგზავნა ულტიმატუმი ცაგერის დატოვების შესახებ.

ადგილობრივი ხელისუფლება ცაგერის გამაგრებას შეუდგა. გლეხობაში აჯანყებისათვის გაცხოველებული მზადება დაიწყო. რაზმელებმა ჩამოაყალიბეს სამხედრო რევოლუციური შტაბი ი. სვანიძის მეთაურობით. შეიქმნა საველე შტაბები. ჩამოყალიბდა სამხედრო რევოლუციური ტრიბუნალი. აჯანყების მოთავეებს გარკვეული სტრატეგიული გეგმაც ჰქონდათ. შტაბმა არ დაუჯერა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მითითებას და დაიწყო ცაგერზე შეტევა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ცაგერი, გარეკეს ადგილობრივი მენშევიკური ხელისუფლება, განაიარაღეს მენშევიკი გვარდიელები, გაათავისუფლეს პატიმრები და მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

გლეხთა რაზმების მიერ ცაგერის დაკავების ამბავი მთელ მაზრას მოედო. გლეხობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ახალ ხელისუფლებას. სოფლებში დაიწყო საბჭოების ახალი შემადგენლობის არჩევა და რევოლუციური წესრიგის დამყარება.

ლეჩხუმის ამბებმა ფეხზე დააყენა ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლება. საგუბერნიო კომისარმა კაჩუხაშვილმა გადაწყვიტა, პირველ რიგში, მუქარით იძულებული გაეხადა აჯანყებული გლეხობა იარაღი დაეყარა. ლეჩხუმში გაგზავნილ იქნა დ. დადეშქელიანი, ბ. კუპრაშვილი, რაზმაძე და სხვა მენშევიკები გვარდიელთა რაზმისა და ჯავშნიანი ავტომობილის თანხლებით[1].

აჯანყებულმა გლეხებმა ცაგერზე მისასვლელები გაამაგრეს. ამავე დროს გვარდიელებს გზები მოუჭრეს. დადეშქელიანი და მისი მხლებლები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. დადეშქელიანი, რომელიც გლეხებს აგინებდა და მუქარით მიმართავდა, ერთ-ერთ კრებაზე მოკლულ იქნა. ამავე დროს შეიარაღებულმა რაზმებმა გვარდიელები განაიარაღეს და ისე გაისტუმრეს ქუთაისისაკენ.

ლეჩხუმის საბჭომ გლეხობის სახელით მოწოდებით მიმართა მთელი საქართველოს მუშებსა და გლეხებს მხარი დაეჭირათ მათს სამართლიან ბრძოლაში. „დღეიდან რევოლუციური მუშა-ხალხი ლეჩხუმისა — ნათქვამი იყო მოწოდებაში — არ სცნობს ისეთ მთავრობას, რომელმაც, ერთის მხრივ, რუსეთს გამოჰყო ამიერკავკასია თვით საქართველოს დემოკრატიის დაუკითხავად და რომელიც სომ-

[1] გახ. „ჩვენი ბრძოლა“ № 4, 1918 წელი.

ხის შოვინისტებთან და თათრის ბეგ-აღალარებთან ერთად სეიმს ამშვენებს, ხოლო მეორეს მხრივ კი, მუშათა მოძრაობას უარყოფს და მის საწინააღმდეგო კონტრრევოლუციურ აგიტაციას ეწევა. ყველა ქალაქის, მაზრის და სოფლის მუშებო! მოგიწოდებთ, ჩვენთან ერთად დადგეთ იმ დროშის ქვეშ, რომელზედაც ცეცხლის ასოებით სწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გაუმარჯოს რევოლუციურ რუსეთს!

ლეჩხუმის მაზრა რევოლუციურ რუსეთთან ერთად ხელიხელჩაკიდებული გაჰყვება იმ გზას, რომელიც მას მიიყვანს სოციალიზმამდე“[1].

1918 წლის 14 (1) მარტს ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლებამ სეიმის სანქციით ლეჩხუმის მაზრა კანონგარეშე გამოაცხადა. მილიციას და გვარდიას ებრძანა ჩაეკეტათ ლეჩხუმისაკენ მიმავალი ყველა გზა. სასურსათო ორგანოებს მითითება მიეცა არ გაეგზავნათ პირველმოთხოვნილების საგნებიც კი მაზრაში. ლეჩხუმის 57.234 სული ადამიანი მეზობელ რაიონებს სავსებით მოწყვეტილი აღმოჩნდა. ჩაიკეტა სვანეთში მისასვლელი გზებიც. ქუთაისის გუბერნიის კომისარი კაჩუხაშვილი მენშევიკურ გაზეთში წერდა: „მე უკვე გავეცი ბრძანება ლეჩხუმის მაზრა კანონგარეშე იქნას გამოცხადებული მანამ, სანამ მცხოვრებთ არ ჩაუბარებიათ ყველა დამნაშავენი და იარაღი. ხაზინას, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს და მთავრობის ყველა დაწესებულებებს ებრძანათ შეწყვიტონ ყოველივე კავშირი ლეჩხუმის მაზრასთან“[2].

ლეჩხუმელი მოსახლეობისადმი ანგარიშგასწორების ამ ველურმა პოლიტიკამ მენშევიკებს სავარაუდო შედეგები ვერ მოუტანა. ლეჩხუმელი მოსახლეობის დასაცავად ქუთაისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გააჩაღა აგიტაცია დასავლეთ საქართველოს მთელ გლეხობაში. რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის საოლქო კომიტეტმა საქართველოს მშრომელებს მოუწოდა ლეჩხუმელი გლეხების მხარდამხარ ებრძოლათ[3].

„ხმა აღიმაღლეთ ლეჩხუმელებზე ძალადობის წინააღმდეგ“ — წერდა ბოლშევიკური გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“ საქართველოს ყველა მშრომელი გლეხის მისამართით. მართლაც, სწორედ ამ დღეებში იფეთქა აჯანყებამ სამეგრელოში და საქართველოს სხვა მთელ რიგ

---

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა“ № 5, 1918 წელი.

[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ № 268, 1918 წელი.

[3] გაზ. „ჩვენი ბრძოლა“ № 5, 1918 წელი.

რაიონებში. გუბერნიის კომისარი იძულებული შეიქნა მთელს გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გამოეცხადებინა.

ლეჩხუმის გლეხობა ბოიკოტმა ვერ მოსტეხა. ამას ზედ დაერთო გლეხთა გამოსვლები მეზობელ მაზრებში. მთავრობამ საყოველთაო აჯანყების შიშით ლეჩხუმზე ბოიკოტი მოხსნა, სამაგიეროდ გვარდიელთა დიდი რაზმები ფარულად გაგზავნა გლეხებისათვის ანგარიშგასასწორებლად. მარტის და აპრილის თვეებში მენშევიკური გვარდიის კარგად შეიარაღებული ნაწილები გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ლეჩხუმელი გლეხების წინააღმდეგ. გვარდიელებმა ცაგერი აიღეს, აღადგინეს ძველი ხელისუფლება, მაგრამ ამის შემდეგაც გლეხთა ცალკეულ რაზმებთან ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა და იგი გადაეჯაჭვა ლეჩხუმის გლეხობის მეორე მასობრივ გამოსვლას მაისის თვეში.

ლეჩხუმში და დასავლეთ საქართველოში გლეხთა აჯანყებების მომზადების დღეებში 20-23 თებერვალს ქუთაისში შეიკრიბა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი. კონფერენციამ დღის წესრიგში დააყენა მიმდინარე მომენტის, ხელისუფლების, მიწის, გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციის საკითხები. კონფერენციის დელეგატები 6 ათასამდე ბოლშევიკი პარტიელის სულისკვეთებას გამოხატავდნენ. ადგილებიდან მოხსენებებში ხაზგასმული იყო ის მკვეთრი გარდატეხა, რომელიც საქართველოს გლეხობაში იანვარ-თებერვლის თვეებში მოხდა — გლეხობა დარწმუნდა, რომ მენშევიკები ღალატობენ მშრომელთა ინტერესებს, და მათგან მასობრივად იბრუნა პირი. ახლა რომ სოფელში არჩევნები მოხდეს, მენშევიკები იმ ხმების ერთ მეხუთედსაც ვერ მიიღებდნენ, რაც მათ წინა არჩევნების დროს მიიღეს... თითქმის ყველა სოფელში სტიქიურად, თავისთავად ჩნდებიან ბოლშევიკური ორგანიზაციები. გლეხობამ იარაღს მოკიდა ხელი თავისი ინტერესების დასაცავად. დღევანდელი სოფლის ცხოვრებაში დამახასიათებელია ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი გლეხების აქტიობა, რომელთაც დიდი შეგნება შეიტანეს სოფლად. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენი პარტიის წევრებმა ყოფილ ჯარისკაცებს უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება და ისინი მჭიდროდ შეაკავშირონ პარტიულ ორგანიზაციებთან, ე. ი. მისცენ მათ მოქმედების გარკვე-

ული პოლიტიკური მიმართულებაო — ლაპარაკობდნენ დელეგატები[1].

კონფერენციამ დღის წესრიგის ყველა საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია.

მიმდინარე მომენტზე მიღებულ რეზოლუციაში კონფერენცია აღნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და წარმატებებს, ამხელდა და გმობდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატისა და სეიმის პოლიტიკას, რომელიც მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისა და შეძლებული კლასების ბატონობის შესანარჩუნებლად იყო გამიზნული. კონფერენციამ დასახა კომუნისტური ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა:

1) ყველგან მუშებისა და გლეხების დეპუტატების საბჭოების შექმნა და მათი სრული ძალაუფლების განხორციელება.

2) განახლებული და ახლად მოწყობილი საბჭოების ყრილობის მოწვევა მთელს ამიერკავკასიაში მუშების, ჯარისკაცების და გლეხების რევოლუციური ორგანოს შესაქმნელად.

3) შექმნა სოციალისტური ჯარისა, რომელიც საბჭოების ხელმძღვანელობით შეებრძოლება როგორც შინაურ, ისე გარეშე იმპერიალისტურ კონტრრევოლუციას.

4) გამოაშკარავება იმისა, თუ რა დამღუპველი და კონტრრევოლუციური ნაბიჯია კოალიციური მთავრობის შექმნა ამიერკავკასიაში, ერთი მხრით, და ამიერკავკასიის გამოყოფა რევოლუციური რუსეთიდან, მეორე მხრით. გამოაშკარავება იმისა, თუ რა კონტრრევოლუციური სარჩული უდევს იმ სამარცხვინო განგაშს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ატეხეს ბურჟუაზიულ-შოვინისტურმა და მენშევიკურმა გაზეთებმა ზავისა და ომის თაობაზე[2].

კონფერენციამ ხელსაყრელად სცნო რა საქართველოში შექმნილი ვითარება, მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. გლეხთა აჯანყების მომზადებისათვის ჩამოყალიბდა საგანგებო შტაბი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საშა (ალექსანდრე) გეგეჭკორი[3].

ლეჩხუმის გლეხობის გამოსვლის ერთდროულად გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო გორის მაზრაში. გორის მაზრის

---

[1] დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშ. კონფერენციის რეზოლუციები. გვ. 4.

[2] რსდმპ (ბოლშევიკების) დასავლეთ ამიერკავკასიის (ქ. ქუთაისში შეძღგარ) კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები, ქ. ქუთაისი, 1918 წ.

[3] გ. ვ. ბაჭაპური იძე. საბჭ. ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში გვ. 167.

მდიდარი მემამულეები — ციციშვილები, ამილახვრები, ვეზირიშვილები, აბაზაძეები მტკიცედ იცავდნენ ფეოდალურ წესებს და გლეხებისაგან ძველებურად მოითხოვდნენ ღალა-იჯარას. როდესაც კომისარიატმა და სეიმმა გლეხები მშრალზე დასტოვა, მათ იარაღს პოჰკიდეს ხელი და დაიწყეს მემამულეებისადმი ანგარიშგასწორება. დიდ გასაჭირს განიცდიდა აგრეთვე ოსი გლეხობა, რომელთაც მემამულეების გარდა სულს ხდიდნენ კულაკები და შევახშეები. თავადმა ხერხეულიძეებმა შეადგინეს შეიარაღებული რაზმები და დაიწყეს ოსი გლეხებისაგან გადასახადებისა და ნარჩენების იძულებით აკრება. საპასუხოდ ოსმა გლეხებმა, რომლებსაც სათავეში ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ჩაუდგნენ, აჯანყება მოაწყეს. აჯანყების ცენტრად იქცა სოფელი ყორნისი. გლეხებმა ყორნისის აღმასკომი გარეკეს, დახოცეს ხერხეულიძეები და სოფლად საბჭო ჩამოაყალიბეს. ყორნისის ამბები ოსი გლეხობის მასობრივი გამოსვლის სიგნალი გახდა. გლეხები აღარ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, არ სცნობდნენ მემამულეთა უფლებებს მიწაზე.

კომისარიატის მითითებით ოსეთში გაიგზავნა შეიარაღებული რაზმი ავანტიურისტ კ. ყაზიშვილის მეთაურობით. ყაზიშვილმა 20 თებერვალს ერედვში მოწვეულ გლეხთა მიტინგზე წარმოსთქვა მუქარით აღსავსე სიტყვა და მოითხოვა ოსი გლეხების განიარაღება. ამ ოპერაციის ჩასატარებლად ოსეთში გვარდიელთა დამატებითი რაზმები გაიგზავნა. გვარდიელები ოსურ სოფლებს შეესივნენ. მაგრამ გლეხობა ვერ გასტეხეს, გლეხთა დიდი რაზმი გვარდიელებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. აჯანყებული გლეხების მთავარ ბანაკს სოფელი ვანათი წარმოადგენდა. გლეხთა მიტინგმა, რომელიც მარტში შეიკრიბა, ამიერკავკასიის სეიმს წარუდგინა ულტიმატუმი და მისი 3 დღის ვადაში დაკმაყოფილება მოსთხოვა. ულტიმატუმში გლეხები აღნიშნავდნენ: „1917 წლ. 16 დეკემბრის დეკრეტი მიწის შესახებ ქაღალდზე დარჩა, ხოლო 1918 წლ. 7 მარტის ამიერკავკასიის სეიმის მიერ გამოცემული დეკრეტი მიწის შესახებ დიდად გვაღშფოთებს, რადგან კანონის მეორე პუნქტის მიხედვით მემამულეებს რჩება 50 დესეტინამდე. გარდა ამისა, მთავრობამ ფიქტიური გაყოფის შესაძლებლობა მისცა მემამულეების ოჯახებს მათთვის მიწების შესანარჩუნებლად, ჩვენ კი, გლეხებს ამ დეკრეტით არაფერი გვერგო. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ გადაასახლოთ მემამულეები გორის მაზრიდან, მათი მიწები კი პროპორციულად გაანაწილოთ მცირემიწიან გლეხებს შორის, ხოლო მათი სახლები გადასცეთ სკოლებისათვის.

ჩვენს უარს ვამბობთ გადაუხადოთ მემამულეებს შარშანდელი გადასახადი მიწისა და საძოვრების სარგებლობისთვის — ღალა და საბალახო"[1].

ეს დოკუმენტი დელეგატების ხელით სეიმს გაეგზავნა, მაგრამ სეიმმა იგი არ მიიღო, ხოლო დელეგაციის ერთი წევრი მოკლულ იქნა.

გლეხებმა გადასწყვიტეს ცხინვალის დაკავება და მის გარეუბანში დაბანაკდნენ. ამავე დროს შედგენილ იქნა მოწოდება ოსი და ქართველი გლეხებისადმი, გვარდიელებისადმი. გვარდიელებს ისინი მიმართავდნენ ხელი აეღოთ გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაზე. „...ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ მოვითხოვოთ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შესრულება. ჩვენ შაშხანები საბჭოთა რუსეთმა მოგვცა და ისინი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეგვიძლია მივცეთ. ამიერკავკასიის სეიმი თქვენ გატყუებთ, თქვენ კი ჩვენ გვაწვალებთ, მოტყუებას ბოლო უნდა მოეღოს..."[2]—წერდნენ გლეხები.

აჯანყებულებმა შეუტიეს ცხინვალს და ბრძოლით დაიკავეს იგი. 20 მარტს გამარჯვებული გლეხების კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა ოსეთის მშრომელებისადმი. აქ აღნიშნული იყო, რომ ამიერიდან ოსეთში უქმდება წოდებრივი და ნაციონალური პრივილეგიები, მთელი ძალაუფლება ხალხის ხელისუფლების — საბჭოების ხელში გადადისო.

გორის მაზრიდან და თბილისიდან სეიმისა და მთავრობის განკარგულებით ოსეთში გაიგზავნა ახალი ძალები, რომელთაც სათავეში ჯუღელი და კონიაშვილი ედგნენ. მრავალრიცხოვანმა ჯარმა მოახერხა აჯანყებულთა შეკვრა და აიძულა ცხინვალი დაეტოვებინათ. გვარდიელები ჯუღელის მეთაურობით უსასტიკეს ზომებს მიმართავდნენ, განუკითხავად ხოცავდნენ გლეხებს, წვავდნენ და აწიოკებდნენ მათ სახლკარს. აჯანყების ჩაქრობაში მენშევიკ გვარდიელებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოსეთის კულაკებმა, ადგილობრივმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა საბჭომ გაგლოვების მეთაურობით.

ოსეთის გლეხთა მოძრაობას მენშევიკური პრესა ხატავდა როგორც ნაციონალისტურ გამოსვლას ქართველების წინააღმდეგ. ცხადია, ეს სინამდვილის სრული დამახინჯება იყო, რადგან ოსები და ქართველები ერთიან რაზმებში იმყოფებოდნენ და ძმურად მოქმე-

---

[1] სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, გე. 31, ნაკ. 11, 1935 წ.

[2] იქვე. გე. 32.

დებდნენ საერთო მტრების — მემამულეებისა და ვაჭარ-კულაკების წინააღმდეგ. ნაციონალისტურ ექსცესებს ღარიბ მოსახლეობაში ერთხელაც არ ჰქონია ადგილი.

მენშევიკურმა პრესამ ლეჩხუმის, ოსეთის გლეხთა აჯანყებების ნამდვილი მიზეზების მიფუჩეჩება დაიწყო და გამონახა ახალი „დასაბუთება“: მენშევიკური გაზეთი „ერთობა“ წერდა 1918 წლ. მარტში, რომ „შეგნებული საქართველოს წინააღმდეგ აჯანყდა ვანდეა“. მენშევიკები გაჰყვიროდნენ, რომ აჯანყება საქართველოს ჩამორჩენილ რაიონებს — ლეჩხუმს, ოსეთს მოედო იმიტომ, რომ მოსახლეობა აქ უვიცია, არ ესმის დემოკრატიზმის პრინციპები და ამოცანებიო. მოვლენებმა ეს დასაბუთებაც გააქარწყლა. მალე აჯანყებაში ჩაებნენ საქართველოს „მოწინავე“ რაიონებიც - - სამეგრელო, საჩხერე, კახეთი და სხვები.

თებერვლის მიწურულში სამეგრელოს სოფლებში თავი იჩინა გლეხთა მასობრივი მღელვარების პირველმა ნიშნებმა. სოფლებში იმართებოდა სეიმის წინააღმდეგ მიმართული მიტინგები, გლეხობა უარს ამბობდა არმიაში გაწვევაზე, რადგან რუსეთიდან გამოთიშვისა და თურქეთთან სეპარატული მოლაპარაკების სეიმურ პოლიტიკაში ვერავითარ გამართლებას ვერ ხედავდა. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები აქაც მღელვარების მოთავეთა როლში გამოდიოდნენ. შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას სათავეში ედგნენ ალექსანდრე (საშა) და მიხეილ (მიშა) გეგეჭკორები, ს. ასკურავა, ს. მახარაძე და სხვები. 1918 წლ. 8 მარტს საშა გეგეჭკორი მენშევიკებმა დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს. მაგრამ გეგეჭკორის დაპატიმრებამ უფრო მეტად ააღელვა მოსახლეობა, ბოლშევიკური ორგანიზაციების მეთაურობით გლეხთა მიტინგებზე საშა გეგეჭკორის განთავისუფლებას მოითხოვდნენ. ქუთაისის დამფრთხალმა ხელისუფლებამ ს. გეგეჭკორი, რომელსაც ვერავითარი კონკრეტული ბრალდება ვერ წაუყენეს, შინაურ პატიმრობაზე გადაიყვანა. ამავე დროს მენშევიკ ტერორისტებს მისცეს ფარული დავალება მოეკლათ იგი. ს. გეგეჭკორი შინაური პატიმრობიდან გაიქცა და რაზმელებთან ერთად თავი სამეგრელოს მთიან რაიონებს შეაფარა. მალე მის გარშემო შემოიკრიბა 300 რაზმელი, რომელთაც სალხინოში მენშევიკური გვარდია განაიარაღეს. მალე გეგეჭკორის რაზმი 600 კაცამდე ავიდა. აჯანყების ალში გაეხვია თითქმის მთელი სამეგრელო. მარტვილში, ბანძაში გარეკეს მენშევიკი ხელისუფალნი. აპრილის შუა რიცხვებში აჯანყება სენაკის მაზრასაც მოედო. წალენჯიხაში მმართველობა საბჭოებმა აიღეს ხელში. საშა გეგეჭკორმა ასკურავასთან და ს. მახარაძესთან ერთად შესძლო სამეგრე-

ლოს დაჭსაჭსულ აჯანყებათა ერთ ფრონტად შეკვრა, აღებულ იქნა ზუგდიდი.

სეიმი სამეგრელოს გლეხთა მღელვარებამ საგონებელში ჩააგდო. სწორედ ამ დროს საქართველო-სომხეთის საზღვრებს თურქი დამპყრობლები უტევდნენ. მენშევიკებმა ეროვნულ საბჭოსა და სეიმში ბოლშევიკების წინააღმდეგ განგაში ასტეხეს, რომ ისინი განგებ იწვევენ არეულობას ქვეყანაში, რათა თურქებს გზა გაუხსნანო. ეს ცილისწამება იყო, რადგან ბოლშევიკური პარტიას თურქეთის იმპერიალიზმის აღკვეთა ყველაზე მეტად სწყუროდა და ამის საუკეთესო საშუალებად იმ მომენტში ბრესტის ზავის პირობების აღიარება და საბჭოთა რუსეთთან განუყოფლობა მიაჩნდა, რაც ამიერკავკასიის შეძლებულ კლასებს არ აწყობდა. მენშევიკებმა სამეგრელო შინაურ ფრონტად გამოაცხადეს და იმ დროს, როცა თურქი დამპყრობლები ამიერკავკასიის სიღრმეში დაუბრკოლებლივ მიიკვლევდნენ გზას, შთელი ძალები სამეგრელოს გლეხების მღელვარების ჩასახშობად გადაისროლეს. ვ. ჯუღელი, კონიაშვილი და გლეხობისადმი სისხლიან ანგარიშგასწორებაში დახელოვნებული გენერლები „სამეგრელოს ფრონტზე“ გაჩნდნენ და სოფლების აწიოკებას შეუდგნენ.

მაგრამ აჯანყების ხანძარი ამ დროს არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ აფხაზეთში მძვინვარებდა.

აფხაზეთის გლეხური მოსახლეობა ბოლშევიკების მეთაურობით ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს შეუდგა აჯანყებისათვის მზადებას.

მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო სუხუმში. აქ თავმოყრილი იყვნენ ყოფილი მეფის ოფიცრები, ყოყოჩა თავადები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენტები, რომლებიც თავაშვებულ აგიტაციას ეწეოდნენ მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ მათ საპირისპიროდ სუხუმში მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ბირთვი მოქმედებდა და მემამულურ-ბურჟუაზიულ ბანაკზე იერიშის მისატანად ძალებს იკრებდა.

15 (28) თებერვალს სუხუმის ნავსადგურში რეიდზე ჩამოდგა კონტრმინონოსეცი „დაკია“, რომლის რევოლუციურად განწყობილ მეზღვაურებს ქალაქის ბულვარში მეფის ოფიცერ ემხუართან შეტაკება მოუხდათ. ემხუარმა ერთი მეზღვაური მოჰკლა, მეორე დასჭრა და მიიმალა. ქალაქში შეიქმნა დაძაბული ვითარება. მეზღვაურებმა მოითხოვეს ემხუარის დაპატიმრება, ძალაუფლების ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისათვის გადაცემა[1].

[1] Г. Дзидзария, Из истории борьбы за советскую власть в Абхазии в 1918 году. Труды Абхазского инст. яз., лит. и истории вз. 236.

მაგრამ გემი ულტიმატუმზე პასუხს არ დაელოდა და წავიდა. ზეორე დღეს, დილით, ადგილობრივი ბოლშევიკების გამოწვევით ნავსადგურში ბოლშევიკური კრეისერი „კაროლ კარლი“ ჩამოდგა, რომელმაც, გაერკვა რა ვითარებაში, მოითხოვა „დაკიის“ ულტიმატუმის შესრულება 24 საათის განმავლობაში.

მენშევიკები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე იძულებული შეიქნენ დაეკმაყოფილებინათ კრეისერის მოთხოვნა. შედგენილ იქნა ბოლშევიკთა შემადგენლობით სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ქალაქში უმაღლესი ხელისუფალი გახდა.

სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა დაკვრითი წესით განახორციელა ღონისძიებანი ბურჟუაზიის ასალაგმავად, მაგრამ მან ვერ გამონახა საშუალებანი, რომ სუხუმში მოპოვებული ძალაუფლება რაიონებზე განევრცო, დაემყარებინა მჭიდრო კონტაქტი აფხაზეთის რაიონულ ბოლშევიკურ უჯრედებთან, რომლებიც აჯანყებას ამზადებდნენ. მენშევიკები რევკომში ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ. რევკომი კონტრრევოლუციის დასათრგუნავად თითქმის უმოქმედობას იჩენდა, მაშინ როცა მენშევიკების ფარული დახმარებით კონტრრევოლუციონერები ქალაქზე შეტევისათვის ძალებს კრებდნენ. 3 მარტს ბოლშევიკურ სუხუმზე დაიწყო შეტევა, 5 მარტს მენშევიკებმა მოახერხეს ქალაქში გაჭრა და ძალაუფლების დაბრუნება. სწორედ ამ პერიოდში აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში გლეხთა აჯანყებისათვის გაცხოველებული სამზადისი მიმდინარეობდა. აფხაზეთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ბოლშევიკებთან ერთად შეადგინა მთელს აფხაზეთში გლეხთა საყოველთაო გამოსვლის გეგმა, რომლის თანახმად ცალკეულ უბნებზე შეიარაღებული რაზმები ყალიბდებოდა. სუხუმსა და გუმისტაში რაზმების ფორმირებას ხელმძღვანელობდნენ — ათაბეგოვი, სამურზაყანოში — ფრონტელი ჯარისკაცი ე. ძიგუა და სხვ. გუდაუთში გლეხთა დრუჟინა „კერაზი“ იარაღს იძენდა, აქ მეზღვაურთა დახმარებით გლეხთა რაზმებისათვის გადმოტვირთულ იქნა 2000 შაშხანა, გაგრაში სამხედრო გარნიზონი და შეიარაღებული გლეხთა რაზმები სიგნალს ელოდნენ ხელმძღვანელი ბოლშევიკური ცენტრიდან.

მარტის პირველ რიცხვებში გაგრაში დაიწყო ჯარისკაცთა და გლეხთა რაზმების გამოსვლა. პირველი იერიშები პრინც ოლდენბურგის სასახლეზე იქნა მიტანილი, სადაც მოთავსებული იყო ადგილობრივი კონტრრევოლუციის შტაბი. სასახლე აღებულ იქნა. ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. გაგრის შემდეგ ამოქ-

მედდა გუდაუთიც. აჯანყება წარმატებით დაგვირგვინდა. გლეხთა რაზმების მოქმედება დაიწყო გუმისტაში.

კონტრრევოლუციამ მენშევიკებთან კავშირში მობილიზაცია უყო მთელ ძალებს, შეაიარაღეს აზნაურები, კულაკობა, რამდენჯერმე მიიტანეს იერიშები აჯანყებულებზე, მაგრამ უშედეგოდ.

აჯანყებულებმა გეზი სუხუმზე აიღეს, ალყა შემოარტყეს ქალაქს და 8 (26) მარტს დაიკავეს.

მთელს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა. კონტრრევოლუციის ძალებს შერჩათ მხოლოდ კოდორის უბანი[1].

საბჭოთა ხელისუფლებამ გამარჯვების დღიდანვე გააჩაღა აქტიური მოღვაწეობა მშრომელი მასების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ძველი ხელისუფლების ორგანოების სალიკვიდაციოდ და რევოლუციური ორგანოების განსამტკიცებლად. გარეკილ იქნა საოლქო და საქალაქო მენშევიკური კომისარიატი, ქალაქის მილიცია. ჩამოყალიბებულ იქნა სამიწათმოქმედო, სასამართლო, ფინანსური, სამეურნეო და სხვა კომიტეტები, დაიწყო წითელი გვარდიის ფორმირება — გამოცემულ იქნა ბოლშევიკური გაზეთი „სუხუმსკაია პრავდა“.

რუსეთის საბჭოთა მთავრობის გამოცდილების საფუძველზე რევოლუციურმა კომიტეტმა აფხაზეთში დაიწყო ახალი ხელისუფლების შენება. ადგილებზე ირჩევდნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. განხორციელდა სახელმწიფო ბანკის ნაციონალიზაცია, შეძლებულ კლასებს დაეკისრათ გადასახადები, დაწესდა მუშათა კონტროლი საწარმოებში, სასურსათო კრიზისის მოგვარების მიზნით დაიწყო შინაგანი რესურსების სასწრაფო მობილიზაცია, დაწესდა მტკიცე ფასები პურზე, შემოზიდულ იქნა რუსეთის საბჭოთა რაიონებიდან ფქვილი, ალაგმულ იქნა კულაკებისა და მემამულეების საბოტაჟი, სამიწათმოქმედო კომიტეტები შეუდგნენ მუშაობას აგრარული დეკრეტის განსახორციელებლად, გამოქვეყნდა დეკრეტი წოდებრიობის გაუქმების შესახებ, ქალაქის უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ, კომუნისტურმა გაზეთმა „სუხუმსკაია პრავდამ“ გააჩაღა დაუნდობელი მამხილებელი ბრძოლა საბოტაჟნიკების, სპეკულანტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ. გაზეთი ამავე დროს მასებს განუმარტავდა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს, მოუწოდებდა მასებს ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, სისტემატურად აშუქებდა რსფსრ მთავრობის ღონისძიებებს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და

[1] Г. Дзидзария. Мартовские дни, გვ. 246.

მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის, ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთ და აშუქებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ მძლავრ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ეწეოდნენ.

მაგრამ აფხაზეთის რევოლუციურმა ორგანოებმა და ბოლშევიკურმა ცენტრმა აფხაზეთში დაუშვეს მთელი რიგი სერიოზული შეცდომები, რამაც კონტრრევოლუციას საბჭოთა ხელისუფლებაზე შეტევა და წარმატება გაუადვილა. სუხუმში მათ ხელუხლებელი დატოვეს ბურჟუაზიული სათათბირო, სადაც მოკალათებული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები. ასევე ხელუხლებლად დარჩნენ ნაციონალური კომიტეტები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების შტაბებს წარმოადგენდნენ. ვერ მოხერხდა დაუყოვნებელი იერიშები კოდორის უბანზე, სადაც აფხაზეთის კონტრრევოლუციის ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი. საბჭოების შემადგენლობაში აქა-იქ ისევ აღმოჩნდნენ შემთანხმებლები. აზნაურობა და კულაკობა აშკარად ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციასა და სამზადისს...

გართულდა აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების ვითარება იმითაც, რომ მენშევიკურმა ჯარებმა შესძლეს სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ლიკვიდაცია და უშუალოდ აფხაზეთს მიადგნენ. ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე სამეგრელოს გლეხობას დაამარცხებდნენ, სეიმის განკარგულებით შეიარაღებული ძალები და ოფიცრობა გაიგზავნა კოდორში. აფხაზეთის თავად-აზნაურულ-მემამულურ ძალებს აქტიურ დახმარებას უწევდა ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუცია. კოდორის უბანზე 10 მაისს გადმოსხმულ იქნა გენერალ კონიაშვილის მეთაურობით მენშევიკური არმიის ნაწილები, რომლებმაც ადგილობრივ თავადაზნაურულ-კულაკურ რაზმებთან ერთად ოჩამჩირიდან სუხუმზე დაიწყო შეტევა.

საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა დასაცავად აფხაზეთში ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით დაიწყო მუშათა და გლეხთა მოხალისე ნაწილების ფორმირება, მაგრამ მათ საკმაო იარაღი არ ჰქონდათ და ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯარის ნაწილები, რომელსაც სამხედრო ხომალდი მიაცილებდა, ვერ შეაჩერეს.

11 მარტს დაიწყო ბრძოლა მდინარე კოდორთან. საბჭოთა რაზმები 7 დღის განმავლობაში უმკლავდებოდნენ კონტრრევოლუციის ჭარბ ძალებს. მაგრამ საარტილერიო იერიშების ვითარებაში შეუძ-

ლებელი შეიქნა მათი შეკავება. 17 მაისს კოდორი და სუხუმი წითელმა რაზმებმა დასტოვეს და გუდაუთისა და გაგრის რაიონებში გამაგრდნენ.

სუხუმის დატოვების შემდეგ აფხაზეთის მშრომელები ბოლშევიკების მეთაურობით კვლავ გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ და სუხუმზე შეტევისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ მენშევიკებიც, რომლებმაც ივნისიდან თურქეთთან საზავო ხელშეკრულება დასდეს, ხოლო ქვეყნის შიგნით მოიწვიეს გერმანელთა ჯარები, თავიანთი ბატონობის უზრუნველსაყოფად, ზედიზედ გზავნიდნენ ახალ ძალებს აფხაზეთში. გენერალმა მაზნიაშვილმა ივნისში ცეცხლითა და მახვილით გაიარა სოჭის, ტუაპსეს რაიონები. მალე სამურზაყანოს შეესია გენერალ გედევანიშვილის რაზმები. მხოლოდ 1918 წლის სექტემბერში მოახერხეს მენშევიკებმა აღედგინათ აფხაზეთში თავიანთი ბატონობა. ბრძოლაში გადარჩენილმა წითელმა რაზმებმა გზა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გაიკაფეს და წითელ არმიას შეუერთდნენ.

* * *

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელი ბაქო საბჭოთა მთავრობის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იყო. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორი და ბელადი ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა ამიერკავკასიელი ბოლშევიკებისადმი, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლა მეტად რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში უხდებოდათ. კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის თანამდებობაზე შაუმიანის დანიშვნის შემდეგ სახალხო კომისართა საბჭო და პირადად ვ. ი. ლენინი, სისტემატურად ადევნებდა რა თვალყურს კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს, ს. შაუმიანს და კავკასიელ კომუნისტებს აძლევდა კონკრეტულ მითითებებს, წარმართავდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის საქმიანობას, უწევდა მათ მატერიალურ დახმარებას. 1918 წლის 14 თებერვლის თარიღით ვ. ი. ლენინი ს. შაუმიანს უდეპეშებდა:

„ძვირფასო ამხანაგო შაუმიან! დიდად გმადლობთ წერილისათვის, აღტაცებული ვარ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. შესძელით შეაერთოთ მასთან უაღრესად ფრთხილი დიპლომატია, რასაც უთუოდ გვიკარნახებს ახლანდელი უძნელესი მდგომარეობა, — და ჩვენ გავიმარჯვებთ“[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 35, გვ. 349.

ვ. ი. ლენინს შესანიშნავად ესმოდა, რომ ამიერკავკასიაში როგორც მრავალერიან მხარეში, სადაც პროლეტარული ბაქო წვრილბურჟუაზიული ოკეანის კუნძულს წარმოადგენდა, და სადაც, როგორც სასაზღვრო ქვეყანაში, იმპერიალისტური სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთისათვის საომარი პლაცდარმის შესაქმნელად ფეხმოკიდებას ცდილობდნენ. შეუძლებელი იყო მარტოოდენ ძალის პოლიტიკა. აქ საჭირო იყო უაღრესად ფრთხილი მოქმედება, მრავალრიცხოვანი მტრული პარტიების ურთიერთწინააღმდეგობის ოსტატური გამოყენება, მასების შემოკრებისათვის დაჟინებითი შეუპოვარი აგიტაცია-პროპაგანდა და საბჭოთა ხელისუფლების მოსაპოვართა გაფართოება თანდათან, ისე რომ პარტიას არ გაეჭიმა კომუნიკაციები, არ გაესწრო წინ მასების რევოლუციური წინსვლის გზაზე და ყოველი წარმატება პოლიტიკური არმიის ერთსულოვანი მხარდაჭერით განემტკიცებინა.

საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე ანგარიშს უწევდა აგრეთვე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში და საბჭოთა ეკონომიკაში ბაქოს ნავთის უდიდეს მნიშვნელობას, ნავთისა, რომელსაც ბაქოს პროლეტარიატი კონტრრევოლუციის ხელყოფისაგან იცავდა. ამიტომ სახალხო კომისართა საბჭო და რუსეთის კომუნისტური პარტიის ბიურო იმ მცირე სახსრებიდან, რაც მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს გააჩნდა, ჰყოფდა თანხებს ბაქოს კომუნისტური ორგანიზაციების დასახმარებლად. 1918 წლის პირველ მეოთხედში საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა ბაქოს დასახმარებლად 30 მილიონ 800 ათასი მანეთი გაიღო.

ვ. ი. ლენინი ს. შაუმიანს და მის თანამებრძოლებს ავალებდა მოეწყოთ ბაქოს გამაგრება და არ დაეშვათ კონტრრევოლუციური მუსავატური თეთრგვარდიული ბანდების შეჭრა ქალაქში, განემტკიცებინათ წითელი არმიის რაზმები, შეეიარაღებინათ მუშები, დაემყარებინათ უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობა აზერბაიჯანის მშრომელ გლეხობასთან. შაუმიანის წერილის შემდეგ ვ. ი. ლენინმა გასცა განკარგულება მოსკოვის სამხედრო ოლქიდან ბაქოს წითელი არმიისათვის გაეგზავნათ თვითმფრინავები, ჯავშნოსანი ავტომანქანები და შაშხანები.

ბაქოს ბოლშევიკები ხედავდნენ, თუ როგორ იზრდებოდა ამიერკავკასიის ზეცაზე სამოქალაქო ომის ღრუბელი, როგორ ეწეოდნენ ძალთა მობილიზაციას მუსავატელები, დაშნაკები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები. ისინი არც მალავდნენ, რომ პროლეტარული ბაქოს დამხობისათვის იკრებდნენ ძალებს.

რა წყაროები გააჩნდა მუსავატურ კონტრრევოლუციას?

შუსავატური კონტრრევოლუციის ერთ-ერთ ცენტრს, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ელიზავეტოპოლის გუბერნია წარმოადგენდა. ელიზავეტოპოლის მემამულეებმა აგრარული რევოლუციის ჩასახშობად შექმნეს შეიარაღებული ბეგური ბანდები, რომლებიც სისხლში ახშობდნენ გლეხობის გამოსვლას და ამავე დროს რევოლუციურ ბაქოზე შეტევას ამზადებდნენ. ელიზავეტოპოლის მუსლიმანური ნაციონალური პოლკი, რომელმაც შამქორთან რუსი ჯარისკაცების იარაღი დაიტაცა, მუსავატელებს მზა მდგომარეობაში ჰყავდათ. „ველური დივიზიის“ სარდლობა იხილავდა პროლეტარულ ბაქოზე შეტევის გეგმებს და ბაქოს მუსავატურ ცენტრთან კონტაქტისათვის სისტემატურად არალეგალურად გზავნიდა ოფიცრებს ქალაქში.

კონტრრევოლუციის საშიშ ბუდეთ იქცა დაღესტანი. დაღესტნის მშრომელი მოსახლეობა, რომლის ცხოვრებაში თებერვლის რევოლუციას არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ადგილობრივი მემამულე ბეგების, სასულიერო პირებისა და მსხვილი ვაჭრების ბატონობაში დარჩა. მსხვილი მემამულე თავადები კოპლანოვი, ალხაზოვი, ტარკოვსკი გროზნოს ნავთის მრეწველი ჩერემოევი, მსხვილი ვაჭარი ბუტაევი, ჩრდ. კავკასიისა და დაღესტნის რელიგიური მეთაური — მემამულე გოცინსკი და სხვ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოკალათდნენ კონტრრევოლუციურ ნაციონალურ საბჭოში. მათ შემოიკრიბეს ირგვლივ კონტრრევოლუციურ-ნაციონალური მემამულური ზედაფენა და გამოიტანეს გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთს გამოყოფოდნენ, შეექმნათ „დამოუკიდებელი მთავრობა“, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციასთან ერთად სისხლში ჩაახშობდა აგრარულ რევოლუციას და ძველ, მეფისდროინდელ ადათ-წესებს დაიცავდა.

მაგრამ დაღესტნის მშრომელი გლეხობა იღვიძებდა და მემამულე-თავადთა ჩაგვრის ლიკვიდაციისათვის იღებდა იარაღს. დაღესტნის საოლქო ცენტრებში პორტ-პეტროვსკისა და ტემირ-ხან-შურის საბჭოებში იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა. დაღესტანში რევოლუციური მუშაობისათვის მივლინებული ბოლშევიკი ნ. ანისიმოვი მხურვალედ ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების აგიტაციას და ირგვლივ იკრებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ რაზმებს. 1917 წლ. ნოემბერში პორტ-პეტროვსკში მგზნებარე ბოლშევიკის ბუინაკსკის მეთაურობით შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სელტნევი, ერმაშკინი, ზახაროჩკინი, ატაევი, კოტროვი, მაგომედოვი, იზმაილოვი და

სხვ. კომიტეტი შეუდგა საბჭოთა წითელი გვარდიის ფორმირებას, გარეკა ქალაქის სათათბირო და ქალაქში ძალაუფლება აიღო[1].

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დაღესტნის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა. ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი და საბჭო დაღესტანში სამუშაოდ გზავნიდნენ გამოცდილ ამხანაგებს, ეხმარებოდნენ მათ იარაღით. დერბენდის ბოლშევიკებმა კაზი მაგომედ აგასიევის, ნუგინის, მუსტადირ აიდენბეკოვის და სხვ. მეთაურობით განამტკიცეს საბჭოს პოზიციები და, მოიპოვეს რა მშრომელი გლეხობის მხარდაჭერა, დაიწყეს შეტევა მემამულურ-თავადური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

საბჭოების ლიკვიდაციის მიზნით დაღესტნის საოლქო აღმასკომმა ბლოკი შეჰკრა მემამულურ-კლერიკალურ კონტრრევოლუციასთან, რომელსაც ტარკოვსკი და გოცინსკი მეთაურობდნენ. თერგისა და დაღესტნის კონტრრევოლუციურმა „მთავრობამ“, რომელიც ტემირ-ხან-შურში იყო მოკალათებული, დაიწყო ძალთა მობილიზაცია, „სოციალისტური“ ინტელიგენციის (რომელშიც შედიოდნენ ანარქისტები, მენშევიკები, ესერები) თაოსნობით გააჩაღა აქტიური ანტისაბჭოთა პროპაგანდა. გოცინსკის აქეზებდნენ და ყოველმხრივ დახმარებას აღუთქვამდნენ თურქეთის ემისრები. მუსავატური პარტია აგრეთვე აჩქარებდა მას ბაქოზე დარტყმისათვის. გოცინსკის კონტრრევოლუციური შეტევის სულისჩამდგმელნი და გამამხნევებელნი ისხდნენ ამიერკავკასიის სეიმში, რომელთაც გოცინსკისთვის მიცემული ჰქონდათ დავალება მიეტანა იერიშები პორტ-პეტროვსკზე, გადაეჭრა ბაქო-ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზა, რის შემდეგ მათი აზრით სასურსათო კრიზისი და შიმშილობა ბაქოს პროლეტარიატს კაპიტულაციამდე მიიყვანდა.

ამ გეგმის თანახმად გოცინსკის ბანდები 1918 წლ. მარტში პარტ-პეტროვსკში გაიჭრნენ და ბრძოლით აიღეს იგი. პარტ-პეტროვსკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობის ნაწილი ასტრახანში წავიდა, ნაწილი ბაქოში გადავიდა. პორტ-პეტროვსკში გაბატონდა კონტრრევოლუცია, რომელმაც ბაქო ჩრდილოეთ კავკასიას მოსწყვიტა და რეალური საფრთხის ქვეშ დააყენა.

ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებაზე კონტრრევოლუციის შეტევის

---

[1] Г. А. Аллибеков, Великая победа, завоеванная под руководством партии Ленина-Сталина, См. Сборник статей. Очерки истории Дагестана, Махачкала, 1950. т. I, გვ. 279.

ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ აგრეთვე ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური სეიმი და ფედერაციული მთავრობა.. თებერვალ-მარტში სეიმის სხდომებზე მუსავატელი დეპუტატები მოითხოვდნენ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას. ისინი მენშევიკ დეპუტატებს გულისწყრომით უსაყვედურებდნენ, რომ მათ აქტიობა გამოიჩინეს თბილისში, 10 თებერვალს ბოლშევიკური მიტინგისათვის ტყვიები არ დაიშურეს, ბაქოს ბოლშევიკების არსებობას კი ითმენენ, რომ მუსავატურ პარტიას აღარ შეუძლია მეტი ლოდინი და იგი იმოქმედებს სეპარატულად და სხვ. ცხადია, მენშევიკებისათვის ასეთ საყვედურს საფუძველი არ ჰქონდა. სეიმის ყველა ფრაქცია თანაბრად დაინტერესებული იყო ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციით. სეიმის განკარგულებით ბაქოს მიმართულებით გაიგზავნა ჯავშნოსანი მატარებელი, სეიმი ვარაუდობდა ბაქოზე სერიოზული შეტევის მოწყობას, მაგრამ ჯერჯერობით მას, თურქეთის შეტევის განახლებისა და საქართველოს რაიონებში აგრარული რევოლუციის აზღვებების გამო, საკმაო ძალები არ გააჩნდა. სამაგიეროდ სეიმი სანქციას აძლევდა და ყოველმხრივ აქეზებდა მუსავატელებსა და დაღესტნელ კონტრრევოლუციონერებს, სთხოვდა დახმარებას ჩრდილოეთ კავკასიის ბანდებს ბაქოზე გალაშქრებაში.

ამიერკავკასიის მთავრობას პროლეტარულ ბაქოზე შეტევის დაჩქარებას სთხოვდნენ ინგლისელ იმპერიალისტთა წარმომადგენლები თბილისში. „ბაქო ბოლშევიკების ხელშია, მე რჩება მივეცი გაგზავნონ იქ ჯარები აჯანყების ჩასაქრობადო“—უდებეშებდა სმიტი აშშ სახელმწიფო მდივან ლანსინგს. ინგლისელი და ამერიკელი მრჩევლები ისე თამამად ურევდნენ ხელს ამიერკავკასიის საშინაო საქმეებში, რომ ეს სეიმის ზოგიერთი წევრის გაკვირვებასაც კი იწვევდა. სეიმის ერთ-ერთ სხდომაზე შეტანილ იქნა შეკითხვა მუსავატი დეპუტატების მიერ ანტანტის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აქტიობის მიზეზის შესახებ.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების კერა — ბაქო განსაცდელის წინაშე იდგა. მას რკალს არტყამდა კონტრრევოლუცია. 24 თებერვალს ბაქოში ჩავიდა მუსლიმანური დივიზიის შტაბი გენერალ ტალიშინსკის მეთაურობით. ტალიშინსკი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ, ვინაიდან მუსლიმანურმა ორგანიზაციებმა მუსავატელების წაქეზებით განგაში ატეხეს, აღმასკომმა თავდებობის ქვეშ ტოლიშინსკი პატიმრობიდან გაათავისუფლა. ცხადია, ტალიშინსკის გათავისუფლება არ იყო მიზანშეწონილი. ბაქოში მან ისევ გააჩაღა აჯანყებისათვის სამზა–

დისი და ისე აშკარად, რომ მისი თავდები ესერი ვეზიროვიც კი იძულებული გახდა ოფიციალურად ეცნობებინა საბჭოსათვის თავისი თავდებობის მოხსნის შესახებ.

ბაქოს პარტიული ორგანიზაცია და საბჭოს აღმასკომი, ცხადია, ხედავდნენ კონტრრევოლუციის გაფაციცებულ სამზადისს. შეჯახება გარდუვალი იყო და ბოლშევიკები საბჭოსთან ერთად აქტიური თავდაცვისათვის ემზადებოდნენ. წითელი არმიის რიგები იზრდებოდა.

„ბაქოს საბჭომ ნათლად განსჭვრიტა—წერდა შემდეგ „ბაკინსკი რაბოჩი“, რომ კონტრრევოლუციასთან ბრძოლის მთავარი არენა ბაქო და ბაქოს რაიონი უნდა ყოფილიყო, რომ სამოქალაქო ომი ბაქოში გარდუვალია, ადრე თუ გვიან ამიერკავკასიის კონტრრევოლუცია მოაწყობს თავდასხმას ბაქოს საბჭოზე, და ბაქოს საბჭო ემზადებოდა, მან შექმნა წითელი გვარდია და წითელი არმიაო“.

კომუნისტები სისტემატურად ამხელდნენ რა მუსავატელების პროვოკაციებს, მოუწოდებდნენ მუშებს მტკიცედ დაეცვათ ინტერნაციონალური სოლიდარობა და არ წამოგებულიყვნენ პროვოკაციათა ანკესზე. კომუნისტები მუშებს მოუწოდებდნენ შესულიყვნენ წითელი გვარდიის რიგებში საბჭოს დასაცავად. ამავე დროს წითელი არმიის ნაწილებს ამარაგებდნენ იარაღით, სურსათით, ტანსაცმლით. საბჭოს შეიარაღებული ძალების რაოდენობა მუსავატური აჯანყების წინ 6 ათას კაცს უდრიდა.

საბჭომ უდიდესი მუშაობა ჩაატარა კასპიის ფლოტილიაში წესრიგის დასამყარებლად. საბჭოს ზოგიერთი წევრი ფლოტისადმი სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ აღმასკომმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი ფლოტის საბჭოთა ხელისუფლების დამცველად გადაქცევის საქმეს. შექმნილ იქნა სარეორგანიზაციო კომისია შაუმიანის მეთაურობით. 11 მარტს მოწვეულ იქნა კასპიის სამხედრო ფლოტილიის მეზღვაურთა კრება. შაუმიანის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში მეზღვაურებმა გამოსთქვეს თავიანთი მზადყოფნა მხარი დაეჭირათ საბჭოებისათვის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბაქოს კომუნისტები შაუმიანთან ერთად დაძაბულად მუშაობდნენ კასპიის ფლოტილიის გადასახალისებლად. ამ მუშაობამ გამოიღო ნაყოფი. ფლოტის გარეშე ჩვენ ვერ გავიმარჯვებდითო, სამართლიანად აღნიშნავდა შაუმიანი[1].

---

[1] „Красный архив“ № 4—5, 1938 წ. გვ. 12.

მუსავატური აჯანყება ბაქოში დაიწყო 1918 წლის 30 მარტს (ახალი სტილით)*. ამ დღეს გემ „ეველინზე“ მუსავატელთა რაზმები იარაღს ტვირთავდნენ. ბუნებრივია, ბაქოს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა განიზრახა ვითარებაში გარკვევა და ამავე დროს, წინ-აღუდგა რა მუსავატელთა ღონისძიებებს, გემის შემადგენლობას იარაღის დატვირთვის შეწყვეტა მოსთხოვა. კომიტეტის დელეგაცია მუსავატელებმა დააპატიმრეს, ხოლო წითელ გვარდიელებს სროლა აუტეხეს. კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გემის ოფიცერთა შემადგენლობა იძულებული შეიქნა იარაღი ჩაებარებინა.

სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ეს გაბედული ნაბიჯი მუსავატელებისათვის აჯანყების დაწყების საბაბი გახდა. მეორე დღეს დილიდანვე მუსლიმანურ უბნებში ჩატარდა მუსავატელების მიერ ორგანიზებული მიტინგები. მუსავატელები ცილს წამებდნენ საბჭოს და სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს, — თითქოს ისინი ბაქოში მუსლიმანური მოსახლეობის პოგრომების ინიციატორებად გამოდიოდნენ. მათ მოითხოვეს „თავდაცვის“ ღონისძიებათა გატარება. მუსლიმანური მოსახლეობის მეშჩანური ნაწილი ამ ანკესზე წამოეგო. მუსავატელებმა საბჭოში დელეგატები გაგზავნეს და იარაღის დაბრუნება მოითხოვეს. ამავე დროს 5 საათსა და 15 წუთზე შემახინსკისა და თათრის ქუჩებზე (ამჟამად ჯაფარ ჯაფარლის და ნ. კ. კრუპსკაიას ქუჩები) მუსლიმანურმა ნაციონალურმა ნაწილებმა საბჭოს შეიარაღებულ ძალებს ცეცხლი გაუხსნეს. მუსავატელებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე საბჭოს ცხენოსან ასეულსა და ბატარეაზე. ა. ჯააფრიძე მუსლიმანურ დელეგატებს შეპირდა იარაღის დაბრუნებას, მაგრამ მუსავატელთა ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა არ შეწყვეტილა.

30 მარტს ღამით სარუხანაში მუსავატელებმა განაიარაღეს წითელი გვარდიის რაზმი და აქ მუსავატური ნაწილი ჩააყენეს.

პირველ აპრილს მუსავატური გამოსვლა კიდევ უფრო გაძლიერდა. აჯანყებულებმა სანგრები გათხარეს, სახლების სახურავებზე ტყვიამფრქვევები დადგეს. ცხადი შეიქნა, რომ მუსავატელებს განზრახული ჰქონდათ ხელისუფლების ხელში ჩაგდება და საბჭოების ლიკვიდაცია[1].

---

* როგორც ცნობილია, 1918 წლ. აპრილიდან ამიერკავკასიაში დაკანონებულ იქნა წელთაღრიცხვის ახალ სტილზე გადასვლა. შრომაშიც აპრილიდან ყველა თარიღი ახალი სტილით იქნება აღნიშნული.

[1] „Известия Бак. Совета“ № 62, 8 აპრილი, 1918 წ.

ბაქოს საქალაქო კომიტეტმა საბჭოსთან ერთად მიიღო სასწრაფო ღონისძიებანი წესრიგის აღსადგენად. შეიქმნა ბაქოსა და მისი რაიონების რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, ნარიმანოვი და სხვ. რევოლუციური თავდაცვის კომიტეტმა გამოაცხადა:

„1) რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი წარმოადგენს უმაღლეს სამხედრო პოლიტიკურ ორგანოს, რომელიც აერთიანებს ქ. ბაქოს და მისი რაიონების ყველა საბჭოთა ორგანიზაციას.

2) ქალაქისა და მისი რაიონების ყველა სხვა რევოლუციური პოლიტიკური ორგანიზაციები ემორჩილებიან რევოლუციური თავდაცვის კომიტეტს.

3) რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი პერიოდულად აცნობებს თავის საქმიანობას ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს.

4) რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა ყრილობას, რომელიც უახლოეს მომავალში იქნება მოწვეული“[1].

რევოლუციური თავდაცვის კომიტეტმა, გაითვალისწინა რა ქალაქის რევოლუციური ორგანოებისათვის შექმნილი საშიში ვითარება, ბაქო საალყო მდგომარეობაში გამოაცხადა[2].

სარუხანის სამრეწველო რაიონის დაკავების შემდეგ მუსავატურმა ნაწილებმა შეტევა დაიწყეს ბაილოვ-ბიბი-ეიბათის მუშათა რაიონზე, რათა ხელთ ეგდოთ სამხედრო ნავსადგური. მაგრამ წითელგვარდიულმა რაზმებმა მუსავატელთა იერიშები მოიგერიეს. 31 მარტს საბჭოთა ჯარები სამხედრო ხომალდების მხარდაჭერით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ბაქოს კომუნისტები მამედ მამედიაროვი, ა. ი. მიქოიანი, ი. ფიოლეტოვი და სხვ. უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ცალკეული რაზმების საბრძოლო ოპერაციებს. რაზმებმა მთელი რიგი ქუჩები დაიკავეს, ბრძოლით აიღეს სასტუმრო „მეტროპოლი“. ბაქოს კომუნისტების დრუჟინამ დაიკავა აგრეთვე შენობა „ისმაილი“, სადაც მოთავსებული იყო „ველური დივიზიის“ შტაბი.

ორი დღის ბრძოლის შემდეგ „ველური დივიზია“ წითელი არმიის მიერ დამარცხებულ იქნა. მუსავატური რაზმები განადგურე-

---

[1] „Известия Бак. Совета“ № 64, 11.

[2] Бюллетень комитета революционной обороны г. Баку и его районов № 1, 4 აპრილი, 1918 წ.

ბული აღმოჩნდნენ. ბრძოლის შემდგომი გაგრძელება მათი მხრივ უაზრო აღმოჩნდა. მუსლიმანური ეროვნული საბჭოს დელეგაციამ რევოლუციური თავდაცვის კომიტეტს მიმართა თხოვნით შეეწყვიტათ ბრძოლა. რევოლუციური თავდაცვის კომიტეტმა მუსავატელ მეამბოხეებს ულტიმატუმი წაუყენა და სრული კაპიტულაცია და ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების ცნობა მოსთხოვა[1].

ეს ულტიმატუმი მუსავატელების მიერ მიღებულ იქნა. დამარცხებულმა მუსავატელმა მეამბოხეებმა საომარი მოქმედება შესწყვიტეს. გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლებას დარჩა. საბჭომ და რევოლუციურმა კომიტეტმა ხელი მიჰყვეს ქალაქში წესრიგის აღდგენას.

ს. შაუმიანი რსფსრ სახკომსაბჭოს მარტის ამბების შესახებ აცნობებდა: „...სამი დღის განმავლობაში 30-31 მარტს და 1 აპრილს ქალ. ბაქოში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები. იბრძოდა ერთი მხრივ საბჭოთა წითელი გვარდია, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული წითელი ინტერნაციონალური არმია, წითელი ფლოტი, რომლის ორგანიზება ჩვენ მოკლე დროში მოვახერხეთ... მეორე მხრივ ველური... დივიზია, რომლის შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი რუსი ოფიცერია და მუსავატური პარტიის ხელმძღვანელობით მუსავატელთა შეიარაღებული ბანდები. ორთავე მხრიდან ქალაქის ბრძოლებში მონაწილეობდა 20 ათას კაცზე მეტი. ჩვენ დახმარება გაგვიწიეს აგრეთვე საავიაციო სკოლის ჰიდროპლანებმა. ბრძოლის შედეგები ჩვენთვის ბრწყინვალეა. მოწინააღმდეგე მთლიანად განადგურებულ იქნა. ჩვენ მათ ვუკარნახეთ პირობები, რომლებიც ხელმოწერილ იქნა უსიტყვოდ, დანაკარგი ორთავე მხრიდან სამი ათასს აღემატება. საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში ყოველთვის ჰაერში იყო გამოკიდებული... ნაციონალური პარტიების წინააღმდეგობის გამო.

იმ გამარჯვების შემდეგ, რომელიც ჩვენ ბაქოში მოვიპოვეთ, საბჭო საბოლოოდ განმტკიცდა და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გავატაროთ სერიოზული ღონისძიებანი.

ჩვენი, ბოლშევიკების, გავლენა ბაქოში უამისოდაც დიდი იყო. ახლა კი ჩვენ მდგომარეობის ბატონ-პატრონები ვართ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით"[2].

ამიერკავკასიის სეიმმა, განსაკუთრებით მისმა მუსავატელმა დეპუტატებმა, და საერთოდ ბურჟუაზიულ ნაციონალისტურმა და შემ-

---

[1] Бюллетень комитета рев. обороны г. Баку и его районов № 1,
[2] Партархив Института Маркса-Ленина, Аз. ССР, ф. Б.

ეანსშებლურმა პრესამ განგაში ასტეხეს ბაქოში ბოლშევიკების მიერ ვითომდა ორგანიზებულ ნაციონალისტურ ომზე. სურდათ რა დაეფარათ ბაქოს მარტის ამბებში კონტრრევოლუციური ბლოკის თანაზომა და დანაშაული, ისინი ბაქოს ბოლშევიკების მიმართ ათასგვარ ცილისწამებას მიმართავდნენ და, ამავე დროს, ამზადებდნენ ახალ ძალებს ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იერიშებისათვის.

მარტის დღეების წინ დაშნაკები, როგორც ეს დადასტურებულია, მუსავატელებს აქეზებდნენ საბჭოს წინააღმდეგ აჯანყების მოწყობაში და თავის მხრივ დახმარებას აღუთქვამდნენ. დაშნაკების პოზიცია ორპირული, ვერაგული იყო როგორც საბჭოს, ისე მუსავატური პარტიის მიმართ. მათ ცხადია, არ აწყობდათ მუსავატელების კავშირი თურქეთთან, რადგან თურქეთის ამიერკავკასიაში გაბატონება მათი გეგმების გაჭარწყულებას მოასწავებდა, მაგრამ ისინი, ამავე დროს, სიძულვილით აღსავსენი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მუსავატელების აქტიობა საბჭოს წინააღმდეგ მათს მხარდაჭერას პოულობდა. ისინი ბაქოში არაერთხელ შეუერთდნენ მუსავატელებს საბჭოს ბოლშევიკური პოლიტიკის საპირისპიროდ. თებერვალში მათ ბლოკი შეკრეს მუსავატელებთან და მოაწყეს დემონსტრაცია საბჭოს ორგანოს „იზვესტიას“ წინააღმდეგ[1].

მუსავატური ამბოხების წინა ღამეს ბაქოში დაშნაკების პარტიამ და ეროვნულმა საბჭომ თავისი წარმომადგენლის პირით მუსავატელებს განუცხადა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სომხური ძალები მუსლიმანებს შეუერთდებიანო. მაგრამ შემდეგ, როცა საბჭოთა ძალების უპირატესობა ცხადი გახდა, დაშნაკები, რომელთაც აქამდე „ნეიტრალური“ პოზიცია ეკავათ, ახლა საბჭოს მხარეზე გადავიდნენ და საბჭოს შესთავაზეს სომხური ნაციონალური პოლკის სამსახური.

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, იმის გამო, რომ ძალები მცირე ყავდა და აჯანყებას შეიძლება საშიში ხასიათი მიეღო, შესაძლებლად მიიჩნია სომხური ნაციონალური პოლკი მუსავატური ამბოხების სალიკვიდაციოდ გამოეყენებინა. პოლკში მრავალი პატიოსანი სომეხი მერმარი იყო, რომლებიც ნამდვილად საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობდნენ, მაგრამ აქ იყვნენ ნაციონალიზმის შხამით მოწამლული ავანტურისტები და მაროდიო-

---

[1] И. А. Гусейнов, Большевики—организаторы победы социалистической революции в Азербайджане, გვ. 174.

რები, რომლებმაც მუსლიმანური მოსახლეობის მიმართ მხეცური ზომები გამოიყენეს და მათ ხოცვა-ჟლეტას მიყვეს ხელი.

ბაქოს საბჭომ და ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ასეთი ავანტურისტების წინააღმდეგ იმთავითვე მიიღეს უმკაცრესი ზომები. შეიქმნა სპეციალური რაზმები მარადიორობის აღსაკვეთად. დაშნაკი მარადიორები ადგილზევე იქნენ დახვრეტილნი. მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად მოეწყო წითელარმიული კორდონები[1] და სხვ. ამრიგად, საბჭომ მოახერხა თავიდან აეცილებინა სომხურ-მუსლიმანური ძმათა მკვლელი ომი და ხოცვა-ჟლეტა.

ბაქოს საბჭოს მიერ სომხური ნაციონალური ნაწილის გამოყენება, რა თქმა უნდა, ნაკარნახევი იყო საბჭოსათვის შექმნილი მძიმე ვითარებით. დაშნაკების კონტრრევოლუციური პოზიცია ბოლშევიკებისათვის ყოველთვის ნათელი იყო, მაგრამ მაშინ, როცა საბჭოს ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, ეს ნაბიჯი აუცილებელი გახდა, ამასთანავე წითელი გვარდიის კონტროლის ქვეშ. „აუცილებელი შეიქმნა გვესარგებლა სომხური პოლკის სამსახურით, ხოლო გამარჯვება იმდენად დიდია, რომ სინამდვილეს იგი მცირედ ამუქებსო" — წერდა ს. შაუმიანი შემთანხმებელთა ცილისწამების საპასუხოდ.

სომხური ეროვნული პოლკის გამოყენებამ საბჭოს მიერ, მართალია, მარტის მოვლენებს ერთგვარად ნაციონალისტური ჩრდილი მიაყენა, მაგრამ იმავე საბჭოს ღონისძიებათა შედეგად ეს საშიში ნაკადი სასწრაფოდ დაშრეტილ იქნა. შაუმიანი თავის მოხსენებაში სწორად მიუთითებდა, რომ „კავკასიაში ყოვლად შეუძლებელია სამოქალაქო ომი ნაციონალისტური ელფერის გარეშე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ რევოლუციაზე საერთოდ ხელი ავიღოთ. უნდა ვეცადოთ შევამსუბუქოთ ის პირობები, რომლებიც ამ მტრობას იწვევენო"[2].

ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გამარჯვებისთანავე განახორციელეს მრავალი ღონისძიება ქალაქში სრული წესრიგის აღსადგენად, მუსლიმანურ და სომხურ მოსახლეობაში მშვიდობის დასამყარებლად. დაშნაკური სომხური ნაწილები განიარაღებულ იქნენ. ცხადია, ბაქოში რომ მუსლიმანურ მუსავატურ კონტრრევოლუციას გაემარჯვა, ძმათა მკვლელ ხოცვა-ჟლეტას მუსლიმან, სომეხ და რუს მოსახლეობას შორის საზღვარი არ ექნებოდა. ასეთი

---

[1] „Известия Вак. Совета" № 63.

[2] С. Шаумян, Статьи и речи, изд. 1927 г., гз. 163.

ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო.

ამ მძიმე დღეებში ბაქოს პროლეტარიატი საბჭოთა ხელისუფლების მხურვალე დამცველად გამოვიდა. აზერბაიჯანელი და სომეხი მუშები ჰგმობდნენ რა მუსავატელებისა და დაშნაკების ბნელ ნაციონალისტურ ზრახვებს, მხარში ამოუდგნენ საბჭოს, მის შეიარაღებულ ძალებს. მათ შორის ინტერნაციონალური სოლიდარობა არსებობდა და არავითარ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

ამრიგად, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური სეიმის და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და შემთანხმებლური პრესის ლაყბობა ბოლშევიკების მიერ მოწყობილ ნაციონალისტურ ომზე, ბოროტი ჭორი და პროვოკაცია იყო. იგი ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხვისათვის იყო გამიზნული. ამ პროვოკაციას წარმატება არ მოჰყოლია, რადგან ბოლშევიკებმა საქვეყნოდ ცხადჰყვეს, რომ ნაციონალისტური ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორები მუსავატელები და დაშნაკები იყვნენ, ხოლო ბოლშევიკები, ერთადერთ ძალას წარმოადგენდნენ ამიერკავკასიაში, რომელთაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა მტკიცედ ეჭირათ ხელში და ყველა ერის მშრომელი მასების ბრძოლას წარმართავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

* * *

მარტის ამბები ბაქოში არ იყო ლოკალური მნიშვნელობისა. აქ საქმე ეხებოდა არა მარტო „ველური დივიზიის" განიარაღებას, არა მუსავატური ამბოხების ლიკვიდაციას და ქალაქში მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოს პოზიციების განმტკიცებას, არამედ საბჭოთა ხელისუფლების ბედს მთელს ამიერკავკასიაში. გაიმარჯვებდა ბაქოში კონტრრევოლუცია თუ რევოლუცია, იგი მნიშვნელოვანწილად აპირობებდა ორი ანტაგონისტური ბანაკის სტრატეგიული გეგმების მთელ მსვლელობას. ა. ჯაფარიძე ბაქოს საბჭოს 8 აპრილის სხდომაზე ყურადღებას სწორედ ამ მიმართულებით ამახვილებდა, როცა ამბობდა:

„ის, რაც ამჟამად ხდება, არ წარმოადგენს „ველური დივიზიის" განიარაღების შედეგს. ამ შეჯახებაში წყდება ამიერკავკასიის ბედი: დარჩება ის ბეგებისა და ხანების ძალაუფლების და თურქეთის პროტექტორატის ან სრული მორჩილების ქვეშ, თუ რევოლუციური რუსეთის თავისუფალ ნაწილად. თუ ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს ბაქოს საბჭო, ეს იქნება ამიერკავკასიაში რევოლუციის გამარჯვება და ის გახდება თავისუფალი საბჭოთა რესპუბლიკის თავისუფალი

ნაწილი. თუ ბაქოს საბჭო განადგურებულ იქნა კონტრრევოლუციური ძალების მიერ, მაშინ ამიერკავკასია თურქეთის კლანჭებში აღმოჩნდება. ჩვენ დიდი ხანია გვქონდა ცნობები კონტრრევოლუციური ელემენტების მისწრაფების შესახებ გაენადგურებინა საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში; ეს ძალები მოქმედებდნენ ელიზავეტოპოლში, ამიერკავკასიის სეიმში, კონტრრევოლუციის რკალი გარს ერტყმოდა ბაქოს საბჭოს"[1].

ბაქოს კომუნის წინააღმდეგ კონტრრევოლუციის შეტევის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, იყო ამიერკავკასიის სეიმი და ფედერაციული მთავრობა. ეს ორგანოები ბაქოს წინააღმდეგ ლაშქრობის ორგანიზაციის საქმეში ცხადია თავიანთ როლს უმალავდნენ ამიერკავკასიის მშრომელ მასებს. ნათლავდნენ რა მარტის ამბებს ბაქოში, როგორც ნაციონალისტურ ხოცვა-ჟლეტას, ისინი საჯაროდ „მშვიდობის აღდგენის" მესვეურთა როლში გამოდიოდნენ. ამით იყო, მაგალითად, გამოწვეული ამიერკავკასიის მთავრობის მიერ დელეგაციის შექმნა, რომელსაც თითქოს ბაქოში წაკიდებული მხარეები (მათ ასეთად მიაჩნდათ მუსლიმანები და სომხები) უნდა შეერიგებინა. საკმაოდ ბუნებრივია, რომ ბაქოს საბჭომ კონტრრევოლუციური სეიმის ეს დელეგაცია არ მიიღო და ბოლშევიკური სიმართლით განმარტა, რომ ბაქოში ადგილი არ ჰქონია არავითარ ხოცვა-ჟლეტას სომეხ და მუსლიმან მცხოვრებლებს შორის, რომ მარტის ამბები ბაქოში იყო სამოქალაქო ომი, ომი ბაქოს მშრომელი კლასებისა ბეგურ-ხანური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. თავის პასუხში ბაქოს საბჭო მიუთითებდა: სეიმში რომ სოციალისტური პარტიები ისხდნენ, ისინი დაეხმარებოდნენ ბაქოს პროლეტარიატს ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბაქოს პროლეტარიატი ამ დელეგაციას წყრომით ხვდება, ხოლო რევოლუციური თავდაცვის საბჭო აფრთხილებს დელეგაციას ბაქოში ჩამოსვლით თავს ნუ შეიწუხებსო[2]. ხალხის დასანახად რომ მშვიდობის პოზიციას იკავებდა, სეიმი ფარულად ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალ შეტევას ამზადებდა. განჯელი მემამულე საფიკიურდსკი სეიმის სხდომაზე ყველა კონტრრევოლუციურ პარტიას ბაქოს წინააღმდეგ ლაშქრობისაკენ მოუწოდებდა: „ჩვენ ვთხოვთ ამიერკავკასიის მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები თავდაცვისათვის და ბოლშევიზმის სალიკვიდაციოდ... მუსლიმანური სოციალისტური

[1] გაზ. „Известия Бак. Совета" № 63. 10 აპრილი, 1918 წ.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, საქ. 66, გვ. 8.

ბლოკის სახელით, რომელიც იბრძოდა და კვლავაც იბრძოლებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ვაფრთხილებ და ვთხოვ მთავრობას, რომ თუ იგი არ მიიღებს გადამწყვეტ ზომებს, ჩვენ თავად გავანადგურებთ მას“ — იმუქრებოდა იგი[1].

სეიმის იმავე სხდომაზე მუსავატელი რასულზადე მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიას ახლა საფრთხე ემუქრება არა თურქეთიდან, არამედ ჩრდილოეთიდან, რომ ძირითადი ამოცანა ეს არის ბოლშევიზმის ლიკვიდაცია ამიერკავკასიაში. ხან-ხოისკიმ მთელი სიმწვავით დააყენა ბაქოზე ლაშქრობის საკითხი.

2 აპრილის სხდომაზე სეიმის პრეზიდიუმმა და ამიერკავკასიის მთავრობამ განიხილეს ბაქოს წინააღმდეგ შეიარაღებული ლაშქრობის საკითხი. მენშევიკი ნ. რამიშვილი შეშფოთებით ლაპარაკობდა, რომ ბოლშევიკურმა მოძრაობამ მძლავრად იჩინა თავი არა მარტო ბაქოში, „არამედ მხარის სხვა ნაწილებში“, რომ ამიერკავკასიის „დემოკრატიულ“ ხელისუფლებას საშიშროება ემუქრება. რამიშვილმა გადაჭრით მოითხოვა ნაკრები რაზმის შედგენა, რომლის ორგანიზაცია გენერალ ოდიშელიძეს უნდა დაკისრებოდა. სხდომამ გამოიტანა დადგენილება „დაევალოს მთავრობას სასწრაფოდ ჩამოაყალიბოს ნაკრები ინტერნაციონალური და ბრძოლისუნარიანი რაზმი ბაქოში ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლების აღსადგენად“[2].

სეიმმა გარდა ამისა, გაიღო 500 ათასი მანეთი, ნაკრები რაზმის შემადგენლობისათვის გამოჰყო თვითმფრინავები, ჯავშნიანი მატარებელი, იარაღი და საჭურველი.

ნაკრები რაზმის შედგენა იოლი საქმე არ აღმოჩნდა. ჯერ ერთი, არმია აღარ იყო სანდო, ვინაიდან მასში უფრო და უფრო მტკიცედ იდგამდა ფეხს რევოლუციური განწყობილება. მეორეც, ამ დროს, გლეხთა რევოლუციური აჯანყების ხანძარი უკვე მოდებული ჰქონდა ლეჩხუმს, ოსეთს, სამეგრელოს. რამიშვილი რჩევას იძლეოდა ნაკრებ რაზმს ოსი მშრომელების რევოლუციური გამოსვლა ჩაექრო და აქედან შემდეგ ბაქოში გადასულიყო[3]. სანდო ძალების დაქსაქსულობის გამო სეიმმა ნაკრები ლაშქრის შედგენა მაინც ვერ მოახერხა და მთელი იმედები გადაიტანა ისევ „ველურ დივიზიაზე“ და დაღესტნის კონტრრევოლუციურ ბანდაზე, რომელთაც დახმარებას არ აკლებდა.

---

[1] Закавказский сейм (стенографический отчет), გვ. 35.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 8, საქ. 4, გვ. 3—7.

[3] იქვე.

მარტის ბრძოლებში განადგურების შემდეგ მუსავატურმა ბანდებმა და „ველურმა დივიზიამ“ კონტრრევოლუციის ციტადელს განჯას მიაშურეს. განჯაში მათ ამიერკავკასიის მთავრობის დახმარებით მიიღეს იარაღი, შეავსეს თავიანთი რიგები და კონტრრევოლუციის განახლებული ძალები აპრილის დასაწყისში კომისარიატის ჯავშნოსანის თანხლებით ბაქოსკენ დაიძრნენ.

ამავე დროს ბაქოს მიმართულებით დაიძრა გოცინსკის რაზმები. მათ მიაღწიეს სადგურ ხურდალანამდე, რომელიც ბაქოდან სულ 10 კილომეტრით იყო დაცილებული.

ამავე დროს ბეკ ზიატხანოვის ბანდებმა ხელთ იგდეს შემახა და უშუალო საფრთხის ქვეშ დააყენეს ბაქო.

„ველურმა დივიზიამ“ ჯავშნოსანის დახმარებით ხელთ იგდო აჯიკაბული. ბაქო, ამგვარად კონტრრევოლუციის რკალში მომწყვდეული აღმოჩნდა. ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების პირისპირ სამი მხრიდან საიერიშო მზადყოფნაში იდგა კონტრრევოლუციის თავითფეხებამდე შეიარაღებული არმიები.

ს. შაუმიანი სახალხო კომისართა საბჭოსადმი 13 აპრილის წერილში აღნიშნავდა: „...ჩვენ ახლა განუწყვეტელი ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით... ბაქოს ირგვლივ რკალი ვიწროვდება და ამ დღეებში ადგილი ექნება ახალ დიდ ბრძოლებს“[1].

ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ საბჭოსთან და რევოლუციური თავდაცვის კომიტეტთან ერთად კონტრრევოლუციის ბლოკადის სალიკვიდაციოდ გამოიმუშავა სასწრაფო ღონისძიებანი.

რევოლუციური თავდაცვის კომიტეტმა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია სიმშვიდის უზრუნველყოფას თვით ქალაქში. ქალაქის მუსლიმანური მოსახლეობის დაცვის კომისრად თავდაცვის საბჭომ გამოჰყო ამხ. აზიზბეკოვი, რომელმაც წითელგვარდიული რაზმების დახმარებით აღკვეთა მაროდიორობის და ქურდობის შემთხვევები, მოწოდებით მიმართა მუსლიმანურ მოსახლეობას დაეცვათ წესრიგი და არ წამოგებულიყვნენ პროვოკაციის ანკესზე, აღკვეთა კონტრრევოლუციური პარტიების პროპაგანდა.

თავდაცვის კომიტეტმა ამასთანავე 8 აპრილს გამოაცხადა წითელგვარდიელთა მობილიზაცია[2]. ქალაქის სხვადასხვა უბნებში დაიწყო წითელი რაზმებისა და ბატალიონების ფორმირება. 10 აპრილს წითელი არმიის ცენტრალური შტაბის სხდომაზე საუბნო

---

[1] იხ. Бюллетень комитета рев. обороны Баку и его районов № 4, 7 აპრილი, 1918 წ.

[2] „Известия Бак. Совета“ № 62.

შტაბების მონაწილეობით მოხდა შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება.

რევოლუციური თავდაცვის კომიტეტმა ბაქოს და მისი რაიონების მოსახლეობას მიმართა მოწოდებით, რომ მოსალოდნელ ბრძოლებში, სადაც წყდებოდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ბედი, მათ სიმამაცე და გმირობა გამოეჩინათ და ჩაეშალათ კონტრრევოლუციის გეგმები[1].

ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ბაქოს პროლეტარიატი აღსდგა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, მოწინავე მუშები ფრონტებზე წავიდნენ.

ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებისათვის შექმნილ მძიმე ვითარებაში შეიკრიბა ამიერკავკასიის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტი, რომელიც მაშინ არალეგალურ მდგომარეობაზე იყო გადასული. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის შეტევის ჩაშლა და საბჭოთა ციტადელის ბაქოს დაცვა კომიტეტმა აღიარა ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ პირობად და მთელი ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს და მშრომელ მასებს იარაღისაკენ მოუწოდა. რეზოლუცია, ახასიათებდა რა ბრესტის ზავის ხელმოწერის შემდეგ შექმნილ ვითარებას, თურქეთისა და გერმანიის იმპერიალიზმის ზრახვებს ამიერკავკასიაში და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთა ფაქტიურ კავშირს იმპერიალისტურ წრეებთან, პარტიულ ორგანიზაციებს ავალებდა:

1) მოუწოდონ მასებს იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიო იმპერიალიზმისაგან.

2) აწარმოონ ბრძოლა ბრესტის ზავის ჩაშლისა და საბჭოთა რუსეთის გერმანიასთან ომში ჩაბმის პროვოკაციული ცდების წინააღმდეგ.

3) ჩააბან მუშები და გლეხები წითელ სოციალისტურ რაზმებში შინაური კონტრრევოლუციის და უცხოელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

...გააჩაღონ ენერგიული მუშაობა ფართო მასებისათვის შექმნილი ვითარების გასამარტავად და რევოლუციური წითელი არმიის რაზმების შესაქმნელად[2].

სამხარეო კომიტეტი გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდა, რომ

---

[1] „Известия Бак. Совета" № 62.

[2] „Бакинский рабочий" № 65, 14 აპრილი, 1918 წ.

ბაქოს პროლეტარიატის მხარდამხარ, კონტრრევოლუციური კომისარიატისა და სეიმის წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღი ხელში აეღო მთელი ამიერკავკასიის მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინა.

8—10 აპრილს სადგურ ხურდალანთან გოცინსკის ბანდებმა — წითელი არმიის მძლავრი დარტყმა განიცადეს და უკან დაიხიეს. საბჭოთა ნაწილებმა გაათავისუფლეს რკინიგზის ხაზი სადგურ იაშმის ჩათვლით.

გააფთრებული ბრძოლები დაიწყო 10 აპრილს სადგურ აჯიკაბულთან. საბჭოთა ნაწილებს პირველად მოუხდათ კონტრრევოლუციის ძალთა შეტევის მოგერიება. მალე ისინი შეტევაზე გადავიდნენ და 20 აპრილს მძიმე ბრძოლების შემდეგ აჯიკაბული კონტრრევოლუციური ბანდებისაგან გაათავისუფლეს. მალაღოვის „ველურმა დივიზიამ“ და სხვა ნაწილებმა ქურდამირისაკენ დაიხიეს.

ბაქოს პროლეტარიატმა კვლავ მოიპოვა სახელოვანი გამარჯვება. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკის კომბინირებული ლაშქრობა საბჭოთა ხელისუფლების ციტადელზე კრახით დამთავრდა.

წითელი არმია აზერბაიჯანის მაზრებში გაჩაღებული აგრარული რევოლუციის დამხმარე ძალა გახდა. ბაქოს მაზრის 39 სოფელში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ნაწილებმა გლეხთა ადგილობრივი რაზმების დახმარებით კონტრრევოლუციის ძალებს ახალი დარტყმა მიაყენეს და ლენქორანი გაათავისუფლეს. ქალაქში შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი და გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც შემახის მიმართულებით იბრძოდნენ, ბეგური ბანდები დაამარცხეს. ქალ. შემახაში ძალაუფლება ხელში საბჭოებმა აიღეს.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა სალიანის, ყუბის, ჯევადის, ლენქორანის მაზრებში.

აპრილის თვეშივე ბაქოდან და ასტრახანიდან მოსულმა წითელარმიულმა რაზმებმა გაანადგურეს კონტრრევოლუციური ბანდები და დაღესტნის მთელი დაბლობი (ბარის ნაწილი) დაიკავეს. 20 აპრილს ალსდგა საბჭოთა ხელისუფლება პეტროვსკში, 25 აპრილს აღებულ იქნა დერბენდი. 2 მაისს საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს ტემირ-ხან-შური. კონტრრევოლუციამ მთებში დაიხია. საბრძოლო ოპერაციებს ამ ფრონტებზე უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ა. ჯაფარიძე, ეფრემოვი, აგასიევი, ბუინავსკი, გ. სტურუა და სხვები. 2 მაისს დაღესტანში შეიქმნა საოლქო სამხედრო რევოლუციური

კომიტეტი, რომელმაც დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლება გამარჯვებულად გამოაცხადა. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ბუინაკსკი, დახადიევი, გოგოლევი, საიდოვი, ერმაშკინი და სხვ. სამხედრო რევოლუციური კომიტეტი შეიქმნა პორტ-პეტროვსკში სტ. ბუინაკსკის თავმჯდომარეობით, დერბენდში — აგასიევის მეთაურობით და ხასოვ-იურტში — კაზბეკოვის მეთაურობით[1].

ამრიგად, აზერბაიჯანის დიდ ნაწილსა და დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

* * *

მარტ-აპრილის ბრძოლებში საბჭოთა ხელისუფლების წარმატება კონტრრევოლუციური ბლოკის საბოლოო მარცხს როდი ნიშნავდა. ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დღეებში მხოლოდ კონტრრევოლუციის პირველი კომბინირებული შეტევა მოიგერია. აზერბაიჯანის ბეგები და ხანები, მუსავატური ნაწილები ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელობით ახალ შეტევას ამზადებდნენ, ამჯერად უკვე გარეგანი ძალის — თურქეთის იმპერიალისტების დახმარებით.

ასეთ მძიმე ვითარებაში ბოლშევიკური პარტიის პირველი რიგის ამოცანას შეადგენდა ქალაქში საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების განმტკიცება და მისი მეშვეობით სოციალისტურ ღონისძიებათა დაუბრკოლებელი განხორციელება. შეუძლებელი იყო ბოლშევიკებს მომავალში წარმატების მტკიცე გარანტიები ჰქონოდათ, თუ ქალაქში მრავალხელისუფლებიანობა ლიკვიდირებული არ იქნებოდა. ჯერ ერთი, ისევ არსებობდა ბურჟუაზიული სათათბირო, სხვადასხვა ნაციონალური კომიტეტები, თვით მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოში დაშნაკებს, მუსავატელებსა და ესერ-მენშევიკებს ძლიერი ფრაქციები ჰქონდათ. გარდა ამისა, არსებობდნენ კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი კორგანოვის მეთაურობით და მარტის ბრძოლების პერიოდში შექმნილი რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი შაუმიანის მეთაურობით. საჭირო იყო შექმნილიყო მუდმივი და მტკიცე ხელისუფლება, რომელიც ყოველგვარი მერყეობისა და ფრაქციული ბრძოლის გარეშე სათავეში ჩაუდგებოდა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცვას, მის შემდგომ გამარჯვებას აზერბაიჯანსა და ამიერკავკასიაში, და, ამავე დროს, განახორციელებდა სოციალისტურ ღონისძიებებს.

ხელისუფლების მუდმივი ორგანოს შექმნისა და სოციალისტურ

---

[1] Г. А. Алибеков, Великая победа..., გვ. 284.

ღონისძიებათა განხორციელების საკითხი დაყენებულ იქნა ბაქოს საერთო საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც მარტის ბრძოლების დამთავრების შემდეგ შეიკრიბა[1].

საკითხი ასე იდგა: მოეხდინათ თავდაცვის კომიტეტის ლიკვიდაცია და უველა მისი ფუნქცია ბაქოს საბჭოსთვის გადაეცათ, თუ შეექმნათ ახალი, მუდმივი მოქმედი ორგანო. საბჭოში, სწორედ იმ მომენტში, სამანდატო კომისიის მონაცემებით 308 წევრიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო 58, თანამგრძნობი — 2. მემარცხენე ესერი — 46, თანამგრძნობი — 7. მენშევიკ-ინტერნაციონალისტი — 3, მემარცხენე პარტიათა თანამგრძნობი — 4, უპარტიო — 6. მემარჯვენე ესერი — 47, მათი თანამგრძნობი — 1, მენშევიკი — 28, დაშნაკცუტუნი — 36, მუსავატი — 23, სხვადასხვა პარტიებიდან გამოსული — 2, და 44, რომელთა პარტიულობის შესახებ ცნობები არ არის[2].

ამრიგად, ბოლშევიკებსა და მის თანამგრძნობებს საბჭოში ეკუთვნოდათ 115 ადგილი, ანუ მთელი შემადგენლობის დაახლოებით ერთი მესამედი. ცხადია, ასეთი შემადგენლობის საბჭოში სოციალისტურ ღონისძიებათა დაუბრკოლებელი განხორციელება თითქმის შეუძლებელი იყო. მართალია აღმასრულებელ კომიტეტს ბოლშევიკი ამხ. ა. ჯაფარიძე თავმჯდომარეობდა, მაგრამ ფრაქციათა ასეთი მრავალგვარობა საბჭოს დიდ სიძნელეთა წინაშე აყენებდა, მაშინ როცა ვითარება დაუყოვნებლივ გადამჭრელ ერთსულოვან მოქმედებას მოითხოვდა.

ბაქოს პარტიული კომიტეტის სხდომაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის შესახებ. ამ ორგანოს უნდა დამორჩილებოდა არა მარტო ბაქო და მისი რაიონები, არამედ ის უახლესი მაზრები, რომლებიც მუსავატელებს დაპყრობილი არ ჰქონიათ და აღმოსავლეთ ამიერკავკასია, სადაც საბჭოთა ხელისუფლება უკვე მიიკვლევდა გზას[3].

ახალ ხელისუფლებაში სხვა პარტიების წარმომადგენელთა შეყვანის გარშემო პარტიულ კონფერენციაზე აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ერთი ნაწილი იმ აზრს იცავდა, რომ სახალხო კომისართა საბჭო პარტიათა კოალიციის პრინციპზე შეედგინათ და მასში შეეყვანათ ბოლშევიკების, მემარცხენე და მემარჯვენე ესერების წარმომადგენლები. მეორე ჯგუფი ამ თვალსაზრისს არ იზი-

---

[1] А. Микоян, Бакинская организация большевиков в 16—18 гг.

[2] „Бакинский рабочий", 13 апреля, 1918 г.

[3] А. Микоян, (მითით. სტატია).

არებდა და სახკომსაბჭოს შექმნას მხოლოდ ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერებისაგან მოითხოვდა. ჯაფარიძე, რომელიც პირველ თვალსაზრისს იცავდა, ამას იმით ასაბუთებდა, რომ ესერების პარტიას ბაქოსა და აზერბაიჯანში ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს და რადგან ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის თვალსაზრისს ისინი არ იზიარებენ და საბჭოების წინააღმდეგი არ არიან, შესაძლებელია მათთან კოალიციური ურთიერთობაო. კონფერენციამ უმრავლესობით ამხ. შაუმიანის თუალსაზრისს დაუჭირა მხარი. ეს საკითხი, ამავე დროს, გადატანილ იქნა პარტიულ მასაში. ბალახვანის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე შაუმიანის წინადადებას ყველა ბოლშევიკმა დეპუტატმა მისცა ხმა და რადგან ესერებმა მთავრობაში პერსონალურ მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, მათი მთავრობაში შეყვანის საკითხი საერთოდ მოხსნილ იქნა.

ახალი მთავრობის შექმნას შემთანხმებლები და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები საბჭოში მტრულად შეხვდნენ, მაგრამ რადგან ბოლშევიკური პარტიის გადაწყვეტილება ურყეველი იყო, ამ პარტიებმა გადასწყვიტეს მიეღწიათ მთავრობაში თავიანთი წარმომადგენლების გაყვანისათვის. ესერი სააკიანი და მენშევიკი აიოლო დაჟინებით მოითხოვდნენ ყველა „სოციალისტური“ პარტიის კოალიციას მთავრობაში, სახალხო კომისართა საბჭოს შექმნას უპირისპირებდნენ საბჭოს და პირმოთნეულად გამოდიოდნენ საბჭოების „დამცველის“ როლში. საბჭოთა ხელისუფლების მიმართ „დამსახურებაზე“ დაშნაკებიც ალაპარაკდნენ. ცხადია, ესერ-მენშევიკებისა და დაშნაკების მიზანს შეადგენდა საბჭოთა მთავრობის შექმნის ღონისძიების ჩაშლა.

მაგრამ ბოლშევიკურმა პარტიამ საბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერით შესძლო თავისი ღონისძიების გატარება. საბჭოს 25 აპრილის სხდომაზე არჩეულ იქნა ბაქოს გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭო, სადაც თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა კომისრის თანამდებობა დაიკავა ს. შაუმიანმა, შინაგან საქმეთა კომისრისა — პ. ჯაფარიძემ, საჭალაჭო მეურნეობის კომისრისა — ნ. ნარიმანოვმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარესი — ი. ფიოლეტოვმა, გუბერნიის კომისრისა — მ. აზიზბეკოვმა, მიწათმოქმედების კომისრისა — მ. ვეზიროვმა[1], სამხედრო საზღვაო საქმეებისა — გ. კორგანოვმა და სხვ.

ბაქოს გუბერნიის ახალი საბჭოთა მთავრობა მოეწყო საბჭოთა

[1] გაზ. „Известия Бак. Совета“ № 79.

რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს პრინციპების მიხედვით, იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების, ვ. ი. ლენინის დირექტივების პრაქტიკულ განხორციელებას. პირველ მაისს გამოცემულ დეკლარაციაში ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო თავის მოქმედებას უკავშირებდა საბჭოთა ხელისუფლების საერთო სარუსეთო ამოცანებს. იგი აცხადებდა, რომ „სრულიად რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან უმჭიდროეს კავშირში განახორციელებს ცხოვრებაში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დეკრეტს და განკარგულებას...

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს ერთერთი ძირითადი ამოცანა იქნება რაც შეიძლება მეტად მჭიდრო კავშირის დამყარება ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ბაქოს მუშებისა და ღარიბი გლეხობის მჭიდრო გაერთიანება მთელი რუსეთის მუშებთან და გლეხებთან“[1].

სახალხო კომისართა საბჭო თავის უახლოეს ამოცანად სახავდა ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობის დამხობას, მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ნავთის მრეწველობის, ბანკების ნაციონალიზაციას, მიწების გადაცემას მშრომელი გლეხობისათვის, სოფლებსა და მაზრებში გლეხთა საბჭოების შექმნას და სამაზრო და საგუბერნიო საბჭოების ორგანიზაციას, წითელი არმიის განმტკიცებას და სხვ.[2]

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო ამ დაპირებების განხორციელებას შეუდგა დაუყოვნებლივ. მათზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

* *

ახლა, როცა უკვე განვიხილეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის მშრომელი კლასების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1918 წლის აპრილამდე, ე. ი. ბაქოში სახალხო კომისართა საბჭოს შექმნამდე, შესაძლებლობა გვაქვს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა:

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიაში მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელი შტაბის — ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიულ გეგმას ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება წარმოადგენს.

---

[1] გაზ. „Известия Бак. Совета“ № 81, 1 მაისი, 1918 წ.

[2] იქვე.

ამ სტრატეგიული გეგმის განსორციელებისათვის ბრძოლაში შეიმჩნევა ორი პერიოდი, ორი ტაქტიკური ეტაპი. პირველი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი, უსისხლო გზით გამარჯვებისათვის ბრძოლის ეტაპი, მეორე — საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის ეტაპი. თვითეული ეს ეტაპი ქვეყნის ობიექტური პირობებითაა ნაკარნახევი, ისინი ამიერკავკასიის თავისებურებებით, ამ ქვეყანაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობით არიან შეპირობებული.

პირველი ეტაპის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ჩვენ მიგვაჩნია 1917 წლის ოქტომბერი — 1918 წლის თებერვალი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ოქტომბერმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის მშრომელი კლასები ფეხზე დააყენა და ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მძლავრად გაისმა მთელ ქვეყანაში.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიის მშრომელი მასების შეგნებაში ჯერ კიდევ არ ნიშნავდა შემთანხმებლური საბჭოების წინააღმდეგ აჯანყების იდეის მომწიფებას. საბჭოები დემოკრატიული მმართველობის ყველაზე მასობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ. კოლონიურ ამიერკავკასიაში, რომელსაც კარგად ახსოვდა ცარიზმის მამასახლისთა, მაზრის უფროსთა და გუბერნატორთა მათრახები, თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი საბჭოები უდიდესი მოვლენა იყო, რადგან იგი ხალხის წრიდან იყო არჩეული და საკითხებს ღიად, ცხარე მსჯელობათა შემდეგ, ხმის უმრავლესობით წყვეტდა. ივლისის დღეების შემდეგ, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციები არალეგალურ მდგომარეობაზე არ გადასულან. ისინი ოქტომბრის დღეებში და შემდეგაც, 1918 წლის თებერვლამდე, მენშევიკებთან და ესერებთან ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივ, საგუბერნიო და სამხარეო საბჭოებში.

სოციალისტური რევოლუცია პეტროგრადში თითქმის უსისხლოდ განხორციელდა. მასების სისხლიან აჯანყებას არც რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში ჰქონია ადგილი და მთელს იმპერიაში როგორც ლენინი აღნიშნავს, საბჭოთა ხელისუფლება წინ ტრიუმფალური ნაბიჯებით მიიწევდა. ასეთ ვითარებაში, როცა კომუნისტური ორგანიზაციები ამიერკავკასიაში (ბაქოს გამოკლებით) სუსტი

იყო და მთელ რიგ ადგილებში სულაც არ არსებობდა, როცა საქართველოში გლეხობის უმრავლესობას ჯერ კიდევ მენშევიზმის დაპირებებისა სჯეროდა, როცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს აზერბაიჯანული, სომხური და ქართული მოსახლეობის აგრეთვე მნიშვნელოვანი ნაწილი ჰყავდათ შემოკრებილი, შემთანხმებლური საბჭოების წინააღმდეგ აჯანყებას არ შეიძლება წარმატება მოჰყოლოდა. იგი მასებისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი და ამდენად თავზე მოხვეული იქნებოდა.

ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და პირველ რიგში მისი მებრძოლი შტაბის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომების, თათბირების ანგარიშები, რეზოლუციები, მოწოდებანი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ბოლშევიკური ტაქტიკა: ეს იყო საბჭოების უსისხლოდ დაპყრობის ტაქტიკა, რომელიც ხორციელდებოდა კონტრრევოლუციური კომისარიატისა და სეიმის ანტიხალხური პოლიტიკის დაუნდობელი მხილების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების დემაგოგიის გამომჟღავნების და ნაციონალიზმის შხამის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის, მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობის დაგმობის გზით. ცხოვრების პრაქტიკა ბოლშევიკებს საშუალებას აძლევდა ეჩვენებინათ მასებისათვის, რომ ყველა ამ პარტიათა დაპირებები ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა, ხოლო ქვეყანა კი კატასტროფის გზით მიემართებოდა. ბურჟუაზიულ და შემთანხმებლურ პარტიათა სიტყვისა და საქმის შეუსაბამობის გამომზეურების ყველაზე საუკეთესო საშუალებას ბოლშევიკებისათვის წარმოადგენდა პროპაგანდა იმ დიად საქმეთა, რასაც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ცენტრს შეეძლო ფრონტიდან დაძრული არმიისათვის თბილისის კონტრრევოლუციური ხელისუფლების ლიკვიდაცია დაეკისრებინა. შესაძლებელია არმიას ეს ამოცანა შეესრულებინა კიდეც. მაგრამ რა დადებითი შედეგები ექნებოდა ამას, როცა ეს ხელისუფლება, მასების უშუალო მონაწილეობის გარეშე შექმნილი, როგორც წინა თავებშიც აღვნიშნავდით, ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდებოდა. ეს ამიერკავკასიაში გამოიწვევდა სისხლიან სამოქალაქო ომს და ომს იმ პერიოდში, როცა ძალთა თანაფარდობა ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ წარმატებას საეჭვოს ხდიდა. ჯერ კიდევ კონტრრევოლუციას უფრო ორგანიზებული, კარგად შეიარაღებული ძალები გააჩნდა.

შეიძლება გვკითხონ: კი მაგრამ, საბჭოების უსისხლო დაპყრობის ტაქტიკას ხომ დადებითი შედეგები არ მოჰყოლია? ბოლშევიკები ხომ სამხარეო საბჭოდან და თბილისის საბჭოდან გამოდევნილი

აღმოჩნდნენ? ამდენად საბჭოების უსისხლოდ დაპყრობის ტაქტიკა მცდარი და ოპორტუნისტული შეხედულების ნაყოფი იყოო. მართლაც ეს ასე მოხდა. მაგრამ საერთო სტრატეგიული გეგმის წარმატებითი განხორციელებისათვის ამ ეტაპის გავლა სწორედ რომ აუცილებელი იყო. შამქორის ტრაგედია, მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტა ამიერკავკასიაში, ბოლშევიკური პრესის აკრძალვა და რეპრესიები ბოლშევიკი ხელმძღვანელების მიმართ, ამავე დროს, ბრესტის ზავზე უარის თქმა და ამიერკავკასიის ფრონტის გაშიშვლება, რასაც შედეგად თურქეთის ინტერვენცია მოჰყვა, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, შემთანხმებლური პარტიების თანდათანობითი დაქანება ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებისაკენ, დაბოლოს, თვით კონტრრევოლუციური ბანაკის მიერ წამოწყებული სამოქალაქო ომი, ყველაფერი ეს წარმოადგენდა მასების მკაცრ სკოლას, რომელმაც ფარდა ახადა სოციალიზმით შენილბულ კონტრრევოლუციონერებს ამიერკავკასიაში. კლასთა ამ დაუსრულებელ შეჯახებებში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და შემთანხმებლური ბურუსი ნელნელა გაიფანტა. მასებმა თვითეული პარტია პრაქტიკული საქმეებით შეამოწმეს და ახლა ისინი უფრო მტკიცე რწმენით დაირაზმნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ. მოვლენათა ობიექტურმა მსვლელობამ განაპირობა მთელს ამიერკავკასიაში 1918 წლიდან მძლავრი აგრარული რევოლუცია სოფლად, რომლის ლოზუნგად საბჭოთა ხელისუფლება იქცა. ამ ეტაპმა მოამზადა მეორე ეტაპი. თუ პირველ ეტაპზე საბჭოების უსისხლო დაპყრობის ტაქტიკას შედეგი არ მოჰყოლია, მით უმეტეს, მოუმზადებელი და მასებისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი აჯანყების ტაქტიკას უარესი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. შემთანხმებლურმა საბჭოებმა ნოემბერ-თებერვალში ამოსწურეს თავიანთი თავი. ისინი მასების თვალში გაკოტრდნენ. გაკოტრდა დამფუძნებელი კრების იდეაც. ნამდვილ დამფუძნებელ კრებად მასებმა მთელს რუსეთში საბჭოების ყრილობა იცნეს. ამიერკავკასიის მაზრებს კი ბურჟუაზიული ხელისუფლებანი დაეპატრონენ. ასეთ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, როცა უკვე მასებისათვის ცნობილი იყო საბჭოთა რესპუბლიკის წარმატებანი რუსეთში, გასაგები და დროული აღმოჩნდა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ პარტია მარცხს განიცდის არა მარტო მაშინ, როცა იგი ჩამორჩება მოვლენათა ობიექტურ მსვლელობას, იგი მარცხს განიცდის მაშინაც, როცა მასებს სწყდება და წინ გარბის მოვლენებისაგან. პარტია მხოლოდ მაშინ აღწევს წარმატებას, თუ მას უნარი შესწევს სწორი დასკვნები გაა-

კეთოს მოვლენათა ობიექტური მსვლელობიდან, არ ჩამორჩეს მასების წინსვლას, გაიყოლიოს იგი, მოამწიფოს ლოზუნგი და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს მის პრაქტიკულ განხორციელებაზე.

ავიღოთ თუნდაც ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭო. როგორი იყო ბოლშევიკური ფრაქციის ტაქტიკა საბჭოში და საერთოდ ბაქოს საქალაქო კომიტეტის ტაქტიკა მარტის ამბებამდე?

როგორც ცნობილია, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ჯერ კიდევ 1917 წლ. 31 ოქტომბერს აღიარა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა და ამ დღიდან მოკიდებული საბჭო, — რომელიც ბაქოს პროლეტარიატის უმრავლესობის ინტერესებს ასახავდა, შეუპოვრად იბრძოდა მთელი ძალაუფლების ხელში აღებისა და სოციალისტურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

მაგრამ განა 1917 წლ. ოქტომბრიდან ბაქოში საბჭო ერთადერთი ხელისუფალი გახდა? ცხადია არა. მის გვერდით ხომ არსებობდა ქალაქის ბურჟუაზიული სათათბირო, რომელსაც ჯერ კიდევ ხელთ ეკავა სამეურნეო-ფინანსური მმართველობის სადავეები. განა თვით საბჭოში ბოლშევიკები ახერხებდნენ გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებანი, რაც ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობის ლიკვიდაციას მოახდენდა? განა ამის შემდეგაც ნავთის მრეწველობას ისევ კერძო კაპიტალისტები არ განაგებდნენ, განა ბაქოს გუბერნიის გლეხობა ისევ მემამულურ კაბალაში არ იმყოფებოდა?

—ჩვენ არ ვერეოდით სამეურნეო ცხოვრებაში, არ ვმუშაობდით მუშათა, ქალაქის და სოფლის ღარიბობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, ჩვენ ექსპლოატატორებს ბატონობაც ვერ შევზღუდეთ და ყველაფერი ასე მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ რეალური ძალები არ გაგვაჩნდა, — ამბობდა ს. შაუმიანი ბაქოს საბჭოს შესახებ 19 აპრილის სხდომაზე.

საბჭოს ბოლშევიკური ფრაქცია, ცხადია, გრძნობდა რევოლუციის ამ ძირითად მოთხოვნათა დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობას, მაგრამ იმის გამო, რომ ბურჟუაზიისა და მისი დამქაშის პარტიების სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდა, ვერ აყენებდა სოციალურ საკითხებს. საბჭოს ბოლშევიკური ფრაქცია ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის მითითებით ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა წინ, კონტაქტს არ წყვეტდა მემარცხენე ესერებთან და შემთანხმებლებთანაც კი, ცდილობდა გაეყოლებინა ეს პარტიები ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, გამოეყენებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა შორის, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებსა და შემთანხმებლებს შორის არსებული წინააღმდეგო-

ბანი და უპარტიანები. ხომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ რადგანაც მუსავატელები, დაშნაკები, მენშევიკები და ესერები ბოლშევიკური პარტიის მიერ აღებული ხაზის წინააღმდეგი იყვნენ, მათ ერთსულოვანი ბლოკი ჰქონდათ, მათ გეგმებსა და მოქმედებაში სრული სოლიდარობა სუფევდა? ცხადია არა. თვითეულ ამ პარტიას თავისი პროგრამა გააჩნდა. მათ შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. პროლეტარიატის ინტერესებისათვის, ვთქვათ, მუსავატური პროგრამა უფრო საშიში და საზიანო იყო, ვიდრე მენშევიკური ან ესერული, რომლებიც საბჭოების წინააღმდეგ არც კი გამოდიოდნენ. ცხადია, ასეთ ვითარებაში ბოლშევიკურ ფრაქციას შეეძლო მიემხრო, ვთქვათ, შემთანხმებლური პარტიები იმავე მუსავატური ან დაშნაკური პოზიციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ პირობებში ბაქოს საბჭოს ბოლშევიკი დეპუტატების ძირითად იარაღს წარმოადგენდა მოქნილი დიპლომატია, მშვიდობიან ვითარებაში პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლა, ამავე დროს დაუღალავი აგიტაცია ბაქოს მუშათა შორის, ქალაქისა და სოფლის ღარიბთა შორის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, მრავალეროვან მოსახლეობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდა ნაციონალისტური თავბრუსხმის გაუვნებადობა, მასებისაგან კონტრრევოლუციურ პარტიათა იზოლაცია და სოციალისტური რევოლუციის დამცველი რეალური ძალის შექმნა.

ამრიგად, ბაქოშიც კი, სადაც ბოლშევიკური ორგანიზაცია ასე ძლიერი იყო, სადაც ბოლშევიკებს საბჭოს სახით ხელისუფლების სადავეები ხელთ ეკავათ და ბაქოს პროლეტარიატის დიდი ნაწილის სახით შეგნებული დამცველი ძალა ჰყავდათ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, გარკვეულ მომენტამდე არ წამოჭრილა კონტრრევოლუციური ბლოკის იარაღით დათრგუნვის აუცილებლობა. საბჭოების მიერ ძალაუფლების დაპყრობა აქაც მშვიდობიანად მიმდინარეობდა. აქაც პარტია სტრატეგიული გეგმის წარმატებას გარკვეულ ეტაპამდე მშვიდობიანი ტაქტიკით ვარაუდობდა.

ვ. ი. ლენინი და სახალხო კომისართა საბჭო, ითვალისწინებდნენ რა კავკასიის თავისებურებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, სავსებით უჭერდნენ მხარს ამიერკავკასიელი კომუნისტების მიერ აღებულ კურსს. ვ. ი. ლენინი, როგორც ვნახეთ, ს. შაუმიანს ავალებდა მეტი სიფრთხილე, მეტი დიპლომატია მოემარჯვებინა მის მუშაობაში.

ასე იყო დაახლოებით 1918 წლის თებერვალ-მარტამდე. თებერვალ-მარტში შესამჩნევი გახდა გარდატეხა რევოლუციის ობიექტურ მსვლელობაში. ამიერკავკასიის კომისარიატმა და სეიმმა

მუშათა კლასს და გლეხობას არაფერი არ მისცა. მან აშკარად შეაქცია ზურგი საბჭოთა რუსეთს და კავშირურთიერთობა დაამყარა რუსეთის თეთრგვარდიულ ბანდებთან ჩრდილოეთ კავკასიასა და ყუბანში. მასების მატერიალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მემამულე-თავადებისა და ხან-ბეგების თვითნებობა გაიზარდა. ამიერკავკასია მის ხელისუფალთა უგუნური პოლიტიკის გამო თურქეთ-გერმანიის ინტერვენციის ობიექტად იქცა. კომისარიატისა და სეიმის დაპირებანი ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა, ხელისუფლებაში თავი იჩინა კრიზისმა. ამიერკავკასიის სოფლებში თითქმის ერთდროულად იფეთქა აგრარული რევოლუციის ხანძარმა, რაც მასების შეგნებაში მკვეთრი გარდატეხის მაუწყებელი იყო. კომისარიატი, სეიმი, ეროვნული საბჭოები რევოლუციური მოძრაობის იარაღით დათრგუნვის პოლიტიკაზე გადავიდნენ. ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი და ბოლშევიკური უჯრედები ამიერკავკასიაში (ბაქოს გარდა) არალეგალურ პირობებში გადავიდნენ, ამიერკავკასიის პროლეტარიატის რიგებში ბოლშევიკურმა გავლენამ იმატა, მთელ რიგ რაიონებში (აფხაზეთი, დასავლეთ საქართველოს რაიონები) გლეხთა აჯანყებების შედეგად საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და სხვ. ამ გარდატეხის ვითარებაში ძველი ტაქტიკური გზით სელა პარტიას მასების კუდში მოაქცევდა. საჭირო შეიქმნა უკვე გაჩაღებული აგრარული მოძრაობის ორგანიზებულად წარმართვა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლად გადაქცევა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკაზე გადავიდნენ.

ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ამ ვითარებაში, ცხადია, აღარ შეეძლოთ კვლავ მოეთმინათ მუსავატური და ხან-ბეგური კონტრრევოლუციის ამკარა ანტისაბჭოური აგიტაცია და პრაქტიკული სამზადისი. იარაღით მოქმედ მტრულ ძალას პროლეტარიატმა იარაღიევ დაუპირისპირა. მარტ-აპრილის ბრძოლებში, ლიკვიდირებულ იქნა რა მუსავატური გამოსვლები და მოგერიებულ იქნა რა ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციური ბლოკის პირველი შეტევა, საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება, რითაც განამტკიცა თავისი პოზიციები და სოციალისტური ღონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები შექმნა.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გარდამტეხი მომენტის დაწყების შესახებ მიუთითებდა ს. შაუმიანი, როცა იგი ლენინს წერდა: „ამიერკავკასია შევიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური შეიარაღებული ბრძოლის ხანაში“[1].

[1] Шаумян, Статьи и речи, გვ. 156.

თ ა ვ ი VIII

ამიერკავკასიის მთავრობის საგარეო პოლიტიკა და თურქეთ-გერმანიის ინტერვენცია ამიერკავკასიაში

საბჭოთა რესპუბლიკამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დათრგუნა შეძლებული კლასების მტრული გამოხდომები, ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნამსხვრევებზე შექმნა საბჭოთა სახელმწიფოს აპარატი, განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლების ძალა და ავტორიტეტი.

მაგრამ საბჭოთა რუსეთი კვლავ იმყოფებოდა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ომის ვითარებაში. ომის გაგრძელება კი საბჭოთა რესპუბლიკას აღარ შეეძლო. განაწამებ ხალხს ზავი სწყუროდა. ძველ არმიას ძალა აღარ შესწევდა შეეკავებინა გერმანელთა ჯარების შემოტევა. ახალი არმია ჯერ კიდევ ფორმირებული არ ყოფილა. აუცილებელი იყო შესვენება, ზავის შეკვრა გერმანიასთან. რა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ზავის პირობები, იგი ერთადერთი გზა იყო საბჭოთა ხელისუფლების გადასარჩენად. ვ. ი. ლენინი რსდმპ (ბ) ც. კ-ის სხდომაზე 18 თებერვალს მიუთითებდა, რომ „ახლა აღარ შეიძლება ლოდინი. ეს ნიშნავს რუსეთის რევოლუციის დასაღუპავად განწირვასო“[1].

ანტანტის სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ რუსეთ-გერმანიის საზავო მოლაპარაკება ჩაეშალათ. გერმანელი იმპერიალისტები, საბჭოთა სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობას რომ ხედავდნენ, უფრო და უფრო დიდ მოთხოვნებს აყენებდნენ. საბჭოთა საზავო დელეგაცია მოლაპარაკებისას სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენდა, მდგომარეობა კი უარესდებოდა. გერმანელთა ჯარები სბჭოთა რუსეთის ტერიტორიას უტევდნენ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ლენინს იმ მტრულ დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ბრესტის საზავო მოლაპარაკების ჩაშლას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 26, გვ. 613.

3 მარტს საბჭოთა საზავო დელეგაციამ ბრესტ ლიტოვსკში ხელი მოაწერა გერმანელი იმპერიალისტების მიერ წამოყენებულ ყაჩაღურ პირობებს. საბჭოების IV საგანგებო ყრილობამ 14 მარტს ბრესტის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.

ზავი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან დასდო, ჩვენი ქვეყნისათვის მეტად სამძიმო იყო. გერმანიის უღელქვეშ ექცეოდა პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი, ბელორუსიის ნაწილი. საზავო პირობებით ამიერკავკასიის ტერიტორია — ბათუმის, არდაგანის, ყარსის მიდამოები გერმანიის მოკავშირის — თურქეთის ხელში გადადიოდა. საბჭოთა მთავრობას ზავი უნდა შეეკრა უკრაინის ცენტრალურ რადასთან, რომელიც გერმანიის მონა-მორჩილად აცხადებდა თავს. ამავე დროს, უნდა მომხდარიყო არმიისა და ფლოტის დემობილიზაცია. „აუტანელად მძიმეა ზავის პირობები, მაგრამ ისტორია მაინც თავისას გაიტანს...“ ამბობდა ვ. ი. ლენინი. რევოლუციის ბელადი ნათლად ხედავდა, რომ ზავის მეტად მძიმე პირობების მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება გადარჩა, მან დრო მოიგო თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციისა და წითელი არმიის შესაქმნელად, თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ძალების მოსაკრებად.

ბრესტში დაწყებულ საზავო მოლაპარაკებას ამიერკავკასიის კომისარიატი მტრულად შეხვდა. მან არ მიიღო თურქეთის მიწვევა ბრესტში მოლაპარაკებაზე და ამჯობინა თურქეთთან ურთიერთობა სეპარატულად წარემართა. გარდა ამისა, კონტრრევოლუციურმა პარტიებმა შემთანხმებლების მხარდაჭერით ბრესტის ზავის პირობების წინააღმდეგ განგაში ასტეხეს და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თითქოს სავსებით დაივიწყა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესები, განგებ გააშიშვლა კავკასიის ფრონტი, ბათუმი, ყარსი და არდაგანი თურქეთს ჩაუგდო ხელში... ზავის ასეთი შეფასება, ცხადია, კონტრრევოლუციონერებს იმისათვის სჭიროდათ, რომ რუსეთიდან გამოყოფის ანტიხალხური ნაბიჯი გაემართლებინათ და თავისთავი გამოეყვანათ ამიერკავკასიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მებრძოლ ხელისუფლებად.

ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტი ბრესტის ზავის მძიმე შედეგებს ითვალისწინებდა. მაგრამ ცხადი იყო ისიც, რომ ამიერკავკასიაში უკეთ, ვიდრე დასავლეთის ფრონტზე, შეიძლებოდა ამ პირობათა გაუვნებადება. საქმე ისაა, რომ აქ, ამიერკავკასიის სა-

პირისპიროდ იდგა არა გერმანიის ბრძოლისუნარიანი და კარგად შეიარაღებული არმია, არამედ თურქეთის არმია, რომელიც სისხლისაგან იყო დაწრეტილი და სერიოზული საბრძოლო ოპერაციების წარმოება უკვე აღარ შეეძლო. ზავი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იძულებით იყო თავზე მოხვეული, ანგარიშგასაწევი იყო იმდენად, რამდენადაც სხვა გამოსავალი იმ მომენტში არ არსებობდა. თუკი ამიერკავკასიაში გამოინახებოდა ბრესტის ხელშეკრულების კაბალური პირობების თავიდან აცილების რეალური საშუალებანი, რა თქმა უნდა, საბჭოთა რესპუბლიკა ამას მისალმებით შეხვდებოდა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ბრესტის ზავის პირობების შესახებ ბოლშევიკური პარტიის საოლქო კომიტეტს, არც ამხ. ს. შაუმიანს, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ ამიერკავკასიის საქმეთა კომისრად იყო დანიშნული, არავითარი განცხადება არ გაუკეთებია. შედეგები იმაზე იყო დამოკიდებული — აღმოჩნდებოდა თუ არა ამიერკავკასიის ხელისუფლება უნარის მქონე დაეცვა მხარის საზღვრები თურქეთის ინტერვენციისაგან. ბოლშევიკურ ცენტრს ამიერკავკასიაში მიაჩნდა, რომ ბათუმის, ყარსის და არდაგანის შენარჩუნება შესაძლებელი იყო, თუ მთავრობა დააკმაყოფილებდა ხალხის ინტერესებს, ე. ი. აღიარებდა საბჭოების ხელისუფლებას, განახორციელებდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხების მოთხოვნებს და ამ დიდ მონაპოვართა დასაცავად თურქეთის იმპერიალიზმის ხელყოფისაგან მასებს მოუწოდებდა. ამ შემთხვევაში ომს თურქეთის წინააღმდეგ ჰეშმარიტად სამამულო ხასიათი მიეცემოდა და იგი ხალხის პატრიოტულ აღტყინებას გამოიწვევდა. ყველაფერი ეს მუშურ-გლეხური რევოლუციის სახელით, საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობამ ყველა ეს გონიერი საშუალებანი უკუაგდო, რადგან მათი გატარება შეძლებული კლასებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ინტერესებს არ შეესაბამებოდა. მან საბჭოთა რუსეთს ზურგი შეაქცია და, წინაღუდგა რა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მშრომელი მასების სამართლიან ბრძოლას, ქვეყნის შიგნით გაიჩინა ფრონტი და თავისი ძალები გლეხთა აჯანყებების სალიკვიდაციოდ დაქსაქსა. კონტრრევოლუციურ მთავრობას პატრიოტულ მოწოდებაზე არავინ არ გამოეხმაურა. თურქეთის ფრონტი გაშიშვლებული აღმოჩნდა და ასეთ ვითარებაში თურქულ იმპერიალიზმს არა მარტო იმის საშუალება მიეცა, რომ ბრესტის ზავის პირობები განეხორციელებინა, არამედ მთელი ამიერკავკასიის საოკუპაციოდ და დასამონებლად ინტერვენცია დაეწყო. ამრიგად თავისი უგუნური პოლიტიკით, (ამას ქვევით ვნახავთ) ამი-

ერკავკასიის კონტრრევოლუციური ხელისუფალნი თურქულ-გერმანული ინტერვენციის ფაქტიური ხელშემწყობის როლში აღმოჩნდნენ. ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა, მატროსთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ს. შაუმიანი ამბობდა: „მე მინდოდა გამეკეთებინა ზოგიერთი განმარტება, და პირველ ყოვლისა, ბედუკუღმართი ბრესტის ხელშეკრულების შესახებ. მითითებული იყო, რომ ამიერკავკასიის ყველა უბედურობის მთავარი დამნაშავე — ეს ბრესტის ზავია, ხოლო ყოველივე შემდგომი მხოლოდ ქირურგის ცდებს წარმოადგენს.

ჩვენ, ბოლშევიკებს არასოდეს არ გაგვიცხადებია, მაშინაც კი, როცა ამ ზავს ხელს ვაწერდით, რომ იგი უსიტყვოდ უნდა დავიცვათ. ჩვენ მას განვიხილავდით როგორც თავზემოხვეულ ზავს, რისთვისაც ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია იმდენად, რამდენადაც ამას გვიკარნახებდა ის, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა საპირისპირო ძალა.

როცა აქ, ჩვენს წინაშე ისმებოდა საკითხი — როგორ მივუდგეთ ბრესტის ზავს, და საჭიროა თუ არა ჩვენის მხრივ გავაკეთოთ რაიმე განცხადება ბრესტის ზავის დაცვის შესახებ, ჩვენმა პარტიამ ერთსულოვნად გადაწყვიტა, — არავითარი განცხადება ყარსის, ბათუმისა და არდაგანის ჩაბარების შესახებ არ გაეკეთებინა და ჩვენ არცერთი განცხადება არ გაგვიკეთებია.

როგორც ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი, პირადად მე ვალდებული ვიყავი გამომეთქვა ჩემი შეხედულება, მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ ერთხელაც არ გამოვსულვართ, ვფიქრობდით რა, რომ ამიერკავკასიაში საკმარ ძალები მოიპოვება, ყარსისა და ბათუმის შესანარჩუნებლად. ჩვენ მივუთითებდით, რომ მთელი მოსახლეობა ეროვნების განურჩევლად იბრძოლებს, რათა დაიცვას თავისი თავი თურქეთისაგან, რადგან ისინი ამიერკავკასიის ხალხებს განადგურებას უქადდნენ. ამ საშიშროებას მოსახლეობა იძულებული უნდა გაეხადა ყოფილიყო მზად თავდაცვისათვის, თავისი ტერიტორიის შესანარჩუნებლად.

მხედველობაში გვქონდა რა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ წინააღმდეგ მოემართებოდნენ არა გერმანელთა ძლიერი ჯარები, არამედ დაღლილი და დეზორგანიზებული თურქები, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამიერკავკასიას შეეძლებოდა თავისთავის დაცვა და შენარჩუნება იმისა, რაც თურქეთს ბრესტის ხელშეკრულებით დაეთმო.

როცა ჩვენ საკითხს ვაყენებდით, თუ როგორ შეხედავს ამას ცენტრალური მთავრობა, რომელმაც ბრესტის ზავს ხელი მოაწერა, ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ მთავრობას შეეძლო მხოლოდ მისალმებოდა კავკასიელ გმირებს.

შემდეგ მივუთითე აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ თავი ავარიდეთ საკითხს ფრონტის დაცვის შესახებ. ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ვილაპარაკოთ ფრონტის შესახებ იმიტომ, რომ ჩვენს წინაშე მენშევიკებისა და მუსავატელების მოქმედების შედეგად შეიქმნა შინაგანი ფრონტი ელიზავეტოპოლში და მთელი ჩვენი მზადყოფნა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის უბრალო ფრაზად იქცა. რადგან, პირველყოვლისა, ჩვენ კონტრრევოლუცია უნდა გაგვენადგურებინა"[1].

ამრიგად, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო თურქეთის ინტერვენციის აღკვეთა და მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელი მასების დარაზმვა საზღვრების დასაცავად, საბჭოთა ხელისუფლება იყო. ამიერკავკასიის მთავრობა კი, რომელიც ბოლშევიკურ ორიენტაციას თურქულს ამჯობინებდა, და რომლის შემადგენლობის თითქმის ერთი მესამედი (მუსავატელები) თვით ეპატიჟებოდნენ თურქეთს ამიერკავკასიაში, ცხადია, ვერ შესძლებდა ბათუმის, ყარსის, არდაგანის შენარჩუნებას. ამიტომ, ხმაური ბრესტის ზავის კაბალური პირობების შესახებ ამიერკავკასიაში, იყო მხოლოდ საბაბი, რომ საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის გათიშვის აქტი გაემართლებინათ.

თურქეთის მმართველ წრეებს ამიერკავკასიის კომისარიატის სეპარატიზმი პირდაპირ უწყობდა ხელს მათი დამპყრობლური მიზნების განხორციელებაში. თურქეთი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ აწყობდა ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმებს. კიდევ მეტი: მას მთელი მუსლიმანური აღმოსავლეთის შეერთება და „დიდი თურქეთის" იმპერიის შექმნის ვარაუდები ჰქონდა. იმპერიალისტური გერმანია, რომელსაც სრულებით არ აწყობდა ის დავა, რომელიც ორ მოკავშირეს — თურქეთსა და ბულგარეთს შორის იწყებოდა, თავის მხრივ თურქეთს აქეზებდა ტერიტორიული პრეტენზიები აღმოსავლეთის ხარჯზე დაეკმაყოფილებინა[2]. გერმანია პირდაპირ მიუთითებდა თურქეთს ამიერკავკასიის დაპყრობაზე.

ბრესტის ზავის დადების პერიოდში თურქეთს ყველაზე ხელსაყრელი პირობები შეექმნა თავისი დამპყრობლური გეგმების განსახორციელებლად, რადგან კავკასიის ფრონტი დაიშალა და რუსეთის არმიამ სახლებს მიაშურა, ხოლო ადგილობრივი ნაციონალური ნაწილები ჯერ კიდევ ფორმირებული არ ყოფილა. ეროვნული საბ-

---

[1] Шаумян, Статьи и речи, გვ. 186—187.

[2] Карл Мюльман, Германо-турецкий военный союз в мировой войне, გვ. 205.

ჯოების ძალები და გვარდია გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად იყო დაქსაქსული. სეიმში თურქული ორიენტაციის პარტია მუსავატი დიდი გავლენით სარგებლობდა. გამოიყენეს რა ხელსაყრელი ვითარება, თურქეთის მმართველმა წრეებმა მალე დაარღვიეს ერზინჯანის დროებითი საზავო ხელშეკრულება, იმის მომიზეზებით, რომ ერზინჯანის რაიონში ადგილი ჰქონდა მუსლიმან და სომეხ მოსახლეობას შორის შეტაკებას, და ამდენად თითქოს, მუსლიმანური მოსახლეობის შევიწროება აუტანელი გახდა. კავკასიის ფრონტის სარდალმა ფეხიშ-ვეხიბ მეხმედ ფაშამ თურქეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ენვერ ფაშას მითითებით ბრძანება გასცა სადემარკაციო ხაზის გადალახვისა და წინსვლის შესახებ[1]. თურქეთის ჯარებს წინ არ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა, რადგან ერზინჯანის რაიონში ამიერკავკასიის მთავრობას საკმაო სამხედრო ძალები არ ჰყოლია. იანვრის მეორე ნახევარში და თებერვლის დასაწყისში თურქეთმა ადვილად მოახერხა ერზინჯანის, ბაიბურთის, მამახატუნის აღება. ისინი ერზერუმს მიადგნენ. ენვერ ფაშას მიერ ერზინჯანის დაზავების პირობების დარღვევა გერმანიის სარდლობასთან შეთანხმებული იყო, ბრესტის საზავო მოლაპარაკებისას საბჭოთა დელეგაციაზე რომ მეტი დაწოლა მოეხდინა, გერმანიის სარდლობა, პირიქით, აქეზებდა თურქეთის ასეთ მოქმედებას. „მე მივესალმებოდი — უდაბეშებდა ლუდენდორფი ფონ სექტს 11 თებერვალს — უფრო ენერგიულ წინსვლას პოლიტიკური მოსაზრებების გამოც"[2].

თურქეთის ხელისუფალთა მიერ ერზინჯანის დაზავების დარღვევა და შეტევის განახლება, ცხადია, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გერმანია-თურქეთის შეტევის მთლიანი გეგმის რგოლს წარმოადგენდა. გერმანელები უტევდნენ საბჭოთა რესპუბლიკის დასავლეთ მხარეს, თურქები — ამიერკავკასიას. საბჭოთა დელეგაცია გადამწყვეტ პროტესტს აცხადებდა თურქეთის ინტერვენციის გამო[3].

გერმანიის დაჟინებითი მოთხოვნით ბრესტის საზავო ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის საზღვრისპირა რაიონებზე ჩართული იყო შემდეგი პუნქტი:

„არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები აგრეთვე დაუყოვ-

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 72—73.

[2] К. Мюльман, Германо-турецкий военный союз в мировой войне. გვ. 207.

[3] იხ. Международная политика новейшего времени в договорах, нотах, и декларациях, ч. II, 1926 г., გვ. 122.

ნებლივ თავისუფლდება რუსი ჯარებისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფოებრივ-უფლებრივ და საერთაშორისო უფლებრივი ურთიერთობის ახალ ორგანიზაციაში, ამ ოლქების მოსახლეობას საშუალებას მისცემს დაამყაროს ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით თურქეთთან შეთანხმებით"[1].

როგორც ვხედავთ, ბრესტის ზავის პირობებში არაფერი არ იყო ნათქვამი თურქეთის ჯარების მიერ ყარსის, არდაგანის, ბათუმის დაკავების შესახებ. ეს საკითხი ადგილობრივ, რეფერენდუმით უნდა გადაწყვეტილიყო. ბრესტის ზავის პირობების აღიარება ამიერკავკასიის მაშინდელს ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი უნდა ყოფილიყო თურქეთ-გერმანიის ინტერვენციის გეგმების აღსაკვეთად, მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობამ თავისი პოლიტიკით თურქეთი და გერმანია ინტერვენციის სრული შესაძლებლობის წინაშე დააყენა.

ამიერკავკასიის სეიმის 17 თებერვლის სხდომაზე მოსმენილ იქნა კარახანის დეპეშა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან და თურქეთთან საზავო ხელშეკრულების პირობებზე ხელისმოწერის შესახებ.

სეიმის მთელი შემადგენლობა დეპეშას აღშფოთებით შეხვდა. კონტრრევოლუციურ პარტიათა ორატორები არ ზოგავდნენ სიტყვებს საბჭოთა მთავრობის გასაკიცხავად. შემუშავდა საპასუხო ტექსტი. რომელიც სეიმმა მოიწონა. ტექსტის შინაარსი ასეთია:

„ბრესტ-ლიტოვსკი, საზავო კონფერენციას. პეტროგრადი, საბკომსაბჭოს. ლონდონი, პარიზი, ვაშინგტონი, რომი, ტოკიო, კონსტანტინოპოლი, ბერლინი, ვენა, — საგარეო საქმეთა მინისტრებს. კიევი — ცენტრალურ რადას. ოდესა — დეპუტატების საბჭოს.

ამიერკავკასიის მთავრობა, სეიმის გადაწყვეტილების თანახმად თვლის, რომ ყოველგვარი ხელშეკრულება, რომელიც ამიერკავკასიას და მის საზღვრებს შეეხება, დადებული მისი რწმუნებისა და მოწონების გარეშე, მოკლებულია საერთაშორისო მნიშვნელობას და თავისთავად ვალდებულების ძალას. ამასთანავე, ყველას საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ამიერკავკასიის სეიმის მიერ უკვე არჩეულია საზავო დელეგაცია, რომელიც მზადაა გაემგზავროს ტრაპიზონში, თურქეთთან წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, მასთან საბოლოო ზავის დასადებად.

ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე გეგეჭკორი.

---

[1] იხ. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. ч. II, 1926 г., გვ. 124.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ჩხეიძე.
თბილისი, 17 თებერვალი, (2 მარტი) 1918 წ."[1]

სეიმის ეს განცხადება თურქეთ-გერმანიის აგრესიული გეგმების პირდაპირ ხელისშემშლელი აღმოჩნდა. სეიმის 16 და 17 თებერვლის სხდომებზე, სადაც თურქეთთან საზავო პირობების საკითხი ირჩეოდა, მენშევიკი, დაშნაკი, ნაციონალ-დემოკრატი დეპუტატები ტრაბახობდნენ, რომ ამიერკავკასიას შესაძლებლობა გააჩნია დაიცვას თავისი ტერიტორიის მთლიანობაო. მენშევიკი რამიშვილი პათეტურად აცხადებდა: „ამიერკავკასიის დემოკრატიას გააჩნია საკმაო ძალა, რომ მტერს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოსო". ნ. ჟორდანია დასძენდა: „ჩვენ შეგვწევს ძალა დაეიცვათ ჩვენი არსებობის უფლება და არ დავეცემით იქამდე, რომ ხელი მოვაწეროთ სამარცხვინო ზავს და ამით ჩვენ ქვეყანას სასიკვდილო დარტყმა მივაყენოთო"[2].

მაგრამ ამ განცხადებებს არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნდა. ისინი ატყუებდნენ საზოგადოებას. ამიერკავკასიის მთავრობას ასეთი პოლიტიკით არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო თურქული აგრესიის შეჩერება. საზავო დელეგაციისათვის პირობებს რომ იმუშავებდა, სეიმის შემადგენლობამ თურქეთთან მოლაპარაკების საფუძვლად რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვრები მიიჩნია. მაგრამ არსებობდა კი რეალური ძალა ამ პირობების დასაცავად? ცხადია არა, და ამ შემთხვევაში სეიმის დეპუტატი კადეტი სემენოვი სავსებით მართალი იყო, როცა ძალთა თანაფარდობის ანალიზის საფუძველზე პირდაპირ სამასხროდ იგდებდა სეიმის მიერ შემუშავებულ საზავო პირობებს.

16 თებერვალს სხდომაზე სეიმმა დაამტკიცა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაციის შემადგენლობა, რომელშიაც შევიდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა წარმომადგენლები. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მენშევიკი ა. ჩხენკელი. 23 თებერვალს დელეგაცია ჩავიდა ტრაპიზონში, რომელიც შერჩეული იყო როგორც ნეიტრალური ქალაქი მოლაპარაკებისათვის. მაგრამ ტრაპიზონი სრულებითაც არ აღმოჩნდა ნეიტრალური, რადგან იგი თურქეთის ჯარებმა სწორედ იმ დღეს დაიკავეს, როცა იქ ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაცია ჩავიდა, ქალაქის თურქმა კომენ-

---

[1] Документы и материалы по внешней политике и Грузии. გვ. 86 – 86

[2] Закавказский сейм. Стенографический отчет.

დანტმა უფლებაც არ მისცა დელეგაციას ქალაქში თავისი შეიარაღებული გამცილებელი ჰყოლოდა[1].

ვიდრე ამიერკავკასიის დელეგაცია თურქეთთან მოლაპარაკებას დაიწყებდა, ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის მთავარსარდალს გენერალ ლებედინსკის ვეხიბ ფაშამ დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც იგი ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების დაუყოვნებლივ ევაკუაციას მოითხოვდა[2].

ეს დეპეშა და მასთან ერთად ტრაპიზონში ჯარების შეყვანა თურქეთის მხრივ იმას მოასწავებდა, რომ მასთან სამართლიან და უანექსიო ზავზე ლაპარაკი ფუჭი ოცნება იყო. თურქეთის მთავრობა, პირველ რიგში, უსიტყვოდ მოითხოვდა ბრესტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების წინასწარ შესრულებას, მაგრამ ოდნავადაც არ აპირებდა ამით დაკმაყოფილებულიყო, რადგან თავისი აგენტების მეშვეობით შესანიშნავად იყო ინფორმირებული ამიერკავკასიის საშინაო უძლურების შესახებ. თურქეთის არმია კავკასიის ფრონტზე გაძლიერებულ იქნა დასავლეთის ფრონტიდან გადმოსროლილი ახალი ძალებით[3]. ეს არმია უკვე ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა.

ასეთ ვითარებაში დაიწყო ტრაპიზონის საზავო კონფერენციის მუშაობა. თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელ რაუფ ბეის კონფერენციის მუდმივი თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა და მეტად გამომწვევი ტონი ეჭირა. კონფერენციის სხდომაზე ა. ჩხენკელი ენერგიას არ იშურებდა იმის დასასაბუთებლად, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულია და მას უფლება აქვს არ მიიღოს ბრესტის საზავო პირობები, აწარმოოს დამოუკიდებელი მოლაპარაკება მეზობელ სახელმწიფოსთან, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, მაგრამ თურქეთის დელეგაციის მეთაურმა ეს განცხადება ყურადაც არ იღო იმ მოტივით, რომ ბრესტის ზავის დადების პერიოდში ამიერკავკასია დამოუკიდებელი არ ყოფილა, მას როგორც ცალკე სახელმწიფოს არც კი მიუღია მონაწილეობა ბრესტის საზავო კონფერენციის მუშაობაში და იქ წარმოდგენილი იყო როგორც რუსეთის ნაწილი. ამიერკავკასია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ამჟამადაც არ არის ცნობილი იურიდიულად

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. 41, ს. 249, გვ. 1—2.

[2] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 86.

[3] იქვე, გვ. 53.

და იგი ვალდებულია ბრესტის საზავო პირობები აღიაროსო[1]. — განაცხადა რაუფ ბეიმ.

ამიერკავკასიის დელეგაცია საცოდავ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. მოლაპარაკება მიმდინარეობდა, თურქეთის ჯარები კი შეტევას განაგრძობდნენ. 6 მარტს მათ არდაგანი აიღეს. ახლოვდებოდა ყარსის დაცემის დღეებიც. მუსავატელები სეიმში და საზავო დელეგაციის შემადგენლობაშიც აშკარად თურქეთის მხარეზე გამოდიოდნენ და ყველა მათს მოთხოვნაზე თანხმობას აცხადებდნენ. დაშნაკები თურქეთის სომხური მოსახლეობის ავტონომიას მოითხოვდნენ, რაც იმ ვითარებაში ფუჭი ოცნება იყო. დელეგაციაში შემავალი თითოეული პარტია ზავის საკითხს თავისებურად წყვეტდა და საერთო ენის გამონახვა თურქეთთან მოლაპარაკებისას შეუძლებელი გახდა. ამ მდგომარეობით შეშფოთებული ჩხენკელი თვითვე აღიარებდა მოლაპარაკების გაგრძელების შეუძლებლობას, „დასაწყისში მე ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ახლა იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ამ ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალია ამიერკავკასიის ცალკეულ ხალხებს შესაძლებლობა მივცეთ თავად გაარკვიონ თავიანთი პოზიცია და მდგომარეობა ჩვენს წინაშე წამოჭრილი საკითხების მიმართო". — ამბობდა იგი.

როდესაც დელეგაციათა შორის საერთო ენა ვერ მოინახა, გადაწყდა დროებითი შესვენება. ამიერკავკასიის დელეგაციის ნაწილმა ისევ თბილისს მოაშურა და სეიმისა და მთავრობის სხდომაზე წარადგინა თავისი წარუმატებლობის ანგარიში. პარტიათა წარმომადგენლების ცხარე მსჯელობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. გადაწყდა დელეგაციისათვის უფრო ფართო რწმუნებანი მიეცათ[2].

23 მარტს კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ჩხენკელმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის მთავრობა თანახმაა დაუთმოს თურქეთს ოლთის ოლქი მთლიანად, არდაგანის სამხრეთ ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ხოლო თურქეთის სომხების ბედის განსაზღვრის საკითხში ცალკე მოლაპარაკება დაიწყოსო[3].

24 მარტს თურქეთის დელეგაციამ ულტიმატუმის სახით მოსთხოვა ამიერკავკასიის დელეგაციას 48 საათის განმავლობაში გაეცა

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 53.

[2] იქვე, გვ. 138—139.

[3] იქვე, გვ. 152—155.

პასუხი თურქეთის 21 მარტის დეკლარაციაზე[1]. ამგვარად, თურქეთის დელეგაცია სრულებითაც არ კმაყოფილდებოდა იმ დათმობებით, რაზედაც ამიერკავკასიის დელეგაცია მიდიოდა, თვლიდა რა, რომ ეს იყო ვაჭრობა მხოლოდ თურქეთის ხარჯზე. ულტიმატუმით შეშფოთებული ჩხენკელი მთავრობის თავმჯდომარეს ე. გეგეჭკორს უდეპეშებდა, რომ საჭიროა ახალ დათმობაზე წასვლა, ბრესტის ხელშეკრულება უარესი მომენტისათვის შემოვინახოთ, ხოლო ამჟამად „თურქებს უნდა ვუთხრათ როგორია ჩვენი დათმობის მაქსიმუმი, რომლის იქეთაც ჩვენ მზად ვართ ვიომოთ. სეიმმა პირდაპირ უნდა დააყენოს საკითხი თავისთავის წინაშე — შეუძლია თუ არა მას დაიცვას იარაღით ბათუმი, არდაგანი და ყარსი“[2].

მაგრამ ჩხენკელის მოსაზრებაზე ამიერკავკასიის მთავრობის თანხმობა ნაგვიანევი აღმოჩნდა. დელეგაციის მდგომარეობა ყოველ საათობით უარესდებოდა. თურქები ახალ-ახალ ტერიტორიებს იკავებდნენ. კონსტანტინოპოლიდან მიღებული კატეგორიული ბრძანებით თურქეთის ჯარებს შეტევა არ უნდა შეეწყვიტათ მანამ, ვიდრე ამიერკავკასიის დელეგაცია არ განაცხადებდა სრულ თანხმობას ბრესტის საზავო პირობებზე. „—აუცილებლად მიმაჩნია ახლავე მივიღო რწმუნება ბრესტის ხელშეკრულების ცნობის შესახებ — უდეპეშებდა ჩხენკელი სეიმს“.

მიუხედავად იმისა, რომ ყარსის ციხე-სიმაგრის დაცემა ყოველდღიურად მოსალოდნელი იყო და ბათუმიდან თურქეთის ჯარები 8 ვერსითღა იყვნენ დაშორებულნი, ამიერკავკასიის მთავრობამ დელეგაციის შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ამის გამო საზავო დელეგაციამ თავისთავზე აიღო პასუხისმგებლობა ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება მოლაპარაკების საფუძვლად და აცნობა კიდეც ამის შესახებ თურქეთის საზავო დელეგაციას[3]. თურქეთის დელეგაციამ, მიიღო რა ცნობად ეს განცხადება, თავის მხრივ განაცხადა, რომ შემდგომი მოლაპარაკება შეუძლებელი ხდება მანამ, ვიდრე ამიერკავკასია თავის დამოუკიდებლობის დეკლარაციას არ გამოაქვეყნებსო[4].

1-ლ აპრილს სეიმის დადგენილების საფუძველზე ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაცია გამოწვეულ იქნა.

თურქეთის მთავრობას, როგორც ვთქვით, ბრესტის ზავის

---

[1] Документы и материалы по внешней политике Зак. и Грузии, გვ. 155—156.

[2] იქვე, გვ. 157.

[3] იქვე, გვ. 160.

[4] იქვე, გვ. 162.

პირობები სრულებითაც არ აკმაყოფილებდა. ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარებაზე საზავო დელეგაციის თანხმობა რომ მიიღეს, თურქეთის მმართველმა წრეებმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარაციული აღიარება მოითხოვეს. თურქეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ სუსტ მეზობელს ადვილად წამოაჩოქებდა და ახალ-ახალ დათმობებს გამოსძალავდა. 1 აპრილს (ახალი სტილით) თურქებმა აიღეს ბათუმი. მათი ჯარების შეტევა ამიერიდან უკვე დაიწყო იმ რაიონებშიც, რომლებიც ბრესტის საზავო პირობებში ნახსენებიც არ ყოფილა. სეიმის მიერ ფრონტზე გაგზავნილი მცირე ნაწილები განუწყვეტლივ უკან იხევდნენ.

საბჭოთა მთავრობა ამიერკავკასიის მშრომელი მასების მძიმე მდგომარეობით ფრიად შეშფოთებული იყო. მაგრამ მას არ შეეძლო რაიმე ფორმალური პრეტენზიების წაყენება თურქეთის მთავრობის მიმართ, რომელიც ჯერჯერობით თითქოს ბრესტის ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობამ თავისი პრეტენზიები წარუდგინა გერმანიის მთავრობას, რომელიც კავკასიის სამხრეთი საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის დაჟინებითი მოთხოვნებით გამოვიდა. თავის საპროტესტო ნოტაში 1918 წლის 31 მარტის (13 აპრილის) თარიღით საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა:

„თურქეთის არმია მიიწევს ბათუმის, ყარსისა და არდაგანისაკენ, ანგრევს რა მათ და ანადგურებს გლეხურ მოსახლეობას. სომხეთის შემდგომი ბედისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება გერმანიას, რადგან მისი დაჟინებითი მოთხოვნით გამოყვანილ იქნა რუსული ნაწილები სომხური ოლქებიდან და ამჟამად მისგან (გერმანიისგან) არის დამოკიდებული შეაკავოს თურქეთის ჯარები ჩვეულებრივი ექსცესებისაგან გაბოროტებისა და შურისგების ნიადაგზე. ძნელია შეურიგდეთ იმ აზრს, რომ ისეთი კულტურული სახელმწიფო, როგორიც გერმანიაა, აქვს რა შესაძლებლობა თავის მოკავშირე თურქეთზე ზემოქმედება მოახდინოს, ნებას მისცემს მას, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სომეხი ხალხისათვის, რომელიც მსოფლიო ომში მისი ნება-სურვილის გარეშე ჩათრეული აღმოჩნდა, გადააქციოს აურაცხელი უბედურების წყაროდ. ამიტომ საბჭო დარწმუნებულია, რომ თქვენს მიერ მიღებული იქნება აუცილებელი და მხოლოდ თქვენზე დამოკიდებული ზომები თურქეთის ხელისუფლებაზე ზემოქმედებისათვის, იმ მიზნით, რომ აღკვეთილ იქნას მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა არდაგანში.

ჩიჩერინი, კარახანი“[1].

ვ. ი. ლენინი თავის მოხსენებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სასაცილოდ იგდებდა ისეთ პოლიტიკას, როცა ძალები არ გაგაჩნია და პრეტენზიები დიდი გაქვს. იგი სწორედ ამიერკავკასიის ხელისუფალთა მისამართით ამბობდა: „მათ ავიწყდებათ, რომ ჯერ უნდა გაიმარჯვო, შემდეგ კი შეიძლება რაიმე მოითხოვო. თუ თქვენ არ გაგიმარჯვნიათ, მტერი შესაძლებლობას ღებულობს გააჭიანუროს პასუხი და სრულიადაც არ უპასუხოს კიდეც მოთხოვნებზე. ასეთია იმპერიალისტური ომის კანონი“[2].

ამ კანონით მოქმედებდნენ თურქი და გერმანელი იმპერიალისტები, როცა კავკასიის საზღვრებში უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდნენ. კავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის ბრძოლა საკუთარი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ქვეყნის დაუძლურება თურქული იმპერიალიზმის წისქვილზე წყლის დასხმა იყო. თურქებს, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, ამიერკავკასიაში შეჭრისათვის პირდაპირი საბაბი მისცა გეგეჭკორის მთავრობის ყოვლად შეუწყნარებელმა მერყეობამ, „მთავრობისა, რომელმაც თავდაპირველად განაცხადა, რომ ბრესტის ზავს არ სცნობდა, შემდეგ კი დამოუკიდებლობას აცხადებს ისე, რომ არ გვეუბნება, თუ რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება ეს... გერმანიას და თურქეთს, როგორც დამხმარე სახელმწიფოს, ამიტომ შეეძლოთ კვლავ და კვლავ წინ წამოეწიათ ისე, რომ არაფერზე პასუხი არ გაეცათ, არაფრისთვის ყურადღება არ მიექციათ და განეცხადებინათ: „ჩვენ ავიღებთ იმას, რისი აღებაც შეგვიძლია, ჩვენ არ ვარღვევთ ბრესტის ზავს, იმიტომ, რომ ამიერკავკასიის არმია მას არ სცნობს, იმიტომ რომ კავკასია დამოუკიდებელიაო“[3].

ამგვარად, კომისარიატის სეპარატიული პოლიტიკის შედეგად ამიერკავკასიის სამხრეთი რაიონები თურქეთის ოკუპაციის ობიექტი გახდა. თურქებმა აიღეს ყარსი, ბათუმი და ოზურგეთი. ისინი თბილისს ემუქრებოდნენ. კომისარიატმა გამოაცხადა მობილიზაცია, მაგრამ არმიისათვის საჭირო იარაღი, ტანსაცმელი, სურსათი მას არ გააჩნდა. დამპყრობლის წინააღმდეგ ხალხი აღდგა. საქართველოს და სომხეთის მშრომელები ქმნიდნენ მოხალისეთა რაზმებს, მიდიოდნენ ფრონტზე და მამაცურად უმკლავდებოდნენ თურქეთის ჯა-

[1] Документы и материалы по внеш. пол. Зак. и Гр. გვ. 192.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 453.
[3] იქვე.

რებს. მაგრამ უუნარო მთავრობამ ვერ შეძლო ხალხის პატრიოტული აღტყინებისათვის გაძღოლა. ამიერკავკასიის „ფედერაციულ რესპუბლიკას“ არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნდა, ხალხს იგი სძულდა. ამავე დროს მთავრობაში შემავალი მუსავატელი კონტრრევოლუციონერები თურქეთს თვითონ ეპატიჟებოდნენ რევოლუციური ბაქოს წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის კომუნისტებს არ გამოპარვიათ თურქეთის იმპერიალიზმის მაქინაციები. კომუნისტები, ამხელდნენ რა კონტრრევოლუციური პარტიების გამყიდველურ პოლიტიკას, ამიერკავკასიის მშრომელებს მოუწოდებდნენ რევოლუციურ რუსეთთან განუყოფლობისაკენ. მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკას შეეძლო ეხსნა ამიერკავკასია თურქეთის მხრივ დაპყრობისაგან.

კომუნისტების ინიციატივით შეკრებილ მიტინგებზე საქართველოსა, აზერბაიჯანსა და სომხეთში გამოჰქონდათ რეზოლუციები საბჭოთა რუსეთთან განუყოფლობის შესახებ, რევოლუციური ბაქოსათვის დახმარების შესახებ. მუშები და გლეხები მოითხოვდნენ შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რასაც თურქეთის გეგმების ჩაფუშვა მოჰყვებოდა.

მენშევიკები თურქეთის ფრონტზე წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მასების ბოლშევიკურ განწყობილებას ასახელებდნენ. საკუთარი უილაჯობა რომ დაეფარათ, ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს მთავრობისა და ხალხის ღონისძიებას ბოლშევიკები შლიანო. ეს აშკარა ტყუილი იყო. პირიქით, თურქეთის ჯარების შემოჭრას ამიერკავკასიაში ბოლშევიკები დიდ უბედურებად თვლიდნენ და ხალხის პატრიოტული მოძრაობის მოთავედ გამოდიოდნენ. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ამიერკავკასიის მშრომელების მიპართ თავის მოწოდებაში აღნიშნავდა: „სამხრეთიდან გვიტევს დესპოტური თურქეთი, რომელიც კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებას და რევოლუციას სიკვდილით ემუქრება. დადგა გადამწყვეტი საათი! რევოლუციის უფრო ძლიერი მტერი წინ გადაეღობა ჩვენს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის კავკასიაში. ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! რევოლუციური მოვალეობის სრული შეგნებითა და ღირსებით ყველანი იარაღთან!“[1].

მას შემდეგ, რაც ტრაპიზონის საზავო კონფერენციამ მუშაობა შესწყვიტა და თურქი დამპყრობლების ჯარები ამიერკავკასიის საზღვრებში შეიჭრნენ, კომისარიატი და სეიმი იძულებული გახდა

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, ფ. № 223. ფ. 2.

თურქეთის მთავრობის პირდაპირი კარნახით ემოქმედნა, ე. ი. გაეფორმებინა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. თურქეთი ხომ მხოლოდ ამის შემდეგ იძლეოდა მასთან „მეგობრული ზავის“ შესახებ მოლაპარაკების უფლებას!

ამიერკავკასია, როგორც ცნობილია, მისმა კონტრრევოლუციურმა მესვეურებმა საბჭოთა რუსეთს ფაქტიურად ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღიდანვე მოსწყვიტეს. მაგრამ სეიმის მენშევიკი დეპუტატები მაინც აპრილამდე თავს იკავებდნენ ეს „დამოუკიდებლობა“ იურიდიულად გაეფორმებინათ, ვინაიდან ამიერკავკასიის მშრომელი მასების საბჭოთა რუსეთთან განუყოფლობის ერთსულოვან მისწრაფებას ხედავდნენ. ჯერ კიდევ 22 თებერვალს მენშევიზმის ბელადი ამიერკავკასიაში ნ. ჟორდანია კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ანტიხალხურ ნაბიჯს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობაში შემდეგი ფორმულით ასაბუთებდა: „რადგან ჩვენ მიტოვებული ვართ ბედის ანაბარა, რადგან რუსეთმა, რომელიც 100 წლის განმავლობაში აქ გვიცავდა ჩვენ და ასე თუ ისე წესრიგს ამყარებდა, ამაზე უეცრად უარი სთქვა, ამით მან უარი სთქვა საკუთარ ორიენტაციაზე, და ამით ჩვენ მიგვითითა, რომ თვით ჩვენვე დავდგეთ ფეხებზე და თვითვე დავიცვათ ჩვენი თავი... როცა არის არჩევანი რუსეთი თუ თურქეთი, ჩვენ რუსებს ვარჩევთ, მაგრამ როცა არის არჩევანი თურქეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებელ ამიერკავკასიასო“[1]. ცხადია, ეს თვალთმაქცური ფორმულა იყო, რადგან რუსეთი არათუ ბედის ანაბარა ტოვებდა ამიერკავკასიას, არამედ იგი მისი ბედის მოზიარედ მიაჩნდა. მაგრამ ახლა ხელისუფლების სათავეში რუსეთში ბოლშევიკები იყვნენ და, ცხადია, სოციალისტურ რუსეთთან ურთიერთობა და თანამშრომლობა ჟორდანიასთვის მოხსნილი იყო, რადგან მისი პარტია უკვე ამიერკავკასიის შეძლებული კლასების ინტერესთა სადარაჯოზე იდგა.

მენშევიკი ონიაშვილი უფრო გულახდილი იყო საბჭოთა რუსეთისადმი სიძულვილში, როცა „ბოლშევიკურ საფრთხეს“ ათანაბრებდა თურქული იმპერიალიზმის საფრთხესთან და ამით ასაბუთებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას.

მენშევიკებმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი თბილისის საბჭოს სხდომაზე გაიტანეს. საბჭოს 14 აპრილის სხდომაზე ჟორდანია აღიარებდა, რომ თურქეთის ულტიმატუმის შემდეგ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარების საკითხი

[1] Закавказский сейм (стеногр. отчет), გვ. 20.

მთელი სიგრძე-სიგანით დადგა დღის წესრიგში, არსაიდან დახმარების იმედი თურქეთთან ომის შემთხვევაში არ არის, საბჭოთა მთავრობამ მართალია, გვაცნობა დახმარებისათვის მზადყოფნის შესახებ, მაგრამ მოითხოვა ჩვენს მიერ ბრესტის საზავო პირობების აღიარება[1], ჩვენ კი ამ პირობებს ვერ შევასრულებთო.

მენშევიკმა კ. ჩხეიძემ საბჭოს ამავე სხდომაზე ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება განსაზღვრა როგორც „რევოლუციის ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის საქმეში“ და არ არის განსხვავება ამ დამოუკიდებლობას რომელი პარტია განახორციელებს, რევოლუციური თუ კონტრრევოლუციურიო. ცხადია, იგი დუმდა იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობას აცხადებდნენ სოციალისტური რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი პარტიები, სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლი ხალხთა მასების ინტერესების საპირისპიროდ.

„—ბოლშევიკური რუსეთიდან ჩვენ უნდა გავიმიჯნოთ, მაგრამ საზღვარი ჩვენ ვერ გაგვთიშავს რუსეთის დემოკრატიიდან.

დამოუკიდებლობა ჩვენ გვჭირდება კიდევ იმიტომ, რომ მეორე მხრიდან ჩვენზე მოიწევს თურქული ბოლშევიზმი. ჩვენ მისგანაც უნდა გავითიშოთ და გავიმიჯნოთ. რუსული ბოლშევიზმი და თურქული იმპერიალიზმი — ეს ერთი მედლის ორი მხარეა“[2]. — ასე ლაპარაკობდა გაკოტრებული „სოციალისტი“ კ. ჩხეიძე, რომელიც რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, კავკასიაში გამოიპარა და კონტრრევოლუციური ბლოკის ერთ-ერთი მესვეურთაგანი გახდა.

„დამოუკიდებლობის“ ყველაზე თავგამოდებულ დამცველებად სეიმში გამოდიოდა მუსავატური პარტია, რომელიც მიზნად ისახავდა დაეცვა მუსლიმანი ბეგებისა, ხანების და ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობა და შეესრულებინა თურქეთის მმართველი წრეების დაკვეთა. მუსავატელები სეიმში იმუქრებოდნენ, რომ გავიდოდნენ მთავრობის შემადგენლობიდან, თუ თურქეთის მთავრობის მოთხოვნები შესრულებული არ იქნებოდა. მათ ბანს აძლევდნენ ნაციონალ-დემოკრატები, დაშნაკები, ფედერალისტები, რომელთაც ერთგვარად სძულდათ საბჭოთა ხელისუფლება და ეშინოდათ ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციისა.

9 აპრილის სხდომაზე სეიმმა დეკლარაციულად აღიარა ამიერკავკასიის „დამოუკიდებლობა“. სეიმის გადაწყვეტილებას სანქცია

---

[1] საქ. სსრ ორსა, ფ. საქ. 8, გვ. 146—147.

[2] საქ. სსრ ორსა, ფ. 5, საქ. 10, გვ. 59—69.

მისცა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო საბჭომ, სადაც უკვე არცერთი ბოლშევიკი აღარ იყო და დაუბრკოლებლად შეიძლებოდა ყოველგვარი კონტრრევოლუციური გადაწყვეტილების მიღება.

„დამოუკიდებლობის“ დეკლარაციულ აღიარებასთან ერთად „შეიცვალა“ მთავრობაც, რომელიც 14 თებერვალს იყო შედგენილი. მთავრობის ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა ა. ჩხენკელს, რომელმაც თვით თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა. მთავრობაში ისევ მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების წარმომადგენლები შევიდნენ. კაბინეტის შეცვლას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა, შეხედულებანი იგივე რჩებოდა. „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკის“ მთავრობის დემაგოგიური დეკლარაცია მრავალ დაპირებას იძლეოდა, მაგრამ აქაც ერთ-ერთ ძირითად ამოცანად „ანარქიის“ წინააღმდეგ ბრძოლას აცხადებდა. ჩვენ უკვე ადრევე ვნახეთ, რომ ამ სიტყვაში კონტრრევოლუციური ბლოკი საბჭოთა ხელისუფლებას გულისხმობდა. თურქი იმპერიალისტები კი ისევ მოიწვევდნენ ამიერკავკასიის სიღრმეში. სეიმი იძულებული შეიქნა მიეღო თურქეთის მთავრობის მეორე მოთხოვნაც, ეცნო ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის საზავო მოლაპარაკების საფუძვლად ბრესტის საზავო პირობები, და ეთხოვა თურქეთის მთავრობისათვის განეახლებინათ საზავო კონფერენციის მუშაობა.

საზავო კონფერენციის მუშაობა განახლდა ბათუმში 1918 წლის 11 მაისს. ბათუმში მხარეთა მოლაპარაკების საფუძვლად თითქოს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობები უნდა ყოფილიყო (ამას ხომ დაჟინებით მოითხოვდა თურქეთის მთავრობა და განახორციელა კიდეც თავისი), მაგრამ ტრაპეზუნდიდან ბათუმამდე გავიდა თვე და ათი დღე და ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა ვითარება. ამიერკავკასიის ხელისუფალთა საგარეო და საშინაო პირობები გაცილებით გაუარესდა.

საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური გამარჯვებანი, თეთრგვარდიული კონტრრევოლუციური ბანდების კრახი სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წარმატება, ბაქოში და აზერბაიჯანის მთელ რიგ მაზრებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, აგრარული რევოლუციის აზვირთება მთელს ამიერკავკასიაში, თურქეთთან საომარი მოქმედების წარუმატებლობა და მთელი რიგი ოლქების ჩაბარება მოწინააღმდეგისათვის, სამეურნეო კრიზისის გამძაფრება მთელს ამიერკავკასიაში, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების თაოსნობით გაღვივებული ნაციონალური

შეღლი და ხოცვა-ჟლეტა, — ასეთი იყო ფაქტიური ვითარება, რომლის წინაშე იდგა ამიერკავკასიის მთავრობა ბათუმის მოლაპარაკების პერიოდში. ყველაფერი ეს მისი ორგანიზმის შინაგან უძლურებას, საგარეო პოლიტიკური ავტორიტეტის და პოზიციის მკვეთრ გაუარესებას მოწმობდა.

შეიცვალა ვითარება, შეიცვალა როლებიც: ახლა ბათუმის საზავო კონფერენციის სხდომებზე ამიერკავკასიის დელეგაცია თურქეთის წინაშე წარსდგა არა როგორც თანასწორი მხარე, არამედ როგორც მათხოვარი. ახლა თურქეთის დელეგაციის წინაშე იგი აღიარებდა, რომ სავსებით იზიარებს ბრესტ-ლიტოვსკის პირობებს და ითხოვს მის საფუძველზე წარიმართოს შემდგომი მოლაპარაკება. მაგრამ თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარემ იუსტიციის მინისტრმა ხალილ ბეიმ პირველსავე სხდომაზე განაცხადა, რომ ტრაპიზონის შემდეგ ორი ქვეყანა ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის შედეგად სისხლი დაიღვარა და „ჩვენი ურთიერთობის ხასიათი, ამრიგად, შეიცვალა. ცხადია, მე არ შემიძლია დაუშვა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება აღიარებულ იქნას როგორც ერთადერთი საფუძველი ჩვენი მოლაპარაკებისა“[1].

თურქეთის მმართველმა წრეებმა დაინახეს რა ხელსაყრელი პირობები მათი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება განზე გადასდეს, ახლა მათ პირისპირ იდგა ამიერკავკასიის უილაჯო მთავრობა, რომელსაც არც არმია ჰყავდა და არც ავტორიტეტი გააჩნდა. ამავე დროს, ეს მთავრობა „დამოუკიდებელი“ იყო და მის საზღვრებში შეჰრა ბრესტის საზავო ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლებოდა.

14 მაისის ნოტით თურქეთის დელეგაციამ მოითხოვა ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის თურქეთის არმიის სარგებლობაში გადაცემა, რასაც იგი „სტრატეგიული აუცილებლობით“ ასაბუთებდა. ამასთანავე, ნოტას ულტიმატუმის ხასიათი ჰქონდა და მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიის მთავრობის უარის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაიცემოდა ბრძანება ალექსანდროპოლზე შეტევის შესახებ. ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაციის მემორანდუმებმა და პროტესტებმა ვერ შეცვალეს თურქეთის მთავრობის განზრახვა. ძალა მათ მხარეზე იყო. საზავო კონფერენცია ბათუმში მუშაობდა, როცა თურქეთის ჯარებმა შეტევა განაახლეს. 15 მაისს ისინი შევიდნენ ალექსანდროპოლში. გადააქციეს რა ეს ქალაქი დასაყრდენ

[1] Документы и материалы по внешней политике Зак. и Грузии 33. 314.

პუნქტად. შემდეგ შეტევა დაიწყეს, ერთი მხრივ, ერევნის, მეორე მხრივ, თბილისის მიმართულებით. გენერალი ნაზარბეკოვი თავის დეპეშაში 20 მაისს ამიერკავკასიის სარდლობას ატყობინებდა:

„მიუხედავად საზავო მდგომარეობისა, თურქები განაგრძობენ სამხედრო მოქმედებას და კერძოდ, კარაკლისის ფრონტზე აგრძელებენ რა შეტევას, დღეს სოფ. ავდიბედიდან გარეკეს ჩვენი ნაწილები. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ თურქები თბილისის შოსეზე და ლორის რაიონში აჯგუფებენ დიდ ძალებს. ცნობილია მათი განზრახვა — გააგრძელონ შეტევა კარაკლისზე და შემდეგ თბილისზე. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალექსანდროპოლისა და ერევნის გზის დაკავება მხოლოდ დასაწყისია შემდგომი დაპყრობისა“[1].

მიიღო რა ჯულფა-ალექსანდროპოლის რკინიგზით სარგებლობის უფლება, რაც დეტალებში საზავო კონფერენციაზე უნდა დამუშავებულიყო[2], თურქეთის დელეგაციამ ახალი პრეტენზიები წამოაყენა. 26 მაისს თურქეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვა ამიერკავკასიის რკინიგზაზე თურქეთის ჯარების გატარების ნებართვა, წინათ წამოყენებული მოთხოვნის (ალექსანდროპოლ-ჯულფას რკინიგზით სარგებლობის) ფორმალური აღიარება, მუსლიმანური მოსახლეობის მიმართ „ძალადობის“ შეწყვეტა და სხვ.[3] ულტიმატუმი ვადას პასუხისათვის 72 საათით განსაზღვრავდა და მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობა შენარჩუნებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეს მოთხოვნა ზუსტად იქნება შესრულებული.

* * *

საბჭოთა მთავრობა „დამოუკიდებელი“ ამიერკავკასიისა და თურქეთის მთავრობათა დელეგაციების ბათუმში მოლაპარაკებისას მტკიცედ იცავდა თავის სამშვიდობო პოლიტიკას და გამოდიოდა რა ამიერკავკასიის მშრომელი კლასების ინტერესებიდან, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთა დათმობებს თურქული იმპერიალიზმისადმი სრულებითაც არ სცნობდა.

ბათუმის კონფერენციის დასაწყისში გერმანიის მთავრობამ

---

[1] Документы и материалы по внешней политике Зак. и Груз. გვ. 302.

[2] იქვე, გვ. 309—310.

[3] საქ. სსრ ორსა, ფ. 13, ს. 26, გვ. 66—67.

მისი მოსკოველი ელჩის გრაფ მირბახის პირით საბჭოთა მთავრობას მიმართა წინადადებით მიეღო გერმანიის „შუამავლობა“ ამიერკავკასიის „დამოუკიდებელ“ მთავრობასა და საბჭოთა მთავრობას შორის მოლაპარაკებისათვის. თავის საპასუხო ნოტაში 15 მაისის თარიღით საბჭოთა მთავრობა ჩვეული პირდაპირობით ახასიათებდა ამიერკავკასიაში შექმნილ ვითარებას და მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიის სეიმის მიერ „დამოუკიდებლობის“ აღიარება სრულებითაც არ შეესაბამება ამიერკავკასიის მშრომელი მასების ინტერესებს, ამიერკავკასიის მთელ რიგ რაიონებში სრულებითაც არ სცნობენ სეიმის ხელისუფლებას, მშრომელი მასები რუსეთთან განუყოფლობის მომხრენი არიან, სუხუმში, ფოთში, ქუთაისში, გორში, თბილისში, დუშეთში და საქართველოს სხვა ქალაქებში გამართულ მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში სეიმი გამოცხადებულია როგორც უზურპატორული ხელისუფლება, სომხეთის მშრომელები მოითხოვენ სეიმიდან დელეგატების გამოწვევას და ახალ არჩევნებს, ხოლო „ბაქომ სეიმის ხროვა გამოაცხადა უზურპატორებად, ასეთივე აზრი გამოითქვა ლენქორანში, დერბენდში, აჯიკაბულში, ალიატში, ქურდამირში და საერთოდ მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ელიზავეტოპოლამდე, მოითხოვეს რა რუსეთის მთავრობის მონაწილეობა ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებაში“[1].

საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ იგი არ სცნობს ამიერკავკასიის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკას, ამავე დროს მოითხოვს მოლაპარაკებაში მონაწილეობის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იცნობს იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიასა და თურქეთს-შორის დაიდება ბათუმში.

კონტრრევოლუციური სეიმი შეეცადა უარეყო საბჭოთა მთავრობის მიერ წაყენებული ბრალდებანი. ჩხენკელის მთავრობამ მრავალი ხელოვნური დაბრკოლებანი შექმნა იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობას ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობა არ მიეღო. რა თქმა უნდა, საბჭოთა მხარის მონაწილეობა არც თურქეთს, არც გერმანიას არ აწყობდა.

სამაგიეროდ საქართველოს და სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები იმედით შესცქეროდნენ კაიზერულ გერმანიას, რომელსაც, მათი აზრით, თურქეთის მმართველი წრეების იმპერიალისტური დამპყრობლური ზრახვები უნდა აელაგმა.

ბათუმის საზავო მოლაპარაკებაში გერმანიის მთავრობის დელე-

---

[1] Документы и материалы по внешней политике Зак. и Грузии, გვ. 291.

გაცია ფონ ლოსოვის ხელმძღვანელობით მონაწილეობას იღებდა როგორც შუამავალი.

ბათუმის მოლაპარაკების პერიოდში გერმანიის ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა ფრიად გაუარესებული და დაძაბული იყო. 4 წლიანი ომის შედეგად სისხლისაგან დაწრეტილი გერმანული იმპერიალიზმის თვალები ხარბად შესცქეროდნენ. ამიერკავკასიას, როგორც უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს ახლო აღმოსავლეთში ინგლისის ბატონობის აღსაკვეთად, მდიდარი სტრატეგიული ნედლეულის ქვეყანას და პლაცდარმს საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისათვის. კაიზერული გერმანიის ერთ-ერთი ბურჯთაგანი ლუდენდორფი საკმაო სიზუსტით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა იზიდავდა გერმანიას ამიერკავკასიისაკენ. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ გერმანიას ამიერკავკასიისაკენ იზიდავდა სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. გერმანელებს კარგად ესმოდათ ამიერკავკასიის რკინიგზის სტრატეგიული მნიშვნელობა. სწორედ ამ გზით შეიძლებოდა ჯარების გადაყვანა ჩრდილოეთ ირანში და იქედან ინგლისელების განდევნა. ლუდენდორფი ამ გეგმის განხორციელებას ვარაუდობდა საქართველოს ადგილობრივი ჯარების გამოყენებით. ამავე დროს, როგორც იგი აღნიშნავს, აპირებდა მუშახელის შეგროვებას ადგილობრივი მოსახლეობიდან, რომელსაც არმიაში გასაწვევი მუშები უნდა შეეცვალა გერმანიაში.

ეკონომიური ინტერესები უფრო ფართო იყო. ნავთობით, მარგანეცით, ქვანახშირით, ხე-ტყით მდიდარი ამიერკავკასია, თავისი სიუხვითა და მრავალფეროვნებით, სასოწარკვეთილებამდე მისულ გერმანელ იმპერიალისტებს დიდ იმედებს უნერგავდა. მათ განსაკუთრებით ბაქოს ნავთობი აინტერესებდათ, ხოლო საქართველოში დამკვიდრების შემდეგ ბაქოში შესვლაც არ უნდა გაძნელებულიყო, მით უმეტეს, რომ მუსავატელები თურქეთს და მის მოკავშირე გერმანიას თავად ეპატიჟებოდნენ საბჭოთა ბაქოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ბაქოში შესვლით კი გერმანელებს შეეძლოთ ხელთ ეგდოთ ნავთობის ვეებერთელა მარაგი, რომლის გაზიდვა უზრუნველყოფილი იქნებოდა ბაქო-ბათუმის რკინიგზითა და შავი ზღვის ნავსადგურებით.

გერმანელი იმპერიალისტების პოლიტიკურ მიზანს შეადგენდა საქართველოს და ამიერკავკასიის გადაქცევა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო პლაცდარმად, ახლო აღმოსავლეთში გერმანული ბატონობის უზრუნველსაყოფად.

გერმანიისა და თურქეთისათვის ბათუმის მოლაპარაკება პირ-

ველი ნაბიჯი იყო ამიერკავკასიის შინაურ საქმეებში ჩარევისა და მისი კოლონიად გადაქცევის გეგმების განხორციელების გზაზე, მაგრამ თითოეულ მათგანს, გარდა საერთოსი, საკუთარი და ერთმანეთის საპირისპირო გეგმებიც გააჩნდათ. გერმანიისათვის სრულებითაც არ იყო ხელსაყრელი ამიერკავკასიაში თურქეთის უპირატესი გავლენა. თურქეთს გერმანიის სამოკავშირო ბლოკში ფაქტიურად დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა, იგი იძულებული იყო ისე ემოქმედნა, როგორც გერმანელი მბრძანებლები მიუთითებდნენ. გერმანელებს კი ერჩიათ საომარი ოპერაციების ასპარეზზე ახლო აღმოსავლეთში თურქი ჯარისკაცები მიეშვათ, თვით მეორე ეშელონში ყოფილიყვნენ და დაპყრობილ ტერიტორიაზე წესრიგისათვის, ე. ი. გერმანულ ბატონობის უზრუნველყოფისათვის ეზრუნათ. თურქეთის ჯარების წინსვლა ამიერკავკასიის სიღრმეში და განსაკუთრებით ბაქოსკენ, სტრატეგიულად სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი გერმანიისათვის, რადგან დაუცველი რჩებოდა მესოპოტამიის ფრონტი და საშიშროება იქმნებოდა ირანიდან ამიერკავკასიაში ინგლისური იმპერიალიზმის შემოჭრისა. ლუდენდორფი ენვერ ფაშას არა ერთგზის ახსენებდა მესოპოტამიის ფრონტზე შექმნილ ვითარებას და მიუთითებდა იქ თურქეთის არმიის დაუყოვნებლივი გადაყვანის აუცილებლობაზე, ამავე დროს, თურქეთის ზურგს უკან აწარმოებდა სეპარატულ მოლაპარაკებას საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებთან და მათ მხარდაჭერას პირდებოდა.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფონ ლოსოვს აკისრებდა თურქეთის დელეგაციაზე გავლენა მოეხდინა, რომ ამ უკანასკნელს თავისი პრეტენზიები ბრესტის საზავო ხელშეკრულებით შემოეფარგლა. ეს იყო მხოლოდ ინსცენირება გერმანიის მიერ ბრესტის საზავო ხელშეკრულებისადმი ერთგულებისა, ხოლო ფარულად გერმანიის მთავრობა კავკასიაში თურქეთის აგრესიას ყოველმხრივ აქეზებდა, იმ იმედით, რომ მისი ნაყოფით თვით ესარგებლა. ამ ინსცენირებით კი ბრესტის ზავის პირობების აშკარა დამრღვევის როლში გამოდიოდა თურქეთი, ხოლო გერმანიის პროტესტები თურქეთის ახალ-ახალი პრეტენზიების გამო, მას თითქოს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების ერთგულად ხდიდა. როდესაც თურქეთმა ამიერკავკასიის მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა და ამიერკავკასიის დელეგაციას სჭიროდა გერმანიის დელეგაციის შუამავლობა თურქეთთან, ფონ ლოსოვმა ცივად მისწერა ამიერკავ-

კასიის დელეგაციის მეთაურს, რომ „თურქეთის დელეგაციამ არ მიიღო გერმანიის დელეგაციის შუამავლობაო"[1].

25 მაისს ფონ ლოსოვმა ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურს აცნობა, რომ ვინაიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაცემის სტადიაში იმყოფება, ხოლო მას რწმუნება ჰქონდა მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ეწარმოებინა მოლაპარაკება, ამიერიდან თავის მისიას ამოწურულად თვლის და ახალი ინსტრუქციების მისაღებად ბათუმიდან ბერლინში მიემგზავრება[2]. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ბათუმიდან იგი ფოთში გაემგზავრა და 28 მაისს უკვე ჩამოყალიბებულ საქართველოს „მთავრობასთან" ხელი მოაწერა სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურ შეთანხმებას, ამავე დროს ფოთიდან ბერლინში გაიყოლია ამ „მთავრობის" საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩხენკელი.

ამრიგად, ბათუმის კონფერენციის პერიოდში გერმანიის საზავო დელეგაციამ შეასრულა თავისი მიზანდასახულება. ოფიციალურად იგი ბრესტის საზავო ხელშეკრულების ერთგული დარჩა, ზავის ამ პირობების დამრღვევის როლში დატოვა თურქეთი და მის საფარქვეშ მიაღწია ამიერკავკასიის საშინაო საქმეებში უშუალოდ ჩარევას, ამავე დროს, თურქეთისაგან ფარულად საქართველოში ახლად გამომცხვარ მთავრობასთან დასდო ხელშეკრულება, რომლითაც იგი „დემოკრატიულ" საქართველოს ბატონ-პატრონი ხდებოდა.

* * *

ბათუმის საზავო კონფერენციაზე, თურქეთის ჯარების შეტევის განახლების შემდეგ უკვე გამოაშკარავდა ის უთანხმოებანი და შეურიგებელი წინააღმდეგობანი, რომლებიც მთავრობაში შემავალ სხვადასხვა პარტიათა შორის არსებობდა და ამიერკავკასიის „მთლიანობას" შინაგანად ღრღნიდა. ოფიციალურად დელეგაცია თითქოს ამიერკავკასიის მთავრობის თვალსაზრისს იცავდა, მაგრამ დელეგაციაში შემავალი მუსავატელები, დაშნაკები, მენშევიკები ფარულად ეწეოდნენ გარიგებას თურქეთისა და გერმანიის საზავო დელეგაციებთან და ძირს უთხრიდნენ იმ პოზიციას, რომლის დასაცავად ისინი მოწოდებულნი იყვნენ, როგორც ამიერკავკასიის ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტრაპეზუნდის საზავო მოლაპარაკება

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 306.

[2] იქვე, გვ. 307.

ჩაიშალა და ამიერკავკასიის დელეგაცია თბილისში იქნა გაწვეული, დელეგაციის წევრ მუსავატელების ერთი ნაწილი განჯინსკის მეთაურობით ტრაპეზუნდში დარჩა და ცალკე, ფარულ მოლაპარაკებას ეწეოდა თურქებთან. მუსავატელებმა იქ ინახულეს ენვერ ფაშა, რომელიც, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის მიტაცების თურქული გეგმების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო და მასთან ფარული გარიგება დასდეს[1]. ბათუმის კონფერენციის მუშაობის პერიოდში მუსავატელებს ასევე უშუალო კავშირი ჰქონდათ ხალილ ბეისთან და ამიერკავკასიის შესახებ მას სრულ ინფორმაციას აწვდიდნენ, აქეზებდნენ თურქეთს წამოეყენებინა ახალ-ახალი მოთხოვნები, ხოლო სეიმის სხდომებზე, როგორც ვიცით, მთავრობას ურჩევდნენ ეს მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

მუსავატურ პარტიას, თურქეთის მმართველ წრეებთან ლაციცს რომ ეწეოდა, ცხადია, ამოძრავებდა აზერბაიჯანის შეძლებული კლასების ინტერესები, რომლებსაც იგი მშრომელი კლასების ბედსა და მომავალს ანაცვლებდა. პირველი რიგის ამოცანად ამ პარტიას ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების განადგურება მიაჩნდა, და რადგან ეს შინაგანი ძალებით შეუძლებელი აღმოჩნდა, ახლა თურქეთს ეპატიჟებოდა, მას მთელ აზერბაიჯანს უწინდრებდა, ოღონდ მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება აღდგენილი ყოფილიყო. მუსავატელების ლიდერი ნასიბ-ბეკ უსუბეკოვი ამას აშკარად აღიარებდა ბათუმის საზავო კონფერენციის გახსნის წინ:

„ისეთი გრანდიოზული მასშტაბის ანარქია, რომელიც არა მარტო ჩვენთან — აზერბაიჯანელ თურქებთან, არამედ ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე მძვინვარებს, არ შეიძლება ჩაქრობილ იქნას ჩვენი საკუთარი ძალებით. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ აღმოსავლეთიდან გვიტევენ ბოლშევიკები. ასეთი მდგომარეობის გამო, ჩვენი უსუსურობის პირობებში არ გვაქვს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მივმართოთ უცხო სახელმწიფოთა ჩარევას. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვიხაროდეს იმ ბედნიერი დამთხვევისა, რომ საგარეო ძალა, რომელიც აქ უნდა მოვიდეს, არის ჩვენთვის მეგობრული და ძმური თურქეთი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია განსაკუთრებით დავიჟინოთ თურქეთის წინაშე, რომ მან

---

[1] Е. А. Т о к а р ж е в с к и й, Бакинские большевики — организаторы борьбы против турецко-германских и английских интервентов в Азербайджане в 1918 году, გვ. 103.

დაუყოვნებლივ გამოგზავნოს თავისი ჯარები, ჩვენ ახლოლდ ვთხოვთ მას ამის შესახებ"[1].

მუსავატელები ტრაპეზუნდში და ბათუმში ენვერ ფაშასთან მოლაპარაკებისას თანხმობას გამოსთქვამდნენ აზერბაიჯანი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესულიყო და ისეთივე კავშირი შეშექმნილიყო, როგორიც იყო, მაგალითად, ავსტრია-უნგრეთისა. ენვერ ფაშა განჯინსკის ტრაპეზუნდშივე აღუთქვამდა დახმარებას: — სულ ჩქარა ჩემი ძმა ნური ფაშა, — ამბობდა ენვერი, — სპარსეთის გზით აზერბაიჯანში გაჩნდება 300 სამხედრო ინსტრუქტორით და მუსავატს დაეხმარება ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო[2]. სეიმის მუსავატი წევრები ფარულ მოლაპარაკებას ეწეოდნენ აგრეთვე ყოფილ გერმანელ კონსულთან შრეიდერთან და მას არწმუნებდნენ, რომ ქვეყნის შიგნით წესრიგის აღდგენისათვის აუცილებელია თურქეთ-გერმანიის ინტერვენციაო[3]. მუსავატელები შემდეგშიც არა ერთხელ მიუთითებდნენ, რომ თურქების მოწვევის საკითხი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყოო.

მუსავატელები ვერ იტანდნენ დაშნაკებს. ამიერკავკასიის სეიმის სხდომებზე ეს ორი პარტია ერთმანეთს აბრალებდა ამიერკავკასიის მუსლიმანურ და სომხურ მოსახლეობას შორის ატეხილ შუღლსა და სისხლის ღვრას. ცხადია, ამ მხრივ ორთავე პარტიის „დამსახურება" თანაბარი იყო. მუსავატელების მიერ თურქების მოპატიჟება ამიერკავკასიაში დაშნაკებს არა მარტო „დიდი სომხეთის" გეგმების დაშხვრევად, არამედ საერთოდ მათი არსებობის საფრთხედ მიაჩნდათ. ისინი მუსავატელებისაგან ფარულად ეწეოდნენ ვაჭრობას თურქეთის საზავო დელეგაციასთან, რათა ეგების შეენარჩუნებინათ ოკუპაციას გადარჩენილი მაზრები. ამავე დროს, ინგლის-ამერიკის მისიებთან თათბირობდნენ სომხეთის მომავალ ბედზე ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა მფლობელობაში.

რაც შეეხება მენშევიკებს, ახლა ისინი, გამოდიოდნენ რა ქართველი ხალხის ინტერესთა „დამცველის" სახელით, სრულს სოლიდარობაში იყვნენ ნაციონალ-დემოკრატებთან და ამზადებდნენ „ამიერკავკასიის რესპუბლიკიდან" საქართველოს გამოყოფას. თურქეთის ჯარები თბილისისა და ქუთაისის მიმართულებით იბრძოდნენ. ასეთ ვითარებაში მენშევიკების აზრით ერთადერთი ხსნა კაიზერული

---

[1] იხ. Токаржевский указ, გვ. 105.

[2] Архив Октябрьской революции Аз. ССР, ф. 2, III, оп. I, д. 54, გვ. 33.

[3] იქვე, გვ. 12—13.

გერმანიის კალთებ ქვეშ თავის შეფარება იყო. როგორც აღვნიშნავდით, საზავო კონფერენციის მესამე დღეს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უკვე მიმართა თხოვნით ფონ ლოსოვს შემოეყვანა საქართველოში გერმანელთა ჯარები, ერთი სიტყვით მოეხდინა საქართველოს ოკუპაცია.

ბათუმის კონფერენციაზე ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის შიგნით ამტყდარი უთანხმოებანი, ცხადია, მხოლოდ გამოვლენა იყო იმ ღრმა შინაგანი წინააღმდეგობისა, რაც იმთავითვე ღრღნიდა ამიერკავკასიის სეიმს და „ფედერატიულ რესპუბლიკას“. სეიმში და მთავრობაში შემავალი კონტრრევოლუციური პარტიები ამ შინაგან წინააღმდეგობას იმთავითვე ხედავდნენ. ამიტომ აძლიერებდნენ ეროვნულ პოლკებს, რომლებსაც „ფედერაციული რესპუბლიკის“ დამხობისთანავე საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებისთვის მთავრობაში გზა უნდა გაეკაფა. სანამ წინააღმდეგობანი არ გამწვავდებოდა, ეს პარტიები ერთმანეთს პირში ელაქუცებოდნენ, ქვებს კი ჯიბეში ინახავდნენ, სწორედ ახლა, როცა ყველაფერს ფარდა აეხადა, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და თურქეთ-გერმანიის ხმლის ქვეშ ყველას აღსარება უნდა ეთქვა, სეიმი ერთ დღეს ხუხულასავით დაიშალა. მწარე სინამდვილის აღიარება პირველი მოუხდა სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის წარმომადგენელ კ. წერეთელს, რომელმაც სეიმის უკანასკნელ სხდომაზე 26 მაისს განაცხადა, რომ აღარ არსებობს ერთიანი ამიერკავკასია, მთავრობაში მხოლოდ ფიქტიური ერთიანობაა, სეიმის ყველა პარტია თავისებურად და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ხოლო ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმის არსებობა უაზრო ხდება და სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა მოუაროს ყველასაგან მიტოვებულ საქართველოსო[1]. წერეთელი ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევას სხვა პარტიებს, პირველ რიგში მუსავატს, აბრალებდა. ცხადია, სდუმდა სოციალ-დემოკრატიის მიერ აღებული კურსის კრახის გამო, სოციალ-დემოკრატიას ხომ სეიმსა და მთავრობაში წამყვანი როლი ეკავა და საქმე ასეთ დასასრულამდე მიიყვანა! 26 მაისს სეიმის წევრები შეიკრიბნენ იმისათვის, რომ საბოლოოდ დაშლილიყვნენ. საბოლოო დადგენილება, როგორც ეპიტაფია საფლავის ქვაზე, ასე ახასიათებდა სეიმის საქმეებსა და მის სამარცხვინო დასასრულს: „იმის გამო, რომ ომისა და ზავის საკითხებზე თავი იჩინა შეხედულებათა მკვეთრმა სხვადასხვაობამ იმ ხალხთა შორის, რომლებმაც

[1] Зак. Сейм, Стенографический отчет.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნეს და ამიტომაც შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების არსებობა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, სეიმი აღნიშნავს ამიერკავკასიის დაშლის ფაქტს და აბარებს თავის რწმუნებას"[1].

სეიმის დაშლის დღეს, 26 მაისს იმავე შენობაში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის ყოფილი ელჩი და ახლა ჯარების უფროსი გრაფი შულენბურგი თავისი ოფიცრობით, თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე, ქართველი ოფიცრობა. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ ეს წუთი მონათლა „ტრაგიკულ, მაგრამ ქართველი ერისათვის ისტორიულ აქტად", როცა „მოკვდა ერთი სახელმწიფო და ამავე დარბაზში საფუძველი ეყრება მეორე სახელმწიფოს". ჟორდანია იქვე მიუთითებდა, რომ ამ ორ სახელმწიფოს — მკვდარსა და ახლადშობილს შორის არ არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა. ეს უკვე მიუთითებდა, რომ მენშევიკები თავიანთი პოლიტიკის ბოლომდე ერთგულნი რჩებოდნენ. ამ სხდომაზე საქართველო „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ იქნა გამოცხადებული, ხოლო პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარებულ იქნა „დემოკრატიული რესპუბლიკა".

ქვემოთ ჩვენ შევეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად დამოუკიდებელი შეიქმნა საქართველო ან რამდენად დემოკრატიული იყო მისი პოლიტიკური ცხოვრება. პირველი შთაბეჭდილებისათვის საკმარისია საქართველოს ეროვნული საბჭოს 14 მაისის დადგენილება გერმანიის იმპერიისათვის საქართველოს ბედის ჩაბარების შესახებ და ამ იმპერიის წარმომადგენლის შულენბურგის მონაწილეობა „დემოკრატიული" საქართველოს დაბადების „ტრაგიკულ" აქტში. მოვლენის ასეთი საწყისები საქართველოს უკვე უქმნიდა დასავლეთის იმპერიალისტთა მძიმე უღელს და იგი მას დაედგა კიდეც.

ხელდაკრეფილი არც მუსავატელები იყვნენ. სეიმის მუსავატური ფრაქციის 27 მაისის სხდომაზე გადაწყდა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მთავრობა[2]. ჩატარდა მუსლიმანური ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები. 28 მაისს თბილისის სასტუმრო „ორიანტის" ერთერთ ნომერში შეიკრიბა

---

[1] Документы и материалы по внешней политике Зак. и Грузии, გვ. 330.

[2] ЦГАОР Азерб. ССР, ф. 2, оп. 1, д. 7, л. 4.

მუსლიმანთა ეროვნული საბჭო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება აზერბაიჯანის „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ გამოცხადების შესახებ და ხანხოისკის დაავალა მთავრობის ჩამოყალიბება. მთავრობა ჩამოყალიბებულ იქნა, თავის რეზიდენციად მან აირჩია ელიზავეტოპოლი — აზერბაიჯანელი ხანებისა და ბეგების ციტადელი მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ. ივნისის პირველ რიცხვებში „მთავრობა“ განჯაში გადავიდა.

„მუსლიმანური ეროვნული საბჭოს“ მიერ აზერბაიჯანის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება თურქეთის მმართველი წრეების მიერ იყო ნაკარნახევი. იმპერიალიზმის ბუნების შესაბამისად, თურქეთის მმართველ წრეებს ცხადია, ყველაზე მეტად აწყობდათ აზერბაიჯანშივე გათამაშებულიყო დამოუკიდებლობის კომედია და ადგილობრივი მთავრობა თვით ყოფილიყო თურქეთის ჯარების მოწვევის ინიციატორი. საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისათვის ასე სჯობდა, თურქეთის მმართველი წრეები „დამხმარეს“ როლში გამოდიოდნენ. ეს შენიღბავდა მათს დამპყრობლურ გეგმებს. რასულ-ზადე კონსტანტინოპოლიდან ჯერ კიდევ ადრე ატყობინებდა მუსავატელებს, რომ თურქეთის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, ცხადია თურქეთთან მჭიდრო კავშირში.

„ენვერ ფაშას აზრით, დამოუკიდებელ აზერბაიჯანს, რომელსაც თურქეთთან საერთო საზღვარი ექნება, შეუძლია კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს ოტომანთა იმპერიასთან ავსტრია-უნგრეთის კავშირის ფორმამდეო. — წერდა იგი. ხოლო მუსავატელები, თავის მხრივ, ენვერ ფაშას სწერდნენ, რომ „თურქეთისათვის ამიერკავკასიის მუსლიმანური ნაწილის სრულ შეერთებაზე ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ჩვენ დასაბუთებულად გაგვიცხადეს, რომ თურქეთის პოლიტიკა მოითხოვს, ჩვენ ჯერჯერობით დამოუკიდებელნი და ძლიერნი ვიყვეთ... ჩვენ მივიღეთ ეს მითითება, შეგნებულად დავეთანხმეთ მას“[1].

ამგვარად, დამოუკიდებლობა ორთავე მხარისათვის მხოლოდ საფარი იყო ხალხის წინაშე. სინამდვილეში თურქეთი აზერბაიჯანის ბატონ-პატრონი ხდებოდა, საფასურად იმ სამსახურისა, რომელიც თურქ ასკერებს აზერბაიჯანული მემამულეებისა და კაპიტალისტების საკუთრების დაცვის საქმეში უნდა გაეწიათ. ახლად ჩამოყალიბებული „დამოუკიდებელი მთავრობის“ მეთაური ხან ხოისკი გენერალ ნური ფაშას სწერდა:

---

[1] გაზ. „Известия ВЦИК РСФСР“ № 62, 1918 წ.

„თქვენს ალმატებულებას შესანიშნავად ესმის, რომ ჯერ კიდევ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მუსლიმანი აზერბაიჯანელების პოლიტიკური მოღვაწეები ერთსულოვნად და განუხრელად იდგნენ იმ თვალსაზრისზე, რომ აზერბაიჯანის საერთო პოლიტიკური ცხოვრება უნდა მიმდინარეობდეს... ოტომანთა იმპერიის სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან სრულ თანხმობაში და როგორც თურქეთის, ისე აზერბაიჯანის კეთილდღეობის სახელით გამოცხადებულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ყოფიერება.

შემდეგ ამისა ჩემის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბებული აზერბაიჯანის მთავრობა ასევე განუხრელად ატარებდა და მომავალშიც გაატარებს ცხოვრებაში ოტომანთა იმპერიის პოლიტიკურ ტენდენციებთან თავის წინასწარდასახულობათა და პოლიტიკური ნაბიჯების სრული შესაბამისობის იდეას"[1].

მუსავატელებს არც დაშნაკები ჩამორჩნენ. სომხეთის „ეროვნულმა საბჭომ", რომლის სათავეში დაშნაკები იდგნენ, 28 მაისს თბილისში სასწრაფოდ შეაკოწიწა სომხეთის „დამოუკიდებელი რესპუბლიკის" მთავრობა და რეზიდენციად აირჩია ერევანი. ამ „მთავრობის" განკარგულებაში ახლა სომხეთის 2 მაზრაღა იყო დარჩენილი, რადგან სომხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკვე თურქ დამპყრობლებს ეჭირათ.

თვითეული ეს „მთავრობა" ახლა თურქეთის საზავო დელეგაციასთან დამოუკიდებელ მოლაპარაკებას შეუდგა. ამ მთავრობათა სავალალო მდგომარეობის გამო კიდევ უფრო აშკარა გახდა მათი დელეგაციების მათხოვრული პოზიცია. თურქეთი ახლა თითოეულ მათგანს თავის ნება-სურვილს უკარნახებდა.

31 მაისს საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის" მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა ხალილ ბეის გაუგზავნა შეკითხვა: 27 მაისს, საღამოს 9 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მოუვიდა ულტიმატუმი, რომელიც ოტომანთა საიმპერატორო მთავრობის მიერ გაგზავნილი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მისამართით.

მაქვს პატივი გთხოვოთ მაუწყოთ შეეხება თუ არა ეს ულტიმატუმი საქართველოს რესპუბლიკას?[2]

---

[1] Е. А. Токаржевский, Бакинские большевики—организаторы борьбы против турецко-германских и английских интервентов в Азербайджане в 1918 году, გვ. 108—109.

[2] Документы и материалы по внешней политике Зак. и Гр. გვ. 339.

თურქეთი ამიერკავკასიაში მომხდარ ცვლილებას სრულებითაც არ აქცევდა ყურადღებას და თავის გეგმებს არათუ კეცავდა, პირიქით, აფართოებდა. თურქეთის მმართველი წრეები კარგად ამჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიის დანაწევრების შემდეგ მისი დაპყრობის რეალური შესაძლებლობანი უფრო იზრდებოდა. ხალილ ბეიმ ასეთი პასუხი გაუგზავნა რამიშვილს: „ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის შექმნა არაფერს არ ცვლის იმ პირობებში, რომლებმაც განაპირობა 26 მაისის ნოტა, საიმპერატორო დელეგაციას მიაჩნია, რომ იგი ბუნებრივია, საქართველოს რესპუბლიკასაც შეეხებაო“[1].

მენშევიკური მთავრობას არ შესწევდა არავითარი ძალა უარეყო თურქი იმპერიალისტების ეს მოთხოვნა. მენშევიკ დიპლომატებს ბრესტის საზავო პირობები ახლა სანატრელი გაუხდათ. ისხდნენ რა რევოლუციის ვულკანზე, მენშევიკებმა ამჯობინეს ისევ თურქულ იმპერიალიზმთან მოეხდინათ გარიგება.

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს „დემოკრატიულ რესპუბლიკასა“ და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება.

თურქეთთან ხელშეკრულებას ამავე დღეს ხელი მოაწერეს აზერბაიჯანისა და სომხეთის „დემოკრატიულ რესპუბლიკათა“ საზავო დელეგაციის წევრებმაც.

როგორი იყო თურქეთთან ხელშეკრულების პირობები ამიერკავკასიისათვის?

თურქეთთან „მშვიდობისა და მეგობრობის“ ეს ხელშეკრულება გაცილებით უფრო მძიმე და კაბალური იყო, ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკისა. თურქეთის ხელში გადადიოდა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. სურმალოს მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების სამი მეოთხედი, შარურო-დარალგეზის მაზრის ერთი მეხუთედი. სპასპზღვრო ხაზი სომხეთთან და საქართველოსთან ისე იყო შერჩეული, რომ ბუნებრივი სიმაგრეები თურქეთის ხელში გადადიოდა. რჩებოდათ რა ხელსაყრელი ბუნებრივი პოზიციები, თურქეთის ხელისუფალთ მათთვის საჭირო შემთხვევაში ადვილად შეეძლოთ დაერღვიათ საზღვარი და ამიერკავკასიის სიღრმეში გაჭრილიყვნენ; ის ტერიტორია, რომელიც ბათუმის ხელშეკრულებით საქართველომ დაჰკარგა, დაახლოებით 10.000 კვადრატულ კილომეტრს უდრიდა 350 ათასი სული მოსახლით. სომხეთიდან თურქებმა 14.961 კვადრ. ვერსი მიიტაცეს,

[1] Документы и материалы по внешней политике, Зак. и Груз. вз. 340.

სადაც 404 ათასი სული მოსახლე იყო. ბრესტის საზავო ხელშეკრულების თანახმად კი ამიერკავკასიიდან თურქეთის ხელში გადადიოდა (და ისიც რეფერენდუმის უფლებით) 12.421 კვ. ვერსი. განსხვავება, როგორც ვხედავთ, მეტად დიდია. თურქეთი დაეპატრონა ამიერკავკასიის ისეთ ტერიტორიებს, სადაც სომხური და ქართული მოსახლეობის პროცენტი 67-ს შეადგენდა, თურქებისა კი—30%-ს.

მაგრამ საზავო პირობები ამით როდი ამოიწურებოდა: დამატებით ხელშეკრულებაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის „მთავრობები" ვალდებულებას იღებდნენ დაეთმოთ თურქეთისათვის რკინიგზები ჯარების გადასაყვანად და საჭურვლის გადასაზიდად. ჯარების გადაყვანა უნდა მომხდარიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ხარჯებითა და პერსონალით ოტომანთა დელეგაციის თავმჯდომარის მითითების თანახმად. ამავე დროს, საქართველოს მთავრობას უნდა განეიარაღებინა მის განკარგულებაში არსებული სამხედრო ფლოტი, უნდა დაეშალა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული მოხალისეთა რაზმები[1]. აზერბაიჯანის „დამოუკიდებელი რესპუბლიკის" დელეგაციასთან მოლაპარაკების საფუძველზე თურქეთი ვალდებულებას იღებდა მუსავატური მთავრობისათვის გაეწია შეიარაღებული დახმარება აზერბაიჯანში „წესრიგის" აღსადგენად. სწორედ ეს პუნქტი წარმოადგენდა ვიზას თურქეთის ინტერვენციისათვის აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის „დამოუკიდებელი" მთავრობის მესვეურები, ხალილ-ბეისადმი სპეციალურ წერილში გოდებდნენ იმის შესახებ, რომ ბაქოსა და აზერბაიჯანის მაზრებში საბჭოთა ხელისუფლება იმარჯვებს და „მთავრობა" უძლურია საკუთარი ძალებით აღადგინოს „წესრიგი". ხელშეკრულების მეოთხე პუნქტის საფუძველზე ისინი აჩქარებდნენ თურქეთს გაეგზავნათ ჯარები აზერბაიჯანში და დახმარება გაეწიათ ბოლშევიზმის ლიკვიდაციის საქმეში: „ახლადშექმნილი რესპუბლიკა უძლურია ჩაახშოს ეს ძალები (საბჭოთა ხელისუფლება — ა. ს.), რომლებსაც აქვთ მხარდაჭერა ჩრდილოეთიდან. დასახელებულ მიზეზთა გამო აზერბაიჯანის მთავრობის პირველ მოვალეობას შეადგენდა ბაქოს გუბერნიის უსწრაფესი გაწმენდა ბოლშევიკი ჩეტნიკებისაგან. თუ ეს საკითხი არ გადაწყდება სწრაფად და საკეთილდღეოდ, რესპუბლიკის მთელი არსებობა ეკვის ქვეშ დადგება... ზემომითითებულ საშიშროებათა გამო და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და თურქეთს შორის მეგობრული ხელშეკრულების პუნქტის თანახმად,

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 353—363.

თქვენს მაღალ აღმატებულებას მივმართავ თხოვნით, რომ თურქეთის მთავრობამ სამხედრო დახმარება გაუწიოს ჩემს მთავრობას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლასა და მათს განდევნაში...“[1] — სწერდა განჯინსკი ხალილ-ბეის. 14 ივნისს აზერბაიჯანის „დამოუკიდებელ“ მთავრობასა და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც აზერბაიჯანის რკინიგზები 5 წლის ვადით თურქეთის ხელში გადადიოდა. თურქეთი თავის თავზე იღებდა რკინიგზის უწყების მმართველობის საქმეს და ჰქმნიდა თავის საკომენდატოებს ყველა სადგურში[2].

თურქეთს არ დაუგვიანებია აზერბაიჯანის „მთავრობის“ თხოვნის შესრულება. ივნისის პირველ რიცხვებში ბათუმში, ყარსში, სამხრეთ აზერბაიჯანში შერჩეულ იქნა ყველაზე ბრძოლისუნარიანი და კარგად შეიარაღებული დივიზიები აზერბაიჯანში გადასაყვანად. ეს ნაწილები დაიძრნენ აზერბაიჯანისაკენ. 27 მაისს უკვე განჯაში განლაგდა თურქეთის არმიის შტაბი გენერალ-ლეიტენანტ ნური ფაშას მეთაურობით. 5 ივნისს განჯაში შევიდა თურქეთის მეხუთე დივიზიის ნაწილები. აქვე ირანის აზერბაიჯანიდან (შუშის მაზრის გავლით) გადმოსროლილ იქნა ნიზამი-ფაშას რაზმი, რომელიც 7 ათასი კაცისაგან შედგებოდა. თურქეთის მეორე პოლკმა 6 ივნისს დაიკავა აქსტაფა, 7 ივნისს თურქეთის მე-9 ქვეითი პოლკი ყაზახში დაბანაკდა.

აზერბაიჯანის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში უკვე განლაგდა თურქეთის ორი დივიზია, რომლებიც საბჭოთა ბაქოზე შეტევისათვის იყო გამიზნული. ნური ფაშამ მუსავატურ მთავრობასთან შეთანხმებით, აზერბაიჯანელი მშრომელი მასების თვალის ასახვევად თურქულ დივიზიებს სახელი შეუცვალა და იგი „ისლამის კავკასიურ არმიად“ მონათლა.

ნური ფაშა და მისი შტაბი განჯაში განუკითხავი ხელისუფალი გახდა. ხან-ბეგების წარმომადგენლები მას პურმარილით შეეგებნენ და საზეიმო მიმართვებში აზერბაიჯანის მხსნელად აღიარეს. მალე თურქი ასკერები განჯის ქუჩებში გამოჩნდნენ პატრულებად. ქალაქის მილიციის უფროსად თურქი ოფიცერი დაინიშნა. ნური ფაშას ბრძანებით დაიწყო აზერბაიჯანელი მოსახლეობის განიარაღება. ამ საქმეში თურქეთის რაზმებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდ-

---

[1] Аз. Филиал Инст. Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС, ф. 277, св. 2, ц. 149, дз. 63.

[2] იქვე, დ. 10—11.

ნენ ელენდორფში გერმანელი კოლონისტების მიერ შექმნილი რაზმები[1].

„დამოუკიდებელი აზერბაიჯანის“ მთავრობამ ფაქტიური ხელისუფალი ნური ფაშა არ დააკმაყოფილა. მას უფრო უსიტყვოდ მორჩილი შემადგენლობა სურდა. 17 ივნისს აზერბაიჯანის „ეროვნული კომიტეტის“ სხდომაზე ძველმა მთავრობამ ჩააბარა თავისი რწმუნება. აქ უკვე გამოითქვა უკმაყოფილება აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის გამო, მაგრამ ეს „გაბედული პირები“ ჩქარა ჩააჩუმეს. ჩვენ ჩვენივე ნება-სურვილით მოვიწვიეთ თურქეთი, ახლა კი ჩარევაზე ლაპარაკი ზედმეტიაო — უპასუხებდნენ მათ[2]. მთავრობის ახალი შემადგენლობის სათავეში მოექცა ხანხოისკი, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა განჯინსკიმ. ყველა ესენი და მთავრობის მთელი შემადგენლობა თურქეთის მიერ შემოწმებული და შერჩეული იყო, როგორც თურქეთის მთავრობის ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებლები[3]. ახალი მარიონეტული მთავრობა თურქეთის სამხედრო ძალების დახმარებით შეუდგა შეძლებული კლასების ბატონობის განმტკიცებას. კომისარიატის მიერ მიღებული აგრარული კანონის გატარებაც კი აკრძალულ იქნა. გაუქმდა სამიწათმოქმედო კომიტეტები.

თურქ ხელისუფალთა კარნახით მთავრობამ აზერბაიჯანში ახალგაზრდობის მობილიზაცია გამოაცხადა. თურქეთის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა ადგილობრივი სამხედრო ნაწილები გამოეყენებინა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის ბრძოლაში, არამედ ირანსა და მესოპოტამიაში ინგლისური არმიის წინააღმდეგ. ეს გეგმა გერმანიის მთავარსარდლობიდან მოდიოდა. მაგრამ აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის თურქეთის არმიაში მობილიზაციის გეგმები სამარცხვინოდ ჩაიშალა. მთელს აზერბაიჯანში სულ სამი ათეული მოხალისე აღმოჩნდა. ამის შემდეგ ენვერ ფაშას კარნახით ნური ფაშა იძულებითი მობილიზაციის მეთოდზე გადავიდა. მაგრამ არც ამ ღონისძიებამ გამოიღო ნაყოფი. ახალგაზრდობა გარბოდა განჯის მაზრიდან. თურქი რწმუნებულები აპატიმრებდნენ გასაწვევი ასაკის მამაკაცებს და ასე გზავნიდნენ სამობილიზაციო პუნქტებში. თურქ ხელისუფალთა მითითებითვე მთავრობამ აზერბაიჯანი სამხედრო მდგომარეობაში გამოაცხადა. ამოქმედდნენ სამხედრო-საველე სასამართლოები.

---

[1] Токаржевский (მითით. შრომა).

[2] ЦГАОР Азерб. ССР, ф. 2 III, д. 54, გვ. 59—61.

[3] „Известия Бак. Совета“ № 132, 1918 წ.

გახდნენ რა ბატონ-პატრონი აზერბაიჯანის იმ რაიონებისა, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არ არსებობდა, თურქმა დამპყრობლებმა აზერბაიჯანის მარიონეტული მთავრობის დახმარებით იწყეს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის სისხლში ჩახშობა, ბოლშევიკური გავლენის ამოძირკვა, დაამყარეს პოლიციურ-დესპოტური რეჟიმი. თურქმა დამპყრობლებმა, ამავე დროს, დაიწყეს გაცხოველებული სამზადისი საბჭოთა ბაქოზე შეტევისათვის. თურქულ სამხედრო ნაწილებს შეუერთდა მუსლიმანური ნაციონალური პოლკი, მაღალოვის გადარჩენილი მუსავატურ-მენშევიკური ნაწილები. 13-14 ივნისს ბაქოსკენ უკვე დაიძრა ოკუპანტთა პირველი ეშელონები.

* * *

სომხეთის „დამოუკიდებელი“ დაშნაკური მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ ერევანში გადავიდა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქ დამპყრობთა უღელქვეშ გმინავდა. ოკუპაციას გადარჩენილ მაზრებში სუფევდა სრული ანარქია. ბნელმა ელემენტებმა სომეხი და აზერბაიჯანელი ნაციონალისტების წაქეზებით თავი წამოყვეს და ულმობლად ძარცვავდნენ და არბევდნენ მოსახლეობას. თურქი ოკუპანტები ყოველმხრივ აქეზებდნენ და აღვივებდნენ ძმათამკვლელ ომს სომხეთში.

დაშნაკურ მთავრობას, ცხადია, მისი კონტრრევოლუციური ბუნების გამო, არ შეეძლო გაეტარებინა არცერთი ისეთი ღონისძიება, რომელიც მშრომელი მასების ინტერესებს დააკმაყოფილებდა. მემამულეები ძველებურ უფლებებში აღდგნენ და გლეხებზე შურს იძიებდნენ. აგრარული რევოლუციის კერებს დაშნაკთა ჯარები სისხლში აღრჩობდნენ. მთელ სომხეთში გამეფდა სისხლიანი პოლიციური რეჟიმი.

დაშნაკური „მთავრობა“ იძულებული იყო ეთმინა თურქი ოკუპანტების ძალადობა და თარეში. ოკუპირებულ რაიონებში თურქები თავს შეუზღუდველ ბატონ-პატრონებად სცნობდნენ და აწიოკებდნენ ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას. ეხებოდა რა თურქ ხელისუფალთა თავაშვებულებას, სომხეთის მთავრობის რწმუნებული ბერლინში 1918 წლის 15 ივლისს გერმანიის მთავრობისადმი მიმართულ ნოტაში აღნიშნავდა:

„ყოველდღიურად სომხეთის პროვინციებიდან, რომლებიც დაკავებულია თურქეთის ჯარების მიერ, მოდის აღმაშფოთებელი ცნობები იმ მოძალადეობის შესახებ, რომლებსაც ისინი სომხების წინააღმდეგ მიმართავენ. მრავალრიცხოვანი თურქული და თათრუ-

ლი ბანდები განუკითხავად ეწევიან თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებას. კარაკლისში, ბათუმის საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგაც ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი გახდა 2000 მამაკაცი, ქალი და ბავშვი"[1].

„სადაც არ უნდა გამოჩნდნენ თურქები, სომხები, ტოვებენ რა ყველაფერს ბედის ანაბარა, სასწრაფოდ გარბიან იმ მიზნით, რომ სიცოცხლე შეინარჩუნონ. ახლა 600.000-ზე მეტი ლტოლვილი სომეხი თავშესაფარის უქონლად იმალება მთებში და ტყეებში, ამასთანავე თურქების მიერ მიტაცებული ქონება დატაცებისა და განიავების ობიექტი გახდა. სომხების ძარცვა და მკვლელობა იზრდება საშინელი სისწრაფით და ჩვენს ეროვნებას კავკასიის სამხრეთში ემუქრება იგივე ბედი სრული მოსპობისა, როგორიც მას თურქეთში გადახდა"[2]. — წერდა იგივე რწმუნებული 21 ივლისს ბულგარეთის მთავრობისადმი მიმართულ ნოტაში.

სომხური მოსახლეობის ჟლეტას თურქეთის ხელისუფალნი ისევ აგრძელებდნენ თურქეთის შიგნით. ხატისოვი კონსტანტინოპოლიდან იტყობინებოდა, რომ ბრუსში მოწყობილ ახალი ხოცვა-ჟლეტის შედეგად 12.000 სომეხიდან 200-ღა გადარჩა ცოცხალიო. ასეთივე აღმაშფოთებელი ცნობები მოდიოდა სირიიდან და კილიკიიდან, იზმირიდან და კონსტანტინოპოლიდან[3].

შეუძლებელია ყველა იმ ბოროტებისა და დანაშაულის აღწერა, რასაც თურქი ოკუპანტები ამიერკავკასიაში ეწეოდნენ. საქართველოს ოკუპირებული რაიონების მშრომელები ამოჟლეტის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. თურქეთის საოკუპაციო ხელისუფლების ბოროტი გეგმები ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებას ისახავდა მიზნად.

ისინი არაფერს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ საქართველოს მიწა-წყალზე, რომელიც მათ ხელში ჩაუვარდათ, წაეშალათ ქართველობის ნიშან-წყალი. ბათუმში მათ მოსპეს ქუჩების ქართული სახელწოდებანი. ისინი ფარულად აწიოკებდნენ და ჟლეტდნენ ქალაქის ქართველ მოსახლეობას. ახალციხესა და ახალქალაქში ისინი წვავდნენ ქართველთა სახლ-კარს, არ ინდობდნენ ძუძუმწოვარა ბავშვებს. მოსახლეობა, რომელსაც თურქმა ჯარისკაცებმა წაართვეს ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და სახლ-კარი დაუწვეს, შიმშილით იხოცებოდა.

---

[1] იხ. Д. М. Заврнев, К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, Тифлис, გვ. 73, 1947 წ.

[2] იქვე, გვ. 74.

[3] იქვე, გვ. 75.

თურქი ოკუპანტები თვითნებურად არღვევდნენ ბათუმის საზავო ხელშეკრულებას. ჯარისკაცთა ცალკეული ბანდები სისტემატურად აწყობდნენ თარეშს საზღვისპირა რაიონებში და ძარცვავდნენ ხალხს. 1918 წლის ოქტომბერში თრიალეთიდან იტყობინებოდნენ, რომ თურქთა ბანდები გადმოვიდნენ საზღვარზე, ეწევიან მტაცებლობას, იტაცებენ ჯოგებს, ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობასო[1]. განსაკუთრებით გათამამდნენ თურქები ბორჩალოს რაიონში. მთავრობის სახელზე გამოგზავნილ დასმენაში ბორჩალოდან იუწყებოდნენ, რომ „თათართა ბანდები იჭრებიან ოჯახებში, აუპატიურებენ ქალებს. მიჰყავთ ტყვედ მამაკაცები, ცეცხლს უკიდებენ შენობებს“[2]. ბაკურიანიდან გამოგზავნილ 1919 წლის 10 მარტის დეპეშაში ნათქვამია: „ჯავახეთის სოფლები სარონიზი, ბოვრა, გოგოშენი, კოტელა, ბარალეთი და სხვანი თათრებმა გაანადგურეს, ქონება მთლად დაიტაცეს, ათი წლის ქალები გააუპატიურეს, ბევრი წაიყვანეს, ასობით ხალხი დახოცეს და განაგრძობდნენ განუსაზღვრელ სისასტიკეს, გთხოვთ საჩქარო ზომებს საშველად“[3].

1919 წლის იანვარში თურქეთის ჯარისკაცთა ბანდები მეორედ შეესიენ აბასთუმანს. აბასთუმნიდან გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ მათ „დაატყვევეს 300 ქართველი, შერეკეს ერთ შენობაში, თვითონ დათარეშობენ, ბევრი მათგანი ჩახოცეს ოჯახებში. ცულით დაჩეხეს აბასთუმნის ეკლესიის შესავალი კარები, გაიტანეს 5 ფუთამდე ვერცხლის განძეულობა, 500.000 მანეთის განძეული, მოაოხრეს ყველაფერი“[4].

ახალქალაქის რაიონში თურქთა ოკუპაციის შედეგად გაწყდა რამდენიმე ათასი მცხოვრები. შიმშილობა, გადამდები სენი, — აი რა იყო ახალქალაქის მცხოვრებთა ხვედრი. თურქებმა „გაიტაცეს ყველა ლოგინი, ტანისამოსი, სამეურნეო იარაღები; მთელ რაიონში ვერ ნახავთ ერთ წალდსაც... თვით ახალქალაქი მარტო ნანგრევებისაგან შედგება. როგორც სოფლებში, ისე ქალაქში დაბრუნებული ხალხი ცხოვრობს უკარო და ღია ფანჯრიან სახლებში, უჭეროდ და უიატაკოდ.

სურსათის მხრივ აუწერელი გაჭირვებაა. თითქმის ყოველ სახლში შეხვდებით შიმშილისაგან ლოგინზე დავარდნილს, უმეტესად დედაკაცებსა და ბავშვებს. ბალახის ჭამით ყველას ტუჩები

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 13, ს. 18, გვ. 61.
[2] იქვე, ფ. 11, ს. 490, გვ. 2.
[3] იქვე, ფ. 48, საქმე 388, გვ. 12—13.
[4] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 11, ს. 218, გვ. 9.

დახეთქილი და ღრძილები ჩაშავებული აქვთ. აუარებელ ოჯახში მთლად გაწყვეტილია მამაკაცობა. ყოველ დილას აუარებელი ხროვა მშიერი ხალხისა აწყდება ქალაქს, რომ ერთი ლუკმა პური იშოვოს" — ნათქვამია ახალქალაქის რაიონში ნამყოფი კომისიის ანგარიშში[1].

ასევე ააწიოკეს და გააპარტახეს თურქმა ასკერებმა ახალციხის რაიონი[2].

თურქი იმპერიალისტები ყოველ ნაბიჯზე უხეშად არღვევდნენ ბრესტის საზავო ხელშეკრულების პირობებს. ბათუმში მათ გაათამაშეს რეფერენდუმის კომედია. სინამდვილეში ხმის მიცემა წარმოებდა ღიად, თურქ შეიარაღებულ ასკერთა თანდასწრებით. ქართული მოსახლეობა დაყენებულ იქნა შეუზღუდველი ტერორის წინაშე. როცა საქართველოს მთავრობამ პროტესტი განაცხადა რეფერენდუმის ასე საჯაროდ გაყალბების გამო, თურქეთის მთავრობა დამცინავი ტონით მოაგონებდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე უარი თვით საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ძალაში აღარ არის და ბათუმი ოტომანთა იმპერიის მიერ თურქეთის ტერიტორიის შემადგენლობაში არის ჩართულიო.

* * *

14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოიტანა დადგენილება საქართველოს ბედის კაიზერული გერმანიისათვის ჩაბარების შესახებ. დადგენილებაში ნათქვამი იყო:

1) ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციას გენერალ ფონ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოთქვამს სურვილს და თხოვნას — საერთაშორისო და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ საკითხებში კაიზერის გერმანიამ ყოველნაირად მხარი დაუჭიროს საქართველოს.

2) ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს შესაფერისი ზომები, რომ გერმანიის ჯარებმა განაგრძონ გზა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ და იმდენად დაუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი გახდეს მათთან კონტაქტის დაჭერა და საქართველოს უზრუნველყოფა გარეგანი საფრთხისაგან.

3) ეთხოვოს გენერალ ლოსოვს ხელი შეუწყოს გერმანიაში

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 44, ს. 142, გვ. 1—4.

[2] იქვე, ფ. 11, ს. 217, გვ. 13—14.

მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს დაბრუნდნენ სამშობლოში სამხედრო წესით ორგანიზებულნი.

4) ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე შესაძლებელია, დატოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და მიენდოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რომ საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდეს გამოიყენოს ეს ჯარი წესრიგის დასამყარებლად ქვეყნის შიგნით და ანარქიასთან საბრძოლველად[1].

ეს დოკუმენტი, რომელიც ფონ ლოსოვს გადაეცა ბათუმში, გერმანელ ოკუპანტებს პირდაპირ უხსნიდა გზას საქართველოში საბატონოდ. ფონ ლოსოვი ბათუმის საზავო მოლაპარაკებაში საქართველოს ეროვნულ საბჭოს თხოვნას არ ივიწყებდა და თავისი მთავრობის კარნახით თურქეთისაგან ფარულად ამზადებდა ნიადაგს საქართველოს ოკუპაციისათვის.

28 მაისს ფოთში მენშევიკური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩხენკელმა ფონ ლოსოვთან ერთად ხელი მოაწერა საქართველო-გერმანიის შეთანხმებას, რომლითაც გერმანელმა კაპიტალისტებმა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის მონოპოლიის უფლება მოიპოვეს. საქართველოს ნავსადგურებში მყოფი გემების მთელი ტონაჟი და საქართველოს რკინიგზა გერმანიის განკარგულებაში გადადიოდა. ჩხენკელის მთავრობამ თურქეთთან კაბალური მოლაპარაკების წინ „გამოსავალი" მძიმე მდგომარეობიდან იმაში ნახა, რომ რკინიგზები და საზღვაო ფლოტი, რომლებიც თურქეთის მფლობელობაში უნდა გადასულიყო, გერმანიას ჩაუგდო ხელში. ბათუმში თურქეთთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის წინ გერმანიის ელჩი თბილისში შულენბურგი ხალილ-ბეის აცნობებდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზა შეთანხმების თანახმად უკვე დაეთმო გერმანიის იმპერიას და ოტომანთა დელეგაცია მას ნუ მოითხოვსო.

თურქეთის მმართველ წრეებს არაფრად მოეწონათ გერმანელ ხელისუფალთა ჩარევა საქართველოს საქმეებში, რაც უკვე მოასწავებდა საქართველოდან თურქეთის განდევნის შემზადებას. საქართველოს მენშევიკური „მთავრობის" ნებართვით გერმანიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა სასწრაფოდ ჩამოაყალიბა რაზმები გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან[2]. ამ რაზმებმა დაიკავეს რკინიგზის მნიშვნელოვანი პუნქტები. ამავე დროს, თურქეთის სამხედრო ნაწილები რკინიგზით აზერბაიჯანისაკენ მიემართებოდნენ. მთელ

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალი. ფ. 1, ს. № 7, გვ. 70.

[2] М ю л ь м а н, Германо-турецкий военный союз, გვ. 212.

რიგ ადგილებში გერმანულ და თურქულ ნაწილებს შორის შეტაკებასაც ჰქონდა ადგილი. გერმანიის სარდლობა სრულებითაც არ იყო წინააღმდეგი იმისა, რომ თურქეთს გადაეყვანა თავისი ჯარები აზერბაიჯანში და მოეხდინა მისი ოკუპაცია, მაგრამ თურქეთის სარდლობისაგან იგი მოითხოვდა ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინიგზის ექსპლოატაციის მონოპოლიაზე ხელი აეღო და იგი გერმანიისათვის დაეთმო.

საქართველოში ფეხის მოკიდების შემდეგ გერმანიის მმართველ წრეებს სრულებითაც არ აწყობდათ თურქი ოკუპანტების საქართველოში შეჭრა. გერმანიას თვით სურდა საქართველოს დაპატრონება და ადგენდა კიდეც გერმანიის პროტექტორატის ქვეშ საქართველო-სომხეთის ფედერაციის გეგმას.

ამიტომ გახშირდა გერმანიის დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თურქებმა ბათუმში ზავის ხელმოწერით დაარღვიეს ბრესტის საზავო ხელშეკრულება, რომ გერმანია ვერ მოახდენს ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას და სხვ.

როგორც მიულმანი აღნიშნავს „გერმანიის მთავარსარდლობის ბანაკში და ბერლინში ძლიერი აღშფოთება იყო. ამიერკავკასიის ფედერაციის დაცემის პასუხისმგებლობა გერმანიამ თურქეთს დააკისრა. გერმანიის მმართველი წრეები უკმაყოფილო დარჩნენ იმით, რომ თურქეთი ანგარიშს არ უწევდა „გერმანიის ინტერესებს ამიერკავკასიაში“[1]. ლუდენდორფსა და ენვერ ფაშას შორის ამ ნიადაგზე მკაცრ მიწერ-მოწერას ჰქონდა ადგილი. ენვერ ფაშა გადადგომით იმუქრებოდა. გერმანიასა და თურქეთს შორის გათიშვის საშიშროების რეალური საფრთხე ჩამოწვა, მაგრამ თურქეთთან გათიშვა გერმანიისათვის ისედაც, უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში დამღუპველი იქნებოდა. ენვერ ფაშა გერმანელ ხელმძღვანელ წრეებში შიაჩნდათ თურქეთში გერმანული პოლიტიკის აქტიურ მოღვაწედ. ამის გამო იქ ზოგიერთ დათმობაზე წასვლას ამჯობინებდნენ. გერმანიასთან უკმაყოფილება თურქეთის მმართველ წრეებსაც აშინებდათ. ჰინდერბურგსა და ენვერ ფაშას თვალსაზრისის ურთიერთგაზიარების შემდეგ დაძაბულობა შენელდა. თურქთა ეშელონები განჯისკენ გაემართნენ. რკინიგზის ბატონ-პატრონი საქართველოში გერმანია დარჩა.

ამიერკავკასიაზე გავლენის გაძლიერების მიზნით გერმანიის მთავრობამ თავის რწმუნებულად ამიერკავკასიის მთავრობასთან დანიშნა პოლკოვნიკი ფონ კრესი, რომელიც 4 წელი მუშაობდა

[1] Мильман (მითით შრომა).

თურქეთში და კარგად იყო ინფორმირებული ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. პირად საუბარში კრესთან ლუდენდორფი მოითხოვდა მისგან მიეღწია ამიერკავკასიაში გერმანიის ეკონომიური და სამხედრო ბატონობისათვის, შეექმნა ადგილზე სამხედრო არმია, რომელსაც გერმანია თავისი მიზნებისათვის გამოიყენებდა ახლო აღმოსავლეთში[1].

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ფონ კრესი საქართველოში გერმანიის საქმეთა ოფიციალური მისიის მეთაური გახდა. დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად მას გერმანული სამხედრო ძალები სჭიროდა. ივნისის დამდეგს ფოთის ნავსადგურში უკვე გადმოსხეს გერმანიის საოკუპაციო ჯარების პირველი ჯგუფი. გერმანელთა ჯარები დაბანაკდნენ თბილისში, ქუთაისში, გორში, სიღნაღში, ოჩამჩირესა და საქართველოს სხვა მაზრებსა და ქალაქებში.

საქართველოს ტერიტორიაზე გერმანული პოლკების შემოსვლის პირველი დღიდანვე ცხადი გახდა, თუ როგორ ესმოდათ ოკუპანტებს საქართველოს დამოუკიდებლობა ან წესრიგის დაცვა. გერმანელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დაიწყეს თავისუფალი თარეში და ბრძანებლობა. ისინი აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, თვითნებურად იჭრებოდნენ სახლებში და მაროდიორობას ეწეოდნენ. „დამოუკიდებელი", დემოკრატიული მთავრობა კი ამ ფაქტების წინაშე თავს განგებ იყრუებდა.

რით უნდა ემართლებინათ თავი მენშევიკებს ხალხის წინაშე? რით უნდა აეხსნათ მათ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღესვე საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის არმიის შემოყვანა და მისი თარეში? ცხადია, გასასამართლებელი საბუთი არ არსებობდა, მაგრამ მენშევიკური „მთავრობის" ოფიციოზმა „ერთობამ", რომელიც თვალთმაქცობაში საკმაოდ დახელოვნებული იყო, ამ აღმაშფოთებელ ფაქტსაც თავისი გამართლება მოუძებნა. 1918 წ. 28 მაისს „ერთობა" წერდა: „ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილი ერების ბედი დიდი სახელმწიფოების ხელშია, ამიტომ სრულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. არა თუ ჩვენისთანა ღარიბი და მცირერიცხოვანი ერი, კარგი მოზრდილი სახელმწიფოებიც არ არიან სავსებით თავისუფალნი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური გავლენისაგანო.

მიუთითებდა რა მენშევიკური მთავრობის დამოუკიდებლობის თვალთმაქცურ თამაშზე, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ვისგანაა დამოუკი-

[1] Мелимели (მითით. შრომა), გვ. 209.

დებელი გეგეჭკორის მთავრობა? საბჭოთა რესპუბლიკისაგან იგი დამოუკიდებელია, მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმისაგან იგი ცოტათი დამოკიდებულია, და ეს ბუნებრივიცაა"[1].

ხოლო 1918 წ. 29 ივლისის სიტყვაში ლენინი, რომელსაც უკვე ხელთ ჰქონდა საქართველოს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ გერმანული საოკუპაციო ჯარებისა და მენშევიკური დამსჯელი რაზმების შეთანხმებული მოქმედების უტყუარი ფაქტები, მიუთითებდა, რომ „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ..."[2]

ცხადია, გერმანიის იმპერიალიზმის ინტერესებში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოს „დემოკრატიული მთავრობის" დაცვამას სრულებითაც არ ეხალისებოდა ეჟლიტა გერმანელი ჯარისკაცები ქართველ მუშებთან და გლეხებთან ბრძოლაში; და თუ ამას იგი მაინც აკეთებდა, იმისათვის, რომ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ამოძრავებდა.

1918 წლ. 9 ივნისს ლუდენდორფი გერმანიის კანცლერს ჰერტლინგს წერდა: „საქართველოში ჩვენ საშუალება მოგვეცემა განვამტკიცოთ ჩვენი ძლიერება უმნიშვნელო ძალების გამოყენებით. თუ ჩვენ საქართველოში მოვიპოვებთ დასაყრდენ პუნქტს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასია თანდათან დამშვიდდება და საშუალება მოგვეცემა მივიღოთ იქედან ჩვენთვის უაღრესად საჭირო ნედლეული" და წინადადებას იძლეოდა ამ საქმისათვის გამოეყენებინათ იმჟამად ბერლინში მყოფი ა. ჩხენკელი.

ამრიგად, მენშევიკური მთავრობისა და კაიზერის გერმანიის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდნენ: პირველს თავისი კონტრრევოლუციური დიქტატურის განსამტკიცებლად გერმანიის არმია ჭირდებოდა, ხოლო მეორეს — მზად იყო გაეწია ეს სამსახური, რადგან სამაგიეროდ იგი საჩუქრად იღებდა საქართველოს თავისი მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებითა და სტრატეგიული რკინიგზით. ასეთი მუხანათური გარიგების დროს, ცხადია, ოდნავადაც არ ყოფილა გათვალისწინებული ქართველი ხალხის ინტერესები, მისი მისწრაფება, პირიქით, ეს გარიგება ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 454.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

ამიტომ ეჩქარებოდა კაიზერის გერმანიას საქართველოს რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის“ იურიდიული გაფორმება, ე. ი. ამ „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ, ამის შემდეგ გერმანიის იმპერია თავის გეგმებში აღარ იქნებოდა შეზღუდული ბრესტის საზავო პირობებით. 1918 წ. 22 ივნისს რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში ფონ-კულმანი დაჟინებით მოითხოვდა, რათა გერმანიის მთავრობას გაეჩაღებინა მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან ამიერკავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ცნობის საკითხზე. ფონ-კულმანი ამბობდა, რომ გერმანიის მთავრობამ უკვე იცნო საქართველოს რესპუბლიკა დე-ფაქტოდ, რომ გერმანიის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის უკვე დამყარებულია მეგობრული ურთიერთობა და სხვ. ცხადია, ფონ-კულმანს სურდა ამ ახალი შენაძენის ძარცვაში სავსებით დამოუკიდებელი ყოფილიყო. მაგრამ საბჭოთა მთავრობას, რომელიც გერმანიის ამ ახალ აგრესიულ აქტში ხედავდა საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს, არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ეს ფაქტი. საბჭოთა მთავრობისათვის ცხადი იყო ისიც, რომ კაიზერის გერმანია საქართველოს ტერიტორიაზე ამზადებდა ახალ პლაცდარმს სოციალისტურ რესპუბლიკაზე შეტევისათვის. ი. ბ. სტალინი წერდა სტ. შაუმიანს:

„ჩვენი საერთო პოლიტიკა ამიერკავკასიის საკითხში იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელები ვაიძულოთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხები ოფიციალურად აღიარონ რუსეთის შინაური საკითხებად, რომელთა გადაწყვეტაში გერმანელები ვერ მიიღებენ მონაწილეობას. სწორედ ამიტომაც, ჩვენ არ ვცნობთ გერმანიის მიერ ცნობილ საქართველოს დამოუკიდებლობასო...“[1]

კაიზერის გერმანიის მესვეურები არც კი ფარავდნენ თავიანთ მომავალ გეგმებს კოლონიურ საქართველოში. საქართველო გერმანულ გეგმებში გამოიყურებოდა ისე, როგორც ინდოეთი ინგლისის იმპერიალიზმის მფარველობაში. როცა ბერლინში საქართველოს დელეგაციის წევრი ზ. ავალიშვილი შეეკითხა სიმონსს, თუ როგორ ესახება მას მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში, ამ უკანასკნელმა უპასუხა: „ფორმით ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელია, არსებითად იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინგლისის რეზიდენტი დამოუკიდებელი

[1] Документы по истории гражданской войны в СССР, ტ. 1, გვ. 280—290.

ინდოეთის სახელმწიფოშიო"[1]. როგორი დამოუკიდებლობა ჰქონდა ინდოეთს ინგლისის იმპერიალიზმის კლანჭებში, ეს ავალიშვილს და სიმონსს კარგად ესმოდათ.

გერმანელი ოფიცრები ინსტრუქტორებად დანიშნეს მეწშევიკური მთავრობის არმიაში. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რისთვის ჭიროდა ლუდენდორფს საქართველოს არმია და მას ამ მიზნით გერმანელ ტაქტიკაზე წრთვნიდა. უკვე 11 ივლისს, თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე „შედგა საქართველო-გერმანიის ჯარების პარადი. სამივე გვარის იარაღის ჯარები (ქვეითი, კავალერია და არტილერია) ჩამწკრივდნენ სასახლიდან დაწყებული დიდების ტაძრის მიმართულებით.

...მთავრობის მეთაურმა ჩამოუარა ჯარების მწკრივს. დიდების ტაძართან ნ. ფ. რამიშვილმა სიტყვით მიმართა გერმანიის ჯარებს, მიესალმა მათს ჩამოსვლას კავკასიაში და გამოსთქვა რწმენა, რომ პირდაპირ მდგომი გერმანიისა და საქართველოს ჯარები ერთმანეთთან სრული კონტაქტით შესძლებენ წესრიგის დაცვას ჩვენს ქვეყანაში. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა შულენბურგმა, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ ამიერიდან გერმანიის საიმპერატორო ჯარები და საქართველოს რესპუბლიკის ჯარები მუდმივ მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და ერთმანეთის ინტერესებს დაიცავენ"[2].

გერმანელი კოლონიზატორების შემოსვლას ქართველი ხალხი მტრულად შეხვდა. ხშირი იყო შეტაკება გერმანელ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან. ქართველი ხალხის ასეთი ცივი, მტრული დახვედრა მალე იგრძნეს გერმანული კოლონიზაციის მესვეურებმა. 1918 წ. 24 ივნისს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის დელეგაცია. ნ. ჟორდანიასთან საუბარში, ეხებოდა რა საქართველოს მშრომელთა დამოკიდებულებას გერმანიის ჯარებისადმი, გერმანიის დელეგაციის მეთაური ფონ კრესი, აღნიშნავდა, რომ „ქართველი ხალხი უარყოფითად ეკიდება გერმანელთა ყოფნას საქართველოში, ამავე დროს გერმანიის ჯარები მოვიდნენ აქ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილის თანახმადო". მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია კი, ცდილობდა რა გერმანელი ბატონების დამშვიდებას, თავს იმართლებდა და უპასუხებდა,

---

[1] Авалов. Независимость Грузии в международной политике, 1921, გვ. 303, Париж.

[2] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ., დოკუმენტებისა და მასალების კრებული, გვ. 53—54.

რომ „საქართველოში გერმანელთა ყოფნით ქართველი ხალხის უკმაყოფილება — გაუგებრობააო“[1].

ჟორდანიამ და მის გარშემო შემოკრებილმა მინისტრებმა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინეს ფონ კრესზე. მონარქისტი ფონ კრესი მალე დარწმუნდა, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობისათვის სოციალიზმი მხოლოდ ცარიელი, საფარი ფრაზაა და პრაქტიკაში ისინი დიდი ხანია საკმაოდ დიდი მანძილით დაშორდნენ სოციალიზმს. საინტერესოა ამ მხრივ ფონ კრესის წერილობითი მოხსენება აღნიშნული შეხვედრის შესახებ. „თუ არ მივიღებთ მხედველობაში წმინდა გარეგნულ მხარეს, ჩემზე მინისტრებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს, რამდენადაც შეიძლება ითქვას პირველი საუბრის მიხედვით... მათ ღირსეულად ეჭირათ თავი, ზოგჯერ პასუხის მოცემის დროს დარცხვენილად იღიმებოდნენ, როცა იძულებული იყვნენ ელიარებინათ, რომ სოციალიზმის ზოგიერთი ლოზუნგი ცხოვრებაში მიუღებელია. მეტად საინტერესოა თვალყურის დევნება როგორ ნაკლებად შეგუებულნი აღმოჩნდნენ ცხოვრებასთან სოციალისტური იდეები, როგორც კი დაიწყეს მათი პრაქტიკული გატარება. სინამდვილეში ეს ბატონები პირობების ზეგავლენით უკვე დიდიხანია აღარ არიან სოციალ-დემოკრატები“[2].

ეს, რა თქმა უნდა, მენშევიკების ზუსტი დახასიათება იყო, რასაც გენერალი ფონ კრესი თავისდაუნებურად იძლეოდა. მასაც კი არ გაუჭირდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის შემადგენლობაში დაენახა ის გადაგვარება, რაც თვით საქართველოს მშრომელებისათვის დიდი ხნიდანვე უკვე ცნობილი იყო.

ფონ კრესს განსაკუთრებით მოწონდა ეს მთავრობა მისი პრაქტიკული საქმიანობის გამო, საქმიანობისა, რომელიც სოციალიზმის იდეების საბოლოო ღალატსა და მონარქისტული გერმანიის ბრძანების ქვეშ სამსახურს ნიშნავდა. მას სურდა წაეხალისებინა ჟორდანია და მისი კამპანია. სწორედ ამიტომ წერდა ფონ კრესი გერმანიის მთავრობას: „სასურველი იქნებოდა გვეჩუქებია საქართველოს ხელმძღვანელ პირთათვის—ნოე ჟორდანიისათვის, ჩხენკელისათვის, რამიშვილისათვის, ჩხეიძისათვის, გიორგაძისათვის, ჟურულისათვის, ლორთქიფანიძისათვის, ბარათაშვილისათვის, გედევანოვისათვის, ანდრონიკოვისათვის, კედიასათვის, ვაჩნაძისათვის — გერმანული ორდენები...“[3]. მბრძანებელი მოწყალებას იღებდა და ასაჩუქრებდა თავის ლაქიებს. ლაქიები კი ერთგულ სამსახურს აღუთქვამდნენ.

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 102, 1918 წ.

[2] გაზ. „კომუნისტი“ № 282, 9 დეკემბერი, 1933 წ.

[3] იქვე.

გერმანელი იმპერიალისტები, რომელთა ინტერესების ერთგული აღმასრულებლები იყვნენ პრუსიელი ოფიცრები და ფელდფებელები, საქართველოში ისე მოკალათდნენ, როგორც კოლონიურ ქვეყანაში. გერმანელებმა ხელთ იგდეს საქართველოს რკინიგზა, ხოლო საქართველოს მთავრობას დააკისრეს მარტოოდენ რკინიგზის მომსახურება. მათ ხელთ იგდეს აგრეთვე საქართველოს საზღვაო ნავსადგურები. რკინიგზასა და საზღვაო ნავსადგურებში თავიანთი საკომენდანტოები შექმნეს, რომლებიც არ ცნობდნენ საქართველოს მთავრობის განკარგულებებს და მოქმედებდნენ საოკუპაციო ჯარის სარდლობის ბრძანებათა თანახმად. გერმანიის სარდლობის კონტროლქვეშ მოექცა აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი, ბანკები, სამინისტროებში დანიშნულ იქნენ გერმანელი მრჩევლები და თვით დამფუძნებელი კრების ოქმებიც კი შესათანხმებლად გერმანიის წარმომადგენლობას ეგზავნებოდა.

გერმანელი ოკუპანტები აშკარად, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ერეოდნენ საქართველოს მთავრობის შინაურ საქმეებში და კარნახობდნენ მთავრობის შემადგენლობას მათთვის საჭირო საქმეების დაუყოვნებლივ შესრულებას. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელი კოლონისტები, რომელთა შორის საკმაოდ ბევრი ჯაშუში და დივერსანტი იყო, გერმანიის ჯარების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. ბორჩალოს მაზრის გერმანელმა კულაკებმა თავი აიშვეს და გააორკეცეს ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა.

გერმანელი ოკუპანტები იცავდნენ ქართველი მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებს. მიწათმფლობელებმა იგრძნეს, რომ საქართველოში გერმანელთა ჯარების შემოსვლით დადგა ხელსაყრელი მომენტი გარევოლუციურებულ გლეხობასთან ანგარიშის გასწორებისა და ისინი პირადად მიმართავდნენ გერმანიის სარდლობას დახმარებისათვის. 1918 წლის 2 სექტემბერს მემამულე დ. კედიბერაშვილმა გერმანიის დელეგაციას მიართვა თხოვნა, სადაც იგი აღნიშნავდა გლეხების თვითნებურ მოქმედებას და დელეგაციას სთხოვდა დახმარებოდა ჯარებით მისი ძველი პრივილეგიების აღდგენაში[1]. ასეთივე ხასიათის თხოვნა გაუგზავნა დელეგაციას მემამულე თაიროვმა.

გერმანელები, ცხადია, მზად იყვნენ შეესრულებინათ მემამუ-

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 92.

ლეთა სურვილი. გერმანელი ოკუპანტები თავის თავზე იღებდნენ რევოლუციურად განწყობილი სოფლების დაშოშმინებას იარაღით. 1918 წლის 14 სექტემბრის თარიღით გერმანელთა მისიის თავმჯდომარე ოტო ფონ კრესი ნ. რამიშვილის სახელზე გზავნის შემდეგ მიმართვას:

„ბატონო მინისტრო! პატივი მაქვს გამოვუგზავნო თქვენს აღმატებულებას დედანი ჩემდამი მომართული მოხსენებისა და ამასთანავე გაცნობებთ, რომ მე მზადა ვარ სოფელ არახლოსა და ყიზილსოში ბოროტების აღმოსაფხვრელად თქვენს განკარგულებაში გამოვგზავნო გერმანელთა ჯარი.

...მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი უშიშროებისათვის და თქვენს ქვეყანაში ნორმალური პირობების აღსადგენად, სავსებით აუცილებელია ამ და მსგავს შემთხვევაში, ბოროტმოქმედების გამოვლინებისთანავე, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას სამხედრო ხასიათის ზომები, რათა დამარწმუნებელი მაგალითი მიეცეს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც გამოსვლებისადმი აქვთ მიდრეკილება.

დავშთები თქვენი აღმატებულების დიდად პატივისმცემელი ოტო ფონ კრესი“[1].

შინაგან საქმეთა მინისტრ რამიშვილისადმი პირდაპირ კარნახს წარმოადგენს ფონ კრესის წინადადება 1918 წ. 22 სექტემბრის თარიღით: „ბატონო მინისტრო! მე გავიგე, რომ დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია ყველა ჩემ ცდასა და ზეპირ თხოვნას, რითაც მე პატივი მქონდა მიმემართა თქვენი აღმატებულებისა და ბატონ მინისტრ-თავმჯდომარისადმი იმის შესახებ, რომ, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, გლეხებს 1917 წლის მოსავლის საიჯარო ქირა გადაეხადნათ გორის მაზრის მემამულეებისათვის. პირიქით, როგორც ჩანს, მდგომარეობა დღითიდღე სულ უფრო უარესდება, რადგან მემამულეები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ, მოკვლის შიშით, ვერ გაუბედნიათ თავიანთ მამულებში მისვლა კუთვნილი თანხების ასაკრებად.

ვიღებ რა მხედველობაში ასეთ აუტანელს მდგომარეობას, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ წინადადებით — დაუყოვნებლივ შეიქმნას კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენელი, მემამულეების ორი წარმომადგენელი და დელეგაციის ერთი წარმომადგენელი. ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოარკვიოს ის საერთო თანხა, რაც ჯერ კიდევ ასაღები აქვთ სხვადასხვა მემამულეებს, შემდეგ კი შეუდგეს კუთვნილი საიჯარო

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 104—106.

ქირის აკრებას. ამ უკანასკნელი ამოცანის წარმატებით შესასრულებლად კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, აგრეთვე გერმანელთა სპეციალურმა სამხედრო რაზმმა"[1].

გერმანელი კოლონისტები ასევე ერეოდნენ მუშათა საკითხებში. ხელთ იგდეს რა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეები, მათ სურდათ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ამოეღოთ ქვანახშირი, მარგანეცი და გაეზიდათ გერმანიაში. ამიტომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მაღაროებში მუშები გაფიცვებს აწყობდნენ და ადამიანურ მოპყრობას მოითხოვდნენ. მუშათა უკმაყოფილების წინააღმდეგ მათ ერთი საშუალება ჰქონდათ — იარაღი. ისინი ჩიოდნენ საქართველოს მთავრობის მესვეურებთან, რომ ენერგიული ზომების გარეშე შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ზრდა. ენერგიული ზომები მათ ენაზე მოთავე მუშების დაპატიმრებას, ცემას, დათხოვნას ნიშნავდა.

1918 წ. 22 აგვისტოს გერმანიის დელეგაცია საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მიმართვაში, აღნიშნავდა რა ქვანახშირის საწყობების დაცარიელებას საქართველოში, რაც გერმანიისათვის მეტისმეტად საზიანო იყო, ურჩევდა კიდეც მთავრობას, თუ რა ზომებით შეიძლებოდა ქვანახშირის მოპოვების გადიდება.

„ამ მაღაროების (ლაპარაკია ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებზე — ა. ს.), არასაკმაო შრომისუნარიანობის მთავარ მიზეზს უეჭველად წარმოადგენს მუშათა გაფიცვა. მე ვფიქრობ, რომ უეჭველად, აუცილებელია... თუ მუშები... დაუყოვნებლივ არ შეუდგებიან მუშაობას, მაშინ საჭიროების შემთხვევაში ძალით იქნას გაყვანილი ისინი სამუშაოზე. ჩემის აზრით, გაცილებით უფრო სოციალურია ის, თუ მთავრობა იღებს ზომებს მუშათა მასის პატარა ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც აყენებს გადაჭარბებულ მოთხოვნებს, ვიდრე ის, თუ ენერგიული ზომების მიუღებლად მთავრობას საქმე იქამდე მიყავს, რომ არა მარტო მოძრაობა და მასთან ერთად ვაჭრობაც და ქვეყნის კეთილდღეობაც წყდება, არამედ საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა იწვევს თავის მიმართ საყვედურებს, რომ მას არ სურს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი..."[2]

გერმანელთა ჯარები მოკალათებული იყვნენ თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ახალსენაკში, თეთრწყაროში, ოჩამჩირეში, ბორჩალოს მაზრასა და სხვაგან. ისინი აქ ეგზეკუციის, დამსჯელი რაზმების როლს ასრულებდნენ. გერმანელი ოფიცრები

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 110—111.
[2] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 82.

ანგარიშსაც არ უწევდნენ საქართველოს მთავრობას, ადგილობრივ ხელისუფლებას და თვითნებურად აწერდნენ გადასახადებს სოფლის მოსახლეობას, გადაუხდელობის შემთხვევაში ძალით აგროვებდნენ მას ოჯახებიდან, ამავე დროს ძარცვავდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე საქართველოს ყველა რაიონიდან მოდიოდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცალკეული მცხოვრებლების საჩივრები გერმანელთა ძალადობასა და უწესობაზე; მაგრამ გერმანიის სარდლობის მონა-მორჩილი მთავრობა დუმდა.

1918 წლის 13 აგვისტოს თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

„გერმანელთა რაზმი, რომელიც მოვიდა სოფელ სარვანში (ბორჩალო), მოითხოვს კოლონისტების სასარგებლოდ 150.000 მანეთის გადახდას სამი საათის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება მთელი სოფლის გადაწვით. მოსახლეობა არ არის. უმორჩილესად გთხოვთ დაგვიცვათ ძალადობისაგან. (საქმე) შეაჩერეთ გამორკვევამდე.

სოფლის კომისარი ახმედ ბადალ-ოღლი“[1].

24 აგვისტოს თარიღით იმავე კომისრის სახელზე ასეთი დეპეშა მოვიდა დუშეთის მაზრიდან:

„როგორც მცხეთის რაიონის კომისარი იტყობინება, გერმანელთა რაზმის მიერ, რომელიც იქ იმყოფება, მუხრანის მოსახლეობაზე დადებულია 35.000 მანეთის კონტრიბუცია. მცხეთის რაიონის კომისარი, რომელიც მოსახლეობის თხოვნით მივიდა იქ, დაპატიმრებულ იქნა, ხოლო შემდეგ განაიარაღეს და გაუშვეს, ამავე დროს მას ჩამოართვეს რაღაც ხელწერილი, განიარაღებულია აგრეთვე მისი თანმხლები მილიციელი“[2].

მენშევიკური მთავრობა და გერმანელი ოკუპანტები გრძნობდნენ, რომ ქართველი გლეხობა, რომელსაც ეზიზღებოდა ისინი, იარაღს ისხამდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბრძოლის ცეცხლი უკვე დანთებული იყო მთელ რიგ რაიონებში და რომ იგი საერთო ხანძრად არ გადაქცეულიყო, ისინი მოსახლეობის განიარაღებას ახდენდნენ. ამას თან ახლდა ძალადობა, დაპატიმრება და ცემა-ტყეპა. თეთრი წყაროს რაიონიდან 1918 წლის 15 ივლისის თარიღით თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

---

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 81.

[2] იქვე, გვ. 86.

„გატყობინებთ, რომ თეთრი წყაროს რაიონში გერმანელებმა, სოფ. ასურეთის მცხოვრებლებმა 25 კაცის შემადგენლობით, 15 გერმანელი ჯარისკაცისა და ერთი გერმანელი ლეიტენანტის თანხლებით, განაიარაღეს რამდენიმე სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, ამასთან განიარაღებისას გლეხების მიმართ იღებდნენ მკაცრ რეპრესიულ ზომებს, ქალებსა და მამაკაცებს როზგებით ცემდნენ და სისხლს ადენდნენ, კლავდნენ გლეხების ძაღლებს, იჭერებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას. გლეხობა ტერორიზებულია. იყო მილიციელების განიარაღების რამდენიმე შემთხვევა. გერმანელები სრულიად არ უწევენ ანგარიშს ადმინისტრაციას და აცხადებენ, რომ თვითონ ისინი კარგად დაამყარებენ წესრიგს ჩვენში“[1].

ასე ამყარებდნენ გერმანელი კოლონიზატორები „წესრიგს“. მათ საქართველო უკვე კოლონიად მიაჩნდათ და ისე იქცეოდნენ, როგორც მოესურვებოდათ. გერმანელი მთვრალი ჯარისკაცები და ოფიცრები დაეხეტებოდნენ ქალაქში, რკინიგზის სადგურებში, ლანძღავდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს, ხშირი იყო დაცემის, მკვლელობის, ქალთა გაუპატიურების შემთხვევები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი უძლური იყვნენ მათ წინაშე, ისინი მოხსენებით ბარათებს გზავნიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე, სამინისტროში კი „სტუმრების“ წინაშე ქედს იხრიდნენ და დუმდნენ. პირიქით, მინისტრები თვითვე უწყობდნენ ხელს ოკუპანტებს ეძარცვათ საქართველო.

გაზ. „ბორბა“ 1918 წ. აქვეყნებს ასეთ ცნობას.

„ფინ(ანსთა) მინ(ისტრის) ამხ. გ. ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით შედგა თათბირი იმ საქონელთა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების საკითხის შესახებ, რომელთა გატანა შეიძლება საქართველოდან გერმანიაში. გასატანად პირველ რიგში გათვალისწინებულია თამბაქო, სპილენძი, მარგანეცი, ღვინო, თხილი, დაფნის ფოთოლი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, მინერალური წყლები, ხე-ტყე და ა. შ. ამასთანავე გერმანიას მიენიჭება საქართველოდან ყველა ჩამოთვლილი საქონლის გატანის უფლება“[2].

გერმანელებიც ეზიდებოდნენ ყველაფერს, რასაც იტაცებდნენ ძალადობით და რასაც სთავაზობდნენ ქართველი მენშევიკები, ქართველი მუშები და გლეხები კი შიმშილობდნენ. თვით ფონ კრესის აღიარებით გერმანელებმა საქართველოდან გაიტანეს 31.000 ტონა მარგანეცი, 66,7 ტონა სპილენძი, 360 ტონა მატყლი, 45 ტონა ძონ-

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 69.

[2] გაზ. „Борьба“ № 122, 1918 წ.

ძები, 40.350 ცალი ცხვრის ტყავი, 340 ცალი რეზინის სალტე, 1201 ცალი ავტოსაფარი და სხვა. სამაგიეროდ, — აცხადებდა ფონ კრესი, გერმანელებს განზრახული ჰქონდათ საქართველოში შემოეზიდათ გერმანული საქონელი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ჯერჯერობით, რადგან... გერმანიის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია და საქონლის ყოველგვარი მარაგი ამოწურულიაო[1].

ასე თარეშობდნენ გერმანელი ოკუპანტები საქართველოში.

* * *

რას გვეუბნება ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის მოღვაწეობის მთელი ეს ისტორია?

კომისარიატი და სეიმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, წინ აღუდგნენ რა ამიერკავკასიის მშრომელი მასების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იმთავითვე ხალხის ინტერესების მოღალატე მთავრობად, მხოლოდ ადგილობრივი ექსპლოატატორული კლასების მთავრობად იქცნენ.

ამიერკავკასიის შეძლებული კლასების კარნახით კომისარიატი და სეიმი, გასწყვიტეს რა კავშირი საბჭოთა რუსეთთან, ბუნებრივი მოკავშირე აღმოჩნდნენ საერთაშორისო რეაქციისა, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიწყო ძალების მობილიზაცია ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე უარის თქმა და დამოუკიდებლობის დეკლარაციული აღიარება იმ მძიმე კონკრეტულ ვითარებაში, რომელიც ამიერკავკასიიდან რუსეთის არმიის წასვლის შემდეგ შეიქმნა, წარმოადგენდა საბედისწერო ნაბიჯს, რამაც „დამოუკიდებელი“ ამიერკავკასია, რომელსაც არმია არ ყავდა და აღსავსე იყო შინაგანი წინააღმდეგობით, თურქეთის და გერმანიის იმპერიალიზმის დაპყრობის ობიექტად გადააქცია. სეიმის უგუნური საგარეო პოლიტიკა პირდაპირი ხელისშემწყობი აღმოჩნდა ამიერკავკასიის დაპყრობის თურქულ-გერმანული გეგმებისა, რომლის განხორციელება სწორედ სეიმის დაშლის წინ დაიწყო.

სეიმში შემავალ პარტიებს შეძლებული კლასების ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის ინტერესები საერთაშორისო რეაქციასთან ფარულ გარიგებას, საკუთარი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლას უკარნახებდა. ისინი ბევრს გაჰყვიროდნენ სამშობლოზე, პატრიოტიზმზე, დამოუკიდებლობაზე. მაგრამ ამ ფრაზების

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 ნოემბერი, 1918 წელი.

ქვეშ კლასობრივი ინტერესების კარნახით, ისინი ჰყიდდნენ სამშობლოს და მის დამოუკიდებლობას, ეპატიჟებოდნენ გარეშე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, იყენებდნენ მათ ხიშტებს თავიანთი არსებობის დასაცავად.

„ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, — წერს ლენინი, — და რევოლუციებიც ამას ადასტურებენ, — რომ როდესაც საქმე ეხება ეკონომიური ძალაუფლების, ექსპლოატატორთა ძალაუფლების საფუძვლებს, მათ საკუთრებას, რომელიც მათ განკარგულებაში აქცევს ათეული მილიონობით მუშისა და გლეხის შრომას, შესაძლებლობას აძლევს მემამულეებსა და კაპიტალისტებს გამდიდრდნენ, — როდესაც, ვიმეორებ, საქმე ეხება კაპიტალისტთა და მემამულეთა კერძო საკუთრებას, ისინი იყიწყებენ მთელ თავიანთ ფრაზებს სამშობლოს სიყვარულისა და დამოუკიდებლობის შესახებ. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ კადეტებმა, მემარჯვენე ესერებმა და მენშევიკებმა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან კავშირის მხრივ, მძარცველურ ხელშეკრულებათა დადების მხრივ, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის სამშობლოს გაცემის მხრივ რეკორდი დაამყარეს. ამის მაგალითია უკრაინა და თბილისი. ამ მხრივ საკმაოდ მაჩვენებელია მენშევიკების, მემარჯვენე ესერების კავშირი ჩეხოსლოვაკებთან... როდესაც საქმე ეხება კლასობრივ ზემოგებას, ბურჟუაზია ჰყიდის სამშობლოს და მევახშურ გარიგებას დებს თავისი ხალხის წინააღმდეგ, როგორიც გინდათ უცხოელებთან. ეს ჰეშმარიტება კიდევ და კიდევ ცხადყო რუსეთის რევოლუციის ისტორიამ მას შემდეგ, რაც ასზე მეტი წლის განმავლობაში რევოლუციის ისტორია გვიჩვენებდა ჩვენ, რომ ასეთია ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების, კლასობრივი პოლიტიკის კანონი ყოველ დროში და ყველა ქვეყანაში“[1].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა მსოფლიო ორ ბანაკად გაითიშა — იმპერიალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად და მათ შორის ბრძოლა ცხოვრების მთავარ ღერძად იქცა, ამიერკავკასიის მთავრობას ორი არჩევანი ჰქონდა: სოციალიზმის ბანაკში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ან იმპერიალიზმის ბანაკში სოციალიზმის წინააღმდეგ. მესამე გზა არ არსებობდა. ამიერკავკასიის მთავრობამ, მისი კლასობრივი ბუნების გამო, აირჩია იმპერიალიზმის ბანაკი. ამას შედეგად მოჰყვა ჯერ გერმანია-თურქეთის, ხოლო შემდეგ ინგლის-ამერიკის ინტერვენცია ამიერკავკასიაში.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 12.

ამიერკავკასიაში მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ, ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1918 წლის ივნისის დასაწყისიდანვე გაერთიანდა ორი ძალა: შინაგანი კონტრრევოლუცია — მუსავატურ-დაშნაკურ-მენშევიკურ „მთავრობათა“ სახით და თურქულ-გერმანულ-ინგლისური ინტერვენცია. ამიერკავკასია შევიდა სამოქალაქო ომის და იმპერიალისტური ინტერვენციის პერიოდში.

ერთადერთი პარტია, რომელიც ამიერკავკასიის მშრომელი მასების ინტერესებს ასახავდა, დაუღალავად იბრძოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის მშრომელი მასებისა და რუსეთის მუშათა კლასის საბრძოლო კავშირის განმტკიცებისათვის, ამიერკავკასიის ერთა შორის მშვიდობისა და ძმური თანამშრომლობისათვის, ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში იყო ბოლშევიკური პარტია. ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, მიუხედავად იმ დევნა-შევიწროებისა, რასაც ისინი კონტრრევოლუციური კომისარიატისა და სეიმის მხრივ განიცდიდნენ, მოახერხეს ამიერკავკასიის მშრომელი მასების დარაზმვა ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1918 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის სოფლებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლის აზვირთება, ბაქოში და აზერბაიჯანის მთელ რიგ მაზრებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა.

ამიერკავკასიაში ინტერვენტებისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელი მასების ავანგარდში იდგა ბაქო, „...რომელიც ძილს არ ანებებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს, მისთვის მისაბაძ მაგალითსა და სოციალიზმის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა“[1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 66.

თ ა ვ ი IX

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის სათავეში 1918 წელს. ბაქოს კომუნა

1918 წ. თებერვლიდან, როგორც ცნობილია, ბოლშევიკური ორგანიზაციები ამიერკავკასიაში არალეგალურად მუშაობდნენ და კომისარიატის მხრივ მუდმივი დევნისა და რბევის მიუხედავად ახერხებდნენ მასების რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობას. მაგრამ მაისის დასასრულსა და ივნისის დასაწყისში, როცა საქართველოსა და სომხეთის რაიონებში აგრარული რევოლუცია დროებით ჩახშობილ იქნა და რეპრესიები გაძლიერდა, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს თბილისში აღარ ედგომებოდა. კავშირი საბჭოთა ბაქოსთან და რუსეთთან შეწყდა. საქართველო, სომხეთი, ელიზავეტოპოლის გუბერნია ინტერვენტთა ჯარებით აივსო. მუსავატური „მთავრობა“ თურქეთის ჯარების დახმარებით საბჭოთა ბაქოზე შეტევას ამზადებდა. გლეხთა მღელვარების ახალ-ახალი კერები ჩნდებოდა საქართველოსა და სომხეთში, მაგრამ საყოველთაო აჯანყების ორგანიზების გარეშე მათი წარმატება საეჭვო იყო. მთელი რიგი ხელმძღვანელი ბოლშევიკები, მათ შორის საოლქო კომიტეტის წევრები (მ. ორახელაშვილი და სხვები) ქუთაისისა და თბილისის ციხეებში ისხდნენ.

სწორედ ამ პერიოდში თერგის ოლქში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელებმა წარმატებას მიაღწიეს და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. სამხარეო კომიტეტმა ივარაუდა, რომ ახლა ყველაზე უკეთესი გამოსავალი იქნებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა და იქ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში ადგილობრივი ძალებისადმი დახმარება. საბჭოთა ჩრდილოეთ კავკასია, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიის მშრომელების ბრძოლას ინტერვენციისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ჩრდილოეთ კავკასიიდან შესაძლებელი იყო.

მუდმივი კავშირის დამყარება საბჭოთა მთავრობასთან, ამხანაგ ლენინთან.

ყველა ეს პლიუსები ჰქონდა მხედველობაში, როცა მაისის დამლევსა და ივნისის დამდეგს სამხარეო კომიტეტის შემადგენლობის ერთი ნაწილი, ფარულად (ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, ს. თოდრია, ნაზარეტიანი, ცინცაძე) მამისონის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. საოლქო კომიტეტმა ამასთანავე თბილისში დასტოვა კომიტეტის რამდენიმე წევრი, მ. ცხაკაიას მეთაურობით, თბილისის ბიუროს სახით, რომელსაც ეკისრებოდა ადგილობრივ რევოლუციური არალეგალური მუშაობის წარმართვა, ჩრდილოეთ კავკასიასთან მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა.

მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში 1918 წლის ივნისის დასაწყისში, სწორედ იმ დღეებში, როცა იქ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი გადავიდა, საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. საბჭოებმა, რომლებიც აქ ახლად ორგანიზებული და წელმოუმაგრებელი იყვნენ, ვერ შეძლეს ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნებათა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ გაღვივებული შუღლისა და მტრობის მოსპობა. ინგუშები და ჩეჩნები დაერივნენ ოსებს. კაზაკების შეძლებულმა ფენამ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება სძულდა, დრო იხელთა და საბჭოების ლიკვიდაცია დაიწყო. ამ საერთო არეულობის პერიოდში წამოტივტივდნენ მენშევიკები და ესერი ავანტიურისტი ოფიცრები — ბიჩერახოვი, მამულოვი, სემენოვი და სხვ. კონტრრევოლუცია შეუდგა ენერგიულ სამზადისს საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის. მისი პრაქტიკული მოქმედება დაიწყო 5 ივნისს ინგუშების გამოსვლით, ისინი თავს დაესხნენ სადგურ ტარსკაიას. წაქეზებული კაზაკები ინგუშების სოფელს ბორდაბოსს შეესივნენ. გაჩაღდა კაზაკ-ინგუშების ომი, ეს იყო საბაბი. კონტრრევოლუციის შტაბი კი ამ დროს მთავარ შეტევას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამზადებდა.

საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა მოკლეს თერგის ოლქის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მგზნებარე რევოლუციონერი კომუნისტი ნოე ბუაჩიძე. ბიჩერახოვმა ულტიმატუმი წარუდგინა მოზდოკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და წითელი არმიის რაზმების განიარაღება და იარაღის მისთვის გადაცემა მოითხოვა. მისმა ბანდებმა ხელთ იგდეს ქალაქი და შექმნეს „თერგის კაზაკურ-გლეხური საბჭო“, რომელსაც სათავეში კონტრრევოლუციონერი ბიჩერახოვი ჩაუდგა. ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის თარეში დაიწყო.

ცხადია, ასეთ პირობებში კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ დასახული თავდაპირველი გეგმა უნდა შეცვლილიყო. ახლა შეუძლებელი იყო ფიქრი იმაზე, რომ აჯანყებული ამიერკავკასიის გლეხობის დასახმარებლად თერგის საბჭოთა რესპუბლიკას რაიმე ეღონა. ახლა თვით ამ რესპუბლიკის არსებობა იდგა კითხვის ქვეშ, ვინაიდან კონტრრევოლუციის ძალები მას ყოველი მხრიდან უტეხდნენ. საჭირო ხდებოდა თერგის სახკომსაბჭოსადმი დახმარება, აქ კონტრრევოლუციური ძალების ლიკვიდაცია და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ფიქრი ამიერკავკასიისადმი რეალურ დახმარებაზე. ამავე დროს, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საგანგებოდ გაამაგრა ჩრდილოეთ კავკასიის საზღვრები. დარიალის ხეობაში მენშევიკი გვარდიელები ჩააყენა, რომლებიც თავისუფლად ატარებდნენ კონტრრევოლუციონერ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს (მაგალითად, პოლკოვნიკ დაბილჩენკოს რაზმებმა, ვლადიკავკაზთან რომ მარცხი განიცადეს და წითელი ჯარების მარწუხში მოხვდნენ, თავშესაფარი მენშევიკურ საქართველოში პოვეს. მამისონის უღელტეხილით ისინი ოსეთში გადავიდნენ, შემდეგ ქუთაისში ჩავიდნენ. მენშევიკურმა ხელისუფლებამ ისინი სტუმართმოყვარეობით მიიღო, ფოთამდე გაატარა. აქ კი ისინი გემებში ჩასხდნენ და დენიკინთან შესაერთებლად გაემგზავრნენ). ოკუპანტები, რომლებიც მაშინ ამიერკავკასიაში უკვე მოკალათებული იყვნენ, ენერგიულ დახმარებას უწევდნენ ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციურ ბანდებს. ეს მაშინ, როცა მენშევიკურ საქართველოს ბოლშევიკებისათვის საზღვარი მტკიცედ ჩაკეტილი ჰქონდა. ბოლშევიკებს იჭერდნენ ან ადგილზევე უსწორებდნენ ანგარიშს, ან ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციონერთა ბანდებს სთავაზობდნენ. ფ. მახარაძე ასე აგვიწერს აქ შექმნილ მდგომარეობას:

„კავკასიის საოლქო კომიტეტი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ მეტად ცუდ პირობებში მოხვდა. როცა ის ასეთ ნაბიჯს სდგამდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ მას მოქმედებისათვის ფართო ასპარეზი გაეხსნებოდა და მკვიდრი ნიადაგიც ექნებოდა. გამოირკვა, რომ არც ერთი იყო და არც მეორე. საბჭოთა ხელისუფლება ძლივს-ძლივობით მხოლოდ თვით კავკავში თუ ბოგინობდა, ირგვლივ კი ფუსფუსებდნენ და თარეშობდნენ კონტრრევოლუციური ძალები — ყაზახობა, მეფის ოფიცრობა და სხვ. საბჭოთა რუსეთთან კავშირი იყო და არც არავინ იცოდა თუ რა ხდებოდა იქ. მაგრამ ყველაზე უფრო ცუდი ის იყო, რომ საოლქო კომიტეტი დღიდან ჩრდილო კავკასიაში გადასვლისა, თითქმის სრუ-

ლიად მოწყვეტილი შეიქნა საქართველოდანაც, ერთადერთი გზა — საქართველოს სამხედრო გზა — მენშევიკებს დაკავებული ჰქონდათ დარიალში და ყაზბეგში და იქ გავლა მეტად სახიფათო იყო. საგანგებო კურიერი ამ გზით ვერ წავიდოდა, მას უნდა გადაელახა მთები და კლდეები. ასე რომ რაიმე საყურადღებო ცნობის მიღება გვიანდებოდა მთელი კვირაობით, ხშირად თვეობითაც, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს მთელი ამიერკავკასია დასერილი იყო ფრონტებით, თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე იდგნენ და გამვლელ-გამომვლელთ გზას უღობავდნენ. ამნაირად, საოლქო კომიტეტი მომწყვდეული დარჩა მეტად ვიწრო ფარგლებში და ამიტომ იყო, რომ ცნობების თავის დროზე მიღების მხრით ის მეტად არახელსაყრელ პირობებში მოექცა"[1].

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრები ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ ჩრდილო კავკასიაში გაჩაღებულ სამოქალაქო ომში კონტრრევოლუციური ბანდებისა და დენიკინის არმიის წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე დროს, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო, კავშირს ამყარებდნენ თბილისის ბიუროსთან, ეხმარებოდნენ საქართველოს აჯანყებულ გლეხებს სამხედრო ძალებით, გზავნიდნენ დირექტივებს.

საქართველოში ბოლშევიკთა არალეგალური რევოლუციური მუშაობის სათავეში იდგა ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტი; მაგრამ მენშევიკური დიქტატურის ვითარებაში ბოლშევიკური კომიტეტის მუშაობა მეტისმეტად გაძნელებული იყო. მენშევიკების აგენტები, გვარდიელები და გერმანელთა ჯარები თარეშობდნენ საქართველოს სოფლებში. ბოლშევიკებს არ გააჩნდათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო. ბოლშევიკური უჯრედები ცენტრთან სისტემატურ დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ.

საქართველოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისადმი სისტემატური ხელმძღვანელობის ყველაზე უფრო მოსახერხებელ საშუალებას ისევ პროფკავშირები წარმოადგენდნენ. მართალია, პროფესიულ კავშირებში მენშევიკები ბატონობდნენ და ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ მასების რევოლუციური სულისკვეთება შეეძინებინათ, მაგრამ მენშევიკთა პრაქტიკული საქმიანობის სურათი იმდენად სავალალო იყო და კონტრრევოლუციურად გამოიყურებოდა, რომ მუშათა მასები ნელ-ნელა ერკვეოდნენ „მთავრობის" რეაქციულ არსში, მათ აღარ სჯეროდათ მენშევიკ ორატორთა სი-

[1] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 161—162.

ტყვებისა და ახალ-ახალ პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ. პროფკავშირთა არალეგალური ბოლშევიკური „მუშათა ცენტრი“ აფართოებდა და აწრთობდა თავის კადრებს — ბოლშევიკ აგიტატორებს, რომლებიც მუშათა მასებს განუმარტავდნენ მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და მოუწოდებდნენ მათ მტკიცედ დარაზმულიყვნენ თავიანთი უფლებების დასაცავად და ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად.

ბოლშევიკურ ცენტრს თბილისში კარგად ესმოდა, რომ შექმნილ ვითარებაში შეიარაღებულ აჯანყებაზე ფიქრი არ შეიძლებოდა. ამჟამად მთავრობას გერმანული ხიშტებით იცავდნენ. ხოლო ბოლშევიკური ორგანიზაციები ნაწილობრივ განადგურებული იყვნენ, განადგურებას გადარჩენილნი არალეგალურ მუშაობაზე იყვნენ გადასულნი. მთავრობა ჯერ კიდევ „დამოუკიდებლობას“ ინარჩუნებდა. მუშათა და გლეხთა ერთობლივი გამოსვლის ორგანიზება ვერ ხერხდებოდა. ცალკეული აჯანყებები კი დამარცხებისათვის იყვნენ განწირულნი. ითვალისწინებდნენ რა ამ მდგომარეობას, ხელმძღვანელი ბოლშევიკები მთელ ყურადღებას ამახვილებდნენ არსებული რევოლუციური ძალების შენარჩუნებასა და ზრდაზე, რომ ხელსაყრელი მომენტის შექმნის ვითარებაში საყოველთაო გამოსვლისათვის მზად ყოფილიყვნენ. ბოლშევიკები ყველა ლეგალურ და არალეგალურ საშუალებებს იყენებდნენ, რომ „დემოკრატიული“ მთავრობის კონტრრევოლუციური ბუნება ემხილებინათ და მენშევიკი ოჭიროპირების დაპირებებს აყოლილი მუშები და გლეხები საქმის ნამდვილ ვითარებაში გაერკვიათ. პოლიტიკური მოვლენების სწრაფ ცვლილებათა გამო ბოლშევიკური აგიტაციის სისტემატურობის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გრძნობდნენ რა ამ საჭიროებას, ბოლშევიკი აგიტატორები რიგ დაბრკოლებათა მიუხედავად, ახერხებდნენ მასების გათვითცნობიერებასა და გადაბირებას.

* * *

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო ენერგიულად და თანმიმდევრულად შეუდგა სოციალისტურ ღონისძიებათა განხორციელებას. პირველ რიგის სამუშაოს შეადგენდა ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობის, მისი საბოტაჟის ლიკვიდაცია. ბაქოს პროლეტარიატის ხანგრძლივ ბრძოლას კოლხელშეკრულებისათვის არ მოყოლია არსებითი შედეგები. მრეწველები ჯიუტობდნენ. ამავე დროს, მძაფრი სამოქალაქო ომის ვითარებაში სავსებით მოსალოდნელი იყო მრეწველთა მიერ წარმოების შეჩერება და ნავთის მრეწველობის დან-

გრევა. ნავთს კი ბაქოს კომუნისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მთელს რუსეთში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხი მრავალჯერ იდგა როგორც საბჭოს, ისე ბოლშევიკური პარტიის საქალაქო კომიტეტის დღის წესრიგში. საბჭოში და პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში ზოგიერთი გამოსთქვამდა შიშს იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ვითარებაში იმყოფება, სუსტია, ყველა პოზიცია დაპყრობილი არ აქვს და ნავთის მრეწველობის დაუყოვნებლივი ნაციონალიზაცია ახალ სიძნელეებს შექმნის, ხელისუფლება ჯერ კიდევ ვერ შეძლებს თავი გაართვას ამ დიდ ამოცანას და კატასტროფის წინაშე დავდგებითო. გარდა ამისა, არ იყო არავითარი სახსრები ნავთის მრეწველობის მართვისათვის. საჭირო იყო ამ დიდი საქმის ორგანიზაციისათვის ცენტრალური ხელისუფლების თანხმობა და დახმარება.

12 მაისს გამოქვეყნებულ იქნა ბაქოს სახალხო მეურნეობის საბჭოს დეკლარაცია. საბჭო მრეწველობის ნაციონალიზაციისაგან დროებით თავს იკავებდა, სტოვებდა მას მომავლის ამოცანად, ხოლო ჯერჯერობით მრეწველობის ტრესტირებას სჯერდებოდა და სპეციალურ ორგანოს ავალებდა კერძო მრეწველობისათვის ხელმძღვანელობასა და კონტროლს. საბჭო შეუდგა ნავთის ამოღებისათვის საჭირო ყველა სახსრებისა და მასალების გეგმაზომიერ განაწილებას. დასახა ღონისძიებანი ნავთობის მოპოვების, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების დარგებში. ამავე დროს, მიღებულ იქნა ღონისძიებანი ნავთის მრეწველობის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შემუშავებულ იქნა ხელფასის ახალი ნორმები. სახალხო კომისართა საბჭოში მივლინებულ იქნა სპეციალური დელეგაცია, რომელსაც ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საქმე უნდა დაეზუსტებინა და საჭირო დახმარებაც მიეღო.

მაგრამ ეს ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩნდა. მრეწველები სახალხო მეურნეობის საბჭოს ღონისძიებებს ფორმალურად შეურიგდნენ, მაგრამ ფაქტიურად საბოტაჟსა და მრეწველობის ნგრევას აღრმავებდნენ. შრომის ნაყოფიერება ყოველდღიურად ეცემოდა, ხოლო მრეწველთა მტაცებლობა ნაციონალიზაციის მოლოდინში იზრდებოდა. უკმაყოფილება იგრძნობოდა მუშათა შორისაც. ნაციონალიზაციის განხორციელების შემდეგ მრეწველთა საბოტაჟს ბოლო მოეღებოდა. იგი გაზრდიდა აგრეთვე პროლეტარიატის ენთუზიაზმს.

საბჭოთა მთავრობა, ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს ენერგიულ ღონისძიებებს ნავთის მრეწველობის

ნაციონალიზაციის საქმეში. ნავთის საკითხი რევოლუციის გამარჯვების საკითხს უთანაბრდებოდა. საჭირო იყო ყოველგვარი დახმარება საბჭოთა ბაქოსადმი და ნავთის ამოღების გადიდება, მისი ტრანსპორტირება საბჭოთა რუსეთში: 22 მაისს სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოიტანა დადგენილება ასი მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ ბაქოდან ნავთის გამოტანისა და ნავთის მრეწველობის მუშათა ხელფასისათვის[1]. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო სპეციალური დეპეშით ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს ავალებდა შეჩერებული საწარმოების დაუყოვნებლივ აღდგენას, ბურღვის გაძლიერებას, ჭაბურღილების რემონტის მოგვარებას, ნავთის მარაგის სასწრაფოდ გაგზავნას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამავე დროს ბაქოს მთავრობას აღუთქვამდა სასწრაფო დახმარებას[2].

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ ეს დეპეშა მიიჩნია როგორც ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის გატარების სანქცია, მაგრამ შაუმიანი ლენინისადმი საპასუხო დეპეშაში გამოთქვამდა გაკვირვებას, რომ მთავრობის დეკრეტი ნავთის მრეწველობის შესახებ აგვიანებდა[3]. 28 მაისს ს. შაუმიანმა მიიღო ი. ბ. სტალინის დეპეშა, სადაც აღნიშნული იყო: „სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია“[4].

ამის შემდეგ, 2 ივნისს ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დეკრეტი ნავთის საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ[5].

ნავთის ტრანსპორტირება და პირველ რიგში, საბჭოთა რუსეთისათვის მიწოდება დამოკიდებული იყო კასპიის საზღვაო ფლოტის მუშაობაზე. ამიტომ მორიგ აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენდა ფლოტის გადასვლა სახალხო კომისართა საბჭოს ხელში. ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის შემდეგ, 6 ივნისს გამოცემულ იქნა დეკრეტი კასპიის საზღვაო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ.

ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ძალისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, არამედ საბჭოთა ხელისუფლებისათვის

---

[1] Красный архив № 4—5, 1938 г., гг. 13.
[2] ЦГАОР Аз. ССР, ф. II, д. 32, лл. 66, 66а, 66в.
[3] „Известия Бак. Совета“ № 104, 2 ივნისი.
[4] „Бакинский рабочий“ № 103, 3 ივნისი, 1918 წ.
[5] „Известия Бакинского Совета“ № 107, 6 ივნისი, 1918 წ.

მთელს რუსეთში. ნაციონალიზაციის გატარების შემდეგ ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო პროლეტარიატის მხარდაჭერით შეუდგა ნავთის უდიდესი საქმის გეგმაზომიერ მართვას და არსებით გარდატეხასაც მიაღწია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობის მოპოვება. თუ 1918 წლის მაისში ამოღებულ იქნა 180 ათასი ტონა ნავთობი, ივნისში, ნაციონალიზაციის შემდეგ მისი რაოდენობა 293 ათას ტონამდე გაიზარდა. საბჭოთა რუსეთმა ბაქოსაგან ზაფხულის განმავლობაში მიიღო 1300 ათასი ტონა ნავთი და ნავთის პროდუქცია. ეს იყო უდიდესი დახმარება ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მრეწველობისათვის, რომელიც საწვავისა და სათბობის შიმშილს განიცდიდა და წითელი არმიისათვის, რომელიც ბრძოლას ეწეოდა თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის საკითხი ბაქოში და საერთოდ ამიერკავკასიაში პროლეტარიატისა და გლეხობის საბრძოლო კავშირის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული. ბაქო გლეხურ ამიერკავკასიაში წარმოადგენდა პატარა პროლეტარულ ოაზისს, რომლის სასიცოცხლო ძაფები, პირველ რიგში, აზერბაიჯანისა და შემდეგ მთელი ამიერკავკასიის გლეხურ სოფლებს უკავშირდებოდა. ამიერკავკასიის და კერძოდ აზერბაიჯანის გლეხობის ბრძოლა მემამულე თავადაზნაურებისა და ბეგების ჩაგვრის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ გლეხობა მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების თავგამოდებული დამცველი იყო. იარაღს რომ ხელში იღებდა, გლეხს, ცხადია, სურდა სისხლისმწოველი მემამულე და ვაჭარ-სპეკულიანტის მოსპობა, მისი დამცველი მთავრობის დამხობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ უნდობლად უყურებდა ბოლშევიკ აგიტატორებს, საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან სოფლად სოკოსავით მომრავლებული წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები ათასგვარ ჭორს და ცილისწამებას მიმართავდნენ საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტების წინააღმდეგ, მათ სისხლისმსმელ ადამიანებად, ბარბაროსებად ნათლავდნენ. ამგვარად, მშრომელი გლეხი, ჯერ კიდევ წვრილბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ ბურუსში გახვეული, ისევ ენდობოდა დაპირებაში გულუხვ ესერებსა და მენშევიკებს. მის ეროვნულ გრძნობებზე თამაშობდნენ აგრეთვე ნაციონალისტები. დაშნაკები ახერხებდნენ გაეყოლებინათ აზერბაიჯანული სოფლების სომეხი მოსახლეობის ჩამორჩენილი ფენები. მუსავატელები, პირიქით, სომხური მოსახლეობის საპირისპიროდ მუსლიმანი მშრომელების შემოკრებას იწყებდნენ.

ბოლშევიკურ პარტიას შესანიშნავად ესმოდა, რომ პირველი

რიგის ამოცანას წარმოადგენდა მშრომელი გლეხობის სწორ რევოლუციურ გზაზე გამოყვანა, შემთანხმებლური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების კონტრრევოლუციური ბუნების მხილება, მათი სიტყვისა და საქმის გამოაშკარავება. ბოლშევიკი აგიტატორები, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, წარმატებით ართმევდნენ თავს ამ ამოცანას და ნელ-ნელა, იმსახურებდნენ რა გლეხობის ნდობას, რაზმავდნენ მათ ბოლშევიკური დროშის გარშემო. მაგრამ სოფლად ბოლშევიკური პარტიის უჯრედები ჯერ კიდევ სუსტი იყო და მას ძალები არ გააჩნდა იმისათვის, რომ წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური ჭორები სავსებით განეფანტა და უზრუნველეყო საბჭოთა ხელისუფლებისაკენ გლეხთა მასების დაკვრითი შემობრუნება.

აჯამებდა რა გლეხთა სამაზრო ყრილობებზე დეპუტატების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“ სწორად მიუთითებდა: „მუსლიმან გლეხს აქამდე ჩვენ მრავალ ლამაზ სიტყვებს ვეუბნებოდით, მაგრამ ლამაზ სიტყვებს მას ეუბნებიან თურქი ემისრებიც, რომელნიც მუხამედის სამოთხეს პირდებიან, თუ საბჭოთა ხელისუფლება განადგურდა და დამყარდა სულთანური თურქეთის წესები. ერთ-ერთი გლეხი დეპუტატი ყრილობაზე გლეხთა სახელით აცხადებდა, რომ მზად არიან გაჰყვნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ დეე, მათ ნუ მოჰკლავენ. თუ ჩაუფიქრდებით ამ გულუბრყვილო, გულწრფელ სიტყვებს, ჩვენ წინ წარმოსდგება მთელი ტრაგედია. მიჰყვება გლეხი ბეგს იმიტომ, რომ ბეგმა იგი არ მოჰკლას, მაგრამ იგი თურმე საბჭოთა ხელისუფლებასაც იმიტომ მიჰყვება, რომ მისი ეშინია“[1].

ამრიგად, გლეხთა მასების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მტკიცედ შეგნებული საბჭოთა ხელისუფლების რაობა, არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ბოლშევიკებზე. სამაზრო ყრილობის ერთ-ერთი დეპუტატი მოითხოვდა „ჩვენ არ ვიცით ვინ არიან ბოლშევიკები, აგვიხსენით ვინ არიან ისინი“. სიტყვიერი ახსნა, ცხადია, საქმეს არ შველოდა. გლეხის ეჭვიანი ბუნება მაშინ იქნებოდა დაკმაყოფილებული, თუ იგი პრაქტიკაში, საქმით, საკუთარი თვალებით დაინახავდა საბჭოთა ხელისუფლების სარგებლიანობას.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ მაის-ივნისში აზერბაიჯანის გლეხობაში ცხოველი სააგიტაციო მუშაობა გააჩაღა. სოფლად მივ-

[1] „Бакинский рабочий“ № 98, 1918 წ.

ლინებულ იქნენ გამოცდილი კომუნისტი აგიტატორები. იმ რაიონებში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, აქტიური მუშაობა გაჩაღდა გლეხთა დეპუტატების საბჭოების შესაქმნელად. მეშადი აზიზბეკოვმა, რომელიც მუსლიმანი გლეხობის სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა, მოიარა საბჭოური სოფლები და გლეხთა კრებებსა და მიტინგებზე ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების მხურვალე პროპაგანდას[1]. დიდი სამზადისი ჩატარდა გლეხთა სამაზრო ყრილობების მოსაწვევად.

26 მაისს გაიხსნა ბაქოს გლეხთა პირველი სამაზრო ყრილობა, რომელსაც 38 ათასი გლეხის წარმომადგენელი 81 დელეგატი ესწრებოდა. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. შაუმიანი თავის მისასალმებელ სიტყვაში, მიუთითებდა რა პროლეტარიატისა და გლეხობის საბრძოლო კავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე, მათი ხელისუფლების ერთიანობის აუცილებლობაზე, გლეხობას მოუწოდებდა: „საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად გაერთიანდით მუშებთან და არმიელ გლეხებთან. როგორც ერთმა ოჯახმა, როგორც ერთმა არმიამ თქვენ შეიარაღებული ძალით უნდა დაიცვათ მუშურ-გლეხური მთავრობა ბეგებისა და ხანებისაგან და მათი დამცველი თურქეთისაგან"[2].

ა. ჯაფარიძე თავის მისალმებაში მიუთითებდა, რომ „მასზე, თუ რამდენად მალე შეიგნებს მუსლიმანი გლეხობა თავის კლასობრივ ინტერესებს და მუშებთან ერთად დაადგება მემამულეთა წინააღმდეგ, ყოველგვარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლის გზას, დამოკიდებული იქნება შედეგი იმ ბრძოლებისა, რომლებსაც ამჟამად ეწევიან ბაქოს მუშები მემამულეების, ხანებისა და ბეგების ინტერესების დამცველთა დასამხობადო".

„ბაკინსკი რაბოჩი" თავის მისალმებაში წერდა: „გლეხთა საბჭოების პირველი თათბირის გახსნის დღე წარმოადგენს დიდი ისტორიული მნიშვნელობის დღეს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეშიო"[3].

დელეგატები ადგილებიდან ლაპარაკობდნენ იმ სიძნელეებზე, რაც წინ ეღობებოდა საბჭოთა ხელისუფლებას სოფლებში—სასურსათო კრიზისზე, მძარცველური ბანდების მოქმედებაზე, კონტრრევოლუციური პარტიების ანტისაბჭოთა აგიტაციაზე, მოითხოვდნენ მეტ დახმარებას.

---

[1] „Бакинский рабочий" № 107, 8 ივნისი, 1918 წ.

[2] С. Шаумян, Статьи и речи, გვ. 105.

[3] „Бакинский рабочий" № 100, 1918 წ.

ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი ბაქოს მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების უზრუნველსაყოფად, არჩეულ იქნა გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 15 კაცის შემადგენლობით, რომელშიც 11 ბოლშევიკი შევიდა „გუმეტიდან“, გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მეშადი აზიზბეკოვი. გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები შევიდნენ ბაქოს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული რეზოლუცია ჰგმობდა მუსლიმანი და სომეხი ნაციონალისტების კონტრრევოლუციურ პოლიტიკას სეიმში, ამიერკავკასიის რუსეთიდან გათიშვის სეიმურ პოლიტიკას და აცხადებდა, რომ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლა, ბედი, განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა რუსეთის მშრომელების ბედთან[1].

ბაქოს გლეხთა სამაზრო ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა და გლეხთა საბრძოლო ძალების გაერთიანებისათვის ბეგური კონტრრევოლუციისა და თურქეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გლეხთა დეპუტატების ყრილობები ჩატარდა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები შეიქმნა ყუბაში, ლენქორანში, შემახში, ასტრაში. ეს იყო აზერბაიჯანის სოფლებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

18 ივნისს ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დეკრეტი ამიერკავკასიაში და დაღესტნის ოლქში მიწების სოციალიზაციის შესახებ. დეკრეტით ხდებოდა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მშრომელი გლეხობისათვის გადაცემა. დეკრეტის მთლიანად განხორციელება მისი დაგვიანებით გამოცემის გამო და სოფლის კონტრრევოლუციური ძალების გააფთრებული წინააღმდეგობის ვითარებაში ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებისა, აზერბაიჯანის გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც საბჭოთა ხელისუფლებისადმი ინდიფერენტულად განწყობილი დარჩა. გლეხობის ჩამორჩენილი ფენა უნდობლად უყურებდა სახალხო კომისართა საბჭოს და გლეხთა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ღონისძიებებს, მათ ისევ სჯეროდათ ნაციონალისტური პარტიების დაპი-

[1] „Бакинский рабочий“ № 96, 1918 წ.

რებებისა. რელიგიური ბანგი, საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, ბეგებისა და კულაკებისადმი შიში, მათზე ეკონომიური დამოკიდებულება გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს ისევ ბურჟუაზიის რეზერვად ხდიდა. საბჭოური აგიტაცია და პრაქტიკული საქმეების დაყენება მათს შეგნებამდე ფერხდებოდა. ამისათვის მეტი დრო იყო საჭირო. საბჭოთა ბაქო კი მეტად კრიტიკული მომენტის წინაშე იდგა. მას ირგვლივ ერტყმოდა კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის რკალი. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ბაქოს პროლეტარიატისა და გლეხობის საბრძოლო კავშირი მტკიცე ვერ გამოდგა, რაც ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის ერთერთი მიზეზი გახდა.

სახალხო კომისართა საბჭომ თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე შესძლო გაეტარებინა მრავალი ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავდა ექსპლოატატორული კლასების ბატონობის ეკონომიური საფუძვლების დამსხვრევას და სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის საფუძვლების შექმნა-განმტკიცებას. 28 მაისის დეკრეტით ნაციონალიზებულ იქნა მრეწველ ტაგიევის თევზის სარეწები[1], 6 ივნისს გამოიცა დეკრეტი სახალხო სასამართლოების შესახებ[2]. 22 მაისს გამოცემულ იქნა დეკრეტი მიწის წიაღისეულის ნაციონალიზაციის შესახებ, დაუნდობელი ბრძოლა გამოცხადდა მექრთამეობისა და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, დაიწყო სახალხო განათლების საბჭოური ორგანიზაცია, დიდი ყურადღება მიექცა მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესებას, გამოიცა დეკრეტი ქალაქის უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ, ნაციონალიზებულ იქნა ბანკები, დაიწყო წარმოება-დაწესებულებების ძველი აპარატის გადახალისება და მათში საბჭოური წესრიგის დამყარება. 7 ივნისს შაუმიანი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა გამო ვ. ი. ლენინს აცნობებდა:

„უკანასკნელი კვირის განმავლობაში ელიზავეტპოლზე ლაშქრობისათვის სწრაფ მზადებასთან ერთდროულად, ჩვენ დაკავებული ვიყავით მთელი რიგი დეკრეტების მომზადებით. კვირას, 2 ივნისს ჩვენ გამოვეცით დეკრეტი ნავთის სარეწების ნაციონალიზაციის შესახებ, გუშინ გამოვეცით დეკრეტი სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ. ჩვენს მიერ გამოცემულია აგრეთვე დეკრეტი მათხოვრობის მოსპობის შესახებ, მზადდება ბანკებისა და სახლების

---

[1] გახ. „Известия Бакинского Совета" № 99, 28 მაისი, 1918 წ.

[2] „Известия Бак. Совета" № 107, 6 ივნისი, 1918 წ.

ნაციონალიზაციის დეკრეტები. ჩვენი შინაგანი მდგომარეობა ისეთია, რომ ყველა ეს ღონისძიება ჩვენ შეგვეძლო უმტკივნეულოდ და ბრწყინვალედაც გაგვეტარებია ცხოვრებაში. პროდუქტების მხრივ მუშათა მძიმე მდგომარეობის მიუხედავად (ორ თვეზე მეტია მუშები ნამდვილად შიმშილობენ) ჩვენ თავისთავს მეტად მტკიცედ ვგრძნობთ. მაგრამ ვნახოთ როგორი იქნება ჩვენი სამხედრო მდგომარეობა მახლობელ დღეებში. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ბაქო გადაიქცევა სამაგალითო შრომითს კომუნად".

ბაქოს სასურსათო მდგომარეობა, მართლაც 1917 წლიდან თანდათან უარესდებოდა და საბჭოთა ხელისუფლების დღეებში იგი უკიდურესად გამწვავებული აღმოჩნდა. ქალაქში არ იყო სურსათი. შიმშილი ინტერვენციასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებას წახრჩობით ემუქრებოდა.

ბაქოს საბჭოსთან ჯერ კიდევ 21 მარტს შეიქმნა სასურსათო დირექტორია, რომელმაც ხელი მოჰკიდა ქალაქის პროდუქტებით მომარაგებისა და განაწილების საქმეს. რწმუნებულები ხორბლის შესასყიდათ დაგზავნილ იქნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დამზადებულ იქნა მარცვლეულის საკმაოდ დიდი რაოდენობა, მაგრამ მისი გადმოზიდვა ბაქოში შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ გოცინსკის ბანდებმა პეტროვსკი დაიკავეს და გადასჭრეს რკინიგზა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას ბაქოსთან აკავშირებდა. ბაქოს კოშუნისტების ინიციატივით ურთულეს პირობებში აღდგენილ იქნა ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან ყიზლარის გზით შენდრიკოვისა და ბრიანსკის ნავსადგურების გამოყენებით, მაგრამ ამ გზით დიდი რაოდენობით პურის შემოზიდვა შეუძლებელი იყო. შიმშილობის ნიადაგზე, კონტრრევოლუციური ძალების წაქეზებით ბაქოს ზოგიერთ საწარმოში მოხდა ჩამორჩენილი მუშების მღელვარება. ბნელი ძალები, სასურსათო კრიზისით რომ სარგებლობდნენ, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა წინააღმდეგ ეწეოდნენ ცილისმწამებლურ პროპაგანდას, მიმართავდნენ პროვოკაციებს.

იმ წელს ბაქოს გუბერნიაში პურის კარგი მოსავალი ჩანდა, მაგრამ ვერ მოხერხდა მოსავლის აღების ორგანიზაცია. პურის რაიონების მოსახლეობა ნაციონალისტების მიერ გაჩაღებული რბევის პირობებში მინდვრად მუშაობის საშუალებას მოკლებული იყო. დირექტორია დაპირებებითა და რეზოლუციებით კმაყოფილდებოდა და მოსავლის რეალიზაციისათვის ძალთა მობილიზაციას ვერ

ახერხებდა. დირექტორიის შემადგენლობა, რომლის ხელმძღვანელობა მემარცხენე ესერ ციბულსკის ჰქონდა მინდობილი, თანდათან გადაიქცა ბნელი პირების, სპეკულანტების, საბოტაჟნიკების ბუდეთ, რომელიც ოპტიმისტური სიტყვებითა და მიმართვებით აიმედებდა ხალხს, პრაქტიკაში კი სასურსათო კრიზისის სალიკვიდაციოდ არა თუ რაიმეს აკეთებდა, არამედ ხელს უწყობდა მის გაღრმავებას.

თვით ქალაქის საწყობებში პროდუქტების რაოდენობა აღრიცხული არ ყოფილა. სპეკულანტებს საწყობებიდან მალულად გამოჰქონდათ პროდუქტები და ცეცხლის ფასად ჰყიდდნენ. ივლისში დაიწვა დირექტორიის ყველაზე დიდი სასურსათო საწყობი. ხანძრის გაჩენა ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით მოხდა.

სასურსათო ორგანოების მოუქნელი მუშაობის პირობებში სპეკულაციამ მასობრივი სახე მიიღო. ყოველ გზაჯვარედინზე ტომრებით იდგნენ სპეკულანტები, რომლებიც ხორბალს, ბრინჯს, პროდუქტებს მუშებისათვის მიუწვდომელ ფასებში ყიდდნენ. ცხადია, ყველაფერი ეს მუშებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

საბჭოთა ხელისუფლება, პირადად ვ. ი. ლენინი ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო სიძნელეების შესამსუბუქებლად ძალღონეს არ იშურებდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს მაშინ პურის საკითხში დიდად უჭირდა, იგი ბაქოში შესაძლებლობის პირობებში გზავნიდა პურით დატვირთულ ხომალდებს. ი. ბ. სტალინი ცარიცინიდან, ს. ორჯონიკიძე ვლადიკავკაზიდან ურთულეს პირობებში აწყობდნენ ბაქოში პურის გაგზავნას. მაგრამ ეს დახმარება უგზოობის გამო სპორადული იყო. თეთრ ბანდებს ბაქოს ირგვლივ ალყა ჰქონდათ შემორტყმული. ქალაქში პური და სურსათს არ უშვებდნენ.

ბაქოს ბოლშევიკების კონფერენციამ სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეობა ა. ჯაფარიძეს მიანდო. სასურსათო კომისრის თანამდებობის დაკავებისთანავე ა. ჯაფარიძემ ენერგიული ღონისძიებანი მიიღო სასურსათო გამგეობის, სასურსათო დირექტორიის დანაგვიანებული აპარატის გადასახალისებლად, დღის წესრიგში დააყენა აგრეთვე ჯგუფური შესყიდვების გატარება, მაგრამ კომუნის არსებობის ხანმოკლე პერიოდში ცხადია, ჯაფარიძემ ვერ შეძლო არსებითი გარდატეხა მოეხდინა, მით უმეტეს, რომ სურსათის მომარაგების გარე პირობები, ინტერვენციის მოძალების პირობებში თანდათან უფრო რთულდებოდა.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა და ამიერკავკასიაში პროლეტარული რევოლუციის წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენდა შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია.

ბაქოს ბოლშევიკებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი წითელი არმიის ფორმირებისა და საბრძოლო მომზადების დიდ საქმეს.

პარტიის მოწოდებას საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვრის იარაღით დაცვის შესახებ ბაქოს პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა მხურვალედ გამოეხმაურა. მუშები ნებაყოფლობით ეწერებოდნენ წითელ ბატალიონებში. ნავთის სარეწებში და ფაბრიკა-ქარხნებში გამართულ კრებებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები საბრძოლო რაზმების დაუყოვნებლივი შექმნის შესახებ. ქალაქში სწრაფად ფორმდებოდა მუშათა შეიარაღებული რაზმები, რომელთაგან ნაწილი უშუალოდ იგზავნებოდა ფრონტებზე, ნაწილი გადიოდა საბრძოლო წრთვნას. ნებაყოფლობითი შეიარაღებული რაზმების შედგენა დაიწყო მუსავატური ბანდებისაგან განთავისუფლებულ სოფლებში. ბაქოს, შემახის, ლენქორანის, ჯევათის მაზრებში ბოლშევიკებისა და ფრონტელი ჯარისკაცების მეთაურობით შეიქმნა რამდენიმე წითელარმიული რაზმი; ისინი მოითხოვდნენ იარაღს, ინსტრუქტორებს.

მაგრამ ნებაყოფლობით პრინციპზე არმიის ფორმირება ვერ გადასწყვეტდა საბჭოთა ბაქოს დაცვის უაღრესად ძნელ ამოცანას. საჭირო იყო რეგულარული სამხედრო ნაწილების დაკომპლექტება და საბრძოლო წრთვნა, მტკიცე საბრძოლო დისციპლინის დამყარება, მეთაურთა შემადგენლობის მომზადება, ერთი სიტყვით, შეიარაღებული ძალების შექმნა თანამედროვე მოთხოვნის სიმაღლეზე. სწორედ ამ ხანებში (1918 წ. 29 მაისს) სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მუშათა და გლეხთა საყოველთაო მობილიზაციის შესახებ. ასეთი მობილიზაციის ჩატარება აუცილებელი შეიქმნა ბაქოშიც. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ მაისის ბოლოს დაიწყო საყოველთაო მობილიზაციის განხორციელება საბჭოთა რაიონებში. მუშები და მშრომელი გლეხები ამ ღონისძიებასაც მხარდაჭერით შეხვდნენ. დაიწყო ქვეითი, სატყვიამფრქვევო, სამთო-საკავალერიო, საინჟინერო ბატალიონების შედგენა-მომზადება.

ახლად ფორმირებულ წითელარმიულ ნაწილებს სჭირდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული მეთაურთა შემადგენლობა. მეთაურთა თანამდებობებზე გამოყენებულ იქნა ძველი არმიის ოფიცრობა, მაგრამ, ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლება მათ მთლიანად ვერ დაეყრდნობოდა, მეორეც, — ეს კადრი სრულებითაც არ იყო საკმარისი. ამიტომ გადაწყდა საბჭოთა მეთაურების სახელდახელოდ მომზადება „წითელ საინსტრუქტორო სკოლაში“, რომელ-

საც 6 თვის განმავლობაში უნდა გამოეშვა მეთაურების პირველი წყება.

საბჭოთა არმიის ნაწილების ფორმირებისა და საბრძოლო-პოლიტიკური აღზრდის სულსა და გულს ბოლშევიკები შეადგენდნენ. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკებიდან აზიზბეკოვი, მიქოიანი, კორგანოვი, სოლნცევი, გაბიშევი, მალიგინი, ალი ბაირამოვი, მ. ვეზიროვი და სხვ. უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ წითელი არმიისა და ფლოტის მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით აღზრდას, მათს საბრძოლო ოპერაციებს ფრონტებზე. ბოლშევიკი მუშები და გლეხები სიმამაცისა და გმირობის ნიმუშებს იძლეოდნენ. ბოლშევიკების მეთაურობით წითელარმიელ ნაწილებში იქმნებოდა პარტიული უჯრედები, რომლებიც აჩაღებდნენ კომუნისტურ პროპაგანდას ჯარისკაცთა მასებში. მაისის ბოლოს ბაქოში გამოსვლა იწყო წითელარმიულმა გაზეთმა „კავკაზსკაია კრასნაია არმიამ“ (რედაქტორი ოსეპიანი). ბაქოს საბჭოსთან ჩამოყალიბდა არმიაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის წარმართველი კომისია. ბაქოს საქალაქო პარტიულმა კომიტეტმა ბრიგადის სამხედრო კომისრების თანამდებობებზე არმიაში მიავლინეს ა. ი. მიქოიანი, ი. გაბიშევი, რომლებიც მეომრების მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადების გრძნობით აღზრდის საქმეს, ბრიგადების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, სარდლობის საბრძოლო ბრძანებების შესრულების საქმეს მთელ ძალ-ღონეს ახმარდნენ.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ და პარტიის საქალაქო კომიტეტმა, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მაინც გაართვეს თავი წითელი არმიის ფორმირების პირველხარისხოვან ამოცანას. საბჭოთა ხელისუფლებას ბაქოში ივნისის თვეში ჰყავდა თავისი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მზად იყვნენ შეჯახებოდნენ ინტერვენტთა რეგულარულ და კარგად შეიარაღებულ ჯარებს.

მაგრამ იმის გამო, რომ შეიარაღებული ძალების ფორმირება ბაქოში ხდებოდა ინტერვენტებთან და კონტრრევოლუციურ ბანდებთან განუწყვეტელი ბრძოლის, კონტრრევოლუციური პარტიების ანტისაბჭოთა კამპანიის ვითარებაში, ამასთანავე მეტად ხშრაფად და სახელდახელოდ, მისი დისციპლინა, ბრძოლისუნარიანობა, მორალური სიმტკიცე მაღალი არ ყოფილა.

„ახალი არმია, — წერდა გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“, — მუშებისა და გლეხების წითელი არმია, ყალიბდება კონტრრევოლუციასთან შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლების ვითარებაში. ბაქოს რაიონში, წითელ არმიას თავის გმირულ ბრძოლებში არ აქვს შესვენების

არცერთი წუთი. იმის გამო, რომ ვჩქარობთ და გვიხდება სასწრაფოდ შევქმნათ წითელი ბატალიონები, შევარჩიოთ მისი მეთაურთა შემადგენლობა მკაცრი შემოწმების გარეშე, შესაძლებელი ხდება ახალი არმიის რიგებში მაროდერებისა და მოძალადეების გაპარვა. ეს უსინდისო, ტურასავით მშიშრები გაიგებენ თუ არა გასროლას, ან დაინახავენ თუ არა მოწინააღმდეგის მცირე რაზმებს, გამორბიან და არღვევენ წითელი არმიის რიგებს. სამაგიეროდ, ისინი უსაზღვროდ მამაცნი ხდებიან, როცა ჰკლავენ უიარაღო მუშებს და გლეხებს, მათ, რომლებიც რკინიგზას ემსახურებიან, რკინიგზის სადგურებს და წყალსადენებს იცავენ“[1].

წითელი არმიის რიგებში, ამრიგად, მრავლად გაძვრნენ შემთხვევით, საეჭვო და მავნე ელემენტები, რომელთაც ან არ ჰქონდათ რევოლუციური შეგნება, ან ხელის მოთბობა სურდათ, ისეთებიც კი, რომლებიც დაუძინებელი მტრები იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისა.

ყველაფერი რიგზე როდი იყო მეთაურთა შემადგენლობაში. მისი ნაწილი მონარქისტი და ნაციონალისტურად განწყობილი ოფიცრობისაგან შედგებოდა. ისინი გადამწყვეტ მომენტებში უარს ამბობდნენ სარდლობის განკარგულების შესრულებაზე, ტოვებდნენ საბრძოლო თანამდებობებს და გადადიოდნენ მტრის მხარეზეც კი.

ბაქოს წითელი არმიის ფორმირება მიმდინარეობდა ინტერნაციონალურ პრინციპზე და ბოლშევიკური უჯრედები ყოველმხრივ ეწეოდნენ აგიტაციას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დასანერგავად, მაგრამ არმიის რიგებში ნაციონალისტურ განწყობილებათა აღმოფხვრა ბოლშევიკური ბირთვის სიმცირის პირობებში მეტად გართულდა და შეუძლებელიც გახდა.

სახალხო კომისართა საბჭო იძულებული იყო წითელი არმიის შემადგენლობაში ჩაერთო სომხური ბატალიონები, რომლებიც ჯერ კიდევ ადრე იყო ფორმირებული სომხური ეროვნული საბჭოს ინიციატივით და რომელთა ოფიცრები დაშნაკური პარტიის წევრები იყვნენ. ამ ნაწილებში ყველაზე მეტი იყო მაროდერობის შემთხვევები. ნაციონალისტი ოფიცრები ჯარისკაცებს აქეზებდნენ მუსლიმანური სოფლების წინააღმდეგ, ხელს უწყობდნენ შუღლისა და მტრობის გაღვივებას ქალაქში და ფრონტისპირა მოსახლეობაში. გადამწყვეტ მომენტში, ეს ნაწილები, თავისი მორალური სისუსტის გამო, უუნარონი აღმოჩნდნენ თავიანთი საბრძოლო უბნები დაეცვათ.

---

[1] „Бакинский рабочий“ № 98, 29 მაისი, 1918 წ.

გარდა ამისა, წითელი არმიის ნაწილებს აკლიათ შეიარაღება სურსათი, ტანსაცმელი.

ასეთი იყო, ძირითადად, ის სიძნელეები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ერთად აღებული, წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენდნენ და მას დაბლა სწევდნენ. მიუხედავად ამისა, მაშინდელს პირობებში, ეს იყო საკმაოდ ძლავრი შეიარაღებული ძალა (დაახლოებით 18 ათასი კაცი), რომლის ძირითადი ბირთვი საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული ადამიანებისაგან შედგებოდა და მზად იყო უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაეცვა რევოლუციის მონაპოვარი.

* * *

ბაქოს საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიის მშრომელი მასების დასაყრდენ ძალას და იმედს წარმოადგენდა მათს ბრძოლაში ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი მუშები და გლეხები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროშა აღმართეს, ცხადია, ბაქოს პროლეტარიატისა და მისი შეიარაღებული ძალებისაგან მოელოდნენ ძმურ მხარდაჭერას.

თავის მხრივ საბჭოთა ხელისუფლებას, თუ იგი ქალაქ ბაქოთი და მისი ახლო მაზრებით შემოიფარგლებოდა, არ შეეძლო არსებობა. კონტრრევოლუციის რკალში მომწყვდეულ საბჭოთა ბაქოს ან უნდა დაეთმო თავისი პოზიციები, ან უნდა გაერღვია ეს გარემოცვა და საბჭოთა ხელისუფლების დროშა მთელს აზერბაიჯანში აეფრიალებინა. მდგომარეობა მტკიცედ ვერ ჩაითვლებოდა მანამ, ვიდრე ინტერვენტების დასაყრდენ პუნქტად რჩებოდა თბილისი. მენშევიკური საქართველოდან და დაშნაკური სომხეთიდან, თურქეთს შეეძლო ახალ-ახალი ძალების გადაყვანა საომარი ოპერაციების ფრონტებზე. გარდა ამისა, ქართველი და სომეხი გლეხობა სწორედ ამ დროს ეწეოდა შეუპოვარ ბრძოლას ოკუპანტების და მენშევიკურ-დაშნაკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. საჭირო იყო მათდამი დახმარება. ამრიგად, რევოლუციისა და კონტრრევოლუციის საბრძოლო ფრონტი არა ბაქოთი ამოიწურებოდა, არამედ გადაჭიმული იყო მთელს ამიერკავკასიაზე.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმატების საწინდარი შექმნილ ვითარებაში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ შეტევის ტაქტიკა. დროულ შეტევას შეეძლო მანამდე გაერღვია ბაქოს ირგვლივ კონტრრევოლუციური რკალი, ვიდრე თურქი ოკუპანტები ელიზავეტოპოლში ფეხს მოიკიდებდნენ და თავად დაიწყებდნენ შეტევას.

თავდაცვითი პოზიცია ბაქოს მისადგომებთან და ლოდინი მტრის ძალებისა, ცხადია, მისი უკეთესი ორგანიზაციის ვითარებაში, წითელი არმიის წარმატების შანსებს დიდად ამცირებდა. რაც უფრო წინ წაიწევდა წითელი არმია ამიერკავკასიაში, მისი საბრძოლო ძალები უფრო უნდა გამრავლებულიყო. მას ემატებოდა მოკავშირე მშრომელი გლეხობის სახით.

ს. შაუმიანი რსფსრ სახკომსაბჭოსადმი გაგზავნილ წერილში 24 მაისის თარიღით საბჭოთა არმიის ამოცანების შესახებ აღნიშნავდა: „ვუბრუნდები ჩვენი უახლოესი მიზნების საკითხს: როგორც მე უკვე გაცნობებდით, ჩვენ ვემზადებით უახლოეს დღეებში ელიზავეტოპოლზე სალაშქროდ. ჩვენ დავიჭირეთ სატელეგრაფო საუბარი ელიზავეტოპოლიდან, სადაც ლაპარაკია რეგულარული ჯარებით ბაქოზე შეტევის შესახებ (ცნობებით ეს ჯარები ელიზავეტოპოლში უკვე 6 ათასს აღწევს ქართველი თავადის მაღალოვის ხელმძღვანელობით) 4 დღის წინათ ჩვენს რაზმებს აჯიკაბულთან უკვე ჰქონდათ შეჯახება მათს ცხენოსნებთან. შეიძლება მათ დაგვასწრონ. თუ ეს იქნება მარტო ელიზავეტოპოლის ძალები, მათი დამარცხება ადვილი იქნება და ჩვენ სწრაფად გავწმენდთ გზას ელიზავეტოპოლისაკენ, შეიძლება თბილისამდეც კი. თუ მათთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ წამოვლენ თურქეთის ჯარები (ბათუმიდან და სამხრეთიდან), ჩვენ ყოველ შემთხვევაში უნდა დავიკავოთ ევლახის ხიდი და თავდაცვითი ხაზი მტკვარზე. უნდა ვიჩქაროთ ელიზავეტოპოლისკენ, რომ იქ, და შემდეგ იქეთაც, გამოვიწვიოთ აჯანყებანი. ეს გავლენას მოახდენს ქართველ გლეხებზე და სეიმი გარეკილი იქნება. თუ ეს აჯანყებანი არ მოხდება და თურქები მოასწრებენ შემოიმტკიცონ საქართველო და თბილისი, მაშინ ჩვენ სრულებით იზოლირებული დავრჩებით და მოგვიხდება დავიცვათ მხოლოდ აპშერონის ნახევარკუნძული“[1].

შეტევის ტაქტიკას სავსებით იზიარებდა სამხედრო-საზღვაო ჯალების კომისარი კორგანოვი, რომელიც მოითხოვდა ელიზავეტოპოლის კონტრრევოლუციური ბუდის განადგურებას მანამ, ვიდრე იქ თურქები დამკვიდრდებოდნენ. შეტევის უპირატესობაზე მიუთითებდნენ აზიზბეკოვი, ამირიანი და სხვები. თუმცა, ხელმძღვანელ მუშაკებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აღიარებდნენ, რომ შეტევისათვის საჭირო ძალები ჯერ სახეზე არ არის და ამ ვითარებაში თავდაცვითი ტაქტიკა უფრო მიზანშეწონილი არისო.

ბაქოს პარტიული კომიტეტის პლენუმზე დიდმა უმრავლესო-

---

[1] ЦГАКА, ф. I, оп. 2, д. 8, лл. 404, 405.

ბამ მხარი შეტევითს ტაქტიკას დაუპირა. ივნისის დასაწყისიდან კავკასიის წითელი არმიის პირველ კორპუსში დაიწყო შეტევისათვის ცხოველი სამზადისი. სარდლობა თავის მოწოდებაში აღნიშნავდა რა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მშრომელი მასების გმირული ბრძოლის მაგალითებს, საბჭოთა მეომრებს მიმართავდა: თქვენ გეკისრებათ მთელი ამიერკავკასიის მშრომელი მასების განთავისუფლების კეთილშობილური ამოცანა, თქვენს მოსვლას მოუთმენლად მოელიან აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს მშრომელები, რომლებმაც უკვე აღმართეს აჯანყების დროშა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ[1].

10 ივნისს საბჭოთა არმიის ნაწილები ბაქოდან გავიდნენ და დაიწყეს შეტევა მუსავატური ძალების წინააღმდეგ. 11 ივნისს ავანგარდმა დაიკავა სადგ. საგირი, 12 ივნისს — სოფელი და სადგური ქურდამირი[2]. შევიწროებული მუსავატური ძალების დასახმარებლად ბრძოლაში უკვე ჩაებნენ თურქთა რეგულარული არმიის პირველი პოლკები[3].

თურქეთის ჯარების ჩაბმამ ბრძოლაში ვერ შეაჩერა წითელი არმიის შეტევა. 16-17 ივნისს წითელი არმია ბრძოლებს ეწეოდა სოფელ კარამარიანისა და მიუსიულის მისადგომებზე. ივნისის დასასრულისათვის კავკასიის პირველი კორპუსის ავანგარდულმა ნაწილებმა უკვე გეოგჩაის მიაღწიეს. 27-30 ივნისს გეოგჩაის მისადგომებთან საბჭოთა ძალებსა და თურქეთისა და მუსავატურ ნაწილებს შორის გაიფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. ქალაქში ადგილობრივმა მოსახლეობამ მოაწყო აჯანყება თურქების წინააღმდეგ. ბრძოლაში ჩაება მოსკოვიდან მოსული რაზმი. თურქებმა ქალაქზე მოაყარეს დიდი ძალები. ხშირად შეტაკება ხიშტით კვეთებაზე გადადიოდა. საბჭოთა რაზმები ქალაქში შეიჭრნენ, მაგრამ ვერ შეძლეს იქ გამაგრება. თურქთა ჭარბმა და კარგად შეიარაღებულმა რეგულარულმა ნაწილებმა მოახერხეს საბჭოთა რაზმების შეტევის შეჩერება და კონტრიერიშზე გადასვლა. წითელარმიელები სიმამაცესა და გმირობას იჩენდნენ. მაგრამ მათ აკლდათ შეიარაღება. მოწინააღმდეგეს კი ახალ-ახალი დამხმარე ძალები მოსდიოდა. გეოგჩაისათვის ბრძოლაში წითელმა არმიამ წარუმატებლობა განიცადა. დააჯგუფეს რა

---

[1] Документы по истории гражданской войны в СССР, том. I, 1944 г. გვ. 286—287.

[2] Красный архив № 4—5. 1938 г., გვ. 18.

[3] Е. А. Токаржевский, Бакинские большевики—организаторы борьбы, против турецко-германских и английских интервентов, გვ. 179.

დიდი ძალები ამ მიმართულებით, ახლა თურქთა პოლკები შეტევაზე გადავიდნენ. ეს მარცხი გარდატეხის მომენტად იქცა. ბაქოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობა გაუარესდა, იგი იძულებული შეიქმნა თავდაცვითს ტაქტიკაზე გადასულიყო. მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო რა ინიციატივა, მიმართულება საბჭოთა ბაქოზე აიღო. ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე რეალური საფრთხე ჩამოწვა.

* * *

ივნისის პირველ რიცხვებში ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს მიმართვამ ამიერკავკასიის გლეხობისადმი, წითელი არმიის პირველმა წარმატებებმა ძალა და მხნეობა შემატა საქართველოსა და სომხეთის მშრომელ მასებს, რომლებიც მენშევიკური დაშნაკური მთავრობისა და თურქულ-გერმანული ინტერვენციის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებს ეწეოდნენ. მენშევიკები ახლა გერმანული ხიშტების დახმარებით უსწორდებოდნენ აჯანყებულ გლეხებს სამეგრელოში, აფხაზეთში, ლეჩხუმში. ივნისის პირველ რიცხვებში, ბოლშევიკების მეთაურობით იფეთქა ახალმა მძლავრმა აჯანყებამ დუშეთში, რომელიც თავისი მასშტაბით ყველაზე გრანდიოზული იყო 1918 წლის საქართველოს გლეხთა აჯანყებებს შორის.

კავკასიის სომხარეო კომიტეტმა და ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტმა ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში ამ მაზრაში დაგზავნეს პარტიული მუშები და პროპაგანდისტები, მივლინებულმა ამხანაგებმა ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში გაზაფხულზე ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღეს. მიმდინარეობდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების პრაქტიკული სამზადისი — გლეხთა რაზმების შედგენა, მათი მომარაგება იარაღით და ს.ს. ბოლშევიკებს გათვალისწინებული ჰქონდათ დუშეთის გლეხობის შეიარაღებული გამოსვლა დაეკავშირებინათ საქართველოს სხვა მაზრებში უკვე მიმდინარე აჯანყებებთან და, ამგვარად, მენშევიკური მთავრობა გლეხთა საყოველთაო აჯანყების ფაქტის წინაშე დაეყენებინათ.

მენშევიკური მთავრობის მეძებრებს მხედველობიდან არ გამოეპარათ დუშეთის მაზრის გლეხობის სამზადისი. მათ გადაწყვიტეს თვით დაესწროთ და განეიარაღებინათ გლეხობა, დაესაჯათ მოთავეები და, ამრიგად, საწყისშივე ჩაეკლათ განზრახული გამოსვლა. 16 ივნისს მენშევიკურმა გვარდიამ ალყა შემოარტყა სოფ. მოსაქციელის გლეხთა რაზმებს და მათთვის იარაღის ჩამორთმევას შეუდგა. 17 ივნისს გვარდიელები იმავე მიზნით სოფ. წილკანში გადავიდნენ, მაგრამ ამ სოფლის გლეხობის მოსაშველებლად მეზობელი სოფლე-

ბიც აღდგნენ. გლეხთა რაზმები გარს შემოერტყნენ გვარდიას და დააყრევინეს იარაღი. ეს ფაქტი დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების სიგნალი გახდა. აჯანყებულმა გლეხებმა შეადგინეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი. შემუშავებულ იქნა მოქმედების ოპერატიული გეგმა.

შტაბმა სწორად ივარაუდა, რომ პირველ რიგში აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, მცხეთის მიდამოების გამაგრება, რათა მენშევიკებისა და გერმანელ ოკუპანტთა სამხედრო ნაწილებისათვის გზა გადაეღობათ, მეორე მხრივ, დარიალსა და ყაზბეგში დაბანაკებული მენშევიკური რაზმის დამარცხება და გადასასვლელის ხელში ჩაგდება; ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა კავშირი თერგის ოლქთან, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა.

ივნისის თვეში დუშეთის რევოლუციურმა გლეხებმა რამდენიმე მამაცური ბრძოლა გადაიხადეს. მათ სასტიკად დაამარცხეს მენშევიკური არმიის დიდი რაზმი, ტყვედ იგდეს 250 კაცი, 7 ტყვიამფრქვევი, დიდი საომარი მასალა და სურსათი. ამავე დროს ხელთ იგდეს დარიალის უღელტეხილი. ამის შემდეგ უკვე დაიწყო სამზადისი თბილისის მიმართულებით გალაშქრებისათვის. დუშეთის აჯანყებული გლეხობისათვის მხარის დაჭერა გადაწყვიტეს თიანეთის მაზრის რევოლუციურმა გლეხებმა, მათ ცალკე რაზმები შექმნეს და დუშეთში გადმოვიდნენ. აჯანყების რკალი ფართოვდებოდა, მენშევიკები ზედიზედ მარცხს განიცდიდნენ.

25 ივნისს დუშეთში შეკრებილმა გლეხთა ყრილობამ დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი. დაიწყო რევოლუციურ ღონისძიებათა გატარება.

დუშეთის გლეხთა რაზმების ასეთმა წარმატებამ მენშევიკური მთავრობა საგონებელში ჩააგდო. მან მობილიზაცია გაუკეთა მთელ ძალებს. დახმარებისათვის მიმართა გერმანელ ოკუპანტებს.

მენშევიკებმა დუშეთის წინააღმდეგ დიდძალი ჯარი დაძრეს. ბებრის ციხესთან ბრძოლაში მენშევიკების მხარეზე მონაწილეობდნენ გერმანელთა ჯარები. აჯანყებულებს უშენდნენ ზარბაზნებს, მოქმედებდა გერმანელთა თვითმფრინავი. ჭარბი ძალების იერიშის მოგერიება აჯანყებულებმა ვერ შეძლეს და უკან დაიხიეს. გართულდა მდგომარეობა დარიალის რაიონშიც. საშა გეგეჭკორის რაზმმა, რომელიც დუშეთის გლეხობის დასახმარებლად გამოემგზავრა კავკავიდან, პირველად წარმატებას მიაღწია (წაართვა მოწინააღმდეგეს 500 თოფი, 6 ყუმბარმტყორცნი, 2 ტყვიამფრქვევი და სხვ.), მაგრამ შემდეგი წინსვლისას აღმოჩნდა მენშევიკური მთავრო-

ბის მრავალრიცხოვანი ჯარის გარემოცვაში და უთანასწორო ბრძოლის შემდეგ გაარღვია რკალი და უკან დაიხია. მენშევიკებმა ამავე დროს განახორციელეს დუშეთზე სამი მხრიდან შეტევა და აიღეს იგი.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება დამარცხდა. მენშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების ხელმძღვანელებს. ბევრი მათგანი დახვრიტეს. მენშევიკმა გვარდიელებმა და ჯარისკაცებმა ააწიოკეს სოფლები. გლეხობას უფრო მძიმე უღელი დაადგეს.

აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი ის იყო, რომ იგი იზოლირებული აღმოჩნდა. გლეხების ნაადრევმა გამოსვლამ ვერ პოვა აქტიური მხარდაჭერა სხვა რაიონების მხრივ, მენშევიკებს საშუალება მიეცათ მოეხდინათ ძალთა მანევრირება. დიდი აქტიურობა გამოიჩინეს ოკუპანტებმაც.

მაგრამ მენშევიკების შინაური ფრონტი ამით როდი მოისპო. გლეხთა აჯანყებანი კვლავ იჩენდნენ თავს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. მენშევიკებისათვის მეტად საშიში ხასიათი მიიღო საჩხერის რაიონის გამოსვლამ. მენშევიკთა დამსჯელმა რაზმებმა საჩხერეში დაწვეს რამდენიმე ათეული სახლი, დახვრიტეს 24 კაცი, ციხეში დაამწყვდიეს 80 კაცი. აჯანყების მრავალ მონაწილე გლეხს თოფის ზუმპებით ცემეს. მოსახლეობის ჭირნახული გააჩანაგეს.

ცხადი იყო, რომ საქართველოს რევოლუციური გლეხობა, იწრთობოდა რა სამოქალაქო ომის მკაცრ სკოლაში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თანდათან აქტიურებდა თავის მოქმედებას და მენშევიკური ხელისუფლების დამხობას აჩქარებდა. ცხადი იყო, რომ გერმანელ ოკუპანტებს, მენშევიკების როგორი მხარდაჭერაც არ უნდა ჰქონოდათ, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის დამონება.

* * *

ბაქოს წითელი არმიის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა იმ პერიოდში, როცა სოციალისტური სახელმწიფოს წინაალმდეგ მთელს რუსეთში ერთ ბანაკად გაერთიანდა და ამოქმედდა ორი ძალა: თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია და უცხოეთის ინტერვენცია.

ბრესტის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკამ ვერც კი მოახერხა რიგიანად ამოესუნთქა, რომ ამერიკელმა, ინგლისელმა, ფრანგმა, იაპონელმა ინტერვენტებმა, რომელთაც სოციალიზმის პირველი კერის მოსპობა და რუსეთში გაბატო-

ნება სურდათ, თეთრგვარდიელი ნაძირალების დახმარებით რუსეთის სხვადასხვა პუნქტებში ჯარების გადასხმა დაიწყეს.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა არხანგელსკში მოაწყეს კონტრრევოლუციური გადატრიალება, დაიწყეს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ოკუპაცია, ვლადივოსტოკში შეიჭრა ამერიკელთა 9 ათასიანი არმია. ამასთანავე ამერიკელმა იმპერიალისტებმა იკისრეს თეთრგვარდიული გენერლების კოლჩაკის, დენიკინის ლაშქრობათა დაფინანსება. ინგლისელმა ინტერვენტებმა ჯარები გადასხეს ჩრდილოეთ რუსეთში და არხანგელსკი და მურმანსკი დაიკავეს. იაპონელი იმპერიალისტები ვლადივოსტოკს შეესივნენ, დაიკავეს პრიმორიე და იქ ბურჟუაზიული წესწყობილება აღადგინეს. ვოლგის შუა წელზე და ციმბირში ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების წაქეზებით დაიწყო ჩეხოსლოვაკთა კორპუსის აჯანყება, ჩრდილოეთ კავკასიაში თავი წამოყვეს კორნილოვის, ალექსეევის, დენიკინის ბანდებმა, რომლებმაც ანტანტის მხარდაჭერით შექმნეს მოხალისეთა არმია საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, ვოლგაზე და ციმბირში ინტერვენტების წაქეზებით დაიწყო კულაკთა ამბოხებანი, დონში თავი წამოჰყვეს შეძლებულმა კაზაკებმა. ესერების მოთავეობით მოეწყო გამოსვლები ვოტინსკის და იჟევსკის ქარხნებში.

სოციალისტური სამშობლოს წინაშე ჩამოწვა რეალური საფრთხე. საბჭოთა მთავრობამ და პარტიამ, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ფეხზე დააყენა მშრომელი მასები, საბჭოთა რუსეთი სამხედრო ბანაკად გამოცხადდა, ვ. ი. ლენინმა პარტიას, მასებს მიმართა ლოზუნგით „ყველაფერი ფრონტისათვის". დაიწყო საბჭოთა ხალხის სამამულო ომი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად ინტერვენტთა ხელყოფისაგან. კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, დიდი ლენინი სათავეში ჩაუდგა სოციალისტურ ბანაკს იმპერიალიზმის ბანაკის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ამიერკავკასიას ინტერვენტთა გეგმებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. იგი წარმოადგენდა არა მარტო სტრატეგიული ნედლეულით, სათბობით, სურსათით მდიდარ ქვეყანას, არამედ მოხერხებულ პლაცდარმს; ამიერკავკასიის ეკონომიური და სტრატეგიული გზები ინტერვენტებისათვის საუკეთესო საშუალებებს ჰქმნიდნენ მთელს აღლო აღმოსავლეთში გაბატონებისა და შუა აზიასა და ინდოეთთან კავშირისათვის.

წინა თავებში ვნახეთ, თუ როგორ აქტიობდნენ ამიერკავკასიაში ინგლისისა და ამერიკის დიპლომატიური მისიები, როგორ აკოწი-

წებდნენ ამიერკავკასიასა და დონ-ყუბანის კონტრრევოლუციის ბლოკს საბჭოთა რუსეთის, ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ აქედან ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს არაფერი გამოუვიდათ. მათ ჯერ კიდევ არ ჰყავდათ ამიერკავკასიის ოკუპაციისათვის საჭირო ძალები. ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ნაწილში გერმანელ-თურქი ოკუპანტები გაბატონდნენ. ანტანტის იმპერიალისტებმა დაინახეს, რომ ხელიდან ეცლებოდათ ბაქოს ნავთისა და კავკასიის სხვა სტრატეგიული ნედლეულის დაპატრონების შესაძლებლობა. ახლა მათ ამიარკავკასიაზე დაწოლისათვის ირანი და ჩრდილოეთ კავკასია აირჩიეს. ისევ აამუშავეს ფული და დიპლომატია, რომელსაც მესოპოტამიაში მყოფ ინგლისელთა მცირე ძალებისათვის და ჩრდილოეთ-კავკასიის თეთრგვარდიული ბანდებისათვის გზა უნდა გაეკაფა პირველ რიგში ბაქოში და შემდეგ მთელს ამიერკავკასიაში.

საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სტრატეგიულ გეგმაში სამხრეთის მიმართულებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. გადმოსხა რა ჯარები მურმანსკსა და არხანგელსკში, მოაწყო რა ჩეხოსლოვაკთა აჯანყება აღმოსავლეთში, ინგლისის იმპერიალიზმი ერთდროულად სამხრეთშიც ამოქმედდა, რომ საბოლოოდ შეეკრა მოქმედების რკალი მთელი რუსეთის მასშტაბით.

1918 წლის დასაწყისში ინგლისელი ოფიცრების მცირე რაზმი, რომელიც მესოპოტამიაში იმყოფებოდა გენერალ დენსტერვილის სარდლობით, ამიერკავკასიისაკენ დაიძრა. დენსტერვილის ამოცანას, როგორც იგი აღნიშნავს, წარმოადგენდა თბილისისკენ გაჭრა და აქ, ადგილობრივ მთავრობასთან შეთანხმებით რუსი და ადგილობრივი ჯარისკაცებისაგან არმიის ორგანიზაცია, რომელიც ამიერკავკასიას თურქეთ-გერმანიისა და ბოლშევიზმისაგან დაიცავდა. ინგლისელთა საექსპედიციო რაზმმა დენსტერვილის მეთაურობით თებერვლის შუა რიცხვებში უკვე მიაღწია გილანს. 18 თებერვალს ინგლისური რაზმების ავანგარდი 41 მანქანით ჩავიდა კასპიის ზღვის ნავსადგურ ენზელში. ენზელში ამ დროს იმყოფებოდა ბაქოს წითელარმიული რაზმი ვაცეკის ხელმძღვანელობით. რევოლუციურმა კომიტეტმა, დენსტერვილის რაზმს წინადადება მისცა უკანვე გამგზავრებულიყო. ინგლისელები ბევრს ეცადნენ ფარულად გაჭრილიყვნენ ამიერკავკასიისაკენ, მაგრამ როცა ეს შეუძლებელი გახდა, იძულებული შეიქმნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. წითელარმიულმა რაზმმა ინგლისელებისადმი დადევნების შედეგად წინ წაიწია რეშტამდე, სადაც ამ

ეროს გენერალ ბარატოვის ნაწილები იდგნენ. ეს იყო ბაქოს ჯარების ინგლისელებთან პირველი შეხვედრა[1].

დენსტერვილის პირველი ექსპედიცია ჩაიშალა. მაგრამ ბაქოს დაპყრობა ინგლისელებს ეჩქარებოდათ. ამ მიზნის განხორციელებისათვის მათ ყველა შესაძლებლობის გამოყენება სცადეს. თვით გენერალი დენსტერვილი აღნიშნავდა: „ბაქოს ხელში ჩაგდება ჩვენ შემდეგ შედეგებამდე მიგვიყვანდა: მტრისთვის დაიხურებოდა ნავთობის მარაგისა და ცენტრალური აზიის კარები. ჩვენს მიერ ნავთობის მარაგის ხელში ჩაგდება შეაჩერებდა მოძრაობას ამიერკავკასიის რკინიგზაზე, რადგან ეს გზები ჩვეულებრივ ბაქოს ნავთობის წყაროებით იკვებებოდნენ. ამრიგად, ჩვენი გეგმა უმიზნებდა კასპიის ზღვაზე ბატონობას, და რადგანაც ჩვენ შეგვეძლო გაგვეხორციელებინა ეს მხოლოდ და მხოლოდ ბაქოს ოკუპაციით, აუცილებელი იყო დაგვეცვა ეს ქალაქი მოწინააღმდეგის დაპყრობისაგან. ბაქოს მნიშვნელობა უდიდესი იყო და ყოველგვარი რისკი მისი ხელში ჩაგდებისათვის, თავისთავს ამართლებდა“[2].

ბაქოს დაპყრობისათვის რისკის გაწევას დენსტერვილი მაინც ვერ ბედავდა, რადგან საამისო ძალები არ გააჩნდა. სამაგიეროდ იგი მიმართავდა ყველა სხვა საშუალებას, რომელსაც ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების შიგნიდან აფეთქება და ინგლისელთა მოწვევის, ანუ ბაქოში უსისხლოდ შესვლის უზრუნველყოფა შეეძლო. დენსტერვილს ამ გზით მოქმედებას უკარნახებდა თვით ბაქოში შექმნილი ვითარება—კერძოდ, კონტრრევოლუციური პარტიების—დაშნაკების, ესერების, მენშევიკების მოღალატური საქმიანობა და მისწრაფება ინგლისელ იმპერიალისტთა დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა. დენსტერვილის ფარული მოკავშირე და აგენტი აღმოჩნდა აგრეთვე ავანტურისტი ბიჩერახოვი.

რა როლს თამაშობდნენ ამ დროს კონტრრევოლუციური პარტიები ბაქოში და როგორ შესძლო დენსტერვილმა ბიჩერახოვი და მენშევიკ-ესერულ-დაშნაკური აგენტურა საბჭოთა ხელისუფლების დაცემისათვის გამოეყენებინა?

მარტის ბრძოლების შემდეგ, მართალია, სრული ძალაუფლება სახალხო კომისართა საბჭოს ხელში გადავიდა, მაგრამ კონტრრევო-

---

[1] Проф. Пелам Гусейнов. Английские интервенты и их дашнако-меньшевико-эсеровская агентура в Баку в 1918 году. Труды Азербайджанского Гос. Университета, вып. I, 1950, Баку, გვ. 19.

[2] Денстервиль. Британский империализм в Баку и Персии, 1917—1918 гг. Тифлис, 1925, გვ. 122—123.

ლუციური ძალებისა და პარტიების ძირგამომთხრელი მუშაობა — ანტიბოლშევიკური აგიტაცია, ცილისწამებანი, საბოტაჟი, საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან და ინტერვენტებთან ფარული გარიგებანი ისევ გრძელდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებად დარჩნენ მენშევიკები. მართალია, მარტის ბრძოლების შემდეგ მენშევიკები იძულებული გახდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ეღიარებინათ, მაგრამ თავიანთ ბეჭდვითს ორგანოებში, მუშათა უბნებში, საბჭოს და სარეწაო-საქარხნო კომიტეტების სხდომებზე ისინი ბაქოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ისევ ეწეოდნენ, მოითხოვდნენ საბჭოს შემადგენლობის გადარჩევას, სოციალისტური პარტიების ბლოკს ხელისუფლებაში, შაუმიანის, როგორც საბჭოთა რუსეთის კომისრის, გადაყენებას.

მენშევიკები ბოროტად სარგებლობდნენ მწვავე სასურსათო კრიზისით; მათ ზოგიერთ საწარმოში მოახერხეს მუშების გადაბირება და გამოიტანეს რეზოლუციები, რომლებიც სახალხო კომისართა საბჭოს და მუშათა დეპუტატების საბჭოს ღონისძიებებს უპირისპირდებოდნენ. მენშევიკებმა წააქეზეს მუშები გაფიცვისაკენ, წამოაყენეს მუშების ბაქოდან თავისუფლად გასვლის მოთხოვნა, რაც ნავთის სარეწების ნორმალური მუშაობის ჩაშლისაკენ იყო მიმართული. აწარმოებდნენ რა ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბაქოში, მენშევიკები თურქულ-გერმანული ინტერვენციისა და ბეკური კონტრრევოლუციის ფარული აგენტურის როლს ასრულებდნენ. ისინი ამზადებდნენ ნიადაგს, რომ გარეგანი ძალის ბაქოზე დაწოლის დროისათვის გაეადვილებინათ საბჭოთა ხელისუფლების დაცემა, მისი შინაგანი აფეთქება.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები იყვნენ მემარჯვენე ესერები. მემარჯვენე ესერებმა გამოაცხადეს ბაქოს საბჭოსადმი ლოიალური დამოკიდებულება. ისინი საკიანის პირით ბურჟუაზიასთან კოალიციასაც კი გმობდნენ და მთავრობას აღუთქვამდნენ ყველა საქმეში ხელისშეწყობას, მაგრამ ესერებს სულ სხვა რამ აწუხებდათ: ინგლის-ამერიკული ბურჟუაზიის ლაქიებს, არ მოსწონდათ მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების სეპარატიზმი და თურქეთ-გერმანიის ინტერვენციისათვის გზის გახსნის პოლიტიკა. ისინი ჰგმობდნენ სეიმის „დამოუკიდებლობას“, თურქულ-გერმანულ იმპერიალიზმთან გარიგებას და ყალბი რევოლუციური ფრაზებით რუსეთთან ერთიანობას გაჰყვიროდნენ. „ბაქო არა სეიმის და თურქეთის, ბაქო რევოლუციური რუსეთის მხარეზეა“ — წერდნენ ისინი. მაგრამ „რევოლუციური რუსეთი“

მათს წარმოდგენაში იყო არა საბჭოთა რუსეთი, არა სახალხო კომისართა საბჭო, არამედ კერენსკის რუსეთი, რომლის აღდგენას ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის დახმარებით აპირებდა. ესერები ამ არქირევოლუციური ფრაზების საფარქვეშ ფარულ გარიგებას ეწეოდნენ ინგლისელ ინტერვენტებთან და, როგორც ქვემოთ დავინახეთ, ამზადებდნენ ინგლისის ინტერვენციას ბაქოში. ესერები „დაუნდობლად“ აკრიტიკებდნენ მენშევიკებს, მაგრამ ისე როგორც მენშევიკები, სასურსათო კრიზისს საბჭოთა ხელისუფლების ასაფეთქებლად იყენებდნენ. ისინი შიმშილით განაწამები მუშების განწყობილებაზე თამაშობდნენ და ახერხებდნენ ზოგჯერ კიდეც გაეტანათ თავიანთი კონტრრევოლუციური რეზოლუციები. ბალახვანის რაიონის ესერული ქვეკომიტეტის რეზოლუცია მოითხოვდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადარჩევას, ამავე დროს პროტესტს აცხადებდა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკის წინააღმდეგ და აშკარად აღიარებდა, რომ იგი არ სცნობდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში.

ინგლის-ამერიკული იმპერიალიზმის საიმედო აგენტებს და საბჭოთა ხელისუფლების უბოროტეს მტრებს წარმოადგენდნენ დაშნაკები. დაშნაკები დიდი ხმაურით ეწეოდნენ ბაქოს „დაცვას“ თურქი ინტერვენტებისაგან, მაგრამ მათთვის თურქეთის ბატონობა ბაქოში უფრო ასატანი იყო, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება. დაშნაკები, ერთი მხრით, მოლაპარაკებას ეწეოდნენ დენსტერვილთან, ამავე დროს თურქეთის აგენტებთანაც აბამდნენ ფარულ კავშირს და ორთავე შემთხვევაში ერთ მიზანს ისახავდნენ: — დაემხოთ სახალხო კომისრების ხელისუფლება. დაშნაკები სარგებლობდნენ იმით, რომ ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო ბაქოში იძულებული იყო გამოეყენებინა სომხური ეროვნული ნაწილები, სადაც დაშნაკი ოფიცრობა იყო თავმოყრილი. ეს ოფიცრობა ფრონტებზე გადამწყვეტ მომენტებში აშკარა ღალატს ეწეოდა, ჯარისკაცებს მორალურად ხრწნიდა, თავდაცვის უბნებს სტოვებდა, ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მეფის პოლკოვნიკის, დაშნაკი ამაზასპის ღალატი. იგი საბოტაჟს უწევდა საბჭოთა სარდლობის განკარგულებებს, თვითნებურად ტოვებდა საკომანდო პუნქტს, მხარს არ უჭერდა წინგაჭრილ ნაწილებს.

დაშნაკები ამავე დროს სომეხ მუშებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქეზებდნენ, აწყობდნენ ტერორისტულ თავდასხმებს

ხელმძღვანელ ბოლშევიკებზე. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა მათ მოაწყეს ა. ჯაფარიძეზე.

ყველა ეს პარტია ბაქოს ბურჟუაზიის დაკვეთით მოქმედებდა, ბურჟუაზიისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა სურდა, სულერთია, ეს შესრულდებოდა თურქეთისა თუ ინგლისელი ინტერვენტების ძალებით.

„ჩვენი ბაქოს ბურჟუაზია — სამართლიანად შენიშნავდა „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქტორი არსენ ამირანი — რუსული, სომხური და მუსლიმანურიც, ყველა, განურჩევლად ეროვნებისა, დაინტერესებულია იმით, რომ ჩვენი არმია დამარცხდეს, რომ ბაქო გერმანელების, ინგლისელების ან თურქების ხელში გადავიდეს.

სომხურ ბურჟუაზიას სურს, რომ მოვიდნენ ინგლისელები, მუსლიმანური — თურქეთს ელოდება, ხოლო რუსული ბურჟუაზია მოხარული იქნება ყველა ამ ქვეყნების მოსვლისა, ოღონდ კი საბჭოთა მუშური ხელისუფლება დაემხოსო“[1].

ეს კონტრრევოლუციური პარტიები მჭიდრო კავშირურთიერთობაში იყვნენ ინგლისის საკონსულოსთან ბაქოში. ისინი ჯერ კიდევ მარტ-აპრილში შეუთანხმდნენ მაკ დონელს დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება. მაკ დონელი მენშევიკების, ესერებისა და დაშნაკების წარმომადგენლებს აღუთქვამდა ყოველმხრივ მხარდაჭერას, თუკი ეს უკანასკნელნი ამბოხებას მოაწყობდნენ და სახალხო კომისართა საბჭოს დააპატიმრებდნენ. ესერმა ავანტურისტებმა კიდეც მოამზადეს ასეთი ამბოხება. შეთქმულთა მეთაურებმა მემარჯვენე ესერმა ივანოვმა და საკანონერო ნავის „არდაგანის“ მექანიკოსმა კირიჩენკომ კასპიის ფლოტილიის საერთო კრების სახელით მუშებსა და მეზღვაურებს ყალბი მოსაწვევები დაუგზავნეს, მოუწოდეს 13 ივნისს გამოეგზავნათ დელეგატები მიტინგზე, სადაც თითქოს უნდა განხილულიყო მიმდინარე მომენტის, ქალაქის დაცვის საკითხები. შეთქმულები ვარაუდობდნენ მიტინგზე თავიანთი თავი გამოეცხადებინათ უმაღლეს ხელისუფლებად ბაქოში და გამოექვეყნებინათ ბრძანებები, დეკრეტები, ინგლისის კონსულისადმი მიმართვები, რომლებიც წინასწარ იყო შედგენილი. ბაქოში შექმნილ ვითარებას შეთქმულები აბრალებდნენ შაუმიანს და მოითხოვდნენ მის დაპატიმრებას. ივანოვისა და კირიჩენკოს მეთაურობით ჰქმნიდნენ ახალ ხელისუფლებას დიქტატორული უფლებებით, ამავე დროს აცხადებდნენ ინგლისისა და ახალი ხელისუფლების „ინტერესების ერთიანობას“ და ეპატიჟებოდნენ მათ ბაქოში. ეს შეთქმულება, რომე-

[1] А. Амирян, Статьи, Баку, 1925 г., гр. 76.

ლიც მუშათა და მეზღვაურთა მოტყუების ვარაუდებზე იყო აგებული, ხუხულასავით ჩაიშალა. მისი ინიციატორები დააპატიმრეს. თავის მოხსენებაში მუშათა დეპუტატების საბჭოზე 18 ივნისს ს. შაუმიანი მიუთითებდა, რომ შეთქმულების ყველა ძაფი უკავშირდებოდა ინგლისის საკონსულოს[1]. ინგლისელთა წაქეზებით ესერები მუშათა რაიონებში სწორედ ამ ხანებში გამოდიოდნენ შაუმიანის წინააღმდეგ. ეს შეთქმულება შემთხვევით როდი ემთხვეოდა ესერების მიერ მომზადებულ ავანტიურას რუსეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისის სარდლობა ესერებს თვლიდა ყველაზე საიმედო ძალად, რომელსაც მათთვის ბაქოში გზა უნდა გაეკაფა. დენსტერვილი წერს: „ბაქოსთან კავშირი მე დამყარებული მქონდა თითქმის ყოველდღიური კურიერების საშუალებით და ჩვენს მეგობრებს—ესერებს მოწყობილი ჰქონდათ ყველაფერი რომ ჩქარა მოეწყოთ coup d 'etat, ე. ი. დაემხოთ ბოლშევიკები, შეექმნათ ახალი მმართველობა ბაქოში და დახმარებისათვის მოეწვიათ ინგლისელები. იმ მიზნით, რომ გამომეყენებინა ეს ხელსაყრელი მომენტი, რომელიც ყოველდღე იყო მოსალოდნელი, მე ჯერ კიდევ არ გამაჩნდა საკმაო ძალები. მე არაერთხელ მქონდა მოლაპარაკება ესერების პარტიის წარმომადგენლებთან, რომელთა პროგრამა უფრო შეესაბამებოდა ჩვენს მიზნებს. მათ სურთ ჩვენი დახმარება, განსაკუთრებით ფინანსიური. მე ვამყარებ მეგობრულ კავშირს ესერებთან და მათ იციან, რომ ბევრ რამეში უნდა ჰქონდეთ ჩვენი იმედი, თუკი შესძლებენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას“[2].

დენსტერვილს ესერებთან ერთად ბაქოში დაბეჯითებით ეპატიჟებოდნენ დაშნაკები. თვით დენსტერვილი აღნიშნავს, რომ 23 აპრილს ბაქოდან ჰამადანში მასთან ჩავიდა სომეხი ექიმი და სომხეთის ეროვნული საბჭოს სახელით სთხოვა დაუყოვნებლივ დაძრულიყო ბაქოსაკენ. დაშნაკების ლიდერი ტერ-გაზაროვი დენსტერვილს ურჩევდა ბაქოზე შეტევას, მისი და მენშევიკების პარტიის სახელით აღუთქვამდა ყოველმხრივ დახმარებას.

მაგრამ დენსტერვილს ძალები არ გააჩნდა. აქ მისი პირდაპირი მსხვნელი აღმოჩნდა ავანტიურისტი ბიჩერახოვი, რომელიც შეთაურობდა რუსეთის იმ რაზმს, რომელიც გენერალ ბარათოვთან ერთად ჰამადანში იყო დაბანაკებული. ბიჩერახოვს, რომელსაც თეთრგვარდიელი გენერალი ბარათოვი „ჩემს ბაგრატიონს“ ეძა-

[1] С. Шаумян, Статьи и речи, გვ. 197—199.

[2] Денстервиль, გვ. 159—164.

ხოდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა დენსტერვილთან და ამ უკანასკნელთან შეთანხმებით გადასწყვიტა ეკისრა ბაქოსკენ ინგლისური ჯარებისათვის გზის გაწმენდის როლი. თვით დენსტერვილი წერს: „ბიჩერახოვი გაემგზავრა ალიატში ჯერ კიდევ თვის დასაწყისში, თან წაიყვანა ჩემი ხუთი ოფიცერი და 4 ჯავშნოსანი, მე წავედი მის სანახავად ენზელში, სადაც ჩვენ სრულ შეთანხმებამდე მივედით ჩვენი შემდგომი მოქმედების გეგმებში. ამ გეგმებზე, რომელზედაც აქ დუმილს ვამჯობინებ, მე დიდ იმედებს ვამყარებდიო“[1].

ცხადია, დენსტერვილსა და ბიჩერახოვს შორის, როგორც ამას ადასტურებს აგრეთვე გენერალ ბარათოვის მიმოწერანი[2], დაიდო საიდუმლო შეთანხმება ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედების შესახებ. ბიჩერახოვს თავი საბჭოთა ხელისუფლების ერთგულად უნდა ეღიარებინა, შესულიყო კავკასიის წითელი არმიის შემადგენლობაში, ხელთ აეღო საკომანდო ძალაუფლება და ხელსაყრელ მომენტში ინგლისელებისათვის გზა გაეხსნა. ბიჩერახოვის ახალი ვერაგული გეგმების შესახებ არვინ არაფერი იცოდა და მისი ბოლშევიკური არმიის შემადგენლობაში შესვლა რუს და ინგლისელ ოფიცრობას ღალატად ეჩვენებოდა. დენსტერვილი იქვე წერს: „ჩემს გარდა არავის, არც რუსებს, არც ინგლისელებს არ სჯერათ მისი, მაგრამ მე მას გულწრფელად ვენდობი. ყოველ შემთხვევაში მე უნდა ვაიძულო ჩემი თავი მისდამი ნდობაში, რადგან ამ მომენტში იგი ჩვენი ერთადერთი იმედია. ის მთლიანად რუსეთის მხარეზეა და მის მიერ შემუშავებული ყველა გეგმა საერთო მასშტაბით რუსეთის ინტერესების დაცვისა და კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიის ინტერესების დაცვისკენაა მიმართული, მაგრამ ყველა ისინი სავსებით ემთხვევიან ჩვენს ინტერესებსო“[3].

ბიჩერახოვი ბარათოვთან ერთად სპარსეთიდან რუსეთის სამხედრო ქონების გამოტანას ეწეოდა. ბაქოს საბჭო დაინტერესებული იყო ამ ქონების გამოტანით. ბიჩერახოვთან მას ურთიერთობა ჰქონდა. ისარგებლა რა იმით, რომ აზერბაიჯანში თურქი ინტერვენტები შეიჭრნენ, ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებას ბიჩერახოვმა შესთავაზა სამსახური თავისი რაზმით, რომელიც კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი იყო. ბაქოს კომუნისტებმა ცხადია, იცოდნენ იმის შესახებ, რომ ბიჩერახოვი ახლო იყო ინგლისის სარდლობასთან, რომ იგი მეფის არმიის ოფიცერი იყო და საბჭოთა ხელისუფლებას არ

[1] Денстервиль, გვ. 100.

[2] იხ. Личный фонд генерала Баратова, საქ. სსრ ცსა, ფ. 1437, 1 (ამ მიმოწერას გავეცანით ამხ. ვ. ივანოვის დახმარებით, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ).

[3] Денстервиль.

თანაუგრძნობდა, რომ მისი ძმა გიორგი ბიჩერახოვი ჩრდილოეთ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა. მაგრამ თურქ ინტერვენტების მოძალების პირობებში, სახალხო კომისართა საბჭო იძულებული იყო გარკვეული მეთვალყურეობის დაწესებით ბიჩერახოვის ძალები თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა. მით უმეტეს, სახალხო კომისართა საბჭოს არ შეიძლება ცოდნოდა, რომ ბიჩერახოვსა და დენსტერვილს ვერაგული შეთანხმება ჰქონდათ დადებული.

ამავე დროს ბიჩერახოვი სახალხო კომისართა საბჭოსა და კავკასიის წითელი არმიის სარდლობისადმი გაგზავნილ წერილებში ფიცულობდა თავის ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. თავის ბოლო დეპეშაში იგი იტყობინებოდა: „ყველა პირობაზე, რომელიც კომისარმა კორგანოვმა შემომთავაზა, თანახმა ვარ არა იმიტომ, რომ შემიძლია მივიღო რაიმე საპასუხისმგებლო თანამდებობა, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის ხსნას ვხედავ საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფებებში. დამფუძნებელი კრებით ან საერობო ყრილობით რუსეთის ხსნა არ მწამს, რადგან მათი დადგენილების ცხოვრებაში გატარება არავის შეეძლება მანამდე, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება ძლიერი არ იქნება. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლა დანაშაულად მიმაჩნია. არც პოლიტიკაში, არც სოციალიზმის შესახებ არაფერი მესმის, ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის მომზადებული არა ვარ. მე ქაზაკი ვარ, ცოტაოდნად ომი შემიძლია, ცოტა რამ სამხედრო საქმეებშიც მესმის. ეს არის და ეს“[1].

ბიჩერახოვის ამ ბოლო დეპეშის შემდეგ, საბჭო დათანხმდა მის გამოყენებას უფლებების შემდეგნაირი რეგლამენტაციით: ბიჩერახოვი ინიშნებოდა კავკასიის წითელი არმიის ერთ-ერთი ნაწილის სარდლად. ოპერაციები უნდა წარემართა სამხედრო კომისრის გ. კორგანოვის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. ყველა ბრძანებას ბიჩერახოვის სახელით ამავე დროს ხელს აწერდა კორგანოვი. ოპერაციები ფრონტზე წინასწარ უნდა განხილულიყო ფრონტის სარდლობის შტაბში. საომარი მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა ბიჩერახოვს დამოუკიდებლად ეკრძალებოდა. ბიჩერახოვმა მიიღო ეს რეგლამენტაცია. მის ვერაგულ გეგმებს ეს ხელს არ უშლიდა.

ბიჩერახოვის რაზმმა ბაქოში ივლისის პირველ რიცხვებში მოაღწია. „ჩვენ მივესალმებით ჩვენი არმიის ახალ ბელადს საპასუხისმგებლო საბრძოლო თანამდებობაზე ამხ. ბიჩერახოვს. ჩვენ, როგორც

---

[1] С. Шаумян, Статьи и речи, გვ. 204.

სოციალისტი რევოლუციონერები, მივესალმებით მას, როგორც რუსეთის რევოლუციის მოწინავე პოსტის მებრძოლს". — წერდა ესერების გაზეთი ამ დღეებში. ესერები შესანიშნავად იცნობდნენ ბიჩერახოვს, ალბათ იცოდნენ ინგლისელებთან მისი მორიგების ფაქტიც.

* * *

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატის დასახმარებლად შესაძლებლობის მაქსიმუმს ახორციელებდა. ბაქოში იგზავნებოდა იარაღი, საომარი მასალა, სურსათი, ფული. მაისში ბაქოში ჩავიდა მოსკოვის მფრინავი რევოლუციური რაზმი, რომელიც გეოგჩაის ფრონტზე ბრძოლაში ჩაება. 20 ივნისს ბაქოში ჩავიდა მეორე რაზმი ამხ. პეტროვის ხელმძღვანელობით, რაზმში შედიოდნენ საკავალერიო და საარტილერიო ნაწილები, რომლებმაც გმირული ბრძოლები გადაიხადეს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

კავშირი ბაქოსა და მოსკოვს შორის არ არსებობდა. ვ. ი. ლენინი ასტრახანში მყოფ ი. ბ. სტალინს სისტემატურად აძლევდა მითითებებს, ბაქოელი კომისრებისათვის დახმარების შესახებ. ასტრახანიდან ბაქოში მოდიოდა დამხმარე რაზმები და მასალები. ასტრახანი ბაქოსა და საბჭოთა რუსეთის დამაკავშირებელ ერთადერთ რგოლს წარმოადგენდა. საბჭოთა მთავრობა, ამავე დროს, თავისი ელჩისა მეშვეობით ბერლინში დაჟინებით მოითხოვდა გერმანელების კავკასიაზე შეტევის შეწყვეტას და თურქეთის მხრივ ბრესტის საზავო პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას გერმანიას აკისრებდა.

მაგრამ რუსეთის მხრივ სისტემატური დახმარება შეუძლებელი ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლება ამ დროს მოსკოვში თვით იყო მოქცეული ფრონტების რკალში. არ იყო საკმაო არც სურსათი, არც შეიარაღება. წყდებოდა სოციალისტური სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

გეოგჩაისთან ბრძოლებში წარმატების შემდეგ თურქეთის არმიამ მიმართულება ქურდამირზე აიღო. 7 ივლისს გაიმართა ბრძოლები ქურდამირის მისადგომებთან. საბჭოთა მეომრებმა თურქეთის პოლკების პირველი გააფთრებული იერიშები წარმატებით მოიგერიეს. მარცხი განიცადეს თურქეთის ნაწილებმა აგრეთვე სოფელ ასხურთან ბრძოლებში. 8-9 ივლისს თურქებმა ქურდამირზე იერიშის დროს ახალი მარცხი იგემეს. მაგრამ თურქეთის სარდლობას დიდი რეზერვები ჰყავდა. საბჭოთა ნაწილები კი სისხლისაგან იც-

ლებოდნენ. შეჯახება თითქმის არ ხდებოდა. 10 ივლისს თურქეთის ახალი ნაწილები ისევ ეკვეთნენ ქურდამირს და შემოვლითი ოპერაციის შემდეგ, შეიწროებული საბჭოთა ნაწილები აიძულეს ქალაქი დაეტოვებინათ.

ამავე დროს დაღისტნის კონტრრევოლუციონერთა ბანდა 6 ივლისს თავს დაესხა ყუბის მაზრას. ეს თავდასხმა წითელმა რაზმებმა მოიგერიეს. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა მუღანში.

ქურდამირის დაკავების შემდეგ თურქეთის რეგულარული ნაწილები შემახას ძიმართულებით დაიძრნენ. შემახასთან ბრძოლებში საბჭოთა მეომრები გასაოცარ გამძლეობას იჩენდნენ. საბჭოთა ნაწილების მხარეზე იბრძოდნენ მახლობელი სოფლის გლეხები. მტრის ჭარბი ძალები არა ერთხელ იქნა უკუქცეული. მაგრამ საბჭოთა ძალების სიმცირემ, და ამავე დროს საბჭოთა ნაწილებში მოკალათებული ნაციონალისტი ოფიცრების აშკარა ღალატმა, გამარჯვება აქაც მტერს არგუნა. საბჭოთა ნაწილებმა უკან დაიხიეს ცეხტრალურ ფრონტზე და აჯიკაბულთან გამაგრდნენ.

მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. ბაქოს კონტრრევოლუციური პარტიები უკვე აშკარად ეწეოდნენ ღალატსა და შანტაჟს. სასურსათო სიძნელეები უკიდურესობამდე გამწვავდა. ბაქოს პროლეტარიატის ის ნაწილი, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, ფრონტებზე იბრძოდა. სახალხო კომისართა საბჭომ გამოაცხადა ახალი მობილიზაცია. წითელი არმიის რიგებს აგრეთვე ახალი მოხალისეები შეემატა. გასაოცარი იყო სიმამაცე და გმირობა ნახევრად მშიერი, უიარაღო საბჭოთა არმიელებისა, რომლებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ არმიის პროლეტარული შემადგენლობის სიმტკიცესთან ერთად ადგილი ჰქონდა ღალატის აშკარა შემთხვევებს დაშნაკური ნაწილების მხრივ. საბჭოთა ბატალიონები ამავე დროს ბრძოლაში გაუწვრთნელი იყვნენ. მეთაურთა შემადგენლობას სამხედრო განათლება არ ჰქონდა. არმიაში, როგორც აღვნიშნავდით, მრავლად იყვნენ შემთხვევითი ელემენტები, რომლებსაც ნაწილების მორალურ სულისკვეთებას დაბლა სცემდნენ. ესერებმა, მენშევიკებმა, დაშნაკებმა „ბაქოს ხსნის“ მომიზეზებით გააძლიერეს ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევის პროპაგანდა.

ასეთ ვითარებაში გაიხსნა 16 ივლისს ბაქოს საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც რაიონული საბჭოების, კავკასიის არმიის რევოლუციური კომიტეტის, ფლოტის წარმომადგენლები სულ 400 კაცი ესწრებოდა.

ს. შაუმიანმა თავის მოხსენებაში განიხილა ფრონტებზე შექმნი-

ლი მდგომარეობა; დაახასიათა რა საბჭოთა ხელისუფლების და მისი მტრების შესაძლებლობანი, გააკეთა დასკვნა, რომ ბაქოს პროლეტარიატს შეუძლია და ძალებიც გააჩნია დაიცვას თავისი ქალაქი; „ბაქოს პროლეტარიატს შესწევს ძალა, რომ გამოჰყოს რამდენიმე ათასი კაცი არმიისათვის, რომლებიც გაემართებიან ფრონტზე მყოფი ჩვენი ამხანაგების დასახმარებლად. არავის არ შეუძლია წამართვას ეს რწმენა“[1] — ამბობდა ს. შაუმიანი. შაუმიანმა სხდომას აცნობა აგრეთვე საბჭოთა მთავრობის დახმარების ფაქტები, აღნიშნა, რომ ეს დახმარება უფრო და უფრო ძლიერდება.

გადმოშალა რა ინგლისელ იმპერიალისტთა ვერაგული გეგმები ბაქოსა და თურქესტანში, მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა ინგლისელ იმპერიალისტთა ბაქოელი აგენტები — ესერები, დაშნაკები, მენშევიკები, რომლებიც „მესამე ძალის“ მოწვევის თავგამოდებული პროპაგანდისტები იყვნენ[2].

საბჭოს სხდომაზე დაშნაკები, მენშევიკები, ესერები დაჟინებით იცავდნენ ინგლისელთა მოწვევის აუცილებლობას. მათ გამანადგურებელი პასუხი გასცეს სოლნცევმა, ჯაფარიძემ და სხვებმა. სხდომაზე ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია. მაგრამ კონტრრევოლუციურმა პარტიებმა განგაში ასტეხეს და ხელახალი კენჭისყრა მოითხოვეს. მეორედ კენჭის ყრამ საკითხი ვერ გადაწყვიტა. შეიქმნა კომისია, რომელსაც ვითარება უნდა შეესწავლა და დასკვნები შემდეგი სხდომისათვის მოეხსენებია.

საბჭოს მეორე საგანგებო სხდომამდე ბაქოს ბოლშევიკებმა მთელი შესაძლებლობით გააჩაღეს ბრძოლა ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევის დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ. ბოლშევიკური პრესა ააშკარავებდა ინგლისელი იმპერიალისტების გეგმებს, მოუწოდებდა ბაქოს მუშათა კლასს არ წამოგებულიყვნენ პროვოკატორთა ანკესზე. ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების უშუალო მონაწილეობით ჩატარდა მუშათა კრებები ნავთის სარეწებში, ფაბრიკა ქარხნებში. პროლეტარიატის უმრავლესობამ დაჰგმო ესერ-მენშევიკების გამცემლობა და გამოსთქვა მზადყოფნა საკუთარი ძალებით დაეცვა ქალაქი. ბაქოს სახკომსაბჭომ მოწოდებით მიმართა წითელარმიელებს ხმა აღემაღლებინათ კონტრრევოლუციონერების მიერ მოფიქრებული მონური და გამცემლური გეგმის წინააღმდეგ[3]. ს. შაუმიანმა კონტრრევოლუციური ბლოკის გამოხდომის შესახებ

---

[1] გაზ. „Известия Бак. Совета“ № 143. 21 ივნისი, 1918 წ.

[2] იქვე.

[3] „Известия Бак. Совета“ № 145. 24 ივლისი, 1918 წ.

დეპეშით აცნობა საბჭოთა მთავრობას. ი. ბ. სტალინი 21 ივლისს საპასუხო დეპეშაში მოითხოვდა ბაქოს სახკომსაბჭოსაგან „...დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკის ცხოვრებაში უსიტყვოდ გატარებას და უცხოური კაპიტალის აგენტების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას, სათანადო კომისიების წევრების თვით დაპატიმრებამდე"[1].

ბაქოში მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის დეპეშა, რომელიც სავსებით იზიარებდა და ადასტურებდა ი. ბ. სტალინის მოთხოვნებს[2].

ქალაქის ობივატელური მოსახლეობა და მუშათა ჩამორჩენილი ფენები კონტრრევოლუციური პარტიების აგიტაციას აჰყვნენ. ესერებმა შესძლეს კასპიის საზღვაო ფლოტის შემადგენლობის ძირითადი ნაწილის გადაბირება. ფრონტის სიახლოვე, საშინელი შიმშილობა პანიკურ განწყობილებას ზრდიდა. თავის საქმეს აკეთებდა აგრეთვე ინგლისის ოქრო. ინგლისელთა აგენტები დაძრწოდნენ მთელს ქალაქში და მოსახლეობას აქეზებდნენ ინგლისის ჯარების მოწვევისათვის მხარდასაჭერად. მთელ რიგ მიტინგებზე მიღებულ იქნა მენშევიკებისა და ესერების მიერ შეტანილი რეზოლუციები.

ასეთ ვითარებაში 25 ივლისს გაიხსნა ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც 500 დელეგატი ესწრებოდა. ს. შაუმიანმა სხდომას გააცნო სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლების მიმოწერა, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დეპეშების ტექსტები და მოითხოვა საბჭოების V ყრილობის დადგენილების განხორციელება. „საბჭოთა რუსეთი ჩვენ უდიდეს სახსრებს გვაძლევს. დღეს ასტრახანიდან მოვა ხუთი გემი, რომლითაც მოაქვთ 80 ქვემეხი, 160 ტყვიამფრქვევი, 10.000 თოფი, 20.000 ვაზნა, უამრავი ტანსაცმელი და ა. შ. რუსეთი არც აქამდე იშურებდა და არც ახლა იშურებს ძალებს. ნაცვლად იმისა, რომ უცხოელებს დაუკავშირდეთ, უკეთესია მივმართოთ რუსეთს, ხოლო მანამდის მობილიზაცია უყოთ ყველა ჩვენ პროლეტარულ ძალებს, არმიას და ფლოტს. მე მოგიწოდებთ თქვენ მოხსნათ საკითხი ინგლისელების მოწვევის შესახებ და განიხილოთ საკითხი ჩვენი ძალებით, საბჭოთა რუსეთის ძალებთან ერთად. ფრონტის დაცვის შესახებ"[3]. — განაცხადა ს. შაუმიანმა. სხდომამ მცირე უმრავლესობით (257 ხმა 208 წინააღმდეგ) ს. შაუმიანის წინადადებას მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა მოესმინათ 16 ივლისს

---

[1] Красный архив № 4—5. 1938 წ.

[2] გაზ. „Правда" № 260, 20 სექტემბერი, 1938 წ.

[3] Бюллетень „Диктатуры Центрокаспия" № 2, 3 აგვისტო, 1918 წ.

გამოყოფილი კომისიის დასკვნები. კომისიის სახელით სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა მემარცხენე ესერი პალაშკოვი. პალაშკოვმა სხდომას გააცნო კორგანოვის, ბიჩერახოვის, ფრონტის შტაბის უფროსის ავეტისოვის თვალსაზრისი შექმნილი ვითარების შესახებ. ბიჩერახოვი და ავეტისოვიც ინგლისელთა მოწვევის მომხრენი იყვნენ. მხოლოდ გ. კორგანოვი აღიარებდა, რომ ბაქოს პროლეტარიატს და წითელ არმიას შეუძლია დაიცვას ქალაქი. ცხადი იყო ბიჩერახოვის ღალატი. თავის სიტყვაში იგი აღნიშნავდა, რომ ინგლისელებს ჰყავს 300 ათასი ხიშტი, დიდძალი ავტომობილი, შესაძლებელია მათი სასწრაფოდ გადმოყვანა, ინგლისელები ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკაში არ ჩაერევიან, მათ მხოლოდ თურქების წინააღმდეგ ბრძოლა აინტერესებთო. ბიჩერახოვმა, როგორც ინგლისელთა აგენტმა უკვე დაიწყო პრაქტიკული მოქმედება საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყველაზე მძიმე წუთებში. ეწეოდა რა ინგლისელთა მოწვევის პროპაგანდას, იგი, ამავე დროს, სახკომსაბჭოს პირდაპირი ულტიმატუმით მიმართავდა -- მიეცათ მისთვის მაშველი ძალები არა ნაკლებ 5000 კაცისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტოვებდა თავის თანამდებობას და იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

კომისიის მოხსენების გარშემო საბჭოზე კამათი გაიმართა. ინგლისელთა მოწვევის აქტიურ მომხრედ გამოვიდნენ ესერები, მენშევიკები, დაშნაკები, რომლებიც თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ბაქოს, რადგან თვით საჭიროებს დახმარებას, რომ ბაქოს „მხსნელი“ ერთადერთი ძალა ამჟამად მხოლოდ ინგლისელი ჯარები არიან და სხვ.

მენშევიკ-ესერ-დაშნაკ ორატორების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს ბოლშევიკებმა. ა. ჯაფარიძემ, მ. აზიზბეკოვმა, ზევინმა და სხვებმა ფარდა ახადეს შემთანხმებლებისა და დაშნაკების კონტრრევოლუციურ ზრახვებს, ამხილეს ბიჩერახოვის გამოგონილი ცნობების სიყალბე. „...ისინი (ინგლისელები — ა. ს.), რომ წარმოადგენდნენ რეალურ ძალას, ყოველგვარი მოწვევის გარეშე მოვიდოდნენ, რადგან ხედავენ, რომ ბაქოს თურქები და გერმანელები უტევენ. რატომ არ მოდიან ისინი აქ თავიანთი 300 ათასიანი არმიით? ცხადია, მათ ეს ძალები არ გააჩნიათო, — ამბობდა აზიზბეკოვი, — და მოჰყავდა შემოწმებული ფაქტები იმისა, რომ ინგლისელებს ირანში მეტად უმნიშვნელო ძალები ჰყავდათ. ა. ჯაფარიძემ ამხილა რა მენშევიკები და ესერები, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები, რომელთაც ჯერ თურქეთისა და გერმანიის იმედი ჰქონდათ და გადასცეს კიდეც მათ რკინიგზა და ამიერკავკასიის

საზღვრები გაუხსნეს, ახლა ინგლისელებს ეპატიჟებიან პროლეტარული ბაქოს წინააღმდეგ. „მე თქვენ გეუბნებით: ნუ მოუწოდებთ ინგლისელებს, რადგან ამით დაღუპავთ საბჭოთა ხელისუფლებას, მოსწყვეტთ ბაქოს რუსეთს და ეს შეცდომა გამოუსწორებელი იქნება... თქვენი განაჩენი, თქვენი გადაწყვეტილება მოიწვიოთ ინგლისელები ბაქოს საბჭოსათვის სასიკვდილო დარტყმა იქნება“[1]— ურჩევდა სხდომას ა. ჯაფარიძე.

საბჭოზე შეტანილ იქნა ბოლშევიკებისა და ესერების რეზოლუცია. ბოლშევიკები წინადადებას იძლეოდნენ მიეღოთ კონკრეტული ღონისძიებები არმიის ბრძოლისუნარიანობის განსამტკიცებლად, გამოეცხადებინათ ახალი მობილიზაცია, მიემართათ მოწოდებით საბჭოთა რუსეთისათვის გაეწია დახმარება, გამოეგზავნა ჯარები ბაქოს დასაცავად. „იღებს რა მხედველობაში საბჭოთა ტერიტორიაზე ყოველგვარი იმპერიალისტების მოწვევის წინააღმდეგ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია საბჭოების მეხუთე ყრილობის მიერ, ასევე ცენტრალური მთავრობის მტკიცე განცხადებას ბაქოში ინგლისელთა მოწვევის დაუშვებლობის შესახებ, — ბაქოს საბჭო აცხადებს, დავიცვათ ბაქო საკუთარი რევოლუციური ძალებით და რევოლუციური რუსეთის ძალებით და ბოლო მოუღოთ ყოველგვარ გამბრწყინებელ და დამარღვეველ აგიტაციას ინგლისელთა მოწვევის სასარგებლოდ“[2]. — ნათქვამი იყო რეზოლუციაში. ესერების რეზოლუცია მხარს უჭერდა ინგლისელთა მოწვევას და ბაქოში კოალიციური მთავრობის შექმნას. კენჭის ყრის შედეგად 23 ხმის უმეტესობით გავიდა ესერების რეზოლუცია.

ს. შაუმიანმა, ბოლშევიკური ფრაქციის სახელით, რომლის სხდომა საბჭოს შესვენების პერიოდში ჩატარდა, სასტიკი პროტესტი განაცხადა ესერების რეზოლუციის გამო.

„ისარგებლეთ რა ჩვენი წარუმატებლობით, — სთქვა მან, — ამ პირობებში თქვენ ამ რეზოლუციის მიღებით გასწყვიტეთ ყოველგვარი კავშირი ჩვენს შორის და დადექით გამცემლურ თვალსაზრისზე. ჩვენ თავიდან ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო, რომელსაც თქვენ იწყებთ და უარს ვამბობთ სახალხო კომისართა პოსტებზე“[3]. ამასთანავე, სხდომის ბოლოს ს. შაუმიანმა და ა. ჯაფარიძემ განაცხადეს, რომ ბოლ-

---

[1] Бюллетень диктатуры „Центрокаспия“ № 5, 6 აგვისტო, 1918 წ.

[2] Красный архив № 4—5 (89—90), 1938 წ., გვ. 25, 26.

[3] Бюллетень диктатуры „Центрокаспия“ и президиума исполкома; № 5, 6 აგვისტო, 1918 წ.

შევიკური ფრაქცია რჩება საბჭოში, რომ კვლავაც მეტის ენერგიით იბრძოლოს ინტერვენტების, შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, იბრძოლოს თურქი-გერმანელი და ინგლისელი დამპყრობლებისაგან ბაქოს დაცვისათვის.

25 ივლისის შემდგომი დღეები ბაქოში მეტად მღელვარე და დაძაბული იყო. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის საერთო საქალაქო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება უბრძოლველად ხელისუფლების თანამდებობა არ დაეთმო, სახკომსაბჭოს ხელმძღვანელობით მიეღო ენერგიული ღონისძიებანი ქალაქის დასაცავად, გამოეცხადებინა საყოველთაო მობილიზაცია, მუშებისათვის მიემართა მოწოდებით აეღო ხელში ქალაქის დაცვა[1]. საბჭოს აღმასკომის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებით გამოცხადებულ იქნა საყოველთაო შრომითი ბეგარა. ბაქოს სამაზრო აღმასკომს მიეცა მითითება სოფლებიდან გამოეყვანათ მშრომელები ბაქოს მისადგომების დასაცავად. გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადა დეზერტირობას. 28 ივლისს გამოქვეყნებულ იქნა სახკომსაბჭოს ბრძანება 1883 — 1892 წ. დაბადებული ყველა მოქალაქის წითელარმიაში გაწვევის შესახებ. ბოლშევიკებმა, მოსახლეობისა და წითელარმიელების განწყობილების აწევის მიზნით 28 ივლისს მოაწყეს საბჭოთა ჯარების დემონსტრაცია. იმავე დღეს ბაილოვის თეატრში ჩატარდა ბაქოს გარნიზონის ჯარისკაცთა და ოფიცერთა კრება, სადაც მომწოდებელი სიტყვებით ქალაქის საკუთარი ძალებით დაცვის შესახებ გამოვიდნენ შაუმიანი, ვეზიროვი, ზევინი, კორგანოვი, მეზღვაურთა და წითელარმიელთა წარმომადგენლები[2]. ბოლშევიკურმა პრესამ კიდევ უფრო გააცხოველა აგიტაცია გერმანელ-თურქი და ინგლისელი ინტერვენტებისა და მათი ადგილობრივი აგენტების წინააღმდეგ. ბოლშევიკური რაიონული კომიტეტების, „გუმეტის“ ხელმძღვანელობით მიტინგები და კრებები ტარდებოდა ცალკეულ სარეწებში, ფაბრიკა-ქარხნებში, გემებზე. ჩანდა, რომ მუშათა შეგნებული ნაწილი გმობდა მენშევიკების, ესერების, დაშნაკების მოღალატურ პოლიტიკას და მიუხედავად უკიდურესად მძიმე მდგომარეობისა, მზად იყო ქალაქი დაეცვა.

მაგრამ მდგომარეობა ფრონტებზე უარესდებოდა. თურქთა რეგულარული ჯარები უფრო და უფრო ამჭიდროვებდნენ გარემოცვის რკალს. 27 ივლისს ს. შაუმიანი ვ. ი. ლენინს აცნობებდა: „...რომ

---

[1] А. Микоян, Бакинская организация большевиков в 17—18 гг. „Бак. рабочий“, 14 მარტი, 1918 წ.

[2] „Известия Бак. Совета“ № 150, 30 ივლისი, 1918 წ.

მდგომარეობა ფრონტებზე ყოველდღიურად უარესდება. შემახის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბაქომდე დაიხიეს და აწყობენ გადაჯგუფებას რკინიგზის ხაზის გასწვრივ. ჯარებმა დასტოვეს აგრეთვე სალიანი და სადგურ ალიატამდე დაიხიეს, მდგომარეობა უკიდურესად სერიოზულია"[1]. 29 აგვისტოს საბჭოთა ნაწილებმა დასტოვეს ბალაჯარი. ამ მძიმე მომენტში ბიჩერახოვმა მოხსნა თავისი ნაწილები, დაიხია სუმგაიტისკენ და კურსი დერბენტისკენ აიღო, ისე რომ თავისი უბანი გააშიშვლა და თურქეთის ჯარებს ბაქოში შეჭრის გზები გაუხსნა. გმირულად იცავდნენ ქალაქის მისადგომებს საბჭოთა ნაწილები პეტროვსკის მეთაურობით. მაგრამ იმ ნაწილებმა, რომელთაც სათავეში დაშნაკები ედგნენ, ფრონტი დასტოვეს.. შტაბის უფროსმა დაშნაკმა ავეტისოვმა მოითხოვა თეთრი ალმის გამოკიდება, რადგან მისი სიტყვებით რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქის დაცემა გარდუვალი გახდებაო. ავეტისოვი, ამავე დროს, იმუქრებოდა რომ, თუ სახკომსაბჭო არ დაეთანხმებოდა მის წინადადებას, იგი თვითნებურად გაუგზავნიდა საზავო დელეგაციას თურქებს. დაშნაკებმა, სახალხო კომისრების საბჭოს რომ ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს, უკვე ფარდა ახადეს თავიანთ ვერაგულ ზრახვებს: — რატომ არ გვებარებით ხელისუფლებას: ჩვენ თქვენს გარეშეც მოუველით საქმესო— განუცხადა დაშნაკმა გულხანდარიანმა შაუმიანს.

ასეთ ვითარებაში ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ თავიდან მოიხსნა პასუხისმგებლობა და 31 ივლისს საბჭოს სასწრაფო სხდომაზე თავისი რწმუნება ჩააბარა.

ს. შაუმიანი ამის თაობაზე წერდა: „სახალხო კომისართა საბჭომ ამჯობინა გაეჩაღებინა არა სამოქალაქო ომი ქალაქში მტრის შემოჭრის მომენტში, არამედ მიემართა ხელისუფლებაზე უარისთქმის პარლამენტური ხერხისათვის, რომ მათ, რომლებიც შეურიგდებოდნენ თურქებს, ან ბაქოში ინგლისელთა მოწვევას, თავისთავზე აეღოთ პასუხისმგებლობა შემდგომი შედეგებისათვის. ჩვენ არ შეგვეძლო ვყოფილიყავით არც იმათ რიცხვში, რომლებიც თურქი ფაშების მოწყალებას მიენდო, და თავიანთ ტყავს უფრთხილდებიან, ბოლშევიკებსა.და რუსეთის ჯარებს კი თურქულ ბანდებს სჯიჯგნად უგდებენ, არც იმათ რიცხვში, რომლებიც პატრიოტიზმზე პირმოთნეული ფრაზების მიუხედავად მზად არიან ბაქო ინგლისელებს ჩააბარონ. ჩვენ გადავწყვიტეთ გადაგვერჩინა ჩვენი რევოლუციური ჯარები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ერთგულნი იყვნენ და გველოდნა ასტრახანიდან მომავალი ჯარებისათვის, მათთან ერთად

[1] Красный архив № 4—5, 1938 წ., გვ. 26.

გაგვეჩაღებინა ომი ორ ფრონტზე — თურქეთის და ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და შეგვენარჩუნებინა ბაქო რევოლუციური საბჭოთა რუსეთისათვის"[1].

1 აგვისტოს ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკებმა ინგლისელთა კარნახით შექმნეს მთავრობა ე. წ. „ცენტროკასპიის დიქტატურა", რომელმაც მოუწოდა ინგლისელ ინტერვენტებს ბაქოში შესულიყვნენ.

4 აგვისტოს ინგლისელთა ჯარებმა მოახდინეს ბაქოს ოკუპაცია.

ამრიგად, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის გმირულ ბრძოლაში დაეცა ბაქოს კომუნა.

მისი დაცემა პირველ რიგში შეაპირობა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა თანაფარდობაში იმ უპირატესობამ, რომელიც კონტრრევოლუციის ძალებს აღმოაჩნდა როგორც ამიერკავკასიის შიგნით, ისე მის გარეთ. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის იმ თვალუწვდენელ ფრონტზე, რომელიც 1918 წლის გაზაფხულიდან მთელს რუსეთზე გადაიშიმა, ბაქო აღმოჩნდა ის ერთ-ერთი უბანი, სადაც ინტერვენციისა და კონტრრევოლუციის ბლოკმა დროებით შესძლო წარმატების მოპოვება და ბურჟუაზიული წესწყობილების აღდგენა. საბჭოთა ძალებისათვის მინუსს და კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის ძალებისათვის პლიუსს წარმოადგენდა ის გარემოებაც, რომ ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის განაპირა მხარე იყო, ცენტრალურ საბჭოთა ოლქებსა და მას შორის ვერ ხერხდებოდა პირდაპირი კავშირის დამყარება, მასა და რუსეთს შორის მდებარე ოლქებში ბოგინობდა კონტრრევოლუცია, ამიერკავკასია ამავე დროს უშუალოდ ესაზღვრებოდა იმ ქვეყნებს (თუქმენეთს, ირანს), სადაც ინგლისური იმპერიალიზმი ფეხმოკიდებული იყო და ეს ქვეყნები გადაქცეული ჰქონდათ ტრამპლინად ამიერკავკასიაზე თავდასხმისათვის.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემაში მთავარი როლი კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ითამაშეს. მათ, შეძლებული კლასების დაკვეთით იმთავითვე აღმართეს კედელი საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის. „დამოუკიდებლობის" საფარქვეშ ჯებირები გაუხსნეს თურქ და გერმანელ დამპყრობლებს. გასთიშეს რა ამიერკავკასიის დემოკრატია, მენშევიკური საქართველო და დაშნაკური სომხეთი თურქულ-გერმანული ინტერვენციის საყრდენ ბაზად და არხად აქციეს, ხოლო მუსავატურმა კონტრრევოლუციის მესვეურებმა ეს გარეგანი დამხმარე ძალა საბჭოთა ბაქოს მიუსიეს.

[1] Ст. Шаумян, Статьи и речи, გვ. 138—140.

თვით ბაქოში კონტრრევოლუციის აგენტებმა მენშევიკებმა, დაშნაკებმა, ესერებმა ვერაგულად შეასრულეს ბოლშევიკური ციტადელის შიგნიდან ამფეთქებლის როლი. მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში იპოვეს კიდევ ერთი დამხმარე ძალა ინგლისური იმპერიალიზმის არმიის სახით. ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებაზე შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციის ეს გააფთრებული შეტევა ხორციელდებოდა ისეთ ვითარებაში, როცა ამიერკავკასიის პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას გერმანულ-თურქული ზარბაზნები და ხიშტები სისხლიდან სცლიდა. როცა პროლეტარული ბაქო მოწყვეტილი იყო საბჭოთა რაიონებიდან და შიმშილისაგან სულს ღაფავდა, როცა საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში ყოველი მხრიდან უტევდნენ და ბაქოს საბჭოებისათვის ეფექტური დახმარების შანსები გამორიცხული იყო.

იყო სუბიექტური ხასიათის მიზეზები, რამაც არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების დროებითს დაცემაში. ეს იყო ის შეცდომები, რომლებსაც ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციები უშვებდნენ თავიანთ მუშაობაში.

შეცდომა იყო ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ზედმეტი დამთმობელობა ესერებისა, დაშნაკებისა და მენშევიკებისადმი. თუ მარტის ბრძოლებამდე ასეთ დათმობებს მართლაც შეიძლება გამართლება ჰქონოდათ იმით, რომ ეს პარტიები ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, მარტის ბრძოლების შემდეგ, როცა მთავრობა წმინდა ბოლშევიკური გახდა და თავის ხელში მმართველობის ყველა სადავეები აიღო, საჭირო აღარ იყო საკანონმდებლო ხელისუფლებაში — საბჭოში კონტრრევოლუციური პარტიების თავისუფალი თარეშის დაშვება. მათ მიმართ საჭირო იყო მეტი რეპრესიული ღონისძიებები, აუცილებელი იყო კონტრრევოლუციის დაუნდობლად ალაგმვა და დროული გადარჩევა იმ კოალიციური საბჭოსი, რომელიც უკვე ბაქოს პროლეტარიატის განწყობილებას აღარ გამოხატავდა. სამართლიანად მიუთითებდა ბოლშევიკების ორგანო: „ჩვენი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ დროზე ვერ შევძელით გაგვეხორციელებინა დიქტატურა, შეგნებული პროლეტარიატის ის დიქტატურა, რომლის საშუალებითაც მხოლოდ, შეგვეძლო გაგვეხორციელებინა ჩვენი ამოცანები. დიქტატურა ამჟამად მომენტის მბრძანებლური მოთხოვნაა"[1]. გაზეთი სწორად მიუთითებდა იმასაც, რომ ბაქოს კომისრები პრაქტიკაში ისევ განაგრძობდნენ თავის დროზე პარიზის კომუნის მიერ დაშვებულ შეცდომებს, თუმცა თეორიაში

[1] „Бакинский рабочий" № 146, 1918 წ.

მათ შესანიშნავად ესმოდათ ამ შეცდომების დამღუპველი შედეგები.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების წარმატება პირველხარისხოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, მოხერხდებოდა თუ არა ბაქოს პროლეტარიატისა და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირის განმტკიცება. ბაქოს კომუნისტებმა ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩაატარეს, მაგრამ იგი მაინც საკმაო არ აღმოჩნდა. მუსავატურმა და დაშნაკურმა პარტიებმა თავისი დემაგოგიით მოახერხეს გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაბირება. პროლეტარიატი მარტო აღმოჩნდა ინტერვენციისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბაქოს მაგალითზე შესანიშნავად დაადასტურდა ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ პროლეტარიატს რევოლუციაში გამარჯვების მოპოვება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ იგი განამტკიცებს საბრძოლო კავშირს გლეხობასთან და მოახერხებს გაიყოლიოს იგი სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში.

გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული აგრეთვე ნაციონალურ საკითხთან. ამ მხრივაც ბაქოს ბოლშევიკების ნაბიჯები მტკიცე და გაბედული არ ყოფილა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების დემაგოგიურ ლოზუნგებს დამოუკიდებლობის შესახებ ბოლშევიკებმა გაბედულად ვერ დაუპირისპირეს აზერბაიჯანის საბჭოური ავტონომიის ლოზუნგი. ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ ბურჟუაზიული ავტონომიის მოჩვენებითობას, მაგრამ გაბედულად არ სთავაზობდნენ საბჭოთა ავტონომიას აზერბაიჯანელ გლეხობას, რომელსაც, მეფის მთავრობის საუკუნოვანი ჩაგვრის შემდეგ, ნაციონალური თანასწორუფლებიანობა სწყუროდა და მის ძიებაში ბურჟუაზიულ-მემამულური დემაგოგების ბადეში ექცეოდა.

შეცდომები იყო დაშვებული წითელი არმიის ფორმირების პროცესშიც. წითელი არმიის შემადგენლობაში დაშნაკური ნაციონალისტური ნაწილების შეყვანა და ბიჩერახოვის კაზაკური ნაწილების მოწვევა, ბოლოს და ბოლოს საბედისწერო აღმოჩნდა, რადგან ამ ნაწილებმა ჯერ ერთი ხრწნა შეიტანეს არმიის რიგებში, მეორეც — გადამწყვეტ მომენტში აშკარა ღალატი ჩაიდინეს.

სახალხო კომისრებმა ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე ბოლომდე იმ დღეებში, როცა ვითარება ყველაზე დაძაბული იყო და საბჭოთა ბაქოს ბედი წყდებოდა. ამ მომენტში პარლამენტური დავა ესერებთან, მენშევიკებთან და დაშნაკებთან ინგლისელების მოწვევის საკითხზე მხოლოდ საზიანო იყო. საზიანო აღმოჩნდა ის პარლამენტური ხერხიც, რომელიც 26 ივლისს გამოიყენეს კომისრებმა, როცა მათ

მოიხსნეს პასუხისმგებლობა და რწმუნების ჩაბარება გამოაცხადეს. ეს აწყობდა შემთანხმებლებს. ბოლშევიკები ასგზის მართალნი იყვნენ, როცა წინააღუდგნენ ინგლისელების მოწვევის დამღუპველურ პოლიტიკას და ამას აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, როცა ამბობდა: „თუკი საკითხი ისე დგას, რომ ინგლისელების მოწვევით ვითომდა ბაქოს დასაცავად, მოწვეულ იქნას სახელმწიფო, რომელმაც ახლა გადაყლაპა მთელი სპარსეთი და დიდი ხანია თავისი სამხედრო ძალებით მოიპარება კავკასიის სამხრეთი ნაწილის დასაპყრობად, ე. ი. თუ საკითხი ისე დგას, რომ ჩავარდე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ხელში, — ამ შემთხვევაში ჩვენ ერთ წუთსაც არ შეიძლება შოგვიცვას ეჭვმა და ყოყმანმა, რომ, რაც უნდა ძნელი იყოს ჩვენი ბაქოელი ამხანაგების მდგომარეობა, მათ, როცა უარი სთქვეს ასეთი ზავის დადებაზე, ისეთი ნაბიჯი გადადგეს, რომელიც ერთადერთი შეეფერება არა სიტყვით, არამედ საქმით სოციალისტებს. ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებთან ყოველგვარი შეთანხმების გადაჭრით უარყოფა ბაქოელი ამხანაგების ერთადერთი სწორი ნაბიჯია...“[1]

მაგრამ ამ საკითხში, როცა კონტრრევოლუციური პარტიების საქმიანობა აშკარა გახდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა გამარჯვებას პარლამენტურ დავაში, არამედ სასწრაფოდ აღკვეთას ინგლისის აგენტურის გაცხოველებული საქმიანობისა, რაც დღითი დღე უფრო ფართოვდებოდა. აი ამ ობიექტურმა ფაქტორებმა და სუბიექტური ხასიათის შეცდომებმა განაპირობეს, როგორც არა ერთხელ სამართლიანად მიუთითებია საბჭოთა ისტორიკოსებს, საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დაცემა ბაქოში.

ბაქოს კომუნის მაგალითზე ცხადი გახდა ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაც: ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და ხელისუფლების შენარჩუნება — განმტკიცება შეიძლებოდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაში, საბჭოთა რესპუბლიკის მუშებისა და გლეხების ძმური დახმარების შედეგად, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარების შედეგად. ამიერკავკასიის მშრომელ მასებს ჰქონდათ სრული უფლება ეთხოვათ ასეთი დახმარება მოძმე რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ ამიერკავკასიის შეძლებული კლასები და მათი მარიონეტული ხელისუფალნი მუდმივად იშველიებდნენ დასავლეთის იმპერიალისტებს მათი სისხლიანი დიქტატურის განსამტკიცებლად.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნი, თხზ., ტ. 28, გვ. 8.

* *

ბაქოს კომუნის დაცემით, დამთავრდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პირველი პერიოდი.

ამიერკავკასია დასავლეთის იმპერიალისტების მიერ სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ორგანიზებულ სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის რკალში მოემწყვდა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მარიონეტულ მთავრობათა მიერ სამ ერთეულად გათიშული ამიერკავკასიის მშრომელ მასებს მოუხდათ ჯერ გერმანია-თურქეთის, ხოლო შემდეგ ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის იმპერიალისტური ჩაგვრის უღელი ეზიდათ. 1918 წლის მიწურული, 1919, 1920 წლები ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის შეუპოვარი ბრძოლებით აღინიშნება. ამ ბრძოლებს თავისი მღელვარე ისტორია, თავისი სპეციფიკა, თავისი ჩარჩოები გააჩნია, რომელიც სცილდება ჩვენი მონოგრაფიის მიზანს და რომელთა შესახებ მომავალში ცალკე გვექნება საუბარი. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, მიუხედავად იმ მძიმე დარტყმისა, რაც 1918 წელს განიცადეს, არალეგალურ ვითარებაში იკრებდნენ ძალებს, ამტკიცებდნენ თავიანთ რიგებს, სათავეში ედგნენ და წარმართავდნენ ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ მშრომელთა შეუპოვარ იერიშებს.

ამ ბრძოლაში ამიერკავკასიის მშრომელებს და მის ავანგარდს ბოლშევიკურ პარტიას აღაფრთოვანებდა და გამარჯვების რწმენას მატებდა რუსი ხალხის, მისი გმირული წითელი არმიის შეუპოვარი ბრძოლა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე გამარჯვების მოპოვება, იმპერიალიზმის ყველა ლაშქრობათა განადგურება და ამ ბრძოლაში სოციალისტური სახელმწიფოს კიდევ უფრო განმტკიცება ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი პირობა გახდა. გმირულმა წითელმა არმიამ, დაამარცხა და უკუაქცია რა დენიკინის არმია, მის დადევნების პერიოდში გაათავისუფლა ჩრდილოეთ-კავკასია და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. გმირულმა წითელმა არმიამ ძმური დახმარება გაუწია აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობათა სისხლიანი დიქტატურის დამხობაში. ამ დახმარების შედეგად 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში, 1920 წლის დეკემბერში სომხეთში, ხოლო 1921 წლის თებერვალში საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეპოქა, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის დიადი ეპოქა.

БОРЬБА ТРУДЯЩИХСЯ ЗАКАВКАЗЬЯ ЗА ПОБЕДУ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ В 1917—1918 ГГ.

Монография „Борьба трудящихся закавказья за победу социалистической революции в 1917—1918 гг." отражает социально-экономическое положение закавказья и борьбу трудящихся масс под руководством большевистской партии за социалистическую революцию с февраля 1917 года по июль 1918 г. (до падения Бакинской Коммуны).

В монографии рассматриваются вопросы экономики Закавказья в 1914—1918 гг., февральская буржуазно-демократическая революция в Закавказье и ее особенности, большевистские организации в борьбе за перерастание буржуазно-демократической революции в социалистическую, положение пролетариата и крестьянства Закалказья и Кавказской Армии, рост политической сознательности масс и обострение классовой борьбы между буржуазией и рабочим классом, с одной стороны, и помещиками и крестьянством,—с другой, отношение различных классов и партий Закавказья к Октябрьской социалистической революции, внутренняя и внешняя контрреволюционная деятельность Закавказского Комиссариата и сейма, Турецко-Германская интервенция, расчленение Закавказья на отдельные буржуазные единицы и начало гражданской войны в Закавказье.

Ведущее место уделено в труде показу боевой активности трудящихся Закавказья после победы Октябрьской революции, критике ошибок в освещении некоторых принципиальных вопросов и критике догматизма.

Борьбу за победу социалистической революции в Закавказье автор делит на два периода. Концом первого автор считает падение Советской власти в Баку, с чем совпадает гражданская война в Советской России и начало интервенции империалистических держав.

В первом периоде, представляющем предмет исследования, автор, в стратегическом плане большевистской партии отличает два тактических этапа: первый этап—в обстановке триумфального шествия Советской власти по всей России тактика мирного завладения властью в Совстах (ноябрь 1917 г., февраль-март 1918 г.) и второй этап — активная вооруженная борьба за Советскую власть (март-апрель 1918 г.) до победы социалистической революции в Закавказье.

Монография написана на основе первоисточников; во вступительной части дается обзор существующей по теме литературы.

საკუთარ სახელთა საძიებელი

ა

აბაშიძე 118
აბოევიანი ხ. 390
აგასიევი კაზი მაგომედ 422, 435, 436
ადელხანოვი 60, 66, 211, 236
ადიგეზალოვი ჰ. 261
ავალიშვილი ზ. 487, 488
ავალიანი ს. 29
ავაკიანი რ. 330
ავაქიანი ვ. ა. 32
ავეტისოვი 538, 541
აზიზბეკოვი მ. 21, 23, 144, 158, 165, 170, 171, 305, 393, 433, 438, 511, 512, 517, 520, 538
ათაბეგოვი 416
ათაბეგოვი 305, 323, 410
აიდენბეკოვი მ. 422
აიოლო 143, 158, 175, 438
აკოფიანი ა. 25
ალექსეევი 99, 197, 367, 368, 525
ალექსეევ-მესხიევი 348, 356
ალიბეკოვი გ. 29
ალხაზოვი 421
ამირეჯიბი მ. 53
ამაზასპი 529
ამირიანი ა. 23, 520
ანდრონიკოვი 489
ანისიმოვი ნ. 421
არველაძე ჰ. 198, 330
არეველაძე ჰ. 198
არკომედი 25
არსენიძე 108
არუთინოვი 165
არუთინიანი 167
ასკურავა 414
ატაევი 421
აფხაზავა 371, 372, 373
აშუროვი 165, 167
ახმედ ბადალ-ოღლი 497
ახმეტელოვი 160
ახუნდოვი მ. ე. 390

ბ

ბაგრატიონ-მუხრანსკი 53
ბაირამოვი ა. 517
ბარათაშვილი 489
ბარათაშვილი ნ. ტ. 53
ბარათოვი 526, 531, 532
ბარგარიანცი 380
ბარენცოვი 380
ბარიატინსკი 53
ბასინი 143
ბეკენდორფი 307
ბეკზადიანი 162, 232, 280, 284
ბელინსკი 390
ბელიაევსკი 160
ბერინგი 306
ბერიძე ს. 29
ბიჩერახოვი 503, 527, 531, 532, 533, 534, 538, 541
ბიჩი 82, 111
ბრუსი 480
ბუაჩიძე ნ. 321, 503
ბუინაკსკი 421, 435, 436
ბურჯალოვი ე. 30, 141
ბუტაევი 421
ბოგდანოვი 295
ბოლხოვიტინოვი 269
ბოზარჯიანცი 238

ბ

გაბიშევი 517
გაბუნია 379
გაგლოევი 413
გაიდამაკინი 238
გალოიანი გ. ა. 32
განჯინსკი 469, 470, 477, 478
გარიბჯანიანი 197
გახოკია 284, 298, 379
გაჯი-ზადე შ. შ. 32
გეგეჭკორი ა. 411, 414, 523
გეგეჭკორი ე. 160, 232, 233, 284, 330, 356, 357, 365, 367, 370, 371, 373, 378, 382, 386, 387, 452, 455, 458, 486
გეგეჭკორი მ. 414
გედევანიშვილი 419
გედევანოვი 489
გერცენი 390
გიორგაძე 398, 489
გობეჩია 371
გოგოლევი 436
გოცინსკი 421, 422, 433, 435, 514
გუგუშვილი პ. 29, 49
გუდიევი 123
გულიევი 68
გულისოვი 260
გულხანდარიანი 541
გურიელი 53
გუსეინოვი ი. ა. 27, 394

დ

დაბილჩენკო 504
დადეშქელიანი დ. 408
დადიანი 53
დანდუროვი 238
დახადიევი 436
დგებუაძე 275
დენიკინი 504, 505, 524
დენისოვი 295
დენსტერვილი 30, 526, 527, 529-531, 532, 533
დობროლიუბოვი 390
დოლიძე ა. 25
დონსკოი 330, 356

ე

ეგოროვი ი. ვ. 382
ელიავა ნ. 79, 81, 197
ელჩიბეკიანი ა. მ. 29
ემიროვი ნ. 25
ემხუარი 415
ენგელსი 145
ენვერ ფაშა 451, 467, 469, 470, 473,
ენუქიძე დ. 28
ენფიანჯიანცი 66
ერაძე 197
ერისთავი—ბ. 53
ერმაშკინი 421, 436
ეფრემოვი 435

ვ

ვართანიანი 194
ვაჩნაძე 489
ვაცეკი 526
ვეზიროვი 424, 438, 517, 540
ვერეშჩაკი 298
ვერმიშევი 167, 175
ვილსონი 30, 365
ვიშინსკი 361
ვილჰელმი 273
ვოროშილოვი კ. ე. 169
ვორონცოვ-დაშკოვი 55, 94
ვოტინსკი 525
ვრაციანი 386

ზ

ზაალიშვილი 53
ზავრიევი 29
ზახაროჩკინი 421
ზდანოვსკი 67
ზეკინი ი. 23, 231, 238, 540
ზვონიცკი 116
ზიატხანოვი ბ. 433
ზინოვიევი 190
ზუბალოვი 329
ზურაბოვი 37, 196, 299

თ

თაიროვი 211, 493
თოხჩიბაშევი 314, 358, 359
თოდრია ს. 25, 503
თუმანიანი ო. ე. 29

ი

იაკობსონი 84
იარალოვი 211
იაროსლავსკი ე. გ. 169
იბრაგიმოვი ზ. ი. 27
იდაშკინი 160, 197
იკანოვი 530
იხმაილოვი 421
ილუშკინი 82, 194
იტრიევი ნ. 25
იუდენიჩი 270
იუზბაშევი 209

კ

კაზაკოვი 436
კალანდაძე 295
კალედინი 325, 330, 358, 363, 364, 368
კალესნიკოვი 251
კალინინი მ. ი. 21
კაჰენეკი 141, 147, 178, 190
კაჰო 347
კანტემიროვი 371
კარაულოვი 248, 321, 325, 350, 358, 364
კარახანი 452, 458
კარჩიკიანცი 349, 356
კაჩუხაშვილი 408, 409
კედია 489
კედიბერაშვილი დ. 490
კერენსკი 155, 162, 255, 279, 295, 302, 306, 351, 375, 529
კვიტჩენკო 317
კოკვიძე ა. 29
კირიჩენკო 530
კიროვი ს. მ. 21, 321
კლემანსო 366
კობულაშვილი 53
კოლუმბეკოვი ა. ე. 32
კოლჩაკი 524
კონიაშვილი 413, 415, 418
კოპლანოვი 421
კორგანოვი 158, 183, 277, 330, 331, 436, 438
კორნილოვი 517, 520, 533, 538, 540, 173, 174, 175, 176, 285, 286, 525
კოტროვი 421
კრესი ო. 484, 485, 488, 489, 491, 499
კრიუკოვი 277
კროსბი 366
კრუპსკაია ნ. 425
კუზნეცოვი 183, 300, 349, 381
კულმანი 487
კუპრაშვილი ბ. 408
კუჩენბახი 53
კუხალეიშვილი ს. 25

ლ

ლანსინგი 354, 365, 366, 367, 368, 423
ლებედინსკი 370, 454
ლევანდოვსკი 82, 287

ლენინი ვ. ი. 4. 12, 13, 15, 18. 19, 20, 21, 22, 29, 70, 74, 75, 76, 92, 98, 112, 133, 137, 138, 140, 145. 146, 151, 161, 162, 163, 169, 170. 179. 182, 189, 190, 194, 200, 213. 256, 257, 258, 265, 267, 273, 274. 275. 288, 291, 292, 293, 296, 345. 346, 347, 363, 377, 390, 419, 420, 439, 440. 444, 446, 447, 458, 485. 486, 500, 503, 507, 508, 512, 513, 515, 525. 534, 537, 540, 544. 545
ლოიდ ჯორჯი 30
ლომსაძე შ. 32
ლომთათიძე 160, 276
ლორის-მელიქოვი 53
ლორთქიფანიძე 489
ლოსოვი 466, 467, 468, 471, 482 483.
ლუდენდორფი 30, 451, 466, 467 485, 486, 488

მ

მაგომედოვი 421
მადათოვი გ. ა. 32
მაკ-დონელი 530
მაზნიაშვილი 419
მალიგინი ი. 23, 330, 517
მალხაზოვი 348
გამედიაროვი მ. 426
მამულოვი 503
მანდელშტამი 175
მარქსი 145
მაღალოვი 371, 372, 373, 435, 520
მაჩაბელი 53
მახარაძე მ. 196
მახარაძე ნ. 29
მახარაძე ფ. 21, 23, 24, 105, 110, 138, 140, 142, 147, 148, 164, 171, 178, 183. 187, 267, 301, 341, 342, 346, 355, 399, 410, 414, 503, 504
მგალობლიშვილი ტ. 25
მდივანი 348, 371.
მელაძე კ. 323
მელიქოვები 261
მემედიაროვი მ. 170
მიკირტუმოვი 85
მილნერი 366
მინცი ი. ი. 28, 40, 366
მინჯიანი ო. 29
მირბახი 465
მირზაბეკიანი 239
მიულმანი 30, 484
მიქონიანი ა. 21. 22, 116, 139, 144 145. 151, 158, 178, 181, 187, 264, 267, 313, 314, 426, 517
მიხეილ ნიკოლოზისძე 249
მოსესოვი ი. ვ. 32
მხითარიანი ს. ა. 32

ნ

ნაზარბეკოვი 464
ნაზარეტიანი 295. 503
ნალბანდიანი მ. 390
ნარიმანოვი 426, 438
ნერუჩევი 356
ნიზამი ფაშა 477
ნიკოლაძე გ. ნ. 498
ნიკოლოზ II 99, 104, 273
ნობელი 42, 231
სუგინი 422
ნური ფაშა 470, 473, 477, 478

ო

ოდიშელიძე 286. 361, 432
ოვსეპიანი ს. 330
ოლდენბურგი 416
ოლმინსკი მ. ს. 169
ონიაშვილი 460
ოპენიანსკი 196
ორახელაშვილი მ. 21, 24. 183, 346, 410, 502

ორბელიანები ვ. და ა. 53, 260
ორლოვი 100
ორჯონიკიძე ს. 21, 22, 169, 389, 505, 515
ოსეპიანი 517

პ

პალაშკოვი 538
პაპაჯანოვი 118, 119, 191, 192, 248, 287, 370
პასტრულინი 98
პეტროვი 534
პეტროვსკი 162, 325, 435, 436, 514, 541
პეტროსიანი 379
პირშონი 366
პოლოცევი 330
პოპკოვი 109, 110, 160, 238, 264, 277
პოტრესოვი 127
პრეევალსკი 282, 287, 330, 361

ჟ

ჟორდანია ნ. 101, 105, 106, 108, 109, 110, 119, 128, 130, 131, 150, 156, 177, 209, 241, 253, 275, 294, 295, 334, 336, 348, 369, 370, 373, 399, 402, 453, 466, 472, 488, 489
ჟურული 489
ჟღენტი თ. 25

რ

რაზმაძე 408
რამიშვილი ი. 153, 158, 175, 212, 223, 225, 228, 230, 232, 233, 235, 370, 373, 453
რამიშვილი ნ. 101, 105, 106, 209, 210, 214, 294, 348, 432, 474, 475, 488, 489, 491
რასუ-ლზადე 432
რაუფ ბეი 454, 455
რაშიდ 86
რიაბუშინსკი 85
რებრუხი 157, 298
რომანოვი მ. ნ. 53
რომანოვი ნ. ნ. 94, 99, 104, 270, 370
როტინოვი 238
როტშილდი 42
როძიანკო 270
რუსთაველი შ. 389

ს

საკიანი 162, 305, 311, 438, 528
საბეკოვი მ. 380
სადოვსკი 143, 158, 162, 280, 284
საიდოვი 436
საფიკიურდსკი 431
სეკავინი 197
სემენოვი 453, 503
სესილი 366
სექტი 451,
სელტნევი 421
სვანიძე ი. 408
სვერდლოვი ი. მ. 21, 169
სკობელევი 68, 225, 229, 230
სიმონსი 487, 488
სიმონიანი ა. პ. 32
სოლნცევი 517, 536
სმიტი 354, 365, 367, 368, 369, 423
სტაკროვსკი ა. 25
სტალინი ი. ბ. 21, 29, 141, 169, 203, 267, 347, 391, 487, 508
სტოლიარნი 515, 534, 537
სტოპანი 23, 78, 84, 90
სტურუა გ. 23, 143, 144, 435
სტურუა ვ. 25
სუდაკოვი ა. 25
სუვოროვი 277

ტ

ტაგიანოსოვი 165, 229
ტაგიევი 68, 77, 393, 513
ტაბარაზოვა ი. ი. 32
ტარკოვსკი 421, 422
ტერ-გაზაროვი 531
ტერ-გაზარიანი 348, 349, 356
ტერ-ოგანოვი 309
ტოკარევსკი ე. ა. 27
ტოლე 211, 380
ტომაშევიჩი პ. ი. 53
ტრაპაიძე 379
ტროცკი 21, 137

უ

უსუბეკოვი ნასიბ ბეკ 392, 469

ფ

ფალავანდიშვილი 53
ფეოდოროვი 178, 222
ფერიკ-ვეხიბ მეხმედ-ფაშა 361, 451, 454
ფიოლეტოვი ი. 21, 23, 144, 118, 176, 216, 227, 228, 325, 425, 438
ფოში 366
ფრენსის ლ. 30
ფროლოვი 212

ქ

ქავთარაძე ს. 21, 25, 135, 142, 171, 183, 214, 267, 285, 330, 381, 383, 503
ქარცივაძე 371
ქეზემ ზადე ფ. 31
ქემალ-ფაშა 30

ყ

ყაზიშვილი კ. 412
ყიფიანი კ. 53

შ

შანშიევი 260
შარაშიძე 89
შარდინი 368
შაუმიანი ს. 15. 21, 22, 79, 106, 107, 111, 143, 144, 145, 147, 148, 158, 162, 164, 166, 171, 175, 176, 179, 180, 181, 182, 183, 186, 187, 194, 196, 228, 258, 267, 280, 284, 285, 304, 305, 317, 326, 330, 341, 344, 347, 349, 363, 375, 381, 400, და ა. შ.
შირვანი ს. ა. 390
შნეიდერი 162
შორი 368
შრეიდერი 470
შულიგინი 127

ჩ

ჩერემოევი 421
ჩერნიშევსკი 390
ჩერნოვი 256
ჩერქეზიშვილი 53
ჩერჩილი უ. 30, 366
ჩოლინგარაოვი 238
ჩიჩერინი 458
ჩოლოყაშვილი გ. და ა. 53
ჩოლოყაშვილი ე. 53
ჩხეიძე 453, 461, 489
ჩხენკელი ა. 37, 85, 118, 163, 193, 249, 251, 322, 356, 371, 453, 454, 455, 456, 462, 465, 468, 483, 486, 489

ც

ცატუროვი 248
ციბულსკი 515
ციციანოვი 249
ციციშვილი 53

ცინცაძე 83, 379, 503
ცხაკაია მ. 21, 25, 148, 164, 171, 183, 187, 214, 259, 267, 330, 355, 503

ძ

ძერჟინსკი 169, 292
ძიგუა ე. 416

ძიძირია გ. 29, 32
ძნელაძე ბ. 185, 187

წ

წერეთელი ა. 390

წერეთელი კ. 180, 471

ჭ

ჭავჭავაძეები 53
ჭავჭავაძე ი. 390
ჭიაბეროვი 299

ხარლამოვი 118, 119, 368, 369
ხარატიშვილი 379
ხას-მამედოვი 122, 192, 356
ხატისოვი 101, 109, 119, 480
ხაჭაპურიძე გ. 26, 40, 138
ხელაძე ა. 218
ხეიფიცი ა. 29

ხ

ხალილ-ბეი 463, 469, 474, 475, 477, 483
ხან-ხოისკი 356, 358, 359, 432, 473, 478

ჯ

ჯაფარიძე ა. 21, 23, 143, 144, 145, 158, 162, 164, 165, 170, 171, 183, 196, 216, 222, 223, 224, 228, 233, 234, 235, 259, 267, 305, 425, 426, 430, 335, 437, 438, 511, 515, 529, 536, 538, 539
ჯაფარლი ჯ. 425

ჯაფაროვი 118, 167, 349, 370
ჯემალ-ფაშა 30
ჯელალ-ოღლი 265, 319
ჯიბლაძე ს. 105
ჯუღელი 275, 298, 322, 333, 379, 413, 415

ჰაუზი 365
ჰერტლინგი 486

ჰინდერბურგი 484

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბასთუმანი 481
ავდიბედი 464
ავსტრია-უნგრეთი 470, 473, 488
აზერბაიჯანი 3, 4, 5, 6, 7, 10, 12, 14, 17, 23, 27, 28, 30, 33, 35, 38, 47, 49, 51, 53, 64, 71, 94, 96, 114, 130, 153, 154, და ა. შ.
ალავერდი 43, 60, 194, 216, 238, 239, 252, 264
ალექსანდროპოლი 14, 81, 82, 86, 87, 107, 110, 154, 157, 161, 177, 192, 194, 197, 238, 239, 248, 252, 263, 268, 271, 278, 279, 284, 318, 319, 338, 340, 404, 463, 464, 475
ალიატი 465, 532, 541
ა შ შ 30, 31, 353, 354, 366, 367, 368, 369, 423, 500, 529, 546
აჰშერონი 520
არაქსი 87
არდაგანი 447, 451, 452, 454, 455, 456, 457
არეში 252, 405
არხანგელსკი 525, 526
ასტრახანი 422, 435, 534, 537, 541
ასურეთი 498
ასხური 534
ატრა 512
აფხაზეთი 29, 37, 51, 63, 252, 322, 323, 391, 404, 407, 415, 416, 417, 418, 419, 445, 522
აქსტაფა 372, 477
აჭარა 51, 63, 71
აჯიკაბული 433, 435, 465, 520, 535
ახალსენაკი 154, 492
ახალქალაქი 252, 391, 475, 480, 481, 482
ახალციხე 43, 53, 252, 279, 391, 475, 480, 482
ახპატი 319
ახტალა 60

ბ

ბათუმი 37, 43, 46, 52, 61, 64, 69, 77, 79, 107, 110, 122, 154, 161, 177, 192, 194, 216, 217, 218, 238, 278, 279, 321, 322, 327, 338, 379, 383, 402, 447, 451, 452, 454, 456, 457, 458, 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 470, 471, 475, 430, 481, 482, 483, 484, 520
ბაიბურთი 451
ბაილოვი 540
ბაკურიანი 481
ბალახვანი 152, 153, 438, 529
ბალაჯარი 541
ბარალეთი 481
ბანძა 414
ბაქო 5, 8, 9, 14, 17, 22, 23, 27, 28, 30, 31, 34, 35, 38, 42, 43, 45, 46, 47, 48, 50, 52, 53, 56, 59, 64, 65, 68, 62, 77, 78, 79, 80, 82, 83, 89, 90, 97, 102, 103, 104, 106, 107, 110, 111, 114, 115, 116, 117, 122, 125, 127, 129, 130, 132, 139, 140, 142, 144, 145, 156, 151, 152, 153, 154, 157, 158, 161, 162, 164, 165, 166, 167, 169, 172, 173, 174, 175, და ა. შ.

ბაშკირეთი 393
ბაშკიჩეთი 264, 391
ბებრის ციხე 523
ბელორუსია 189, 447
ბერლინი 452, 468, 479, 484, 487, 534
ბესარაბია 367
ბიბი-ეიბათი 140
ბოვრა 481
ბორდაბოსი 503
ბორჩალო 53, 247, 248, 249, 251, 259, 260, 264, 391, 404, 481, 490, 492, 497
ბირჯომი 60, 249
ბრესტი 360, 362, 434, 449, 450, 451, 452, 454, 455, 457, 458, 461, 462, 467, 468, 476, 482, 484, 487, 499, 424, 534,
ბრესტ-ლიტოვსკი 447, 452, 457, 462, 463, 475
ბრიანსკი 514
ბულგარეთი 480, 488

გ

გაგრა 416
განჯა 433, 473, 477
გერმანია 17, 28, 30, 31, 37, 42, 96, 158, 159, 189, 226, 273, 331, 360, 434, 445, 446, 447, 451, 452, 453, 457, 458, 465, 466, 467, 468, 471, 472, 479, 484, 487, 488, 492, 497, 498, 499, 500, 526, 528, 534 538, 546
გეოგჩაი 64, 87, 405, 521, 534
გილანი 526
გოგაშენი 481
გორი 53, 60, 69, 107, 154, 249, 252, 407, 411, 413, 465, 485, 492
გროზნი 68, 303, 321, 325, 350, 421
გუდაუთი 64, 249, 323, 416, 417
გუმბრი 43
გუმისტა 416, 417
გუმენის ხეობა 86
გურია 80, 187

დ

დარიალი 504, 505, 523
დაღისტანი 25, 48, 79, 81, 115, 227, 243, 421, 422, 435, 512, 535
დედოფლის წყარო 264
დერბენდი 68, 422, 435, 436, 465, 541
დეხვირი 407
დილიჟანი 264
დონბასი 188, 214
დონი 368, 525, 526
დოლიარი 262, 372
დუშეთი 37, 249, 252, 273, 404, 407, 465, 497, 522, 523, 524

ე

ევლახი 520
ევროპა 30, 31, 136, 189
ეკატერინოდარი 325
ეკატერინოფელდი 264
ენზელი 363, 526, 532
ენისელი 252
ელიზავეტპოლი 14, 37, 48, 50, 52, 53, 56, 79, 81, 82, 86, 87, 98, 107, 110, 117, 122, 125, 162, 191, 243, 252, 261, 267, 279, 323, 338, 340, 371, 374, 391, 405, 421, 465, 473, 502, 513, 519, 520
ელენდორფი 478
ერედვი 412
ერევანი 14, 34, 47, 48, 50, 52, 54, 65, 79, 80, 82, 85, 86, 87, 88, 98, 103, 107, 110, 117, 122, 123, 124, 127, 154, 161, 177, 191, 194, 238, 239, 243, 248, 252, 263, 267, 269, 271, 278, 318, 319, 327, 338, 340, 375, 379, 391, 402, 404, 464, 474, 478
ერზერუმი 451
ერზინჯანი 361, 451
ესტონეთი 447
ეჩმიაძინი 107, 263, 270, 475

ვ

ვანათი 412
ვაშინგტონი 452
ველისციხე 264
ვენა 452
ვლადივოსტოკი 524
ვლადიკავკაზი 321, 504, 515
ვოლგა 525

ზ

ზანგეზური 43, 60, 123, 252, 264
ზაქათალა 192, 243
ზეიზიტი 248
ზუგდიდი 53, 80, 154, 245, 407, 415

თ

თბილისი 14, 16, 17, 24, 29, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 43, 46, 47, 48, 52, 53, 54, 60, 61,, 62, 65, 66, 67, 68, 69, 77, 79, 80, 81, 82, 83. 85, 86, 88, 89, 98, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 110, 117, 118, 119, 122, 127, 128, 129. 130, 132, 142, 148,149, 153, 154, 155. 157, 160, 161, 164, 168, 169, 172, და ა. შ.
თელავი 69, 154, 264
თერგი 369, 422, 504
თერგის ოლქი 502, 503, 523
თეთრიწყარო 492, 497, 498
თიანეთი 53, 260, 404, 523
თრიალეთი 481
თურქეთი 10, 15, 17, 23, 28, 29, 36, 37, 39, 61, 63, 71, 96, 115, 116 331, 348, 352, 361, 362, 363, 367, 368. 389, 391, 414, 415, 419, 422, 423, 428, 431, 432, 434, 436, 442, 445, 446, 447, 448, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 460, და ა. შ.
თურქესტანი 536
თურქვენეთი 393, 542

ი

იაშმი 435
ივანოვო 214
იზმირი 480
ინგლისი 9, 21, 28, 31, 42, 189, 218, 273, 353, 365, 366, 367, 466, 487, 488, 500, 526, 529, 530, 531, 537, 542, 545, 546
ინდოეთი 352, 353, 487, 488
ირანი 352, 389, 466, 467, 477, 478, 529, 542
იეევსკი 525
იტალია 189, 273, 365

კ

კავკავი 504, 523
კავკასიონი 6
კარაკლისი 464, 480
კარაკუჯა 261
კარამარიანი 521
კახეთი 80, 414
კიევი 452
კილიკია 480
კონღორი 417, 418, 419
კონსტანტინოპოლი 452, 456, 473, 480
კოტელა 481
კურდისტანი 367

ლ

ლაგოდეხი 72, 264
ლასურია 407
ლენქორანი 43, 107, 262, 405, 435, 465, 512, 516

ლატვია 447
ლეჩხუმი 37, 53, 407, 408, 409, 410, 411. 414. 432, 522
ლეონი 270
ლიტვა 447
ლონდონი 452
ლორე 264

მ

მამისონი 504
მარტვილი 414
მესოპოტამია 467, 478, 526
მოსაქციელი 522
მიუსიული 521
მოსკოვი 34, 39, 173, 188, 214, 302
521. 534
მურმანსკი 525, 526
მუღანი 86, 259, 535
მუხრანი 248, 497
მტკვარი 520
მცხეთა 497, 523

ნ

ნავთლუღი 273, 372
ნაფარეული 252
ნაძალადევი 302
ნახშევანი 107, 124
ნიუ-იორკი 31
ნორ-ბაიაზეთი 248, 264
ნოეშერკასკი 356, 367
ნუხა 43, 77, 81, 87, 107, 162, 239, 248, 252

ო

ოდესა 452
ოზურგეთი 80, 81, 154, 458
ორთაბათუმი 248
ოსეთი 27, 413, 414, 432, 504
ოჩამჩირე 418, 485, 492

პ

პარიზი 452
პეტროგრადი 3, 36, 99, 100, 101, 104, 147, 155, 158, 159, 160, 162, 163, 164, 173, 174, 175, 188, 199, 213, 214, 229, 269, 271, 280, 281, 293, 294, 295, 296, 297, 298, 302, 303, 3 04, 305, 306, 307, 309, 319, 321, 440, 452
პოლონეთი 447
პრიმორიე 524
რეშტი 526
რომი 452
რუმინეთი 273
რუსეთი 3. 6, 7, 8, 9, 10 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 28, 31, 41, 42, 44, 46, 47, 49, 50, 51, 54, 55, 64, 70, 72, 73, 74, 75, 76, 77. 89. 91, 92, 93, 96, 97, 100, 101, 108, 111, 112, 113, 118, 130, 132, 133, 136, 138. და ა. შ.

ს

საბუჩინი 139
საგარეჯო 263
საგირი 521
სალიანი 435, 541
სალხინო 414
სამარა 368
სამეგრელო 37, 71, 187, 409, 414, 415, 418, 432, 522
სამტრედია 492
სამურზაყანო 416, 419
სარატოვი 368
სარკანი 497
სარიყამიში 271, 278, 319, 328, 363
სარონიზი 481
სარუხანა 425, 426
საფრანგეთი 31, 42, 189, 273, 353,

365, 366, 500, 545, 546
საქართველო 3, 4, 5, 6, 7, 8, 13, 17, 24, 26, 29, 33, 34, 38, 47, 49, 51, 53, 62, 63, 64, 69, 71, 94, 96, 132, 133, 134, 140, 142, და ა. შ.
საჩხერე 414, 524
სენაკი 53, 407, 414
სვანეთი 409
სირია 480
სირიაჩქონი 71
სისიმადანსკი 60
სიღნაღი 53, 69, 154, 249, 254, 485
სომხეთი 3, 4, 5, 6, 7, 8, 12, 14, 17, 21, 23, 29, 39, 47, 49, 50, 51
სოჭა 59, 60, 61, 64, 69, 71, 94, 96, 134, 140, 154, 419
სოხუმი 53, 64, 69, 107, 110, 177, 238, 268, 323, 338, 379, 415, 416, 417, 418, 419, 465
სპარსეთი 531, 532, 545
სუმგაიტი 541
სურამი 123
სურმალო 87, 391, 475

ტ

ტალიშინსკი 423
ტამბოვი 368
ტარსკაია 503
ტემირ-ხან-შური 421, 422, 435
ტოკიო 452
ტრაპიზონი 37, 270, 278, 322, 328, 363, 452, 453, 454, 456, 462, 463, 468, 469
ტრაპეზუნდი 470
ტუაპსე 419
ტყიბული 43, 77, 98, 107, 154, 216, 217, 402, 492

უ

უკრაინა 188, 189, 367, 500
ურალი 188

ფ

ფინეთი 447
ფოთი 43, 46, 64, 69, 161, 217, 402, 465, 468, 483, 485, 492, 504

ქ

ქედაბექი 43, 60, 66
ქუთაისი 14, 48, 52, 53, 54, 55, 60, 61, 69, 79, 81, 82, 86, 88, 89, 98, 101, 104, 107, 110, 117, 122, 154, 161, 177, 185, 187, 191, 211, 217, 238, 240, 243, 244, 249, 252, 268, 279, 284, 323, 326, 340, 356, 399, 407, 408, 409, 410, 414, 465, 470, 485, 492, 502, 504
ქურდამირი 435, 465, 421, 534, 435

ყ

ყაზბეგი 505, 523
ყაზახი 64, 252, 405, 477
ყარსი 81, 192, 252, 270, 328, 447, 451, 452, 454, 455, 456, 457, 458, 475
ყიზლარი 514
ყირგიზეთი 393
ყირიმი 367
ყორნისი 412
ყუბა 107, 405, 435, 512, 535
ყუბანი 358, 369, 445, 526

შ

შამვლუვი 60
შამქორი 17, 29, 37, 71, 340, 371, 372, 373, 374, 387, 421, 442
შარური 87

შარურო-დარალაგეზი 264, 475
შახტატი 363
შემახა 43, 107, 280, 391, 405, 433, 435, 512, 516, 535, 541
შვეიცარია 137, 265
შირვანი 86, 259
შულავერი 248, 261, 263, 264
შუშა 43, 64, 81, 86, 87, 107, 123, 252, 262, 391, 405
შუშის მაზრა 477

ჩ

ჩაილო 261
ჩაქვი 248
ჩერნოგოროდი 166, 239
ჩოხატაური 154

ც

ცაგერი 408
ციმბირი 524
ციცკლი 241
ცხინვალი 413

წ

წალენჯიხა 414
წილკანი 522

ჭ

ჭიათურა 43, 59, 77, 107, 154, 194, 216, 217, 237, 402

ხ

ხარკოვი 214
ხოსროვ, იურტი 436
ხურდალანი 433, 435

ჯ

ჯავახეთი 481
ჯევადის მაზრა 405, 435, 516
ჯევანშირის მაზრა 123, 405
ჯულფა 249, 263, 463, 464

ჰ

ჰამადანი 531
ჰოლანდია 42

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

შესავალი 3

თავი I. ამიერკავკასიის ეკონომიკა პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში 41

თავი II. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ამიერკავკასიაში 93

თავი III. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე 135

თავი IV. ამიერკავკასიის მშრომელი მასების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში 200

თავი V. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ამიერკავკასია 1917 წლის მიწურულში 290

თავი VI. შეძლებული კლასებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბლოკი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ 351

თავი VII. ამიერკავკასიის მთავრობის საგარეო პოლიტიკა და თურქეთ-გერმანიის ინტერვენცია ამიერკავკასიაში 405

თავი VIII. ამიერკავკასიის მშრომელი მასების შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1918 წლის თებერვალ-მაისში 450

თავი IX. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის სათავეში 1918 წელს. ბაქოს კომუნა 502

Борьба трудящихся закавказья за победу социалистической революции в 1917 — 1918 гг. 547

საკუთარ სახელთა საძიებელი 549

რედაქტორი ლ. გოგრგილაძე

გამომცემლობის რედაქტორი გ. ნიჭაბაძე
ტექრედაქტორი პ. ლაბარტყავა
კორექტორი ე. ტაბუცაძე
კონტროლიორ კორექტორი ვ. მალანია

* * *

გადაეცა წარმოებას 14/I-57 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-57 წ. ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 35,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 30,75. შეკვეთის № 73. ტირაჟი 5000. უე 00635.

ფასი 19 მან. 45 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ქ., 1.

Типография издательства ТГУ им. Сталина, Университетская, 1.

Акакий Несторович Сургуладзе

Борьба трудящихся Закавказья за победу социалистической революции в 1917—1918 гг.

(На грузинском языке)
Издательство ТГУ им. Сталина
Тбилиси — 1957